ვია ვულოდანი

ბილბა

რომანი

ვია ვულოდანი

მილმა

რომანი

თბილისი
საქართველო

2020

რედაქტორები: ელენე სალარიძე
თამარ ცქიტიშვილი

არტრედაქტორი რეზო თხილიშვილი

ISBN 978-9941-8-2618-4

ჩვენც ეგრე ვცხოვრობთ – აქ და მიღმა. აქ ვართ ის, რასაც ერთმანეთს ვამჩნევთ, მიღმა კი – მხოლოდ საკუთარი თავისთვის საცნაურები. ჩიკოს ძნელად შესამჩნევი ფერისცვალება ამ ყველაფრის საუკეთესო ნიშანია – მეორე „მეს“, მიღმა „მეს“ აღმოჩენა. და ეს სკეფსისი, ცინიკური რევიზია დიდი ღირებულებებისა სწორედ ამგვარ უსაყრდენობას ეფუძნება. აი, ეს დიალოგიც:

– სიყვარული გადაარჩენს სამყაროს...

– სიყვარული? სიყვარულიო, რა თქვა ეს!

– ჰო, სიყვარული, რა გაგიკვირდა?

– შენი გულუბრყვილო მზერა, რომელიც სიყვარულს ყოვლისშემძლედ ხედავს, სინამდვილეში კი ეს მხოლოდ ილუზიაა. ამბობენ, სიყვარული ბრმაა და თუ ასეა, გადაიჩეხება კიდეც უფსკრულში დღეს თუ ხვალ.

ეს მეტაფორული ირონია სიყვარულის სიბრმავესა და გადაჩეხვაზე კარგად გვაჩვენებს ახალი სამყაროს კრიზისს. ეს რომანი ამ კრიზისზეა. სამართლის კრიზისზე. დარდიან თემიდაზე, რომელსაც თვალები ახვეული არასდროს ჰქონია. ამბავი, რომელიც პოსტმოდერნული ტექნიკით გვითრევს და გვხიბლავს – უკუღმა დანომრილი წიგნი, დაღმავალი გვერდების რიცხვი დიდი საიდუმლოს ამოხსნისკენ მიგვიძღვება – წინ, წარსულში.

წერის ლაღი მანერა, გამართული დიალოგები, მოულოდნელი სიღრმეები – ეს და კიდევ არაერთი მიზეზი გაქვთ ამ წიგნის ჩასაკითხად.

გიორგი კეკელიძე

ავტორისაგან

ჩვიდმეტი წლის წინ ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა, რამაც ბევრი რამე შეცვალა როგორც ჩემში, ასევე ჩემ ირგვლივ. ერთ ჩვეულებრივ საღამოს, ზუსტად იმ დროს, როცა მეგობრები ვისხედით ეზოში, საიდანღაც გონებაში ერთმა იდუმალებით მოცულმა კადრმა გამიელვა. სახლში მისულმა გასაანალიზებლად დილისთვის მოკლე ჩანახატი დავწერე. მოლოდინმა გაამართლა – მეორე დილითაც და კარგა ხნის მერეც, როცა ისევ გამახსენდა ჩანახატის ფურცელი. მაშინ გადავწყვიტე, პატარა სიუჟეტი ამეწყო და, როცა ლურჯი კალამი ავიღე ხელში, აღმოვაჩინე – თურმე ყველაფერი დამთავრებულიყო. ეს ამბავი რაღაც უფრო დიდის დასასრული უნდა ყოფილიყო, რაც ვეღარ გაგრძელდებოდა. გული დამწყდა და ფურცელი ისევ უჯრაში შევინახე.

ასე გადიოდა დრო და რაც მეტი, მით მეტად არ მასვენებდა ის კადრი. ბოლოს, მოუსვენრობამ უკუღმა ფიქრი დამაწყებინა და ამ სცენის უკან გადახვევა გადავწყვიტე. როგორც შევატყვე, წერისთვის აუცილებელი ორი პირობა მჭირდებოდა: ღამე და განმარტოება. მიუხედავად იმისა, რომ მანამდე არასოდეს დამეწერა არათუ წიგნი, არამედ წერილიც კი, პირველ ხანებში დიდად ვხალისობდი და ენთუზიაზმითაც ვაწყობდი ჩონჩხს, რომელიც სიუჟეტის ფორმატს მალევე გასცდა და უკვე მოთხრობა დავარქვი. სულ

მალე კი ხელში მქონდა წიგნის ტანი და ბოლო, თავი კი ჯერ არ უჩანდა.

ამაზე ფიქრმა დიდი დრო წაიღო. აღმოჩნდა, რომ კვანძების გადაბმა ქირურგიულ სიზუსტეს მოითხოვს ლიტერატურაში და, თუ ყველა ძარღვი ერთმანეთს ზუსტად არ მიაკერე, ის ვერ გაცოცხლდება. ესეც რომ არა, ერთგვარი ინტრიგაც ხომ უნდა შეურჩიო პროლოგს ყურადღების მისაქცევად და სწორედ ამ ინტრიგამ გააჩინა ის ძაფი, რომელმაც ერთიან ორგანიზმად შეკრა აღნიშნული სხეულის სამი ნაწილი. ამ ყველაფერმა ის ერთგვარ გამოცანად აქცია ჩემთვის და მაშინვე უამრავი კითხვის ნიშანი გაჩნდა. უმთავრესი კითხვა კი იყო – თუ რა უნდა ეთქვა ამ წიგნს. ცხადია, პასუხი ერთფეროვანი ვერ იქნებოდა, იმ ჭრელ ლტოლვათა გამო, რომლითაც ადამიანები ვართ დასაჩუქრებულნი და სწორედ ამიტომ, ეს ფუნქცია ჩემს პერსონაჟებს დავაკისრე. მოგვიანებით მხოლოდ მთავარ გმირთან გაჭირდა ეს საქმე. არც ისე ხშირად ვეწინააღმდეგებოდით ერთმანეთს, მაგრამ, როცა მისთვის საბედისწერო ნაბიჯს ვდგამდით, ხანგრძლივი კამათისა და ყოყმანის შემდეგ, სოლიდარობის განცდამ წიგნშიც აღმომაჩინა მის პირისპირ. უკან სინდისდამშვიდებული დავბრუნდი, საბოლოო კითხვის პასუხთან ერთად.

შიგადაშიგ იმედგაცრუება მესტუმრებოდა, აღარ მომწონდა ადრინდელივით და დიდი ხნით ვათავსებდი ნახსენებ უჯრაში. გადიოდა წლები და ისევ იღებოდა უჯრა. ისევ ემოციები, ენთუზიაზმი და წერა. წერა ხმელეთზე, ცაში თუ ზღვაში. წიგნი მოგზაურობდა მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე, იზრდებოდა, ისხამდა ხორცს, იდგამდა ფეხს და ისევ სადღაც მეკარგებოდა. ასე გავიდა თორმეტი წელიწადი, როცა ისევ შეტრიალდა ცხოვრების გზა და წიგნმა კვლავ გამახსენა თავი. აქედან წერა გაორმაგებული ჟინით გაგრძელდა, რა დროსაც შთაებერა სული და ის ახლა რო-

მანად მოვნათლე, თუმცა ჩემი ცხოვრების წესი დროდადრო მაინც მაფერხებდა და წიგნზე მუშაობა კიდევ ხუთ წელიწადს გაგრძელდა. როგორც იქნა, დავასრულე და თითქოს მეხამუშა რაღაც. თითქოს ჩემივე გამოგონილი სიცოცხლის თილისმა გამომეცალა, რომელიც ყველაფრისგან დამიფარავდა, სანამ არ დამთავრდებოდა, როგორც უხილავი ძალის მიერ ბოძებული აღსასრულებელი მისია.

ახლა კი თვალს აყოლებ ასოთა წყობას და ფიქრობ, ნეტა რისი თქმა უნდათ ამ ჭიებს, ასე რომ იკრუნჩხებიან, ვიდრე სიტყვას, წინადადებასა და აზრს შობენ. პირველი ორი შენ წინ დევს. აზრს რაც შეეხება, თავადაც ვერ გეტყვი ერთმნიშვნელოვნად. ის ალბათ ჩვენ შორის, სადღაც აქვე, ახლოს უნდა ტრიალებდეს. თუმცა „შენ“ ხომ ბევრი ხარ, მე კი ერთი. ამიტომაც ვერ ვამბობ ერთმნიშვნელოვნად. ისე კი, მხოლოდ ჩემს აზრს თუ იკითხავ, მე მას თავგანწირვას დავარქმევდი, როგორც სიყვარულის ჭეშმარიტ საზომს. ვიცი, ბევრით ვერაფრით დაგეხმარე და ისევ ფიქრობ, ოღონდ უკვე არა წიგნზე, არამედ ჩემზე. მე კი – შენზე. შენ ხომ სულ რაღაც ერთი ხელის გაწვდენაზე ხარ!.. ერთი ხელის გაწვდენაზე შეგიძლია შეეხო ჰორიზონტს; ერთი ხელის გაწვდენაზე შეგიძლია გადაშალო წიგნი და... მთელი სამყარო! ერთი ხელის გაწვდენაზე შეგიძლია დაიჭირო აზრი.

ყველაზე ლამაზი ხე დედამიწის ყუნწია...
ყველაზე უკვდავი წიგნი...

და მე ვარ ის ხე, ცოდნის და ცოდვის,
ნების და ვნების, ვაშლის და ლეღვის,
რომ მოვკვდი, რათა მეცადა ბედი,
უკვდავი ცეცხლის, წიგნის თუ ფერფლის...

პროლოგი

ორი სიკვდილმისჯილი, შენ და ყველა დანარჩენი... – ამ სიტყვებით იწყებოდა წითელლაქებიანი წერილი, რომელსაც ხიდის მოაჯირს დაყრდნობილი, შავ მოსასხამში გახვეული უცნობი გაოგნებული დაშტერებოდა. ახალამოსული სავსე მთვარე ბუნდოვან ნაწერს კიდევ უფრო იდუმალს ხდიდა.

ასოებს გაყოლილი თითები ნერვიულად თრთოდნენ აცახცახებულ ქაღალდზე. გაწელილი სიტყვები უმისამართოდ გარბოდნენ თაბახის ფურცლიდან. ჩქარობდა ხელი. არ სურდა არცერთი სიტყვის დაკარგვა. ანკი როგორ უნდა დაეკარგა ის, რაც ყველაფერს შეცვლიდა; ის, რაც ყველაზე მეტად იყო ახლა, ამ ადგილას საჭირო. თუნდაც მერე სულ გამქრალიყო ლექსიკონიდან! არა, ეს სიტყვებს აღემატებოდა. აქ უნდა ყოფილიყო წამიერი გადაწყვეტილება, რომლის მომდევნო წამისთვის გადაცემაც დანაშაული იქნებოდა...

უცნობმა თავი გააქნია. თაბახი თითქოს ვიღაცამ ქვიშის საათივით ამოატრიალაო, ყველა ასო წვრილ ყელში გაიცრა და ახალი წყობით, თავდაყირა გაიფანტა ფურცლის მეორე ნახევარზე. წერილი, უცნობის ხელში, ას ოთხმოცი გრადუსით შემოტრიალდა.

– როდის მესტუმრა ასე შეუმჩნევლად?! – სიმწრით ჩაიცინა უცნობმა და კითხვა განაგრძო.

სტუმარი დაბნეულიყო. აშკარად ბევრი ჰქონდა საფიქრალი კალამზე დაყრდნობილს.

სიტყვები აღარსად ჩქარობდნენ, ანკი რაღა იყო საჩქარო... ყველაფერი ხომ უკვე დაუპატიჟებელ სტუმარს ედო წინ და არჩევანიც მასვე ელოდა. ასოებიც წელში გასწორდნენ და გალამაზდნენ. თითქმის ყველა წინადადება მელნის გაბერილი ბურთით იწყებოდა.

* *

ხანსარი ხმაურით ეხეთქებოდა აქა-იქ ამოშვერილ ლოდებს და უცნობის სახეს შხეფებით ნამავდა. ხის მოაჯირზე, მისგან მარჯვნივ, უკანა ფეხებზე ამხედრებული ცხენივით, ჩახმახშეყენებული შავი რევოლვერი ელვარებდა.

უცნობმა ფურცელი ხელში მოკუჭა, თავი სიმწრით დახარა და მისი ფიქრი დინებამ გაიტაცა.

– წავიდა!.. – ჩუმად ჩაილაპარაკა, თვალი მდინარეს გააყოლა და შორეულ წარსულში ჩაიძირა.

1

ახალი საუკუნე იწყებოდა. რომელი? რომელიც გინდათ. განა ყველა ერთნაირად არ იწყება? ომით და მშვიდობით?! დანაშაულით და სასჯელით?! წითელით და შავით?! ეს ყველაფერი მასშია, თუმცა ვერანაირად ვერ უწყობს ხელს მომდევნო საუკუნის ფერისცვალებას. წითელი ისევ წითლობს, შავი კი შავობს...

არაკიც ახალ საუკუნეში ახალი იმედებით შეაბიჯებდა. ისტორიის მორიგი ფურცელი იშლებოდა, რომელშიც ყველას შეეძლებოდა თავისი სიტყვის ჩაწერა; სადაც უცილობლად იქნებოდნენ ისეთებიც, რომელთა ხელიც ამ წიგნს ვერ მისწვდებოდა, თუნდაც ყველაზე მეტად ყოფილიყო მათგან დავალებული. ალბათ, ამ საუკუნესაც, ისევე როგორც ყველა დანარჩენს, გარდაუვლად უნდა ეშვა ანტაგონიზმის ყველა გამოვლინება, რათა მარადიული შფოთის სვლა არ არეულიყო.

* *

ზაფხულის მზიან დღეს, სვიფის ერთ-ერთ სოფელში, პატარა გორაკზე წამოსკუპებულ ეკლესიაში ორი ჩვილი ინათლებოდა. მამა თევდორეს გალობით ნათქვამი სიტყვები ისევე ფაქიზად ეხებოდა სულს, როგორც საკმევლის სურნელი – სხეულს... იგი უყვარდათ, როგორც ამ სოფლის ერთადერთი მოძღვარი, როგორც მათი ცოდვების უპირობო გამქარვებელი, როგორც ღმერთი და სძულდათ კიდეც – როგორც ადამიანი, როგორც ყველაფრის მიზეზი, როგორც ყველა დანარჩენი და მაინც, სიყვარული ჭარბობდა მთელ ამ მხარეში, რადგან არცთუ ისე ბევრი ჰქონდათ სალხენი. თავად ეს სოფელიც სასიყვარულო ლეგენდას უკავშირდებოდა. კერძოდ, ის ორი მთის ჭრილში იყო მოქცეული. თა-

ვის მხრივ, ეს მთებიც სხვა უამრავ მთასა და მწვერვალში ჩაფლულიყვნენ. საქმე ამ ორ მთაში იყო, რომლებიც განსაკუთრებული რომანტიზმით გამოირჩეოდნენ. საკმარისი გახლდათ, დაკვირვებული თვალი რომელიმე მათგანზე მოხვედრილიყო, მაშინვე შეამჩნევდა მოწინააღმდეგე მთის კონტურისგან გამოსახულ სურათს, კაცისას ან ქალისას, იმის მიხედვით, თუ რომელ მათგანზე იმყოფებოდა თავად.

მთა, რომელიც ქალს გამოსახავდა, დასავლეთისკენ იყურებოდა. ნიკაპი ცისკენ ამაყად აეშვირა, თითქოს გაკერპებული, წამებული, ბოლო დარტყმას ელოდებაო. ბაგეებიც მჭიდროდ მოეკუმა არაფრისმთქმელად, მაგრამ თვალები კი ჰყიდდნენ. როგორც კი მზერას დიდრონ ბუდეში დამალულ თვალებს მიაპყრობდით, უმალ ჩნდებოდა კითხვა, რომელსაც ისინი ჩამავალ მზეს უსვამდნენ, ან იქნებ მთვარესაც, მაგრამ პასუხს ორივენი ამოსვლისას ჰპირდებოდნენ, რასაც მისი თვალები ვერასოდეს იხილავდნენ. უფრო ზევით, თვით მეზღაპრეთათვისაც კი წარმოუდგენელი სანახაობა იშლებოდა. გაშლილ თმად მოციალე ჩანჩქერი დინებას, ალბათ, ვერსაიდან გადმოეშვა, თუ არა ქალის მაღალი შუბლიდან, რაც მის მნახველს სრულ უფლებას აძლევდა, ჭკუიდან გადამდგარიყო. ამ სილამაზეს სრულყოფილებამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩებოდა, რომ არა უკვე ხსენებული ქვის მეორე უზარმაზარი ლოდი, მამაკაცს რომ გამოსახავდა. ეს ლოდი პირველზე ოდნავ მაღლა აზიდულიყო. ბალახი, რომელიც მისი ცხვირის ჭრილს დაჰბიბინებდა, იმდენად აცოცხლებდა, გეგონებოდათ, მთელ ჰაერს ის ისუნთქავსო და ამის ფონზე, შენი ჰაერის უკმარისობის შეგრძნებაც გასაგები ხდებოდა. თითოეული ნაკვთი ჯადოსნური საჭრეთლით გამოჩორკნილს ჰგავდა, და მთლიანობაში პირველ მთაზე უფრო სევდიანი ჩანდა. იქნებ იმიტომ, რომ ის მზის ამოსვლას ხედავდა. ერთი სიტყვით, აქ შეიძლებოდა გეგრძნოთ ყველაფერი, საკუთარი თავის გარდა.

ბუნების მიერ შექმნილ ამ საოცრებას საფუძვლად ლეგენდა ედო, რომელსაც ზოგი იზიარებდა, ზოგი – არა!

ყოფილა ერთი ბიჭი, რომელსაც ჰყვარებია ერთი გოგო... ასე იწყებდა ყველა თხრობას, გაგრძელება კი, სხვადასხვა ჰქონდათ. მდინარე ხანსარი კი სულ ერთი გზით მიიკვლევდა მთებს შორის ხმაურით გზას. სიღრმით ვერ დაიკვეხნიდა, თუმცა სიცივე მისი მთავარი სიამაყე გახლდათ. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან სათავეს მყინვართა ნადნობი თოვლისგან იღებდა, არცთუ ისე შორს. გაზაფხულობით ფრიად გასაკვირ სანახაობასაც ნახავდით მისი და ყინულის ნატეხების მონაწილეობით, რომელთაც პატარა აისბერგებივით მიაქანებდა გვარიანად შერყეული ხიდების ქვეშ, ვიდრე ბოლო, მეოთხე ხიდამდე ჩაიტანდა უკვე სულ გამდნარს და მრისხანე მდინარე ფემფროში გადაუძახებდა. აისბერგები უცხოებს უკვირდათ, თორემ ადგილობრივებმა კარგად იცოდნენ, ხანსარზე გადაკრულ ყინულის გვირაბებს რომ სცვიოდა ისინი დროდადრო. ისიც იცოდნენ, მეორე ხიდიდან, კუთხოვანი ყინულები სხვადასხვა ზომის გუნდებს რომ ემსგავსებოდნენ, ხანსარის ქვიანი ჩარხის წყალობით და ისიც, რომ ასეთ დროს მის ნაპირთან ახლოს დგომა არცთუ უსაფრთხო იყო. ყოველ შემთხვევაში, მესამე ხიდამდე მაინც, რადგან არავინ იცოდა, რომელიმე ქვაზე ასხლეტილ ყინულის ბურთს საით გაისროდა. სწორედ ამიტომ უახლოესი სახლიც კი, მისი მჭიდროდ დასახლებული ნაპირებიდან კარგა მოშორებით მდებარეობდა.

ლემორების სახლიც მათ რიცხვში შედიოდა. ეს იყო რამდენიმე ათასი სხვადასხვა ზომისა და ფერის ქვა, ამდენივე გაუფერულებული ხის ფურცლების ქვეშ. ქვები კირის თეთრი ჯაჭვით იკვრებოდა, რომელიც ალაგ-ალაგ წყდებოდა და თითქოს საშველად იშვერდა ხელს უახლესი რგოლისკენ. სახლის მარცხენა კედლიდან კოხტად ჩადგმული ფანჯარა იყურებოდა, წინა მხარეს კი გრძელი შუშაბანდი წარმოადგენდა, შუაში მოქცეული მაღალი კარით, რომლის ქვეშაც

სიმბოლურად ორსაფეხურიანი კიბე ისე დასკუპებულიყო, თითქოს მიმსვლელს ანიშნებდა სტუმარ-მასპინძელს შორის არსებულ მოკრძალებულ ვალდებულებებზე. მისგან ოდნავ მარჯვნივ, ონკანი ზედ სახლზე მიეშენებინათ, მის გაყოლებაზე კი ბოლო ოთახის ფანჯარას შენიშნავდით. დანარჩენი ორი ყრუ კედელს წარმოადგენდა. მათ თავზე ყავარი ქარსა და წვიმას ისე წაეხდინა, რომ მასზე ცეცხლიც კი უარს იტყოდა, არამცთუ ჟანგიანი ლურსმნები, ალაგ-ალაგ რომ ამოშვერილიყვნენ, თითქოს დაჩაჩანაკებულ პატიმრებს ამნისტიას უცხადებენო. სახურავის უკანა კიდეზე საკვამური ჩანდა, საიდანაც ზამთრობით კვამლი ამოდიოდა და ღრუბლებისკენ მიგორავდა. მთლიანობაში, სახლი ოთხი ოთახისა და ერთი საკუჭნაოსგან შედგებოდა. ირგვლივ საშუალო სიმაღლის ხავსმოდებული გალავანი ერტყა, რომელიც მეზობელი სახლებისგან ყოფდა. ეზოს ცეროდენა ბალახი ახასხასებდა, სადაც შუშაბანდის გასწვრივ ოთხი სხვადასხვა ჯიშის ვაშლის ხე ატოტილიყო, მათ აყოლებაზე კი, მინაყრილით ამოყვანილი აღმართის თავზე, გარეთ გამავალი ურდულასხმული ჭიშკარი გაემაგრებინათ. მთელი სოფლის პანორამა ასეთივე სახლ-კართა ერთობას წარმოადგენდა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე სვებედნიერ სტუმარს ამა სოფლისა, რომელთა მადა მათ ფანტაზიასაც კი უსწრებდა.

და აი, ამ სახლში დღეს განსაკუთრებული დღე იყო, თუმცა სიხარული ჭარბობდა თუ დარდი, ძნელი სათქმელი გახლდათ. თითზე ჩამოსათვლელ სტუმრებს, პირველი სახლში ერნი შეუძღვა ბავშვით ხელში, რომელსაც სახეზე გულუბრყვილო ღიმილი დასთამაშებდა. ამარამ, რომელიც ამ წუთს მოუთმენლად ელოდა, სახეგაბრწყინებულმა გამოართვა ნათლიას შვილი და გულში ჩაიკრა. ერნის ფეხდაფეხ მოჰყვებოდა მეწისქვილე – მეტად გამხდარი და მაღალი კაცი. უცნაური იერის გამო ბევრს წუწკი ეგონა, მაგრამ

არც ასე იყო საქმე. ნათლობისთვის მან ჩიკოს ერთი ტომარა სიმინდის ფქვილი უსაჩუქრა და გულუბრყვილო სახით დაუმატა: როგორც აქ გამრავლდნენ მარცვლები უთვალავ ნამცეცად, ისე ემრავლოს ამ ოჯახსო, რაც მისი ცნობილი გამოთქმა იყო, მისივე გამოგონილი და დიდი ოვაციაც არ დაუმსახურებია, რადგან მისი ენამოსწრებულობისა და მხიარული ხასიათის გამო, მისგან სულ სიახლეს ელოდნენ. სწორედ ამიტომ, ამ მხარის ყველა უსაქმური, მის წისქვილს მიაშურებდა, რომელსაც ჩხრიალი ერქვა და რომელშიც ერთი თუ ფქვილს უცდიდა, დანარჩენი ხუთი შინ წასაღებ მხიარულ ამბავს ელოდა, ვახშამზე სანელებლად მოსაყრელად. მისგან განსხვავებით, მწყემსი, რომელიც მას მოჰყვებოდა, ძალიან ცოტას ან საერთოდ არ ლაპარაკობდა. სამაგიეროდ, სტვენაზე არ დაგზარდებოდათ, რაც მას ლაპარაკზე მეტად ადგებოდა. იგი დაბალი, ჩასუქებული მელოტი კაცი იყო. წარბები იმდენად ხშირი ჰქონდა, რომ თვალები ძლივს უჩანდა, რის გამოც ბევრ ბავშვს მისი ეშინოდა კიდეც. თუმცა, საშიში სულაც არ იყო, როგორც ზოგიერთი გაბედული ბავშვი ამბობდა, მასთან მიახლოება რომ გაებედა. ცოლი, რომელიც თან ახლდა, მომხიბვლელობით თუ ვერა, თავაზიანობით ნამდვილად გამოირჩეოდა და მისალმებასთან ერთად, ყველას მორცხვად უკრავდა თავს, რა დროსაც ყელზე მთისა თუ მდინარის ფერადი ქვებისგან აკინძული მძივი ეგრიხებოდა.

ოტომ და ვარგამ ერთად შეაბიჯეს სახლში და ეს არც იყო გასაკვირი. ვარგა სამხედრო მოხელე იყო. ყმაწვილობიდან კავალერიაში ირიცხებოდა და ახლა ასეული ებარა. ამ გარემოებათა გამო, ოჯახში ძალიან მცირე დროს ატარებდა და ქვეყნის დაძაბული მდგომარეობიდან გამომდინარე, ახლაც მხოლოდ ერთი დღით დაეთხოვათ. მამას მონატრებული ოტო გვერდიდან არ შორდებოდა და ბავშვური ცნობისმოყვარეობით კითხვას კითხვაზე აყრიდა სამხედრო ცხოვრების თავგადასავლებზე.

ბატონმა კანიცომ, როგორც თავდაჭერილმა კაცმა, ბოლომ ინება სახლში შესვლა. იგი ამ სოფლის ერთ-ერთი დუქნის, „ჭაშნიკის“ მეპატრონე ბრძანდებოდა, სადაც საუკეთესო სასმელები შეგეძლოთ შეგეძინათ, განსაკუთრებით კი – ღვინო. ეს უკანასკნელი კანიცოს საყვარელი სასმელი გახლდათ და ამიტომაც უყვარდა ხოლმე საკუთარი თავის სომელიედ მოხსენიება.

ლემორების ოჯახში განსხვავებული ხედვის ხალხს მოეყარა თავი, რომლებიც სუროს ღეროებივით მიცოცავდნენ ნებისმიერ ხელმოსაკიდ „საგანზე“ და ეს ნებისმიერი ყოველთვის რწმენა იყო, მათშივე დაბადებული და მათივე სულით შთაბერილი. ყოველი ღერო თავისით მიიწევდა მაღლა, მაგრამ მარტოს ფეხის მოკიდება უცილობლად უნდა გასჭირვებოდა. ამიტომაც რამდენიმე წინ გაჭრილი ღერო მოწყვეტილიყო „საგანს“ და შავი ლენტივით გადმოჰკიდებოდა მათ, ვისთვისაც გვარიანად გაესწრო. ეს დაცემა იყო, სრული განადგურება, მაგრამ ადრე თუ გვიან „საგანი“ ისევ უნდა გამოჩენილიყო მოყვასის ხელით და ისიც გარდაუვლად რწმენისგან საშველად მოვლენილი, ზიგზაგებით მიმავალ რამდენიმე ღეროში ჩასახლებული, რომლებიც საქსოვი ჩხირებივით მიუყვებოდნენ ამ უკანასკნელს და მიტევების ძაფით აქსოვდნენ ერთ არსში. ისინიც ნელ-ნელა სწევდნენ თავს, მორცხვად და ხმის ამოუღებლად. ასე უჩნდებოდათ ახალი იმედი, რომელიც მუდამ ნიჰილიზმსა და რწმენას შორის დაბორიალობდა, მთვრალი კაცივით, ხან ძირს გართხმულიყო უპატრონოდ, ხან ყველაზე ხმამაღალ სიტყვებს წარმოთქვამდა სუფრის თავში მოქცეული, ყველაზე ხშირად კი, ღობეს ჩაჭიდებული ქანაობდა სახეგაბადრული.

დღეს ხმამაღალი სიტყვა ბატონ კანიცოს უნდა ეთავა, მისი ადგილიდან გამომდინარე, სუფრის თავში რომ მოექციათ და მანაც არ დააყოვნა. ფეხზე წამოდგომით უფალი ახსენა და ჭიქა გამოცალა. სადღეგრძელო ყველამ ორი სიტყვით შესვა. მერიქიფეობა მეწისქვილემ აიღო თავის თავ-

ზე და ჭიქები დაცლისთანავე შეავსო. კანიცო ისევ ფეხზე წამოდგა, მეწისქვილეს გახედა და მაგიდის კუთხეში დაბრძანებულ ყანწზე მიანიშნა. მეწისქვილემაც უმალ შეუვსო უცნაურად დაგრეხილი ყანწი. დაუფლებისთანავე ეს თაგვისფერი რქა კანიცოს ისე შემოეგრიხა მკლავზე, თითქოს აგრძნობინებდა – ან შენ, ან მეო. ძარღვებდაბერილმა კანიცომ ეს გამოწვევა სიამაყით მიიღო და ომახიანი ხმით წარმოთქვა სადღეგრძელო.

– მოდით, ვადღეგრძელოთ ის ორი დღე, რომელიც სრულყოფილებამ გააერთიანა. ჩიკოს ხორციელი დაბადება და მისი სულიერი მოვლენა ამ ქვეყანაზე. ვუსურვოთ სრული ჰარმონია სულსა და ხორცს შორის.

ყველა გაბადრული შეჰყურებდა ყანწმოყუდებულ კანიცოს. რქა სადაცაა დაიცლებოდა და პირამდე სავსე რომელიმე მათგანს ეძგერებოდა. კანიცოს ყანწი ჯერ კიდევ არ დაეცალა, რომ კარი შემოიღო და ოთახში ვერცხლისფერი ჯვარცმა გამოჩნდა, ვერცხლისავე ჯაჭვზე აცმული და შავ ანაფორაზე დასვენებული. ყველა ერთდროულად ფეხზე წამოდგა და თავი მოიდრიკა მამა თევდორეს წინაშე. ამ უკანასკნელმაც მათ პირჯვარი გარდასახა, ქუდი მოიხადა და მისთვის წინასწარ განკუთვნილ ადგილზე დაბრძანდა.

– საუკეთესო დროს მოხვედით, მამაო, – კისერმოღრეცილი ეუბნებოდა მეწისქვილე, რომელიც მის ჩაყოლებაზე იჯდა და თან ჭიქას ღვინით უვსებდა.

– საუკეთესო დროს ის მოვა, – ღიმილით უპასუხა მოძღვარმა და საჩვენებელი თითი ზევით აიშვირა.

– ეს დრო როდის იქნება, მამაო? – ჰკითხა მეწისქვილემ, ჭერზე რომ აეკრა თვალები.

– მაშინ, როცა დრო აღარ იქნება. როგორც წესი, ასეთ დროს ადამიანები იცლებიან მანკიერებებისგან.

– ვისთვის საუკეთესო და ვისთვის საუბედურო, მამაო, – სევდიანი ხმით ჩაერია მწყემსის ცოლი, – თქვენ ღვთის მსახური ხართ და კარგად იცით, იმ დროს როგორ უნდა შეხ-

ვდეთ. ჩემს ქმარს კი ღორებისა და ცხვრების მეტი არაფერი უნახავს. ალბათ, უფალი ვერც გაარჩევს მათგან.

ქალის გულწრფელმა სიტყვებმა ყველა გაამხიარულა.

– თუ თქვენი ქმარი არჩევს ერთმანეთისგან თავის ღორებსა და ცხვრებს, მერწმუნეთ, უფალი უფრო იოლად ამოიცნობს თავის ქმნილებას, – ღიმილით უპასუხა მოძღვარმა. მერე ჭიქა აიღო ხელში, წამით ჩაფიქრდა, თვალები ოდნავ მოჭუტა და სათნო ხმით დაიწყო:

– დღესასწაული, რომელიც დღეს ამ ოჯახში ტრიალებს, მართლაც უდიდესი სასწაულია. უფალმა მოავლინა სიცოცხლე, რომელსაც, როგორც წესი, ლოგიკური დასასრული აქვს. დღევანდელი დღე კი არის ამ უსუსური ლოგიკის დამარცხება. დამარცხება დასასრულისა და დასტური უსასრულობისა, რადგან ჭეშმარიტებაში ლოგიკური აზროვნება განწირულია. ყველას გილოცავთ ამ დღეს. მე კი, ღმერთმა დღეს ორი ანგელოზის მონათვლა მარგუნა წილად. გაუმარჯოს ჩიკოს და მასთან ერთად ბაზის. ვუსურვოთ ღირსეულად ეტარებინოთ მათი ჯვარი მარადისობამდე, – დაასრულა მოძღვარმა და ჭიქა ერნის მიუჭახუნა.

– მამაო, ერთი კითხვა გამიჩნდა, თუ შეიძლება... – გაუბედავად დაიწყო მწყემსმა, როგორც კი მამა თევდორემ ჭიქა მაგიდაზე დადგა, – ურწმუნო არ გეგონოთ, მაგრამ არც ისე ბევრი გამეგება ამ საკითხში. ერთი რამ კი, რასაც ყოველდღე ვხედავ, დაზუსტებით ვიცი.

– რა იცი, შე კაცო? – ვერ მოითმინა მისმა ცოლმა.

– რა და ის, რომ თენდება და მერე ღამდება, ან პირიქით. ესაა ხომ ლოგიკა? – ყველას თვალი მოავლო. მათმა დუმილმა თავი სულელად მოაჩვენა და სახეზე ცივმა ოფლმა დაასხა. ერთი ყლუპი წყალი მოსვა იმედით, რომ ვინმე რამეს იტყოდა და მიახვედრებდა მის მდგომარეობას, მაგრამ ამის სურვილი არავის გასჩენია. ცხადია, ორ უკიდურესობას შორის მოექცა და თვითონაც ვერ გაეგო, სასწორის რომელ

მხარეს აღმოჩენილიყო. ამდენ ხალხს ხომ მისთვის ასეთი ყურადღება არასოდეს მიუქცევია და ასეთი გულისყურითაც არავის უსმენია.

– მოკლედ, დღე და ღამე... – დამნაშავე ბავშვივით განაგრძო, – თანაც ეს ორივე ხომ ღმერთის შექმნილია.

ყველამ მოძღვრისკენ იბრუნა პირი, თითქოს მწყემსის მოულოდნელმა კითხვამ აზარტი მოჰგვარათო.

– მადლობა უფალს, რომ დღისა და ღამის გარჩევა შეგვიძლია, ან კიდევ კეთილისა და ბოროტის. გამოდის, გონებაც გვქონია და აზროვნებაც შეგვძლებია. ლოგიკაც სხვა არაფერია, თუ არა კანონზომიერებას დამორჩილებული აზრი, – წყნარად უპასუხა მოძღვარმა.

– გამოდის, ეს არც ისე ცუდი რამე ყოფილა, მამაო, – მომღიმარი სახით მიაშტერდა მეწისქვილე.

– კაცს რომ ტვინი გქონდეს, ცუდი რატომ უნდა იყოს? – გულიანად გაიცინა კანიცომ.

– დიდ ტვინს ზოგჯერ დიდი უტვინობის მოხდენა შეუძლია, – სევდიანი ხმით ჩაერია საუბარში ვარგა.

– ეგ, ვითომ, როგორ? – ჩაეკითხა მეწისქვილე.

– ისე, რომ ყველაფერი დიდი გავიწყებს პატარას და ხშირად ეს პატარა და უმნიშვნელო, ყველაზე საშიშ ადგილს იკავებს.

– უტვინობაო, ამბობთ, – საუბარში ერნიც ჩაერთო, – რა იქნებოდა ჭკუა, ომი თუ დანებება, როცა ყველამ კარგად ვიცით, რას რა მოყვება და მაინც გვიჭირს არჩევა.

– ომი არ მოხდება! – წამოიყვირა კანიცომ, – და არც უნდა მოხდეს. ჩვენ ამის ძალა არ შეგვწევს. ახლა მთავარია, რას მოითხოვენ ჩვენგან მოლაპარაკებისას.

– თავიდან ისეთს არაფერს. ნათელი ფერებით გააფორმებენ ხელშეკრულების პირველ ნაწილს, ხოლო მეორე ნაწილზე არ იჩქარებენ, სანამ ყველა არ შეეგუება მათ ლმობიერებას. განა ყველასთვის ცხადი არ არის, როგორ შემოიჭრნენ ჩვენს ქვეყანაში და დაიკავეს მისი ნახევარი? რამდენი

ჩვენი ძმა დაიხოცა წინააღმდეგობის გაწევის დროს?! – გაცხარებული ლაპარაკობდა ერნი.

– მათი მოთხოვნები ყველასთვის ცნობილია უკვე და ეს ჩვენც კარგად ვიცით. ითხოვენ თავიანთი კავშირის შემადგენლობაში შესვლას და მათი წესებით თამაშს. ამის სანაცვლოდ ჩვენ, როგორც მათ მოძმეებს, დაგვიცავენ ყველა გარეშე მტრისგან. ისიც ხომ ფაქტია, რომ იმ ნახევარი ქვეყნის უმრავლესობა, დედაქალაქის ჩათვლით, უკვე მათი მომხრეა, – თითქოს გამოსავალს ეძებდა კანიცო.

– განა პატორი იმავეს არ გვთავაზობდა, ოღონდ ომის გარეშე? მათაც ხომ ბევრი მოკავშირე ჰყავთ უკვე დასავლეთის ქვეყნებში, – ისევ გააპროტესტა წინამორბედის სიტყვა ერნიმ, რის მერეც საუბარი მოძღვარმა განაგრძო.

– დღეს ჩვენთვის ეს არის ბრძოლა და არა ომი. ახლა, როცა ქვეყანას ასე სჭირდება საბრძოლო სული, თითოეული ჩვენგანი ეულად უნდა შეხვდეს მტერს, რადგან გარწმუნებთ, უკანასკნელი ჩვენგანი რომ დარჩეს, ბევრად მეტი ძალა ექნება, ვიდრე ახლა აქვს. ერთმანეთის იმედად ყოფნა დროსაც გვაკარგინებს და ძალასაც. აჯობებდა, საკუთარი თავი გაგვეხადა სხვების იმედად, – მოძღვარი შეყოვნდა, თითქოს უჭირდა გაგრძელებაო და ერთი ამბავი გაიხსენა: „ჩვენს დიდ წინაპარს თურმე ჯარის მეთაურობამ მოუწია... მოუწია, იმიტომ რომ, დამხმარე ჯარს აგვიანდებოდა და სარდალიც მძიმედ იყო დაჭრილი. სწორედ მისი ბრძანებით დაეკისრა მხედართმთავრობა რიგით მებრძოლს, რომელმაც ხელით გამოიყვანა დაჭრილი სარდალი ბრძოლის ველიდან. ახალბედა მხედართმთავარი ცხენზე ამხედრებული გამოცხადებია შეთხელებულ ჯარს, რომელსაც მის დანახვაზე ყიჟინა აუტეხავს, დაუმორჩილებლობის ნიშნად. მას კი ხმალი და ფარი ცისკენ აუტაცია, ცხენი შეუყენებია და უკვდავი სიტყვები წარმოუთქვამს: „ორ რამეზე ფიქრს მეტი დრო მიაქვს. ჩემთვის დღეს მხოლოდ ერთია საჭირო!“

– ფარი ზურგს უკან მოუსროლია, ცხენი მტრისკენ უბრუნებია და ხმალატყორცნილი მოწყვეტილა ადგილიდან...

ათასი, ერთი აზრით გაჟღენთილი ფარზეხელაღებული გმირი მიქროდა სიკვდილთან შესახვედრად. ათასივეს სისხლი უყიოდა ნაადრევად აყივლებული გადარეული მამალივით, რომელსაც თავის წაგდება არ ასცდება... ბრძოლის შემდეგ, გაოგნებულ მტერს ათი ათასი საკუთარი და ათასი მოწინააღმდეგის ცხედარი დაუთვლია, მათ შემხედვარე მბრძანებელს უთქვამს: ასი ათასი დახოცილიც მინახავს ხმლით, მაგრამ ათი ათასის ფარით – არასოდესო და მათი ღირსეულად დაკრძალვა უბრძანებია. დღეს არავინ იცის, სად მოხდა ეს და სად ასვენია ჩვენი გმირები, თუმცა მათი ხსოვნა უკვდავყოფილია“.

ამ სიტყვებმა თითქოს სიმამაცით სავსე ლანგარი შემოიტანეს სუფრაზე.

– და მაინც, მამაო, – დაიწყო კანიცომ. თითქოს მის ხმაში თვითგადარჩენის ძებნა უფრო იყო, ვიდრე გამოსავლის პოვნისა, – აქვს კი აზრი წაგებისთვის განწირულ ბრძოლას? პოლიტიკა ხომ ქვეყნის მიზანთა მიღწევის ხელოვნებაა და სრულებით არ მგონია ჩვენი ქვეყნის მიზანი თვითგანადგურება იყოს. იქნებ ვინმეს ეყოს კეთილგონიერება, ყოველივე აწონ-დაწონოს და წყნარი ცხოვრება დაგვიბრუნოს. ის ექვსასამდე ამბოხებულიც სახლებს დაუბრუნოს და ეს გიჟური აზრები ერთხელ და სამუდამოდ ამოვიგდოთ თავიდან. ხომ ვხედავთ, ბარში თოფიც არ გაუსვრიათ და მოლაპარაკებებით გაჰყავთ დრო, ჩვენ რომ ჭკუაზე მოვიდეთ. ჩვენ კი გაგვანადგურეთო, შევძახით. მალე წელიწადი გავა და რაც გავიღეთ, საკმარისია. ხუთასზე მეტი ვაჟკაცი განა არ კმარა?! აი, თქვენც, ვარგა, ხომ იბრძოლეთ ქვეყნის ჯარის სახელით? მართალია, ქალაქს არ დაემორჩილეთ და ისე გასწიეთ წინააღმდეგობა და არც არავინ კითხულობს, ეს ქალაქთან შეთანხმებით მოხდა, თუ მისგან დამოუკიდებლად, მაგრამ დღეს სხვა რეალობაა და ბრძოლა შეწყვიტეთ.

ეს მათაც უნდა გაიგონ. ისევ და ისევ მათივე და ჩვენი კუთხის სასიკეთოდ. რეალურად უნდა შევხედოთ ყველაფერს. ბოლოს და ბოლოს, რატომ არ უნდა იყოს დღეს შვილის ნათლობაზე მამამისი, რომელიც ვინ იცის, სად არის ახლა. მოდით, ამ გახსენებაზე კიდევ ერთხელ ვადღეგრძელოთ ის, მის თანამებრძოლებთან ერთად და მშვიდობით დაბრუნება ვუსურვოთ თავიანთ სახლებში.

– ამარამ, ოღონდ ცოცხალი იყოსო, – სევდიანად ამოთქვა და ფერმკრთალ ლოყებზე ცრემლი ჩამოუგორდა.

– ცოცხალია ამარა, ცოცხალი! ხომ ვთქვი; ბიჭი მოუყვანიათ დაჭრილი ჩვენს ჰოსპიტალში და უთქვამს, კარგად არისო, – დაამშვიდა ერნიმ.

– ეჰ, მას მერე ხომ ორი კვირაა გასული და არაფერი ისმის.

– ღმერთო ჩემო, რატომ?! რატომ?! – თითქმის ქვითინით აღმოხდა მწყემსის ცოლს.

– ეს მისი არჩევანი იყო და იქ დგას, სადაც საჭიროდ თვლის, – გულის ტკივილით ამოიოხრა ვარგამ, იძულებული რომ გაეხადა სამსახურს, ბრძოლა შეეწყვიტა.

აქ ისევ ერნის შეეკრა წარბები, თითქოს რაღაც აღმოაჩინაო და მაშინვე მოძღვარს შეხედა.

– ყველაფრის თავი და თავი თავისუფლებაა. მონობას რომ არ ეგუება და მაინც, ძნელი გასარჩევია, რა არის უკეთესი ადამიანის სულის გადასარჩენად. ბედის წინაშე მონობა თუ თავისუფლება, სადაც პირველი თუ თავს ახრევინებს, მეორე ზედმეტად უგრძელებს კისერს. ისე, მეჩვენება, რომ ორივე მათგანში ურევია საწამლავის წვეთი, რომელიც ველური შეუგუებლობით უნდა იყოს გაჯერებული და ეს წვეთი მხოლოდ ერთეულების ხვედრია. თავს ააწევინებთ არა ჩუმად, თვალების აქეთ-იქით ცეცებით, არამედ დაუყოვნებლივ წვეთის შეხებიდან და მთელი არსებით ჩაისუნთქავენ თავისუფლებით გაჟღენთილ ჰაერს, თუნდაც ამოსუ-

ნთქვა აღარ აცადონ და თავი გააგდებინონ იმწამსვე. არის ამაში რაღაც იდუმალი და მიმზიდველი... ხომ მეთანხმებით? მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო იმ კისერწაგრძელებულების ქმედებაა, რომლებიც წვეთის მიღებიდან ნელ-ნელა იცვლიან ხედვას. გეგონება, შხამი თავიდან მხოლოდ კაპილარებში დაწრიალებს და იმის გამო, რომ სისხლი თითქმის გაყინულია, უჭირს ვენებში შეღწევა. აი, აღწევს კიდეც და მეტი ხანი სჭირდება მის გასალღობად, საიდანაც არტერიაში შესისინდება, რასაც ლოგიკით კიდევ უფრო მეტი დრო მიაქვს. დაბოლოს, გულში ეცემა, ისევ წვეთად და არა მთელ მოწამლულ სისხლთან ერთად. გაყინული გული ვერ გაუძლებს მხურვალე სისხლს... იგი აუცილებლად გასკდება! შხამი კი სულ სხვა რამისთვისაა მისული. ის ხომ სამკურნალოა! ჰოდა, როგორც ვთქვით, მხოლოდ წვეთი ეცემა გულის ფსკერზე და გამოსცემს იმ გენიალურ ხმას, რომელიც მარტო მას შეუძლია გამოსცესს! ამ პაწაწინა ელემენტს, განგაშის ექოდ რომ გავარდება ძარღვებში და გულს აფხიზლებს, რომელიც მზად არის, ამოხეთქილი ვულკანის ლავაც კი გაატაროს და ფერფლად აქციოს საკუთარი წარსული. ფერფლიდან აღმდგარი ყველაფერს ხვდება და ნებაყოფლობით ხრის თავს მონობის წინაშე. თუმცა ეს სულ სხვა მონობაა და არა ის, რის წინაშეც დღეს ვდგავართ. აი, რაზე უნდა ვიფიქროთ ჩვენ.

– წვეთი?! – გაიკვირვა მწყემსმა, – ბოთლი რომ იყოს? თუნდაც ის, ახლა რომ არყით არის სავსე ჩვენს სუფრაზე. წარმოგიდგენიათ რამდენი წვეთი შეიძლება იყოს ამ ბოთლში? ლოთებისგან გამიგონია, ცარიელი ბოთლი ღამე თავდაყირა რომ დატოვო, დილით თავსახური სავსე დაგხვდებაო. ეს ხომ მთელ ქვეყანას ეყოფოდა!

– რეებს ბოდავ, თუ იცი?! მე ის მირჩევნია, რაც ახლა ასხია ამ ბოთლში. არანაირ პროტესტს არ აღმიძრავს. პირიქით, მეტად მაჯერებს საკუთარ თავში და ყველაფერ იმაში, რასაც ვაკეთებ. ღმერთმა ნუ ქნას, სასმელი გაქრეს და რა-

ღაც სატანჯველი სითხე გაჩნდეს მის მაგივრად, – ირონიით უპასუხა კანიცომ.

– რისი თქმა გინდა ამ ყველაფრით, ერნი? მარტივად გვითხარი, ყველასთვის გასაგები რომ იყოს, თორემ შენი ფილოსოფიის ვერაფერი გავიგეთ. რაზე უნდა ვიფიქროთ ჩვენ? – შეეპასუხა ვარგა.

– რაზე და სამკურნალო შხამზე, გამარჯვებამდე რომ მიგვიყვანს. საკუთარ თავზე გამარჯვებამდე. მათ უკვე გაიმარჯვეს და ამიტომ შეძლეს სხვის უსამართლობაზე თავის აწევა. თავმდაბლად აწეული თავი კი არასოდეს დაიხრება ძალადობის წინაშე, სანამ მხრებზე დგას. ჩვენ კი, გამარჯვების გარეშე აგვიწევია თავები და ამიტომაც ვყოყმანობთ, ზამბარებს რომ დაგვმსგავსებია კისრები. ყველაფერს ვხედავთ და არჩევანის გაკეთება კი გვიჭირს.

– ეს როგორ?! – გაცხარდა კანიცო, – ამას მხოლოდ შენი ასაკი გალაპარაკებს და ამიტომ მესმის ეს გულუბრყვილო ენთუზიაზმი. აბა, მითხარი, განა ადვილი ასარჩევია, გადამწვარ სახლებში დარჩენილი ობოლი ბავშვების ტირილი, ქვრივი დედების ხელში?!

– ამბობენ, დასავლეთში დემოკრატიამ ხალხს ამოსუნთქვის საშუალება მისცაო, – ენის ბორძიკით თქვა მეწისქვილემ. თითქოს უნდოდა ეთქვა, იქნება ესაა ჩვენი ხსნაო, – აგერ ჩვენს მეზობლადაც ისე გაუხარიათ, უკეთესს ვერ ინატრებს კაციო, ამბობენ. არადა, ჯერ სულ მესამე წელიწადია, რაც პატორის კავშირში გაერთიანდნენ.

– სწორედ მათ გამო იჩქარა ასე ჩვენი ხელში ჩაგდება უზურმა, – მაშინვე უპასუხა ერნიმ.

– მომწონს შენი მსჯელობა, – მიმართა მას მოძღვარმა, როცა ყველა გაჩუმდა, – მაგრამ, თუ დაუკვირდები, ორივე შემთხვევაში, ისეთი ადამიანები, შენ რომ ახსენე, სულის გათავისუფლებას ცდილობენ, რასაც შენი სიტყვებით საკუთარ თავზე გამარჯვება ჰქვია. რაც შეეხება მონობას და თავისუფლებას, მე შევეცდები, მის უფრო დელიკატურ

მხარეს შევეხო და კაცობრიობის სამ მნიშვნელოვან ნაბიჯს გავიხსენებ: მონარქია ფეოდალიზმით, სოციალიზმი პროლეტარიზმით და ბოლოს კაპიტალიზმი, თავისი მარგალიტი დემოკრატიით. თავის მხრივ, ფეოდალიზმი ბატონთა კეთილდღეობისთვის იყო გამიზნული, ისე რომ, ხალხი უნდა დაემონებინა და თან არც დაემალა მათთვის ესოდენ დამამცირებელი ფაქტი. სოციალიზმმა განდევნა ისინი და სახალხოდ დასაჯა. სურათებიც კი გადაუღო სამახსოვროდ, ისე დასაჯა და თქვა მანაც დაუფარავად: თქვენ ჩვენი მონები აღარ ხართ! არც უფლის მონები ხართ! ამიერიდან თქვენ ერთმანეთის მონები ხართ, ყველა თანასწორი და თანაბარუფლებიანი! და იქვე დასძინეს, ზუსტად ისეთები ხართ, როგორებიც ჩვენ ვართო და ვერც თვითონ და ვერც ხალხი ვერ ამჩნევდა, რომ სწორედ ამ ხაზგასმით გამოარჩევდნენ საკუთარ თავს ყველასგან. აქაც, ისევე როგორც ბატონობის შემთხვევაში, ყველაფერი მათზე მუშაობს, ოღონდ სხვა იდეებით გაფერადებული. პატორში კი კაპიტალიზმის, უკეთ რომ ვთქვათ, დემოკრატიის ჯერი დადგა და მათი მასკარადიც დაიწყო. იქ ყველაზე წმინდა გასაღებით დაატრიალეს ადამიანის ტვინი და ისე ჩაკეტეს, მისი გახსნა თავის აწევ-დაწევაზე გაცილებით ძნელი იქნება. მათ გამოიყენეს უფლის მარცვალი, თავისუფალი ნება, რომელსაც ქერქი შემოაცალეს და ხალხს შემოახვიეს. ამ დროს კი, მთავარი, სიყვარული, თესლი ამ მარცვლის, რომელიც უნდა აღმოცენდეს, ისევ ღმერთს მიუგდეს. რა თქმა უნდა, ხალხისთვის მათაც უნდა მიეწოდებინათ წყალი, სიტყვის სახით, ქერქი ყელში რომ არ გაჩხეროდათ და მიაწოდეს კიდეც. თქვენ არავისი მონები აღარ ხართ, არც ჩვენი და არც ერთმანეთის. საკუთარი თავის მონებიც კი არ ხართ და მაშასადამე, არც საკუთარი სინდისის. მეტიც, ჩვენ, დიახაც ჩვენ ვართ თქვენი მონები, რომლებსაც ღამეები არ გვძინავს თქვენზე ფიქრით. ყველას ტკივილს საკუთარ თავზე ვიღებთ და მუდამ თქვენს სამსახურში გვსურს

ყოფნაო. აჰა! ეს რაღაც ახალი იყო, სიზმარს ჰგავდა იმ ორი წინამორბედის შემდეგ, რომლებიც მონობის გარდა არაფერს ჩასძახოდა ყურში. აქ გაგიჟებაც შეიძლებოდა და გაგიჟდნენ კიდეც. კაცობრიობას არასოდეს აკლდა გაგიჟება, მაგრამ იქ ეს უაზროდ ხდება. ადრე თუ რაღაც აზრი ჰქონდა სიგიჟეს, ახლა ტყუილად უნდა გაგიჟდე, სხვანაირად ვერ გაგიგებენ. მოკლედ, სრული თავისუფლება და ეს უკანასკნელიც ისევ მათ სახეიროდ, ისევ მათი მზაკვრული ინტერესების მისაღწევად. ეტყობა, წიგნივით იკითხება, ამ ნაბიჯებში, რამდენი უტრიალა „ცბიერმა აზრმა“ კაცობრიობას ამის მისაღწევად. ეს ხომ ორჯერ ორია, სხვადასხვა იდეოლოგიების გამოცდა ერთი და იმავე შედეგისთვის. ყველაფერი კი ძალიან მარტივი კითხვით იწყება. რა არის ხალხის მოხიბვლის საუკეთესო საშუალება? და აი, ბოლოს ის, რაც ყველაფრის უფლებას იძლევა, რწმენის გარდა და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ეს ყველაფერი ძალდაუტანებლად იპყრობს სუსტი ნებისყოფის მქონე ადამიანებს. სრული უმრავლესობაც ხომ ასეთი ადამიანებისგან შედგება. ის უმცირესობაში მყოფი ადამიანები კი, არც აინტერესებთ, ყოველ შემთხვევაში, დღეს მაინც. კარგად იციან, რწმენაზე ძლიერი იარაღი რომ არ არსებობს. ღმერთს საერთოდაც არ კრძალავენ, იციან, მისი მოწამე ერთი-ორიღა თუ იქნება, საკუთარი ნებით, სრულ იზოლირებაში რომ გახიზნულან დანარჩენი სამყაროსგან. ახლა იმ რწმენის მოსპობაა ამოცანა, ღმერთმა რომ ადამიანებს უბოძა მოყვასის სიყვარულის სახით. იმ რწმენისა, რომლის ერთგულების სანაცვლოდ მის დავიწყებასაც გვაპატიებს, – უწყინრად გაიღიმა მოძღვარმა, – უძღები შვილებით უნდა აივსოს ქვეყანა. ვიღაც იკითხავს, განა ეს არ არის თავისუფლება, ადამიანმა თავისით აირჩიოს, რაც სურსო? დავეთანხმები, მაგრამ ყოველი უღმერთობის დაჯილდოება, თანაც წინამძღვრის მხრიდან, ადამიანის სრული გაწირვაა, რომელიც

ისედაც უფსკრულის პირას დგას. ჩვენთან, სადაც ჯერ სოციალისტური წყობა მყარდება, რომელიც პირდაპირ უპირისპირდება ღმერთს, ადამიანი ჩუმად ლოცულობს, რითიც ინახავს თავის რწმენას. იქ კი პირიქით, ამბობენ, იყვირეთ, მთელი ხმით იყვირეთ, რაც გსურთო და არავინ უფლის სახელს არ დაიჩურჩულებს. ამით მხოლოდ იმის თქმა მინდა, თუ რაოდენ საშიშია ფერადი საწამლავი, შავ-თეთრისგან განსხვავებით, – გაეცინა, – დარწმუნებული ვარ, დიდი ინკვიზიტორი რომ მოსწრებოდა ამ დღეს, თავისი ფეხით შევიდოდა საკანში, დილისთვის კოცონსაც გაამზადებინებდა თავის დასაწვავად და მდუმარედ დაელოდებოდა მას, ვისაც წასვლა და აღარასოდეს დაბრუნება უბრძანა ერთხელ.

– რაღაც არ მესმის, მამაო. სრული თავისუფლებაო, ბრძანებთ და რა არის ამაში ცუდი? განა, ღმერთმაც თავისუფალი არჩევანი არ მისცა ადამიანს?

– ამ კითხვასაც ველოდი. სწორედ ამიტომ ვუწოდე მასკარადი, ყველაფერს რომ ნიღბავენ მომღიმარი ნიღბებით. უფლის სიტყვას ცალკე ამოგლეჯილს აძახებინებენ მათ და აზრს კი გამოხედვით უცვლიან. ღმერთმა ადამიანს თავისუფლება მისცა და არა ყველაფრის უფლება. მეტიც! ღმერთობის უფლება მისცა მხოლოდ ერთ რამეში და ეს არჩევანია. ერთი სიტყვით, თავისუფალი არჩევანი სხვა არაფერია, თუ არა ნების ქონა, რომლის გაქრობასაც ცდილობენ ისინი ადამიანის გულიდან, სიტყვების გადაადგილებით და ასე გრანდიოზულ ილუზიას ქმნიან. ნების თავისუფლებას ქმნიან ისინი, ხოლო არჩევანს აქრობენ. ასე მიიღწევა მათი სრული თავისუფლება, რასაც დემოკრატიას ეძახიან და რაც სინამდვილეში ზნეობრივი უწესრიგობა და ქაოსია.

– მაშინ რაშია გამოსავალი, თუკი არცერთი წყობა არ ვარგა ადამიანისთვის? – ისევ იკითხა დაბნეულმა მეწისქვილემ.

ყველა გაჩუმდა. მხოლოდ საათის მძიმე ნაბიჯის ხმა ისმოდა ჩამაფიქრებლად.

– გამოსავალი არ ჩანს! ეს ხომ ყველა დროში ასე იქნება, სანამ საათი იწიკწიკებს, – გულისტკივილით ჩაილაპარაკა კანიცომ, – წამები სკუპ-სკუპით, მუშათა კლასივით, ყველაზე მეტს შრომობენ და ყველაზე ნაკლებად ჩანან. წუთები მათ ნაოფლარზე, ერთი სკუპით გადიან ამ გზას, როგორც არისტოკრატებს ეხერხებათ, ექსპლუატაციის ხარჯზე, ერთ წამში ყველაფრის საკუთარ თავზე მორგება.

...დაბოლოს, გვირგვინის ფორმის საათის ისარი, მეფე, რომელიც ყველაფერს დროში განსაზღვრავს.

ძალაუნებურად ყველამ საათისკენ იბრუნა პირი.

– თქვენ ჩემზე უკეთ თქვით ეს, – ამოიოხრა მოძღვარმა, – ვერავინ იტყვის, როგორ ჯობს.

– მე გეტყვით! – წამოიძახა ერნიმ და მოძღვარს გახედა, – გამოსავალი მოძღვრის აზრით, ალბათ თეოკრატიაში უნდა იყოს, რომელიც გამორჩა ჩამონათვალში. დიახ, თეოკრატია თავისი თვალებახვეული მრევლით! მაგრამ მე თუ მკითხავთ, არც ეს არის იდეალური გზა. განა სხვა წყობილებებზე ნაკლებხანს დაუდგამს ანაფორას თავზე გვირგვინი? მაგრამ ვერც მათ გააბედნიერეს ხალხის წიკწიკი საკუთარი დევიზით, რომელიც ისევ მონობას გაიძახოდა. ჩვენ, ყველანი, მხოლოდ ღვთის მონები ვართო და სინამდვილეში, ისინიც ათას რამეს ამატებდნენ ღმერთის სიტყვას, იმ მიზნით, რომ ხალხს ისევ მათთვის ემსახურა. გამოდის, ვერცერთი წყობა ვერ ივარგებს ჩვენთვის, იმიტომ რომ, ადამიანები ვართ. მაშასადამე, გვშია და გვწყურია. როგორც წესი, როცა „ცბიერ აზრს“ სწყურია, ჩვენ მაშინ გვშია. ისინი ხომ ჩვენზე ადრე ნაყრდებიან კიდევ უფრო ცბიერი აზრის ხელით. ასე რომ, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენ შეგვიძლია თავისუფლად შევჭამოთ უღვთო მარცვალი, ღვთიური მარცვლის ქერქიც და თუნდაც ის წმინდა თესლი, თქვენი სიტყვებით ღმერთს რომ მიუგდეს, მაგრამ ყველაფერი ზღვასთან გასწორდება, როცა დავნაყრდებით და ჩვენი წყურვილის დრო მოვა.

– ზღვასთან თუ მიწასთან? – იკითხა გაოცებულმა მწყემსმა, რომელსაც თითქოს მხოლოდ ამ სიტყვების არსი ვერ შეესატყვისებინა.

– მიწის სწორები ისედაც ვართ, ყოველგვარი გაგებით. ზღვას სულ სხვა განცდები მოაქვს. ერთი ის, რომ მლაშეა და წყურვილს უფრო გიმძაფრებს. მეორე ის, რომ ღელვა იცის და მესამეც ის, რომ ხელს თუ არ გაანძრევ, ჩაიძირები და ფსკერზე აღმოჩნდები! გამოდის, ისევ მიწაზეა საშველი! მიწაზე, სადაც არავის არ სურს ღრუბლებიდან დაშვება. ხელი გაანძრიე და გეშველებაო, ხომ გაგიგიათ ხუმრობა? ჰოდა, ისე იქნევენ ხელებს მწყურვალე ადამიანები, რომ თქვენი მოწონებული.

მწყემსის დაბნეული თვალები უნდობლად უყურებდნენ ერნის. კანიცომ, თითქოს მართლაც მოსწყურებოდაო, უღიმღამოდ წარმოთქვა, ღმერთო შენ გვიშველეო და სავსე ყლუპებით გამოცალა ჭიქა. მხოლოდ მოძღვარს სჯეროდა შიმშილისა და წყურვილის ფორმულის, მადლიერი თვალებით რომ ათვალიერებდა ერნის. ყველა დანარჩენი კი, უხმოდ მიშტერებოდა ერთმანეთის გაკვირვებულ სახეებს. ისე კი, ასეთ საკითხებზე საუბარი არაკში არავის უკვირდა, რადგან ისევე, როგორც ყველა სხვა სახელმწიფოში, ამ ქვეყნის დინებასაც ბევრი ზღუდე ხვდებოდა წინ. იგი გუბდებოდა, ზვირთდებოდა და ბოლოს აბობოქრებული მივარდებოდა გასანადგურებლად, მის წინ აღმართულ უსამართლობას. შემდეგ ისევ თქარათქურით აგრძელებდა სვლას, სანამ ახალი განსაცდელი დაატყდებოდა თავს. ხან სხვა გზით დინებას სთავაზობდნენ, ხან სულაც კალაპოტის შეცვლას, მაგრამ მდინარე რის მდინარეა, თუ აღმა დაიწყო სვლა. არადა, ღმერთს ამ მხარისთვის ებოძა ყველაფერი, რაც საჭიროა სულისა თუ ხორცისათვის, მადლისა თუ ცოდვისათვის, მტრისა თუ მოყვრისათვის და სწორედ ამ სრულყოფილების გამო, საუკუნეების განმავლობაში ესხმოდნენ თავს სხვადასხვა რჯულის ხალხები. ფერდობზე

შემდგარ ერთ-ერთ დამპყრობელს ისიც კი უთქვამს, სულ ავაოხრებდი აქაურობას, უკეთესი ადგილი რომ მეგულებოდეს სადმეო. ცხენი მოუბრუნებია და ნანახით მოხიბლულს თავისი ჯარი უკან გაუბრუნებია. როცა უკითხავთ წასვლის მიზეზი, უპასუხია: სად გაგონილა, ზღაპარში ბოროტს გაემარჯვოსო. მაგრამ ასე ზღაპრულად როდი უყურებდა ყველა მას. უკვე ათწლეულები იყო, რაც მასზე ასჯერ დიდ სახელმწიფოებს დაბრმავებოდათ თვალი და მისი კლანჭებში მოქცევა დაეპირებინათ. ნეტავ, სად იყო იმ მდინარის ძალა, რომელიც ამ ხნის განმავლობაში უცილობლად უნდა გადარეულიყო და უკანასკნელი წვეთის აორთქლებამდე ეხეთქა თავი მტრისთვის? ჰოი, საოცრებავ! იტყოდა წინაპარი მის დანახვაზე, რომელიც მთვლემარედ მიედინებოდა უგზოუკვლოდ. ეს კიდევ არაფერი, რომ არა განშტოებები, რომლებიც ნაკადულებად იშლებოდა და უკვე პატარა ქვის გადაგორებაც კი აღარ შეეძლო. აღარც იმის ამბიცია შერჩენოდა უბადრუკს, წყლის სასუფეველში მოხვედრილიყო და ოკეანის მარადიულ სამყაროში გარდასახულიყო. ნაცვლად ამისა, მიწის ქვესკნელში იშრიტებოდა, ერთ დროს მიწისვე საკუთარი ძალით ამომთხრელი. ასეთი სურათი იყო დღეს ქვეყანაში, რომელსაც ზოგი რეალისტურად ხედავდა, ზოგსაც სიურეალისტურად ერჩივნა დაენახა. იყო კიდევ ერთი, მთელ კედელზე ცერად მოქცეული ჭრელი სურათი. ამ ქვეყანაში იყო ეს კედელიც და სახლიც, რომელსაც სურათი ეკუთვნოდა და მასშივე იყო ეს ქვეყანაც გაცრეცილი რუკის სახით. სახლში, უკვე ნაცნობი საზოგადოება, სწორედ ამ კედლის წინ გაშლილ სუფრას შემოსხდომოდა და სევდიანი თვალებით შესცქეროდა მას.

– იქნებ დავასრულოთ. მოძღვარიც დავღალეთ. არადა, დღეს სულ სხვა დღეა და აჯობებს მის ირგვლივ ვიტრიალოთ, – თქვა ვარგამ, რომელსაც პოლიტიკაზე საუბარი ნაკლებად აინტერესებდა აქ, რადგან უფრო მაღალი რანგის ხალხის აზრიც ჰქონდა მოსმენილი და ეს ყოველივე, მხო-

ლოდ საერთო ხედიდან რომ იქმნებოდა და არა საკითხის სიღრმისეული შესწავლისგან, დილეტანტურად მიაჩნდა. მას სხვა რაღაც უფრო აინტერესებდა. ის, რაზეც საფუძვლიან პასუხს მიიღებდა, რადგან ეს მის ხასიათში იდო. არასოდეს უყვარდა ფუჭი ლაპარაკი და არც მისი მოსმენა. ამას უბრალოდ დროისა და ენერგიის ხარჯვად მიიჩნევდა. მან გამომცდელი თვალებით ცერად გახედა მოძღვარს და საქმის აღსრულებას შეუდგა.

– მეტად სულში ჩამწვდა, მამაო, თქვენი სადღეგრძელო და ცოტათი შემზარა კიდეც. იმას ვგულისხმობ, რომ თავად ჯერ არა ვარ მონათლული და არც ვაპირებ ასე უბრალოდ, წესის გამო მოვინათლო, ვიდრე არ ვიგრძნობ მის ძალას. როგორც გავიგე, არ არსებობს მოუნათლავი ადამიანის ცხონების გზა. ხომ სწორად მიგიხვდით, მამაო? ბევრს ხომ არც გაუგია და ვერც ვერასოდეს გაიგებს, მისი არათუ აუცილებლობის, არამედ არსებობის შესახებაც კი. გულწრფელად გეუბნებით, ეს უბრალო ცნობისმოყვარეობა როდია. ყოველთვის ვიცოდი, ან თავს ვაჯერებდი, რომ ოდესმე ვიგრძნობდი მას და ამიტომ არ ვდარდობდი აქამდე. დიდი მოლოდინითაც არ ველოდი, რადგან ასეთი ცხოვრების წესის დათმობაც მიჭირდა, მაგრამ ბოლო ხანებში, რაც დრო გადის, მით მეტად მაწუხებს, რომ ვერაფერსაც ვერ ვგრძნობ. არც ის ვიცი, რატომ მაწუხებს, მაგრამ ვხედავ, რომ რისი დათმობაც ადრე არ მსურდა და ასე ვებღაუჭებოდი, დღეს ძველებურად აღარ მბოჭავს. თითქოს ნელ-ნელა ვცარიელდები. ალბათ, მარტო მე არ მაწუხებს ამდაგვარი და უარესი კითხვებიც. ისიც მიფიქრია, იქნება სჯობდა ღმერთის არსებობა საერთოდ არ მცოდნოდა და არც ვიწვალებდი-მეთქი. განა ღმერთი უფრო არ დამიფასებდა, მის გარეშე რომ მეცხოვრა მისივე სიტყვებით? შეიძლება მეცხოვრა კიდეც მეტ-ნაკლებად. ყოველ შემთხვევაში, ათი მცნებიდან სამი მაინც რომ არ დამერღვია, ხომ დამიფასებდა ღმერთი ამას? და მაინც ვიცი, რომ ვიცი მის შესახებ, რაც საკმარისია თა-

ვში იტრიალოს მტანჯველად. სწორედ ამიტომ, მინდა, თუ-ნდაც ერთხელ ვიგრძნო მისი ძალა, თუ მართლა არსებობს და მქონდეს არჩევანის უფლება. აი, ეს მინდა, მამაო!.. ერთი შეხება და მივხვდები, აუცილებლად მივხვდები, სად უნდა ვიყო, – სასმელსაც თავისი ექნა მისთვის და იმდენი გამბე-დაობა მიეცა, რომ ყველაფერი დაევიწყებინა, მხოლოდ მო-ძღვარს ხედავდა მის წინ, რომელსაც თითქოს აღსარებას აბარებდაო.

ყველა დუმდა. ამარას ხელები პირზე აეფარებინა და შეწუხებული უყურებდა ძმას, რომელიც არყის მორიგ ჭი-ქას ცლიდა. მოძღვარიც ჩაფიქრებული ჩანდა, აშკარად მძიმე დღე იყო მისთვის. ყველაფრის პასუხს მისგან ითხო-ვდნენ და მანაც იცოდა, გარდა წმინდა წერილისა, რისი წა-კითხვაც ყველას შეეძლო, რამე თავისიც უნდა ეთქვა, გა-ნცდილი, ისევ ამ წერილზე დაყრდნობით, მაგრამ თავისი! იცოდა, ერთი სიტყვაც საკმარისი იყო ყველაფრის თავდა-ყირა დასაყენებლად. ორიოდე წუთი არაფერი უთქვამს და არც არაფერი მოსვლია აზრად. ყველა მას უმზერდა, უკვე დამარცხებულადაც კი თვლიდა ზოგი, როცა წვერზე ხელი მოისვა და სრულიად მოუმზადებლად, ბედის ანაბარა წა-მოიწყო:

– როგორ გგონიათ, ვინ უფრო მალე და მშვიდობით გა-დალახავს ტყეს, ვინც მისი ყოველი ბილიკი და ხე იცის თუ ის, ვინც პირველად მოხვდა იქ? უმეტეს შემთხვევაში, პირ-ველი, თუმცა ასეთებიც იღუპებიან სამწუხაროდ, თუნდაც მონათლულები. მეორე შემთხვევაშიც არის შესაძლებელი მისი გადალახვა, მაგრამ ეს, ალბათ იშვიათი გამონაკლი-სია. რაღაც რომ იგრძნო, რამეს უნდა შეეხო ან შეგეხოს, რაც არსებითად ერთი და იგივეა და ტყეც ისეთი ადგილია, სადაც უამრავ რამეს წამოჰკრავ ფეხს, უამრავ რამეს შეე-ჯახები და შეიძლება ხიდან ჩამოვარდნილი გირჩიც მოგხვ-დეს თავში. ასევე არსებობს ტრიალი, უკიდეგანო მინდორი, რომელშიც თქვენ იმყოფებით, ბატონო ვარგა, და სრულიად

საფუძვლიანადაც გრძნობთ თავს დაცარიელებულად, რადგან ირგვლივ არაფერია ისეთი, რასაც შეეხებით და რამეს იგრძნობთ. ეს იოლი ცხოვრებაა, სადაც კანტიკუნტად მოიძებნება ქვა, ფეხი რომ წამოჰკრა და დაეცე. სწორედ ასეთ ქვას გამოედეთ თქვენ და შეშფოთდით, ვერც კი იგრძენით, რომ ის უკვე შეგეხოთ და მეტი მოითხოვეთ, – მოძღვარი შეყოვნდა, – მერწმუნეთ, არ გადანაშაულებთ. მეც გულწრფელად გეუბნებით და დიდ მადლობას მოგახსენებთ, რადგან თავადაც ბევრჯერ მიფიქრია ყოველივე ამაზე და სრულყოფილი პასუხი ვერ გამიცია. საბოლოოდ წმინდა წერილში მორჩილად ვხუჭავდი თვალს, – გაუღიმა მადლიერების გრძნობით და განაგრძო, – ბოლოს თქვენივე ცნობისმოყვარეობამ მიგიყვანათ ზემოხსენებულ ტყესთან და გითხრათ, შედი და იგრძენიო, მაგრამ უარი თქვით. ვიცი არ შეგშინებიათ უღრანი ტყის, უბრალოდ, დაგეზარათ წვალება. თქვენი სული ხომ ჩვეული იყო მინდორში ნავარდს. რაც შემეხება მე, ისევ ტყეში ვარ და მიუხედავად წმინდა წიგნის ცოდნისა, ჯერ ათი ნაბიჯიც ვერ გადამიდგამს.

– ხომ შეიძლება, მსურველები ერთად შევიდეთ ტყეში და უფრო იოლად გავიდეთ იქ... იქ... – ენა დაება მწყემსს, რომელიც მაშინღა მიხვდა, რომ არც კი იცოდა, სად და როგორ უნდა გასულიყო ტყიდან.

– საქმეც ის არის, რომ არსადაც არ უნდა გახვიდე. მთელი ცხოვრება იქ უნდა იხეტიალო. თანაც, ტყე ხომ ყველას თავისი აქვს, სადაც მარტო თვითონ შეიძლება იყოს. მინდორი კი ყველასთვის საერთოა. აქ ყველაა თავმოყრილი. ისინი, ვისაც ჰგონია, რომ სწამს; ვისაც საერთოდ არ სწამს; ვინც შუაშია გაჩხერილი და ისინიც კი, ვისაც არასოდეს სმენია ღმერთის შესახებ. ამ უკანასკნელთ რაც შეეხება, უფალს მათთვისაც აქვს ანდერძი: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“. მიჭირს თქმა, ვინ უფრო მომგებიან მდგომარეობაში ჰყავს უფალს, ინფორმირებულნი თუ არაინფორმირებულები, მაგრამ ყველაფერს აჯობებს, ადამია-

ნმა ადამიანის საფიქრალზე იფიქროს და უფლის საფიქრალში აღარ იძრომიალოს, – გულჩათხრობილმა დაასრულა საუბარი.

– ადამიანის საფიქრალში სიყვარული ყოველთვის ვერ იმარჯვებს. აი, გამარჯვებულები კი, ყოველთვის უყვართ, როგორც წესი! ჩვენ არ ვეყვარებით, – ხელი აიქნია ერნიმ, – კარგია, მამაო, უფლის საფიქრალში მაინც თუკი შეიძლება მხოლოდ სიყვარულით გამარჯვება. ჩვენ ხომ სხვა არაფერი დაგვრჩენია.

* *

ერნის სიტყვები კიდევ დიდხანს ახსოვდათ სუფრის წევრებს. იმ დღიდან ბევრმა გამარჯვებად ჩათვალა მოვლენა, რომელსაც ყველაფერი უნდა შეეცვალა მათი ქვეყნისთვის. ბევრმაც კი, დამარცხებად, თუმცა სიყვარულის როლს ყველა თავისებურად ხედავდა მასში. მოხდა კი ის, რომ იმ დღიდან,არაკში უზურთან ომის საფრთხე აღარ არსებობდა, რადგან ზუსტად იმ დროს, ქვეყნის მეორე მხარეს, გაცილებით დიდი ზომის მაგიდასთან, შეთანხმება დაიდო, რომლის მიხედვითაც არაკი ერთმორწმუნე უზურის კავშირში გაწევრიანებულიყო. მოკავშირეობას თავის მხრივ მოჰყვებოდა ვალდებულებებიც, რომელთაგან უმთავრესი გახლდათ ის, რომ არაკის საგარეო პოლიტიკას უზური განსაზღვრავდა, ხოლო საშინაოს თვითონ მიხედავდა და ისიც მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ, როცა ქვეყნის განვითარების მათეულ ინსტიტუტებს დაუნერგავდნენ. ამიერიდან მათ საერთო მოწინააღმდეგე ეყოლებოდათ პატორის ხელმძღვანელობით და ამიტომ მათთან დამაკავშირებელი ყველა ძაფი უნდა გაწყვეტილიყო, ერთის გამოკლებით, რაც სავაჭრო ურთიერთობებს მოიცავდა და რომელიც მხოლოდ სახელმწიფო დონეზე განხორციელდებოდა. დაბოლოს, ამიერიდან არა-

კის მტერი უზურის მტერი იქნებოდა, ხოლო მოკეთე ერთპიროვნულად მხოლოდ უზური უნდა გამხდარიყო.

კიდევ რამდენიმე საკითხი იყო, მაგრამ მათი მოსმენა დიდი ვერაფერი სარგებელი იქნებოდა, რადგან ზემოთ ხსენებული მთავარი პირობებიც კი, მხოლოდ ცალმხრივად სრულდებოდა და ამის დასტური გახლდათ თუნდაც ის ფაქტი, რომ უკვე მეთორმეტე წელიწადი იწურებოდა ამ შეთანხმებიდან, საშინაო პოლიტიკის მთავარ სავარძლებს კი, კვლავაც უზურის წარმომადგენლები იკავებდნენ. მაგრამ ცოტას თუ აღიზიანებდა ეს, არაკის მკვიდრთა შორის, მათივე თანამემამულეთა დამსახურებით, უზურის ჩინოვნიკების მაღალი სავარძლების ძირში რომ მოკალათებულიყვნენ დაბალ ტაბურეტებზე, ზუსტად ისე, ფეხსაცმლის მწმენდავი რომ ზის დამკვეთის ფეხებთან და დიდი მონდომებით უპრიალებს ფეხსაცმელს, რათა უკეთესად დაინახოს სვებედნიერი მოწყალის სახის გამომეტყველება და ზედმიწევნით შეასრულოს მისი ყოველი ახირება. ხალხიც, მათ გამოძახილზე უფრო და უფრო ეგუებოდა ყველაფერს და ივიწყებდა ძველ ჭრილობებს. რჩებოდა მხოლოდ მთებში დარჩენილი პატარ-პატარა დაუმორჩილებელი ჯგუფები და როგორც ამბობდნენ, მათ დიდი დრო არ უნდა ჰქონოდათ დარჩენილი. ამაზე ყოველდღე გაიგონებდით სვიფში იქ, სადაც ორ კაცს დაინახავდით ერთად, ერთმანეთს რომ უყვებოდნენ ვიღაცის დაკავების, ან სულაც მთელი ჯგუფის განადგურების ამბავს.

ერთ-ერთ ასეთ დღეს, როცა ჩიკო მეგობართან ერთად სკოლიდან შინ ბრუნდებოდა, საზარელ ამბავს შეესწრო. გზის ორივე მხარე მოფუსფუსე ხალხით იყო სავსე.

– მთელი რაზმი ამოუხოცავთ ტყეში, – ამბობდა ჯოხზე დაყრდნობილი, ხანში შესული მამაკაცი, მაშინ, როცა გვერდზე ჩიკომ და ბაზიმ ჩაუარეს და მის წინ გაჩერდნენ.

– სამი კაცი ცოცხლად აუყვანიათ. ამბობენ, ერთ-ერთი მეთაურიაო, – უპასუხა მისი ხნის კაცმა, რომელსაც ხელ-

ჯოხი არ სჭირდებოდა, თუმცა გვერდზე მდგომისგან განსხვავებით, სულ სათვალეს ისწორებდა ცხვირზე.

– ყველას იგივე ბედი ელის და რისთვისღა ახოცინებენ თავს, ან საცოდავ დედებს რატომღა ატირებენ, – ისევ ხელჯოხიანმა განაგრძო თავის აქეთ-იქით ქნევით.

– მათი ტოლი რომ ვიყო, მეც ასე მოვიქცეოდი. ისინი რომ აღარ იქნებიან, ფიქრიც კი გაქრება სახელმწიფოებრიობაზე.

– ჩვენც რომ გაგვაქრონ ჩვენი ფიქრებიანად, ვითომ ის იქნება უკეთესი?!

– ამის გამო არ გაგვაქრობენ. ომის წინააღმდეგი ვიყავი თავიდანვე, ხომ იცი, მაგრამ სულ რომ არ ჩაგვეძინოს, ამ სახის ამბოხი აუცილებელია. ყველაფერს კი აჯობებდა, თავის დროზე გვეხმარა ჭკუა და პატორის მოკავშირე გავმხდარიყავით.

– რა უფრო მთავარია, შენი აზრით, სახელმწიფოებრიობა თუ ეროვნულობა? – იკითხა ხელჯოხიანმა და მოსაუბრეს სათვალეში ჩახედა.

– ეს ხომ ერთი და იგივეა? – დაბნეულმა უპასუხა სათვალიანმა და სათვალე ისევ შეისწორა.

– შენ გინდა თქვა, რომ დღეს ჩვენ სახელმწიფო ვართ, როცა ჩვენივე ქვეყანაში არაფერი გვეკითხება?! განა ამ წუთას სახელმწიფოებრიობაზე არ ლაპარაკობდი, არ უნდა დაგვავიწყდესო?

– გეთანხმები, მაგრამ მაინც ხომ სახელმწიფო გვქვია!

– სახელმწიფოს გვიწოდებენო, რომ ვთქვათ, ეს უფრო სწორი იქნებოდა! ახლა, პატორის შემთხვევაში რა მოხდებოდა თუ იცი? არც სახელმწიფო გვექნებოდა და არც, როგორც ერი, აღარ ვიარსებებდით. აბა, რაღა ერი ვიქნებოდით, თუ ჩვენსავე მიწაზე უმცირესობაში აღმოვჩნდებოდით. სად გაგიგია, ხეზე მისსავე ტოტებზე მეტი, უცხო ტოტი დაამყნონ. ვერცერთი ხე ვერ გაუძლებს ამას, ისევე

როგორც ვერცერთი ერი! ხე გადაჯიშდება და რაღაც ახალი ჯიში გამოვა, იმ ერებივით, პატორს რომ გამოჰყავს.

– მართალი ხარ შენ! პატორიც ხომ ამ გზით გამოყვანილი ერია, – დაემოწმა სათვალიანი. მერე ოდნავ დაფიქრდა და იქვე დასძინა, – მაგრამ ასეთმა აღრევამ, რაღაცას რომ ეძახიან ამას ერთი სიტყვით, უძლიერესი სახელმწიფო შეაქმნევინათ, ესეც ხომ ფაქტია?

– სწორედაც რომ ასეა და მეც ეს გითხარი. სახელმწიფოს შექმნაში ხელს არც ჩვენ შეგვიშლიდნენ, თუ ერზე ვიტყოდით უარს და იმ ერთი სიტყვით, ასიმილაციას მოვაწყობინებდით. უმეტესი ერები მაშინ შეიქმნენ, როცა ჯერ მხოლოდ ტომები სახლობდნენ სხვადასხვა მიწებზე. მერე გაერთიანდნენ, ომებისა თუ დამოყვრების გზებით და ამა თუ იმ ერად იწოდეს თავი, რის შემდეგაც ათასწლეულებია გასული. პატორი მხოლოდ რამდენიმე ასწლეულს ითვლის, მისი შემქმნელი მრავალი ერის ხალხია და არა ტომების წარმომადგენლები. ამიტომ, მათაც ათასწლეულები დასჭირდებათ საკუთარი წარმომავლობის დასავიწყებლად და ახალ, სრულყოფილ ერად გარდასაქმნელად. მეორე ის არის კიდევ, რომ თავიანთ აღმოჩენილ მიწებზე მათ ტომები დახვდნენ და არა ერი, როგორც ასეთი. აბა, დაფიქრდი, თუკი ხეებსა და ცხოველებს უფრთხილდებიან და კრძალავენ მათ გადაშენებას, როგორ შეიძლება ერების გადაშენება იყოს დასაშვები მთელი მათი კულტურითა და მონაპოვრით? მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ასეთი რამის და ამას ისევ სახელმწიფოებრიობის დაკარგვა მირჩევნია. ასე კიდევ შეიძლება დავიბრუნოთ ის ოდესმე.

– ტყუილად არ ყოფილხარ მასწავლებელი, – ჩაიცინა სათვალიანმა, – მაგრამ მაინც მგონია, რომ არ გადავშენდებით და ამიტომ ისევ პატორთან ყოფნას ვამჯობინებდი.

– მაინც რატომ გგონია, რომ არ გადავშენდებით? ღმერთი რომ არ გაგვწირავს, იმიტომ ხომ არა?

– იმიტომაც, რა თქმა უნდა, მაგრამ კიდევ იმიტომ, რომ ამ პატარა მიწაზე ჩვენ ძლივს ვეტევით და თითო-ოროლა ნამყენი ვერ გადაგვაჯიშებს. აი, რატომ მგონია ასე ეს ამბავი, მაგრამ შენ რა გამოსავალი გაქვს, როცა ორივეს მიუღებლად უყურებ? ვინმემ თუ არ იომა, ჩვენს შემთხვევაში, მაშინაც ხომ გადაჯიშდება ერი და რაღა აზრი აქვს, უმოქმედობა გადაგვაჯიშებს თუ ის შენი რაღაც ასიმილაცია?!

– ესეც მართალია, – დამწუხრებული ხმით თქვა ხელჯოხიანმა, – მაგრამ მე ისინი და მათი დედები მეცოდებიან. ხომ გესმის ტირილის ხმა? ალბათ, რომელიღაცის დედაა, ტუსაღებიდან შვილი რომ ამოიცნო.

რამდენიმე წამში ცხენოსანი სამხედროები გამოჩნდნენ, რომლებიც გისოსებიან ეტლს მოუძღოდნენ წინ. ეტლის უკანა და გვერდითა მხარეებს კი, ქვეითი ჯარისკაცები იცავდნენ. მათ რამდენიმე ქალი მოსდევდათ მოთქმა-გოდებით, მოულოდნელად რომ აღმოეჩინათ შვილები და ქმრები წყეულ გისოსებში. ქალების ნუგეშისცემას უშედეგოდ ცდილობდნენ მათზე არანაკლებ დაბეჩავებული ტუსაღები, დედები და ცოლები რომ ამოეცნოთ ბრბოში. მათი ეს ნუგეში უიმედო გისოსებიდან კიდევ უფრო მეტად ამძაფრებდა ქალების მდგომარეობას: – ვაი შენს დედასო, რომ წამოიძახებდნენ ხოლმე მონაცვლეობით, რასაც მაშინვე, სახესა თუ სხეულზე, გისოსებში გატარებული ჯარისკაცის კონდახი მოჰყვებოდა ხოლმე.

– ნუ, დედი, ნუ! ნურაფერს იტყვი, ჩემო ბიჭო! – დაატირებდა ისევ რომელიღაცის დედა ხელების თავში ცემით. მათი შემხედვარე, გზის აქეთ-იქით, მთელი სოფელი ემშვიდობებოდა იმ სამს და უსამძიმრებდა მათ დედებს, ცოლებს, მამებს, და-ძმებსა და შვილებს ისე, როგორც შეეძლოთ იმ ვითარებაში, – სიტყვით, ცრემლითა თუ დუმილით. სამხედროები კი, საკერავი მანქანის ნემსივით მიაგელვებდნენ მასში გაყრილ ძაფს, ცხედრების, ჭირისუფლებისა და მოსამძიმრეთა სახით და ეს უკანასკნელნიც, ყველანი ერთად,

მეწამული ნაკერივით გასდევდნენ გზას, რაშიც თითქოს, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, არაკანონზომიერი არაფერი იყო. ნემსი და ძაფი მწყობრად მიუყვებოდა დაფლეთილ ქსოვილს, რომელიც ბლაგვ მაკრატელს უხეშად დაენაკუწებინა, ახლა კი თავის ტანზე შეკერვა მოესურვებინა, რაშიც ხელი ვერაფერს უნდა შეეშალა. ნემსი არ ტყდებოდა, ძაფი კი არ წყდებოდა, თუმცა მოხდა ისეთი რამ, რამაც ქსოვილზე ზიგზაგისებრი კვალი დატოვა, თითქოს მაქო გამოვარდნილიყო ბუდიდან. გზაზე მოქმედ ოთხ მონაწილეს მეხუთე შეემატა თავისი უმნიშვნელო როლით აწმყოსთვის და საბედისწეროთი – მომავლისთვის. ეს პერსონაჟი სიცოცხლე იყო, რომელიც აშკარად აკლდა დანარჩენ ოთხს, რათა კანონზომიერება არ დარღვეულიყო. ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როცა ეტლი უკვე ჩიკოს უახლოვდებოდა.

– ერნი ნათლია! – დაუჯერებელი ხმით ჩაიჩურჩულა ჩიკომ, რომელსაც მაშინვე ფერი ეცვალა, როცა მისი სმენა ეტლის უკანა მხრიდან მოწეულმა ძახილმა მიიქცია.

– მამიკო! მამიკო! – სასოწარკვეთილი ხმით გაჰყვიროდა ბავშვობას გამოქცეული, აცრემლებული პატარა ბიჭი, სირბილის დროს ცალ ფეხზე ფეხსაცმელი რომ გახდოდა წაქცევისას და კოჭლობით გაეგრძელებინა სირბილი. ეს ზუზუ იყო, ერნის შვილი და ჩიკოს უმცროსი მეგობარი. ზუზუსაც ახლა, თანატოლებთან თამაშის დროს გაეგო სოფელში მიმავალი პროცესიის ამბავი და თავქუდმოგლეჯილი გამოქცეულიყო გზისკენ, სადაც მან საკუთარი მამა დაინახა. ისის იყო, ბიჭი ჯარისკაცებს მიუახლოვდა, რომ ერთ-ერთი მათგანი შემოუტრიალდა და ხელით ხალხისკენ მოისროლა. ჩიკოს ფერმიმქრალი სახე სიმწრისაგან ახლა სულ გასწითლებოდა. ჩანთა ზურგიდან ჩამოიგდო, იქვე მოზრდილი ზომის ქვას დასტაცა ხელი, ჯარისკაცებს შორის გაძვრა და შიგ სახეში სთხლიშა ჯარისკაცს, რომელმაც მისი მეგობარი მოისროლა. სახედასისხლიანებული ჯარისკაცი იმდენად გამწარდა, რომ არა მთელი სოფლის ყიჟინა, ჩიკო იქნებ ცო-

ცხალიც ვერ გადარჩენოდა მის მესამედ მოქნეულ კონდახს, რომელმაც ფეხით სოფელსვე მიუგდო მისი თავი.

ამ უსიამოვნო შემთხვევის გამო, ჩიკოს რამდენიმე კვირა სახლში მოუწია წოლა. ჯარისკაცის მოქნეულ კონდახს ორი ნეკნი გაეტეხა მისთვის და ექიმის თქმით, სიარული მოშუშებას კიდევ უფრო გაახანგრძლივებდა. სახლში, მის საქციელზე გულგახეთქილი ამარა, რომელიც საგონებელში იყო ჩავარდნილი, სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა, ეს რამ გაგაკეთებინაო და აფიცებდა, ასეთი რამ არასოდეს გაემეორებინა, თან ბოლოს პირჯვარს გადაიწერდა ხოლმე და დაამატებდა, ღმერთმა ქნას, ამასაც არ მოჰყვეს გაგრძელებაო. ასეთ დროს ოტო, რომელიც თითქმის მთელ დღეებს მათთან ატარებდა და მხოლოდ ღამე გადაირბენდა ხოლმე სახლში, ჩიკოს თვალს ჩაუკრავდა და ამარას ამშვიდებდა, რომ მალე მამამისი ჩამოვიდოდა და ყველაფერს მოაგვარებდა პოლიციასთან. სწორედ იმ დღეებში შეამჩნია ჩიკომ, რომ მისი ამხანაგების რიცხვი საგრძნობლად შემცირებულიყო და, თუ შარშან, როცა მან ფეხი მოიტეხა ხიდან ჩამოვარდნისას, ყოველდღე ათობით ამხანაგი ნახულობდა, ახლა ისინი თითზე ჩამოსათვლელები გამხდარიყვნენ. ჩიკოს თუ უკვირდა ეს, სინამდვილეში ამაში გასაკვირი არაფერი იყო, რადგან სოფელში მისი ოჯახი, მამამისის გამო (რომელზეც ჩიკომ ისე იცოდა, თითქოს კლდეზე გადაჩეხილიყო ნადირობისას), არც მანამდე ყოფილა ბევრისთვის დიდად სასურველი. ახლა კი ჩიკოს მამის მსგავსი ხასიათი თუ სისხლის ყივილი სხვის მშობლებს აიძულებდათ, მათ შვილებს მისგან თავი შორს დაეჭირათ. ეს ყველაფერი კი, ბოროტებით როდი იყო განპირობებული. პირიქით, უმეტესობას ებრალებოდა კიდეც ასეთი ხვედრისთვის, მაგრამ განა კეთროვანს მათი ჩახუტება უშველიდა? ამით ხომ მხოლოდ თავადაც დაავადდებოდნენ და საკუთარ მომავალს წაიხდენდნენ. სწორედ ეს იყო ჩიკოს წყენის მიზეზი და ამიტომ იმ ამხანაგებს, რომლებიც მას მაინც ნახულობდნენ,

გულში სამუდამოდ მეგობრები დაარქვა. მათ რიცხვში იყო ბაზი, რომელიც ყოველდღე მოდიოდა მასთან, მიუხედავად იმისა, რომ მასაც კატეგორიულად უშლიდნენ მშობლები ჩიკოს მონახულებას, ის კი, სკოლიდან ერთი გაკვეთილით ადრე იპარებოდა, შინ დროზე რომ მისულიყო და დედ-მამას ვერაფერი შეეტყო. ასევე სხვადასხვა ხრიკის წყალობით ნახულობდნენ ბერიონი, კუშე, სამი, ოთხი და ხუთი, რომელთაც უზომოდ ეამაყებოდათ მეგობრის ნამოქმედარი და მოუთმენლად ელოდნენ მის გამოჯანმრთელებას, რომ მასთან ერთად თავაწეულებს გაევლოთ თანატოლების დასანახად. ერთადერთი, ვისაც არაფრის მოფიქრება არ სჭირდებოდა მეგობრის მოსანახულებლად, იყო ზუზუ, რომელიც უმეტესად დედამისთან ერთად სტუმრობდა ლემორების ოჯახს. ერთ დღეს ისე მოხდა, რომ ზუზუს გამოკლებით, ყველა ერთად აღმოჩნდა ჩიკოს საწოლთან, რომელსაც თავიანთი გეგმა გააცნეს, რომლის მიხედვითაც, როგორც კი ჩიკო გამოჯანმრთელდებოდა, იმ ტყეში წავიდოდნენ, სადაც ხალხის თქმით, ერნი და მისი მეგობრები აეყვანათ. იქ შეიძლება ის იარაღი ეპოვათ, რომლითაც თავის დროზე აუცილებლად იძიებდნენ შურს თავიანთი გმირებისთვის. ჩიკოს ეს აზრი მოეწონა, თუმცა დიდად არ ჩარჩენია გულში მანამ, სანამ ზუზუმაც არ შეწყვიტა მასთან სიარული, რასაც სულ მალე მოჰყვა ის ამბავი, რამაც ტყეში წასვლა ოცნებად უქცია:

– აი, თურმე რატომ არ მოდიოდა ეს დღეები. მამა მოუკლეს, მე კი ნაწყენი ვიყავი მასზე, – დაღონებული ფიქრობდა ჩიკო და თავში მხოლოდ ის გამოგონილი იარაღი უტრიალებდა, რომელიც ტყეში უპატრონოდ, ათიათასობით ხეში ჩამალული ელოდებოდა.

ასე მძიმედ გადიოდა დრო და უკვე გამოჯანმრთელებულმა ჩიკომ მეგობრებს ზუსტად ის ტყე გაახსენა, თავად რომ უთხრეს ლოგინად მყოფს. შეთანხმდნენ კიდეც, მომდევნო დღეს სკოლის მაგივრად ტყის გზას დასდგო-

მოდნენ და ერთმანეთს იმ იმედით დაემშვიდობნენ, რომ დილით სოფლის მეორე ხიდზე შეიკრიბებოდნენ. დილაც გათენდა და ხიდზე მხოლოდ ჩიკო და ბაზი შეხვდნენ ერთმანეთს, რომლებიც კარგა ხანს ელოდნენ დანარჩენ მეგობრებს, თუმცა ბევრსაც ვერ მოიცდიდნენ, რადგან გზა შორი იყო, დაღამებამდე კი აუცილებლად უნდა მოესწროთ სახლში დაბრუნება. მათ ჯერ სოფელი გაიარეს ჩქარი ნაბიჯით, მერე იმ ტყეს გაუყვნენ, რომელიც ქალის გამოსახულებიანი მთის ქვედა ნაწილს ავსებდა, პატარა ხიდზეც გადაირბინეს, კაცის მთის მხარეს რომ მოხვედრილიყვნენ და მის ქვეშ აღმართულ ტყეში აღმოჩნდნენ. ჩანთები, წიგნების ნაცვლად, ორივეს საგზლით გაევსო და სადილიც დაახლოებით იქ მოიწყვეს, სადაც მათი გათვლებით, პოლიციისა და რაზმის შეტაკება უნდა მომხდარიყო. სადილობამდეც და მას მერეც, დიდხანს ტრიალებდნენ თითოეული ხის ირგვლივ იარაღის პოვნის მოლოდინში, მაგრამ ცარიელი ტოტების გარდა ვერაფერს აწყდებოდნენ. ტყიდან გამოსულებს, თვალის ზომით კონცხამდე ბევრი აღარ უნდა ჰქონოდათ დარჩენილი და მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დაღლილიყვნენ, გადაწყვიტეს, ის ქალიც დაენახათ, მოპირდაპირე მთიდან რომ იყურებოდა. მოგვიანებით აღმოაჩინეს, რომ ფერდობები ატყუებდნენ და, თუ თავიდან ერთი ასეთი ფერდობი უერთდებოდა ჰორიზონტს, ახლა მესამეს ითვლიდნენ იმ იმედით, რომ იგი ბოლო იქნებოდა. ამ გათვლებით მათ რამდენჯერმე ჰკითხეს ერთმანეთს, უკან ხომ არ გაბრუნებულიყვნენ, მაგრამ პასუხს ორივე თავს არიდებდა.

– ესეც ვნახოთ და გვეყოფა! – თქვა ჩიკომ და შესასვენებლად პატარა, სამკუთხა ქვაზე ჩამოჯდა, რომელიც თითქოს მიწიდან ამომძვრალიყო.

– იქითობისას ნაკლები დრო დაგვჭირდება და ძალიანაც არ დავიგვიანებთ. ვუთხრათ, ვითომ სკოლის მერე, მეზობელ სოფელში წავედით ბურთის სათამაშოდ, – უპასუხა ბაზიმ, რომელიც იქვე, ბალახზე წამოგორდა და მაისურით

სახეზე ოფლს იმშრალებდა. ეს აზრი ჩიკოსაც მოეწონა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, რა დროსაც მისი ყურადღება ქვაზე ამოტვიფრულმა ასოებმა მიიპყრო, რომელზეც თავად მოკალათებულიყო. მუხლებზე წამოჯდა, კისერი მოატრიალა, ნაწერისთვის რომ გაესწორებინა მზერა და კარგად დააკვირდა. „ორი სი...“ ეწერა მასზე, დანარჩენი ასოები კი, მიწაში შერბოდნენ. ბაზიმაც მაშინვე კარგად დამუშავებულ ფილაქნის ქვაზე გაკეთებულ წარწერას გააყოლა თვალი. მიწაში დამალულმა სიტყვებმა მეგობრები ისეთი ცნობისმოყვარეობით აღავსო, რომ ძალ-ღონეს არ იშურებდნენ თითოეული ასოს მოსაპოვებლად, რაც ცარიელი ხელებითა და იქვე ნაპოვნი სხვადასხვა სახის ქვის ნატეხებით ძალიან ძნელი იყო, მთელი ქვის გათავისუფლებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ბოლოს, მათ გადატყავებულ ხელის გულებსა და მიწით ავსებულ ფრჩხილებს მხოლოდ რამდენიმე სიტყვა შერჩათ, რომელთაც სამუდამოდ დაატყვევეს მათი გონება. „ორი სიკვდილმისჯილი, შენ და ყველა დანარჩენი...“ – ეწერა სამკუთხედ ქვაზე. შეთანხმდნენ, რომ ეს მათი საიდუმლო იქნებოდა და სხვა დროს მომზადებულები წამოვიდოდნენ, რათა ამ მაგიური სიტყვების გაგრძელება ეპოვათ. მიწა უკანვე მიაყარეს ქვას ისე, რომ ის ხუთი ასოც დამალულიყო, ფეხებით მაგრად დატკეპნეს და სწრაფად აუყვნენ აღმართს. მართლაც, ეს ბოლო ფერდობი აღმოჩნდა, თუმცა ნანახმა იმედები გაუცრუათ. ქალი მათ სულ სხვანაირი ჰყავდათ წარმოდგენილი. ისეთი, მათი მუსიკის მასწავლებელი რომ იყო – გრძელ კაბაში, სავსე ღია მკერდით. ეს კი, ქალს მხოლოდ მიამსგავსეს, ისიც დიდი გაჭირვებით და რომ არა ჩანჩქერის თმა, შეიძლება მამაკაცის მთაც კი ჰგონებოდათ. სამაგიეროდ, გარკვევით და სულ სხვა თვალით დაინახეს მწვერვალები, მთები, ტყეები მათში ჩარგული პაწაწინა სოფლებით, იქვე ნაკადულისოდენა მრისხანე მდინარეებით და ანკარა წყაროებით, მათგან სულ ახლოს რომ იღებდნენ სათავეს, სხვადასხვა მყინვარის

ძირში და ამა თუ იმ ხეობაში ერთიანდებოდნენ. აქედან კარგად დაინახეს, რომ აქ მოხვედრა ტყის გვერდის ავლითაც იყო შესაძლებელი, თუკი მთის რკალს გაჰყვებოდნენ წრეზე და ნაკადულის არხს ჩაუყვებოდნენ მდინარე ხანსარამდე. მეგობრებმაც სწორედ ეს გზა აირჩიეს უკან დასაბრუნებლად, რადგან ტყე სვლას უფრო შეანელებდა, მათი აზრით. შიშველ ფერდობებს კი მალე ჩაირბენდნენ. თვალით რამდენიმე შესამჩნევი წერტილიც მოინიშნეს გზის დასაგეგმად და მასვე გაუყვნენ. პირველი ასეთი წერტილი ხის მორებისგან აწყობილი კარავი იყო, რომელსაც ცოტა ხნის შემდეგ მიადგნენ კიდეც. შიგნითაც შეიხედეს, სადაც ხის მაგიდა, სკამი, ნარი და რკინის ღუმელი დახვდათ. აბლაბუდებსა და სიბინძურეზე ეტყობოდა, რომ მას ადამიანისთვის კარგა ხანი არ ემასპინძლა. ადრე მათ სოფლის მწყემსები და სათიბად წამოსული კაცები ესტუმრებოდნენ ხოლმე ღამის გასათევად თუ წასახემსებლად. ახლა ეს იმდენად საჭირო აღარ იყო და სტუმრებიც შემცირებულიყვნენ. ამ ყველაფერზე კოლმეურნეობას ეზრუნა, რომელსაც ხალხის დოვლათი გაეერთიანებინა და მათთვის მხოლოდ იმდენი პირუტყვი დაეტოვებინა, რამდენსაც ბარის საძოვრებითაც შეინახავდნენ. მეგობრებს კი ის ძალიან მოეწონათ და თავიანთი საიდუმლო შტაბი დაარქვეს. მათი დანიშნულების მეორე წერტილი ნაკადული იყო, რომელიც არხეინად მიჩუხჩუხებდა ორი ფერდობის გასაყარზე, რომელმაც სულ მალე გზის პირას, ხანსარამდე ჩამოაცილა ისინი, სოფლისკენ რომ მიიჩქაროდა მათსავით. სოფელში მისულებს ბინდიც წამოსწეოდათ და უკვე სახლებთან მისულებს მოულოდნელი სურათი დახვდათ. თითქმის მთელი სოფელი შეკრებილიყო და დიდი ვაი-ვიშით ელოდნენ ამბავს ჩიკოსა და ბაზის შესახებ, რომელიც სხვადასხვა მხარეს საძებრად გაფანტულ სოფლის კაცებს უნდა მოეტანათ. ვიღაცამ წამოიძახა, რომ ისინი შეიძლება პოლიციაში ჰყოლოდათ, მაგრამ მას მაშინვე გასცა პასუხი მეორემ, რომ თავად იყო პოლიციაში მოსაკითხად,

მაგრამ ამაოდ. ბაზის მამამაც იგივე დაადასტურა და თავი გააქნია. ყველაფერი თქვენი ბრალიაო, – ზიზღით მიაძახა ერთმა ქალმა მეორეს და მანაც თავბედის წყევლა დაიწყო ჩუმად. მეზობლის ბოსტანში ჩაწოლილმა მეგობრებმა ორივე ხმა კარგად იცნეს, ან კი როგორ ვერ უნდა ეცნოთ საკუთარი დედები და თავი ორივემ უხერხულად იგრძნო. ბაზის დედა არ ჩერდებოდა და ღვარძლს ღვარძლზე ანთხევდა. ჯერ მისი ქმარი, ახლა კი შვილიც მისნაირი გაზარდა! – გაიძახოდა აქეთ-იქით გიჟივით მოსიარულე და ბოლოს – ვაი შენს დედის დღესო, – მიაყოლებდა.

– ჩემს ქმარს ნუ ახსენებ! – მხოლოდ მაშინ პასუხობდა დაჩაგრული გამბედაობით ამარა და იქვე დააყოლებდა, მან თავისი სიცოცხლით აგო პასუხი საკუთარ არჩევანზეო!

– სწორედაც! – შეუყვირებდა ბაზის დედა შუშის თვალებით, – თქვენი სიცოცხლით აგეთ პასუხი, ჩვენ კი თავი გაგვანებეთ! იმ ვაჟბატონის გამო, მთელი სოფელი ხომ ისედაც ათვალწუნებული ვყავართო! – ამასაც ეტყოდა და ისევ, ვაი შენს დედის დღესო, – დაიკვნესებდა.

ეს დღე ჩიკოსთვის უსასრულოდ გაგრძელდა.

2

ზღვა ღელავდა. შავი ტალღები სულ უფრო და უფრო ახლოს მოიწევდნენ, ისინი კი ერთმანეთს შორდებოდნენ. მთვარე მდუმარედ ჩამოკიდებულიყო ცაზე. მის ქვეშ, სადღაც შორს, ძლივს მოჩანდა გემის სილუეტი, აუღელვებლად და მძიმედ რომ მიიწევდა ჰორიზონტისკენ. უკან კი, მხოლოდ ორთქლის კვალს ტოვებდა გრძელი ღრუბლივით, ქარი რომ მიჰყვებოდა ფეხდაფეხ და ცოცხივით ფანტავდა აქეთ-იქით. სამაგიეროდ, უცნაურად გაწელილ, გაცრეცილ ღრუბლებს, ბუმბულებივით რომ აფრენილიყვნენ სულ ზევით, ცოცხი ვერაფერს აკლებდა და ისინიც გარდამავალი ფერებით, ახალ-ახალ მოძრავ სურათებს ხატავდნენ ცაზე. ერთ-ერთი ასეთი, მთვარეს შემოხვეოდა და სატურნისთვის დაემსგავსებინა, მეორე კი, მისგან მოშორებით რომ იყო დაბრეცილი, კისერმოღრეცილ ბოთლს წააგავდა, სიგრძეზე რომ გაწოლილიყო და პირი ქვევით ისე მოეგრიხა, თითქოს მთელი არემარისთვის საძილე ნაყენი დაელევინებინა და ამ უკანასკნელსაც საღათას სამეფოსკენ მიაჭენებდა ცხენი, ცის სხვა მხარეს რომ გადაჭიმულიყო. ამ უზარმაზარ სამეფოში, რომელსაც ცის ნახევარი დაეკავებინა თავისი ქონგურებით, გალავნებითა და კოშკებით, ყველას ჩასძინებოდა გუშაგის ჩათვლით, მაგრამ არ იყო მასზე ცოცხალი სამეფო, რამეთუ სიზმრები ცოცხლობდნენ იქ, შეუმჩნევლად რომ იცვლიდნენ არსს, სახეს კი უცვლელს ინარჩუნებდნენ. და როცა ჩიკოს თვალები გემს დაუბრუნდნენ, რომელიც უკვე წერტილისოდენაღა ჩანდა, სახეშეცვლილი უმზერდა საკუთარ მეს, ფეხს რომ არ იცვლიდა ადგილიდან.

ის გაუნძრევლად იდგა ნაპირზე. ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და ჭრელი თვალებით, თითქოს ობიექტივში რომ ჩაბუდებულიყვნენ, გემს გაჰყურებდა. მწვანე და ნაცრისფერი ამინდივით ენაცვლებოდა ერთმანეთს მისი გუგების

გასაფერადებლად და ისინიც მიკროკოსმოსივით შთანთქავდნენ ყველაფერს, რასაც აკვირდებოდნენ. სწორი, პატარა ცხვირი მის თეთრ სახეს თავშეკავებულ იერს აძლევდა, რასაც მის ქვეშ გაპობილი, თხელ წვერში ჩამალული თხელივე ტუჩებიც ადასტურებდნენ. ხმელი სხეული ციდან დაშვებული, ფრთებშეკეცილი შევარდენივით მოხრილიყო მხრებში. ეს მისთვის ის შემთხვევა იყო, როცა საბედისწერო ნაბიჯზე ფიქრობდა და ამ ფიქრებში, მართლაც რომ, თავაწყვეტილი ეშვებოდა უფსკრულისაკენ. ეშვებოდა იქამდე, ვიდრე ყველაზე და ყველაფერზე ქვევით არ აღმოჩნდებოდა და ამ ამოსახედიდან არ შეხედავდა საკუთარ თავს. აქ აღმოჩენისთანავე გადაწყვეტილება მიღებული იყო და მხრებშიც იშლებოდა, თითქოს ეს-ეს არის, ნადავლი აიტაცაო და ფრთებგატყორცნილი ისევ უსასრულო სიმაღლეებისკენ მიიწევდა. თუმცა ამჯერად მის ფიქრებს ძირი არ უჩანდა, ისინი არნახული სისწრაფით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ძნელი იყო, ჩასჭიდებოდა რომელიმეს და მაშინვე მეორისკენ არ მოექნია. თავის მხრივ, მეორეც წამიერად ისროდა სადღაც, სადაც ტკივილი იყო. მის ჯიბრზე თითქოს დრო ჩერდებოდა და ტკივილიც მეტხანს გრძელდებოდა, ვიდრე სიამოვნება, რომელიც სადღაც იქვე ტრიალებდა ქაოსურად. იყო ასევე სინანული და იყო გამოგონილი იმედიც, რომელიც მგლის გონებაში დაბადებულს უფრო ჰგავდა, ვიდრე კაცისაში. გემი უკვე საერთოდ აღარ ჩანდა, მაგრამ იგი წასვლას არ აპირებდა. თავში მეგობრის გამოსამშვიდობებელი სიტყვები უტრიალებდა: „საჭირო დროს საჭირო ადგილას!“ – ღიმილით უთხრა ბაზიმ და მხარზე ხელი დაარტყა. პირველი შემთხვევა არ ყოფილა, როცა საუბარში ეს სიტყვები იმავე თანამიმდევრობით სმენია, მაგრამ ახლა, რატომღაც ყველაფერი სხვაგვარად ეჩვენებოდა. თითქოს მერკანტილური სურნელით გაჟღენთილიყო ეს, აქაოდა, დიადი აზრი, რომელიც ყოველთვის პირად ინტერესებზე მუშაობდა. ფიქრობდა და უკვირდა კიდეც, აქამდე რატომ არ

შეუმჩნევია იმედის ეს მისტიკური გასაღები. ამ წუთისთვის ჯერ არც იცოდა, რა იყო ყოველივე ამის მიზეზი, მაგრამ უტყუარი განცდა, რომელიც დაეუფლებოდა, ეჭვგარეშე უნდა ამოეხსნა, თან ახლავე, რაც შეიძლება მალე, სანამ სიმძაფრეს დაკარგავდა.

– საჭირო დრო, საჭირო ადგილი!.. – რამდენჯერმე ჩაიჩურჩულა თავისთვის და ერთი შეხედვით ვერცერთ სიტყვაში ვერ შეიტანა ეჭვი. სამივე სიტყვა ახლა მის წინ, ბრალდებულთა სკამზე განთავსდა უდანაშაულობის განცდით, სადაც სამივეს საქმე ცალ-ცალკე უნდა განხილულიყო.

– ბრალდებულო დრო, – დაიწყო მოსამართლემ მრისხანე სახით, რომელიც ერთდროულად, ბრალმდებელიც გახლდათ და დამცველიც, – თქვენ ბრალი გედებათ კაცობრიობის წინაშე ჯგუფური დანაშაულის ჩადენაში, რომლის მიზანიც ამავე კაცობრიობის განადგურებაა! გისმენთ, ბატონო ბრალმდებელო!

– თქვენო უსამართლოესობავ. მოგეხსენებათ, გამოთქმები – დრო უმოწყალოაო, დრომ უწიაო და მართლაც რამდენს მოუსწრაფა სიცოცხლე ზურგს უკან ჩასაფრებულმა. უდროოდ წავიდაო, იტყვიან მერე და ვერც კი ხვდებიან, რომ სწორედაც დრომ წაიყვანა ესა თუ ის სვებედნიერი ამ წუთისოფლიდან. ვეჭვობ, ეს სახელიც მისი დარქმეულია აქაურობისთვის, შეგუებულებმა რომ მივიღოთ მისი მოულოდნელი სტუმრობა. მარტო იმის დაჩემება რად ღირს, დრონი მეფობენ და არა მეფენიო! მეფობაც გამოგვიცხადა ვაჟბატონმა.

– ვაპროტესტებ! დრო ყველაფრის მკურნალიაო, – არ გაგიგიათ ასეთი გამოთქმაც! – წამოიყვირა ვექილმა.

– ნებართვა თუ აქვს აღებული მკურნალობის? ჩვენ, ჩვენს ექიმებთან ვიმკურნალებთ, ბატონო! თქვენ კი, როგორც გენებოთ! – დამცინავად უპასუხა ბრალმდებელმა, რასაც მოსამართლის გამაღიზიანებელი ხარხარი მოჰყვა, – დაჟინებით მოვითხოვ, სასჯელად სამუდამო პატიმრობა

მიესაჯოს! – მკვახედ დაასრულა ბრალმდებელმა და ათწუთიანი შესვენება ითხოვა, რამაც ისევ დამცველის პროტესტი გამოიწვია.

– გამოდის, ბატონო მოსამართლევ, ბრალმდებელი ბრალდების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სამუდამო პატიმრობასთან ერთად, განზრახ ან გაუაზრებლად, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს, ათი წუთით უხანგრძლივებს სასჯელს, რაზეც მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო წუთები ყოველთვის უსასრულოდ გრძელდება. ორი უვადო პატიმრობა კი, დამეთანხმებით, ჯერ პრაქტიკაში არ ყოფილა. გამომდინარე აქედან, ვითხოვ, არ დააკმაყოფილოთ მისი მოთხოვნა.

უკმაყოფილო მოსამართლემ ხის დაბზარული ჩაქუჩი მაგიდას დაჰკრა და დამცველის მოთხოვნა საფუძვლიანად ჩათვალა.

ჩიკომ ნიშნის მოგებით ჩაიცინა. მოეწონა საკუთარ თავში გამართული პროცესი. ისიც მოეწონა, დროს რომ ლოგიკური განაჩენი გამოუტანეს, რომელიც არც შეიძლებოდა სასჯელად ჩაეთვალა ვინმეს და ალბათ, ეწყინებოდა კიდეც, მას რომ სხვანაირი განაჩენი რგებოდა.

დაბნელებულიყო, წვიმასაც გადაეღო და თითქოს წასვლის დროც მოსულიყო, მაგრამ სად წავიდოდა საფიქრალად ამაზე მყუდრო ადგილას.

– ბრალდებულო ადგილო! – ისევ მრისხანე ხმით განაგრძო მოსამართლემ, – თქვენ ბრალი გედებათ იმავე დანაშაულის ჩადენაში, კაცობრიობის წინაშე. გთხოვთ, ბრალმდებელო, დაასაბუთოთ თქვენი ბრალდება.

ბრალმდებელმა ჩაახველა, პატარა წითელი ნაჭრით შუბლზე ოფლი მოიწმინდა და დაიწყო.

– რამდენადაც მახსოვს, ბრალდებული უკვე არის ერთხელ გასამართლებული უადგილო ადგილას მოხვედრისთვის, რაც მის კანონსაწინააღმდეგო მიდრეკილებებზე მიგვითითებს, თქვენო უსამართლოესობავ. მისი ამხანაგი, აწ გასამართლებული დრო, სწორედ რომ განსასჯელთან შეთა-

ნხმებით, განსასჯელისვე მიერ წინასწარ შერჩეულ ადგილს სტუმრობს მზაკვრული გეგმის სისრულეში მოსაყვანად. როგორც ხვდებით, დრო და ადგილი შეთანხმებულად მოქმედებენ ესოდენ ვერაგი ჩანაფიქრის განხორციელებაში. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მოვითხოვ, სასჯელად შეეფარდოს გადასახლება! მისი ადგილი კაცთა შორის არ უნდა იყოს!

აქ ისევ დამცველი წამოდგა გასასაჩივრებლად.

– პატივცემულო მოსამართლევ, იქნებ ბრალმდებელმა განგვიმარტოს, თუკი ადგილი გაგვშორდება ჩვენ, სადღა იქნება ჩვენი ადგილი. ნუთუ ჩვენც გადასახლებაში მოვყვებით იძულებით, იმის შიშით, რომ საერთოდ უადგილოდ არ დავრჩეთ?

მოსამართლემ თავი ბრალმდებლისკენ იბრუნა და მანაც არ დააყოვნა პასუხი:

– დიახაც! მიმაჩნია ასეთ ადგილს უადგილობა ჯობდეს კიდეც იქნებ და ვისაც ესოდენ უჭირს მასთან განშორება, მისი ნებაა, თან გაჰყვება თუ არა. ჩვენ კი დამრჩენები უკეთეს ადგილს ვიპოვით, ან სულაც შევქმნით ახალს, სადაც მხოლოდ კანონმორჩილი და დიადი იდეებით განმსჭვალულნი დავსახლდებით.

მოსამართლემ ისევ მოიმარჯვა ხის ჩაქუჩი, რომელსაც კიდევ ერთი ბზარი შემატა მორიგი გადაწყვეტილებით.

ჩიკოს ამჯერადაც სასიამოვნოდ ჩაეცინა და მზად იყო, გადასახლებაშიც წასულიყო, თუკი აქ მისი ადგილი არ დარჩებოდა, ან მეტიც, თუ ადგილი საერთოდ აღარ იარსებებდა.

– პატივცემულო ბრალდებულო, საჭიროებავ, – მოკრძალებული ხმით დაიწყო მოსამართლემ, – თქვენ ბრალად გედებათ უნებლიე თანამონაწილეობა ყოველივე იმაში, რაც აგერ უკვე ორჯერ განვმარტე და ვფიქრობ, მისი მესამედ გამეორება აღარ გჭირდებათ.

– ვაპროტესტებ, ბატონო მოსამართლევ. მას ბრალი უნდა დაედოს არა მარტო თანამონაწილეობაში, როგორც თავად აღნიშნეთ, რაც თავისთავად გამორიცხავს მის უმძიმეს ბრალეულობას, არამედ როგორც შესაძლო დანაშაულის მთავარ სულისჩამდგმელს.

– აკი აღვნიშნე, პატივცემულო ვექილო, რომ ბრალი ედება იმავე საქმეზე, რომელზეც წინა ორ მსჯავრდებულს, – დამცინავი ტონით უპასუხა მოსამართლემ და კმაყოფილებით გახედა ბრალმდებელს, რომელიც ეტყობა, რაღაცას ილუკმებოდა.

– თქვენ აღნიშნეთ, თუმცა ასევე მისგან შეუთავსებლად და გარკვევით განაცხადეთ, რომ მას ბრალი ედება მხოლოდ უნებლიე თანამონაწილეობაში, – აღელდა დამცველი.

– ვერ გამიგია, რატომ ასრულებს ვექილი ჩემს მოვალეობას? – ადგილიდან წამოიყვირა ბრალმდებელმა, პირი რომ ლუკმით ამოევსო, ისე რომ, მისთვის არც შეუხედავს.

– თქვენო უსამართლოესობავ, – ფეხზე წამოდგა დამცველი, – ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი სამივე სუბიექტი ჩემ წინაშეა, ერთი და იმავე სტატუსის მქონენი. მიუხედავად ჩემი განსხვავებული დამოკიდებულებისა მათდამი, არ მსურს, რომელიმე მათგანის გამართლება იქცეს დანარჩენი ორისთვის განაჩენის დამამძიმებელ გარემოებად.

– ვნახოთ, რას გვეტყვის ბრალდების მხარე, – ნირწამხდარი ხმით ჩაიბურტყუნა მოსამართლემ. ბრალმდებელი ფეხზე წამოდგა, პირზე ხელი მოისვა და შეუფერებლად წკრიალა ხმით წარმოთქვა:

– პატივცემულო მოსამართლევ. სიმართლე გითხრათ, მე ვერ ვხედავ ბრალდებულის რაიმე მკაფიოდ გამოხატულ დანაშაულს არსებულ საქმეში. ის ფრიად ახალგაზრდაა ზემოხსენებულ ორ ბრალდებულთან შედარებით. მეტიც, სრულიად ბავშვია! სად იყო საჭიროება ესოდენ აქტუალური, როდესაც დროცა და ადგილიც მოსვენებას არ აძლევდნენ კაცობრიობას. იგი ხომ სულ ახლა იდგამს ფეხს და ისევ

ჩვენი ინტერესებიდან გამოდის. მე ვიტყოდი, სრული უსამართლობა იქნებოდა მისი დასჯა და საერთოდ, მოვითხოვ მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას დარბაზიდან!

დამცველი სრულმა ზიზღმა მოიცვა. ყველაზე მეტად საკუთარი თავი ეზიზღებოდა, რადგან ხშირად იცავდა ისეთებს, რომლებიც სიკვდილის ღირსნი იყვნენ და ეს თავადაც კარგად იცოდა. მათგანვე იცოდა, ისევე როგორც ახლა ხედავდა, რომ საჭიროება დამნაშავე იყო, მაგრამ ვერ გაეგო, რატომ იცავდა მას ბრალმდებელი. იქნებ აქ იყო ამოცანა, რომელიც უნდა ამოეხსნა? მოსამართლემაც ხომ უცნაურად დაიწყო საუბარი. მერე დრო და ადგილი გაახსენდა, მათივე უმკაცრესი აბსურდული სასჯელით და სამართლიანობის არსებობას უზარმაზარი კითხვის ნიშანი დაუსვა. თავი გააქნია და ყველაფერი ბოდვად ჩათვალა. სად გაგონილა საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფის გამტყუნება? მაგრამ მისი ბრალმდებელისგან გამართლებაც ხომ ნახა ახლახან. ნუთუ ეს ყველაფერი სხვა არაფერია, თუ არა თამაში, რომელიც პირად ინტერესებზეა მორგებული?

– არა! – მოულოდნელად შეჰყვირა და ფეხზე წამოიჭრა, – შეიძლება აქ ბევრი უსამართლო განაჩენი გამოტანილა, გამამტყუნებელიც და გამამართლებელიც. ზოგი თქვენი, ზოგიც კი ჩემი წყალობით, მაგრამ დღეს ამის დაშვება არ შეიძლება. დღეს კაცობრიობის ბედი წყდება და მე მის დამახინჯებაში მონაწილეობას არ მივიღებ! გნებავთ, იყავით დამცველი, მაგრამ ამ შემთხვევაში მე ვიქნები ბრალმდებელი. მოსამართლეს კი უფლება არა აქვს, არასწორი განაჩენი გამოიტანოს. სასჯელი, რომელიც ჩემს პირველ ორ დაცვის ქვეშ მყოფს გამოუტანეთ, უმაღლესია, მაგრამ არა უმკაცრესი, რასაც გააზრებულად არ ვასაჩივრებ, იმდენად, რამდენადაც მათთვის იგი ყველაზე შესაფერისად მიმაჩნია.

მოსამართლესა და ბრალმდებელს ვერ გაეგოთ, რა უნდა მოსწონებოდა მას ამ უკანასკნელში და ერთმანეთს გადახედეს გაოცებული სახეებით.

– მაგრამ ასევე მიმაჩნია, რომ საჭიროებას უნდა მიესაჯოს სასჯელის უმკაცრესი ზომა, სიკვდილით დასჯა და ნება მიბოძეთ, ავხსნა ჩემი ბრალდება. იცით, რამდენი ომი დაწყებულა ამ სიტყვით? ყველა, რაც კი მომხდარა და კიდევ ბევრი მოხდება, თუ არ შევაჩერებთ. რატომ თქვა ვიღაცამ, მიზანი ამართლებს საშუალებასო? იმიტომ, რომ ასე დასჭირდა და, რომ არ დასჭირვებოდა, მერწმუნეთ, არ გაამართლებდა. ამის გაგება არ გაგიჭირდებათ, თქვენც ხომ ისევე ამართლებთ!

– გამოდის, თქვენ უარყოფთ ყველანაირ საჭიროებას, მიუხედავად იმისა, კარგის მომტანია იგი თუ ცუდის? – კითხვით შეაწყვეტინა მოსამართლემ.

– დიახ, ასეა! აბა, რომელი თქვენგანი გახდის საკუთარ თავს საშუალებად, რაც უნდა დიადი იყოს მიზანი? თუმცა ასეთი ერთეულებიც არიან და მხოლოდ მათ უნდა ჰქონდეთ ამ სიტყვის გამოყენების უფლება. ყველა დანარჩენისთვის კი ის უნდა განადგურდეს. თქვენო უსამართლოესობავ, კატეგორიულად მოვითხოვ, გამოიყენოთ სასჯელის უმკაცრესი ზომა საჭიროების მიმართ.

– თქვენი ბოლომდე არ მესმის. თუ მას გავანადგურებთ, იმ ერთეულებს რა პასუხი გავცეთ, როცა ეს უკანასკნელი დასჭირდებათ და ვერსად ნახავენ? თქვენთან ხომ არ გამოვაგზავნოთ ის ერთეულები? ასეთებს ზუსტადაც რომ არაფერში გამოადგებათ საჭიროება. მე კი ახლა საჭიროდ ვთვლი, განაჩენი გამოვაცხადო. ბრალდებულ საჭიროებას მოეხსნას ყველა ბრალდება და გათავისუფლდეს სასამართლო დარბაზიდან. განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარება. სხდომას დახურულად ვაცხადებ! – წარმოთქვა მოსამართლემ, ჩაქუჩი მთელი ძალით დაჰკრა მაგიდას, რომლის დაბზარული თავი მაგიდის ქვეშ შეგორდა.

რამდენიმე საათის შემდეგ ჩიკო უგზოუკვლოდ მიუყვებოდა ზღვის ნაპირს. ბულვარში სხვადასხვა მხარეს გადახრილ ბოძებზე ალაგ-ალაგ ლამპიონები ბჟუტავდნენ. თენ-

დებოდა და ქალაქიც ნელ-ნელა იღვიძებდა, ჯერ ისევ იზმორებოდა თითქოს და შორიახლოდან, ყრუ ფაციფუცის ხმები მოჰქონდა. სადღაც, ეტყობა, მეთევზე ბადეს ისროდა წყალში. შუშაც დაიმსხვრა იქვე. ალბათ, ბოთლი ამოჰყვა ბადეს, ისიც ჯინის გარეშე და ეწყინა. წერილი მაინც რომ მოეტანა, იქნება აქეთ გაეჩინა თავსატეხი მისთვის და თავად გადარჩენილიყო. მამალმაც იყივლა თითქოს ზღვის თავზე, ბიბილოსავით რომ ამობრწყინდა რამდენიმე სხივად და წყალს მოეკიდა ალისფრად ახალი დღის მახარობლად. ლოთს კი, რომელსაც ჯერ კიდევ ღრმად ეძინა და ხვრინვით შეჰქონდა მისი წვლილი განთიადის საერთო ფორიაქში, ნაკლებად გაახარებდა ეს მახარობელი. ჯუჯღუნით დაუვლიდა ქალაქში ყველა უპატრონოდ მიგდებულ ბოთლს და წვეთ-წვეთად შეაგროვებდა ჯადოსნურ სითხეს. დამსხვრეულ ბოთლსაც წაააწყდებოდა სადღაც და გული დასწყდებოდა. აბა, ვის უნდა ჰქონოდა მასზე მეტი უფლება ბოთლების მსხვრევის, როცა მათგან უმეტესობა წვეთსაც არ აძლევდა ხოლმე ხშირ შემთხვევაში, არამცთუ ჯინსა და წერილს. ანკი რად უნდოდა ეს მონაგონი ჯინი, ან ნაჯღაბნი წერილი, როცა თავად იყო ნამდვილი ჯინიც და ცხოვრების წერილიც. ის ხომ ყველას ყველაფერს აუსრულებდა ოდესმე და წერილსაც წაიღებდა ნებისმიერისას იმ ქვეყნად, ვინც კი ამას სთხოვდა. ჩიკოს ამ ლოთისაც ესმოდა და იმ პოლიციელების ჩექმების მწყობრი სვლისაც, რომელთაც იგი გააღვიძეს. ზიზღნარევი სიბრალულით გააყოლა მათ თვალი. რატომღაც დროების მძევლებად აღიქვა ისინი ახლა, რამაც სიბრალული გამოიწვია, მაგრამ მხოლოდ ამის გამო მათი გამართლება არ შეეძლო. მძევლებსაც ხომ აქვთ ღირსებაო, ფიქრობდა იგი, თუმცა ხვდებოდა, რომ ყველაფერი ბევრად უფრო ჩახლართული იყო, ვიდრე მას ეგონა.

შეიძლება კიდევ ბევრი ეფიქრა მათზე, რომ არა საიდანღაც მოღწეული ხმამაღალი სიცილის ხმა. სიცილი რამდენიმე ადამიანს ეკუთვნოდა და ძნელი იყო გამოერჩია მხოლოდ ის ერთი, რომელიც განსხვავებულად თავისებური

ეჩვენა. თითქოს არც დაფიქრებულა, ისე მიჰყვა ხმას, როგორც ტომრიდან გამოშვებული კობრა მიჰყვება სალამურის ჰანგებს. შუა გზაში შეყოვნდა, აჭრელებულ ცას ახედა, თავი ცოტა გიჟად მოეჩვენა, მაგრამ მაშინვე მოეწონა ეს აზრი და მყარად გადაწყვიტა, უძილობით აღგზნებული გონება გამოეთავისუფლებინა და მხოლოდ გულისთქმას დამორჩილებოდა.

სიცილი ახლა უფრო ახლოდან მოესმა და კიდევ უფრო მეტად ეამა ამ არეულ ხარხარში. ეს არ იყო ხმა. უფრო რაღაც იდუმალს ჰგავდა, რაც ხასიათში იმალებოდა. სიგიჟემდე შეიპყრო ამ ხასიათის ნახვის სურვილმა, რომელიც მისტიკურად შეეხო მის არსებას. თითქოს რაღაც თავისი იგრძნო. ის, რაც მასში იყო და ამავდროულად აკლდა კიდეც. იცოდა, რომ ეს არეული ფიქრები მალე გაქრებოდა, თუმცა ჩიკო ხომ იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, ვისაც სჯეროდა, რომ ტყუილად არაფერი ხდებოდა. მისი აზრით, ყოველი გამოწვევა ორ გზას ტოვებდა – გაქცევა ან შეჯახება! სირბილი დიდად არ უყვარდა. ასე რომ, უცილობლად უნდა შეჯახებოდა ყველაფერს, რაც კი მისკენ დაიძვრებოდა.

არც ისე შორს, პატარა კოცონთან ნავი გამოჩნდა, სადაც რამდენიმე ახალგაზრდა მოკალათებულიყო და ხელებს ათამაშებდა ჰაერში. ჩიკო დაგვიანებული მაყურებლის გაფაციცებით მიუახლოვდა ნავში გამართულ პანტომიმის თეატრს და შორიახლოს მოკალათდა. მის თვალწინ ჟესტებით გამოხატული ესა თუ ის გმირი მონაცვლეობდა ბნელი ჰორიზონტის უკიდეგანო ეკრანზე. განურჩევლად კომედიისა თუ ტრაგედიისა, დანარჩენი ოთხი ყველაფერზე სიცილით პასუხობდა მსახიობს, რაზეც იქამდე იცინოდნენ, ვიდრე ეს უკანასკნელი არ მიახვედრებდა ჩაფიქრებული გმირის ვინაობას. ჩიკოსთვის კი, ეს ყველაფერი მხოლოდ მისტიკა იყო, რომელიც სადღაც, მის რეალურ ყოფასა და მეოცნებე ბუნებას შორის ჩამოწოლილიყო ნისლივით, ერთიცა და მეორეც რომ გაექრო და წყვდიადში მოექცია ხასიათთან ერთად.

ღრმად ჩაისუნთქა სველი ჰაერი. მოირწყა უკაცრიელი უდაბნო, რომელიც მაშინვე კალეიდესკოპში დატრიალდა თავბრუდამხვევად და თვალუწვდენელ ოაზისად იქცა. ისევ დატრიალდა და შემოქცეულმა ოკეანემ წალეკა ფერადი უდაბნო თავისივე ჭრელი თევზებით. მოციმციმე გალაქტიკებიც აირივნენ ჭრელ თვალებში, რომლებიდანაც ოკეანე ერთ ცრემლად გადმოიღვარა და შვებით ამოისუნთქა. თავი გააქნია, იმაში დასარწმუნებლად, რომ ეღვიძა და მაშინვე სიცილმა გაფანტა ბურუსი. ისევ ერთი ხასიათი იცინოდა სხვანაირად, რომელსაც ვერავინ გაიგებდა ჩიკოს გარდა, თუნდაც სიჩუმეც გაეჩუმებინა. ისევ გაიფიქრა ათასი სისულელე და ისევ მოიშორა ათასივე. ფიქრის გარეშე სულ სხვა იყო. ან იქნებ არც იყო, მაგრამ კალეიდოსკოპში მაინც ხომ ჩანდა, თავბრუ რომ დაახვია და წამში გადაუტრიალა გონება მთელ სამყაროსთან ერთად. ეს ფიქრი კი, ყველაფერს მიწასთან ასწორებდა, თითქოს მიწა ხარ და მიწად იქეციო, ჩასძახოდა და ცაში ახედვის უფლებასაც კი არ აძლევდა. ამის დრო არ არისო, აჰყვებოდა თვითონაც ფიქრს და კიდევ უფრო შორს, ფსკერისკენ მიექანებოდა უკანმოუხედავად, როცა სიცილი წამოეწეოდა და ისევ ნავში ამოაყოფინებდა თავს, რომელიც ნაზად დაარწევდა და მიწიერებას მოსწყვეტდა.

უეცრად ნავი მაგრად შეირხა. ჩიკომ თვალები გაახილა და მის წინ ჭორფლიანი, მომღიმარი გოგონა დაინახა. სახეზე დაღლა ეტყობოდა. გრძელი, წითელი, მხრებზე გადაყრილი თმაც აჩეჩოდა. ცოტა ხანს ჩიკოს გამოფხიზლება აცადა და ნაზი ხმით დაიწყო:

– ბოდიში, რომ გაგაღვიძეთ, მაგრამ მე რომ არ გამეკეთებინა ეს, სულ ცოტა ხანში პოლიციელები გაგაღვიძებდნენ.

ჩიკო ფეხზე წამოდგა და გოგონას უცნაურად შეხედა. თითქოს ვერ გაეგო, სად იყო და რაზე ელაპარაკებოდნენ. მერე წინ ცარიელი, მიგდებული ნავი დაინახა, დაინახა რე-

ალობაც, თუ როგორ იქცა მის ღუზად, როცა იალქნობას უპირებდა და ღრუბლებიდან მიწაზე აღმოჩნდა.

– დიდი მადლობა! ჩამძინებია და... – ენა დაება ჩიკოს, რომელსაც სიტყვა გოგონამ გააწყვეტინა.

– მე გეტყვით. გვითვალთვალებდით და ჩაგეძინათ, – ეშმაკურად თქვა და თვალი ჩაუკრა.

ჩიკო ახლაღა მიხვდა, ნავში მყოფ ერთ-ერთ გოგონას რომ ელაპარაკებოდა. გული დაწყდა, რომ ჩაეძინა და არ გაასწრო აქაურობას. არ გაასწრო და თან არ გაიყოლა სველი ჰაერი, რომელსაც მზიან დღეებში შეისუნთქავდა ღამის მთვარისკენ გასაფრენად. ახლა კი, შეიძლება ყოველივე გაცხადებულიყო და წყალში ჩაყრილიყო, თუკი ეს ის ხასიათი აღმოჩნდებოდა. გატრიალდებოდა და წავიდოდა კიდეც, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ეჭვქვეშ ვერ მოაქცევდა ამ კითხვას, რომელზეც ახლავე შეიძლებოდა პასუხის გაცემა ერთი ხუმრობის ფასად, გოგონას რომ გააცინებდა და ყველაფერს ეტყოდა, მაგრამ, თითქოს ჯინაზე, ერთი ხუმრობაც კი არ მოსდიოდა თავში. თვალებით ეძებდა რამეს, რაც დაეხმარებოდა, თუმცა ყველაფერს დინჯი სახე მიეღო ირგვლივ. ჯიბეშიც მოსინჯა რამის მოძებნა, სადაც მხოლოდ ფულის მონეტა დახვდა, ამან ცოტათი ანუგეშა კიდეც – თუ სიცილს ვერ გაიგებდა, მონეტას მაინც ააგდებდა, სავარაუდო პასუხის გასაგებად.

– საით მიდიხართ? – კითხვით შეაჩერა გოგონამ.

ჩიკო შეყოვნდა. გოგონას გაუღიმა და უპასუხა, საიდანაც მოვედიო, – რის შემდეგაც ზურგი აქცია და ის იყო, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, რომ უკნიდან ისევ გოგონას ხმამ გააჩერა:

– რა გქვიათ?

– ჩიკო! – თავი იბრუნა ჩიკომ.

– იცით? – ისე წამოიძახა გოგონამ, თითქოს ამ სიტყვაში გადაუდებელი ამბავი იმალებოდა, რომელიც მხოლოდ ჩიკოს უნდა გაეგო, როგორც ამ ამბის გამომწვევ მი-

ზეზს. წამოიძახა და რამდენიმე სიტყვითაც დაამთავრა, არეულად რომ მიაყარა ერთმანეთს, – ჩვენ გამთენიისას ყოველ კვირას ვიკრიბებით აქ. მან არაფერი იცის. მე ჩემით მოვბრუნდი, რომ მეთქვა. ბელას ძალიან მოეწონეთ, – დაამთავრა თუ არა, შეტრიალდა, გადაიკისკისა და უკანმოუხედავად გაიქცა.

– იყო და არა იყო რა... – კმაყოფილებით აღტკინებულმა უთხრა საკუთარ თავს ჩიკომ და მონეტა ზურგს უკან მოისროლა ზღვაში.

* *

რამდენიმე საათის შემდეგ, ნალები ავგაროზებად მიუყვებოდნენ მიხვეულ-მოხვეულ გზას, რაც იმას ნიშნავდა, რომ მათ უკვე სვიფში შეებიჯებინათ. მზე ძლიერ აჭერდა და თავჩამოყრილი ცხენებიც ფრუტუნით მიიზლაზნებოდნენ. კარგა ხანს ხმა არცერთს არ ამოუღია, ისე მიიწევდნენ დაკლაკნილ გზაზე. ზუზუსგან ეს გასაკვირი არც იყო, რადგან, იგი საუბრის ამყოლი უფრო გახლდათ, ვიდრე დამწყები. ჩიკოს კი სახეზე ღამის ფარდა ჩამოჰფარებოდა და მთელი მისი ფიქრები ზღვის ნაპირზე დახეტიალებდნენ. ამიტომაც ამჯერად ზუზუმ დაარღვია თავისი ჩვევა და მეგობარს თითქოს უმნიშვნელოდ გადაულაპარაკა, რადგან იგი მეტად მოწყენილი ეჩვენა:

– მეც დამწყდა გული ბაზის წასვლით, მაგრამ მისთვის ასე სჯობს. განა რამდენს მოუხერხებია ჩვენში იქ განათლების მისაღებად წასვლა. ეს დრო მალე გავა და ისევ ჩვენთან ერთად იქნება, როგორც საჭირო კაცი! – ღიმილით დაამთავრა სათქმელი ზუზუმ.

ახლაღა შეამჩნია ჩიკომ, რომ მთელი გზის მანძილზე ბაზი არც გახსენებოდა და გაუკვირდა კიდეც ეს. საკუთარ გონებაში გაკვირვებას გაკიცხვაც მიაყოლა და მხოლოდ ამის შემდეგ, სინდისდამშვიდებულმა გახედა ზუზუს:

– საჭირო? – ცნობისმოყვარედ გახედა ჩიკომ, – მისი ჩამოსვლისთვის იქნებ ჩვენს ლაგამსაც ჰქონდეს იმის ძალა, რომ თუ გაჩერებით ვერ გააჩერებს ამ უსამართლობას, მიმართულების შეცვლა მაინც შეძლოს, მიზანს რომ ააცილოს, სხვა თუ არაფერი. ოთხი წელიწადი ამისთვის ცოტა არ არის, თუ ჭკუით მივყვებით ყველაფერს. ჰო, მართლა, ჩვენი სტუმრის რა ისმის, ხომ არაფერი გაგიგია?

– ერთ კვირაში აპირებს ამოსეირნებას და ჩვენც ჩავერთვებით საქმეში. ბიჭები მზად არიან და ხუთივე იმ დღეს ელოდება მოუთმენლად, როცა ისევ გაგრძელდება ეს ბრძოლა ამდენი წლის შემდეგ. ძალიან მალე უფრო გავძლიერდებით და იმ ლაგამს სულ ორ ფეხზე შევაყენებინებთ მათ კენტავრს! – გულანთებული ლაპარაკობდა ზუზუ.

– ალბათ, ეს დროც მოვა, ზუზუ, მაგრამ ჭკუა რომ ვახსენე წეღან, ის ვიგულისხმე, რომ ჯერ სხვანაირად გვმართებს მოქმედება. ხვალ ამაზე შვიდივე ერთად ვიმსჯელებთ და იმედი მაქვს, ჩემს აზრს დაეთანხმებით. ჯერჯერობით ჩვეულებრივად უნდა გავაგრძელოთ ცხოვრება, შეუმჩნევლები რომ დავრჩეთ და ეს მანამდე იქნება ასე, სანამ რომელიმე ჩვენგანზე გაიგებენ ყველაფერს. ამ შემთხვევაში, ყველას ტყეში მოგვიწევს გასვლა და ნამდვილი ბრძოლის დაწყება. აი, მერე კი, ის ძალაც დაგვემატება ნელ-ნელა, შენ რომ ასე გეჩქარება, ოღონდ აქაც, ვინმეს მიღება-არმიღებაზე, შვიდივეს თანხმობა იქნება საჭირო. ზუზუ, ხომ გესმის, იმას, რაც ჩვენ გვინდა, ასეც მივაღწევთ, ზედმეტი თავის ტკივილის გარეშე ჩვენს ოჯახებში და თუ განგება მეტის გაკეთებას შემოგვთავაზებს, უკან არ დავიხევთ. ჩემი აზრით, მხოლოდ ჩვენი შეხედულება არ არის მთავარი. ცხოვრებამაც უნდა გვიკარნახოს თავისი. ამ ყველაფერს კი, ჯერ ანბანის ცოდნა უნდა და მერე – გამართულად წაკითხვა. უჭკუობაა ზედმეტის მოთხოვნა, მაშინ როცა სულ რამდენიმე ასო-ბგერა იცი კაცმა. ასე რომ, რაც უფრო დიდხანს ვიქნებით შენიღბულები, მით მეტს შევისწა-

ვლით და ვინ იცის, იქნებ კითხვამდეც მივიდეთ. მოთმინებითა შენითაო, ხომ გაგიგია, ძმაო?

– და იმ გათავისუფლებულ სიკვდილმისჯილებს რაღას ვუპირებთ? – აშკარად უკმაყოფილო ტონით ჰკითხა ზუზუმ.

– მათ თავად უნდა გადაწყვიტონ, ტყე-ტყე იარონ, თუ ქვეყანა დატოვონ.

– გამოდის, ნამდვილ ომში რომ აღმოვჩნდეთ, იმ დღეს უნდა ველოდოთ მოთმინებით, როცა ჩვენც გამოგვააშკარავებენ? – თავის გვერდზე კანტურით, ენის ბორძიკითა და სულის შებერვით გამოხატავდა უკმაყოფილებას ზუზუ, თითქოს რიტუალს ასრულებდა და გაჩერებას არ აპირებდა, – ხომ არ აჯობებს, ჩემი ხელით გავუგზავნო პოლიციას შეტყობინება საკუთარ თავზე და ცხოვრების კარნახიც გამოვგლიჯო განგებას? მე მთელი ანბანიც და მისი სხაპასხუპით კითხვაც იმ დღეს ვისწავლე, როცა მამა მომიკლეს. ახლა კი, ჩემი აზრით, ის დროა, წერა დავიწყოთ! – აღელვება ვერ დამალა ზუზუმ, რაც მისი ხმის ტემბრშიც იგრძნობოდა.

ჩიკოს ხმა არ გაუცია. კარგად იცნობდა მეგობარს და მის ხასიათსაც, რომელიც სათქმელს ყოველთვის პირდაპირ ამბობდა, მიუხედავად იმისა, ატკენდა ამით ვინმეს გულს თუ არა. თუმცა ეს გაცხარება მალევე გაუვლიდა ხოლმე და თავისი გულუბრყვილო აღიარებით სხვასაც ავიწყებდა იმ გულის ტკივილს, ცოტა ხნის წინ რომ მიეყენებინა. ამ შემთხვევაშიც ზუსტად ასე მოხდა და ძალიან მალე, როცა წყაროსთან გაჩერდნენ წყლის დასალევად, ზუზუმ უკვე წყნარად და აუღელვებლად დაიწყო საუბარი:

– შენ მართალი ხარ, ჩიკო! ხომ იცი, ასე მემართება ყოველთვის, როცა იმ ნაძირლებზე მიდგება ხოლმე საქმე. მამაზე ცუდად გამომივიდა, ასე არ უნდა მეთქვა შენთვის. შენ იცი, რომ მამაშენზეც ისევე განვიცდი, როგორც მამაჩემზე. მათაც ხომ ერთად დაიწყეს ეს ბრძოლა. უბრალოდ, მინდოდა აზრი შემეცვლევინებინა შენთვის ამ სიტყვებით და სულ ეს იყო, მაგრამ ეს ცხელ გულზე მოხდა ასე. ახლა

კი, გავგრილდი და ყველაფერში გეთანხმები, – სიცილით დაასრულა ზუზუმ და კისერი ცივ წყალს შეუშვირა.

ჩიკო ისევ არაფერს ამბობდა. უყურებდა გადარეულ მეგობარს და ეღიმებოდა. ცხენებმა წყარო ჭენებით დატოვეს. მათი მხედრები ერთად მიქროდნენ მდინარის საპირისპიროდ, მაღლა მწვერვალებისკენ, რომლებიც კიდევ უფრო აგულიანებდნენ მათ გიჟურ ჩანაფიქრს.

* *

ზუსტად ერთი კვირის თავზე მოსახვევიდან, რომელიც სწორი, გრძელი გზის ბოლოში მოჩანდა, ეტლი გამოჩნდა, რომელსაც აქეთ-იქიდან სამ-სამი ცხენოსანი სამხედრო მოჰყვებოდა. ამ გზას ნაჩვევი კაცი იოლად მიხვდებოდა, რომ ძალიან ნელი სვლით მოდიოდნენ, იმის გათვალისწინებით, რომ ცხენების ფლოქვები ოდნავადაც არ ამტვერებდნენ კირისა და თიხის ნაზავით დაფარულ გზას. ერთი მხრიდან ამ გზას ნაძვით შეფენილი ფერდობი მოჰყვებოდა, რომლის კიდესაც ალაგ-ალაგ ჩამორღვეული მიწის კედლები ამაგრებდნენ მათშივე გამომსკდარი ფესვებით. მეორე მხარეს კი უძირო ხევი მზად იყო, ულმობლად გადაეჩეხა ყველაფერი, რაც კი მის კიდეს გასცდებოდა და მისსავე ძირში მობობოქრე მდინარე ფემფროსთვის გაეტანა, რომელიც მტვერივით აქრობდა ყოველივეს, რაც კი მისი ნადავლი გახდებოდა.

იქ, საიდანაც ეს ყოველივე ზუსტად ასე ჩანდა, შვიდი ხის ძირიდან შვიდი ლულა იმზირებოდა ამდენივე გამგელებული თვალით. ყველას გულისცემა ერთიორად აჩქარდა მათ დანახვაზე და ყველამ ძალაუნებურად სასხლეტს მოჰხვია თითი, საკუთარ თავში მეტი რწმენის შესაგრძნობად. ჯერ კიდევ იყო ფიქრის დრო და შვიდი განსხვავებული სახე სრულიად განსხვავებულ სივრცეში დახეტიალობდა, რომელთაც ერთი საწყისი ჰქონდათ – პირველი ნაბიჯი! ეს

ნაბიჯი სრულიად განსხვავდებოდა ბავშვის პირველი ნაბიჯისგან, რომელმაც იცის, რომ წაქცევისთანავე მივარდებიან, წამოაყენებენ და თავზე ხელს გადაუსვამენ. აქ წაქცევა კი სიკვდილის ტოლფასი იყო. სიკვდილისა, რომელსაც მავანნი, ქვეყნის სათავეში რომ მოქცეულიყვნენ, უცილობლად მოღალატის მანტიით შემოსავდნენ. ამიტომ ახლა, როცა ჯერ კიდევ არაფერი იყო დაწყებული, წაქცევა ყოვლად დაუშვებელი იქნებოდა, რადგან ჯერ ხალხმა არაფერი იცოდა მათი იდეის შესახებ, რომელსაც ეს ნაბიჯი ემსახურებოდა. იქნებ ხვალ, როცა პირველი ნაბიჯი გადაიდგმებოდა, ყველაფერი გასაგები გამხდარიყო, ნაწილისთვის მაინც, სანამ სრულყოფილად აიდგამდნენ ფეხს და ყველას კარში შეაბიჯებდნენ მეკვლედ. გარდა ამ ფუნდამენტური წუხილისა, ზოგიერთ მათგანში იყო უწყინარი ანგარებით გატაცებული აზარტიც, როგორიცაა საიდუმლოებით მოცული ძალაუფლება, შიში, სახელი, რაც წარმატების შემთხვევაში უცილობლად გაჩნდებოდა. რა შეიძლება ყოფილიყო იმაზე მიმზიდველი, როცა იმ იდუმალების ნაწილი ხარ, რომელსაც თავად ქმნი?! რა არის მასთან ერთი სამასკარადო დარბაზი ასობით ნიღბოსნით, მაშინ როდესაც საქვეყნო მასკარადს დგამ, ნიღბებსაც შენ ანაწილებ და მუსიკასაც თავად უკვეთავ?! უკვირდა კიდეც ზოგიერთ მათგანს, რატომ ფიქრობდა ამაზე, როცა აქ ყოფნის სათავე სულ სხვა რამ იყო. სინდისი ქენჯნიდათ დროგამოშვებით და თავის გაქნევით ცდილობდნენ მის მოცილებას.

ჩიკოს უეცრად მუცელში თითქოს გავარვარებულმა სხივმა გაუარა. რაღაც უცნაური შიში ესტუმრა ამ საბედისწერო წამს. საკუთარი თავისა და მომავლის შიშის ნაზავი, სინდისის ქარით მოტანილი. მოშორებით მეორე ქარბორბალა ბრდღვინავდა, ისიც სინდისისვე, ოღონდ სხვა ღირებულების და თუ პირველი მორალს ეფუძნებოდა, მეორე ამპარტავნული მომხიბვლელობით ათრობდა მის გონებას, – ნუთუ ადამიანის ბუნებისთვის აუცილებელია სათამაშო, თანაც ბინძური? – გაიფიქრა მან, – ან იქნებ ეს ის ცხოვრე-

ბისეული გასართობია, ადამიანს გაგიჟებისგან რომ იცავს? – ზუზუს გახედა, რომელიც თითქოს იღიმებოდა და გადაულაპარაკა:

– როგორც მახსოვს, მითხარი, ესკორტში ოთხი ცხენოსანი იქნებაო.

– გუშინ ღამემდე ეს ასეც იყო. ეტყობა, პოლკოვნიკმა ზედმეტი ყურადღება გამოიჩინა საკუთარი უსაფრთხოებისადმი, – ისე უპასუხა ზუზუმ, რომ არც შეუხედავს მისთვის.

– გამოდის, თავის დაზღვევა მოგვიწევს მომავალში.

– ეს ორი ზედმეტი ვაჟბატონი ცოტა ხანში ისევე დაემშვიდობება სიცოცხლეს, როგორც დანარჩენი ოთხი. – ტუჩების კვნეტით თქვა ბერიონმა, რომელიც ხეს ამოფარებული, იარაღის ლულას ხან ერთი ცხენოსნისკენ იშვერდა, ხანაც მეორისკენ.

როცა ეტლი თავისი მხლებლებით სასროლ მანძილზე მოახლოვდა, მეგობრებმა თავ-თავიანთი სამიზნეები გადაინაწილეს და ჩიკოს ელოდნენ, რომელსაც პირველს უნდა გაესროლა შეთანხმების თანახმად. ჩიკომაც დიდხანს არ დააყოვნა და ზალპით გასროლილი ტყვიები მეხივით დაატყდა თავს გზაზე მომავალ ესკორტს. ცხენები არეულად გარბოდნენ აქეთ-იქით, მარტოები თუ მათზე გადაკიდებული ფორმიანი კაცებით. მხოლოდ ერთზე იყო საღად შემორჩენილი სამხედრო, რომელსაც უვნებელს მოეხერხებინა გაქცევა თავქუდმოგლეჯილს და უკვე სასროლ მანძილსაც გასცლოდა. გისოსებიანი ეტლი გაუნძრევლად იდგა, საიდანაც გაოცებული სახეებით იყურებოდა ორი ბორკილებდადებული, რომლებიც კარგად ვერ გარკვეულიყვნენ, რა ხდებოდა. მოგვიანებით კი ყველაფერი გაიგეს, როცა სახეშენიღბულმა მეგობრებმა იარაღი აასხეს და ეტლის ცხენებით, რომელთაც სახრჩობელისკენ მიჰყავდათ ისინი სულ ცოტა ხნის წინ, ახლა მეორე სიცოცხლისკენ გააცილეს. გათავისუფლებულებმა მათთან დარჩენისა და ბრძოლის დიდი სურვილი გამოთქვეს, რაზეც ჩიკომ გარკვევით აუხსნა თავიანთი იმჟამინდელი მისია და, თუ მათაც სურდათ

იმავე საქმის კეთება, ეს მათ გარეშე უნდა ეკეთებინათ. სხვა შემთხვევაში, საუკეთესო გამოსავლად მან პატორში გადასვლა ურჩია და ბოლოს, ნებისმიერ მათ გადაწყვეტილებაში წარმატება უსურვა. ყოფილი ტუსაღები დიდი მადლიერებით გამოემშვიდობნენ უცაბედ მხსნელებს და იქაურობას გაშორდნენ. საინტერესო იყო ის ფაქტი, რომ ამ უკანასკნელთ სახრჩობელა მხოლოდ იმის გამო დაემსახურებინათ, რომ უზურის საწინააღმდეგოდ პროპაგანდა ბრალდებოდათ, რაც შემდეგ სხვადასხვა გამოგონილი ბრალითაც დაემძიმებინათ, ყულფი რომ შემოენასკვათ კისერზე. ასეთი კისერი ამ ქვეყანაში ბევრი მოიძებნებოდა და მათზე დაგეშილი სამსახური, ამ საქმეს წარმატებით ართმევდა თავს. ეს იყო საგანგებოდ შექმნილი, ეგრეთ წოდებული, უსაფრთხოების ორგანო და ის, სხვას არაფერს წარმოადგენდა, თუ არა საიდუმლო დასმენით დაწესებულებას, რომელსაც უზურზე განაწყენებული ხალხის გამოაშკარავება ევალებოდა. ამ სამსახურის სათავეში ადგილს, ისევე როგორც ყველა სხვა სახელმწიფო რანგის თანამდებობის უმეტესობას, უზურის წარმომადგენელი იკავებდა. ხელქვეითები კი ორივე ქვეყნის ნაზავისგან შედგებოდა. მათ მიერ გამოვლენილი ხალხის მართლმსაჯულებისთვის გადაცემაში კი უკვე მხოლოდ უზურის სამხედროები ერთვებოდნენ. ეს ვითომ იმით იყო გამოწვეული, რომ ადგილობრივი პოლიცია და ჯარი მხოლოდ შიდა საქმეებით ყოფილიყვნენ დაკავებულები, საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებს კი თავად მიხედავდნენ. თავიდან ეს ასე არ ყოფილა, თუმცა მას შემდეგ, რაც ხშირ შემთხვევაში ადგილობრივ პოლიციელთა ლოიალობა შეატყვეს მათივე თანამემამულეების მიმართ, ასეთი პოლიტიკა შეიმუშავეს.

და აი, ამ დღემ ისევ დააფიქრა მაღალჩინოსნები აღნიშნულ საკითხზე, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში, კიდევ არაერთი ასეთი დღეც მოჰყვა და ახლა უკვე მათი ფიქრები ლაპარაკმა შეცვალა. გავიდა ხანი და მოხდა ისეთი

რამ, რამაც ჯერ მმართველი და შემდეგ კი თვით მთავარიც ააღელვა.

ჩიკოს და მის მეგობრებს უკვე ოცამდე სიკვდილმისჯილისთვის ეჩუქებინათ თავისუფლება, რომელთაგანაც რამდენიმე სამხედროებთან შეტაკებისას დაიღუპა, დანარჩენებს კი ქვეყნის დატოვება მოეხერხებინათ. დღეს, ორწლიანი ბრძოლის შემდეგ, ჩიკოს მთელი ყურადღება სამ ადამიანზე გადაერთო, მათთვის დღე-დღეზე უნდა გამოეტანათ სასიკვდილო განაჩენი, მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი შეცდომით იმ ანარქისტებად მოენათლათ, რომელთაც სინამდვილეში თვითონ ხელმძღვანელობდა. საქმე ის გახლდათ, რომ რამდენიმე კვირის წინ, როცა მათ მორიგი სახრჩობელის გზას გაყენებული ტუსაღები უნდა ეხსნათ, მოულოდნელად, საპირისპირო მხრიდან მომავალი ორი პოლიციელი წამოადგათ თავზე და მათ ცეცხლი იმ დროს გაუხსნეს, როცა ჩიკოს და მის მეგობრებს ტუსაღები გამოჰყავდათ გისოსებიდან. ორივე ტუსაღის განაჩენი იქვე აღსრულდა, მათდა საუბედუროდ, და ჩიკომაც, თავის მეგობრებთან ერთად, იმის გამო, რომ ბერიონი სროლისას ფეხში დაიჭრა, რის ვაი-ვაგლახით დააღწია თავი იქაურობას.

ამ ამბის შემდეგ პოლიციელი, რომელმაც მეწყვილეც დაკარგა და თავიც გადადო, არა მხოლოდ მიამიტური ინსტინქტებით, არამედ პრაგმატული გათვლებითაც, რამაც საკუთარ ხელშიც გაასროლინა ერთი ტყვია, დარწმუნებით აცხადებდა, რომ ერთ-ერთი ანარქისტი ფეხში ჰყავდა დაჭრილი და, რომ მისი პოვნა უსაფრთხოების სამსახურს აღარ უნდა გასჭირვებოდა, თუ პატარა ჯილდოსაც დააწესებდა ასეთ ინფორმაციაზე. ახალგაზრდა ლეიტენანტი სახელად ობური, სვიფის მკვიდრი გახლდათ, რომელიც განგებამ ასეთ იღბლიან ამბავსაც შეასწრო. სამსახურში შესთავაზეს, დროებით ოჯახში დაბრუნება და დასვენება, თუმცა უარი თქვა. მკლავში გამავალი ჭრილობაც არაფრად ჩააგდო და ჩვენების მიცემის შემდეგ, ქალაქიდან ისევ მთაში დაბრუნდა. რამდენიმე დღეში მისი სიტყვებიც ასრულდა

და უსაფრთხოების სამსახურში ამბავი მოვიდა ერთ-ერთ ახალგაზრდაზე, რომელიც ფეხში იყო დაჭრილი. მაშინვე გადაამოწმეს ინფორმაცია, რის შემდეგაც დაჭრილიც და მისი ორი ამხანაგიც, რომლებიც იმ დროს მასთან სახლში მხოლოდ იმიტომ იყვნენ, რომ მეგობარი მოენახულებინათ, პოლიციაში გადაიყვანეს, რათა ფორმალური დაკითხვა ჩაეტარებინათ და უკვე სასამართლოსთვის ბრალწაყენებულები ქალაქში გადაეგზავნათ.

სინამდვილეში კი საქმე სულ სხვაგვარად იყო. ნადირობისას, შემთხვევით ერთ-ერთ მეგობარს გავარდნოდა ტყვია და მარჯვენა ფეხში მოეხვედრებინა მისთვის, თუმცა ვის-ვის და მმართველს მთელი მისი ამალით ეს საერთოდაც არ აინტერესებდა. მათთვის ის ფაქტი, რომ ვიღაც ფეხში იყო დაჭრილი, სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, ეს საბრალო მის მეგობრებთან ერთად სიცოცხლეს გამოესალმებინათ და ყველაფერი წინასწარვე ეზეიმათ. გამოძიებაც ჩაატარეს და როცა გამომძიებელმა დაჭრილი ლეიტენანტს ამოაცნობინა, მან ისევ პრაგმატულობის ერთგულებით განაცხადა, რომ სწორედ მარჯვენა ფეხში მოარტყა ტყვია, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ახსოვდა მარჯვენა ფეხზე მოხტუნავე ანარქისტი, იღლიებში ამომდგარი ორი მეგობარი რომ მიარბენინებდა ტყეში. მაგრამ ეს ხომ ხელს არაფერში შეუშლიდა. პირიქით, რაც მეტი იქნებოდა ასეთი, მით უფრო შორს წავიდოდა და თუ ხვალ ის მარცხენა ფეხში დაჭრილიც გამოჩნდებოდა, ხომ კიდევ უკეთესი. გამოვიდოდა, რომ ორი კაცი ეყოლებოდა დაჭრილი ერთის ნაცვლად, რაც მის გმირულ საქციელს გააორმაგებდა, ასე რომ, სანერვიულო აღარაფერი იყო და, თუ ბოლოს და ბოლოს სინდისზეც მიდგებოდა საქმე, მასაც საზღვრის მისადგომებთანვე გაუხსნიდა ცეცხლს. ფორმალობის შემდეგ ყველაფერი დამთავრებული იყო, გარდა მოსამართლის ჩაქუჩისა და იმ გაუსაძლისი წამებისა, რომელიც დანარჩენი ანარქისტების ვინაობის გასაგებად მზადდებოდა. სწორედ ეს იყო ის საში-

ნელი ფიქრიც და ტკივილიც, რომელიც ჩიკოსა და მის მეგობრებს მოსვენებას არ აძლევდა.

ოთხი დღით ადრე, სანამ სასამართლო ჩატარდებოდა, ეგრეთ წოდებულმა ანარქისტებმა ხელში ჩაიგდეს სვიფის პოლიციის უფროსი, იმ მიზნით, რომ უდანაშაულო ბიჭები გამოეხსნათ, მათივე მიზეზით რომ გამხდარიყვნენ გარემოების მსხვერპლნი. პოლიციის უფროსი ადგილობრივი გახლდათ, რომელმაც საკმაო ამბიციებიც გამოავლინა, ზუსტად იმ დღის შემდეგ, რაც ობურმა თავი გამოიჩინა და ანარქისტებს არ შეუშინდა. ჩიკოსა და მისი მეგობრებისთვის ცნობილი გახდა, რომ პოლიციის უფროსი დიდი მონდომებით არწმუნებდა და სთხოვდა ქვეყნის პირველ პოლიციელს, არაკის პოლიციის ჩართვის აუცილებლობაში ანარქისტების წინააღმდეგ და მაგალითად მისი ხელქვეითის თავდადება მოჰყავდა, თუმცა პირველი პოლიციელი ისედაც კმაყოფილი იყო თავის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურის მიღწევით ანარქისტების საქმეში და ამ საკითხზე მმართველის შეწუხებას აღარ აპირებდა. ჩიკოს აზრით კი, ამ საქმიდან ორი კურდღლის დაჭერა შეიძლებოდა. პირველი – უდანაშაულოები გაეთავისუფლებინათ მძევლის სანაცვლოდ და მეორე – თანამემამულე პოლიციელებს ჩართვა აერიდებინა თავიდან. მან კარგად იცოდა, რომ უცხო ქვეყნის ჯარს ებრძოდა და არანაირი სურვილი არ ჰქონდა, ადგილობრივ პოლიციას დაპირისპირებოდა. სწორედ ამიტომ გაგზავნეს მეგობრებმა ანონიმური წერილი სოფლის გაზეთში, რომელიც იმ დღესვე, ცეცხლივით მოედო მთელ ქვეყანას. წერილი იუწყებოდა პოლიციის უფროსის დატყვევების ამბავს და პირობებსაც მისი გათავისუფლების შესახებ, რასაც მმართველის სახლში მოკლე, მაგრამ საინტერესო საუბარი მოჰყვა, მასა და რამდენიმე ჩინოვნიკს შორის. ჩინოვნიკთაგან ერთი მაღალი იყო და სულ ფეხზე იდგა, მეორე – მსუქანი, მესამე – მელოტი, რომელიც სიგარეტს სიგარეტზე აბოლებდა, ხოლო თავად მმართველი უფორმო, ხანში შესული, ჭაღარა კაცი გახლდათ:

– ხედავთ, სადამდე გათავხედდნენ? მძევლებიც კი აჰყავთ და გამოსასყიდსაც ითხოვენ, თუმცა ამ თავხედობაში მე ბავშვურ ახირებას ვხედავ მხოლოდ, რომელიც რაც უფრო შორს წავა, მით უფრო მეტად დაიკარგება, – ცბიერი ღიმილით ლაპარაკობდა მმართველი, რომელსაც გაკვირვებული სახეებით შესცქეროდნენ მხლებლები.

– ვერსადაც ვერ დაგვეკარგებიან, ბატონო მმართველო. თუ სასამართლოს ათი დღით გადავდებთ, გპირდებით, მიწიდან ამოვიღებ! – არწმუნებდა უსაფრთხოების უფროსი და მაგიდაზე გაშლილ ხელს ისე ურტყამდა, თითქოს პირობის ნიშნად ბეჭედს უსვამდაო.

– ჩქარობთ, ბატონო უფროსო! თქვენ რომც ამოიღოთ ისინი მიწიდან, ხვალ მათი ახალი მიმდევრები აღმოცენდებიან და გულის სიღრმეში ხალხი ყოველთვის თანაუგრძნობს მათ. მინდა გითხრათ, რომ არც სასამართლოს გადადება იქნებოდა სწორი და არც მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება. ისინი ხვალვე უნდა ჩამოვახრჩოთ! – გადაჭრით თქვა მმართველმა, სავარძელში უკან გადაეშვა და ერთმანეთში ჩასმული თითები მკერდზე დაიწყო.

– ამაში მეც გეთანხმებით, ბატონო მმართველო, მაგრამ იქნებ გვეცლია რამდენიმე დღე უსაფრთხოებისთვის, როგორც თავად ამბობს. ბოლოს და ბოლოს, პოლიციის უფროსი ჰყავთ მძევლად, ვიღაც რიგითი ხომ არა? – მორიდებული წყენა გამოთქვა პირველმა პოლიციელმა, რომელიც, ყველასაგან განსხვავებით, საუბრის დაწყებიდან ფეხზე იდგა და ფარული ნერვიულობაც ეტყობოდა.

– მეც ზუსტად იმას ვამბობ, რომ პოლიციის უფროსი ჰყავთ და არა რიგითი, – ისევ ირონიული ღიმილით აგრძელებდა საუბარს მმართველი.

– ჩემი უპირველესი მოვალეობა, სწორედაც რომ, იმ ვაჟბატონების სახრჩობელაზე ჩამოკიდებაა, მაგრამ ამ ვითარებაში, მომიტევეთ, მაგრამ მეც პირველ პოლიციელსა და უფროსს ვეთანხმები, რადგან ათი დღე მათ კისრებს ისე ვერ გაუსქელებთ, რომ თოკი არ გამოებათ! – სიცილით და-

ასრულა მთავარმა პროკურორმა და სიგარეტის კვამლით სამი რგოლი გამოუშვა პირიდან, რასაც სხვების სიცილიც მოჰყვა, სანამ ისევ მმართველმა არ განაგრძო უკვე მთელი სერიოზულობით.

– საქმე ისაა, ამხანაგებო, რომ სხვებთან შედარებით, აქ ყველაზე განსხვავებული და რთული ხასიათის ხალხია. ამიტომ მათთან დელიკატური მიდგომაა საჭირო. ორი დღის წინ შექმნილი ვითარების შესახებ მთავარს ჩემი შეხედულება გავუზიარე წერილობით, რომელსაც ახლავე გაგაცნობთ და თუ ისევ განსხვავებული აზრის იქნებით, გთხოვთ, ისევე მომახსენოთ, როგორც აქამდე, რადგან საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ მიმიღია, მიუხედავად მთავარის თანხმობისა, რომელიც სრულ უფლებას მანიჭებს, ისე ვიმოქმედო, როგორც საჭიროდ მივიჩნევ. მე კი მგონია, რომ დადგა დრო, საქმეში ადგილობრივი რესურსის ჩართვის და ამის კარგი მაგალითი იმ თავგამოდებულმა პოლიციელმაც მოგვცა. კარგად მომისმინეთ! – ხმას დაუწია მმართველმა, – პოლიციის უფროსი მათი თანამემამულეა და, თუ მას მოკლავენ, ეს მხოლოდ მათ წინააღმდეგ იმოქმედებს, რადგან მის უკან სხვა პოლიციელები დგანან, ხოლო იმათ უკან კი, მათი ოჯახები. გამოდის, ყველა მათ წინააღმდეგ განეწყობა და მომავალში ანარქისტობის იდეას აზრი აღარ ექნება, რადგან ეს უკვე არა ჩვენს წინააღმდეგ, არამედ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლა გამოვა. მეორე საკითხი წახალისებას ეხება, რაც სამომავლოდ სხვებსაც მეტ ენთუზიაზმს შემატებს. ომახიანად უნდა შემოვძახოთ, აბა, თქვენ იცით, თქვენია ეს ქვეყანაო და ნახავთ, რა აღმოჩენებამდე მივლენ. ამიტომ თუ ანარქისტები თავის სიტყვას შეასრულებენ, სვიფის უფროსად სწორედ ის თავგამოდებული პოლიციელი უნდა დაინიშნოს, რომელიც თავიდან ბოლომდე გარდაქმნის ახლანდელ პოლიციას იმ ძალაუფლების წყალობით, რომელსაც მას მივანიჭებთ და რომელსაც ჩვენს ჯართან ერთად, ანარქისტების წინააღმდეგ საყოველთაო

ბრძოლა დაერქმევა. უფრო შორს თუ გავიხედავთ, მე მას თქვენს შემცვლელადაც კი მოვიაზრებ, ბატონო პირველო, მას შემდეგ, რაც თქვენი მრავალწლიანი ღვაწლი დაგიფასდებათ და მშვიდად დატკბებით სიბერით.

აუღელვებლად დაასრულა მმართველმა და პირველს შეხედა თვალებში, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდა, სულ რაღაც თითზე ჩამოსათვლელი წლები ჰქონდა დარჩენილი სახელმწიფო სამსახურში, ასაკობრივი ზღვარის გამო, ასეთ მოულოდნელ ამბავზე მხოლოდ მხრების აჩეჩვა მოახერხა და უცნაური უხერხულობის შეგრძნებით, ცარიელ სავარძელზე ჩამოჯდა. მთავარ პროკურორს და უსაფრთხოების უფროსსაც გაკვირვებული სახეები მიეღოთ, თუმცა ეს გაკვირვება აღფრთოვანებით უფრო იყო განპირობებული, ვიდრე წუხილით. აღფრთოვანებას მმართველის ესოდენ გენიალური ჩანაფიქრი იწვევდა მაშინ, როცა სევდიანი წუხილი თვითონ ამ ჩანაფიქრის შედეგს მოჰქონდა. გამოდიოდა, რომ დღეს თუ პირველ პოლიციელს შეცვლიდა ადგილობრივი წარმომადგენელი, ხვალ მათი დროც მოვიდოდა და ამაში პირადი ინტერესებისთვის სასიხარულო არაფერი იყო, მაგრამ ამავე დროს, სახელმწიფოებრივად ეს სასიხარულო და მეტიც, საზეიმოც კი უნდა ყოფილიყო. ყველაფერ ამის გამო, მმართველის სტუმრებმა მის მოსაზრებაზე ერთსულოვანი თანხმობა და მოწონება გამოხატეს და იქაურობა ჩაფიქრებულებმა დატოვეს.

ამ საუბრის შემდეგ, მოვლენები მმართველის გეგმით განვითარდა, თუ არ ჩავთვლით ერთ ნიუანსს, რომელმაც იგი მეტად გაანაწყენა, თუმცა მან მაინც იპოვა გამოსავალი და ყველაფერი ისევ საკუთარი გეგმის ჩარჩოებში მოაქცია. ნიუანსი ჩიკოს მოულოდნელ ნაბიჯში მდგომარეობდა, რომელმაც სამივე უდანაშაულოს ჩამოხრჩობის შემდეგ, გადაწყვიტა პოლიციის უფროსი გაეთავისუფლებინათ, რასაც მეგობრების დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა. ჩიკო მათ არწმუნებდა, რომ ყველა ღონე უნდა ეხმარათ, რათა თანამოძმე პოლიციელების ჩარევა აეცილებინათ თავიდან, რადგან

ერთმანეთის გადამტერება სიკეთეს არ მოუტანდა საერთო საქმეს. პოლიციის უფროსის გათავისუფლებით კი მტრობის ნაცვლად, პატივისცემას მოიპოვებდნენ. დიდი კამათის შემდეგ ჩიკომ მაინც შეძლო მეგობრების დაყოლიება და გათენებისას პოლიციის უფროსი გაუშვეს, რომელიც პირდაპირ ქალაქის გზას დაადგა და დილისთვის უკვე პირველი პოლიციელის კაბინეტში იკვეხნიდა თავის გამოგონილ ვაჟკაცობას, თითქოს და თავადაც დიდი წინააღმდეგი იყო გაცვლის პირობაზე და მზად იყო შესწირვოდა ამ საქმეს. პირველი პოლიციელი ასეთმა მოულოდნელმა ვიზიტმა დიდად დააბნია და თავისი სტუმრიანად მაშინვე მმართველისკენ გასწია. პოლიციის უფროსმა ახლა მმართველთან დაიწყო თავის წარმოჩენა, რომელმაც ორაზროვნად შეაქო ის და ხელების ფშვნეტით ოთახში წინ და უკან დაიწყო სიარული. მას თავის აქეთ-იქით ტრიალით აყოლებდა თვალს ზურგით მჯდომი პოლიციის უფროსი. ცოტა ხანში მმართველი მაგიდას მიუჯდა მის პირდაპირ და წყნარად ჰკითხა, სახლში თუ შეატყობინა მისი გათავისუფლების ამბავი. პოლიციის უფროსმა ბედნიერი სახით უპასუხა, რომ არამც თუ სახლში, არამედ მთელი გზაც ისე გამოევლო, რომ არავის შეემჩნია იგი. იმის თქმაც გაბედა, რომ კარგი იქნებოდა, დროებით საერთოდ თუ არ გამოჩნდებოდა, რადგან ეს კარგ საბაბად გამოდგებოდა ამ ღონისძიებაში პოლიციის ჩართვისთვის.

პირველი პოლიციელი თავისებურ სიამოვნებას განიცდიდა იმის გამო, რომ ვიღაც თავგამოდებული გმირი – ობური, რომელიც როგორც ჩანდა, მისთვის გაეტოლებინათ, ან სულაც მასზე წინაც დაეყენებინათ, სამომავლოდ ველარ დაიკავებდა ვერც პოლიციის უფროსის და ვერც მის ადგილს. თუმცა მმართველი ასე არ ფიქრობდა, რომელიც უკვე ღიმილით ასხამდა ქათინაურებს პოლიციის უფროსს მისი გამჭრიახი და შორსმჭვრეტელური მოქმედებისთვის. შემდეგ პირველ პოლიციელს მხარზე მოხვია ხელი, აივანზე გაიყვანა და სულ სამი სიტყვა უთხრა, რომლის გაგებაზეც პირველს თვალები გაუფართოვდა და გაოგნებული

უყურებდა მომღიმარ მმართველს, პოლიციის უფროსს რომ გაჰყურებდა მზრუნველი გამომეტყველებით. ოთახში შემოსულმა უთხრა, რომ ყველაფერს პირველი პოლიციელი მიხედავდა და ყოველივე ისე გაკეთდებოდა, როგორც საქმისთვის იქნებოდა უკეთესი. დამშვიდობებისას კი გულწრფელი სინანულით დასძინა, ძალიან ვწუხვარ, თქვენნაირი საჭირო კაცი რომ ჩაიგდეს ხელში იმ არამზადებმაო და იქვე ახარა, თქვენი ვალი ქვეყნის წინაშე პირნათლად გაქვთ მოხდილიო.

მეორე დღეს პოლიციის უფროსი სოფლის გზაზე წამებით მოკლული იპოვეს, რასაც არა მარტო პოლიციაში, არამედ მთელ ქვეყანაშიც ხალხის დიდი აღშფოთება მოჰყვა.

ჩიკოს და მის მეგობრებს ეს ამბავი მეხივით დაატყდათ თავს. ესეც შენი ანაბანაო, უკმაყოფილოდ გაიძახოდა ზუზუ და მასთან ერთად ყველა ჩიკოს ადანაშაულებდა მოვლენების ასეთ შემოტრიალებაში. ირონიით ამბობდნენ, სახლამდე უნდა მიგვეცილებინა ჩვენი ფეხითო, და იქვე სრული სერიოზულობით მოძღვრავდნენ, ნახევრად გადადგმული ნაბიჯი, მომდევნო ნაბიჯსაც უშლის ხელსო. მათი გაღიზიანება პოლიციელის სიკვდილი სულაც არ ყოფილა. ისინი წამების გამო იყვნენ ასე გამწარებულები, რამაც ხალხში დიდი გულისწყრომა გამოიწვია და მათი საერო საქმე საფრთხის წინაშე დააყენა ამავე ხალხის თვალში. თუმცა ჩიკოს ამ თვალებზე მეტად საკუთარი გულის თვალები აწუხებდა, სინდისს რომ მიჰყინვოდნენ და დაუყოვნებლივ ითხოვდნენ პასუხებს ბევრად უფრო საჭირბოროტო კითხვებზე, ვიდრე მის მეგობრებს წარმოედგინათ. იცოდა, თავად რომ მოეკლათ პოლიციელი, მწამებლების სახელს გადაურჩებოდნენ, მაგრამ მოძმის სისხლს – ვერა. ახლა კი პირიქით გამოვიდა და ყველაფრის მიუხედავად, სინდისი სუფთა შერჩა, რადგან ისე მოიქცა, როგორც მან უკარნახა. ამ წუთას მომავალი უფრო ადარებდა, რომელიც გარდაუვლად დააღვრევინებ-

და მოძმის სისხლს, თუ აქვე არ შეწყვეტდა ყველაფერს, მაგრამ მამის სისხლისთვის რა უნდა ეთქვა? ან სხვისი მამების სისხლისთვის? იმ სამი უდანაშაულოს სიკვდილში ხომ თავის ხელებსაც ხედავდა, სისხლის ჩამორეცხვას რომ ცდილობდნენ უშედეგოდ. მათთვის რაღა ჰქონდა სათქმელი? ბოლოს და ბოლოს, წარსულისათვის რომ გაენებებინა თავი, მომავალი სიკვდილმისჯილებისთვის როგორღა ეყურებინა მშვიდად?

უხმოდ მჯდარი, მხრებში მოხრილი ჩიკო ნელ-ნელა იშლებოდა და წერტილს, რომელიც შუა ფიქრში დაუსვა თითქოს ყველაფერს, თავზე მძიმე ბოძი დაასვა იმ საბოლოო ძახილისა თუ ღრიალის ნიშნად, რომელიც სულის ამოხდომამდე აღარ გაჩუმდებოდა. ნახევრად გადადგმულმა ნაბიჯმა მართლაც დაუმძიმა მეორე ფეხი, მაგრამ არა იმიტომ, რომ პოლიციელი არ მოკლა, არამედ იმიტომ, რომ თავიდანვე ნახევარი ნაბიჯი ჰქონდა გადადგმული, სანამ მძევლად აიყვანდნენ. ამიერიდან კი, ყველა ნაბიჯს ბოლომდე გადადგამდა და ისე დააბიჯებდა, რომ კვალსაც შთამბეჭდავს დატოვებდა. ასე რომ, იმ შემთხვევაში, თუ მისი მოძმეები მათ დაუპირისპირდებოდნენ, ისინი მოღალატეები გამოდიოდნენ, რაც მტრობაზე ბევრად საშიში და უპატიებელიც იქნებოდა და არც არაფერს აპატიებდა. ბოლოს ჩიკომ გრინგოს სიტყვებიც გაიხსენა, როცა დაჭრილი ბერიონის გადასარჩენად მივიდნენ მასთან და შუა ლაპარაკში უთხრა, რომ იმაზე დიდი სიბინძურეებისთვის უნდა ყოფილიყო მზად, ვიდრე წარმოედგინა და, თუკი აქამდე ყველაფერი ცოცხალი ბრძოლის ხერხებით მიდიოდა, ახლა პოლიციელის მკვლელობას, რომელიც ჯერ გაეწირათ და მერე კი მისთვისვე შეეწირათ, ყველაფერი გაეხრწნა და დაელპო. ეს უთხრა მას შემდეგ, რაც დიდი გაჭირვებით მიაღწიეს მის სახლს ბრძოლაგამოვლილმა ანარქისტებმა. მანამდე კი, შემთხვევის ადგილს გარიდებულმა მეგობრებმა, დაბნელებამდე იარეს, კარგად რომ გასცლოდნენ ავბედით ადგილს. ყველასთვის

ცხადი იყო, რომ სოფელში ბერიონის ასე გამოჩენა არ ივარგებდა, თუმცა მხოლოდ ფეხზე შემოჭერილი ქამრის იმედადაც ვერ დატოვებდნენ გარეთ დიდხანს. ბევრი დრო არ ჰქონდათ მოსაფიქრებლად მისი წითლად შეღებილი ფეხის შემხედვარეებს და როცა თავგზააბნეულმა ჩიკომ გრინგოს სახელი ახარა მეგობრებს, ისინიც უხმოდ გაუყვნენ მისი სახლისკენ მიმავალ გზას, თუმცა კი, დიდად აწუხებდათ ეს მოულოდნელობით გამოჩენილი აუცილებელი გზა, რადგან არცთუ ისე მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდათ მასთან ბავშვობის შემდეგ და ასეთ საქმეში ნდობის გამოცხადება თავის რისკებს აჩენდა... და მაინც, ყველას კარგად ახსოვდა ბავშვობაში სხვადასხვა ბალახში გახვეული გრინგოს გაკვეთილ-გაკერილი ბაყაყები თუ თაგვები. ახსოვდათ მისი სახლის კარიც, რომელიც ყველაზე ახლოს მდებარეობდა მათი ადგილსამყოფლიდან და რაც მთავარია, მათდა სანუგეშოდ ახსოვდათ ისიც, რომ ის მარტო ცხოვრობდა. ახლა მთავარი ის იყო, რომ მის სახლს შეუმჩნევლად მისდგომოდნენ და არავის გაეგო მათი სტუმრობა, თუმცა მისი სოფლისგან განმარტოებული მდებარეობის გამო, მონადირე ან ტყის კაცი თუ გადაეყრებოდათ მხოლოდ. მიახლოებისას კუშემ და დანარჩენებმა სურვილი გამოთქვეს, გრინგოს არ დანახებოდნენ და მხოლოდ სახლამდე მიეცილებინათ ბერიონი, რომელიც რამეს მოიფიქრებდა მის ჭრილობაზე და გრინგოც ვერაფერს გაიგებდა. ამაზე ჩიკოს და ზუზუს ერთნაირი პასუხი გაუჩნდათ, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ არც მეგობრის მარტო დატოვება იქნებოდა სწორი და არც გრინგოს მოტყუება, როცა მათი სტუმრობის გამო საფრთხე მასაც ემუქრებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ყველაფერი გამოაშკარავდებოდა. ასეთ პასუხზე საპასუხო არაფერი ჰქონდათ თითქოს, თუმცა კუშემ, მცირე ჭოჭმანის შემდეგ, ისევ განაახლა ამაზე ლაპარაკი და ყველაფრის კარგად აწონ-დაწონა ურჩია მეგობრებს. სასწორზე კი სოფლის მახვილი თვალი შეაგდო, რომელიც მისი სიტყვებით

ყველაფერს ამჩნევდა და აჯობებდა, თუ მათი ნაწილი მაინც სოფლისკენ წავიდოდა მას შემდეგ, რაც გრინგოს სახლს მიუახლოვდებოდნენ, რათა გათენებამდე შეუმჩნევლად დაბრუნებულიყვნენ სახლებში. ჩიკოს არ სიამოვნებდა მეგობრების ამგვარი თავის არიდება პირველივე სახიფათო დაბრკოლებაზე, თუმცა ვერც იძულებაში ხედავდა გამოსავალს და ამიტომ ამჯერად არაფერი უპასუხია. მისი აზრით, ის, რაც მანამდე თქვა, კუშეს მოსაზრებას ახლაც ისევე აკმაყოფილებდა, როგორც პირველ შემთხვევაში და, თუ ეს უკანასკნელი მაინც ვერ კმაყოფილდებოდა, მაშინ ლაპარაკი უფრო მტკივნეულად უნდა გაეგრძელებინა, რის დროსაც და ადგილსაც ის აქ ვერ ხედავდა. ალბათ კუშემაც ზუსტად ასე აღიქვა ჩიკოს დუმილი და მასაც, უკმაყოფილო გამომეტყველების მიუხედავად, მთელი გზა აღარ ამოუღია ხმა, ისე მიადგნენ ფიჩხებით აჩონჩხილ ღობეს, ზედ ტყის პირს რომ ესაზღვრებოდა.

– ჩვენთვის დაუდგამთ ეს სახლი ამ დალოცვილებს. ტყიდან თავის გაყოფაც არ მოგვიწია, მაგრამ სტუმარი ჰყავდეს იქნება და კარგად უნდა დავზვეროთ სახლი. ყველა ერთად ხომ ვერ მივადგებით ასე გაურკვევლად, – შვებით ამოთქვა კუშემ და თითქოს ჭიშკარს დაუწყო ძებნა. ჩიკო მაშინვე ღობეზე გადახტა, რაზეც ზუზუმაც დაუფიქრებლად მიბაძა და სიბნელეში დაიკარგნენ. ზუზუ მალევე დაბრუნდა უკან და მეგობრების დახმარებით, ბერიონი, რომელსაც უკვე გონება დაეკარგა, სახლში შეიყვანეს.

კუშე, სამი, ოთხი და ხუთი შეშის ღუმელის წინ, გრძელ სკამზე ჩამომსხდარიყვნენ თავჩაქინდრულები, საიდანაც სითბოსთან ერთად სინათლეც ბჟუტავდა, კარში ამოჭრილი საჰაერო ნახვრეტებიდან. სვიფში, ოქტომბერში ასეთი ღუმელის ატკაცუნება ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ და სამმაც უკვე მეორედ შეუძახა შეშის პატარა ნაჭერს დახვრეტილ კარში, მას მერე, რაც მისი დახმარებით მეორე, უფრო დიდი ზომის კარი გამოაღო და რამდენიმე კარტოფილს შე-

უძახა შიგნით. ჩიკო საწოლზე წამოწოლილიყო. ცალი ხელი შუბლზე შემოედო და ათას რამეზე ფიქრით გაჰყავდა დრო. ზუზუ გვერდითა ოთახში გრინგოსთან ერთად ბერიონს ჭრილობის დამუშავებაში ეხმარებოდა. ოთახიდან დროგამოშვებით ამ უკანასკნელის მტანჯველი ღმუილის ხმა გამოდიოდა. ჩიკო საწოლიდან წამოვარდებოდა ხოლმე იდაყვებზე დაყრდნობილი და ამღვრეულ თვალებს კარს მიაშტერებდა, თითქოს მის გაღებასა და ამბის გაგებას ელოდებოდა, – ყველაფერი კარგად არისო, რომ ეტყოდნენ. კარი მართლაც გაიღო, ოღონდ კარგა ხნის შემდეგ, რომელშიც ჯერ სანთელმომარჯვებული ზუზუ და მერე გრინგო გამოჩნდნენ. გრინგო ღუმელს მიუჯდა, ჯამში მოთავსებული სამედიცინო იარაღები ღუმელზე დაადგა და სველი, დაკომბლილი ხელები გასაშრობად მიუშვირა. ვერცერთი ვერ ბედავდა კითხვის დასმას. ბოლოს თვითონვე წამოდგა და პირჯვარი გამოისახა:

– მადლობა ღმერთს. ბეწვზეა გადარჩენილი. რამაც მოგკლას, იმანვე მოგარჩინოსო, ხომ გაგიგიათ. ზუსტად იმ ტყვიამ უშველა, წამალივით რომ გაეჩხირა ძვალში. მისი ადგილიდან დაძვრა არ შეიძლება და არც არაფერში შეუშლის ხელს. ერთ თვეში ფეხზე დადგება და ამ საქმის კაცი ერთ ტყვიას კი უნდა ატარებდეს სულ თან, – სიცილით თქვა გრინგომ, რამაც ყველა გაახალისა და უკვე მოურიდებლად უსვამდნენ ცნობისმოყვარე კითხვებს. გრინგო ოთახიდან გავიდა და მალევე არყის დოქით ხელში შემობრუნდა.

– ახლა დროა, თქვენც გიმკურნალოთ, – ომახიანად თქვა გრინგომ, რამაც მეგობრები გამოაცოცხლა, თოფები კუთხეში მიაწყვეს და მაგიდას მიუსხდნენ.

დიდი მკურნალობა არ დასჭირვებიათ, ისე ჩასთვლიმათ სკამებზე. მხოლოდ გრინგოს არ აძინებდა რაღაც. კუთხეში აყუდებულ კაცისმკვლელ იარაღებს გახედავდა ხოლმე შიგადაშიგ ცერად, ზიზღით და მაშინვე ჯამიდან გამოწვდილი, მხსნელი სამედიცინო იარაღებით კვეთდა სასხლეტებს, ვი-

დრე ბერიონის კვნესის ხმა არ გაახსენებდა თავს და ისიც მაშინვე მასთან ჩნდებოდა.

მეორე ღამით, დიდი მსხლის ქვეშ, აგიზგიზებულ ცეცხლზე შეწითლებული ბურვაკი ტრიალებდა. ბევრად უფრო მხიარულად გამოიყურებოდა, ვიდრე დილით, ტალახიან გუბეში მონავარდე. დროდადრო ნიავი დაუბერავდა და ზევიდან ჩამოვარდნილი მსხალი მის ცხვირწინ დაეცემოდა. მისი დაღებული პატარა დინგი თითქოს მზად იყო, შეეხრამუნებინა, თუმცა მის ნაცვლად წითელი ბოლოკი შერჩა პირში, გრინგომ რომ ჩასჩარა ცეცხლიდან ჩამოხსნისთანავე. ასე დამშვენებული გადმოდო პატარა მაგიდაზე და თავადაც ჩამოჯდა მის ძირში გაწოლილ გრძელ ჯირკზე.

– რახან ასე თავისუფლად დადიხართ, ძმობილო, გამოდის, ხალხმა ჯერ კიდევ არ იცის თქვენი ვინაობა. მიხარია, მაგრამ ჩემი აზრით, დიდხანს ვერ იქნება ასე. ხომ იცი, დიდი ფულადი ჯილდოა დაწესებული იმ უცნობი ანარქისტების ვინაობის დასადგენად და ხვალიდან კიდევ უფრო გაიზრდება, თქვენი ნამოქმედარიდან გამომდინარე, – ერთდროულად გამოხატა შეწუხებულმა გრინგომ თავისი დარდიც და რჩევაც.

– არც მთლად ასე ცუდად უნდა იყოს საქმე ჩვენს მხარეში. ბევრს უნდა უხაროდეს კიდეც, ვინმე თუ აკეთებს ამ საქმეს, – მოკლედ მოუჭრა ჩიკომ და თემის შეცვლა დაუპირა, მაგრამ გრინგოს თავისი წუხილი მაინც ალაპარაკებდა.

– კი ხედავთ, არაფერი მიკითხავს წუხელს აქეთ, მაგრამ სულ უთქმელობაც არ ვარგა, თუ მეგობრები ვართ. მართალს ამბობ შენ. უხაროდეს იქნებ კიდეც უმეტესობას, მაგრამ არა იმ ერთეულებს, ვინც კარგად მოერგო დღევანდელ ყოფას. სასწაულია, მაგრამ ის უმეტესობა გულშემატკივარი უფრო საშიშია, იმიტომ რომ, ჯერ ერთი, მეტნი არიან და მეორე, როგორც კი ფორტუნა შენს ბანქოს ამოუგდებთ, მაშინვე ის ერთეულები გაახსენდებათ და თვითონაც

იქ მოინდომებენ აცოცებას. ეს ცხოვრების ბინძური წესია და ჩემგან არ გესწავლება...

მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა და მერე ჩიკომ, რომლის სახეზეც კმაყოფილება იგრძნობოდა, წყნარი ხმით და ორაზროვნად უპასუხა: – თუ ფორტუნა ასე ინებებს, მერე უფრო საინტერესო გახდება ყველაფერი.

– რას გულისხმობ? თავს შესწირავ და ფიქრობ, გმირებს შობ ამ საქმის გამგრძელებლად?

– არა, გრინგო! არც ისეთი გულჩვილი ვარ, ჩემი ფეხით ავიდე სახრჩობელაზე, თუმცა არც მისი შიშით საკუთარი თავის ღალატი მიმაჩნია სწორად.

– შიში რთული ამბავია და ასე ზერელედ არ ივარგებს მასთან მიდგომა, – თითქმის აღელვებული ლაპარაკობდა გრინგო.

– შიში? – თავი ჩაღუნა ჩიკომ და ქვემოდან გახედა მეგობრებს. მერე თვალები დაუვიწროვდა, წამოიწია და თქვა ის, რაც არც ისე იოლი სათქმელი იყო მისთვის, – მუცელში თუ გქონიათ ისეთი შეგრძნება, თითქოს წერტილად ქცეულიყოს ყველაფერი წამიერად?

ორივემ ერთმანეთს გადახედეს გაკვირვებულებმა და არაფერი უპასუხიათ.

– ალბათ, ხშირად. შიშს ადამიანი მუცლით გრძნობს თავიდან და მერე ატარებს მთელ სხეულში. შიმშილსაც მუცელი გრძნობს პირველი. მშიერი კაცი ბევრ რამეზეა წამსვლელი, თუ ყველაფერზე არა. ასეა მშიშარა ადამიანიც. მშიერი კაცი თუ დანაყრდება, აღარაა საშიში. შეშინებული კაციც აღარაა საშიში, თუ დაძლევს შიშს და ლაჩრად არ დარჩება.

გრინგო თვალებგაფართოებული უყურებდა ჩიკოს, თითქოს რაღაცა იგრძნო მუცელშიო. მერე ცნობისმოყვარე ბავშვივით იკითხა: – ისიც ხომ არ იცი, რატომ არის ასე, რატომ მუცელი და არა...

– მე ის ვიცი, რასაც მე ვფიქრობ და თავს ვერ დავდებ მის სისწორეში. ალბათ, იმიტომ, რომ ყველა მუცელში ატა-

რებს ცხრა თუ შვიდ თვეს მაინც. მუცელში იკვებება ამ ხნის განმავლობაში და მუცელშივე იგებს პირველ და უდიდეს შიშს, როცა მას ტოვებს.

ზუზუმ არყის ჭიქას დაავლო ხელი და გადაჰკრა. მერე ჩიკოს შეხედა გაოცებული სახით და როგორც დიდ ბრძენს, ისე შეეკითხა:

– სიმამაცე სად იბადება, ჩიკო?

– ალბათ გულში, ზუზუ! გულში ხომ ბევრი კეთილშობილური განცდა იბადება. ყველაზე დიდი შვილი კი სინდისი უნდა ჰყავდეს და როცა რამე ეშლება ადამიანის გულს, ისაა უკანასკნელი ჯარისკაცი მასთან საბრძოლველად.

მოულოდნელად საიდანღაც ქარმა დაუბერა ძლიერად. მთელი ტყე და მათი მსხლის ხეც ერთიანად აშრიალდა. ამ უკანასკნელის ხმამ ჩიკოს შორეული ტალღები მოაგონა, რამაც მისი ფიქრები ზღვის ნაპირისკენ გაიტაცა, სადაც მხოლოდ ამაფორიაქებელი ხასიათის გამომხატველი სიცილის ხმა ისმოდა. ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა, როცა იგი ნაპირზე დაეხეტებოდა და ოცნებებში დაცურავდა, სადაც მიგდებულ ნავს უახლოვდებოდა, ფრთხილად მოხვევდა ხელებს შავ თმაში დამალულ მხრებს, მისკენ შემოატრიალებდა და ეს უკანასკნელიც სწორედ მაშინ ქრებოდა ნავიდან, თითქოს ზღვამ ჩაყლაპაო და ჩიკოც მასში ეშვებოდა თავით, იმ იმედით, რომ იპოვიდა სირინოზად ქცეულს, თუმცა ამაოდ. ნეტავ რას აკეთებსო, გაიფიქრა ახლაც და ტუჩის კუთხეში ღიმილი შეეპარა, – რა სისულელეა, რა სიყვარული! ხვალ ისევ გაქრება ყველაფერი და... – ფიქრი ზუზუს სიტყვებმა გააწყვეტინა, რომლებიც თავისებურად ეჩვენა ჩიკოს.

– არაფერი უკვალოდ არ ქრება, გრინგო! ჩვენ რომ წავიდეთ, სულ ცოტა ერთით მეტ ჯვარს დავტოვებთ ამ მიწაზე, ჩვენივე საფლავების თავში აღმართულს.

– უცნაური დამთხვევაა. გაქრება-არ გაქრება!.. – რამდენჯერმე გაიმეორა გონებაში ჩიკომ.

– ეგ ხომ მაგის გარეშეც არ აგვცდება, ძმობილო, – ისევ დაიბრუნა საწყისი მდგომარეობა გრინგომ.

– სამაგიეროდ, შეიძლება ჩვენ ავცდეთ მას. ასეც ხომ შეიძლება მოხდეს? – გულმოსულმა შეუტრიალა კითხვა ზუზუმ.

მართლები არიან, – ჩაფიქრდა გრინგო, რომელსაც უცნაური შეგრძნება არ ანებებდა თავს. ადექი და შენც მათ გაჰყევიო, ჩასძახოდა თითქოს ჩურჩულით ვიღაც თუ რაღაც. შენს ოჯახსაც ხომ შეეხო ეს ყველაფერი და ჯვარიც ხომ შეგმატათ სოფლის ბოლოში დადუმებულ სასაფლაოზეო... არ ჩუმდებოდა ეს ვიღაც თუ რაღაც, რომელიც მალევე ჩიკოს ნახსენებ სინდისის ჯარისკაცად გადაიქცა, მაგრამ მისი დათანხმება შეუძლებელი იყო. მას, ვისაც სიკვდილისგან უნდა ეხსნა ადამიანი, როგორ შეეძლო მოეკლა ვინმე?! თანაც, მარტო ეს ხომ არ იყო. ბოლოს და ბოლოს, თვითონაც ხომ ჩაიგდო თავი საფრთხეში და დაეხმარა მეგობრებს? ჰოდა, დღეისთვის თავისი წვლილი შეტანილი ჰქონდა ამ საქმეში და ხვალინდელზე ხვალ იფიქრებდა. აუცილებლად იფიქრებდა და დღევანდელზე მეტსაც გააკეთებდა! მაშინვე ვიღაც თუ რაღაც გაქრა და ისიც მძიმე ნაბიჯებით, დაცლილი არყის დოქით ხელში სახლისკენ გაემართა.

მესამე დოქი დაეცალათ, ცეცხლისგან კი მხოლოდ ნაკვერჩხალი დარჩენილიყო, რომელიც დროდადრო ოდნავ წამოენთებოდა ხოლმე სიოს დაბერვაზე. ყოველ ასეთ ალებაზე ლურჯი თვალები ვარსკვლავებივით ციმციმებდნენ ზუზუს განიერ კისერს აყოლებულ მოგრძო სახეზე. მოულოდნელად იძაბებოდა, რა დროსაც ეს კისერი ჩვევისამებრ თავს გვერდზე ატრიალებინებდა კანტურით ხოლმე, თითქოს რაღაცაში გარკვევას ცდილობდაო. ახლაც, სწორედ ასე შეატრიალა თავი სიოს დაბერვაზე და გრინგოს მიაშტერა მზერა, რომელიც უკვე მათკენ მოდიოდა მორიგი სავსე, გამჭვირვალე დოქით.

– ნეტავ ბიჭები როგორ მივიდნენ? – იკითხა უკვე სუფრასთან მოსულმა გრინგომ და სამივე ჭიქა არყით შეავსო.

– ჯერ ისევ გზაში უნდა იყვნენ. ტყე-ტყე სიარულს მეტი დრო მიაქვს, მაგრამ თუ რამე ხიფათს არ გადაეყრებიან, ბევრიც აღარ უნდა დააგვიანდეთ სოფლამდე, – დაამშვიდა ზუზუმ.

– საჩქაროც არაფერი აქვთ, – დაამატა ჩიკომ, – სოფელს ჯერ კიდევ არ სძინავს ბოლომდე და გვიან მისვლა ბევრად უსაფრთხოცაა.

– სოფელი არასოდეს იძინებს ბოლომდე, ჩიკო! ყოველთვის გამოჩნდება ვიღაც მთვრალი მაინც, ფეხი რომ ერევა, მაგრამ მხედველობიდან არავინ გამორჩება. ასეთები სწორედ ვინმეს ეძებენ, ლაპარაკი რომ გაუბან, თავიანთ ამბებზე ტრაბახითა თუ ჩივილით. ისინიც რომ არ გამოჩნდნენ, ძაღლებს ხომ მაინც ვერ გამოაპარებ ვერაფერს. მათ მზერას თუ დაემალე, სმენა მაინც მოგწვდება და მთელი სოფლის ძაღლებს აიყოლიებენ ყეფა-ყეფით... აიყოლიებენ და ფარდებიც შეირხევა ხოლმე ზოგ-ზოგიერთების სარკმელში. ამიტომ ნუ იქნები, ძმობილო, მძინარე სოფლის იმედად, – მეგობრული რჩევით თქვა სათქმელი გრინგომ, რის შემდეგაც კუშეს, სამს, ოთხსა და ხუთს, რომლებიც რამდენიმე საათის წინ გააცილეს, გზა დაულოცა.

– მღვიძარე სოფლის იმედად ვერ იქნები კაცი და მძინარისაზე ჩემი მტერი იყოს! – სიცილით უპასუხა ჩიკომ და მანაც გზაში მყოფი მეგობრები ადღეგრძელა.

კარგა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. არადა, ლაპარაკი ახლა უფრო იოლი უნდა ყოფილიყო, როცა ბახუსი ყველაფერს ათქმევინებდა კაცს, რაც კი მოსწონდა თუ არ მოსწონდა, მაგრამ გრინგოს ესეც ვერ ეხმარებოდა პირდაპირ, მიკიბ-მოკიბვის გარეშე ეთქვა თავისი გულის ტკივილი. კარგად იცნობდა ჩიკოს და იცოდა, რომ ამით აზრს ვერ შეაცვლევინებდა, ჩანაფიქრს ვერ გადააფიქრებინებდა, მაგრამ ვალი ხომ უნდა მოეხადა საკუთარი თავისა და მეგობრის წინაშე?

უფრო საკუთარი თავისადმი, რადგან მოუსვენრობა, რომელიც თავს აუტეხა, თქმითაც ვერ შეუმსუბუქდებოდა დიდად და უთქმელად ხომ საერთოდ გამოღრღნიდა კუთხეში მომწყვდეული თაგვივით. უცებ, ელდანაკრავივით მის წინ, მაგიდაზე წამოსკუპებულ ჭიქას დაავლო ხელი და წამში დაცალა. მერე მძიმედ ამოიოხრა და საფანტივით ისროლა რამდენიმე სიტყვა:

– სჯობს, ყველაფერი შეწყვიტოთ, სანამ გვიანი არ არის! – მის ამ სიტყვებში, ერთი ამოსუნთქვით რომ იყო ნათქვამი, ერთდროულად ბრძანებაც იგრძნობოდა და მუდარაც, ასეთ იშვიათ კონტრასტს რომ აჩენდა მის ემოციასა და გრძნობას შორის.

– კი მაგრამ, ვინმემ ხომ უნდა აკეთოს ეს საქმეც? – უკმაყოფილოდ შეეპასუხა ზუზუ და თავის კანტურს მოჰყვა.

– ეს უკვე გავიგე ჩიკოსგან. უნდა უხაროდეთ კიდეც, ვინმე თუ აკეთებს ამას, – ახლა უკვე მხოლოდ სიბრაზე ალაპარაკებდა გრინგოს, – მაგრამ ჩემი აზრით, საქმის კეთებას რაც შეეხება, იმაზე მთავარი, თუ რა გაგიკეთებია კაცს, ის არის, თუ რა არ გაგიკეთებია! ბოროტება ბოროტებით არ იკურნება, ზუზუ. ბევრი რამის გაკეთება მოგიწევთ თქვენც, ისეთის, რომ არ არის გამართლებული, თუ უკვე არ მოგიწიათ და გიფიქრიათ ამაზე?

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა დააფიქრა გრინგოს ამ ვითომდა მარტივმა გამონათქვამმა, რომელიც მისი აზრით, მართლაც ღირდა დასაფიქრებლად. გრინგოც კი, რომელსაც ეს გაუაზრებლად მოსდგომოდა ენაზე, ახლაღა ხვდებოდა, თუ რა კარგად გამოსვლოდა პასუხი და თვითკმაყოფილი აკვირდებოდა ჩაფიქრებულ მეგობრებს.

– მეც გამიგონია, ბოროტებას სიკეთით უნდა ებრძოლოო, როგორც ზღაპრებში, მაგრამ ზღაპარი იმიტომ არის ზღაპარი, რომ ის გამონაგონია! იქაური სიკეთე, ურჩხულის ვარდი და თოვლში ამოსული ენძელაა. აქაური სიკეთე კი თოვლის უწყინარი გუნდაა, რომელსაც შეუძლია, ზვავად

აგორდეს და წაგლეკოს, – ჩვეული სიფიცხით შეეპასუხა ზუზუ, რომელიც მაშინვე ჩიკოს მშვიდმა ხმამ ჩაანაცვლა:

– სწორად თქვი, გრინგო!.. აკრძალვას ყოველთვის მეტი ძალა აქვს ვიდრე დაშვებას. შენი სიტყვებით თუ შევცვლით, პირველი არგაკეთება გამოდის და მეორე – გაკეთება. წერილშიც, მთავარი ათი მცნებაა და აქედან რვა არ გააკეთოო, გვეუბნება. უფრო ადრე მხოლოდ ერთი აკრძალვა იყო, მაგრამ ის ვაშლიც შევჭამეთ და მიუხედავად ამისა, ვიცი, რომ მეც ბევრ აკრძალვას დავარღვევ ნებსით თუ უნებლიეთ, მაგრამ არაფრის კეთებას ისევ იმის კეთება მირჩევნია, რაც სწორად მიმაჩნია. ასე მონანიება მაინც შეიძლება გაჩნდეს, უმოქმედობით ისიც არ მოვა ალბათ.

– ზუსტად აღნიშნე, თავიდან ერთი აკრძალვა იყო, ახლა კი რვაო. გამოდის, გცოდნია, რომ რაც უფრო შორს მიდის ადამიანი, მით მეტი ლაგამი სჭირდება გასაჩერებლად. ვისაც ვერც ლაგამი აჩერებს და ვერც გამჩენი, როგორც წესი, ცის რისხვა ატყდება თავს სწორედ მაშინ, როცა...

და იმ წამსვე, სანამ სიტყვას დაასრულებდა გრინგო, მათ თავზე ძლიერი ჭექა-ქუხილის ხმა გაისმა. ცა შუაზე გაიყო თითქოს. დაბზარული ციდან გამოსროლილმა სინათლემ გაიელვა და სამი განწყობა სურათივით აღბეჭდა ერთიან კადრში. სამივე მათგანში იყო მტკიცე გადაწყვეტილება რაღაცის აკრძალვისა, რომელსაც ვერაფერი შეცვლიდა.

* *

ტყვეობიდან გათავისუფლებული პოლიციელის მოკვლამ კი, არა მარტო ჩიკოსა და მისი მეგობრების, არამედ მთელი ქვეყნის ყოფითი ხედვაც შეცვალა. კერძოდ კი ისე, რომ სვიფში უკვე პოლკოვნიკად ქცეული, თავგამოდებული პოლიციელი დაინიშნა პოლიციის უფროსად და ანარქისტებთან ბრძოლის პრივილეგიაც მიენიჭა. ისინი

ხომ უკვე არა მხოლოდ უზურის მტრები იყვნენ, ან თუნდაც არაკის, არამედ საერთო მტრებად შერაცხილიყვნენ. ისევე, როგორც მთელ ქვეყანაში, პოლიცია შეუზღუდავად უფლებამოსილი გახდა, ნებისმიერი საფრთხისგან დაეცვა ამ ქვეყნის მოქალაქეები თუ მისი სტუმრები. სულ მალე მათ დააპატიმრეს უზურის ორი წარმომადგენელი, ეგრეთ წოდებული სტუმარი, თუმცა მიზეზი ისეთი უცხო სიტყვებით იყო გაცხადებული, რომ ბევრმა საერთოდაც ვერ გაიგო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ასეთი მოულოდნელი სიახლით იმდენად მოხიბლულნი იყვნენ, რომ არც კი აინტერესებდათ ამ ახალგამომცხვარი სახელწოდების მნიშვნელობა. მთავარი იყო, რომ ისინი მათ გაუტოლეს და იმავე უფლებებით შემოსეს. ახლა სამართალი ეჭვქვეშ ველარ დადგებოდა და ანარქისტების დევნაც ისეთივე სამართლიანი იქნებოდა, როგორიც იმ ორი სტუმრისა, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი სასამართლოს შემდეგ უზურში გაისტუმრეს, ვითომდა იქაურ ციხეში პატიმრობის ვადის მოსახდელად. სინამდვილეში კი დააწინაურეს და მორიგ მიზანში ამოღებულ ქვეყანაში გაამწესეს სატყუარად.

მოვლენების ასეთი განვითარების გამო, ჩიკომ და მისმა მეგობრებმა გადაწყვიტეს, წყნარად ედევნებინათ თვალი ვითარებისთვის და განსაზღვრული დროით შეეწყვიტათ თავიანთი ბრძოლა. ეს საუკეთესო პასუხი იქნებოდა უზურის მხრიდან გადადგმულ ნაბიჯზე, რომელიც შიდა დაპირისპირებაზე იყო გათვლილი. მიუხედავად ამისა, სამუდამოდაც ვერ აიღებდნენ ხელს დაწყებულ საქმეზე, თუმცა თავიდან, როცა ახალმა წამალმა გააბრუა ხალხის გონება და როცა თავგამოდებული პოლიციელის ჯილდო კეთილი შურით უციმციმებდათ თვალებს უკვე მის ქვეშევრდომებს, მთავარი ამოცანა მათი იმედგაცრუების გაჩენა იყო. ჩიკოს აზრით, თუკი დევნის მიზანი გაქრებოდა, იმედიც გაუცრუვდებოდათ და მერე, როცა მთავარი ტალღა გადაივლიდა, ნაპირის ქვიშა თვითონ გაცრიდა ყველაფერს.

ასეც მოხდა და ბავშვიც კი, თუ პირველ სიტყვას დედას ამბობდა, მეორე პოლიცია იყო. რა უნდა გამოხვიდეო, ჰკითხავდნენ პირზე რძეშეუმშრალ ბიჭუნას და ისიც, პოლიციელიო, – იტყოდა სახეგაბადრული. ასე ივსებოდა პოლიციელთა რიგები და იმედგაცრუებისა არაფერი ეტყობოდათ, რადგან დაბრუნებულმა ღირსებამ, რომელზეც ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭულში ლაპარაკობდნენ, სიტყვებითა თუ ფურცლებით, მაცდურად აანთო იმედის ცეცხლი, რომელსაც ყველა თავის ჩირაღდანს უშვერდა და ასე გარბოდა ანარქისტების საძებრად. ყველგან ანათებდნენ ალმოდებული მარათონის ჩირაღდნები იმ იმედით, რომ სადმე პირველები გადაეყრებოდნენ მათ და, თუ იქაც ივარგებდნენ, მერე თვითონვე გახდებოდნენ იმედის ცეცხლის დამრიგებლები. ბევრი თოფიანი კაცი გააწვალეს ტყუილად ამ ჩირაღდნებმა, მონადირეთა ჩათვლით. ბევრმა გაანება კიდეც ამის გამო ნადირობას თავი და იარაღიც თავისი ხელით ჩააბარა პოლიციას. რამდენიმე თვეში კი, უამრავი წყალში ჩაყრილი მცდელობისა და ლოდინის შემდეგ, ჩირაღდნებიც ჩაქრა, ხოლო უკან მიბრუნებულებს აღარც ის იმედის ნაპერწკალი დახვდათ და მიხვდნენ ერთ რამეს, რომ იმედი მათ გუშინ სჭირდებოდათ!.. ანარქისტებიც თუ გაუჩინარდნენ, განა ამისთვის იმედი იყო საჭირო, რომ ეპოვათ ის, რაც აღარ არსებობდა?! არამც და არამც! თან, თუ იმასაც გაითვალისწინებდნენ, რომ მათმა ჩართვამ ასე იმოქმედა ანარქისტებზე, რაღა საჭირო იყო მეტის გაკეთება? იქნებ ერთმანეთიც დაეხოცათ, ან სულაც მეთაური მოეკლათ მათი შიშით! თანაც იმათ თუ ვერა, მათზე კარგის მთქმელებს მაინც ხომ იჭერდნენ წარმატებით. ასე რომ, ახლა საქმე იყო საჭირო და დღევანდელ დღეზე მორგება. ასე დაფიქრდა ბოლოს, მარად შფოთსა და ოფლში გაწურული ხალხი, წყალს რომ წაეღო უკვე, თორემ ნაპირის ქვიშის ნარჩენები სულ სხვანაირად ფიქრობდნენ. ფიქრობდნენ ქვეყნის სათავეში მყოფებიც და მოსვენებას არ აძლევდათ ანარქისტების ასეთი

გაუჩინარება. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამო, იტყოდა ხოლმე შეწუხებული მმართველი და ათას ვერსიას განიხილავდა თავის დამქაშებთან ერთად, მაგრამ გადიოდა ხანი და არცერთი მისი ვარაუდი არ მართლდებოდა. ჩიკოს კი საფიქრალი ახლა მარიას მოახლოებულ ქორწილზე გადაეტანა და დედამისთან ერთად მშვიდად ემზადებოდა ქალაქში გასამგზავრებლად. სასიძო დამწყებ პროკურორად დაენიშნათ და ავტორიტეტიც მოეპოვებინა უკვე თავისივე შეუპოვარი ხასიათის წყალობით. ჯინე ოცდაათ წლამდე, სასიამოვნო გარეგნობის ყმაწვილი გახლდათ, ტალღოვანი თმით და მაღალი შუბლით, რაც ქალების გულის მოგებაში ყოველთვის ეხმარებოდა, როგორც გამოცდილ მექალთანეს. თუმცა მარია მხოლოდ ამით არ მოხიბლულა. მას ჯინეში ყველაზე მეტად შეუპოვარი მიზანდასახულობა იზიდავდა. იგი წარმოუდგენელი ჟინით იბრძოდა ყველაფრისთვის, რაც მის სურვილებს აღვიძებდა და უმეტეს შემთხვევაში აღწევდა კიდეც საწადელს. ჰქონდა კიდევ ერთი თვისება. ჯინე გზას ყოველთვის თვითონ იკვალავდა და არასოდეს არაფერს ითხოვდა სხვისგან, ხვეწნაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო, მაგრამ როდესაც მარიას თვალებში საკუთარ ზურგს უკან გასროლილი კუპიდონის ისარი დაინახა, ხელიც სთხოვა და ცალ ფეხზეც თვალის დახამხამებაში ჩაიმუხლა მის წინ. როცა სიყვარულის ისრით მოწამლულმა და მის მკლავებში ჩავარდნილმა მარიამ თვალები გაახილა, – მიყვარხარო, – უთხრა. როგორო? – ჰკითხა სატრფოს ჯინემ და ისე, როგორც მე მინდაო, – უპასუხა ქალმა, – მეც მიყვარხარო და შენ როგორო? – მეც ისე, როგორც შენ გინდაო, – იყო კაცის პასუხი. მაგრამ უნდოდა თუ არა სიყვარულს, რომ ჰყვარებოდათ, არცერთს არ უკითხავს მისთვის, თუმცა ეს ბედნიერების განცდაში ხელს სულაც არ უშლიდათ.

3

Ცოხტა ფერდობზე გაწოლილი გრძელი, თეთრი შენობის შესასვლელთან, რომელიც ზღვას გადმოჰყურებდა, ორ მრგვალ სვეტზე გადმოსული წითელი პორტიკის ქვეშ, სადღესასწაულოდ გამოწყობილ საზოგადოებას მოეყარა თავი. ყველას მოუსვენარი ღიმილი შეჰპარვოდა სახეზე და ყოველი ეტლის გამოჩენაზე კისრებს მისკენ ატრიალებდნენ, რასაც მაშინვე გაშლილ ხელსაც მიაყოლებდნენ ხოლმე შუბლის გასწვრივ, ცერად მოქცეულ მზეს რომ არ მოეჭრა თვალი.

შესასვლელის აქეთ-იქით, შენობის გაყოლებაზე, თაღისებრი ფანჯრები გამოეღოთ, რომლებშიც შუაზე გაყოფილ წითელ ფარდებს ზღვისგან მონაბერი ნიავი იალქნებივით აფრიალებდა დროდადრო. შიგნით თუ შეიხედავდით, ასეთივე ფერის სუფრებს დაინახავდით ორ რიგად ჩამწკრივებულ მაგიდებზე, თავისკენ რომ მიგიზიდავდნენ მათზე უხვად გაწყობილი პურმარილით. თითოეულ მათგანს მაღალზურგიანი სკამები შემორტყმოდა გალავანივით. კიდევ ერთ მაგიდას, სხვა მაგიდებისგან განსხვავებით, დარბაზის თავში რომ დაედგათ ამაღლებულ ადგილზე და მინდვრის ყვავილებით მოერთოთ, ოთხი დიდებული სამეფო ტახტი ამშვენებდა, ყოველგვარი გალავნებისა და ზღუდეების გარეშე. დღეს ამ ჭერქვეშ ყველას უნდა რგებოდა მათი ბრწყინვალების ცქერა, სამ უშველებელ ჭაღს რომ უნდა გაესხივოსნებინა ერთი ჯუჯა კაცის წყალობით, რომელსაც დაღამებამდე ცოტა ხნით ადრე, ჭერში ამოჭრილ კარში უნდა ჩამოეყო თავი, ბროლის ყვავილებში ჩამალული ათათი შუშის სანათი მოეხსნა და ნავთით გაჟღენთილი ფითილებისთვის მოეკიდებინა ცეცხლი, რაშიც პატარა მუყაოს კოლოფში ჩაყრილი გოგირდისთავიანი ხის ჩხირები დაეხმარებოდნენ. ყველა მოუთმენლად ელოდებოდა ამ წამს, რო-

გორც ეპოქალურ სიახლეს, რომელიც ბევრს ჯერ არც ენახა და მხოლოდ სმენოდათ მასზე, როგორც სანთლის დამსახურებულ მემკვიდრეზე. თავად ეს კაცი კი მხოლოდ დაღამებას ელოდებოდა, ჭაღები რომ გაენათებინა და სხვენიდან ედევნებინა თვალი მათი ღრეობისთვის. ხშირად მათ შემყურეს ცრემლებიც კი წამოსვლია სიბრალულისგან, როცა ხედავდა, რა სულმოუთქმელად იტენიდნენ პირს ლუკმებით. ეცოდებოდა ადამიანები მაშინ, როგორც ხაფანგის თაგვები. ეცოდებოდა მაშინაც, როცა დაუყვირებდნენ ჯაჭვზე დაბმული ძაღლივით და ცრემლი მოსდიოდა ყოველთვის, როცა ერთ ლუკმას გადაუგდებდნენ ხოლმე მოწყალედ. არ ეცოდებოდა მხოლოდ საკუთარი თავი, რომელსაც ამ სამი დიადი ძღვენიდან, არცერთი არ ებადა. განსხვავებით პორტიკის ქვეშ შეკრებილი ხალხისგან, ყველაფერი რომ ჰქონდათ დროის გარდა და ახლაც, მოუთმენლად ელოდნენ ეტლის გამოჩენას, რომელსაც ნეფე-დედოფალი უნდა მოებრძანებინა. მართლაც, სულ მალე შორიდან ცხენების ფლოქვების ხმამაც მოაღწია, რასაც უმალვე ზანზალაკების ხმაც მოჰყვა, თუმცა ცხენები, რომლებსაც ქვაფენილის გრძელი აღმართი უნდა ამოევლოთ, ჯერ არსად ჩანდნენ. სამაგიეროდ, ჯუჯა კაცი კარგად ხედავდა თავისი სხვენიდან შავ ბედაურებში შებმულ თეთრ ეტლს, მასში მსხდომ ოთხ ახალგაზრდას და კოფოზე წამოსკუპებულ მეეტლესაც, თოხარიკით რომ მოჰყავდა ყელმოღერებული ცხენები.

ეტლი შესასვლელთან გაჩერდა. ხალხი მათ ოვაციებით, მილოცვებითა და ყვავილებით ხელში მიეგება, რის შემდეგაც ყველა ერთად, ნეფე-დედოფალს შეჰყვა დარბაზში. კეკლუცი ქალები მთელი საღამო ხაზგასმით აღნიშნავდნენ მარიას სილამაზეს, რომელიც, მართლაც რომ, შეუდარებლად გამოიყურებოდა რძისფერ ნაქარგებიან ტალღოვან კაბასა და ბრჭყვიალა თვლებით მოჭედილ გვირგვინში, თავზე რომ ედგა, როგორც ნამდვილ დედოფალს. ეს უბედნიერესი დღე იყო ჩიკოს ცხოვრებაში, რომელიც არასოდეს და-

ავიწყდებოდა, ან კი როგორ უნდა დავიწყებოდა, როცა მისი ოჯახი, ყველაზე ახლობელი ადამიანები, ვინც კი გააჩნდა, ცრემლითა თუ ღიმილით უზიარებდნენ ერთმანეთს ენით გამოუთქმელ სიხარულს. ბოლო მათი ასეთი სიხარული, ოცდახუთი წლის წინ, მისმა დაბადებამ მოუტანა ამ ოჯახს, როგორც ხშირად სმენოდა ბიძისა თუ დედისგან. მათი მდევარი დანარჩენი დროის მანძილზე კი, შფოთი და წვალება იყო. და აი, დღევანდელ დღეს ყველა ეს ტანჯვა გადაეფარა და უწინდელი ტკივილი ნეტარებად ექცია. ჩიკოს არასოდეს ენახა საკუთარი დედა ასეთი ბედნიერი, არც მის ცეკვაზე სმენოდა რამე აქამდე, ახლა კი, მარია ჩაეხუტებინა თავის სუსტ მკლავებში და ტრიალ-ტრიალით დაფრინავდა მაგიდებს შორის. თითქოს თავბრუ ეხვევაო, იფიქრებდით, რომ შეგეხედათ, მაგრამ არა ტრიალის გამო, არამედ სიხარულისგან, მისი გაბრწყინებული თვალებიდან რომ იფრქვეოდა სიცოცხლის ნაპერწკლებად.

...და ბედნიერი იყო ჩიკო ამ თვალების შემყურე, რომლებსაც დღეიდან სულ ასე უნდა ებრწყინათ მისი მტკიცე გადაწყვეტილებით. ხვალ მარიას შვილები აანთებდნენ ამ თვალებს, ზეგ ოტოს ქორწილი, მერე მისი შვილებიც, ბოლოს თვითონაც შეირთავდა ცოლს და როცა შვილებიც ეყოლებოდა, ეს თვალები აღარასოდეს ჩაქრებოდნენ. გაიფიქრა თუ არა ეს, მაშინვე ძალაუნებურად ისევ იმ ნავის გვერდით აღმოჩნდა, ნაპირზე რომ უნდა ყოფილიყო მიგდებული... უნდა იმიტომ, რომ მეორე წელიწადი გადიოდა და იქნებ ნავიცა და ქალიც გაეტაცა კიდეც ვინმეს, ან საერთოდ ზღვასაც ჩაეთრია თავის ტალღებში. არა! ნავი ჭირსაც წაეღო თუ უნდოდა, მაგრამ ის... ის ჯერ უნდა ენახა და... ისევ დედის მზერამ ჩაუფრინა მოწყვეტილი ვარსკვლავივით და სურვილიც მაშინვე გაუჩინა, თუმცა როგორც წესი, მანაც დააგვიანა ჩაფიქრება. სხვა საქმე იქნებოდა, რომ მოესწრო, მაგრამ ახლა უნდა ეჩქარა, ყველაფერი თვითონ გაერკვია და ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესვა ამდენი ხნის მოუსვენრობისთვის,

დაუკითხავად რომ სტუმრობდა ხოლმე მას და მერე ნაწყენი იჯახუნებდა კარს. მაგრამ დღეს არც აწყენინებდა და არც კარს გააჯახუნებინებდა. პირიქით, კარსაც გადარაზავდა და თავისთან ერთად გამოკეტავდა, სანამ ყველაფერს არ გაიგებდა. ამაზე ადვილი გასაგები კი რა უნდა ყოფილიყო? ახლა ხომ აქ იყო, ამ შაბათ დღეს და ისიც კარგად ახსოვდა, შაბათის ღამე რომ გაათენეს ამხანაგებმა იდუმალ ნავში.

ის იყო, თითქმის გადაწყვიტა ჩიკომ ეს საქმე, რომ გვერდითა მაგიდიდან, სადაც ჯინეს თანამშრომლები ისხდნენ, კამათის ხმა მოესმა. მთელ დარბაზში ბახუსის სუნი ტრიალებდა და ერთ-ერთ მის ღრმად შთანმთქმელ ამხანაგს სურვილი გასჩენოდა, ახალგაზრდა პროკურორისთვის მცირე შენიშვნა მიეცა, რასაც ამ უკანასკნელის უკმაყოფილო პასუხი მოჰყოლოდა და კამათშიც გადასულიყვნენ. კამათი ქვეყნის სადღეგრძელოზე დაეწყოთ, რომლის დროსაც ახალგაზრდა პროკურორს დიდ გამარჯვებად მოეხსენიებინა ანარქისტების გაქრობა, თუმცა დედის თვალებში დაკარგულ ჩიკოს ეს საერთოდ არ გაეგონა. ამხანაგს კი წამოუსვრია: – ისინი ისევ გამოჩნდებიანო! – და მთელი უთანხმოებაც ამას მოჰყოლოდა.

– გინდათ თქვათ, რომ ისინი აღარ გამოჩნდებიან? ჰა? რა სისულელეა. ეს ისეთივე რამეა, ტალღა წავა და უკან აღარ დაბრუნდებაო, რომ თქვას კაცმა, ჰა? – ისევ აგრძელებდა ამხანაგი თავისას და ამ ყველაფერს ირონიულ ელფერს არ აკარგვინებდა. ბოლოში კი, ყველაფერს ჩვევად ქცეულ „ჰას“ ამატებდა ნიშნისმოგებით.

– ჩვენი სურვილიც ის არის, რომ გამოჩნდნენ, მაგრამ არც ისე სულელები ყოფილან, მთელ ქვეყანას გამოუცხადონ ომი, – განაწყენებული ხმით უპასუხა ახალგაზრდა პროკურორმა.

– მთელ ქვეყანასო? არა მგონია ყველას გახარებოდა მათი გაქრობა. ჰა? ხმამაღლა თუ არ ამბობენ ამას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ წყევლა-კრულვაში არიან დღე და ღა-

მე. თქვენც ხომ კარგად ხედავთ, რამდენი რამე აგვკიდეს მხრებზე ფერებ-ფერებით. თუნდაც ჩვენი პოლიციის უზურის საგარეო ომებში ჩარევის ვალდებულება რაღად ღირს, რომელსაც დღეს თუ ხვალ დაგვიკანონებენ. სწორედ ამიტომ არ უხარია ბევრს მათი სიჩუმე და ფიქრობენ, თუკი გამოჩნდებიან, სხვა თუ არაფერი, სხვაგან წასასვლელად მაინც აღარ ეცლებათ ჩვენს პოლიციელებსო. ჰა? – არ ჩერდებოდა ამხანაგი და ისევ პროკურორის პასუხს ელოდა, რომელსაც ნერვიულობისგან სულ აჭარხლებოდა სახე, თუმცა მის მაგივრად პასუხი უკვე სხვა, ხანში შესულ პროკურორს გაეცა.

– პოლიციას რაც შეეხება, სწორედაც რომ, ეს ამბავი იმ ჯგუფის წყალობით არის გამოწვეული. ჯერ ქვეყნის შიგნით უფლებების გაზრდას მიაღწევინეს მათ, ახლა კი ქვეყნის გარეთაც გვიღებენ კარს. ჩემი აზრით, მაინცდამაინც ცუდი არ უნდა იყოს ეს მოულოდნელი სიახლე ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან მათი ძალით ჩვენ მეტი ხეირის მიღება შეგვიძლია, ვიდრე მათ ჩვენი პოლიციით, ჯარითა თუ მთელი მოსახლეობით. მოგეხსენებათ, ამაზე ჩვენი ქვეყნების წარმომადგენლებს შორის ღია მსჯელობაც მიდის და, თუ შორსმჭვრეტელურად შევხედავთ ამ საკითხს, ამის მიღება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანიცაა ჩვენთვის. ასე რომ, ამ საქმისთვის დალოცვაც კი ეკუთვნით იმ ანარქისტებს, არამცთუ წყევლა და დარწმუნებული ვარ, ჩვენი შთამომავლობა დალოცავს კიდეც მათ. ეს უბრალოდ ისტორიაა, რომელშიც ისინი დაავადებულ კბილებს ჰგვანან თავიანთი ტკივილების თანხლებით და მოშორებისთანავე ახალი, ჯანსაღი კბილები დაიკავებენ მათ ადგილს. ახლა კამათის დაწყების მიზეზზეც მოგახსენებთ, – განაგრძო ხანში შესულმა პროკურორმა, ფეხი ფეხზე რომ გადაედო და აუღელვებელი თვითდაჯერებულობით ლაპარაკობდა ისე, რომ ცალ ხელს დირიჟორივით იყენებდა ამა თუ იმ ბგერის ხაზგასასმელად, – ისინი დაბრუნდებიან ისევე როგორც დროებით ტკივილგაყუჩებულ

კბილს არ მიატოვებს მისი ტკივილი, სანამ ძირფესვიანად არ ამოგლეჯენ.

მისმა გამოსვლამ ყველაფერი შეცვალა სუფრაზე. თითქოს ახალგაზრდა პროკურორიც მართალი იყო და არც ამხანაგი ტყუოდა. ყველა კმაყოფილი ჩანდა მოსმენილით და კამათის გაგრძელებაში აზრს ვერ ხედავდნენ, რადგან თუ ერთ აზრს გამოსდებდნენ კბილს, მაშინვე მომდევნო აზრი საპირისპირო მხარეს გაუსვამდა მას ბირდაბირივით. ასე თანდათანობით, საკითხი საბოლოოდ გადაჭრილი ეჩვენათ, რის შემდეგაც ყველაფერი ისევ გარემოცულ მხიარულებას დაუბრუნდებოდა, რომ არა ერთი შემთხვევა, რომელიც თითქოს ციდან ჩამოვარდაო და ისევ იმ ახალგაზრდა პროკურორს მოხვდა მხარში, ძირს დაეცა და მის გვერდით დაიმსხვრა. დაიმსხვრა კი იმიტომ, რომ ეს ჭაღის შუშა გახლდათ, სანათის ბუდეში რომ უნდა ჩაემაგრებინა ჯუჯა კაცს და ხელიდან გავარდნოდა. ახალგაზრდა პროკურორს არაფერი მოსვლია, რადგან შუშა ძალიან თხელი და მსუბუქი აღმოჩნდა, თუმცა მისი რეაქცია ნამდვილად სასაცილო იყო. განსაკუთრებით ამხანაგმა მოილხინა ამ უხერხულობით, რამაც ახალგაზრდა პროკურორი ძალიან გაანაწყენა. თუმცა, მიუხედავად ამისა, მანაც იძულებითი ღიმილით არჩია უხერხული მდგომარეობიდან გამოსვლა. ამხანაგთან უსიამოვნება არ ღირდა, რადგან მთელმა ქალაქმა კარგად იცოდა მისი თავნება და აგდებული ხასიათის შესახებ, რომელსაც ამ ყველაფერში მამის თანამდებობა ახალისებდა, ახლახან რომ დაენიშნათ ქალაქის უსაფრთხოების სამსახურის უფროსად. მამამისს ხშირად უწევდა საყვედურების მოსმენა შვილის უსაქციელობის გამო, მაგრამ თუკი ყველას ეშინოდა ამ კაცის, საკუთარ შვილს ამის იოტისოდენა განცდაც არ ჰქონია. შემდეგ სხვა მხრიდან მიდგომა სცადეს და მის ზემდგომებთანაც დაასმინეს მისი ვაჟბატონი, აქაოდა, უზურის საწინააღმდეგო აზრებით არის გამსჭვალული და არც ერიდება მათ გამოხატვასო, რაზეც გაცემულმა პასუხმა საბოლოოდ გაუქრო ყველას მის წინააღმდეგ

წასვლის სურვილი. პასუხი კი უბრალო და დამაჯერებელი აღმოჩნდა. აქაოდა, თითქოს მისი შვილი ამას გამიზნულად სჩადიოდა, სხვისი შეხედულებები რომ გაეშიშვლებინა და მათი ნამდვილი განზრახვები გამოემჟღავნებინაო. სწორედ ამის გამო, მას ყველაზე და ყველაფრის თქმის უფლება ჰქონდა, რაც მის ცინიკურ და თავხედურ ბუნებას უზომო სიამოვნებას ანიჭებდა. აბა, რისი დასმენების უფროსის შვილი იქნებოდა, ასე რომ არ მოქცეულიყოო, ორაზროვნად ამბობდნენ მასზე და თუკი შემთხვევით გადაეყრებოდნენ სადმე, დუმილს ამჯობინებდნენ. ახალგაზრდა პროკურორიც ასე დადუმებული იჯდა, როცა მის წინ ჯუჯა კაცი გაჩნდა და დიდი გაჭირვებით ბოდიშის მოხდა დაიწყო.

– ბოდიში, ბატონო, უცაბედად მომივიდა. შუშისთვის ნაჭრის გარეშე არ უნდა მომეკიდა ხელი, მაგრამ მე ხომ მდაბიო ვარ და შეცდომებსაც ვერ გავექცევი. მომიტევეთ, ბატონო, ამას კი ახლავე მივხედავ, – ძლივს წარმოთქვა და ძირს დაფშვნილ შუშებს დაუწყო კრეფა.

თითქოს ღმერთმა გამოუგზავნაო ეს კაცი ახალგაზრდა პროკურორს, ისე განათდა მისი დაკნინებული სახე. მთელი ჭაღიც რომ დასცემოდა თავზე, დათანხმდებოდა ამ ხელსაყრელი შემთხვევისთვის, რომელიც ყველას დაანახებდა, თუ რა შეეძლო და რა გაქანების კაცი იყო ის. სკამიანად შემობრუნდა ჯუჯა კაცისკენ და თითქმის ყვირილით დასჩხავლა სახეში:

– შენ საიდანღა გაჩნდი, შე საფრთხობელა! აქ არასოდეს შემიმჩნევიხარ!.. – ამის გაგონებაზე ისევ ამხანაგმა გააწყვეტინა სიტყვა ჩვეული გესლიანი დაცინვით, მაგრამ ამჯერად ეს მას არ ეხებოდა.

– აბა, როგორ უნდა დაგენახათ ეს კაცის ნახევარი, ჰა? – მთელმა სუფრამ ერთიანად გადაიხარხარა ამ სიტყვების გაგონებაზე.

პროკურორმა ისევ ნაძალადევად გაიცინა, ოღონდ ამჯერად ეს სიამოვნებით იყო გამოწვეული და არა უსიამოვნებით, როგორც მანამდე.

– არა, ბატონო. ჩემი ადგილი სხვენზეა. იქიდან კი ყველაფერი კარგად ჩანს. თქვენთვისაც ხშირად მომიკრავს თვალი აქ, ბატონო, მაგრამ ასეთი რამე ჩემს დღეში არ მომსვლია. გთხოვთ, მაპატიოთ...

– ყველაფერი ჩანსო, ამბობ? ის ანარქისტებიც ხომ არ ჩანან იმ შენი სხვენიდან? გვითხარი ბარემ და ჩვენც აღარ მოგვიწევს კამათი სამომავლოდ! – ნიშნისმოგებით თქვა ამხანაგისგან წახალისებულმა პროკურორმა და მასვე გადახედა პირფერი მზერით.

– აბა, იქამდე მე და ჩემი სხვენი რას გავწვდებით, ბატონო. მე მხოლოდ ის ვიცი, რაც ამ მაგიდებიდან მესმის საღამოობით.

– რა გესმის, შე ბრიყვო! – წამოიყვირა ამხანაგმა, რომლის ცბიერმა გამოხედვამაც ჯუჯა კაცთან ერთად ახალგაზრდა პროკურორიც შეაკრთო, – გამოჩნდებიან თუ არა? ჰა?

– მე, მე... – ძლივს ამოილუღლუღა ჯუჯა კაცმა, – თქვენსავით ზოგი ერთს ამბობს ბატონო, ზოგიც – მეორეს.

ახალგაზრდა პროკურორი ბავშვივით ააცქმუტა ამის გაგონებამ.

– ხომ გითხარით, მარტო მე არ ვფიქრობ ასე... – მაშინვე თვალში ამხანაგის თვალი ჩაესო ისარივით და ნაძალადევად ჩაახველა, – კიდევ რას იძახიან, კაცის ნახევარო? – ამხანაგის გულის მოსაგებად მისივე სიტყვებით მოიხსენია ჯუჯა კაცი, რამაც ისევ გააცინა მთელი სუფრა.

– ამბობენ, მებრძოლები არიანო, – ისევ ენის ბორძიკით და თავჩამოგდებულმა უპასუხა ჯუჯა კაცმა, – ზოგი ამბობს, სისხლის სამართალს ებრძვიანო, ზოგი კი უსამართლოდ დაღვრილ სისხლსო.

– ეს ხომ ერთი და იგივე გამოდის, – წამოიძახა ხანში შესულმა პროკურორმა და თანამესუფრეებს გადაავლო თვალი, – მათთვის სისხლის სამართალიც ჩვენ ვართ და ამ სისხლის უსამართლოდ დამღვრელებიც. საქმე კი ის არის, რომ ერთნი ამტყუნებენ მათ, მეორენი კი ამართლებენ.

– განა თავიდანვე ეს არ ვუთხარი თქვენს მიამიტ მეგობარს? ჰა? ზუსტადაც იმიტომ, რომ თანაგრძნობის გამოძახილს გაიგებენ, ისინი დაბრუნდებიან. ჰა? – ამხანაგმა ისევ ირონიით გადაჰკრა ახალგაზრდა პროკურორს და ამ უკანასკნელის სახესაც კვლავ ალი მოედო.

– ჯანდაბასაც წაუღია ანარქისტებიც და ეს ჯუჯაც! – ზიზღით წამოიძახა მან და ღვინით სავსე ჭიქა, რომელიც მის წინ იდგა მაგიდაზე, ერთი ხელის აქნევით სახეში შეასხა ჯუჯა კაცს. ის კი იდგა, თვალებს ახამხამებდა საცოდავად და სველ სახეს იმავე ნაჭრით იმშრალებდა, ჭაღისთვის რომ ჰქონდა განკუთვნილი. ნაჭერს ამოფარებული მისი ჩაგრული თვალები მხოლოდ მოელვარე ჯანსაღ კბილებს ხედავდნენ, რკინასაც რომ დაგლეჯდნენ, არამცთუ მის ხორცსა თუ ძვალს.

– აი, ეს მესმის, ბატონო პროკურორო. აბა, მიამიტობა და ილუზიები რა თქვენი ხელობის კაცის საქმეა. ჰა? ფაქტები და მოქმედება! აი, თქვენი ინსტრუმენტები, რითაც უნდა იხელმძღვანელოთ და იმუშაოთ. ასე ანარქისტების მხოლოდ დასახვედრად კი არ იქნებით მზად, თვითონვე დაუწყებთ ფეხდაფეხ დევნას, სანამ ხაფანგში არ გააბამთ. ჰა? ბრავო, ბატონო პროკურორო, ახლა კი ნამდვილად ჭეშმარიტი პროკურორი ხართ, დაუნდობელი და პრაგმატული. ნუ მიწყენთ და გეტყვით, თავიდან ვერც კი დავუშვებდი, ეს თუ შეგეძლოთ. ასე მეგონა, თქვენც ანარქისტების გულშემატკივარი იყავით გულის სიღრმეში, არ გამოჩნდებიანო, რომ გაიძახოდით სულ და მათი ასე დაუსჯელად დატოვება დაუშვით. ეს ჯუჯაც რომ დაუსჯელად გაგეშვათ, დიდად გაგვაწბილებდით აქ მყოფთაც და საკუთარ თავსაც, ხვალ თუ ზეგ რომ შეხვდებოდით აუცილებლად, – ამხანაგი ფეხზე წამოდგა, ტუჩები მოკუმა და უწყინარი სახე პოსტერივით ჩამოჰკიდა ჰაერში, თითქოს ამბობდა, ახლა თავში ქვა გიხლიათ და ვისაც რა გინდათ, ის იფიქრეთო, მაგრამ ყველასთვის მისი მონოლოგის მხოლოდ ბოლო ორი წინადა-

დება გამოისახა პოსტერზე. ყველამ არასასიამოვნო ნიშნად აღიქვა ეს. განსაკუთრებით კი ახალგაზრდა პროკურორმა, რომელიც საშინლად ნანობდა აქ ყოფნას. თუმცა სხვებისგან განსხვავებით, მაშინვე ის ქება-დიდებაც მიაწერა მელნით იმ ავადსახსენებელ პოსტერზე, რომლითაც დაიწყო ამხანაგმა, მაგრამ იმ წამსვე წაშალა და იგივე, ახლა უკვე წითელი კალმით დაწერა, როგორც მთავარი და უცვლელი პირობა მთელი ანოტაციისა. ამან ცოტათი დაამშვიდა კიდეც, მაგრამ ამხანაგმა, რომელიც უკვე დამჯდარიყო, ისევ განაგრძო: – ოღონდ გთხოვთ, ნურაფერს მიწყენთ, ბატონო პროკურორო. ჰა? ჩვენ ხომ ყველას ჩვენი ქვეყანა გვაღელვებს. გვგონია, რომ გვაღელვებს ან სულაც არ გვაღელვებს. ამის ახსნა კი ასეთია: ვისაც აღელვებს, მას ჰგონია, რომ აღელვებს. ვისაც ჰგონია, რომ აღელვებს, მას არ აღელვებს და ვისაც არ აღელვებს, მას აღელვებს. ასეთი უცნაური ჯაჭვი იკვრება ქვეყნის სიყვარულში და თუ მას გავყვებით, მივხვდებით, რომ ვერცერთ მათგანს ვერ გაამტყუნებთ. ასე რომ, მე ეს სულაც არ მაღელვებს. ოღონდ თქვენ ნურაფერს მიწყენთ. ხომ ხედავთ, ჯუჯასაც არ სწყენია, ღვინო რომ შეასხით. ხომ ასეა, კაცის ნახევარო. ჰა? აი, თავიც დააქნია. მე თქვენ გასწავლეთ რაღაც, თქვენ კი მას. ხომ ისწავლე, კაცის ნახევარო, რომ შუშა შეიძლება ჩამოგივარდეს, მაგრამ ბევრი არ უნდა ილაპარაკო? აი, ისევ თავს იქნევს, ხმას კი აღარ იღებს. სწორადაც იქცევა, რომ არ სწყინს.

ჩიკო ყველაფერს ხედავდა და ისმენდა. ბოღმა ახრჩობდა ამ ამაზრზენი სანახაობის შემყურეს და გრძნობდა, რომ უნდა გამოსარჩლებოდა საცოდავ ჯუჯა კაცს, რომელიც ისევ განტევების ვაცად უნდა ქცეულიყო ორ მგელს შორის:

– რატომ უნდა სწყენოდა ამისთანა პატივი?! – ადგილიდანვე გადმოსძახა ჩიკომ ამხანაგს, როგორც კი მისი მზერა დაიჭირა, – ძველად ღვინოს კერპებს ასხამდნენ შესაწირად, როცა რამეს შესთხოვდნენ. თუ სწორად მახსოვს, ლიბაცია

ერქვა ამ რიტუალს და დღეს რომ მიცვალებულებს ჭიქას ვუქცევთ, ესეც იქიდან უნდა მოდიოდეს. დარწმუნებული ვარ, თქვენი სათხოვარი ანარქისტების ნახვის შესახებ უკვე შესრულებული ექნება ამ პატარა კაცს და სიბნელეში რომ არ მოგვიწიოს მათი დახვედრა, აჯობებს მეორე თხოვნაც შეგვისრულოს და ჭაღები გაგვინათოს, სანამ თავზე წამოგვაბნელდებოდეს.

მეზობელ სუფრაზე ყველამ ერთხმად გადაიხარხარა. ჯუჯა კაციც კი იცინოდა. მორცხვად, მაგრამ მაინც იცინოდა, ცრემლმორეული, სანამ თავით არ ანიშნეს, წასულიყო და ისიც წამში გაქრა იქიდან. ჩიკომ რამდენიმე ქათინაურიც მიიღო ასეთი მოსწრებული ხუმრობისთვის, თუმცა მას ესეც ისევე ეზიზღებოდა, როგორც მთელი ის საუბარი, რომელიც ამ ყველაფერს უძღოდა წინ. წინა სადღეგრძელოებიდან ყველამ იცოდა, მარიას მამიდაშვილი რომ იყო ის, თუმცა მხოლოდ ამით გამოწვეული ყურადღების დამსახურება არ ყოფილა მათი მოწონება. თითქოსდა დაუმთავრებელი და არცთუ ისე სასიამოვნო ვითარება რომ შეცვალა, იმან გაახარა ყველა. არ ესიამოვნა მხოლოდ ამხანაგს, მიუხედავად იმისა, რომ ენამოსწრებულობა მასაც მოეწონა, მაგრამ უსიამოვნო შეგრძნებამ მაინც დაუტოვა კვალი, რომელიც თითქოს ახვედრებდა ჩიკოს ჩანაფიქრს და თავისი ჟესტიც ჭიქით ხელში ისე გამოხატა, თითქოს გაწვდილი ხელით ეუბნებოდა, შენც ხომ არ გინდა, ჩემი კერპი გახდეო. არც ჩიკოს გამოჰპარვია მისი სარკაზმით მოელვარე მზერა, რომელსაც თვალს უსწორებდა და არც მოაშორებდა, რომ არა დედის ხმა, თავის ადგილს რომ დაბრუნებოდა მის გვერდით. მანამდეც ესმოდა აქა-იქ დედის სიტყვები, ოტოს, ერნისა თუ ვარგას ხმაში არეული, მაგრამ გარკვევით არცერთი მათგანი არ დაუჭერია. ბოლო სიტყვები კი, რომელიც გაიგონა, მაშინვე გულში მოხვდა:

– სჯობს, მათი დედები არ მოესწრონ იმ დღეს, როცა იპოვიან.

– ჩავლილი ამბავია, დაო, – უპასუხა ვარგამ, რომელიც მის პირისპირ იჯდა და ტუჩებზე საჩვენებელი თითი მიიდო, – თავისას ეცადნენ და სადამდეც შეძლეს, იბრძოლეს. ყველა შეეგუა დღევანდელობას და ისინიც მიხვდნენ, ალბათ.

– გული კი მიგრძნობს, რომ ისევ გააგრძელებენ და იპოვიან, – ამარამ ნაღვლიანად ამოიოხრა და დაამატა, – საშინლად განვიცდი ამას აქედანვე.

– თქვენი აზრით, არ უნდა გამოჩნდნენ?! – თვალებდაჭყეტილი წამოენთო ზუზუ, რომელმაც იმ წამსვე ჩიკოს იდაყვი იგრძნო გვერდში.

– არა, ზუზუ! საკმარისად გაიღო სისხლი ჩვენმა მხარემ და ამისთვის ბევრისგან უმადურობასაც კი ვიღებთ. აგერ, ჩემს ძმას ჰკითხე, რას ლაპარაკობენ აქაურები.

– რას ლაპარაკობენ? – ზუზუმ გაკვირვებული სახით გახედა ვარგას.

– რას და მთელი ქვეყანა ხომ არ გადავყვებით იმათ შეწირულებსო. მათთვის ეს ადვილი სათქმელია. მათი სისხლი არ დაღვრილა და იმიტომ. თუმცა, რომ დაღვრილიყო, მაინც ასე ეთქვათ შეიძლება და არც მიკვირს. ჩვენშიც ხომ დაიწყეს უკვე ამაზე ლაპარაკი, – ჩურჩულით ლაპარაკობდა ვარგა და მხრებს იჩეჩავდა.

– ზოგი უარესსაც კი იძახის, – ჩაერია ოტო, – მაგრამ ყველა ასე ხომ არ არის. ზოგი საერთოდ არაფერს ამბობს და შენც კარგად იცი, რასაც ნიშნავს ეს.

– ვიცი, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, რომ ამ სიჩუმეს მხოლოდ აქა-იქ მოჰკრავ ყურს. თუმცა მათზე რა გვეთქმის, როცა თვითონაც ჩუმად ვართ, – თავი გააქნია ვარგამ და მაშინვე თამადის მზერას წააწყდა, რომელიც სასმისით ხელში იდგა და მორიგი სადღეგრძელოს სათქმელად ემზადებოდა.

– ერთხელაც მოვიგონოთო, – გაიმეორა პირველივე სიტყვები და მაშინვე ყველა მამაკაცი ფეხზე წამოდგა, სავსე ჭიქებით ხელში. ეს ერთხელაც მოგონება ქვემეხიდან გასროლილი ჭურვივით დაეცა ჩიკოს სუფრაზე, რომლის

ნამსხვრევებმაც, ყველა მის ირგვლივ მჯდომს, მწარე ჭრილობები მიაყენა. გმირების მოსაგონარი იყო ეს ჭურვი და იმიტომ. უფრო სწორად, უზურის გმირებისა, რომლებსაც თავი დაედოთ მათთანვე ბრძოლაში, მათივე კეთილდღეობისთვის. ჩიკოსგან მოკლული გმირებიც მოიხსენია დიდი სინანულით, რასაც აქა-იქ ანარქისტების ლანძღვა გინებით გამოეხმაურნენ ზოგ-ზოგიერთები. ამის შემხედვარე, ჩიკოს სუფრაზე სიჩუმის სადღეგრძელო დაიბადა, რომელიც დუმილით ჩაჰყვიროდა დიდებას, მათ ჭეშმარიტ გმირებს. თუმცა ფეხზე მდგარი ჩიკო, მათი მამების გარდა, კიდევ ერთ პიროვნებაზე ფიქრობდა, რომელიც დაბურული ღიმილით აკვირდებოდა მას. ისიც მათ დუმილს შეერთებული, უსიტყვოდ ეუბნებოდა, გისმენ, ჩემო ბატონოო. წინაპარი გმირები ხომ კარგად მოიგონე და ახლა რაღას დუმხარო?! აქვე გაათავებდა მასაც და იმ თამადასაც, ქვემეხის მუცელივით რომ გადმოეგდო ღიპი, მაგრამ საკუთარი დისა და დედისთვის რა პასუხი უნდა გაეცა მერე. უხმოდ, ერთი ყლუპით გადაჰკრა სასმელი, მაგრამ ჭიქა კი დააჭექა მაგიდაზე. დაბურულმა სახემ ესეც დაინახა და ყოველივეთი მოხიბლულმა ამხანაგმა, წრუპვით გამოცალა სასმისი.

სიყვარულს გაუმარჯოსო, კვლავ შესძახა სასმისით ხელში თამადამ, რამაც ყველა არეული გონება ისევ დღევანდელ დღეს დაუბრუნა და ახალი მჭევრმეტყველების საბაბიც გააჩინა ზოგ-ზოგიერთის თავში. მათაც არ დაუგვიანიათ და ჩიკოს ყურადღება ახლა უკვე სულ სხვა სუფრამ გაიტაცა.

– სიყვარული გადაარჩენს სამყაროს, – ბედნიერი გამომეტყველებით დაასრულა ლოყებღაჟღაჟა ყმაწვილმა თავისი ენაწყლიანი სადღეგრძელო.

– სიყვარული? – შეიცხადა მეორემ, – სიყვარულიო, რა თქვა ეს!

– ჰო, სიყვარული. რა გაგიკვირდა?

– შენი გულუბრყვილო მზერა, რომელიც სიყვარულს ყოვლისშემძლედ ხედავს, სინამდვილეში კი ეს მხოლოდ ილუზიაა. ამბობენ, სიყვარული ბრმაოო და, თუ ასეა, გადაიჩეხება კიდეც უფსკრულში დღეს თუ ხვალ. ძალიან მალე, თქვენს სიყვარულს ისევე გაიხსენებენ, როგორც დღეს დინოზავრებს, რომლებიც დიდმა გამყინვარებამ გადააშენა და კაცობრიობაც გადაურჩა მათი კლანჭებისგან განადგურებას. დიახ! გამყინვარებამ და დღესაც ის იხსნის ადამიანს სიყვარულის მტანჯველი კლანჭებისგან. აბა, თქვენც ხომ იცით, რამდენი ტანჯვა-წვალება მოსდევს მას, იმ წამიერი მოჩვენებითი სიამოვნების სანაცვლოდ. მე კი, არავინ მყვარებია და გულიც ვერავის უტკენია. აი, ასე, ადვილად ცხოვრობ ადამიანი, თავისუფლად, ყოველგვარი ტყვეობის გარეშე. სიყვარული ხომ ატყვევებს! მაშასადამე, გვიპყრობს! მაშასადამე, მტერია! ჰოდა, გამყინვარებაზე შევჩერდი და გეუბნები: გონის გამყინვარება დიდი ხნის დაწყებულია და სულ მალე, იგი უკანასკნელ ნიშნულამდეც დაეცემა. და მაშინ უკვე, ეს თქვენი სიყვარული იმ დინოზავრების ნაკვალევივითღა დარჩება აქა-იქ, როცა თქვენისთანა ოჯახის კერებს და ნასახლარებს აღმოაჩენენ და დიდი ასოებით დააწერენ: აქ უყვარდათ და იტანჯებოდნენ! ამიტომაც შეეშინდებათ მისი დაბრუნების, როგორც დღეს დინოზავრების დაბრუნების შეეშინდებოდათ. ახლა იმასაც გეტყვი ამ ყველაფრის კიდევ უფრო გასამყარებლად, რომ მარადისობა მხოლოდ წრით აიხსნება, თუ კარგად დააკვირდები. და ამიტომ ჩვენც ახლა იმ ციკლს ვუახლოვდებით, საიდანაც დავიწყეთ. ანუ პირველყოფილურ დროში ვბრუნდებით და მხოლოდ ცხოველური თვითგადარჩენის ინსტინქტით ვიხელმძღვანელებთ. მაშ, ასე, ჩემო გულუბრყვილო ადამიანო! გიხაროდეს, რადგან მალე შენც გეშველება. სიყვარული ხომ გადაშენების პირასაა. გონის გამყინვარება დაწყებულიაააა!

ლოყებღაჟღაჟაც და დანარჩენი სუფრის წევრებიც გულიანად იცინოდნენ მთელი მისი გამოსვლის დროს და გიჟი თავისუფალიაო, გაიძახოდნენ.

– მე მაშინ გავთავისუფლდები, როცა თქვენ აღარ გეყვარებით, – ხელებს იშვერდა ის მთელი დარბაზისკენ.

– ასეთი თავისუფლების იმ ანარქისტებსაც შეშურდებოდათ, – წამოიყვირა რომელიღაცამ და მათ სუფრას სხვა სუფრებიც აჰყვნენ ხარხარში.

* *

მალე გათენდებოდა, ჩიკო კი ნაპირს მიუყვებოდა მოლოდინით, რომ ნავს დაინახავდა, რომელშიც ის დახვდებოდა და ყველაფერს ამოხსნიდა. გული უცხოდ უცემდა და ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე სულ უფრო უუცხოვდებოდა... ქორწილში მომხდარი უსიამოვნებები საერთოდ აღარ ახსოვდა. ახლა მხოლოდ ხასიათი უხმობდა და სხვა ყველა აზრი გამქრალიყო გონებიდან. ირგვლივ იხედებოდა, სადმე სხვაგან არ გადაეტანათ ნავიო, ან იქნებ სულაც აქამდე სხვა ადგილი შეარჩიესო, მაგრამ არც ნავი და არც გოგო-ბიჭები არ ჩანდნენ. მეტიც, ნავი არც იქ არ დახვდა, სადაც პირველად ნახა. იფიქრა, იქნებ ადგილი მეშლებაო, თუმცა ბულვარში მყოფმა პავილიონმა, რომელიც ისევ იქ დახვდა, ეს იმედიც გაუქრო. მაშინ კი ისევ გაახსენდა დაბურული სახე და ზიზღი მოერია. ძალიანაც კარგიო, გაიფიქრა. რა დროს ეს არისო, დაამატა და მთელი ფიქრებით, სუფრაზე დედის ნათქვამ სიტყვებში შეაბიჯა ფეხის წვერებით, მაგრამ ვერც აქ გაერკვა ვერაფერში, თუ რა და როგორ სჯობდა. სამაგიეროდ, გაიგო, რომ არაფერი არ ყოფილა უცნაური ფიქრების სამიზნე და თითქოს გათავისუფლდა იმ ნიჩბებისგან, რომლებსაც მთელი ძალით უსვამდა, როცა კი მოულოდნელად ნავში აღმოჩნდებოდა ხოლმე და თვალუწვდენელი ჰორიზონტისკენ მიიწევდა, სადაც ვებეერთელა, ნარინჯისფერი მზე ელოდებოდა, მასში ჩახატული ფრთებგაშლილი თოლიებით. აშკარად გრძნობდა, რომ უკვე არსადაც აღარ მიცურავდა, მაგრამ ისევ ნავში კი მოეჩვენა თავი,

რომელიც ერთ ადგილზე ბრუნავდა თითქოს. იქნებ მხოლოდ სანახევროდ გათავისუფლდა და მხოლოდ ერთი ნიჩაბი მოისროლა ზღვაში? მეორეს კი უსვამს და უსვამს უაზროდ და თავბრუდამხვევად ტრიალებს საკუთარი თავის ირგვლივ? – სწორედ ეს უნდა იყოს. ღვინო არაფერ შუაშია თავბრუსხვევასთან! ყოველთვის რეალობას ვებრძვი და ეს არის ყველაფრის მიზეზი! – როგორც იქნა, რაღაცაზე შეუთანხმდა საკუთარ თავს. შემორჩენილი ნიჩბითვე დაამსხვრია ნავი და დარჩენილ რეალობასთან ბრძოლის ჟინით შეპყრობილმა, უმისამართოდ განაგრძო გზა, რომელშიც აუცილებლად უნდა გაემარჯვა, ნავისგან განსხვავებით. დიდხანს არ უვლია... მისი გულისცემა ისევ გაუცხოვდა, როცა მბჟუტავ გარიჟრაჟში, მის თვალებში, შორს მოელვარე მფრინავმა ნაჯახებმა, ეულად მიგდებული საგნისგან ათას შტორმს გადარჩენილი ნავი გამოთალეს და ისიც ანგარიშმიუცემლად მისკენ გააქანეს. ნავთან არავინ დახვდა, მაგრამ ახლა ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა. ეს სწორედ ის ნავი აღმოჩნდა, რაზეც მისი ცალ მხარეს შეტეხილი გვერდი მოწმობდა და მაშასადამე, ნახევარი საქმეც გაკეთებული იყო. დღეს თუ დააგვიანდა, შემდეგ შაბათს მთელ ღამეს აქ გაატარებდა, იმის შემდეგსაც თუ საჭირო გახდებოდა და კიდევ იმდენსაც, რამდენსაც გული უკარნახებდა. სიხარულისგან ორივე ხელი დაჰკრა ნავის კიდეს, გამარჯვების თასივით შეანჯღრია თვალებდაბინდულმა და მანაც უპასუხა:

– ვინ ოხერი ხარ ამ დილაადრიან, თავზე რომ წამომადექი? – ბუზღუნით ამოსძახა ნავიდან დამანჭულმა სახემ, რომელსაც ფიქრში გართული, მომღიმარი ჩიკო დასდგომოდა თავს.

მაშინვე გონს მოეგო და ნავში მოკუნტული, დაფლეთილ ტანისამოსში ჩაცმული ბერიკაცი დაინახა, რომელსაც ცალი ხელით ცარიელი ბოთლი ჩაეკრა გულში, მეორეთი კი კიდეს ჩასჭიდებოდა და წამოდგომას ცდილობდა. ადვილი მისახვედრი იყო, რომ ეს უსახლკარო მაწანწალა უნდა ყო-

ფილიყო, რომელსაც ამ ნავისთვის შეეკედლებინა თავი. ვიღაც კი, აქაც არ ასვენებდა და ამიტომ, მისი წყრომის მიზეზი ჩიკოსთვის სავსებით გასაგები იყო. ასეც რომ არ ყოფილიყო, ნებისმიერ საყვედურს მიიღებდა მისგან, იმის სანაცვლოდ, თუ ამ ნავის ყოფილ ბინადრებზეც ეცოდინებოდა რამე.

– მაპატიეთ. ნამდვილად არ ვიცოდი, აქ თუ იყავით, მაგრამ რომც მცოდნოდა, გარწმუნებთ, მაინც გაგაღვიძებდით.

– ეშმაკმა დაგწყევლოს! – ჩაიბუტბუტა ბერიკაცმა, რომელიც უკვე მუხლებზე წამომდგარიყო, – სანაპიროს გამგებელი ხარ? ჯერ ასეთი კანონი არ მსმენია, აქ ძილი არ შეიძლებოდეს! ან იქნებ შტორმს აპირებს და საშველად მოხვედი, მაგრამ ზღვაც რომ მშვიდია ამაზე რას იტყვი?

– შეგიძლიათ თქვენც დამშვიდდეთ და, თუ ახლომახლო რამე ადგილი გეგულებათ, სადაც ამ დროს შეიძლება თითო ჭიქის გადაკვრა, სიამოვნებით დაგპატიჟებდით. წუხელ ბევრი დავლიე და თავი მისკდება. ვატყობ, არც თქვენ გაწყენდათ ეს და დანარჩენზე იქ ვილაპარაკოთ, თუ ჩემი წინადადება თქვენთვისაც მისაღებია.

ბერიკაცს სახე სულ გაუბრტყელდა გაოცებისგან. ბოთლი გვერდზე მოიქნია, პირჯვარი გადაიწერა და ხელების ფშვნეტით წინ გაუძღვა. გზადაგზა, არათავაზიანი დახვედრისთვის უბოდიშებდა და იმით იკვეხნიდა, რომ ამ ქალაქში ყველა კუთხე და კუთხის ობობაც კი ზეპირად იცოდა, რადგან უპატრონოთა სახლის შემდეგ, მთელი ორმოცდაცხრა წელიწადი უსახლკაროდ, ქუჩა-ქუჩა ხეტიალში გაეტარებინა. კარგი ქალაქიაო, ამბობდა, რადგან ზოგ ქალაქში, სადაც ცივი ზამთარი იცის, ათ წელიწადსაც ვერ ატანენ ჩემნაირებიო. მე კი, ერთი წელიც და ამ ქუჩებთან ოქროს ქორწილი მექნებაო, ხუმრობით ამბობდა ის, როცა ერთ-ერთი შენობის კუთხეში ჩამოკიდებული კარი გამოაღო და ორივენი ათსაფეხურიან კიბეს ჩაუყვნენ სარდაფში. მის

დაკეტვაზე კი, ზამბარამ იზრუნა, რომელმაც ძლიერად შემოიჯახუნა კარი და შემდეგ უწყინარ ზუზუნს მოჰყვა, თითქოს ზურგს უკან ამოხედილ, შეკრულ წარბებს ეუბნებოდა, რას მომჩერებიხარ, მე არ ვყოფილვარო. ეს უბრალო, საშუალო ზომის დუქანი გახლდათ, რომელსაც ძირითადად მეთევზეები თუ ესტუმრებოდნენ ხოლმე, თუმცა ამჟამად იგი ცარიელი დახვდათ, თუ დახლთან მჯდომ ჩასუქებულ კაცს არ ჩავთვლიდით, იდაყვით რომ დაყრდნობოდა დახლს და ნიკაპი ხელის გულში ჩაერგო. ზამბარა ჯერ ისევ არ გაჩუმებულიყო, ამ კაცს კი უკვე ჭიქა შეევსო არყით და ბერიკაცისკენ გაეწია, რომელსაც გაეღიმა და თავით მორიდებულად ანიშნა, ჩემს ამხანაგსაც დაუსხიო.

– რა წყალობაა შენს თავს, მეჩი, ამ კაცსაც რომ ეპატიჟები? – მთქნარებით ჰკითხა ჩასუქებულმა კაცმა ბერიკაცს და მეორე ჭიქაც მაშინვე შეავსო ჩიკოსთვის.

– პირიქით, პირიქით. ეს კეთილმა ყმაწვილმა მოიღო წყალობა ჩემზე. ასე რომ, დღეს ჩემი წილი ჭიქა არყით ვინმე სხვას გაუმასპინძლდი, თუკი ასეთი მთხოვნელი გამოჩნდება, – ისევ ღიმილით უპასუხა ბერიკაცმა და ჭიქით ხელში, კუთხეში მყოფ მაგიდას მიუჯდა. ჩიკომ კი დახლიდარს კიდევ რამდენიმე სიტყვა უთხრა და ისიც ბერიკაცის პირდაპირ ჩამოჯდა.

– დიდება მოწყალე უფალს, – წარმოთქვა ბერიკაცმა და თავისი ჭიქა ჩიკოსას მიუჭახუნა, რაზეც ჩიკომ იმავეთი უპასუხა და ჭიქები ერთი ამოსუნთქვით დაცალეს, – არ იფიქროთ, რომ აქ სულ ასეთი სიჩუმეა. ხომ ხედავთ, რამდენი რამე ყრია ძირს. ეს იმის ნიშანია, რომ მთელი ღამე ღრეობა არ შეწყვეტილა. ასეთ დროს კი, შემთხვევით თუ შემოვა ვინმე, როგორც მე და თქვენ. განრიგის მიხედვით, ცოტა ხანში, საგუშაგოდან გათავისუფლებული ჯარისკაცები შემოიხედავენ წასახემსებლად. სიმართლე გითხრათ, მე ისინი არ მომწონს, რადგან ყოველთვის ზემოდან იყურებიან, აქაოდა, უზურიდან ვართო. არ გეგონოთ, მარტო მე

მიყურებენ ასე. ეს შეიძლება გასაგებადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ვხედავ, სხვებსაც როგორ უცქერენ, ვინც ჩვენებურია და ამიტომაც მათი ატანა მიჭირს. თქვენც ერთ-ერთი მათგანი მეგონეთ, თავზე რომ წამომადექით. შუადღისკენ უკვე, წუხანდელი სტუმრები მობრუნდებიან, ცივი ლუდით რომ შეიმსუბუქონ დამძიმებული თავები და დაღამებას დაელოდებიან ზღვაში გასასვლელად. აბა, ზაფხულში, აქ დღისით სათევზაოდ რომელი ჭკუათმყოფელი გავა. სიცხის გამო თევზები ფსკერზე არიან გაკრულები და მხოლოდ შუაღამისას ამოდიან ზედაპირისკენ. აი, ისინი კი, ვინც წუხელ ითევზავეს, სწორედ ამაღამ განაახლებენ წინამორბედების დროსტარებას და ასე გაგრძელდება, სანამ ამ ზღვაში თევზი არ დაილევა.

ამ დროს მაგიდას ჩასუქებული კაცი მოუახლოვდა, არყის ბოთლით და შავი ხიზილალით ხელში. შემდეგ მიტრიალდა და იმავე წამს პური და მოხარშული კარტოფილიც დაამატა, ორთქლი რომ ასდიოდა ჯერ კიდევ. თევზს ცოტა შეაგვიანდებაო, თავაზიანად უთხრა ჩიკოს და თავისი დახლისკენ გატრიალდა.

– რატომ წუხდებოდით ასე, კეთილო ადამიანო. ჩვენ ხომ თითო ჭიქაზე შევთანხმდით, – იწყინა ბერიკაცმა.

– რას ამბობთ. მე რომ არ გამეღვიძებინეთ, ახლაც მშვიდ ძილში იქნებოდით და ბახუსის წუხილი არ გექნებოდათ. ასე რომ, ეს ყველაფერი ჩემი გამოსასწორებელია. თანაც, როგორც გითხარით, მეც ვსაჭიროებ ამგვარ დახმარებას, – უპასუხა ჩიკომ და ჭიქები შეავსო, – თქვენ ის მითხარით, იმ ნავით დიდი ხანია სარგებლობთ?

– საკმაოდ.

– მაინც რამდენი ხანი იქნება, თუ გახსოვთ? – ჩიკო ბერიკაცისკენ გადაიხარა, რომელსაც თავი ცერად მოეღრიცა, ცალი თვალი მოეჭუტა, მეორე თვალით კი ჭერს მიშტერებოდა და ტუჩებს ისე აცმაცუნებდა, თითქოს რაღაცის ზედმიწევნით გამოთვლას ცდილობსო.

– წლებია, მაგრამ მარტო ნავის იმედადაც კი არ ვარ. წვიმასა და ავდარში ის არ გამოდგება თავის შესაფარებლად. ასეთი შემთხვევებისთვის ამ ქალაქში სხვა ადგილებიც მოიძებნება.

– როგორც მახსოვს, ადრე ის სანაპიროზე, ახლანდელისგან კარგა მოშორებით იყო მიგდებული, – ნელ-ნელა, სულ უფრო და უფრო ემატებოდა მოუსვენრობა ჩიკოს და ასეთ დროს, ჭიქას ისევ არყით ავსებდა ხოლმე, რომელსაც უხმოდ უჭახუნებდა ბერიკაცს და ყელში გადაუძახებდა.

– აბა, ეს რა გასაკვირია, ყმაწვილო! ამ ნავს მთელი სანაპირო აქვს შემოცურული. ვისაც სად სჭირდება, იქით მიათრევს. განა მხოლოდ ჩემი საკუთრებაა!

– გოგო-ბიჭები? – წამოიძახა ჩიკომ და თვალებში შეხედა ბერიკაცს, თუმცა მისი გაკვირვებული სახე რომ დაინახა, იქვე დაამატა, – მხიარული ამხანაგები, შაბათობით რომ იკრიბებოდნენ ნავში და სხვადასხვა გმირს განასახიერებენ, არ შეგიმჩნევიათ?

– აი, შე ეშმაკო, – ბერიკაცმა გაიღიმა და თვალი ჩაუკრა, – ასეც ვფიქრობდი, რომ ბახუსი არაფერ შუაში იყო. მათთან ერთად მეც ბევრჯერ მიხალისია. ათას რამეს მათამაშებდნენ, ხან მეფე ვიყავი, ხანაც მითური გმირი. ერთხელ პოსეიდონიც მათამაშეს და საათზე მეტ ხანს წყალში ვიდექი წელამდე, – ბერიკაცმა თავი გააქნია სევდიანად, – ეჰ, მიყვარდა მათთან ყოფნა. მე მათ ჩემს ბეღურებს ვეძახი, განსაკუთრებით ერთი, შვილივით მიყვარს, მაგრამ აბა, მე რა მამობა შემიძლია.

– რომელი, რომელი? – ვერ მოითმინა ჩიკომ, რომელსაც ერთიანად დაუარა ტანში ჟრუანტელმა და სიტყვა გაანწყვეტინა.

– ბელა ჰქვია. ის ყველასგან გამოირჩევა თავისი თვისებებით. თუმცა თვისებებზე მეტი სხვა რამეა, – თითქოს ჩაფიქრდა, – მას სიცოცხლე სულ სხვანაირად უყვარს... ყველაფერს აცოცხლებს.

ჩიკო თავიდან ფეხებამდე გააბრუა ამ სიტყვებმა. უნდოდა, ახლავე გაეგო სად შეიძლებოდა მისი ნახვა, მაგრამ ამ ნეტარებას ჯერ ვერ მოსწყდებოდა. კიდევ უნდოდა ესმინა ბერიკაცისთვის და უფრო მეტი გაეგო მასზე, სანამ თვითონ ნახავდა და ყველაფერს შეიგრძნობდა.

– როგორ თუ სხვანაირად? – ბავშვივით იკითხა ჩიკომ.

– ისე, რომ მეც კი სხვანაირად შემაყვარა საკუთარი თავი. ეს თვითონ უნდა ნახო და მიხვდები, რასაც ვგულისხმობ. შენ განა არ იცნობ მათ? – ბერიკაცმა ჩიკოს შეუბღვირა. თითქოს აღმოაჩინა, რომ ჯაშუშს გადაუხსნა გული და მაშინვე თავდაცვის, ან უკეთ რომ ვთქვათ, თავისი ბეღურების დაცვის ინსტინქტმა გაიღვიძა მასში.

– მხოლოდ ერთხელ შევესწარი მათ სანახაობას. დილით ერთ-ერთმა გოგონამ გამაღვიძა იქვე ჩაძინებული და საიდუმლოდ მითხრა, რომ კარგი იქნებოდა, თუ მის მეგობარს გავიცნობდი. სწორედ იმას, თქვენ რომ ამბობთ. ბელა ჰქვიაო, ასე თქვა. მე სვიფიდან ვარ და იმ დღესვე უნდა გავბრუნებულიყავი უკან. მას მერე... – სიტყვა ახლა უკვე ბერიკაცმა გააწყვეტინა, რომელსაც სახეზე ისევ ღიმილი დაბრუნებოდა.

– მაშ, ეს შენ ხარ, ამდენი დავიდარაბა რომ გამოიწვიე?

– ვერ ვხვდები, რა დავიდარაბაზე მელაპარაკებით?

– რომ არ გამოჩნდი, შენმა ნახსენებმა გოგონამ უამბო ბელას ეს ამბავი და საყვედურიც მიიღო მისგან, თუმცა ეს საყვედური პირველ ხანებში მადლობას უფრო ნიშნავდა. მაგრამ, როცა საერთოდ დაიკარგე და კაი ხანიც გავიდა, მისი საყვედური ნამდვილ საყვედურად იქცა, რაც დიდმა იმედგაცრუებამ გამოიწვია. განა, რომელ ქალს არ მოუკლავდა გულს ასეთი რამე? ის ამაყია და არავისთვის უთქვამს ეს, გარდა ერთისა და ის ერთი ახლა შენ გელაპარაკება.

– ეს როგორ? ნუთუ ასეც ხდება?

– არ ვიცი, რას გულისხმობ „ასე“-ში. მონაზვნად აღკვეცა არ დაუპირებია. უბრალოდ, გული დასწყდა და ესეც

მისებურად, სიცოცხლით აღსავსე მხიარულებით გამოხატა. ეს მისთვის ჩვეულებრივი ამბავია. რაც მეტად უჭირს, მით მეტი სიმძაფრით იყვარებს ცხოვრებას და მის მოულოდნელობებს. აი, ამ საოცარი თვისებით შემაყვარა მეც ჩემი უბადრუკი ცხოვრება.

– შენ გაგიმარჯოს, მეჩი, – როგორც თავის მხსნელს, ისე მიმართა ჩიკომ, რომელსაც თვალები ანთებოდა და მასში გაჩენილი ალის კიდევ უფრო ასანთებად მორიგი ჭიქა დაცალა, – ახლა? ახლა სად არიან ისინი? რატომ არ შეიკრიბნენ ნავში? – სულმოუთქმელად მიაყარა ჩიკომ, ჭიქის დადგმისთანავე.

– ახლა უკვე სწავლობენ. ყველანი თეატრალურ აკადემიაში მოეწყვნენ და იმდენი დრო აღარ აქვთ. დროგამოშვებით ისევ ვნახულობთ ერთმანეთს. ხან ისინი მესტუმრებიან, ხან კი მე გადავეყრები ხოლმე ქუჩაში შემთხვევით. თუ მისი ნახვა ძალიან გინდა, აკადემიაში შეგიძლიათ ინახულო დიდი თეატრის გვერდით.

– მე მას სახეზე არ ვიცნობ, – დამწუხრებული ხმით თქვა ჩიკომ.

– როგორ თუ არ იცნობ? აბა, ამდენი რისთვის მალაპარაკე? აკი ისა ვარ, ნავთან რომ ჩაეძინაო? – გაიკვირვა ბერიკაცმა.

– მხოლოდ მისი ხმა და ხასიათი გავიცანი. იმ ღამით, ის ჩემგან ზურგით იჯდა ნავში. ყოველ მის გახსენებაზე ვფიქრობდი ამ ხასიათზე და სიმართლე გითხრა, შენთან შეხვედრამდე ცნობისმოყვარეობა მეტი იყო ჩემში, ვიდრე რაიმე გრძნობა, იმიტომ, რომ ვერაფრით ვერ ვხვდებოდი ზუსტად, რა იმალებოდა მის გახმოვანებულ ხასიათში. ახლა კი შენმა ნათქვამმა ყველაფერი სხვანაირად დამანახა, მეჩი.

– ნუ ჩქარობ, ჩიკო, – ჩიკო თავისი სახელის გაგონებაზე შეცბა და ამავე შეცბუნებამ გაახარა. გაახარა, რადგან ის არა მარტო ახსოვდათ, არამედ ელოდნენ კიდეც, რაც იმას

ნიშნავდა, რომ ეს ყველაფერი მისი გამონაგონი სულაც არ ყოფილა, არამედ სადღაც შორს, ან იქნებ ახლოსაც, ბედისწერის კარნახით იწერებოდა. მისი დამსახურება კი მხოლოდ ის იყო, რომ კითხვა არ დაზარებოდა და იმ ადგილამდეც მისულიყო, სადაც უცილობლად სანიშნი უნდა გამოეყენებინა, წაკითხულის გასააზრებლად. ხვალიდან კი, სანიშნს საერთოდ მოისვრიდა და ერთი ამოსუნთქვით ჩაიკითხავდა ბოლომდე წიგნს, რომელსაც სიყვარულით დაასათაურებდა. აი, ასე დაინახა ამ წუთას ჩიკომ ბედისწერა, რომელიც აქამდე თუ გარდაუვალი შედეგი ეგონა, ახლა ეს არჩევანი იყო, რომელიც ამა თუ იმ შედეგამდე მიდიოდა, – შენ ჯერ არაფერი გინახავს, – განაგრძო ბერიკაცმა, – ხვალ შუადღისთვის ნავთან დაგიცდი და ერთად წავიდეთ აკადემიაში.

– რატომ დამიცდი! მე აქვე, მყუდრო სასტუმროში ვარ გაჩერებული და, თუ ხვალამდე ჩემთან ერთად იქნებოდი, ძალიან გამახარებდი, – ისეთი მონდომებით ცდილობდა მოხუცის დაყოლიებას, თითქოს ეშინოდა მისი გაშვებისო. ვაითუ, არ დახვედროდა ნავთან და ყველაფერი წყალში ჩაყროდა. ახლა მას არსადაც არ გაუშვებდა, სულაც თვითონ გაათენებდა ნავის გვერდით, თუ მოხუცი არ წაჰყვებოდა, მაგრამ გვერდიდან ვერ მოშორდებოდა, – აბა, როგორ უნდა დაგტოვო ქუჩაში იმ სიკეთის შემდეგ, რასაც ჩემს მიმართ იჩენ. ეგ კი არა, ორმოცდაათი წლის იუბილესთვის იქნება ჭერზეც გვეფიქრა რამე.

– ტყუილად ფიქრობ ასე. ჩემთვის რბილი საწოლი ისევე მოუხერხებელი იქნება, როგორც შენთვის სანაპიროს კენჭებზე წოლა. ჩემი ჭერი ცა არის, რომელიც, სხვა ჭერისგან განსხვავებით, ყოველთვის სხვადასხვანაირია. უყურებ ამ ცას და ხვდები, რომ ის ყველაზე მეტად შენია. მთელი დედამიწის ჭერი შენია და აღარავის კერისა აღარ გშურს. ამიტომ, დიდი მადლობა, ჩემო კეთილო ადამიანო, მაგრამ სასტუმროში ძილს ვერ შევძლებ.

– მაშინ ამ ქალაქის გაცნობაში დამეხმარე. შენთან ერთად ვიქნები, სადაც წახვალ. ღამე კი ისევ აქ მოვიდეთ და ჩვენც მეთევზეებთან ერთად ვიმხიარულოთ, – მონდომებაზე მეტად, ახლა უდარდელი სურვილი ალაპარაკებდა, რადგან ამ შეთავაზებაზე წინასწარვე იცოდა პასუხი და არც დალოდებია ბერიკაცს, ისე მიუჭახუნა ჭიქა, რომლითაც მათი ექსკურსია ადღეგრძელა, – ასე იყოსო, – უპასუხა ან უკვე მისმა გიდმა, რომელიც ქალაქის გაცნობაზე მეტად იმაზე ფიქრობდა, ბელა როგორ შეეხვედრებინა და გაეცნო მისი ციდან ჩამოვარდნილი სტუმრისთვის.

ისევ გაისმა კარის ხმა, რომელზეც მაშინვე ზამბარამ წაიზუზუნა და დახლზე ორი უჟმური ჯარისკაცი ჩამოეყუდა.

– აი, ისინიც მოვიდნენ, როგორც გითხარი. დროა წავიდეთ, ხასიათი რომ არ გავიფუჭოთ, – ზიზღით თქვა ბერიკაცმა და ადგილიდან წამოდგა.

გარეთ კარგად გათენებულიყო, სარდაფში კი საერთოდ არ იგრძნობოდა ეს. ხალხიც კანტიკუნტად დაიარებოდა აქა-იქ, რაც იმას ნიშნავდა, რომ კვირა დღე იყო და შრომითა თუ განცხრომით გადაღლილ მოსახლეობას მოსვენება სჭირდებოდა. ყველას, ვინც კი ამ დღეს დასეირნობდა ქუჩებში, მოსვენებული ხალხი უსაქმურებს ეძახდა, რომელთა რიცხვსაც დღეს ჩიკოც შეერთებოდა და დღეს ამართლებდა კიდეც ამგვარ სტატუსს. მან ბერიკაცთან ერთად ქალაქის ყველა აღმართი თუ დაღმართი აიარ-ჩაიარა, ყველა ჩიხსა თუ ხეივანში შეიხედა, ყველა გზა გადაკვეთა, განსაკუთრებული სიმძაფრით კი ყველა ფანჯარა გამოაღო იმ განცდით, რომ ეს ბელას ოთახის ფანჯარა იქნებოდა. ნახა დიდი თეატრი, ქალაქისთავის სასახლე, მმართველის სასახლე, მავთულხლართებიანი გალავნით გარშემორტყმული ციხე-სასახლე, ბერიკაცის კიბესასახლე, რომლის ქვეშაც ის უამინდობის დროს აფარებდა თურმე თავს. მოისმინა საღამოს ლოცვის მაუწყებელი სამრეკლოს ზარის რეკვა, სამჯერ გა-

იგონა ქალაქის მთავარ მოედანზე დაკიდებული, ვეებერთელა საათის ჩამოკვრის ხმა, რომელიც თორმეტ, სამ და ექვს საათზე გაისმა თითქმის მთელ ქალაქში. ბოლოს ბერიკაცი ქალაქის ბოლოში გადაშლილ პარკში შეუძღვა მას, იშვიათი მცენარეებით რომ იწონებდა თავს და საოცარ სურნელს აფრქვევდა ირგვლივ.

– მოგწონს? – თვითკმაყოფილი სახით იკითხა ბერიკაცმა, რომელიც ისეთი აღტაცებით ავლებდა თვალს მის წინ გადაშლილ ბუნებას, თითქოს პირველად ხედავდსო, – ეს ადგილი ბოლოსთვის შემოგინახე. აქ ისეთ რამეს განახებ, როგორიც, დარწმუნებული ვარ, არასოდეს გინახავს. არა, ვცდები. ნანახი უთუოდ უნდა გქონდეს, მაგრამ შემჩნეული ნამდვილად არ გექნება. აბა, მითხარი, გაქვს ასეთი ხეები ნანახი?

– ზოგი მათგანი მართლა არ შემხვედრია ჩვენკენ. თუ-ნდაც ეს, – ხელი ევკალიპტის თვალუწვდენელი ხისკენ გაიშვირა.

– არა, შენ ვერ გამიგე. მე ჯიშებზე არ გეკითხები. ისე, ხეები ხომ გაქვს ნანახი. ასე ერთად და ცალკე მყოფნიც.

– ხეების მეტი რა არის ჩვენს მხარეში, – გაკვირვებული იდგა ჩიკო და მთელი გულისყურით აკვირდებოდა ამა თუ იმ ხეს.

– ...და ისინი, როგორც მთის კაცს, ალბათ, ძალიან მოგწონს, ხომ? – უცნაური მოუსვენრობით ლაპარაკობდა ბერიკაცი.

ჩიკომ გაურკვევლად დააქნია თავი.

– ძალიან კარგი. ახლა ჩემ გვერდით დაწექი გულაღმა და ისე შეხედე ამ ხეს, – თქვა თუ არა, მაშინვე ერთ-ერთი მაღალი ხის ძირში წამოწვა და ხელები თავქვეშ ამოიდო. ჩიკომაც ინტერესით შეპყრობილმა, იგივე გაიმეორა, – აბა, დააკვირდი. ხომ მართლაც დიდებულია? აი, ნამდვილი ხე, მთელი თავისი სიდიადით. ვერსად, – წამოიძახა ბერიკაცმა, – ასეთ ძალას ვერსად იგრძნობს ადამიანი. თითქოს

შენც და მთელი დედამიწაც მასზე ხართ ჩამოკიდებული, როგორც ყუნწზე. ის კი, თავისი ფესვებით ჩაგვჭიდებია და დაგვაქროლებს უკიდეგანო სივრცეში. ქარის დროს უკეთესად ჩანს, როგორ გვექაჩება აქეთ-იქით, რომ არ მოვწყდეთ მისგან. გასაკვირია, მაგრამ ამისდა მიუხედავად, აქ ყველაფრისგან მოწყვეტილი ხარ. მხოლოდ შენ და ხე. მაღლიდანაც ლამაზია, მაგრამ იქიდან მაინც მიწიერებასთან მიგავჯაჭვებს. რელობაშიც ხომ ასეა? რაც მეტ მწვერვალს იპყრობ ადამიანი, მით მეტად გბოჭავს ცხოვრება.

ჩიკო მართლაც მოსწყვიტეს მოხუცის სიტყვებმა იქაურობას, ოდნავ შეცვლილი წყობით. „მე, ის და ხე“. გაჩნდა სამება, რომელმაც ყველაფერი დაავიწყა და ედემის ბაღში გარდასახა ბელასთან ერთად იმ ვაშლის ხესთან, მთელ ქვეყანას რომ ჩასჭიდებოდა უწინ ცოდვის ხე, ახლა კი, ხსნის ხედ და ხიდად გადებული სამოთხესა და მას შორის. ნეტავ რას იზამდა თვითონ, ბელას რომ გამოეწოდებინა ვაშლი დღეს? – გადავაგდებდი! – მტკიცედ გაიფიქრა გონებაში, ვიდრე მორიგი სურათი გამოეცხადა: – უკვე გასინჯა? მაშინ... მაშინ მეც შევჭამდი... მარტო არ დავტოვებდი... სადაც ის, იქაც მე! – ისევ მტკიცედ გაურიგდა საკუთარ თავს და მაშინვე, როცა თავი სუფთად იგრძნო, დრომ სულ სხვა პასუხი გასცა. წარსულის ყველა გამოწვევის დაძლევა თავის ნუგეში და დამარცხებაა; მომავლის გამოწვევის – იმედი და გამარჯვებაო. რატომ თქვი „შევჭამდი და არა შევჭამო? ხილულს მოერიე და უხილავის შეგეშინდა?“ – დაუნდობლად სცემდა უხსოვარი დრო ნახსენებ სიტყვებზე ჩიკოს, რომელსაც ყველაზე ლამაზი ხე კიდევ უფრო შეუყვარდა, როგორც ახალი გაკვეთილისა და გამოწვევის მომცემი.

დაღამებისას, შეთანხმებისამებრ, დუქანს მიაშურეს, რომელიც, დილისგან განსხვავებით, მართლაც სავსე იყო მეთევზეებით. სარდაფი სულ ათამდე მაგიდას იტევდა, თუმცა ახლა აქ იმდენი ფეხზე მდგომი იყო, რომ ოციც ვერ ეყოფოდა. მიუხედავად ამისა, მათ ნაკლებობას არავინ გა-

ნიცდიდა. პირიქით, ფეხზე მყოფები უფრო მხიარულებიც კი ჩანდნენ, ლუდის კათხებითა თუ არყის ჭიქებით ხელში რომ ირეოდნენ ერთმანეთში და ბოლთას სცემდნენ. ასეთი ბარაქიანი ზღვა დიდი ხანია არ გვახსოვსო, იძახდნენ ერთნი, რაზეც მეორენი მიაძახებდნენ, ზღვა არაფერ შუაშია, დაგონის წყალობას უნდა უმადლოდეთო. ბერიკაცის დანახვაზე, ერთ-ერთი პირველების ჯგუფიდან სკამზე შემოხტა, ჭიქამომარჯვებული ხელი, ხმელი ტოტივით გაიშვირა მისკენ და ყველას გასაგონად შესძახა: ასე თუ გაგრძელდა, დაგონის მადლმა, დაზამთრებამდე ჩემს ნავს ბერიკაცს ვუთმობო. ყველა ხარხარით გამოეგება მის ასეთ თავაშვებულ მოწყალებას და მათმა ჭიქებმაც ერთდროულად დაიწკრიალეს. მალევე, მეორე ჯგუფიდანაც გამოიჩინა მოხუცისადმი ყურადღება ერთმა მოდღლეზილმა შუახნის კაცმა, რომელსაც ქვედა ტუჩი აშმორებული მორივით ჩამოჰკიდებოდა, მასზე დახვავებული საჭმლის ნამცეცებითა თუ ლუდის ქაფით. მას არც თავი აუწევია და არც ყბების ქნევა გაუჩერებია, ისე იკითხა მოხუცის მისამართით:

– შვილი გამოგიჩნდა, თუ ისიც უსახლკაროდ დარჩა და შეგირდად აიყვანე?

ხალხი ამანაც გაამხიარულა და თავიანთი ოხუნჯი ვარაუდებიც შემატეს ამ უკანასკნელის სარკაზმს. მართალია, ბერიკაცს პირველის სიტყვებზე გაეცინა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ესიამოვნა რამე. მიუხედავად იმისა, რომ საჩუქარს ჰპირდებოდნენ, მაინც დამცირებულად ჩათვალა თავი, რადგან ეს ყველაფერი ხმამაღლა იყო ნათქვამი, სკამზე დგომითა და ხარხარით, მაგრამ მაინც იცინოდა. ახლა კი, სულაც არ ეცინებოდა. იმიტომ არა, რომ პირდაპირ შეურაცხყვეს ამჯერად, არამედ იმიტომ, რომ მის მეგზურს შეეხნენ. საშინლად შეაწუხა საკუთარმა მდგომარეობამ, რომელსაც ისე შეთვისებოდა მთელი ცხოვრება, რომ საერთოდაც არ ადარდებდა. რამდენი დამცირება გადაუტანია, მაგრამ ეს მისი და მისნაირების ხვედრად მიაჩნდა და სიამაყე

აღარც კი ახსოვდა, სად დაემარხა. ახლა კი, მისი პოვნა მოუნდა უზომოდ, მაგრამ მაშინვე წაერთვა ძალა. რომც ეპოვა, იქ ხომ მხოლოდ ძვლები დახვდებოდა იმ სიამაყისა, ერთ დროს რომ ცაში იყურებოდა, ბოლოს კი მიწაში ჩასულიყო. ძვლებით როგორღა დაუმტკიცებდა რამეს, ამ მოდღლეზილ კაცს, რომელიც ზედმეტი სიამაყით თავის აწევასაც არ კადრულობდა მისნაირებთან. საკუთარი ხელით მაინც რომ არ ჰყოლოდა დამარხული ის, იქნებ გამოსვლოდა კიდეც რამე, მაგრამ ყველა ხომ დაასწრო ჯგუფებად თუ სათითაოდ იმ დაკრძალვას?! ეს მოდღლეზილი კაციც იყო იქ, ერთხელ ჭიქა არაყი რომ მიაწოდა მისსავე თხოვნაზე და არც მაშინ შეუხედავს მისთვის. ასე რომ, სჯობდა არ შეეწუხებინა მისი გამათრახებული სიამაყე და ისევ ჭიქაში ეპოვა შვება.

– შვილი ვარ! – სწორედ ამ დროს შესძახა ჩიკომ, რომელიც ფეხზე იდგა და მოდღლეზილ კაცს ჩაფრენოდა თვალებით.

ყველამ მოდღლეზილ კაცს შეხედა, რომელიც ჯერ ისევ თავაუწევლად იჯდა, თუმცა ყბები კი გაეჩერებინა.

– ნამეტანი გაგმართლებია! გამოდის, ყველა ქუჩა და სანაპირო შენთვის უანდერძია, – უპასუხა და ყბები ისევ მძიმედ აამუშავა. ისევ ახარხარდა ყველა და ნაპოვნი შვილის სადღეგრძელო შესძახეს. მოხუცმა მადლიერი თვალებით ახედა ჩიკოს და ამ თვალებითვე სთხოვა, აღარ გაეგრძელებინა. ჩიკო კი ისევ მას უყურებდა, ვისაც ასე ეზარებოდა თავის აწევა და სიტყვა, იმ ყულფმოღერებული თოკივით ესროლა, მოსათვინიერებელ პირუტყვს რომ ესვრიან კისერზე ჩამოსაცმელად, ვერსად რომ ვერ გაიქცეს და მერე კი მათრახის ცემით მოარჯულონ.

– შეგიძლია შენი ანდერძის წერაც დაიწყო, გარეწარო. მე კი, სანაგვეს ვუანდერძებ შენს თავს, როგორც კი დაამთავრებ, – სარდაფში სიჩუმე ჩამოვარდა და თოკმაც პირველი საქმე გააკეთა. მოდღლეზილმა კაცმა კისერი მოატრიალა და ჩიკოს ამღვრეულ თვალებს შეეხეთქა, რომლებიც

ახლა მასთან ერთად ქორწილის ამხანაგს და პროკურორსაც ერთიანად ხედავდნენ. სიჩუმე ზამბარამ დაარღვია ორმაგი ჟღერადობით და კიბის მეორე საფეხურზე ორი ჯარისკაცი ჩამოდგა. სარდაფში ყველა გაჩუმდა და ჯარისკაცების კეპიან ქუდებს მიაშტერდნენ, იმის მოლოდინში თუ საით მიტრიალდებოდნენ ისინი. ყველამ კარგად იცოდა, რომ ჯარისკაცები ასეთ დროს ტყუილად არავის ესტუმრებოდნენ და არც დუქანი იქნებოდა გამონაკლისი. ამიტომ სუნთქვაშეკრულები უცქერდნენ მათ, როცა ერთ-ერთმა ნელა მოავლო თვალი იქაურობას, თავი შემოატრიალა და კუთხეში მყოფი მაგიდისკენ დაიძრა. მოდღლეზილ კაცს დაადგა თავზე, თუმცა ამ უკანასკნელს არც მისთვის შეუხედავს.

– თქვენ ხართ როტა ბანელი? – რიხიანად იკითხა ჯარისკაცმა.

მოდღლეზილმა კაცმა თვალებით შეაფურთხა ბერიკაცს, მერე გადარეულივით წამოვარდა, გვერდით მდგარ ჯარისკაცს ორივე მუშტი ისე ღონივრად მიარტყა მკერდში, რომ ეს უკანასკნელი მაგიდაზე გადააფრინა. შეუჩერებლად გასასვლელისკენ გავარდა, სადაც მეორე ჯარისკაცი დიდი გაჭირვებით ცდილობდა იარაღის ამოღებას, როგორც იქნა, ამოიღო და ბოლო წამსღა მოასწრო გასროლა. მოდღლეზილი კაცი მარცხენა მხარში დაიჭრა, თუმცა მიუხედავად ამისა, ამ ჯარისკაცსაც ძლიერად ჩაარტყა მუშტი და კიბეზე უგონოდ მიაგდო, თვითონ კი ზედ გადაუარა და ფეხების ბრახუნით აუყვა მისივე თავისუფლების კიბეს. ამჯერად ზამბარას არაფერი უთქვამს. მას იარაღის ხმამ დაასწრო, სულ რაღაც ერთი წამით, რომელიც პირველ ჯარისკაცს გაესროლა.

ამ ამბის მერე, მეთევზეები ჩუმად ამბობდნენ – სულ რაღაც ერთი საფეხური დააკლდა სიცოცხლემდეო. ჩიკოს გულსაც მწარე დაღი დაასვა ამ დღემ. ეს პირველი შემთხვევა იყო მის ცხოვრებაში, როცა უზურის ჯარისკაცებს ხელი არ შეუშალა მათ ხელგაწაფულ საქმიანობაში და კაცი

თავის თვალწინ მოაკვლევინა. აქ არაფერ შუაში იყო ის, რომ სულ ცოტა ხნით ადრე, თვითონაც არ დაიშურებდა მისთვის ტყვიას, იმიტომ რომ, ეს სულ სხვა რამ იყო. უფრო ზუსტად, ეს ხარების ჭიდილის ჰგავდა, თეთრისა და შავისას, სხვის ჩაურევლად რომ ეძგერებოდნენ ერთმანეთს და ისე გაარკვევდნენ ყველაფერს. აქ კი, მოედანზე ტორეადორები შემოჭრილიყვნენ, წითელი დროშებით ხელში, რომლებიც ყველას და ყველაფერს აწითლებდნენ წითელი ნაჭრებით, ან კიდევ სისხლით მათ, ვინც ნაჭრებს ვერ იხდენდნენ. წითელი დროშა თეთრ ხარსაც და შავსაც ერთნაირად სძულთ, მაგრამ ორი ტორეადორი ერთისთვის, თანაც მოულოდნელ დროს, იოლი საქმე არ არის. მიუხედავად ამისა, მაინც ეძგერა ორივეს და გვარიანადაც შეაწუხა ისინი, მაგრამ რაღაც ვერ ეყო. ეს რაღაც ჩიკოსთვის თვითონ იყო და ფიქრობდა, ღირდა კი ათასებზე ფიქრი, რომლებიც მომავალში უნდა გადაერჩინა, მაშინ, როდესაც ერთი, მის თვალწინ დაღუპეს, თვითონ კი იმ ათასებზე ფიქრობდა. ისევ საჭიროება გაახსენდა, რომელიც მასაც მორეოდა, თავისი გათვლებით და სრულმა ქაოსმა მოიცვა მისი გონება. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ჯარისკაცებს არ აღუდგა წინ სიცოცხლის გადასარჩენად, ისიც მის თვალწინ, თორემ ისე სმენით იცოდა, ისევ რომ კრავდნენ ყულფებს და ისევ ისროდნენ გათხრილ ორმოებთან, მაგრამ მისი დუმილი იმ აუცილებლობით იყო გამოწვეული, რომელიც მტრის ჩანაფიქრს არ განახორციელებდა და მოძმეთა სისხლს არ დააღვრევინებდა, თუნდაც ისინი პოლიციელები ყოფილიყვნენ, რადგან ეს ისევ და ისევ მისი ქვეყნის საზიანოდ იმოქმედებდა. თუმცა გამოსავალი აუცილებლად გამოჩნდებოდა და იმ დღემდე ჩიკო ყოველ წამს ითვლიდა. დღეს კი რაც მოხდა, ამასთან საერთო არაფერი ჰქონია. აქ მხოლოდ ჯარისკაცები იყვნენ და მთელი ამბავიც შემთხვევამ მოიტანა. შემთხვევას ყოველთვის უნდა აჰყვე ადამიანი. ეს ის წამია, რომელიც ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე გისვრის

ადამიანს. არა აქვს მნიშვნელობა, კარგზე თუ ცუდზე, მაგრამ აქ მთავარი უზარმაზარი ნახტომია, რომელიც მთელი ცხოვრების სვლას ცვლის. მოდღლეზილი კაციც ხომ ასე მოისროლა მეცხრე საფეხურზე?! ისიც რომ არ აჰყოლოდა, ჩამოახრჩობდნენ, მაგრამ ეს ნელა მოხდებოდა. თვითონ კი არ აჰყვა ამ შემთხვევას, რომელიც იქნებ სწორედ ის გამოსავალი იყო, რომელსაც ასე ელოდა.

ბერიკაცი და ჩიკო უკვე ნავს მიახლოებოდნენ, თუმცა ჩიკოს ეს არც შეუნიშნავს. ის ისევ დუქანში იყო ბოლო საფეხურზე ჩამომჯდარი და თავზე ხელებშემოწყობილი. სინდისი ღრღნიდა, სულ ერთი საფეხურითაც რომ ვერ დაეხმარა მსხვერპლს და იმ ათასებითაც ველარ იმშვიდებდა თავს. დააგვიანა და შემდეგ შემთხვევამდე მოუწევდა ლოდინი ამ მწარე გაკვეთილთან ერთად.

– ის ვერ იტანდა ჯარისკაცებს, – ჩუმად დაიწყო ბერიკაცმა, – მათთან ერთად ვერ იტანდა ვერავის, ვისაც კი ჯარისკაცების ფონზე სამხიარულოდ ჰქონდა საქმე, მაგრამ ამას ხმამაღლა არ გაიძახოდა. მე, კაი ხნის წინ, როცა სწორედ ამ ნავში მეძინა, შუაღამით შემთხვევით შევესწარი, თუ როგორ უხსნიდა ის ვიღაც კაცს, რა გზებით გადაიყვანდა მას პატორში. იმ კაცს რაღაც საიდუმლო ინფორმაცია უნდა წაეღო და იქაური დევნილებისთვის გადაეცა, რომლებიც ამას პროპაგანდისთვის გამოიყენებდნენ. მახსოვს, აწ განსვენებულმა ჰკითხა იმ ცნობის შესახებ, რაზეც კაცმა უპასუხა. სულ მალე ამას მთელი ქვეყანა გაიგებს და ჩვენს ხალხსაც აეხილება თვალიო. მერე კაცმა ხელი ჩამოართვა და წავიდა. ის კი ჩემი ნავისკენ გამოიწია. სულ რაღაც ორ ნაბიჯში იყო მისგან და მოადგა თუ არა, მაშინვე მისი უშველებელი თავის სილუეტი დავინახე ჩემს თავზე. ხმას არ ამოვიღებდი, რომ არა მისი ხელების მოძრაობა, რითიც მივხვდი, რასაც აპირებდა და ძალაუნებურად მივაძახე, რას აკეთებთ-მეთქი. მაშინვე გაანება თავი შარვლის ღილებს და ჩემკენ გადმოიხარა. მკითხა მისი ლაპარაკი თუ გავიგონე და

დაუფიქრებლად ვიცრუე. ვუთხარი რომ მისი ჩახველების ხმამ გამაღვიძა, თუმცა მას არ ჩაუხველებია, მაგრამ ასეთ დროს, როცა ასე დარწმუნებით ეუბნები ადამიანს რამეს, ის ამ წვრილმანს ყურადღებას არ აქცევს და უმეტეს შემთხვევაში იჯერებს. მანაც ირიბად შემომხედა, მაგრამ დამიჯერა. ჯიბიდან ხურდები ამოიღო, ნავის კიდეზე დატოვა და უსიტყვოდ გამშორდა.

– მაშინ დღეს რაღას გერჩოდა? – გაკვირვებით ჰკითხა ჩიკომ.

– იმ ღამიდან, ერთი კვირის თავზე, ის ინფორმატორი კაცი ქალაქის მოედანზე, თოკზე ქანაობდა. მას მერე ვერ მიტანდა მოდღლეზილი კაციც, თუმცა ჩემი მოკვლა არც კი უცდია. არ ვიცი, რატომ. იქნებ ფიქრობდა, თუ გათქმა უნდოდა, მეც მაშინ გამთქვამდაო. ან სულაც ბოლომდე არ იყო დარწმუნებული და იმდენად მიხდიდა სამაგიეროს, რამდენადაც ეჯერა ეს, სიტყვიერი შეურაცხყოფით თუ ირონიული გამოხედვით. დაინახეთ, როგორ შემომხედა ბოლოს? ეს იმიტომ, რომ დღეს ბოლომდე დარწმუნდა ჩემს გამცემლობაში. ჩვენ რომ მივედით, ის ხომ დუქანში დაგვხვდა? ჰოდა, ჯარისკაცების დანახვაზე მე გავახსენდი. ეჰ, საწყალმა ალბათ ახლა მაინც იცის, რომ მე არცერთ შემთხვევაში არ მიმიძღვის წვლილი, – სევდიანი ხმით დაამთავრა ბერიკაცმა.

ჩიკო ნავის გვერდით იჯდა, მოკეცილი ხელები თავზე შემოიხვია და მხოლოდ ერთზე ფიქრობდა. აღარ ახსოვდა აღარც ბელა, აღარც საკუთარი თავი და აღარც ის ათასები. უსამართლობას განდგომილი მოდღლეზილი კაცის გარდა ვეღარავის ხედავდა, რომლის გადასარჩენადაც ყველაფერს იღონებდა, დროის დაბრუნება რომ შეძლებოდა სულ ერთი საათით. მაშინვე მის წინ ედემის ვაშლი დაეცა უხსოვარი დროიდან და თავი მთელი ძალით შეანჯღრია. ახლა ის ხარები, თავიდან რომ შერკინებას უპირებდა თავის გონებაში, მისი და მოდღლეზილი კაცის მონაწილეობით, ერთ უღელში

დაინახა შებმულები და თვალზე ცრემლი მოადგა. ზუსტად ისე, ტალახში ჩავარდნილ ხარს რომ წამოუვა სიმწრისგან, რომელსაც შეუბრალებლად ურტყამენ მათრახს მარხილიდან, ის კი როგორ წავიდოდა, როცა მეწყვილესთვის სული ამოეხადათ. მისთვის, მარხილი ახლა ცხოვრება იყო, რომელსაც თავად ექაჩებოდა აღმა. მათრახი კი, შეცდომები, გამოუსწორებელი შეცდომები! სწორედ ამაში იყო მთელი მწუხარება – ეს არ გამოსწორდებოდა და ის ვერ გაცოცხლდებოდა. ის, ვინც თურმე იმავე საქმისთვის იბრძოდა. სხვა გზებით, მაგრამ იმავე სულისკვეთებით და ამისთვის, თავისი სიცოცხლეც სასწორზე დადო. ხომ შეეძლო ბერიკაცის მოკვლა ისე, რომ ვერავის გაეგო, მაგრამ მისი იყო და ვერ გაემეტებინა. ვერ დაინახეს მისმა განცდებით დატყვევებულმა აწყლიანებულმა თვალებმა ეს ყოველივე დროულად. ცრემლები ხომ უსინათლოთაც ისევე სდით, როგორც თვალისჩინიანთ.

– გაცხონოს ღმერთმა, – სევდით თქვა გულში და თვალები სადღაც შორს, სიბნელეში დაკარგა.

– ძილი გჭირდება, ჩიკო, და გულიდანაც მოგეშვება ეს დარდი. ვხედავ, ძაან გეწყინა მისი სიკვდილი. არც მე გამხარებია, ღმერთია მოწამე, მაგრამ ჩვენ ამაში წვლილი არ მიგვიძღვის და სინდისიც სუფთა გვაქვს.

ჩიკოს მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ ორი ღამე არ სძინებოდა, რადგან არ შეეწუხებინა აქამდე მას. დუქანში მომხდარ შემთხვევამდე თუ ბელაზე ფიქრი აცოცხლებდა, ახლა მოდღლეზილი კაცი უკლავდა გულს თავისი ტრაგედიით და მაშინ, ჩიკოს კიდევ ერთი რამ გაახსენდა, რაც სწორედ ამ უკანასკნელის ამბავმა დაავიწყა. ის, რომ სულ მალე ბელა უნდა ენახა და ამან არანაირი შვება არ მოჰგვარა. პირიქით, შეაწუხა კიდეც, რადგან სიმშვიდედაკარგული, იმ აღმაფრენით ვერ შეხვდებოდა მას, როგორც მანამდე ესახებოდა. ასე სინდისშეწუხებული ვერც თვითონ გაიგებდა რამეს და ვერც ბელას გააგებინებდა ვერაფერს. ისევ რაღაც გაახსენა

ერთ-ერთმა სიტყვამ. თითქოს რებუსს ავსებდა თავისდაუ-ნებურად და მოხუცის მიერ ნახსენებ სუფთა სინდისს დაუ-წყო ტალახის სროლა.

– ნეტავ თავიდანვე გეთქვა. მაშინ იქნება სუფთაც მქო-ნოდა სინდისი, – ამოიოხრა ჩიკომ.

– კი მაგრამ, როგორ? – ხელებს ასავსავებდა გაკვირვე-ბული ბერიკაცი, – ასეთი ამბავი როგორ უნდა მეთქვა. განა ამის უფლება მქონდა? ანდა რომც მეთქვა, რამეს უშველი-დით მას? ვერ ხედავთ?! ამ საქმეზე ანარქისტებმაც კი და-იბანეს ხელები და თქვენ რაღას უნდა გამხდარიყავით, გა-რდა იმისა, რომ ხვალ თუ ზეგ სიცოცხლე დაგეკარგათ?

ჩიკოს თითქოს სილა გააწნესო მოხუცის სიტყვებმა. უკან გადავარდა ჩხარუნა კენჭებზე და ის იყო, თვალები დახუჭა, რომ იარაღიანი ხელი გამოეცხადა საფეთქელთან. უცნაური კი ამაში ის იყო, რომ ხელიც და იარაღიც მას ეკუთ-ვნოდა და ამას ფანტომურად გრძნობდა ისევე, როგორც უხელო ადამიანი გრძნობს დაკარგულ ხელს. თვალები გა-ახილა, ისევ დახუჭა და ისიც გაქრა. სულ მალე, მასთან ერთად გაქრა კანონზომიერი სამყაროც და მის წინ აღიმა-რთა თვალუწვდენელი, გამჭვირვალე, ბროლის მბრჭყვი-ნავი მწვერვალი, ალისფრად, ღვინის და ზურმუხტისფრად რომ ციალებდა მოკაშკაშე მზის შუქზე. იგი თავდავიწყების მუსიკას წერდა ასე, რომელიც მთელ სხეულს ატყვევებდა ფერადი ჯაჭვებით. დიახ! ამ მელოდიას ჰქონდა ჯაჭვები და არა ძაფები, რომლებიც ყველა მელოდიას დაჰყვება თან, რათა მარიონეტის უხილავი ხელით აცეკვოს სხეული, ხე-ლებსა თუ ფეხებზე გამობმული ნოტების ძაფებით. აქ კი, სხეულის ცეკვა ზედმეტი იყო, მაშინ როცა არსება ცეკვავდა მასში და რომც მოენდომებინა ვინმეს, არ არსებობდა ძალა, რომელიც მას მიატოვებინებდა და სხეულს გაახსენებდა. ეს იყო მუსიკა მუსიკისთვის. მაშინ ჩიკომ პირველად ინატრა, ხატვა სცოდნოდა და დაეხატა ეს ზებუნებრივი სილამაზე. საცოდაობა იქნებოდა ამის არგადატანა ტილოზე, ასე მა-

ინც რომ ენახებინა ხალხისთვის. მერე მხატვარზე იფიქრა, რომელიც უნდა ეპოვა, აუცილებლად ჟღერადი საღებავები და დირიჟორის ფუნჯი რომ უნდა ჰქონოდა მოლბერტში. ადგილიდან მოწყდა, რათა ასეთი ფერმწერი ეპოვა სადმე და ახალმა ტალღამ ქვიშის ნახატივით წაშალა მისი მეხსიერებიდან ახლახან ნანახი. თვითონ კი, ბნელ, წითელი მიწის კუნძულზე გამორიყა, სადაც სიცოცხლის ნიშანწყალიც კი არსად ჩანდა. იყო მხოლოდ მწყობრად ჩაწყობილი საფლავები, ხის დაფებზე მიწერილი გაუგებარი წლებითა და რიცხვებით. ჩიკო დადიოდა რიგებს შორის და ხედავდა წარწერებს: 1260-1180 – 100 000; 500-448 – ურიცხვი; 336-323 – ურიცხვი; 0-33 – ერთი; 434-453 – ურიცხვი; 1096-1291 – 200 0000; 1207-1472 – 60 000 000; 1369-1405 – 20 000 000; 1803-1815 – 7 000 000; 1861-1865 – 700 000; 1914-1918 – 20 000 000; 1939-1945 – 85 000 000...[1] მაშინ კი მიხვდა, რომ ომების სასაფლაოზე ამოეყო თავი, რომელსაც მთელი კუნძული დაეკავებინა, თითოეულ სასახლეში მილიონები რომ განისვენებდნენ. კუნძული, რომელზეც მოზრდილი ქალაქიც კი დაეტეოდა, სულ საფლავებით იყო სავსე, სადაც მიწის ყველა მტკაველი დაკავებულიყო. მხოლოდ კაი ხნის ხეტიალის შემდეგ წააწყდა ჩიკო ცარიელ ადგილს, რომ გაეთხარათ და ასე მიეტოვებინათ. მასაც ჰქონდა სათაური თავთან, თუმცა მასზე მხოლოდ 20**– 20** ეწერა. ეს ერთიც და მერე წყალი მიხედავს ყველაფერს, მთელ კუნძულს ჩაძირავს და აქ აღარასოდეს მოგვიყვანსო. ასე დაინახა ეს უკანასკნელი სამარე ჩიკომ და უზარმაზარმა ტალღამ ისევ გადარეცხა მისი ჰიპოკამპუსი.

ახლა ის უამრავ ხალხში იყო, რომლებიც ხის მორებსა და ოთხკუთხა ქვებს ეზიდებოდნენ ვიწრო ხეობაში, მთის

---

[1] *1260-1180 – ტროა; 500-448 – 300 სპარტანელი; 336-323 – მაკედონელი; 0-33 – გოლგოთა; 434-453 – ატილა; 1096-1291 – ჯვაროსნები; 1207-1472 – ჩინგიზ ყაენი; 1369-1405 – თემურ ლენგი; 1803-1815 – ნაპოლეონი; 1861-1865 – ბიძია თომა; 1914-1918 – მეორე რეიხი; 1939-1945 – მესამე რეიხი.*

კენწეროზე ეკლესიის ასაშენებლად. უცებ ყველამ ერთიანად გაუშვა ხელიდან ყველაფერი და მუხლებზე დაეცნენ მოთქმა-გოდებითა და პირჯვრის წერით. დამთრგუნველი სანახავი იყო ეს მოფუსფუსე განცდა, რომელიც ქაღალდის ფურცელივით კუჭავდა ადამიანებს. ის არის! ის მოდის! ისმოდა აქეთ-იქიდან კვნესით ნათქვამი სიტყვები, შიშსა და ძრწოლას რომ გადმოანთხევდნენ მხოლოდ, თითქოს გული ერეოდათო. ჩიკოს ჯერ ზევით არც აეხედა, მხოლოდ ხალხს უყურებდა გაოგნებული და როცა აიხედა, შეშინდა. მხდალად შეშინდა და მაშინვე ძირს დაემხო მუხლებზე. დაბნეული, მის წინ მყოფთ აფარებდა თავს, ნათელს რომ ვერ დაენახა იგი. ზურგს უკან კი ვიღაც ჩურჩულებდა, ოღონდ ახლა არა, უკანასკნელი ერთი დღეც და მერეო. ეს ზუსტად ის სიტყვები იყო, რასაც თვითონ ფიქრობდა დამხობის წამიდან. თურმე ამიტომ ვერ ამბობდნენ მის სახელს. ნათელი მოდიოდა თოვლზე უთეთრესი, არავის კი არ უხაროდა. არავინ არ გალობდა ოსანას, გლოვით კი გლოვობდნენ საკუთარ თავს. და აჰა, ბევრი მცდელობის მიუხედავად, მაინც მოადგა ნათელი ჩიკოს დახუჭულ თვალს და გაახელინა. სახეზე ხელი აიფარა. მზე ზუსტად მის პირისპირ მოქცეულიყო.

– ადექი, ბიჭო. ნახე ვინ მოდის. ბედიც შენ გქონია, აი! – სახეგაბადრული გაჰყურებდა მოხუცი გრძელ სანაპიროს და აბურძგნულ გაჭაღარავებულ თმას ორივე ხელით ისწორებდა.

– ის? აქეთ მოდის? – მაშინვე ფეხზე წამოხტა ჩიკო და ძალაუნებურად თვითონაც თმის გასწორება დაიწყო. იყო რაღაც სიზმრიდან გამოყოლილი შიშისმაგვარი განცდაც მასში, რომ არ უნდა შეშინებოდა თითქოს, მაგრამ მაინც აშინებდა თავისებურად, – მართლა ის არის? იქნებ ცდები. წესიერად ხომ არც კი ჩანს აქედან?

– შენ თუ შეგიძლია მხოლოდ ხმით იცნო მისი ხასიათი, ვითომ მე რატომ არ უნდა შემეძლოს, მისი ნარნარით სვლის ამოცნობა. ვერ ხედავ, მარტო რომ არ არის? ამდენის დანახვა ჩემს ბრმა თვალებსაც კი შეუძლიათ.

– ვისზე ამბობ? – გაოცებულმა ჰკითხა ჩიკომ და თავი აქეთ-იქით მიატრიალა.

– ბელაზე. სხვა ვისზე გინდა?

– კი მაგრამ... ის ხომ სრულიად მარტოა?

– მისმინე. როგორც ამბობ, არაჩვეულებრივი სმენა გაქვს. ჰოდა, ყური დამიგდე და ჩემს სიტყვებს გამოჰყევი. დაიმახსოვრე, ის მარტო არასოდეს არ არის! ის ყოველთვის ერთზე მეტია. ორი, ხუთი და შეიძლება ათასიც კი. ყველგან თავის თავს ტოვებს, სადაც კი გაივლის. აბა, დააკვირდი, ის მოდის, მაგრამ თითქოს ერთი ნაბიჯითაც კი არ გიახლოვდება. აი, როცა ის მიდის, სულ პირიქითაა და ერთი ნაბიჯითაც კი ვერ შორდები. მალე მიხვდები, რასაც ვგულისხმობ, – თქვა მოხუცმა და თვალი ჩაუკრა.

და მართლაც, გასაოცრად უცხოდ ეჩვენა ჩიკოს ეს სვლა, აქაც რომ იყო ერთდროულად და იქაც, მაგრამ უფრო მეტად ეუცხოვა საკუთარი სამყოფელი, რომელსაც არანაირი კავშირი არ ჰქონდა აწმყოსთან. მხოლოდ მომავალს ხედავდა, სულ მალე თავზე რომ წამოადგებოდა და აფორიაქებულს, კიდევ უფრო მეტად აურევდა თავგზას, სწორედ ისე, როგორც ზღვიდან მოქროლილი ნიავი წეწავდა ბელას გაშლილ თმას.

შეხვედრა უხმო იყო. ბერიკაცსაც ჩუმად გაპარვა მოესწრო, სანამ ისინი ერთმანეთს ათვალიერებდნენ თვალებით. კი; მეც; ძალიან; მართლა; ალბათ; როდის და კიდევ რამდენიმე უპრეტენზიო სიტყვით, შიგადაშიგ მოკრძალებული სიცილის თანხლებით ჩაიარეს მთელი სანაპირო, რომელსაც ბოლო არ უჩანდა იმ საღამოს.

ასე ხვდებოდნენ ისინი ერთმანეთს თითქმის სამი შემოდგომა, ხან სანაპიროზე, ხან ჯუჯა კაცის სხვენზე, ხან თეატრში, ხან ოტოს ორიალქნიანი ნავის კაიუტაში და ხანაც სვიფში, ქალისა თუ კაცის მთაზე. რომელსაც ნიავი თავის გემოზე დააქროლებდა აქეთ-იქით, მოლივლივე ტალღებზე. ჩიკო უკვე კარგად ხედავდა, თუ რა იმალებოდა იმ ხასი-

ათში, რომელიც ასე იზიდავდა მისი ხმის გაგონების დღიდან. ზუსტად უთხრა მაშინ ბერიკაცმა, აცოცხლებსო და ასჯერ მეტი სიფრთხილით ივლიდა დღეიდან, რომ არასოდეს მომკვდარიყო და მისთვის ეცოცხლა. აი, იმ ხასიათის მთავარი ძალა, რომელსაც მისი აზრით, ბელა თავისებური მსუბუქი ძალით აღწევდა, რომელიც ყველაფერს გადაჭრით ამბობდა და იქვე, ყოველთვის ტოვებდა ხიჭვისოდენა გაურკვევლობას, მოსვენებას რომ არ აძლევდა ჩიკოს და თავს ცოცხლად აგრძნობინებდა. ეს მაშინაც ასე მოხდა, როცა სიყვარულში გამოუტყდა ბელას, მან კი გადაიკისკისა და ეს კარგიაო, უპასუხა. სიცილით გადაჭრით ამბობდა, მე სულ სხვაგან ვარო. აი, კარგი რა იყო ამ ყველაფერში, ამაზე კი ბევრს ფიქრობდა ჩიკო, სანამ არ მიხვდა მის პირველ ნაწილს. კერძოდ იმას, რომ თურმე, მას ქალის გრძნობაც ბრძოლით უნდა მოეპოვებინა, როგორც ყველაფერი დანარჩენი, რისკენაც მიილტვოდა. მიხვდა, რომ თუ ბელა თავიდანვე სიყვარულით უპასუხებდა, შეიძლება ეს გრძნობა განელებოდა კიდეც. ასე კი, მისი ნაკვერჩხალი, რომელიც თურმე ცეცხლი ჰგონებოდა, ხანძრად გადაქცეულიყო და მთელ სხეულს მოჰკიდებოდა. ეს ყველაფერი, რაც უშუალოდ მასზე იყო დამოკიდებული, ამოხსნა, თუმცა ის, რაც ბელაზე იყო, ისევ ხიჭვად რჩებოდა სადღაც. რა შეიძლება ყოფილიყო კარგი იმაში, რომ სიყვარულში გამოუტყდნენ? თანაც ისე მარტივად, როგორც ბელამ უთხრა? იქნება აკლდა რამე მის გამოხატვას? ზუსტად ის ხანძარი, რომელიც მხოლოდ ნაკვერჩხლად დაინახა ბელამ? ასე თუ იყო, მაშინ მართლაც კარგად ყოფილა საქმე და მასაც გადასდებდა თავის ალს, მაგრამ, თუ მხოლოდ გაგონილის ბანზე მოსროლა უნდოდა ამით? მაშინ ამის თაობაზე კრინტსაც აღარ დაძრავდა ჩიკო. არც კი ანიშნებდა რამეს. არა იმიტომ, რომ მისი სიცილის ეშინოდა. უბრალოდ ასე მომართა ის ამ სიცილმა. დიახ, მომართა, რადგან მის ხმას და ქმედებას შეეძლო ზეგავლენის მოხდენა უკვდავზე, ისე რომ, მისივე მოკვდავი ვერაფრით

შეწინააღმდეგებოდა მას. თვითონ კი არაფრის ზეგავლენის ქვეშ არ ექცეოდა და მის უკვდავსა და მოკვდავს საოცრად შეთანხმებულად აცხოვრებდა ერთად. ყოველ შემთხვევაში, გარედან ეს ასე ჩანდა ყველა მოკვდავისთვის. ჩიკოს უკვდავმა კი, მასში ეჭვი შეიტანა და მის ამოხსნაში ისევ დროს მიენდო, როგორც მის მეგობარსა თუ მტერს, რომლებსაც უზარმაზარი და უმნიშვნელოვანესი საერთო ჰქონდათ სიმართლის სახით. არა, სიცილს არანაირი შეურაცხყოფა არ მიუყენებია მისთვის, რადგან ზუსტად იცოდა, რომ ბელას ბუნებისგან დაცინვა ძალიან შორს იყო. ეს ბაზიმაც დაუდასტურა, რომელიც ჯერ კარგად არც კი იცნობდა ბელას. სულ ორჯერ ჰყავდა ნანახი. ერთხელ, როდესაც ჩიკოსთან ერთად დახვდა პორტში ექვსი თვის წინ, სასწავლებლიდან სამშობლოში დაბრუნებისას და მეორედ, როცა თავის სახლში მიიწვია ისინი.

თითქოს მათი ურთიერთობისთვის ხელი არაფერს არ უნდა შეეშალა, მაგრამ ეს მაინც მოხდა და ჩიკოსთვისაც დადგა ის წუთი, რომელსაც ამდენი ხანი ელოდა. თუმცა, მეტისმეტად მტკივნეულად კი წამოეწია ის წუთი, როცა სოფლიდან, მოულოდნელი და პირქუში ამბავი შეიტყო ქალაქში მყოფმა. ზუზუს, რომელსაც სოფლის გზაზე სამხედროები გადაჰყროდნენ პირისპირ, თურმე ერთ-ერთ მათგანში სწორედ ის, უკვე ხანში შესული, მაგრამ უცვლელი იერის, აწ უკვე პოლკოვნიკი ამოუცნია, მამამისი რომ მოჰყავდა იმავე გზაზე ზუსტად თექვსმეტი წლის წინ და ახლოსაც არ მიუშვა უმწეო ბიჭუნა, უკანასკნელად რომ ჩახუტებოდა სიკვდილის გზაზე შემდგარ მამას, რასაც ჩიკოს ნეკნებში კონდახიც მოჰყოლოდა და თვალებამღვრეულ ზუზუს ერთი გასროლით გამოუსალმებია სიცოცხლისთვის. იქიდან სიმინდის ყანებში გადახტომაც მოუხერხებია, მაგრამ რამდენიმე პოლიციელი ცხენებით დასდევნებია და ორმხრივ სროლაში, მაშინ როცა ზუზუს ტყვიები გასთავებოდა, მხარში დაჭრილი აუყვანიათ. ჯარისკაცები ღობეს ამოფარე-

ბულები ადევნებდნენ თვალს პოლიციელების ანარქისტზე ნადირობას. თითქოს მწევრები ყოფილიყვნენ, ისეთი გულმოდგინებით მიიკაფავდნენ სიმინდის ყანებს. ბოლოს ნანადირევიც მოჰგვარეს, თუმცა ერთი მწევარი მაინც ემსხვერპლა გაშმაგებულ ნადირს. ის შებოჭილი, სახელდახელოდ მიეყვანათ სვიფის საპყრობილეში, საიდანაც ქალაქში უნდა გადაეყვანათ.

უკვე სამ წლამდე გასულიყო, რაც მსგავსი ამბავი არ მომხდარიყო და სვიფში მოვლენილი პასუხისმგებელი პირები ამ შემთხვევას, ცოტა არ იყოს, მოუმზადებლები შეხვდნენ. ატეხეს მაცნეების გაგზავნა ქალაქში, რომ ზედმიწევნითი ინსტრუქციები მიეღოთ, თუ როგორ ემოქმედათ და რა ფორმით გადაეყვანათ ტუსაღი ქალაქში.

ამ სამწუხარო ამბის შეტყობისთანავე, ექვსივე მეგობარი ერთად შეიკრიბა და ზუზუს გამოხსნაზე დაიწყეს ფიქრი. თუმცა ზოგიერთისგან ამ ფიქრს, საკუთარ თავზე ზრუნვაც დაერთო თან.

– ჩვენი სახლებში გაჩერება საშიშია. სჯობს ახლავე გავუდგეთ გზას და ტყეს შევაფაროთ თავი, – ნერვიულად დაიწყო კუშემ.

– ის არაფერს იტყვის! – ხმამაღლა და შეურაცხყოფილი ტონით უპასუხა ჩიკომ, რის შემდეგაც მოილაპარაკეს და გათენებისკენ ვითომ ქალაქის გზას გაუდგნენ სათითაოდ, მაგრამ შუა გზაში, ყველამ ტყისკენ გადაუხვია და დათქმულ ადგილზე შეიკრიბნენ. კუშე ბოლოს შეუერთდა მათ, თუმცა მთელი ღამე იქ გაეტარებინა, მაგრამ მეგობრებს ისე შეხვდა, ვითომც სახლიდან მოსულიყო. იმ დღეს არავინ გამოჩენილა. მეორე დღეს კი დილაადრიან გამოჩნდა დახურული ეტლი, რაც უჩვეულო იყო, რადგან აქამდე ის ყოველთვის ღია გისოსებით დაგორავდა, ყველას რომ დაენახა მასში მყოფი მსხვერპლი. ეტლს ოთხივე მხრიდან თითო ცხენოსანი ჯარისკაცი მოჰყვებოდა, ხოლო ამ ჯარისკაცებს თორმეტი ცხენოსანი პოლიციელი, ყოველ ჯარისკაცს სამ-სამი

რომ შემორტყმოდა ირგვლივ. მეგობრები ერთდროულად გაახარა და გააკვირვა კიდეც ნანახმა, რადგან მხოლოდ თექვსმეტი მცველი ასეთ ესკორტში ძალიან ეცოტავათ, მაგრამ ეს მათსავე დიდი ხნის გაუჩინარებას მიაწერეს და სამიზნის შერჩევასაც შეუდგნენ. საქმე ოდნავადაც არ გართულებიათ, რადგან სროლის დაწყებისთანავე ყველამ, ვინც კი მეგობრების არჩევანში არ მოხვდა, იქიდან უკანმოუხედავად გაქუსლა. დარჩა მხოლოდ სულგაფრთხობილი მეეტლე, ორი ჯარისკაცი და ორიც პოლიციელი. ეტლთან მაშინვე ბერიონმა და ხუთმა ჩაირბინეს, კარის ბოქლომი ტყვიით დაამსხვრიეს, ტუსაღს თავზე ჩამოცმული ტომარა მოხადეს და ორივემ გაოცებულებმა გადახედეს ერთმანეთს. თავიანთი მეგობრის ნაცვლად, სულ სხვა კაცი შერჩათ ხელში, რომელიც კანკალს აეტანა.

– გამაგებინეთ, ეს ვინ ჯანდაბაა! – საწყალი კაცისკენ იქნევდა ხელებს ბერიონი და მეგობრებს უყურებდა ყელდაძარღვული.

– მე აქაური ვარ, – წამოიძახა საწყალმა კაცმა, ისე თითქოს ევედრებოდა მათ, – ღორის ქურდობაზე დამიჭირეს, სასჯელიც მოვიხადე, დღეს კი უნდა გავთავისუფლებულიყავი.

– ისევ გვაჯობეს და გაგვაცურეს, როგორც მაშინ, – დამარცხებულის ხმით თქვა ჩიკომ, რომელსაც თავი უკან გადაეგდო და ცას მიშტერებოდა.

– როგორ თუ გაგვაცურეს? რას ნიშნავს ეს? თქვი, რას გულისხმობ, – ვერ მშვიდდებოდა კუშე.

– ცოტანი რომ იყვნენ, მაშინ უნდა მივმხვდარიყავით, ჩვენს შესამოწმებლად და გამოსამჟღავნებლად რომ იყვნენ გამოშვებულები. იციან, ამ კაცს არაფერს დავუშავებთ, ყველაფერს გამოჰკითხავენ ჩვენზე და, რომც დავუშავოთ, არც ეს ეწყინებათ დიდად. ასე ისინი ჩვენ უბრალო ბოროტმოქმედებად გვაქცევენ და ჩვენს ბრძოლას საწყისი სული დაეკარგება. ამას ვგულისხმობ გაცურებაში.

– იქნებ პატორში გაგვეშვა, როგორც სხვებს ვუშვებდით აქამდე? – თქვა ბერიონმა.

– ვერა, ვერსად ვერ წავალ. მე ოჯახი მყავს, ცოლი, შვილები და მათ შეაწუხებენ. ზუსტად ვიცი, რომ ასე იქნება. კარგად მახსოვს, ერთმა მაღალჩინიანმა ჯარისკაცმა რომ მითხრა, ეტლში სანამ ჩამსვამდნენ. ქალაქში შენი ოჯახი გელოდება და თუ ვინიცობაა, დაგჭირდეს, ყველაფერი კარგად დაიმახსოვრე, თუ არადა, შეგიძლია, ყველაფერი დაივიწყოო. ახლა ვხვდები, რასაც ნიშნავდა ეს. ჩემები ქალაქში არასოდეს ყოფილან და ალბათ, მათი ზედამხედველობის ქვეშ იქნებიან. მეხსიერება კი თქვენს დასამახსოვრებლად მირჩია ეტყობა, მაგრამ გეფიცებით, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ ყველაფერს უკუღმა მოვუყვები და სულ სხვანაირად აღვწერ თითოეულ თქვენგანს. თუ გინდათ, თვითონ დამარიგეთ და რასაც მეტყვით, ზუსტად იმას გადავცემ, მაგრამ იქ უნდა მივიდე. იქ ჩემი ოჯახია... – გულისამაჩუყებლად ატრიალებდა თავს მავედრებელი თვალებით, ექვს კაცს შორის და ყოველი პაუზის დროს, ყელზე ნერწყვის კოლტი ჩამოუგორდებოდა ხოლმე.

– უნდა გავუშვათ, – თქვა ჩიკომ და სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ იარაღმა დაიჭექა, რაზეც საწყალი კაცი უსულოდ დაეცა მიწაზე.

– ეს რა გააკეთე! – სახეში უყვიროდა გამძვინვარებული ჩიკო კუშეს, რომელსაც საყელოში სწვდომოდა.

– გინდოდა გაგეშვა? დაიჯერე მისი ზღაპრები, რომ არაფერი იცოდა, ხომ? ის დღესვე გაგვყიდდა, შენც ხომ იცი ეს და ნუ გამოიდებ თავს კეთილ ანგელოზად. ჩვენს საქმეში მიამიტობა დამღუპველია. ბრძოლის იდეა თუ გადარდებს ასე, შეგვიძლია ისევ ეტლში შევაგდოთ, ვითომც ბრმა ტყვია მოხვდა სროლისას, – აუღელვებლად უპასუხა კუშემ და იარაღი ქამარში გაიჩრა.

ჩიკომ მას ხელი მხოლოდ მას მერე გაუშვა, რაც თავი მოატრიალა, დანარჩენ მეგობრებს გადახედა და მათგან მხოლოდ მზერის არიდება მიიღო.

– მე ეს ჩვენი და მისი ოჯახების გადასარჩენად გავაკეთე, – ოხვრით დასძინა კუშემ, რომელსაც საწყალი კაცის ფეხებში ჩაევლო ხელები და გზისკენ მიათრევდა წვალებით.

როცა იქაურობას გაშორდნენ, ბერიონი და ჩიკო გრინგოს სახლის გზას გაუყვნენ. დანარჩენები კი, თავიანთი სოფლისკენ წავიდნენ, ექვსივეს ერთად ყოფნა რომ არ ყოფილიყო თვალშისაცემი. შუაღამისას ჩიკო და ბერიონიც შეუერთდებოდნენ მეგობრებს, დათქმულ ადგილზე და სვიფის პოლიციის მთავარ შენობას დაესხმოდნენ თავს, სადაც რომელიღაც დილეგში, ზუზუ ეგულებოდათ გამოკეტილი.

– რა მოხდა, ჩიკო? მთელი ქვეყანა ბოლო ორ დღეში მომხდარ ამბებზე ლაპარაკობს. ხომ გეუბნებოდი, რომ ამ გზით არაფერი გამოვიდოდა? მადლობა ღმერთს, თქვენც რომ არ დაგიჭირეს. ამბობენ, დღეს გზაზე მომხდარი ამბის შემდეგ, ორასი პოლიციელი და ასი სამხედრო გამოუგზავნიათ ქალაქიდან და ყველა სოფელში ანაწილებენ. მეც მოვკარი თვალი უცხო პოლიციელებს სოფლის თავში, – თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდა გრინგო და ოთახში წინ და უკან დადიოდა ნერვიულად.

– ჩვენ დიდხანს არ გავჩერდებით, გრინგო. ამაღამ რთული ღამე გველოდება და რამდენიმე საათს გამოვიძინებთ შენთან. ორი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს და დასვენებული თავები არ გვაწყენდა საქმის დაწყებამდე. ზუსტად სამ საათზე უნდა გავიდეთ აქედან და ჩვენკენ წავიდეთ. ძმური თხოვნა მაქვს, მეტს ნურაფერს იკითხავ და საათზე თვალი გეჭიროს.

– მეორე თხოვნას უპირობოდ შევასრულებ, ჩიკო, მაგრამ პირველზე ვერ დაგთანხმდები. რა ჩაიფიქრე ისევ? ზუზუს გათავისუფლება პოლიციის შენობიდან? ხომ გითხარი, სამასი კაცი დაიმატეს გასაძლიერებლად. ვერ ხვდებით, რომ ამას აზრი აღარ აქვს? ზუზუს არ ეკითხებით, უნდა თუ არა, რომ თქვენც თან გაგიყოლოთ? შენ, ჩიკო! შენ თუ მოითხოვდი ამას ზუზუსგან?!

ჩიკომ თავი გააქნია. მერე ოდნავ შეყოვნდა და დაამატა, – უბრალოდ დაველოდებოდი.

– ხომ გესმის, გრინგო? – ჩაერთო ბერიონი, – დაველოდებოდიო. მეც დაველოდებოდი და ზუზუც გველოდება. ასე რომ, სანამ გველოდებიან, აზრი ყველაფერს აქვს. ის პოლიციელები, შენ რომ გაგიგია, როგორც თქვი სოფელ-სოფელ გაუნაწილებიათ. პოლიციის შენობაზე თავდასხმას ვერავინ წარმოიდგენს ჩვენგან და ჩვენც ამას გამოვიყენებთ. ასე რომ, არც ისე უიმედოდ არის საქმე, რომ ტყუილად შევაკლათ თავი ჩვენს მტრებს. მათთვის ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სათქმელი.

გრინგომ ხელები ჩამოუშვა და მეგობრები საძინებელში შეაცილა. თვითონ კი, შუშაბანდში ჩამოჯდა ხის სავარძელზე და სმენად გადაიქცა. ყოველი ძაღლის ყეფაზე, სოფლის სხვადასხვა ეზოდან რომ ისმოდა, გრინგოს გული აუძგერდებოდა და სულ უფრო ჩქარა უცემდა, როცა ერთს მეორე აყვებოდა, მეორეს მესამე და ასე, მთელი სოფლის ძაღლები არ გააბამდნენ საპასუხო ყეფასა თუ ყმუილს. ასეთ დროს, გრინგო ფიქრობდა, რომ ჯარისკაცები ან პოლიციელები მოუყვებოდნენ მისი სახლის გზას და ყეფის ხმაც მწევრებივით მოუძღოდა მათ. ვაი რომ, სროლა მოუწევდა უცილობლად, ბაბუისეული თოფიდან, და მაშასადამე, კაცის კვლა. აი, სოფლის თავში აყეფდა ერთი, რომელსაც უმალ წყაროსთან უპასუხა მეორემ, კიდევ ცოტა ხანში მისი სახლისკენ ამოსახვევი გზიდან, სკოლისკენ გაისმა იგივე ხმა, რომელსაც მაშინვე მოჰყვა მძიმე ყეფა, რამაც გრინგოს ისედაც დამძიმებული სუნთქვა კიდევ უფრო დაუმძიმა. ეს მეცხვარის ბებერი ნაგაზი იყო, რომლის ხმასაც ათასი ძაღლისგან გამოარჩევდა გრინგო. ნაგაზი არასოდეს ყეფდა ტყუილად და მხოლოდ მაშინ ცხარდებოდა, თუ უშუალოდ მოინდომებდნენ მისი გზის გადაკვეთას. სხვა მხრივ, მას სოფლის ძაღლების შფოთი არ ადარდებდა და არც განწყობა ჰქონდა მათი აყოლისა. მეცხვარის სახლი, გრინგოსგან არც

ისე ახლოს იყო, თუმცა, მისი ეზოს გაჭრით რომ გადიოდა ბილიკი, სამჯერ მაინც ამცირებდა მანძილს მის სახლამდე. სწორედ ამიტომ უნდა შეეწუხებინა თავი ნაგაზს, რაც იმას ნიშნავდა, რომ მალე მის ღობესთანაც გამოჩნდებოდნენ შავი ლანდები. ის გარემოება, რომ თავად მას არ ჰყავდა ძაღლი, ცოტათი შვებას აძლევდა, რადგან ასე ახლოს მაინც არ გაიგონებდა განგაშის ხმას. არასოდეს ისე არ შეზიზღებია ძაღლების მოდგმა გრინგოს, როგორც ამ ღამეს, რომელიც თითქოს არ აპირებდა გათენებას. საათს დახედა. ორს გადასცდენოდა. მეგობრების გაღვიძების დრო ახლოვდებოდა, მაგრამ უცებ თავში ერთმა სასხვათაშორისო აზრმა გაურბინა და უკვე ნახევრად წამომდგარი, უკანვე დაეშვა სავარძელზე. საძინებლიდან ხმა არ ისმოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩიკოს და ბერიონს ღრმად უნდა სძინებოდათ. ახლანდელ გაღვიძებას კი, აბა რა ფასი ექნებოდა მეგობრებისთვის? აუჩქარებლად გაუყვებოდნენ თავიანთ გზას და გრინგოს წვლილი ამაში იოტისოდენაც არ იქნებოდა. ჰოდა, ნახევარ საათს მოიცდიდა და მერე გააღვიძებდა. ასე იტყოდნენ, გრინგო რომ არა, იქნებ დილამდეც ვერ გაგვეღვიძაო. ისევ წამოდგა გრინგო და ისევ გაუელვა აზრმა გონებაში, ოღონდ ამჯერად ეს აზრი ნაცრისფრად შეფერილიყო. გრინგო უკვე მეორედ დაეშვა სავარძელზე და ნაცრისფერ სტუმარს გაჰყვა ხელიხელგაყრილი. კიდევ ათი წუთი და მისი როლი ათჯერ გაიზრდებოდა იმ საქმეში, რაც ნაწილობრივ ასეც იყო, მაგრამ დღეს მის გარეშე ვერაფერს მიაღწევდნენ. ათმა წუთმაც გაიარა და თავში კოჭლი აზრიც გამოჩნდა, დიდი გაჭირვებით რომ მიუყვებოდა გზას და გრინგომაც მაშინვე ხელი შეაშველა, რომ არ დაცემულიყო. კიდევ ათი წუთიო, უთხრა კოჭლმა და ისიც მოიხიბლა. აღარ ესმოდა ძაღლების ყეფა, რომლებიც ისევ ისე ყეფდნენ სოფლის ეზოებიდან. მისი სმენა ახლა მხოლოდ საძინებლისკენ იყო მიმართული, სამარისებური სიჩუმე რომ გამეფებულიყო. კოჭლი გაქრა და საიდანღაც, ხეიბარი დაეცა მის

აზარტში მყოფ თავს. ხუთიცო, ანიშნებდა ხელით ხეიბარი, რომელიც უშნოდ იკლაკნებოდა მიწაზე გართხმული. რა სისულელეა ამდენი რამის წყალში ჩაყრა ხუთი წუთის გამოო, თქვა გრინგომ და ფეხზე წამოდგა. საძინებლის კართან მივიდა და ისევ ხეიბარმა გააჩერა.

– თუ გინდა ამ საქმეში ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულო, ახლა გააღვიძე. მაგრამ თუ გინდა უმთავრესი იყო, მაშინ ხუთიც მოითმინე. უკანასკნელ წამს უპირველესი ფასი აქვს საბედისწერო დროს, – უთხრა ხეიბარმა, რომელიც მუნჯის ენაზე ელაპარაკებოდა, თუმცა გრინგომ ყველაფერი ზედმიწევნით გაიგო.

„მრავალი პირველი იქნება უკანასკნელი, და მრავალი უკანასკნელი – პირველი“ (მარკოზი. 10:31) – გაახსენდა გრინგოს სახარების სიტყვა და ისევ სავარძელს დაუბრუნდა შეპყრობილი აზარტით, – ნამდვილად უპირველესი იქნება ჩემი როლი ზუზუს გადარჩენაში, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ტყვიაც არ გამისვრია და უკანასკნელი ვარ. აღარც გასროლა და აღარც მოკვლა მომიწევს მაშინ, როცა ამხელა ღვაწლი მექნება ამ ბრძოლაში. ადრე რომ გამეღვიძებინა, მხოლოდ მადლობას დავიმსახურებდი, ახლა კი მხსნელი და გადამრჩენელი გავხდები, რადგან უჩემოდ ზუზუ დაიღუპება.

...ჩიკოს და ბერიონს გრინგო მაგიდაზე თავჩამოდებული დახვდათ შუშაბანდში და არც გაუღვიძებიათ, ისე დატოვეს მისი სახლი, რადგან ნახევარი საათი ისედაც დაგვიანებოდათ და გრინგოსთან გამომშვიდობებისას, კიდევ მეტი დროის დაკარგვა მოუწევდათ. სოფელში ასულებს, ტყეში დანარჩენებიც შეხვდნენ, რომლებსაც ხელყუმბარები უნდა მოეტანათ თან, მაგრამ ხელცარიელები მისულიყვნენ, რადგან თურმე, ზუსტად იმ დროს, როდესაც ისინი ეტლს დაესხნენ თავს, ზუზუ უღელტეხილის გზით წაეყვანათ ქალაქში.

4

ქალაქის მთავარ მოედანზე, გრძელი ფიცარნაგის ირგვლივ, უამრავი ადამიანი შეკრებილიყო. მოედნის თავში, სამკუთხა, არწივებიანი სახლის ფანჯრებში ადგილი აღარ იყო დარჩენილი, ვინმეს თავი რომ არ ყოფილიყო გადმოკიდებული. ვისაც ადგილი არ შეხვედროდა, კისერწაგრძელებული, ფეხის წვერებზე მდგომი და თვალებგადმოკარკლული ცდილობდა მოედნის დანახვას. ბოლო სართულზე, შუაში რკალისებურ განიერ აივანზე, რამდენიმე მაღალჩინოსანი იჯდა სავარძელში და სიგარას აბოლებდა. დროდადრო, ოთახიდან მათი ქალბატონები გამობრძანდებოდნენ, რაღაცას ჰკითხავდნენ ბატონებს და ისევ უკან შებრძანდებოდნენ. ზემოხსენებულ სახლს, მოედნის ირგვლივ ჩაყოლებაზე, ოდნავ დაბალი, ოთხი მასავით სამკუთხა ფორმის სახლი ამოსდგომოდა, წვეტებით რომ შემოჭრილიყვნენ მოედანზე და ალყაში მოქცეულისთვის ხუთი მახვილი კორიდორი დაეტოვებინათ. ხუთივე სხვადასხვა გზაზე აყენებდა მგზავრს. ერთს წყალს გაატანდა, მეორეს ცეცხლს მისცემდა, მესამეს მიწას დააყრიდა, მეოთხეს რკინის ბორკილებით შებოჭავდა და მეხუთესაც ჰაერში ააორთქლებდა როგორც არაფერს. სწორედ ერთ-ერთი ამ გზით უნდა მოეყვანათ დღევანდელი სიკვდილმისჯილი, რომლისთვისაც სულერთი იყო, რომელს არგუნებდა სისხლით შეღებილი ხუთქიმიანი ვარსკვლავი, თავისი ხუთი სტიქიური გზითა და საერთო მისამართით.

– სად არ ვყოფილვარ ასეთ სანახაობაზე, მაგრამ ამდენი ხალხი არსად მინახავს! – ხელები აივნის მოაჯირზე დაალაგა ქალაქისთავმა და სულელური გამოხედვით, ისე, თან რომ ოდნავ ცმუკავდა, წინ წამოწეულმა მოედანს გადახედა, – არა, დღეს დიდი სანახაობა გველოდება, თუ იმ ვაჟ-

ბატონმა დროზე ადრე არ დაფქვა ყველაფერი. რა ჰქვიაო? ზუუ...

– ზუზუ, – მოკლედ მოუჭრა მთავარმა პროკურორმა, რომელიც ქალაქისთავის გაუჩერებელ ლაპარაკს შეეწუხებინა.

– რამდენ ხანს გაძლებს, თქვენი აზრით? – არ ასვენებდა ქალაქისთავს აღტკინებული სიხარულის მოლოდინი, რომელიც სადაცაა, უნდა დაწყებულიყო.

– მისთვის საუკეთესო ჯალათია შერჩეული. საათს, რომელზეც გაასწორებს, წერტილსაც იქ დაუსვამს. დარწმუნებულია, ზუსტად თორმეტ საათზე ვათქმევინებ სახელსო, – თითების ფშვნეტით ჩაერთო საუბარში ხანში შესული მმართველი.

– ერთი საათი?! მთელი ერთი საათი?! – აღტაცებით წამოიყვირა ქალაქისთავმა, – პირობას ვდებ, ვერ გაუძლებს. სულ რომ არაფერი ავნოს ჯალათმა, ხალხის ფურთხს ვერ გაუძლებს ამდენი ხანი, – არ ისვენებდა ისევ და თითებგაფარჩხულ ხელებს მოაჯირზე ატყაპუნებდა.

– ცდებით, ბატონო მმართველო, თქვენც და ჯალათიც, – უტიფარი სახით, ისე რომ, თავი არც გაუნძრევია, სიტყვა გააწყვეტინა პროკურორმა, – მე ასეთებს კარგად ვიცნობ.

– გინდათ თქვათ, რომ ეს ყოველივე უაზრობაა? – სათვალის ქვემოდან გახედა მმართველმა.

– ჰო, უაზრობაა? – დაამატა ქალაქისთავმა, რომელსაც სახეზე ნერვიულობა შეეპარა.

– თუ აზრს მის გატეხვას ეძახით, ვშიშობ, უნდა ცდებოდეთ.

– თუ მართლა ასეა, გამოდის ეს ყველაფერი ცირკია ხალხის გასართობად და სხვა არაფერი. მომიტევეთ, მაგრამ ეს ხომ თქვენი დაჟინებული თხოვნით კეთდება. მაშ, რისთვის თუ...

– ნება მიბოძეთ, მე მოგახსენოთ ჩემი ახლახან გაჩენილი აზრი ყოველივე ამაზე, ბატონო მმართველო, – საუ-

ბარში ჩაერია ობური, რაც მმართველის გვერდით მჯდომ ქვეყნის პირველ პოლიციელს ეკალივით მოხვდა გულზე.

– გისმენთ, ბატონო პოლკოვნიკო, – გაუღიმა მმართველმა.

– ამ ყველაფერმა ჩვენ სულ სხვა სარგებელი შეიძლება მოგვიტანოს. კარგად ვიცნობ ჩემი კუთხის ხალხს და თავიდანვე ვიცოდი, ამით რომ არაფერი გამოვიდოდა. როგორც იცით, ერთი კვირაა, რაც საპყრობილეში განუწყვეტელ წამებაშია, მაგრამ ამაოდ. დღევანდელ დღეს კი, როგორც მოგახსენეთ, რამდენიმე სარგებლის მოტანა შეუძლია. პირდაპირ გეტყვით, რომ თქვენს დიდსულოვნებას, იმ შეთავაზების სახით, რომელიც დამნაშავეს აღიარების შემთხვევაში მიეცემა, ჩვენი ხალხი არაფრად ჩააგდებს, რადგან არ უყვართ, როცა მათ აპატიებენ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ზედმეტი სიამაყის წყალობით, თავი მუდამ მართლები ჰგონიათ. ამიტომ ეს მათ არაფერში არ გამოადგებათ, მაგრამ ფული კი ძალიან სჭირდებათ და ჯილდო, რომელიც გირჩიეთ, რომ დავაწესოთ, დიდ სამსახურს გაგვიწევს. მოგეხსენებათ, ხალხი ჭრელია და ყველაზე ვერ იმოქმედებს ეს ხერხი. სწორედ ამისთვის, წარმოდგენის მეორე ნაწილია, რომელიც მშვიდ ძილს დაუფრთხობს ჩვენს სამიზნეს, – ორი თითით ნიკაპი მოიჩქმიტა და ცბიერი მზერით მოედანზე გამოსულ ხალხს გახედა, ყოველ კორიდორს რომ უცქერდნენ გაფაციცებით, – ჩანაფიქრი იმაში მდგომარეობს, რომ წამების ბოლოს, უკვე მაშინ, როცა ის მომაკვდავი იქნება და გადარჩენა ვეღარ მოხერხდება, ჯალათი ხელს ასწევს და იტყვის, თქმა სურს რაღაცისო. მაშინვე, იქვე მყოფი მედიატორი ყურს პირთან მიუტანს და თავის ფურცელზე რაღაცას ჩაიწერს...

– როგორ? თქვენ უკვე იცით, რას ჩაიწერს? მაინც გამოტეხეთ ხომ? გვითხარით რას იტყვის ის... ის არამზადა! – მოუთმენლად წამოიძახა ქალაქისთავმა.

– როგორც უკვე მოგახსენეთ, ის არაფერსაც არ იტყვის.

– მაშ, ფურცელი რა საჭიროა, ან რამის წერა მასზე? – ახლა უკვე მმართველმაც ვერ დამალა თავისი გაკვირვება.

– როგორც კი ჩვენი მედიატორი ჩანაწერს გააკეთებს, ის ხმამაღლა გამოაცხადებს, დამნაშავემ დააგვიანა და სული აღმოხდა, თუმცა მნიშვნელოვანი ცნობის დატოვება კი მაინც მოასწროო. ეს ცნობა იმ ბედოვლათებისთვის თავსატეხად იქცევა, რაც მოსვენებას არ მისცემთ. ეს მათ ჯგუფში დიდ შფოთს შეიტანს და გარდა ამისა, უბიძგებთ კიდეც მის მეგობრებს მეთაურის გაცემისკენ, თუკი ჯილდოსთან ერთად განვაცხადებთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მისი თანამზრახველი გასცემს მას, მაშინ გამცემი შეწყალებული იქნება. იფიქრებენ, დღეს თუ ხვალ მაინც მოგვაგნებენო და საკუთარი ტყავის გადარჩენაზე დაფიქრდებიან. თანაც, თავს ინუგეშებენ იმით, რომ მათზე არავინ იფიქრებს, მეგობარი გასცაო, რადგან ამაში ის ფურცელი დაამშვიდებთ, მედიატორი რომ ააფრიალებს ხელში. თუ ამ გეგმას გავყვებით, ბატონო მმართველო, ჩემი ვარაუდით, სულ მალე აქ მათი მეთაურის დასჯის ცერემონია გაიმართება და ყველაფერი დამთავრდება. ახლა ხომ გესმით იმ ფურცლის მნიშვნელობა, ბატონო მმართველო.

– გენიალურია! გენიალური! – სკამიდან წამოხტა და ისე წამოიყვირა ქალაქისთავმა.

– გგონიათ, ისინი ერთმანეთს გასცემენ, პოლკოვნიკო? ხომ ხედავთ, ეს ვაჟბატონი ამდენი წამების შემდეგაც არ გატყდა. შეწყალებაც ხომ შევთავაზეთ მას, მაგრამ არც საკუთარი ტყავის გადარჩენამ გაათქმევინა ისინი, – შურით გამოწვეული კითხვა დაუსვა პირველმა პოლიციელმა.

– მართალს ბრძანებთ, თუმცა ჩვენ ყველა გზა უნდა ვცადოთ. ხომ იცით, საგნები ძირითადად იქ ტყდებიან, სადაც ბზარი ჩნდება. თუკი დედმამიშვილებშიც ჩნდება ის, მაშინ მათ გუნდშიც უნდა იყოს ასეთი ბზარები და ჩვენც იქ უნდა ჩავასოთ სოლი, რომ დავეხმაროთ და გავუიოლოთ საქმე.

მმართველმა ცალი წარბი ასწია ნასიამოვნები გაოცების ნიშნად და ჩუმი ტაში მიუძღვნა მას. შემდეგ კი პირველ პოლიციელსა და პროკურორს მიუბრუნდა.

– ეთანხმებით იმას, რაც ახლა მოისმინეთ?

– მისი ხალხის ამბავი მან უკეთ იცის, – არცთუ დიდი კმაყოფილებით უპასუხა პირველმა პოლიციელმა. ხოლო პროკურორმა, თავიდანვე ამას ვგულისხმობდი დაჟინებულ მოთხოვნაში, რადგან ეს ყველაფერი მე პირველს გამიზიარა გამჭრიახმა პოლკოვნიკმაო.

– მოჰყავთ! მოჰყავთ! – აივანზე გამოცვივდა რამდენიმე ქალბატონი და მოაჯირზე გადაეყუდა. ქალაქისთავიც უმალ ფეხზე წამოხტა და ხალხისგან ახლად გაჭრილ მეექვსე კორიდორს მიაშტერდა.

ხის ბორბლების ჭრიალი ყოველ გადატრიალებაზე იყო ერთადერთი, რაც მას ახლა ესმოდა. სიცოცხლესთან განშორება არ დაეზარებოდა ისე, როგორც ამ ხმასთან, რომელიც თითქოს არასოდეს გაეგონა აქამდე. ეს იყო ყველაზე ცოცხალი სიცოცხლის განცდა, რომელიც სიკვდილთან აცილებდა მას და ამავდროულად, ოდნავადაც არ აფიქრებდა მასზე. მხოლოდ სიცოცხლეს ჰქმნიდა, ოღონდ უხილავს, ისეთს, როგორიც მანამდე არ არსებობდა. მხოლოდ შეგრძნებითს ყოველგვარი აღქმის გარეშე, რომელიც, როგორც წესი, მას მხოლოდ აუფასურებს. ყოველი ბრუნი, სულ ცოტა, ას წელიწადს მოაგორებდა, ჭრიალის თანხლებით და ისიც მარადისობაში იკარგებოდა, როცა მისი სმენა და მხედველობა გამაყრუებელმა ხალხის ბრბომ მოიცვა. ურემი გაჩერებულა, აი, თურმე რატომ დაბრუნდა ისევ ის ბინძური განცდა, რომელიც აღქმამ მოიტანა. აქ დიდხანს გაჩერება არ შეიძლებოდა, წარმოუდგენელიც იყო და ყველა ტანჯვაზე დიდი სატანჯველიც. სადმე უნდა გაქცეულიყო და ამაში უნდა დახმარებოდნენ. წინ ეშაფოტის საფეხურები გამოჩნდა მასზე მოქანავე ყულფით.

– ესეც ჩემი თავშესაფარი, – ჩაილაპარაკა ზუზუმ და ნერწყვი გადაყლაპა.

წამით ისევ გაქრა ბრბოც და ხმაურიც, ისევ დაიჭრიალა სიცოცხლემ და ისევ აჩუქა რამდენიმე ასეული წელიწადი. თვალს არ აშორებდა დამსკდარ ხის ბორბალს, საოცრად მშვიდი სახით უღიმოდა მას, როგორც საკუთარ ბედის ბორბალს, რომელიც ასე ტოვებდა. ნუთუ მხოლოდ ამისთვის შეწუხდა მისი ბედი, რომ აქ მოეყვანა? მანამდე სად იყო? თუმცა ტყვია, რომელსაც უნდა მოეკლა გაცილებით ადრე და არ მოკლა? იქნებ ისიც ბორბალმა გადაატრიალა, ცოტათი მარჯვნივ ან მარცხნივ? მაგრამ ახლა რატომ მიდიოდა? ბედის გარეშე უნდა გაატაროს ბოლო წუთები? იქნებ მობრუნდეს ისევ? არა! ჭრიალმა ყველაფერი თქვა, სიცოცხლე თქვა და მარტო უნდა დარჩეს, ყველასგან მარტო, თვით ბედისგანაც. მარტო სიკვდილი ადვილია, როცა არაფერია დასაკარგი. ცხოვრებაა ძნელი მარტოობაში. ისევ თოკს ახედა და ისევ ნერწყვი გადაყლაპა სიკვდილს მოწყურებულმა. მერე ბრბოს გადაავლო თვალი და წამით სულისშემძვრელმა შიშმა გაუარა მუცელში, ზუსტად ისე, ერთ დროს ჩიკომ რომ უთხრა. რა უნდა აქ? იქნებ სხვა არის. არ შეიძლება ის იყოს. არ შეიძლება ასეთი ცდუნება მოემზადებინა მისთვის, ყველაფერი ხომ გაიარა უკვე და ახლა თავიდან უნდა დაიწყოს? თან სულ სხვა მიმართულებით, არა მისტიკურით, არამედ რეალურით სადაც სიმშვიდის ნაცვლად ქაოსი იყო, რომელიც გონებას ბინდავდა. თითქოს ცხოვრება ისევ მიმზიდველ სურნელს იღებდა, გასაოცარი იყო ეს ყოველივე იმდენად, რამდენადაც კითხვის სურვილიც კი გამქრალიყო, თუ რატომ ხდებოდა ეს ყოველივე ასე ჩქარა.

ფიცარნაგის პირდაპირ, ხუთიოდე ნაბიჯში, მხრებში ოდნავ მოხრილი ჩიკო თვალი-თვალში უყურებდა ზუზუს. კითხულობდა მეგობრის საყვედურს და არ ნანობდა იქ ყოფნას, რადგან დღეს უნდა შეეგრძნო თავგანწირვის არსი მთელი თავისი სიმძაფრით. უნდა ენახა ცდუნების შხამიც

და ეს ორივე, მოტრიალე მის ირგვლივ, შემაწუხებლად და იმავდროულად, ამაყად. ემზადებოდა ამ ყველაფრისთვის და ვერ გადაეწყვიტა, მიეცა თუ არა მისთვის სიკვდილის უფლება, როცა თვითონაც აქ იდგა და მის სიკვდილს უფრო მიესალმებოდა ხალხი, რომელმაც მხოლოდ ის იცოდა, რასაც ზემოდან ჩასძახოდნენ. ეშინოდა შემოპარული გულჩვილობის, რომელსაც შეიძლება მთელი ცხოვრების განმავლობაში ნაშენები პრინციპები სულ დაენგრია და უმძიმესი იყო არჩევანი ამ ორს შორის. ვითომ პრინციპის საკითხი არ იყო ის მარტივი ფაქტი, რომ დღეს ზუზუს დღე იყო და არა მისი? რა უფლება ჰქონდა ვინმეს, შესცილებოდა მას ამაში, უკვე აქ მოსულს და წაერთმია პასუხი კითხვაზე, რომელიც ყველა ადამიანისთვის ამოუცნობია, ვიდრე უკანასკნელი წამი არ დაუდგება. ბოლოს და ბოლოს, რომ ეყვირა, მე ვარ ის, ვისთვისაც აწამებთ ამ ადამიანსო, ეს მისი დამსახურება იქნებოდა და არა ზუზუსი, რაც მას ვერ იხსნიდა ამ მდგომარეობიდან. ამ შემთხვევაში ვის უნდა გაეგრძელებინა საქმე, რომლისთვისაც სიკვდილს ეცილებოდნენ ერთმანეთს და სადაც დაბრკოლება მხოლოდ ღირსებაზე აგებული პრინციპები იყო?!

– მისი უდიდებულესობა! – დაიწყო უეცრად გაჩენილმა, ცხენზე ამხედრებულმა მაცნემ, რომელმაც ზუზუს ბრალეულობა, სასჯელი და უდიდებულესობის კეთილი ნება გააცნო ხალხს, რომელიც ზუზუს მხრიდან მისი მეთაურის გაცემის შეთავაზებას გულისხმობდა და ამ შემთხვევაში, საკუთარი სიცოცხლის გადარჩენასაც. სიტყვის დამთავრებისთანავე ზუზუ თოკებგამობმულ სკამზე დასვეს და ხელ-ფეხი საზურგესა და ფეხებზე მიუბეს. ხალხში სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ აქა-იქ ისმოდა მოუსვენრობით გამოწვეული წამოძახილები. აივანზეც ყველას სუნთქვა შეეკრა, გარდა ქალაქისთავისა, რომელსაც სახეზე უზომო სიამოვნება ეტყობოდა და ყველას გაუთავებელ კითხვებს უსვამდა. ჩიკო ისევ მხრებში მოხრილი იდგა, რომელიც თვალს

არ აშორებდა მეგობარს, – დღეს შენი დღეა, ზუზუ, დღეს შენი დღეა! – სიმწრით იმეორებდა გულში ამ სიტყვებს და თავადაც არანაკლები ტკივილის გასაძლებად ემზადებოდა.

როცა ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც პოლკოვნიკმა ობურმა გათვალა, ჩიკო მხრებში გაშლილი ტოვებდა მოედანს, რა დროსაც ზურგს უკან მაცნეს ხმა წამოეწია, რომელმაც დიდი მოწადინებით გამოაცხადა 30.000, ჯილდოს სახით მისთვის, ვინც თავზეხელაღებულების მეთაურს გასცემდა და, თუ ეს, მისი თანამზრახველი იქნებოდა, მას ყველაფერთან ერთად შეიწყალებდნენ კიდეც. დიახ, თავზეხელაღებულებისა და არა ანარქისტების, რადგან ზუზუს ნამოქმედარის შემდეგ, მათ ასე შეუცვალეს სტატუსი. ზევით ამას ისე ხსნიდნენ, რომ ანარქისტები მეტად სოლიდური რანგის სახელწოდება იყო ასეთი თავხედი ხალხისთვის და ამიტომაც თავზეხელაღებულებად თუ მოიხსენიებდნენ, მათ ნაკლები ავტორიტეტის მქონედ ჩათვლიდნენ თვითონაც და ხალხიც, რადგან ასეთებს იმედგაცრუება ამოქმედებთო, ამბობდა მმართველი და იქვე ხუმრობით დასძენდა: თავგამოდებული პოლიციელი თავზეხელაღებულ დამნაშავეთა წინააღმდეგო, რასაც ობური დიდი სიამოვნებით იღებდა.

ჩიკომაც გაგონებისთანავე, წინამორბედზე მეტად მოიწონა ახალი სახელწოდება და ზუზუს მადლობა გადაუხადა, ყველაფერთან ერთად იმისთვისაც, რომ ახალი ბრძოლა ახალი, უფრო ძლიერი სახელით დააწყებინა. მერე გაახსენდა მეგობრის სიტყვები, ხომ არ აჯობებს, სამხედროებს ჩემი ხელით გავუგზავნო შეტყობინება საკუთარ თავზე, ცხოვრების კარნახი რომ გამოვგლიჯო ხელიდანო და თვალები ცრემლის გუბეებით აევსო. წმინდა იყო ეს ცრემლი, მაგრამ თვალებმა, რომლებიც ბევრ სიბინძურეს ხედავდნენ, აურიეს და აამღვრიეს. ასეთი თვალები კი, ტალახს ესროდნენ მას იმისთვის, რომ დიდხანს გაგრძელებოდა უმოქმედობა. იმისთვის, რომ დიდხანს უცადა ცხოვრების კარნახს. იმისთვის, რომ მოდღლეზილი კაცი არ მიიღო

იმავე კარნახად. იმისთვის, რომ გრძნობებით დაკავდა მთელი სამი წელიწადი და ოცნების უფლება მისცა თავს. მაგრამ ახლა წარსულს ველარაფერს უშველიდა. აი, მომავალში კი, უარს ეტყოდა გრძნობას, რომელმაც ასე მოადუნა მისი ფიქრები. როგორ შეიძლებოდა მისი გეგმების კაცს სიყვარულზე ეფიქრა? მასაც ხომ აუბედურებდა და მეგობარსაც ვერ მიაქცია მისი წილი ყურადღება. დღესვე უნდა ენახა ბელა და ყველაფერი დაემთავრებინა. სწორედ ბელას ბრალი იყო მისი სისუსტე და რომ არა ის, თვითონაც ზუზუს გვერდით იქნებოდა იმ ავბედით დღეს. მაშინ კი რაც უნდა, ის მომხდარიყო, არაფერს აღარ ინანებდა ჩიკო და მეტიც, იქნებ გამარჯვებულებიც გამოსულიყვნენ იმ საქმიდან. ეს რაც სისუსტეს შეეხებოდა, მაგრამ ყოვლისშემძლე ძალაც ხომ მოჰქონდა მასზე გაკვრით გაფიქრებასაც კი? მაშინ სისუსტე როგორღა გამოდიოდა? მოჰქონდა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებას ასუსტებდა და ისე. მაგრამ რატომ? – არ ეშვებოდა ჩიკო საკუთარ თავს, სანამ ყოველ წვრილმანს არ გაბერავდა საპნის ბუშტივით და მერე კი, გახეთქავდა ყოველ მიზეზგარეშე, – იმიტომ, რომ სიყვარული მათრობელაა და ღვინოსავით ყოვლისშემძლეს გხდის კაცს. სინამდვილეში კი, გონებას ბინდავს და შეცდომებს გაშვებინებს. დღესვე დამთავრდება ყველაფერი, – გადაჭრით გამოიტანა გადაწყვეტილება ჩიკომ და თეატრის გზისკენ გადაუხვია, სადაც ბელა ეგულებოდა. თუმცა ის იქ არ დახვედრია, არც იმ დღეს და არც მომდევნო დღეს. მესამე დღეს კი ისიც გამოჩნდა სევდიანად ჩამომავალი თეატრის კიბეზე. ვერ დაინახა ჩიკომ მისი სიცოცხლით სავსე თვალები, ახლა რომ მხოლოდ მიწის გაცოცხლებას შეძლებდნენ ჩუმი ცრემლებით, მას კი გული მოუკლეს. თუმცა, მისდა გასაკვირად, დაინახა იგივე ხასიათი არა მსუბუქად, როგორც აქამდე, არამედ მძიმედ, გარკვევით რომ იძახდა, დღეს დავეციო. იმ წამიდან ჩიკოსთვის ბელას ძალის მთავარ საიდუმლოდ იქცა აღიარება ყველაფრის და ყველასთან, რომელსაც არა-

ფრის და არავისი არ ეშინოდა დედიშობილად დარჩენილს. მიუხედავად ამისა, ჩიკოში მაინც გაიღვიძა სიბრალულის გრძნობამ, რომელიც იმ წამსვე გამიჯნა სიყვარულისგან. სიბრალულის ტყვედ არამც და არამც არ გახდიდა თავის სიყვარულს, ვიდრე თვითონ არ დაატყვევებდა ეს გრძნობა. გამოდის, აღარ ჰყვარებია. ძალიანაც კარგ დროს აღმოუჩენია ეს ამბავი და იოლადაც ეტყოდა ასე სათქმელს, რაშიც ის ამოუხსნელი სინათლის სხივიც დაეხმარებოდა, ციცინათელასავით რომ აციმციმებდა ბელას ცრემლიან თვალებს.

ჩიკო მთელი ამ ხნის განმავლობაშიი ხეს ამოფარებული ადევნებდა თვალს ბელას, როცა მან გვერდზე ჩაუარა და დაუძახა. ბელამ მაშინვე თავი ასწია, მისკენ მოაბრუნა და თითქოს მხსნელი მოევლინაო, სახე გაუნათდა.

– რატომ დაიკარგე, ჩიკო? ძალიან მაკლდი, ძალიან, – ათრთოლებული ხმით საყვედურობდა ბელა.

– მოხდა რამე, ბელა? – გაკვირვებული იდგა ჩიკო, რომელიც ასეთი შეხვედრის გარდა ყველაფერს ელოდა.

– მოხდა ჩიკო, მოხდა, – გაურკვევლად უპასუხა ბელამ, შორს უმისამართოდ გაიხედა და აცახცახებული ნიკაპი ხელის გულებში მოიქცია.

– მაინც რა მოხდა? გამაგებინე, რა ხდება? – შეწუხებული ხმით კითხულობდა ჩიკო.

– ოღონდ აქ არა, ჩიკო. სადმე წავიდეთ და ყველაფერს გეტყვი.

– წავიდეთ, ბელა, მეც მაქვს სათქმელი შენთვის, – ძალდატანებითა და ისე ჩუმად თქვა ჩიკომ, გაუხარდებოდა კიდეც, ბელას რომ ვერ გაეგო მისი ნათქვამი, მაგრამ მან გაიგონა და უპასუხა კიდეც.

– შენ ყოველთვის გაქვს რაღაც სათქმელი, ჩიკო. ო, რომ იცოდე, როგორ მჭირდებოდა შენი სიტყვები, ჩემო სიყვარულო...

ამ სიტყვების გაგონებამ ჩიკო ამოუცნობ, უეცარ ბურუსში გახვია. თურმე უყვარდა და თურმე სიტყვებსაც იმახ-

სოვრებდა. მაგრამ რა მოხდა ასეთი დღეს, რომ ყოველმიზეზ-გარეშე გამოუტყდა სიყვარულში? ნუთუ გულმა უგრძნო, დამშვიდობებას რომ აპირებდა მასთან? გულში მაშინვე სიბრალულის თბილმა განცდამ გაუარა, წეღანდელი ცივი სიბრალულისგან განსხვავებით და ასეთმა, წამში დაღვრილმა ტალღამ სრულიად წალეკა მისი გეგმები.

– საით წავიდეთ, ჩიკო? სადაც შენ მეტყვი, ოღონდ იქ, სადაც მარტონი ვიქნებით, – არ ჩუმდებოდა ბელა და იმედადქცეულ სახეს ჩიკოს ხელის გულებში რგავდა.

– ოტოსთან. ნავში მარტო ვიქნებით, – გაუაზრებლად უპასუხა ჩიკომ ის, რაც პირველი მოადგა ენაზე.

როცა იალქანდაშვებული ნავი უკვე ზღვაში ირწეოდა, ჩიკო და ბელა მის კაიუტაში, გვერდიგვერდ ისხდნენ ტახტზე და ერთმანეთს უცდიდნენ ლაპარაკის დაწყებას.

– მამა, – საწყლად თქვა ბოლოს ბელამ და ცრემლმომდგარ თვალებზე ხელები აიფარა.

– რა დაემართა?!

– ის აღარ არის. ჩემთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი დავკარგე, ჩიკო.

– რა მოუვიდა, ბელა? – უცნაური სიუცხოვით თანაუგრძნობდა ჩიკო გოგონას და თითქოს ვერ გაეგო, ახლა უყვარდა თუ ეცოდებოდა.

– მოკლეს, – უკვე თითქოს ძალამოკრებილმა უპასუხა მან.

– ვინ? როგორ? – მოულოდნელობისგან ფეხზე წამოხტა ჩიკო.

– სამი კვირის წინ, თქვენკენ. უცნობმა ჯგუფმა, ანარქისტებს რომ ეძახდნენ, რამდენიმე პოლიციელი და სამხედრო მოკლა. ერთ-ერთი მამაჩემი იყო. ბოლო ხანებში, ეტყობა, გული უგრძნობდა და სულ იმას იმეორებდა, ანარქისტებს თუ გადამყარეს სადმე, მე მათი მსროლელი არ ვარო. იქნება ჯარისკაცებიც დავხოცო, ისე დამემართოს ღვთის შეწევნითო, – ისევ აუჩუყდა გული და აემღვრა მა-

ვედრებელი თვალები, თითქოს მკვლელებს ატყობინებდა, – ნუ მოკლავთ, მამაჩემი თქვენ არაფერს დაგიშავებთო.

ჩიკოს აღარ ესმოდა არცერთი სიტყვა, საშინელ თავბრუსხვევას გრძნობდა და თავს ძალას ატანდა, რომ არ შეემჩნია ეს ყოველივე. წამში გაირბინა წინა ორმა კვირამ და ყოველი კადრი გააცოცხლა. გააცოცხლა ყოველი ტყვია, მისგან გასროლილი, მაშინ სამართლიანი, მაგრამ ახლა სხვა არაფერი, გარდა უსამართლობის მარცვლისა, მწარე რეალობად რომ აღმოცენებულიყო მის წინაშე. მისთვის გაუგებარი გახდა, სად იყო სამართალი, აქ თუ იქ. ან რამდენი სიმართლე შეიძლება ყოფილიყო საერთოდ. გამოდის, მამა მოუკლა მას, ვისაც ცოტა ხნის წინ ემართლებოდა. ვისაც ამტყუნებდა და ზურგს აქცევდა. არ იცოდა, ყოველივე ამის შემდეგ ჰქონდა თუ არა უფლება, მასთან რამის თქმის, მოსმენის, მისი დანახვის და საერთოდ, მასზე ფიქრისაც კი. რატომ გააგონა განგებამ მისი ხმა იმ ღამეს?! რატომ გაემგზავრა ბაზი იმ დღეს და არა მანამდე, ან მერე?! ნუთუ ამას ნიშნავდა – „საჭირო დროს საჭირო ადგილი“?! მაგრამ ეს ხომ არ შეცვლიდა ბელას ტკივილს და, თუ ახლა მას ჩიკო ჰყავდა, ისიც ხომ აღარ ეყოლებოდა, რომ არა ის ღამე? და მაინც, სად იყო სამართალი! უკუღმართი ცხოვრება იყო ყველაფრის მიზეზი. იცოდა ეს, მაგრამ მარტო ამ ორი სიტყვით საკუთარი თავის ნუგეშისცემაც არ გამოვიდოდა. და მაინც, დარჩენა თუ წასვლა? ეს იყო საბოლოო წერტილი, რომელთანაც ყველა სხვა დანარჩენი კითხვა მიიყვანდა. დარჩენა და საკუთარ თავთან ამით ცხოვრება შეუძლებელი იყო. მაშინ უნდა თქვას, მაგრამ რანაირად? თვითონ ჯანდაბას და მისი გრძნობებიც! მაგრამ ბელა?! ეს ხომ ტანჯვის მეტს არაფერს მოუტანს საწყალს. წასვლა ყველაზე იოლი უნდა ყოფილიყო თითქოს, მაგრამ ლაჩრულიც ამავდროულად! არ შეიძლებოდა ასე გაქცევა და თავის მოტყუება. უნდა ატაროს ტვირთად, სანამ მისი მეგობარი ცხოვრება ეტყვის, როგორ მოიქცეს. ყველაფერს ფიქრობდა ჩიკო და

უკვე ძალიან შორს იყო, როცა ბელამ კისერში აკოცა და უკან დააბრუნა.

– ძალიან მეშინოდა, ჩიკო. აქ ამბობენ, თქვენში ყველა კაცს ეჭვმიტანილად უყურებენ პოლიციელები და სამხედროებიო. გუშინ ისიც გავიგე, ორი ბიჭი ჩამოუყვანიათ თქვენგან, მაგრამ ის საცოდავები არაფერ შუაში ყოფილან. მამაჩემის მეგობარი იყო მოსული და მან გაგვაგებინა საიდუმლოდ. ეს თვითონაც სცოდნიათ, მაგრამ მაინც აწამებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენებურები არიან და კიდევ იმიტომ, რომ ამით იმ თავზეხელაღებულების სინდისი უნდათ შეაწუხონ, მათ გამო რომ უდანაშაულო ხალხი ისჯებაო. ხომ გესმის, ჩემი ჩიკო? მამა დავკარგე და მერე შენც... მაგრამ ახლა ერთად ვართ და მშვიდად ვგრძნობ თავს, – ბელა ისე ელაპარაკებოდა მას, თითქოს მათი ურთიერთობის რაღაც მონაკვეთი წაშლილიყო ჩიკოს გონებიდან. თითქოს ყოველდღე სიყვარულს ეფიცებოდნენ ერთმანეთს, მას კი აღარაფერი ახსოვდა. თითქოს ბელამ დიდი ხნის წინ გადაუშალა გული და ეგონა, რომ ის დაინახეს, თუმცა ამაოდ. მაგრამ სად? როდის? რანაირად მოხდა ეს? ნუთუ ის უბრალო კისკისი იყო სიყვარულის ნიშანი? ან ის უთქმელობა, არას რომ არ ეუბნებოდა, ყველაფერს ამბობდა თურმე? დიახაც რომ, თურმე! თურმე ის უბრალოდ და უცერემონიოდ უყვარდათ, თვითონ კი, მისთვის გამოგონილ და მიძღვნილ სიტყვებს ელოდა. თურმე ბელას საკუთარ თავში მთვლემარე სიყვარულიც გაეცოცხლებინა, ისევე როგორც სხვა ყველაფერი და მასთან ერთად სუნთქავდა, რითმიდან ამოვარდნილი, რაც მის შინაგან სამყაროს ზუსტად მაშინ გაახმოვანებდა, როცა გულიდან დარეკილი მაჯისცემა უკარნახებდა და არა მაჯის საათის მწყობრი წიკწიკი. მაშინ რაღა უნდოდა ჩიკოს? განა ასეთი არ შეუყვარდა? განა ღიად რომ ეპასუხა, არ გადაუვლიდა ყველაფერი? აბა, რაღა უნდოდა? რა არ ჰყოფნიდა? გამოუცდელობა! პირველად შეუყვარდა და ბოლოს მიხვდა ყველაფერს. ახლა ის, იმ სინათლის წყაროსაც

მიხვდა, ციცინათელასავით რომ უციმციმებდნენ თვალებს საბრალო ქალს. თავად იყო ციცინათელაც და ბნელ დღეებში სინათლის სხივის მარცვალიც, მაგრამ დღეიდან ის აღარასოდეს დაბნელდებოდა, მუდამ ანათებდა მზესავით და დაიწვებოდა შეძახილით: „ის მაინც ბრუნავს!“ – და ატრიალებდა სამყაროს მისთვის, ვისაც უყვარდა! და თუკი მამა მოუკლა, სიყვარულს მაინც არ მოუკლავდა მას, ვინც ყველაფერი გაუცოცხლა. დრო მოვიდოდა და ყველაფერს ეტყოდა, მაგრამ ახლა, ახლა იყო სათქმელი რამე, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა ბელას ნუგეში.

– მეც ბელა. მეც მშვიდად ვარ ახლა, – ჰიპნოზის ქვეშ მყოფივით იმეორებდა გადაუდებელ სიტყვებს: – იცი? რამდენიმე დღის წინ, ჯგუფის ერთ-ერთი წევრი წამებით მოკლეს მთავარ მოედანზე. მარტო გადაჰყრია ჯარისკაცებს და სროლა აუტეხავს. როგორც თქვეს, მის გამო მოკლეს მამაჩემი.

– შენ ნახე? – შეშლილივით წამოიყვირა ჩიკომ.

– დაწყნარდი, ჩიკო. ის უკვე აღარ არის ცოცხალი, მაგრამ მე არ მინახავს. რომ მივსულიყავი, ვიცი, შემეცოდებოდა.

– შეგეცოდებოდა?! – გაოცებული იყო ჩიკო, როცა ეს იკითხა. აოცებდა ორი რამ – ბელას უსაზღვრო სათნოება და საკუთარ თავში გაჩენილი უსინდისო სიხარული, ბელას თანაგრძნობით გამოწვეული. მაშინვე ერთი შემთხვევა გაახსენდა, რომელსაც თვითონ შეესწრო ერთ ქუჩაზე. ქუჩა არც ისე განიერი იყო. ასე, ორი ეტლი გაივლიდა მის ქვაფენილზე, თუ არ ჩავთვლით მის გასწვრივ გაყოლებულ ტროტუარებს. აგურის სახლები, რომლებიც სამ-სამ სართულს ითვლიდნენ, მის სივიწროვეს მეტ გასაქანს აძლევდნენ, თუმცა საპირისპიროდ მოსიარულე ხალხს, ერთმანეთის გამომეტყველების დანახვა თავისუფლად შეეძლოთ. მეორე სართულის აივნიდან ჩიკოსთვის ცხოვრების მოკლემეტრაჟიანი ფილმი სწორედ მაშინ დაიწყო, როცა ხალხის ორი

ჯგუფი ერთმანეთს გაუსწორდა და ადამიანის ის კოდირებული უნარი გააშიშვლა, რომელსაც ინსტინქტები მართავენ. გეგონებოდათ, უცებ ორპირა, დაორთქლილი სარკე აღიმართა მათ შორისო, რომლის ერთ მხარეს ბედნიერება, ხოლო მეორე მხარეს უბედურება იხატებოდა ბუნდოვნად. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ჩიკო სიმღერის ხმამ გააღვიძა. გოგო-ბიჭები მღეროდნენ და ნამღერი იმდენად მხიარულად მოეჩვენა, რომ აივანზე გავიდა მათ დასანახად. მისი განწყობა კიდევ უფრო აამაღლა ახალგაზრდა ნეფე-პატარძლის ხილვამ, ოცდაათამდე მექორწილეს შუაში რომ მოექცია და სიმღერ-სიმღერით მოუყვებოდნენ გზას. ეს ყოველივე ერთმა ჩვეულებრივმა ამბავმა შეცვალა, რომელიც თითქოს ახლაც ჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო. მოხდა კი ის, რომ მექორწილეთაგან, დაახლოებით, ას ორმოცდაათ ნაბიჯზე, სადარბაზოდან ტირილისა და მოთქმის ხმა მოისმა. იმ წამსვე ხის კარი გაიღო და მამაკაცთა მხრებზე აზიდული კუბო გამოჩნდა. მას მოჰყვა ორმოცდაათამდე მგლოვიარე და ზუსტად მაშინ, როცა სამგლოვიარო ცერემონიის უკანასკნელი მონაწილე გამოვიდა სადარბაზოდან, პირველი მექორწილეებს გასწორებოდა. რამდენი ქორწილი და რამდენი გასვენება ენახა ჩიკოს, მაგრამ ეს არცერთს არ ჰგავდა. თითქოს უეცრად დაბნელდა, რომელიღაც სახურავიდან რამპის შუქი დაეშვა და მთელი მისი მზერა ამ წრეში მოაქცია, რომელშიც თანაგრძნობათა გაცვლის კლასიკა იბადებოდა ნაბიჯ-ნაბიჯ. არა ისეთი, ხშირად ვალის მოხდის მიზნით რომ ხდება, არამედ ნამდვილი, განცდისმიერი, როცა ყველაზე ბედნიერს უბედურება ჩაგირბენს თვალწინ, ან პირიქით. აღარც სიმღერა ისმოდა, აღარც ტირილი, მდუმარე სახეები გამომეტყველებებს უცვლიდნენ ერთმანეთს, თავისით, ძალდაუტანებლად.

— ჰო, შემეცოდებოდა, ჩიკო.

— მეც, — ხმამაღლა გაიფიქრა ჩიკომ და ფიქრშივე განაგრძო, — მეც შევეცოდები და დაიტანჯება. შეცოდება მძიმე

ტვირთია ასეთი სათნო არსებისთვის, – არავინ არ უნდა შეგეცოდოს, ბელა. გესმის, არავინ! ნუ შეგეცოდება ის, ვინც ტკივილი მოგაყენა, – თითქმის უბრძანა ჩიკომ და ისევ ჩაფიქრდა: „ასე აჯობებს ორივესთვის, როცა გაიგებს“.

– ნურაფერს იტყვი ჩიკო, გთხოვ. მე მხოლოდ შენ გვერდით ყოფნა მჭირდება. როცა შენზე ვფიქრობ, არავინ არ მეცოდება. ასე მგონია, ყველას ეყოფა ჩვენი სიყვარული და სხვებიც ბედნიერები იქნებიან.

– ეყოფა ბელა, ეყოფა – თქვა თუ არა ეს, გულში სინდისის სხივმა გაუარა. გაანათა ყველა კუთხე, ისიც, რომელშიც ეს სიტყვები მიიჩქმალნენ და მისი იმედის მომცემი სიტყვები მაშინვე გარდაუვალმა იმედგაცრუებამ შეცვალა, რომელიც ადრე თუ გვიან დაატყდებოდა თავს მის მსხვერპლადქცეულ სიყვარულს.

5

რამდენიმე დღეში, ჩიკოს სახლში იარაღასხმული პოლიციელები ირეოდნენ. ამარა გაფითრებული სახით უყურებდა შვილს, რომელიც ხელფეხგაკოჭილი დაეწვინათ ძირს, მუცელზე, და რამდენიმე ჯარისკაცი დასდგომოდა თავს. გაუგებარი იყო მისთვის, რა ხდებოდა, რას ეძებდნენ კანონდამცველები და რატომ იმუქრებოდა ჩიკოს სიკვდილით მათი პოლკოვნიკი ირონიული გამომეტყველებით. ეზოში ცნობისმოყვარე მეზობლები აცეცებდნენ თვალებს, როგორმე სხვაზე მეტი რომ დაენახათ. სახლიდან გამოსულ ყოველ ხმაზე თავებს ისე ატრიალებდნენ, რომელიმე ყურს რომ შეეცვალა თვალის ადგილი და ამას ისე ერთხმად და შეუცდომლად ასრულებდნენ, გეგონებოდათ, მწყობრში მოეწყოთ სმენაზეო. მხოლოდ მწყემსის ცოლი იყო მოსული თანაგრძნობისთვის, ამარას გვერდით რომ ედგა და ამშვიდებდა ყველაფრის გაუგებრობაზე მიწერით. ჩიკო ხმას არ იღებდა, თითქოს ბედს შეეგუაო. დედასაც სულ ორჯერ შეხედა სიმწრით და არაფრისმთქმელად. დედაშიც დაინახა რაღაც დამალული, გამოუთქმელი, მხოლოდ სახის ფერი რომ ჰყიდდა – თოვლივით გათეთრებული. სხვა მხრივ მტკიცედ იდგა, გულს უმაგრებდა თვალებით, ცრემლიც რომ არ წამოსვლია, იმ თვალებით. ერთხელ გაღიმებაც სცადა და აჰა, აუცრემლდა კიდეც, მაგრამ მაშინვე შეეყინა, პოლკოვნიკმა სახრჩობელა რომ ახსენა. არაფერი უთქვამს აქაც. ახლა მარტო შვილზე ფიქრობდა, რომელსაც ზებუნებრივი ძალით კვებავდა. პოლკოვნიკს მერე ეტყოდა, მერე ამოგლეჯდა ენას, ვეღარასდროს რომ ვერ გაემეორებინა მსგავსი რამ. ვერ წარმოედგინა ჩიკოს დედა ასეთი ძლიერი, გულჩვილობით რომ ამახსოვრებდა თავს ყველას ტკივილზე. სულ ახლახან ზუზუს ამბავზეც ხომ ცრემლად დაიღვარა. მაშინ ახლა რა მოუვიდა, საიდან იპოვა ამხელა ძალა?! უცბად სა-

შინელმა აზრმა გაუელვა, ჭკუიდან ხომ არ გადადგაო, რომ ჩასძახა და მაშინვე თვალები დახუჭა ყველაფრის გასაქრობად.

— ვიპოვეთ, ბატონო პოლკოვნიკო! — გაისმა სხვენიდან გახარებული რიგითის ხმა, რომელიც ეტყობოდა რაღაც მძიმეს ეჯაჯგურებოდა. მაშინვე ორი რიგითი გაქანდა შუშაბანდის კუთხეში, სხვენიდან ჩამოშვებული კიბისკენ. მალევე ერთ-ერთი მათგანი მობრუნდა და პოლკოვნიკს მოახსენა სხვენზე იარაღის პოვნის შესახებ. პოლკოვნიკმა იარაღის გარეთ გატანა უბრძანა რიგითს. მერე ორ ოფიცერს გახედა, ჩიკოს რომ ედგნენ თავზე და მისი გაყვანა ანიშნა. ოთახში მხოლოდ პოლკოვნიკი, ამარა და მწყემსის ცოლი დარჩნენ. თითქოს დრო იყო ვედრებისთვის, შვილის დასახსნელად, მაგრამ არც ახლა უფიქრია ამარას მსგავსი რამ. ეტყობა ყველაფერს მიხვედრილიყო, რაშიც იყო საქმე და ქედს არ იხრიდა შვილის საქციელზე. გავარვარებული თვალებით უყურებდა პოლკოვნიკს, რამაც დააბნია კიდეც ეს უკანასკნელი, რომელიც კითხვებს ელოდა მისგან, სულ ტყუილად და ამაოდ. ბოლოს მოთმინებადაკარგულმა, ისევ თავად დააპირა დედის ალაპარაკება:

— იცით, ვინ არის თქვენი შვილი? — ისეთი ტონით ჰკითხა ობურმა, თითქოს ფიქრობდა ახლა მაინც ხომ იტყვი რამესო.

— ახლა უკვე ვიცი, — ამაყად უპასუხა ამარამ, — ვიცი, რომ ღირსეული შვილია ღვთის, ქვეყნისა და ოჯახის წინაშე.

ობურმა ხმამაღლა გადაიხარხარა.

— არ ვიცი, ოჯახისთვის როგორია, მაგრამ ღმერთი და ქვეყანა აღარ უნდა გეხსენებინათ. თქვენი შვილი მკვლელია და ამ ქვეყნის შვილებს კლავს ყველაფერთან ერთად. თავადაც კი მოვყოლილვარ მისგან მოწყობილ ჩასაფრებაში.

— ცუდი მოსვლია, რომ გაუშვიხართ, — ზიზღით მიახალა ამარამ, — თქვენ ხომ ის ბრძანდებით, გზაზე რომ გადაეყარეთ შემთხვევით და სამხედროებს გამოექომაგეთ? ალ-

ბათ, ხვდებით, რომ სწორედ ჩემს შვილს უნდა უმადლოდეთ თქვენს ასეთ ბედუკულმართ წარმატებას.

პოლკოვნიკმა ისევ გადაიხარხარა

– მადლობას მოგვიანებით ვეტყვი. თქვენ კი, გულახდილად გეკითხებით. მაინც რატომ ამართლებთ კაცის კვლას?

– მე არასოდეს გამიმართლებია ის! – მტკიცედ უპასუხა ამარამ.

– მაშინ ჩემი ალალბედზე გადარჩენილი სიცოცხლე რას მივაწერო? – ნიშნისმოგებით ჰკითხა პოლკოვნიკმა და ოთახს მოავლო თვალი. იქვე სკამი დაინახა და მწყემსის ცოლს აგრძნობინა, ხომ შეიძლება დავჯდეო. მანაც არ დააყოვნა და მაშინვე მიართვა სკამი, რომელზეც პოლკოვნიკი გაუგებარი მოკრძალებით ჩამოჯდა.

– თქვენი? – წარბის აწევით შეუბრუნა კითხვა ამარამ, – კაცის კვლა, არა? ნუთუ თქვენ ამ ქვეყნის შვილი, ამავე ქვეყნის მტრების სამსახურში მყოფი, თავს კაცად თვლით?!

პოლკოვნიკი ელდანაცემივით წამოვარდა სკამიდან, რომელზეც ჯერ კიდევ ვერ მორგებულიყო ჯეროვნად.

– გამოდის, თქვენ ხართ მისი იდეოლოგიური სულისჩამდგმელი. ქმარი რომ დაკარგეთ თავის დროზე, არ გეყოთ? თუმცა, შვილის შემთხვევაში გაგიმართლათ, რადგან რამდენადაც ვიცი, ქმრის ცხედარს ვერ ეღირსეთ. აი, შვილისას კი, სახლში მოგართმევთ, როგორც კი სახრჩობელადან ჩამოხსნიან.

აქ კი, შუშასავით დაიმსხვრა ამარას სიმტკიცე. გაახსენდა, რომ ჩიკო უკვე ვეღარ ხედავდა მას, თუმცა მაინც გახედა სარკმელს დასარწმუნებლად. მაშინვე თითქოს გონს მოეგოო და თავს შემოუძახა, ვის ეკერპები და რის ფასადო! შეურაცხადივით წამოვარდა სკამიდან, ძირს დაემხო მუხლებზე და გეგონება ხატის წინ დაჩოქილიყოო, როგორც ერთადერთ მის მხსნელს, შესავედრებლად ახედა დამნაშავე თვალებით. კარგად უწყოდა განსხვავება პოლკოვნიკსა და ხატს შორის, რომელიც მის ზურგს უკან იყო დასვენებული

კედელზე ჯვარცმის აქეთ-იქით, მაგრამ ჯერ მისთვის უნდა ეთხოვა, რადგან ის ახლავე ეტყოდა პასუხს, მანამდე, სანამ წავიდოდა. წასვლას კი, ეტყობოდა, მალე აპირებდა, რადგან სიგარა თითქმის ბოლომდე ჩაეწვა და მუნდირის ჯიბეების გასწორება დაეწყო. ამიტომ ჯერ მისთვის უნდა ეთხოვა. ხატები არ უწყენდნენ, შვილის გადარჩენა რომ უნდოდა. ის რომ წავიდოდა, მერე მთელი ღამე მათ შეევედრებოდა, მაგრამ მანამდე პოლკოვნიკი იყო მისი ხატიც და ჯვარიც. თუმცა, ამ უკანასკნელის პასუხისაც არაფერი ეჯერა. და სწორედ ეს უიმედობა თუ დაუჯერებლობა იყო ის, რაც სხვა გზას არ უტოვებდა მის სასოწარკვეთილ გონებას, რის გამოც შეშლილი სახე სულ უფრო მეტად ეზაფრებოდა.

– გემუდარებით, ნუ იზამთ ამას. თქვით, რომ გაგექცათ და მთელი ცხოვრება თქვენთვის ვილოცებ. ის თქვენ არაფერს დაგიშავებთ. თქვენც ხომ გყავთ დედა? მისი გულისთვის მაინც შემიბრალეთ და ნუ წამართმევთ ერთადერთ შვილს.

– მე არ მყავს დედა! ის ჩემს მშობიარობას გადაჰყოლია, რაც მთელი ცხოვრება მაწუხებს. ასე რომ, სწორად გამიგეთ, ამ თანაგრძნობით ვერ ვიხელმძღვანელებ. მალე თქვენც აღარ გეყოლებათ შვილი და მერე უკეთესად გავუგებთ ერთმანეთს! – სევდანარევი ირონიით თქვა ობურმა და კარისკენ დაიძრა.

– აკი მითხარით, კაცის კვლა დაუშვებელიაო? ნუთუ არსებობს რამე, რაც ამას ამართლებს და მისი გამოყენება მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ? – ისევ დაჩოქილმა, მაგრამ უკვე მტრული ხმით მიაძახა ამარამ.

პოლკოვნიკმა მძიმედ ჩაახველა და სიგარას დახედა.

– არსებობს! და ის კანონია! ახლა კი უნდა წავიდე, თორემ ენამ არ გიყივლოთ და მართლა არ გაიქცეს თქვენი ერთადერთი შვილი. თუ გნებავთ ნახოთ, როგორ აღესრულება მართლმსაჯულება, დანიშნულ დროს მობრძანდით დედაქალაქის მთავარ მოედანზე.

– მკვლელო! გამყიდველო! ნაძირალა! – უყვიროდა უკვე ფეხზე მდგომი ამარა, ჭიშკრისკენ მიმავალ პოლკოვნიკს, – კარგ დროს მოგიკლავს დედაშენი, თორემ არ ენდომებოდა სიცოცხლე მაინც, შენს შემხედვარეს, – ეს სიტყვები პოლკოვნიკს ჭიშკარში დაეწია გასვლისას, რამაც თავი აბრუნებინა ამარასკენ, თუმცა ამჯერად იგი არ იღიმოდა ჩვეული ირონიით.

* *

ჩიკო ბნელ, პატარა ზომის საკანში გამოეკეტათ, რომელსაც არც გისოსები ჰქონდა და არც სარკმელი. იყო ერთი პატარა ხვრელი ჭერთან ახლოს, კუთხეში, საიდანაც ფერმკრთალი შუქი შემოდიოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ კედელი კარგა განიერი უნდა ყოფილიყო, რადგან ასე დაეკარგა სინათლისთვის ძალა. მიუხედავად ამისა, შუქი, რომელიც მასში დღისით შემოდიოდა, საგნების გარჩევის საშუალებას მაინც იძლეოდა, თუმცა დასანახი არც ისე ბევრი იყო. რკინის კარი, მის ძირში დაკუჭული ჯამი მყრალი სითხით და ხის საწოლი. აუტანელი იყო ეს ყველაფერი, მაგრამ არც ეს, არც ნაბეგვი იარები და არც მოახლოებული სიკვდილი არ აწუხებდა ჩიკოს. აწუხებდა საკუთარი დედა, რომლის მტკიცე და იმედისმომცემი გამოხედვა არ შორდებოდა თვალებიდან. ყველაფერს მისცემდა, ოღონდ გაეგო დედის მდგომარეობა, მაგრამ რის მიცემაზე იყო ლაპარაკი, როცა არაფერი გააჩნდა. რამდენიმე წუთი მაინც ხომ ჰქონდა? – გაიფიქრა უცებ, – ჰოდა, იმ წუთებსაც მისცემდა, ოღონდ გაეგო, რომ ისევ ისე იდგა, როგორც ბოლო წამს, ერთი შეხედვით რომ გააყუჩა და დააუძლურა. ფიქრობდა, უფრო ძლიერი იქნებოდა, დედის ცრემლი რომ დაენახა. ყველაფერს მოერეოდა და თავს შეაკლავდა მაშინ, მაგრამ არ გაიმეტა ამგვარი ტანჯვით მოტანილი სიძლიერისთვის გმირმა დედამ საკუთარი შვილი. თავად მიიღო მდუმარე ტა-

ნჯვა, რომელიც შვილის სიმშვიდეში გაეცვალა. აი, თურმე რა ქნა მან მისთვის, ახლა კი, ალბათ, ცრემლად იღვრებოდა და ამის ვერდანახვა წარმოუდგენელი იყო. აწუხებდა კიდევ ერთი რამ, არანაკლებ აწუხებდა, თუ მეტად არა. ეს იყო ბელა, უკვე ყველაფერი რომ უნდა სცოდნოდა და ალბათ გიჟური სიცილით წყევლიდა საკუთარ ბედს. თავისებურად ადარდებდა სვიფის გზაც, უჩვეულოდ მშვიდად, ერთი ტყვიის გაუსროლელად რომ გამოატარა ტუსაღის ეტლი. იქნებ მეგობრებიც ჩაეგდოთ ხელში და მაშინ ვინ ან როგორღა ისროდა?

წამოწოლილი კედელს მიშტერებოდა. უეცრად, კედელზე სიბნელიდან სამი სიტყვა გამოკრთა და მაშინვე საკუთარი ყოფა გაახსენა. ილოცე ჩემი სულისთვისო, ეწერა კედელზე, რომელიც სავარაუდოდ, რომელიღაც სიკვდილმისჯილს ამოეკაწრა, იმ ქვეყნისთვის რომ დაეწყო მზადება. სულ მალე ნაწერის გაყოლებაზე, ასევე ამოკაწრული ორმოცდაათამდე ხაზი გამოჩნდა, ერთმანეთის გვერდიგვერდ რომ ჩამწკრივებულიყვნენ, ასანთის ჩხირებივით, რაც ჩიკოს აზრით, მლოცველი სიკვდილმისჯილების რიცხვი უნდა ყოფილიყო, ერთობ რომ ჩაბღაუჭებოდნენ ამ სამ სიტყვას. უფრო საკუთარი სამოთხის მოსაპოვებლად, ვიდრე მისი წინამორბედისა. ყველა ხაზი ერთნაირი იყო, უცებ, ნაჩქარევად ჩამოსმული. ყოველი ხაზი მომდევნოზე მეტს ფიქრობდა, ვიდრე წინაზე. მომდევნოში იყო თითქოს ის მოჩვენებითი ხსნა, რომელიც ავიწყებდა, რომ ის მომდევნო კიდევ ერთი სიკვდილი იყო. იქნებ ახსოვდათ კიდეც, მაგრამ მათ რა დაეშავეს? მათ ხომ ილოცეს წინამორბედზე და რაღა თვითონ უნდა დარჩენილიყვნენ მოხსენიების გარეშე? იქნებ მომხსენიებელიც არ აკლდათ, მაგრამ შენს დღეში მყოფისგან სულ სხვაა, იგივე განცდა სულ სხვანაირად ალოცვინებს კაცს. ასე რომ, სწორედაც უნდა მომკვდარიყო ვიღაც აქ და რაც მეტი, მით უკეთესი, რათა უფრო მხურვალედ ელოცა

ამ ბნელ ოთახში, სანამ გარეთ გაიყვანდნენ და თოკზე დაკიდებდნენ. ერთი სიტყვა მაინც ხომ იქნებოდა მისთვის, თუნდაც ყველა დანარჩენი საკუთარი თავისთვის შეეთხოვა. მხოლოდ ერთი ხაზი იყო განსხვავებული, უფრო განიერი და ღრმად ჩაჭრილი კედელში. ბევრი ლოცვის ნიშანი იყო უთუოდ, ანგარიშმიუცემლად რომ აღეპყრო ხელები ზეცისკენ, არც თავი და არც სხვა რომ არ ახსოვდა. მხოლოდ სირცხვილის დაძლევაზე ფიქრობდა, სამსჯავროზე ფიქრობდა, რომ უნდა ეღიარებინა და სირცხვილი დამალვას აიძულებდა.

ასე აუყვა ჩიკო ამ ხაზების კიბეს და გაუკვირდა, როცა აღმოაჩინა, რომ არც სირცხვილის და არც სინანულის განცდა არ აწუხებდა, რამაც, ცოტა არ იყოს, გააკვირვა.

– ეს საუკეთესო ადგილია ლოცვის სასწავლად, – ჩუმად თქვა ჩიკომ და ის იყო თვალები დახუჭა, რომ მაშინვე ძალაუნებურად გაეხილა. ეს ისევ ის ხელი იყო, სანაპიროზე რომ ესტუმრა მოხუცის ნავთან. ბოლო ხანებში უკვე რამდენჯერმე გამოცხადებოდა ის ძილის წინ, როცა თვალებს ხუჭავდა და იარაღმომარჯვებული ხელი უსწორდებოდა მის საფეთქელს.

იმავე დროს ფართოდ გახელილი თვალები, დაუჯერებელი გამომეტყველებით გაზეთში დაბეჭდილ სურათს უყურებდნენ, რომლის თავშიც მსხვილი შრიფტით ეწერა: „მთავარი თავზეხელაღებული მართლმსაჯულების წინაშე წარდგება“.

– შეხედე, ბელა, მამაშენის მკვლელი აუყვანიათ წუხელ! მგონი ის არის. კიდევ კარგი, რომ ვერ გაგიცნო მაშინ. ვინ იცის, ჩვენც რას ვართ გადარჩენილები. მალე სასამართლოს წინაშე წარდგება და პასუხს აგებს ყველაფერზე. მთელი ქალაქი ლაპარაკობს, სახრჩობელა არ ასცდება იმ არამზადასო! – არ ჩუმდებოდა ბელას ჭორფლიანი მეგობარი, რომელიც პირველი მოვიდა ახალი გაზეთით ხელში და პირველმა ახარა ეს ამბავი, – რა გჭირს, ბელა? წყალი

ხომ არ გინდა? ვიცი, წარსულში დაგაბრუნე, მაგრამ ის გარეწარი პასუხს აგებს ყველაფერზე!..

ბელას მთელმა სურათმა თვალწინ გაურბინა, გაზეთი ხელიდან გაუვარდა და გულწასული სკამიდან უკან გადავარდა. თვალებგახელილს ოთახში კმაყოფილი სახეები დახვდა, – ემოციების ბრალია, უცებ მივახალე ყველაფერი ყოველგვარი შესავლის გარეშეო, – თავს იმტყუნებდა მეგობარი. დედამისი კედელზე ჩამოკიდებულ მამის სურათს წმენდდა ხელით და თავისთვის რაღაცას ჩურჩულებდა. მისი და გაზეთს კითხულობდა, თვითონ კი სავარძელზე დაეწვინათ სახელდახელოდ. საშინელი მოსასმენი იყო საკუთარი დის ხმა, რომელიც დაწერილ ტექსტს უკვე მერამდენედ ახმოვანებდა. ბედის უკუღმართობა იყო და სხვა არაფერი ბელასთვის ყოველივე, რაც ხდებოდა. ისიც გაიფიქრა, იქნებ შეცდომა იყოსო, მაგრამ ეს ხავსი მალევე მოსწყდა და ისევ ქაოსში დააბრუნა.

6

Уოჩაღ, ბატონო ობურ! ამ ამბის შემდეგ თქვენ გენერ-ლობაც გეკუთვნით. კარგად მახსოვს ის წუთი, როცა დღევანდელი დღე იწინასწარმეტყველეთ და თქვით, სულ მალე მისი დროც მოვაო! ახლა კი, მე გიწინასწარმეტყველებთ, რომ წლის ბოლომდე ქვეყნის პირველი პოლიციელი გახდებით. დროა, მოქმედმა პირველმა, დამსახურებულად და მშვიდად გაატაროს სიბერე, – გახარებული სახით თქვა მმართველმა და პირველ პოლიციელს გახედა ნუგეშის თვალებით, – მაინც როგორ შეძელით ეს, თუ საიდუმლო არ არის? – უბრალო ცნობისმოყვარეობით მიმართა მმართველმა.

– როგორც მაშინვე მოგახსენეთ, ბატონო მმართველო. რამდენიმე დღის წინ, ჩვენთან მისი მეგობარი გამოცხადდა, რომელსაც მის საქმიანობასთან არანაირი საერთო არ ჰქონია. ეს თავად გადავამოწმე და შეგიძლიათ მენდოთ. ამბობს, ბოლო ხანებში ხვდებოდა, მისი მეგობარი რომ იყო ამ ამბების მოთავე, მაგრამ აქამდე ვერ გადაეწყვიტა მისი დასმენა.

– რას არ გააკეთებინებს ფული ადამიანს, – თვითკმაყოფილი იღიმებოდა მმართველი და თითებით შუშხუნა ღვინის ბოკალს ატრიალებდა ხელში, – მართლაც რომ, კარგად გცნობიათ თქვენი ხალხი და მათი ვერცხლისმოყვარეობა.

– გეთანხმებით! მას ეს კანონის ერთგულებამ არ გააკეთებინა. ფულის სიყვარულმა გააყიდვინა მეგობარი. ოცდაათი ხომ მაცდუნებელი რიცხვია და ათასი ასეთი რაღა იქნება! – წამოიძახა მაგიდის მეორე მხარეს მჯდომმა ქალაქისთავმა, რომელიც არავის საუბარს ტოვებდა გულგრილად.

– რას ბრძანებთ, ოცდაათ ვერცხლად ქრისტე გაყიდეს. ამაში კი ათასჯერ მეტი გადაგიხდიათ, – ჩაერთო სუფრის

თავში მჯდომი პროკურორი, ცბიერად რომ უყურებდა პოლკოვნიკს და შუშხუნას წრუპავდა.

– ჩემი აზრით, აქ ფული არაფერ შუაში არ უნდა იყოს, – მოკლედ მოუჭრა ობურმა, რამაც ყველა გააკვირვა, – მას არ გახარებია ფულის გადაცემა. არც კი დაუთვლია და თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენ რომ არ შეგვეხსენებინა, მის გარეშე აპირებდა საერთოდ წასვლას. თქვა, რომ არ წუხდა გადადგმულ ნაბიჯზე, მაგრამ ფული ოდნავადაც არ ახარებდა.

– მაშინ როგორღა ხსნით მის ქმედებას? – ცბიერი ინტერესით ჩაეძია მმართველი და სკამზე უკეთესად მოკალათდა.

– ვფიქრობ, რაღაც ანგარიშსწორებით უნდა აიხსნას ეს. თუმცა მის დეტალებზე ვერაფერს მოგახსენებთ, იმდენად, რამდენადაც არ დავინტერესებულვარ, რადგან მას ჩემს მისიასთან არანაირი საერთო არა აქვს. დროის ტყუილად კარგვა კი არ მიყვარს უბრალო ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად.

– გამოდის, იმ განხეთქილების ბზარმა იმუშავა, თქვენ რომ განჭვრიტეთ მაშინ, ხომ? – აღტაცებას ვერ მალავდა მმართველი მისი გამჭრიახობის შემხედვარე.

ობურმა მხოლოდ თავი დაუკრა თანხმობის ნიშნად.

– ზუსტად იუდასავით მოსვლია აბა, – ეცინებოდა პროკურორს, – ოღონდ არ გვითხრათ, რომ მანაც თავი ჩამოიხრჩოო, თორემ მისი მეგობრისთვის ბრალის წაყენება ნამდვილად გამიჭირდება.

– კარგად მოგკიდებია სასმელი, ღმერთთან თუ აიგივებ მოკვდავ ადამიანს. ის კი ხვალ მოკვდება და მესამე დღეს არავინ იტყვის, მკვდრეთით აღდგაო, – მასხრობას მასხრობითვე უპასუხა მმართველმა და ყველას ობურის სადღეგრძელო შესთავაზა, როგორც ამ საქმის მთავარი მონაწილისა და მას კიდევ ერთხელ შეახსენა დიდი მომავალი კარიერაში.

– ხვალ? ჩემთვის არაფერი უთქვამთ ხვალინდელზე, – გაკვირვებულმა წამოიძახა მაგიდის კუთხეში მჯდომმა ციხის უფროსმა, როგორც კი სასმისი მოიშორა პირიდან.

– დიახ, ხვალ! ეს შეიძლება არც პროკურორმა იცოდეს, თუმცა გადაწყდა, რომ ეს ხვალ უნდა მოხდეს, – წარბის აწევით უპასუხა მმართველმა.

– სასამართლო? ის ხომ ჯერ არ გამართულა?! – წამოიყვირა მოსამართლემ, ჩიკოს საქმე რომ უნდა განეხილა.

– სასამართლოც იქნება და განაჩენიც გამოტანილია! – სიამოვნებით დასძინა მმართველმა.

– როგორ თუ გამოტანილი? იქნებ თქვენი ინფორმატორი ცრუობს თანხის მოსაპოვებლად და... – დაჟინებული აგრძელებდა მოსამართლე.

– ხომ გაიგონე, ფული არაფერ შუაშიაო. ყველაფერი გადამოწმებულია. თანაც მიუხედავად იმისა, რომ თავს უდანაშაულოდ თვლის, თავადაც აღიარებს ჩადენილ ქმედებებს. – წყრომით შეაწყვეტინა სიტყვა პირველმა პოლიციელმა, რომელიც ასევე მოსამართლის დის ქმარი გახლდათ.

– ეს ვინ მოსულა, – სახეგაბრწყინებული ფეხზე წამოდგა მოსამართლე და რესტორნის დარბაზში ახალშემოსულ მამაკაცს გახედა, – იქნებ იცნობდეთ კიდეც მას. მთელი ოთხი წელიწადი ერთ სასწავლებელში გავატარეთ. საინტერესო პიროვნებაა. თუ ნებას მომცემთ, სუფრასთან მოვიპატიჟებ. დამიჯერეთ, მასთან საუბარი ყველას დაგაინტერესებთ.

– საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. თანაც, მართლა საინტერესო პიროვნება ჩანს, ერთი შეხედვით, – თქვა მმართველმა, რასაც მაშინვე თავის დაკვრით ყველა დაეთანხმა.

მოსამართლემ თავისი ადგილი დატოვა და რამდენიმე წამში ამხანაგთან ერთად წარუდგა სუფრის წევრებს: – ბაზი. საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის წარჩინებული კურსდამთავრებული. დარწმუნებული ვარ, სულ

მალე წარმატებული დიპლომატი გახდება. მანამდე კი ვთხოვე, ცოტა დრო ჩვენთან გაატაროს, – ლაპარაკისას სიხარულს ვერ მალავდა მოსამართლე, რომელიც უკვე სუფრის წევრებს აცნობდა თავის ამხანაგს.

– ჩვენც ამის იმედი გვაქვს. ახალგაზრდებმა უნდა განაგრძოთ ჩვენი დაწყებული საქმე, – მიმართა უკვე მოსამართლის გვერდით მჯდომ ბაზის პროკურორმა, – რა შეგიძლიათ თქვათ ახალი თვალით დანახულ დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკაზე?

– ომია მსოფლიო პოლიტიკა დასაბამიდანვე, – მოკლედ უპასუხა ბაზიმ, რომელსაც არანაირი სურვილი არ ჰქონდა ღრმა ზოგადსაკაცობრიო საკითხებზე ემსჯელა და საკუთარი შეხედულება გამოეხატა, რადგან არც დრო ჰქონდა ამისი და არც განწყობა. როცა კარგად გაიგო, თუ როგორ აჭრიალდა ერთდროულად ყველა სკამი, ისიც გაიფიქრა, სჯობდა, საერთოდ არაფერი მეპასუხაო, მაგრამ ასეც ვერ დატოვებდა, სულ არაფრით რომ არ ენიშნებინა მასპინძლებისთვის მათივე ძალადობრივი რეჟიმის ამბავი. რაც იყო, იყო. მის წინ, შუაზე გაყოფილ ფარდებში გაიხედა, რომლებიც კარის აქეთ-იქით მდებარე ფანჯრებზე ჩამოეშვათ. ერთიდან რესტორნის შემოსასვლელი ჩანდა, მეორიდან კი დარბაზის თითქმის მესამედი. ის იქ არ იყო, ასე რომ, თუ წამოვიდოდნენ, გამოწვევას მიიღებდა კიდეც.

– ამომწურავი შეფასებაა, ყმაწვილო. ერთ სიტყვაში ამის ასე ახსნა, პოლიტოლოგიის კორიფეებსაც გაუჭირდებოდათ, – ორაზროვნად გაეღიმა მმართველს.

– ნამდვილად! ვგიჟდები ომებზე! – აღფრთოვანება ვერ დაფარა თვალებგაბრწყინებულმა ქალაქისთავმა, რომლისთვისაც ყურადღება არავის მიუქცევია.

– ვეთანხმები ჩვენს სტუმარს, – ტუჩები დამანჭა პროკურორმა, – და დავამატებდი, რომ ომის გარეშე ვერ გაჩნდებოდნენ ცივილიზაციები. ისინი შეიძლება ჩასახული-

ყვნენ, მაგრამ ნაადრევი ნაყოფივით მოსწყდებოდნენ მუცელს. სიმწიფე! აი, რა მოაქვს ქვეყნებს შორის ომს.

– თუ ეს... თუ ეს სამოქალაქო ომია მაშინ? – ადგილზე შეკრთა ქალაქისთავი.

– ეს საპირისპირო შემთხვევაა იმისა, რაც პროკურორმა ჩამოაყალიბა და შედეგიც სიმწიფის ნაცვლად, ლპობაა. ხომ მეთანხბებით, ბატონო პროკურორო?

– გააჩნია საიდან შევხედავთ მას, ბატონო მმართველო! ქვეყნის შიგნიდან თუ ქვეყნის გარედან.

– ამაში მეც გეთანხმებით, – უწყინრად მიიღო მმართველმა შესწორება. ხოლო ქალაქისთავმა, რომელიც მისგან სულ სხვა პასუხს ელოდა, დორბლების ყრით შესძახა მწყობრიდან გამოსულმა, – ჩემს ქალაქში ომი არ მოხდება! გინდათ შიგნიდან უყურეთ მას და გინდათ გარედან! თვითონ მთავარმა მითხრა, რომ ეს ქალაქი ჩემია და არავის არ შემოვახედებ გარედანო. შიგნით მყოფებს კი, ერთმანეთთან ომი აზრადაც არ მოუვათ თავში, გარეშე თვალის დაუხმარებლად.

ახლა კი მიიქცია მისმა სიტყვებმა ყურადღება და თანაც ყველასი ერთად. მართალია ისინი გაამხიარულა მისმა ასეთმა ბავშვურმა ახირებამ, თუმცა მისი დაცინვა თავში არავის მოსვლია, თვით მმართველსაც კი, რადგან ქალაქისთავი მთავრის დისწული გახლდათ და რაც უნდა დაებრეხვებინა, დიდი-დიდი გაოცებით გაუღიმებდნენ ხოლმე, რომლის სიღრმეშიც გულწრფელი თანაგრძნობა მოსჩანდა. თავად ეს უკანასკნელი კი მხოლოდ გაოცებას ხედავდა მათ სახეებში და ეს ყოველთვის თვითკმაყოფილებას იწვევდა მასში, რადგან მისთვის გაოცება მხოლოდ ისე აღიქმებოდა, როგორც ქარიზმატული ქმედებით გამოწვეული მოვლენა და თავადაც სწორედ ასე ემართებოდა ყოველთვის. ჩვეულებრივი და არაფრით გამორჩეული, ყოველდღიური წვრილმანებით მდუღარე ამბები მის არამცთუ გაოცებას, არამედ ყურადღების მიქცევასაც კი ვერ ახერხებდა. ჩათ-

ვალა რა, რომ გაოცება გამოიწვია, ნელ-ნელა ყველა კუნთმა თავისი ადგილისკენ დაიწყო დაბრუნება, სანამ კვლავინდებურად ბედნიერი მოზაიკა არ აეწყო მისი სახისგან და მაშინ კი, თვითკმაყოფილმა, ვებეერთელა, გაბერილი ბოკალი მიიყუდა, რომლიდანაც მისი დაჭყეტილი თვალები კიდევ უფრო სულელური და სასაცილო გამოჩნდა.

– რას ბრძანებთ, ბატონო, – თქვა პროკურორმა, ისე რომ, გაოცებული ღიმილი ჯერ კიდევ არ წაშლოდა სახიდან, – აქაურ ხალხს ისე უყვარს ერთმანეთი, ძალიანაც რომ მოინდომოს ვინმემ, მაინც ვერ წაჰკიდებს ერთმანეთს, – ირონიით დაამატა და იქვე, ისევ გაოცებული ღიმილით დაასრულა, – თქვენც ხომ ამიტომ შეიყვარეთ ერთნაირად ისინიც და მათი ქალაქიც, ასე ძლიერ?

– ხაალხიც და ქაალაქიც? – ენა დაება ქალაქისთავს, რომელიც მხოლოდ ახლა დაფიქრებულიყო მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე და ვერ ხვდებოდა, რა ჰქონდათ მათ ისეთი საერთო, რის გამოც ორივე ერთნაირად უნდა ჰყვარებოდა, ან საერთოდ, ჰყვარებოდა! ქალაქი მას უყვარდა ისე, როგორც ალფონსს სარფიანი საყვარელი. ხალხი კი, როგორც საყვარლის ქმარი, რომელიც ცოლს არჩენდა. ეს უკანასკნელი კი მთელი მისი სიკეთეებით მას ეკუთვნოდა. გარდა ამისა და კიდევ ძალაუფლებისა, რაც ყოველივე ამის განცდას ანიჭებდა, მას არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდა სხვა სიყვარულზე, ან რაიმე ვალდებულებაზე. ამიტომაც, ჩათვალა, რომ სწორედ ამ სიყვარულს გულისხმობდა პროკურორი თავის შეკითხვაში და ოდნავ დარცხვენილმა უპასუხა.

– მე ხალხი მიყვარს, ხალხს ქალაქი, ქალაქს კი მე. ამიტომ ქალაქიც უნდა მიყვარდეს, გული რომ არ ვატკინო ხალხს. აი, ხალხი როგორ შემიყვარებს მე, ეს კი არ ვიცი, – ამ სიტყვებზე ისე მოიკუნტა მხრებში, თითქოს კარადაში წაასწროო ქმარმა, სად არის, სად არისო, რომ გაიძახოდა ოთახში მძიმე ნაბიჯებით მოსიარულე.

– დამშვიდდით, ბატონო, – ნუგეშის ტონით მიმართა მმართველმა, – თქვენ უკვე უყვარხართ მათ, ვინც ხალხს უყვარს და ეს საკმარისია. ასე რომ, დატკბით იმ სამმხრივი სიყვარულით, რომელიც თქვენ გერგოთ.

– ყველამ კარგად იცის, ვის რა ეკუთვნის, მე კი ხვალ, თვალებახვეულმა სიკვდილის განაჩენი უნდა გამოვიტანო, – თავისთვის, ჩუმად ჩაილაპარაკა მოსამართლემ, თუმცა მის გვერდით მჯდომმა ციხის უფროსმა, რომელიც ხმას არ იღებდა მთელი საღამოს განმავლობაში და მხოლოდ სმენად იყო ქცეული, მისი სიტყვებიც გარკვევით გაიგონა და თითქოს მის დასამშვიდებლად, სინამდვილეში კი სხვების ყურადღების მისაქცევად მიმართა:

– ნუ დარდობთ, ბატონო მოსამართლევ. განა თემიდა თვალებახვეული არ წონის მტყუან-მართალს? დამიჯერეთ, ასეთი კაცის ყურება თვალებახვეული ჯობს. აბა, მე ყოველდღე თვალებში ვუყურებ და მენდეთ, ვერანაირ სიამოვნებას ვერ ვიღებ აქედან. ის კი, თვითონვე აღიარებს ყველაფერს თავისი დუმილით და დაჟინებით მხოლოდ ერთს გაიძახის, სიკვდილის ღირსი ვარო.

პირველმა პოლიციელმა ორჯერ ჩაახველა, გამოკვეთილად და განსხვავებული ტონით. ყველამ კარგად გაიგო, ამით რისი თქმაც სურდა. პირველი ჩახველება მსუბუქი და მოწიწებული იყო, რომლითაც მმართველს უბოდიშებდა და სთხოვდა, ყურადღება არ მიექცია მისი ცოლისძმისთვის. მეორე კი, რომელიც მოსამართლეს ეკუთვნოდა, მძიმედ და მრისხანედ ჟღერდა და აგრძნობინებდა, მეტი ამ საკითხზე კრინტიც არ დაეძრა.

მმართველმაც, თითქოს შეისმინა მისი თხოვნაო და ისე, რომ მოსამართლისთვის არც კი შეუხედავს, ბაზის მიმართა:

– თქვენ, ალბათ, ხვდებით, ვისზეა საუბარი.

ბაზიმ მხოლოდ თავი გააქნია უარის ნიშნად, რათა უკეთ გაეგო მათი აზრი ჩიკოზე და ისიც, თუ არსებობდა რამე გზა, მისი სიცოცხლის გადასარჩენად. ისე კი, მეხივით დატყდო-

მოდა თავზე ჩიკოს ამბავი ორი დღის წინ. ისიც იცოდა, ხვალ თუ ზეგ სასიკვდილო განაჩენი რომ უნდა გამოეტანათ და აქაც ამიტომ იყო მოსული. დროგამოშვებით ფარდებს გახედავდა ხოლმე ბელას დასანახად და, რომ ვერ ხედავდა, მშვიდდებოდა. ძალიან უნდოდა დაეგვიანა ან საერთოდ არ მოსულიყო ახლა, როცა ასეთ ხალხთან იმყოფებოდა.

– როგორ თუ არ იცით, – შეიცხადა მმართველმა, – მთელი ქვეყანა ამაზე ლაპარაკობს. ბავშვმაც კი იცის მის შესახებ. ცნობილ თავზეხელაღებულზე გეუბნებით. უფრო სწორად, ანარქისტზე. თქვენს დროს ასე ეძახდნენ მას. გუშინწინ დააკავეს და ხვალ უნდა გაასამართლონ. ხომ გაიხსენეთ, ვისზეც გეუბნებით? – ეს ბოლო კითხვა, აშკარად ხაზს უსვამდა მის ჩასაფრებულ ინტერესს, რომელიც ბაზიმ თავიდანვე შეამჩნია, მდუმარედ, მხოლოდ თვალებით რომ ეფათურებოდა კარგა ხანს.

– ჩემს გამგზავრებამდე, თქვენ მიერ ხსენებულ ანარქისტზე გაგონილი მქონდა. ვხედავ ჩემს დაბრუნებამდე ის ძალზე ცნობილი ადამიანი გამხდარა, რახან სავალდებულოა მასზე ყველაფრის ცოდნა, – ღიმილით და ისე გულგრილად უპასუხა ბაზიმ, თითქოს ეს ამბავი ოდნავადაც არ ადარდებდა.

– შესანიშნავი იუმორია, – სიცილით დასძინა პროკურორმა, რომელსაც მაშინვე მოსამართლე გამოეხმაურა, უცებ რომ დაეღწია თავი საკუთარი ფიქრებისგან.

– თქვენ, ბატონო მმართველო? რას იტყვით ჩემს ამხანაგზე? ხომ ღირს მასზე რჩევის კითხვა? ჰოდა, მეც ვკითხავ. ვკითხავ და პასუხის მიღებამდე ამოვისუნთქებ. ეს მაინც არ ამცდება პასუხის მერე, ასე რომ, მანამდე ამოვისუნთქებ, მეტხანს რომ არ დამტანჯოს სინდისმა. ხომ შეიძლება ვიკითხო, ბატონო მმართველო? – ახლა პროკურორისკენ მიაბრუნა თავი, დამძიმებული რომ ჰქონდა ერთდროულად თრობისა და დარდისგან, – ოცდარვა წლის ვარ და რომ მკითხოთ, რა გზას ვადგავარ, პასუხს ვერ გაგცემთ.

გესმით, ეს რას ნიშნავს?! არც მიფიქრია ამაზე აქამდე, მაგრამ დღეს დავფიქრდი, როცა გავიგე, რომ გზას გამიყენეს. ჩემთვის უცნობ და ამავდროულად მაცდურ გზას, რომელზეც ცალსახად ვიცი, უარს ვერ ვიტყვი, – წამიერად ყველას თვალი გადაავლო და მათთვის მოულოდნელად მწარედ გადაიხარხარა, – გგონიათ არ ვიცი, ერთადერთი რომ არ ვარ, ვისაც ჩაქუჩის დაკაკუნება შეუძლია? თქვენი ზედმეტი ყურადღების შემჩნევის დღიდან ველოდი ამ დღეს, როცა შეკვეთას მივიღებდი და აი, ისიც, მთელი თავისი სიმძიმით. არ დაგიმალავთ, რამე უფრო მსუბუქს ველოდი დასაწყისისთვის. ისეთს, თავის მოტყუებას რომ შემაძლებინებდა და ბოლოს შეგუებული შემახვედრებდა ამ დღესთან. ალბათ მიამიტი ვიყავი, აქ მოხვედრილს ლოლიავის განცდა რომ მქონდა. უნდა ვაღიარო, თქვენ შეუცდომლად მოქმედებთ, არავითარი თვალთმაქცობა. ვაიდა, ერთ დღეს ვერ მეთვალთმაქცა? ახლა ყველაფერი პირდაპირაა. ავირჩევ იმ გზას, რომელზეც მთელი ცხოვრება ვივლი. რას იტყვი, ბაზი? არ გეკითხები, როგორ მოვიქცე. ჩათვალე, არჩევანი უკვე გავაკეთე და იქ ვარ. შენგან ერთი სიტყვა მჭირდება. რისთვის ვაკეთებ ამ ყველაფერს! – თქვა და ჩასისხლიანებული თვალებით მიაშტერდა.

რამდენიმე წამი უსიამოვნო სიჩუმე ჩამოვარდა, სანამ იგი თავისი ქარაგმული მოხერხებულობით არ დაარღვია პროკურორმა.

– მერედა თქვენც გაუყენეთ სხვები გზას. განა იმაზე დიადი განცდა რას უნდა ჰქონდეს, ადამიანების ბედს წყვეტდე? ჩვენ ყველას გაგვაჩნია ჩვენი ბედის გზის მანიშნებელი ისრები, მაგრამ სამწუხაროდ, მათ მხოლოდ მას მერე ვხედავთ, როცა ჩავუვლით ხოლმე. აი, ისეთი ისრები, როგორიც მმართველია თქვენთვის და კიდევ ბევრისთვის, თქვენ – თავზეხელაღებულისთვის და კიდევ მისნაირებისთვის, ღრუბელი ზღვაში გასული მეზღვაურისთვის, ვა-

რსკვლავი მისნებისთვის და კიდევ სხვა ცხადი ნიშნები კი ცხოვრების საჩუქარია.

მოსამართლეს ყველაფერი ესმოდა, მაგრამ თვალებით ისევ ბაზის ეკითხებოდა, რისთვის, რისთვისო!..

– გეყოფა, მეტს ნუღარ დალევ! ხომ ხედავ, სისულელეებს გალაპარაკებს, – კატეგორიული ტონით უთხრა პირველმა პოლიციელმა, როცა მოსამართლემ ისევ ღვინის დასხმა დაიწყო თავის ჭიქაში, – ხვალ გამოფხიზლდები და შეგრცხვება შენი ნაბჟუტურების. მეგობარსაც ნუ მოაბეზრებ თავს შენი სიმთვრალით! – ძალ-ღონეს არ იშურებდა გაწიწმატებული პირველი პოლიციელი, იმისთვის, რომ ყველაფერი სასმლისთვის მიეწერა და საუბარი სხვა რამეზე გადაეტანა.

– სულაც არა, – ნაჩქარევად უპასუხა ბაზიმ იმის შიშით, რომ რამე სხვა კითხვა არ დაესვათ მისთვის, ან სულაც სხვა საკითხზე არ გადაეტანათ საუბარი. მაშინვე ინსტინქტურად ისევ ორივე სარკმელს მოავლო თვალი. დარბაზი სავსე იყო მაგიდებით, მაგიდები კი ხალხით. კარსაც გახედა, მაგრამ ბელა არსად ჩანდა, – აქამდე უნდა მოსულიყოო. ეტყობა, გადაიფიქრა ან გამომეპარა მისი შემოსვლაო, – გაიფიქრა, თუმცა ამის გამოსწორებას ჯერ ისევ მოასწრებდა. თვითონ მივიდოდა ბელასთან, მაგრამ ჯერ აქ უნდა ყოფილიყო და მეტი გაეგო მისი მეგობრის ბედზე მათგან, ვის ხელშიც იყო ამ უკანასკნელის სიცოცხლე. ეს ხალხი ახლა მის გვერდით იჯდა, რომლებმაც მისი და ჩიკოს მეგობრობის შესახებ არაფერი იცოდნენ. ასე რომ, მოსამართლის კითხვაზე აუცილებლად უნდა ეპასუხა და თანაც ისე, რომ ჩიკოზე ლაპარაკი კიდევ უფრო მონდომებით გაგრძელებულიყო. ამ აზრმა უტოპიური იმედი ჩაუსახა, რომელიც უხილავი ძალით გაჩენილიყო. გრძნობდა, შეეძლო რაღაც. რომ ტყუილად არ მოხვდებოდა ამ ხალხთან, მაინცდამაინც დღეს და რადგან იგრძნო, რადგან ძებნა დაიწყო და რადგან ვერ იპოვა, უნდა გამოეგონა. დიახ, ახლა ის მხოლოდ გამოგონების იმედზე

იყო და ისევე, როგორც მეცნიერები აღმოაჩენენ ხოლმე არაფრისგან ელემენტებს, შემდეგ კი ამ ელემენტებისგან ათას ცდებს ატარებენ და წარმოუდგენელ საშუალებებს იგონებენ, მასაც უნდა გამოეგონა ახალი ხსნა. აღმოჩენა ხომ მასაც ჰქონდა უკვე, მმართველის, პროკურორის, ქალაქისთავის, მოსამართლისა თუ პირველი პოლიციელის სახით. ამიტომ მათი აზრები ელემენტებივით ისე უნდა გადაერია ერთმანეთში, რომ უნივერსალური გასაღები გამოსვლოდა, ყველა ციხის კარს რომ მოერგებოდა. იქნებ უარესიც გამოსვლოდა რამე, მაგრამ ამაზე უარესი მეტად ვერ დაამძიმებდა მდგომარეობას. სხვა მხრივ, თუკი ვერაფერს მიიღებდა აქედან, იმ მოჩვენებითი ძალისგან მაინც გათავისუფლდებოდა, რომელიც სხვა შემთხვევაში ცხოვრების ბოლომდე გაჰყვებოდა შემაწუხებლად.

– კეთილდღეობა, – წარმოთქვა მან თავისი ცდის პირველი სიტყვა და მოსამართლის მაგივრად მმართველს დააკვირდა, რომელმაც ვერ გაიგო, რას გულისხმობდა ის, სანამ მოსამართლისკენ არ იბრუნა პირი და განაგრძო, – კეთილდღეობა – ჩემო კეთილო ამხანაგო!

– კეთილდღეობა, – ჩუმად გაიმეორა ჩაფიქრებულმა მოსამართლემ.

– როგორ თუ კეთილდღეობა? – შეიცხადა პირველმა პოლიციელმა და უხერხული ღიმილით მმართველს გახედა, – კეთილდღეობა აქ არაფერ შუაშია, ახალგაზრდავ! ამას ხომ კანონი და სამართალი ავალდებულებს.

ჩინებული დასაწყისი იყო ერთი სიტყვის კვალობაზე და ბაზიმ უფრო ცხადად შეიგრძნო მისთვის უკვე კარგად ნაცნობი განცდა. ვისაც თავის მოტყუება არ სურდა, კარგად გაიგეს მისი პასუხი, რასაც ნიშნავდა, მაგრამ ახლა ეს არ იყო მთავარი და ამიტომ, ახლავე მისცემდა სატყუარას, რომელშიც ეჭვის შეტანა გაუჭირდებოდათ.

– თქვენ სწორად ვერ გამიგეთ, ბატონო. მე ხალხის კეთილდღეობაზე მოგახსენებდით. დამეთანხმებით, მისი დას-

ჯით ხალხი ამოისუნთქებს და ჩამოირეცხავს იმ უხერხულობას, რომელსაც მისი ქმედებები აყენებს ჩვენს ქვეყანას.

– ხედავთ, ბატონო პირველო? თქვენ კი ყოველთვის მოვლენებს უსწრებთ! – დამრიგებლური ხმით მიმართა მმართველმა.

– ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, მისი საქმიანობიდან გამომდინარე, – ისევ ბაზი გამოექომაგა მას, ვინც მანამდე თავად საყვედურობდა და ეს ისევ და ისევ საკუთარ გამოგონებას ემსახურებოდა, რათა უკეთესად არეულიყო მისი აზრების ელემენტები შემდგომი რეაქციებისთვის, – ერთი ნაბიჯით მაინც რომ არ დაასწროს მოვლენებს, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ქაოსი იქნებოდა ქვეყანაში?

– ნამდვილად ასეა, – ჩაერია საუბარში პროკურორი, რომელმაც იქვე დასძინა, – ისე კი, ობურს უფრო დიდი ნაბიჯები ჰქონია, როგორც ჩანს.

პირველ პოლიციელს არ გაჰკვირვებია მისი სარკაზმი, თუმცა ისედაც წამხდარი ხასიათი კიდევ უფრო წაუხდა. ჰქონდათ მათ ადრინდელი წყენა ერთმანეთში და არასოდეს უშვებდნენ ხელიდან ასეთ უპირატესობას. ისიც ცხადი იყო, რომ მმართველი დიპლომატიურად, მაგრამ მაინც ახვედრებდა, რომ დიდად კმაყოფილი არ გახლდათ მისით, მაგრამ იმის იმედით, რომ მომავალში ყველაფერს გამოასწორებდა, თავის დამშვიდების საშუალებას აძლევდა მაინც. ყველაფერს კი, ვიღაც ტილიანი ოფიცრის გამოხტომამ დაუსვა წერტილი, რომელიც ახლა მის გვერდით იჯდა, აწ უკვე პოლკოვნიკის მუნდირით და ხვალ თუ ზეგ მის ადგილსაც დაიკავებდა. არ ესიამოვნა პოლკოვნიკ ობურსაც, ზუსტად იმდენად, რამდენადაც ესიამოვნა კიდეც და საუკეთესო გამოსავლად რამდენიმე წუთით გარეთ გასვლა მოიმიზეზა.

ეს უთანხმოება ბაზიმაც კარგად დაინახა და კიდევ ერთ საჭირო ელემენტს ჩაუძახა თავის საცდელ კოლბაში, რის შემდეგაც უფრო მეტი აზარტით განაგრძო:

– მაინც გამოგიტყდებით, რომ ჩემი ამხანაგის პირადი წუხილიც კარგად მესმის.

მმართველმა ცერად გამოხედა, რისი მნიშვნელობის გაგებაც ბაზის არ გასჭირვებია და ისე, რომ მის კითხვას არ დალოდებია, დაამატა:

– როგორც თავიდანვე ვთქვი, ჩემი ღრმა რწმენით, მას ხალხის კეთილდღეობა ამოძრავებს, მაგრამ გარდა ამისა, თავისი საქმის ერთგულებაც აკისრია, რაც ზედმიწევნით ჩაუნერგეს სასწავლებელში და კიდევ გათვლა, რომელზეც ახლავე მოგახსენებთ.

მოსამართლეს ნელ-ნელა სახე ებადრებოდა და ბულბულის გალობასავით ჩაესმოდა ბაზის სიტყვები.

– რა გათვლას გულისხმობთ, თუ საიდუმლო არ არის? – იკითხა პროკურორმა, რომელიც თითქმის არასოდეს იბნეოდა. ახლა კი, გამომეტყველებაზე ეტყობოდა, რომ ვერ გარკვეულიყო ბაზის ლაპარაკში, რომელშიც ის ხან თვალის ასახვევს ხედავდა, ხან კი გულახდილ გულისტკივილს.

– იმ გათვლას, რომ თანამედროვე განათლებამიღებულ ახალგაზრდებს, რომლებსაც ძირეულად გვასწავლიან სოციოლოგიას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს, კარგად გვესმის, თუ როგორ განაწყობს საზოგადოებას ბუნდოვანებით მოცული ამბები. მათ დასაბუთებული ახსნა სჭირდებათ, რათა არ დაიბნენ და გაუგებარი აზრებით შეწუხებულებმა, ქაოსურად არ დაიწყონ სვლა. ასეთი გათვლებით უმჯობესია იმ თავზეხელაღებულის საქმე სიტყვასიტყვით იყოს დამარცვლული ხალხისთვის, რათა თავადვე გამოუტანონ განაჩენი საკუთარ თავში და არანაირმა ზედმეტმა კითხვამ აღარ შეაწუხოთ იმის შესახებ, თუ რატომ იჩქარა ასეთი გამალებით კანონმა. ეჭვი არ მეპარება, იმ შემთხვევაში, თუ ჩემს ამხანაგს მიეცემა საშუალება, ის ხალხის სურვილის დაკმაყოფილებას ზედმიწევნით შეძლებს, – დაასრულა ბაზიმ და მოსამართლეს ღიმილით ისე ჩაუკრა თვალი, თითქოს მისი მთავარი წუხილისა არაფერი გაეგებოდა.

– არა, არა! შენ მაინც რატომ არ გესმის ჩემი? – შეწუხებულმა წამოიძახა მოსამართლემ, რომელსაც მაგიდის ქვეშ მაშინვე პირველი პოლიციელის ქუსლი მოხვდა ტერფში და უმალ დადუმებულმა, მხოლოდ ხელი ჩაიქნია უკმაყოფილოდ.

– მესმის, ჩემო მეგობარო, მიუხედავად იმისა, რომ არ დაგიკაკუნებია, მაგრამ სახელური ხომ დაქაჩე? უბრალოდ, კარის გამოღება გაშინებს, იმიტომ რომ მის მიღმა ახალი ცხოვრება იწყება შენთვის, იქ, სადაც მთავრდება სხვისთვის, – ბაზი ოდნავ შეყოვნდა, მაგრამ ეს საჭირო სიტყვების ნაკლებობით სულაც არ იყო განპირობებული. ის ქაოსურად ნასროლ სიტყვებს უყრიდა თავს, აზრად რომ ჩამოეყალიბებინა და მეტი არგუმენტაციით გაეგრძელებინა ლაპარაკი, – თუმცა, თუ რელიგიურად შევხედავთ, ყველაფერი პირიქით გამოდის. ასე რომ, მთავარი ზუსტად ის არის, თუ კარის რომელი ჭუჭრუტანიდან იყურები კაცი.

ამ სიტყვების გაგონებაზე მოსამართლემ ნიღაბივით აიფარა ხელი სახეზე ისე, რომ ცალი თვალი საჩვენებელ და შუა თითს შორის მოიქცია, საიდანაც დამფრთხალი იყურებოდა.

– გეშლება ერთი რამე, – მილეული ხმით წარმოთქვა მან და ხელი სახიდან მუხლზე ჩამოიცურა, – სახელურიც დავქაჩე და კარიც ბოლომდე გამოვაღე, ჭუჭრუტანების დაუხმარებლად. ამ ყველაფრის გაკეთებისას ოდნავადაც არ შემშინებია არაფრის, თუმცა კი, სჯობდა თავიდან ყველა ჭუჭრუტანიდან სათითაოდ გამეხედა და ნაკუწ-ნაკუწ დამენახა ყველაფერი. ახლა კი, ყოველივე ერთიანად დავინახე და სწორედ ამაშია საქმე. იქ შესვლის მეშინია, იქ შესვლის, – მოჭრით დაასრულა მოსამართლემ და ისე ამოიხვნეშა, ყველამ შეამჩნია, ჯერ რომ არ უნდა გაჩუმებულიყო, მაგრამ არც გაგრძელების ძალა ჰყოფნიდა.

მიუხედავად მოსამართლის დასკვნისა, ბაზიმ ისიც იცოდა, რაც მისგან მოისმინა და ისიც, რომ ზღურბლზეც

გადაებიჯა, მაგრამ ამ შენიშვნამ იმდენად გაახარა იგი, რამდენადაც სხვა შემთხვევაში გაანაწყენებდა, რადგან საუბარი გრძელდებოდა და რაც მთავარია, სულ უფრო და უფრო მძაფრად.

– გამოდის, ძალა გჭირდებათ? – ირონიული ღიმილით ჩაერთო საუბარში მმართველი.

– ადამიანის ძალა ყოველთვის საკმარისი როდია, ბატონო მმართველო, – წაისისინა პროკურორმა.

– წყალი, – მრავლისმეტყველი გამომეტყველებით თქვა მმართველმა, – მოგეხსენებათ, წყალს უდიდესი ძალა აქვს!

ყველანი გაკვირვებულები უცქერდნენ მმართველს, რომელსაც ვერაფერს მიუხვდნენ. მხოლოდ ქალაქისთავი, რომელიც აქამდე თითქმის სულ დაბნეული იყურებოდა, ახლა ისეთი კმაყოფილი და გარკვეული ჩანდა, თითქოს ჰიდროლოგიის პროფესორი ყოფილიყო. თუმცა თავის გამოსვლაში არანაკლები ცოდნა გამოავლინა ასტროლოგიის სფეროშიც და იქ მყოფნი, ცოტა არ იყოს, მართლაც გააოცა.

– ეს ნამდვილად ასეა, მმართველო, – ქალაქისთავი თავს უფლებას აძლევდა, ბატონობის გარეშე მიემართა ხოლმე მმართველისთვის, – ზღვას იმხელა ძალა აქვს, რომ მის სამწყემსავად უზარმაზარი მთვარის ძალაა საჭირო. მიუხედავად ამისა, ზღვა ხშირად მაინც თავის ჭკუაზე იქცევა. ამას მის ენაზე მიქცევას და მოქცევას ეძახიან, – შეატყო რა, მსმენელთა გაკვირვება, მაშინვე მედიდური იერი მიიღო და განუმარტა მათ, – დაუჯერებელია, ხომ? ამას ახლავე აგიხსნით, თანაც ძალიან მარტივად. ხომ ყველას გინახავთ ღამით ახალი მთვარე?

– აბა, დღე როგორ ვნახავდით, შე კაცო?! – აქ კი ვერ შეიკავა თავი ენამოსწრებულმა პროკურორმა, რომელსაც გვარიანად გაეცინა და სხვებიც გააცინა ერთის გამოკლებით და ის ერთი უკმაყოფილო მმართველი იყო, რომელიც მაშინვე გამოექომაგა ქალაქისთავს, შეატყო რა მისი უგუნებობა და რომელსაც უზომოდ აინტერესებდა მთვარის კომე-

დიის დასასრული. ქალაქისთავის ამგვარი გამოსვლები, ყოველთვის განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებდა მას და ამ მეცნიერული ნაშრომის ხელიდან გაშვება, დიდად საწყენი იქნებოდა.

– ეს უბრალოდ სიტყვამ მოიტანა ასე. არ გაგიგიათ ლექსები ღამის მთვარეზე? განაგრძეთ, განაგრძეთ, გეთაყვა.

– თქვენ ჩემი ყველაზე კარგად გესმით, მმართველო, – ისევ მხნე ხმით განაგრძო ქალაქისთავმა, – იმას ვამბობდი, ახალი მთვარის დროს, ზღვა იმიტომ ღელავს ძლიერ, რომ იგი თითქმის არ ჩანს და რახან ზღვა მას გარკვევით ვერ ხედავს, მთვარეს მის დასაწყნარებლად ძალა არ ჰყოფნის. კიდევ იმიტომ, რომ ახალმთვარეობისას ის ყველაზე შორსაა დედამიწისგან და ეს კიდევ მეტად აკარგვინებს ძალას. ვისაც არ გჯერათ, შინ წასვლისას შეხედეთ მთვარეს და მიხვდებით, რატომ გაიზარდნენ ტალღები, ეს ბოლო კვირეებია, – დაამთავრა და ნიშნისმოგებით პროკურორს გახედა.

– ეს ხომ აპოგეაა! – შესძახა გამხიარულებულმა მმართველმა, რომელმაც ჩათვალა, რომ ახალი სატირული ნოველა შემდგარიყო, მაგრამ მისი შეძახილის შემდეგ მოხდა ისე, რომ ასეთ გაგრძელებას ვერც კი წარმოიდგენდა. კერძოდ, ქალაქისთავმა, რომელსაც სიტყვა აპოგეა ყურის მოკვრით ჰქონოდა გაგონილი და იცოდა მისი დადებითი სიმაღლის მნიშვნელობის შესახებ, მმართველის შეძახილი საკუთარი თავის ქება-დიდებად ჩათვალა და ხიბლში ჩავარდნილმა, იმაზე მეტი სისულელე დააბრეხვა, ვიდრე ვინმე წარმოიდგენდა:

– რას ამბობთ, რა აპოგეა! ეს ელემენტარული დაკვირვებიდან შევამჩნიე ახლახან. არა, მთვარე რომ აკონტროლებს ზღვას, ეს, ალბათ, ყველამ იცის, მაგრამ რა დროს და რა ძალით, ეს სულ სხვა საქმეა. ცოდნის შეძენა არასდროს არ არის გვიან და მეც ამ უკანასკნელი აღმოჩენიდან უფრო მეტის ამოხსნას ვაპირებ. აი, მოვა ზაფხული და სავსე მთვარეც გამოჩნდება. ჰოდა, მერე დავამტკიცებ, როცა ზღვა სა-

ერთოდ აღარ აღელდება, რომ ჩემი აღმოჩენა სრული ჭეშ-მარიტებაა.

მმართველის თვალები სიამოვნებას ვერ მალავდნენ ახალდაბადებული მეცნიერის შემხედვარე. უნდოდა გული-ანად გადაეხარხარა, მაგრამ ამით მხოლოდ დააფრთხობდა მეცნიერს და მომავალ სიამოვნებებს მოისპობდა. ამიტომ წარმატება უსურვა თავის დაკვირვებებში და თავადაც არანაკლები მოლოდინით განიმსჭვალა ზაფხულის შესა-ხვედრად, რაც გარდაუვლად იმედგაწბილებულ და ახალი იდეებით დახუნძლულ სწავლულთან შეახვედრებდა, ისევ და ისევ სიამოვნების მომგვრელად.

– ხედავთ, ბატონო მოსამართლევ, რამხელა ძალაზე მოგახსენებთ? – სიცილით თქვა მმართველმა, რასაც ქალა-ქისთავიც აჰყვა, რადგან ჩათვალა, რომ ეს სიცილი მოსამა-რთლეს ეკუთვნოდა.

– წყლის ძალა მე, აბა, ვინ მომცა? – სახე დაემანჭა მო-სამართლეს.

– მე მოგცემთ, – ცბიერი ღიმილი არ შორდებოდა სა-ხიდან მმართველს, რომელმაც წყლით სავსე ჭიქა გაუწოდა მას.

მოსამართლემ დაბნეული სახით გამოართვა ჭიქა და, აქაოდა, მმართველის ხუმრობას ავყვებიო, სიცილით უპა-სუხა: – ერთი ჭიქა წყლის ძალა მეც კი უნდა მქონდეს, ბა-ტონო მმართველო.

– ვხედავ, ჯერ არ გაქვთ, მაგრამ ერთად აღებულ ყველა წყალზე დიდი ძალაც გექნებათ, თუ სწორად გამოიყენებთ ერთ ყლუპ წყალს, – შეატყო რა მოსამართლის ამსუბუქება, მმართველმა საქმიანი სახე მიიღო. შემდეგ ჭიქა წყლით შეივსო, ნელა აიღო ხელში, წარბები ასწია, ისე რომ მოსა-მართლისთვის მზერა არ მოუშორებია, ერთი მოზრდილი ყლუპი მოსვა და პირში დაიგუბა. მაშინვე ორივე ლოყა გა-მოებერა, თვალები მოჭუტა, საჩვენებელი თითი ტუჩებზე მიიდო, სარივით სწორი, გრძელი ცხვირის ჩაყოლებაზე და

თავი დაიქნია, ნიშნად იმისა, – ხომ მიმიხვდით, რასაც ვგულისხმობო, – ისიც ყველაფერს მიხვდა და მეტი ამ საკითხზე კრინტიც არ დაუძრავს.

ცოტა ხანში მისი ლაპარაკი მთქნარებამ ჩაანაცვლა. ეტყობოდა, თრობა განელებოდა და ძალაგამოლეულს თავის დაჭერაც უჭირდა, თუმცა მის წამოწევაში შიგადაშიგ სლოკინი ეხმარებოდა და ისიც მამლაყინწასავით მოიღერებდა ხოლმე ყელს. ამ სურათის შემყურე პირველმა პოლიციელმა, ბოდიშის მოხდით ითხოვა, იქაურობა დაეტოვებინა. თავის ცოლისძმას მკლავში ჩაავლო ხელი და კარამდე ლასლასით მიიყვანა. მოსამართლემ, რომელსაც ახლა სამოთხის კარიც კი ეჯავრებოდა, უკანასკნელი ძალები მოიკრიბა. სახელურს, რომელსაც ცერად დაშტერებოდა, მთელი ძალით ჩამოარტყა ხელი და თავისკენ მოქაჩა, რა დროსაც კარმა ის ციბრუტივით ისევ სუფრის წევრებისკენ შემოატრიალა სახით, თანაც ისე, რომ მეორე ხელით უკვე კარის გარეთა სახელურსაც ჩაბღაუჭებოდა. არეულ თვალებში მან პირველი მმართველი გაასწორა და მაშინვე ჯამბაზივით დაეწელა ტუჩები. სახელურს ხელი გაუშვა, უკუსვლითა და ფართო ნაბიჯებით ოთახიდან გავიდა, – მე ყველაფერს შევძლებო, – თქვა გამოცდაზე ჩაჭრილი მოსწავლის მსგავსად და მისი უბადრუკი გამომეტყველება, პირველი პოლიციელის ხელით, კარმა გაიხურა.

რამდენიმე წამი ხმა არავის ამოუღია ოთახში, სანამ პროკურორმა არ დაარღვია სიჩუმე ირონიული გამოხმაურებით:

– ასე უკუსვლით თუ წავა ის წინ!

– თქვენ? თქვენ რაღას იტყვით თქვენსავე თანამედროვე განათლებამიღებულ ამხანაგზე? – იკითხა მმართველმა, რომელიც დანა-ჩანგლით რაღაცას ჭრიდა თავის თეფშზე თავაუწევლად, – ოღონდ დიდი თხოვნა მაქვს, თუ შეძლებთ, რა თქმა უნდა, ეს ისევ ლაკონიურად, ერთი სი-

ტყვით მოახერხოთ, რადგან თქვენი ვრცელი მოსაზრება ამ ყოველივეზე უკვე მოვისმინეთ და გამოგიტყდებით, მას გულგრილი არ დავუტოვებივარ, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ზოგ ნიუანსში არც დაგეთანხმოთ.

ხედავდა ბაზი იმ საფრთხეს, რომელიც შეიძლება მის ლაპარაკს მოჰყოლოდა, მაგრამ ეს უკვე აღარ აშინებდა. აზარტს, რომელსაც აქამდე მოეყვანა, მთლიანად გადაეფარა საკუთარ თავზე ზრუნვა და მხოლოდ წინსვლისკენ უბიძგებდა. წინ კი გარდატეხის შეტანა იყო საჭირო, რადგან იგი განაიარაღეს და მისი იარაღი, რამდენიმე ჰაერში გასროლის შემდეგ, ისევ თავის ბუდეში დააბრუნეს. მოსამართლის როლი დამთავრებულიყო. ასე რომ, ახლა მეტი პირდაპირობა იყო საჭირო, რათა ბოლო შანსი გამოეყენებინა და თავისი ველური ოცნება რეალობად ექცია. ამდენად, ხელცარიელი უკვე ველარ წავიდოდა აქედან და, თუ თავიდან ეს მხოლოდ მცდელობა იყო და იოლად შესძლებდა აქაურობის დატოვებას, ახლა, ამდენი პატარ-პატარა იმედის შეკონწიწების შემდეგ, ფეხსაც არ მოიცვლიდა.

– სული ასჯანყებია...

– ოჰ, ეს უკვე მეტისმეტია, – წამოიძახა მმართველმა, – ზუსტად მოარტყით ჩემ მიერ დასმულ დიაგნოზს, ამიტომ ჩემს სამკურნალო რეცეპტსაც გაგანდობთ. საუკეთესო წამალი ასეთ დროს ზურგის შექცევაა. სულს ხომ ზურგში დანის ჩარტყმა არ შეუძლია. ის მხოლოდ მაშინ გატყვევებს, როცა შენს პირისპირ დგას და ათას გამოგონილ სისულელეზე გელაპარაკება...

– ეს სისულელეები ადამიანის მორალურ ღირებულებებს ეფუძნება, – მკაცრი ტონით გააწყვეტინა სიტყვა ბაზიმ ისე, როგორც ჭადრაკის მოთამაშეები ემუქრებიან ხოლმე ქიშით დაძაბული პარტიის დროს მოწინააღმდეგეებს და მმართველს არცთუ ისე კეთილგანწყობილი მზერით გახედა. მაშინვე შეატყო, როგორ აუჩქარდა გულისცემა, როგორ ებერებოდა ნესტოები ყოველ ამოსუნთქვაზე და

როგორ დაკარგა საკუთარი თავის კონტროლი, რამაც კიდევ ერთი წყენა შემატა, ამჯერად საკუთარი თავისადმი.

– ხომ არ გეჩვენებათ, რომ მორალი, მთელი მისი ღირებულებებით, იმდენად სალოლიავო და ხანგრძლივი პროცესია, სახელმწიფო მმართველებს მხოლოდ მისით რომ ეხელმძღვანელათ, დღესაც ბრინჯაოს ხანაში ვიქნებოდით, – მმართველმა ბაზის გაუღიმა და მანაც ზუსტად ისე დაამატა, როგორც ჭადრაკის მოთამაშემ, რომელსაც ეს-ესაა ქიშით დაემუქრენ, მან კი საპასუხოდ შამათით უპასუხაო, – მიუხედავად გამოუცდელობისა, თქვენი განათლების კაცმა უნდა იცოდეთ, რომ პოლიტიკაში, როცა საქმე სახელმწიფო ინტერესებს ეხება, მორალის ადგილს პრაგმატიზმი იკავებს, – მმართველი ტაქტიკურად შეყოვნდა და ისევ განაგრძო, – საინტერესო იყო თქვენთან საუბარი, თანამედროვე ყმაწვილო! ახლა კი, უნდა დაგტოვოთ. ხვალ საინტერესო დღე გველოდება. მოხარული ვიქნები, თუკი თქვენც დაესწრებით, – ამ სიტყვებით იგი ფეხზე წამოდგა. მაშინვე მთელი სუფრა წამოიშალა და ყველამ მადლობა გადაუხადა მმართველს ასეთი საინტერესო საღამოსთვის. ბაზი კი იდგა ხელებჩამოყრილი და საკუთარ დამარცხებას წყევლიდა. რატომ აჰყვა ემოციებს და რატომ გადაიტანა საუბარი ზოგად საკითხზე, როცა კონკრეტული სვლებით ყველაფერი კარგად გამოსდიოდა? მართლაც, რა შუაში იყო აქ მორალი, როცა საქმე მისი საუკეთესო მეგობრის სიცოცხლეს ეხებოდა? სწორად მიანიშნა მმართველმა გამოუცდელობაზე და მისი ლაბორატორიული ცდაც კრახით დაასრულა.

* *

– საით გაქვთ გზა? – უკნიდან მოაძახა ციხის უფროსმა.

– მე აქვე, ახლოს ვცხოვრობ, – უგუნებოდ და მოჭრით უპასუხა ბაზიმ, რომელიც დაუყოვნებლივ ბელასთან აპირებდა წასვლას.

– საინტერესო კაცი ხართ. ეს მარტო მე არ შემიმჩნევია. ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს იქ, სადაც ჩემზე მეტი იციან. როგორც ხედავთ, თითქმის მთელი საღამო ჩუმად ვიყავი. უფრო კითხვების დასმა მომწონს და შემდეგ პასუხებზე დაკვირვება. ეს პროფესიაშიც ხელს მიწყობს. ხომ არ მიწყენდით, თქვენც რომ გკითხოთ რაღაც? – პასუხს არც დალოდებია, ისე განაგრძო ციხის უფროსმა, – თუ შეამჩნიეთ, მმართველმა რომ გამოგხედათ ზურგსუკან, როცა კარში გადიოდა?

– ბაზიმ მხოლოდ თავი გააქნია. ამით, ერთდროულად, უარის თქმაც უნდოდა და თავიდან მომწყდიო, ამის დამატებაც.

– მაშინ გეტყვით, რომ აშკარად ჩააფიქრეთ იგი. უდავოდ სადღაც წარმოგიდგინათ. ვინ იცის, იქნებ დიდ თანამდებობაზეც კი და მაშინ ნუ დამივიწყებთ! – გაეღიმა ციხის უფროსს.

– არ მესმის, რაზე მელაპარაკებით.

– ხომ არ გაგვესეირნა და ისე გველაპარაკა?

რამდენიმე წუთში ისინი ნაწვიმარ ქვაფენილზე მიაბიჯებდნენ.

– ჩვენი მმართველი პრინციპებზე უზომოდ შეყვარებული ადამიანია, თუნდაც ეს პრინციპები მისას ეწინააღმდეგებოდეს. თქვენც, თქვენი ხედვების ერთგულად აღგიქვათ, როგორც შევატყვე.

– ვერ ყოფილა მაინცდამაინც პრინციპების დამცველი, თუ საწინააღმდეგო პრინციპებსაც ისევე აფასებს, როგორც საკუთარს.

– თქვენ ვერ გამიგეთ, ის არა თავად მოსაზრებას სცემს პატივს, რომელიც შორს არის მისგან, არამედ თვით პიროვნებას, რომელიც ჯიუტად იცავს თავის ხედვას.

– მაინც საიდან იცით ასე კარგად მისი ხასიათი?

– ერთხელ მეც ასე შემხედა, როცა ჯერ კიდევ რიგითი პოლიციელი ვიყავი და მყარად ვიდექი იმ აზრზე, რომ ციხის

მართვა სისასტიკის გარეშე შეუძლებელია. სისასტიკეს სისასტიკითვე უნდა უპასუხო და აბა, გამოიცანით, ვინ ხვდებიან ციხეში? ისევ და ისევ სისასტიკის ჩამდენი ადამიანები. იმ ხალხის ბედუკუღმართობისგან კი, ვინც უდანაშაულოდ ხვდება იქ, მე ხელები დამიბანია და მოსამართლეზე შემიხოცავს. ჰო, სისასტიკეზე. ჩემი ლოგიკა ხორცის საკეპ მანქანაზეა დამყარებული, რომელიც ყველაფერს ერთნაირად ატარებს, მიუხედავად იმისა, მჭლე ხორცი შეხვდება, ქონი თუ ძვალი. ძვალი არც ისე ხშირად იჩენს ხოლმე თავს, მაგრამ ეს ყველაზე საინტერესო შემთხვევაა. ამ თვე-ნახევრის წინ იყო ასეთი, ვერაფრით რომ ვერ გავტეხეთ და მოედანზე წამებით დაასრულა სიცოცხლე. უნდა გენახათ, როგორი ნასიამოვნები იყო მმართველი, ისევ და ისევ იმით, რომ პრინციპმა გაიმარჯვა, მაგრამ მეორედ ასეთ სიამოვნებას ვერ მივანიჭებ. საქმე ის გახლავთ, რომ ახლა მეორე ძვლის ნატეხი მოხვდა ჩემს საკანში და ისიც არაფერს ამბობს. იმაზე გელაპარაკებით, მთელი საღამო ვისზეც ვსაუბრობდით. რომ გითხრათ არ დაიჯერებთ, რა წამება არ გაიარა ამ ჩემ ხელში, მაგრამ უშედეგოდ. რისთვის ან რა ძალით, რაღაც სიგიჟეა აშკარად. თქვენ როგორ ფიქრობთ, ნორმალურები არიან ასეთი ადამიანები?

– თუკი ასეა, რატომ გინდათ მმართველს წაართვათ თავისი სიამოვნება? – კითხვაზე კითხვითვე უპასუხა გაკვირვებულმა ბაზიმ.

– გეფიცებით, ახლა კი მაოცებთ, ბატონო ბაზი. განა ჩემს სიამოვნებას სძინავს, მაშინ როცა უპირველეს ამოცანას ვერ ვართმევ თავს?! აი, იმაზე რომ გითხარით, ამას წინათ რომ ეწამა მოედანზე. საფლავში ჩამყვება მასზე ფიქრი და თუ იქაც არსებობს რამე, იქ გავაგრძელებ მის წამებას. მე მყარად მწამს და პრინციპულად იმ აზრზე ვარ, რომ ყველა ადამიანს აქვს გადაულახავი სისუსტე, რომლითაც მისი მართვაა შესაძლებელი და თუ იმ ზემოხსენებულის სისუსტეს ვერ მივაგენი, ეს იმას არ ნიშნავს რასაც მმართველი ამტკი-

ცებს, გაუტეხელი იდეების თაობაზე. მხოლოდ ერთი ღამე დამიტოვა იმ ბებრუხანამ. ამაღამ რადაც უნდა დამიჯდეს, ეს მითი უნდა დავამსხვრიო და მაშინ, ბებრუხანასაც ვასწავლი, როგორ უნდა ნიშნის მოგებით ლაპარაკი. თქვენ კი, უმჯობესია ჩემს კითხვას უპასუხოთ, თუ რა თქმა უნდა, გაქვთ პასუხი. ნორმალურები არიან ისინი?

– რა თქმა უნდა, არა! ნორმები მათ მრწამსს ყოველთვის ეწინააღმდეგებიან...

– როგორ თუ მრწამსს? განა შესაძლებელია ეს სხვაგვარად? – სიტყვა შეაწყვეტინა ციხის უფროსმა.

– ჩემი ამხანაგი მოსამართლე დაგავიწყდათ. მან ხომ შეძლო მისი შეცვლა. ადამიანს ჯერ იმის რწმენა უნდა დაეკარგვინო, რისიც სწამს, მრწამსი რომ შეიცვალოს. ძალით კი ვერაფერს გახდებით!

– რა ზუსტად თქვით, მრწამსის შეცვლაზე. რადაც უნდა დამიჯდეს, გათენებამდე უნდა შევაცვლევინო თავისი მრწამსი იმ ქოფაკს. თუმცა, გამოდის, ჯერ თავს უნდა უღალატოს. ეს გენიალური აზრია, – ავადმყოფური ლტოლვით ლაპარაკობდა ციხის უფროსი ისე, რომ თვითონაც ვერ ხვდებოდა, ბაზის ელაპარაკებოდა თუ საკუთარ თავს. მერე თითქოს ყველაფერი დაალაგა თავში და თანამგზავრს გახედა, – არ გინდათ, ჩემთან ერთად წამოხვიდეთ და რწმენის შეცვლის რიტუალში მიიღოთ მონაწილეობა?

ბაზი შეცბა. თითქოს ვერ გაიგო, რა უთხრეს მას, ის-ის იყო. ასეთი რამე თავისით, უბრალო დამთხვევით ვერ მოხდებოდა და ეჭვმაც გაუელვა თავში, რამე ხომ არ იცოდნენ მისი და ჩიკოს მეგობრობის შესახებ. შეშინდა და იქვე გაბრაზდა კიდეც საკუთარ თავზე. ციხის უფროსმაც ჩათვალა, ან ვერ გაიგო, ან შეგნებულად აარიდა კითხვას თავიო და იმედგაცრუებული ხმით დაამატა:

– საქმე ის გახლავთ, რომ თუ ჩვენ მისი მრწამსის შეცვლას მოვახერხებდით დილამდე, ხვალ ის პატიებას ითხოვს მთავრის წინაშე და წამების გარეშე, სახრჩობელაზე მშვი-

დად მოუწევს სიკვდილი. ამასთან ერთად, მმართველს პრინ-ციპებით გამოწვეულ სიამოვნებასაც გავუცრუებთ. სა-მაგიეროდ, ჩვენ დავიმსახურებთ მისგან და მთავრისგან მადლობას. ხომ ხედავთ, რამდენი ხეირის მოტანა შეუძლია ამაღამდელ ღამეს, თუ თქვენ არ დამზარდებით და თქვენს ცბიერ გონებას დამითმობთ გათენებამდე. მე კი ამ სიკეთეს არასოდეს დაგივიწყებთ.

იმას, რასაც წუთის წინ ნანობდა ბაზი, ახლა ადიდებდა. რომ არა საკითხის ზოგად თემაზე გადატანა, ისინი შეი-ძლება ჯერ კიდევ სუფრაზე მსხდარიყვნენ და ასეთი ბედის საჩუქარი წარსულში დარჩებოდა. თურმე მისი ცდის მთა-ვარი ელემენტი გვერდით ჰყოლია, მან კი საერთოდაც ვერ შეამჩნია მანამდე, სანამ თვითონ არ მიიტრიალა გამადი-დებელი შუშა მისკენ. გამოუცდელობაზე გაახსენდა ისევ, ოღონდ მმართველმა რომ უთხრა, იმაზე არა. აქ მას თურმე მართლა უნდა ეთქვა სათქმელი. ამბობენ, დუმილს ოქროს ფასი აქვსო ზოგჯერ და ეს მმართველმაც კარგად გამოხატა წყლის დემონსტრირებით, მაგრამ როცა გული ძგერს, უნდა თქვა და იყვირო თურმე მთელი ხმით, ისე რომ, არ შეგეში-ნდეს და თუ ამით ვერაფერს მიაღწევ, ვერც თვითონ მოაღ-წევს შენამდე ოდესმე, სინდისის ხმაში გაცოცხლებული. ნა-თელ ფიქრებში რამდენიმე აზრმა გაურბინა გონებაში. მო-ნახაზიც შეადგინა და საუბარი დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც აუღელვებლად განაგრძო:

– სახლში შევივლი ხუთი წუთით, დრო თუ ითმენს. შვილს უნდა დავხედო. შეუძლოდ არის... წამალს ავუტანე და თქვენთან გავჩნდები, – არეულად უპასუხა ბაზიმ.

– რას ბრძანებთ. საათიც რომ იყოს, დაგელოდებით. იმდენად მჭირდება თქვენი თანადგომა, ვერც კი წარმოი-დგენთ. მრწამსის შეცვლა მინდა და არა გატეხვა, როგორც აქამდე. მინდა მმართველმა კარგად დაინახოს, რომ მისი ავადმყოფური ხედვა პრინციპებისადმი სხვა არაფერია, თუ არა ილუზია. მჯერა, არა ეს სხვა სიტყვაა. ვხედავ, რომ

თქვენ შეგიძლიათ მისი შეცვლა და ვერ წარმოიდგენთ როგორ მეჩქარება ნახვა, თუ როგორ მოახერხებთ ამას. როგორც გითხარით, დრო გათენებამდე გვაქვს და თქვენი გამჭრიახობის იმედით, აღნიშვნასაც კი მოვასწრებთ, ალბათ ჩვენი გამარჯვებისას.

– რა საინტერესოა. გამოდის, მმართველს არ უნდა მისი აღიარება.

– ასეც ნუ იტყვით, ბატონო ბაზი. იქნებ უნდოდეს კიდეც, მაგრამ ამით ისეთ სიამოვნებას ვერ მიიღებს. აი, წამებაზე კი, განცხრომაში ჩავარდება. შეუყვარდება კიდეც უცნაური გრძნობით ის ავაზაკი. შორს არის თქვენი სახლი?

* *

რამდენიმე წუთში, ბაზი და ციხის უფროსი, სანთელმომარჯვებულ დარაჯთან ერთად, ჩიკოს საკანს უახლოვდებოდნენ.

– რამდენჯერ დაასვენეს ჩემი არყოფნისას? – იკითხა ციხის უფროსმა.

– სამჯერ, ბატონო უფროსო, – სხარტად უპასუხა დარაჯმა, რომელიც ცალი ხელით რგოლზე ასხმულ გასაღებებს მონაცვლეობით არგებდა რკინის კარს.

– ბევრი მოსვლია. მეტი დასვენების დრო აღარ იქნება, ასე რომ, ვნახოთ გადამწყვეტ რაუნდს როგორ გაუძლებს, – თავისთვის თქვა ციხის უფროსმა და ბაზის მოუტრიალდა, – ხომ გაიგონეთ, სამჯერ დაუსვენია. არ გეგონოთ, ეს ჰუმანიზმით არის გამოწვეული. არამც და არამც! აქ ეს ცნება ფეხს ვერ იკიდებს, როგორც უნდა მოინდომოს ვინმემ. საქმე ის გახლავთ, რომ ასეთი განტვირთვა აუცილებელია, რათა ტკივილის ინერციამ უკონტროლო სახე არ მიიღოს. ასეთი, პატარ-პატარა მუხრუჭები საჭიროა, სიტკბოს გემოს გასახსენებლად. ხომ იცით, მწარე ყველაზე მწარე მაშინ არის, როცა ტკბილს მოჰყვება.

კარი ხრიწინით გაიღო და საკნიდან გამოვარდნილმა წყვდიადმა, სანთელი მისი დარაჯიანად და დარაჯიც, მისი მხლებლებიანად, თითქოს ერთი ამოსუნთქვით ჩაყლაპაო. გამოტყორცნილმა ჰაერის ტალღამ ყველაფერი დააბნელა და ამასთან, უსიამოვნო შეგრძნებაც მოიტანა ციხის უფროსისა და დარაჯისთვის. ერთიანად დაძაბულ ბაზის კი შვება მოჰგვარა. ასე, ყოველგვარი შესავლის გარეშე, ჩიკოს პირისპირ აღმოჩენას შეიძლებოდა ყველაფერი ჩაეშალა და თავდაყირა დაეყენებინა.

თითქოს ყველაფერი ბედის კარნახით იწერებოდაო და მასაც, სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა კითხვისა. ვერცერთი წიგნი ვერ შეედრებოდა ამ ცხოვრების კალმით ნაწერ წიგნს, რომელიც დღევანდელმა საღამომ გადაშალა მის წინ. აქა-იქ ზედმეტი ფურცლებიც ჩნდებოდნენ, მაგრამ ასეთი ფურცლები ბაზის ერთიანად უნდა ამოეგლიჯა წიგნიდან, როგორც მაშინ, როცა ციხის უფროსმა გაკიცხა გუშაგი და უბრძანა, სწრაფად აენთო სანთელი.

– სჯობს, ასე გვეცადა, – ჩუმად ჩასჩურჩულა ყურში ციხის უფროსს.

– თქვენ ნამდვილი სტრატეგი ხართ! – შესძახა მან, რომელმაც თავისი აღფრთოვანება ვერ დამალა და გუშაგს ხელიდან გამოგლიჯა სანთელი.

საკანში არაფერი ჩანდა, თუმცა თვალი, როგორც ყოველთვის, ნელ-ნელა დაუმეგობრდა სიბნელეს და ბაზიმაც ბუნდოვნად გაარჩია, წყვდიადიდან გამომძვრალი, ნახევრად შიშველი, შემზარავი სხეულის სილუეტი. ხელებით ჯაჭვზე ჩამოკიდებულს, თავი ჩამოეგდო და სტუმრების მისვლისაც არაფერი გაუგია. დიდი ფაციფუცის შემდეგ, დარაჯმა ჯაჭვი დაუშვა და სკამზე დასვა. მერე ვედრით წყალი გადაასხა თავზე, რასაც ჩიკოს თავის მძიმე გაქნევა და ციხის უფროსის განრისხება მოჰყვა.

– აი, ხომ ხედავთ. ხმა ვერ ამოვაღებინეთ ამ ქოფაკს. მხოლოდ თავს იქნევს უარის ნიშნად. შენ კიდევ რას ელო-

ლიავები. უყურე, როგორ უნდა გონზე მოყვანა, – დაიყვირა მან და ჩიკოს მთელი ძალით მოქნეული მუშტი მუცელში სთხლიშა, რაზეც ამ უკანასკნელს სუნთქვა შეეკრა, საცოდავად მოიკრუნჩხა და იქნებ სულიც კი გაეფრთხო, რომ არა ციხის უფროსისვე ჩარევა, სკამიდან რომ აიტაცა რამდენჯერმე ზევით-ქვევით, ვიდრე საბოლოოდ არ ამოასუნთქა.

– შეგაჩვენოს გამჩენმა. ასე იოლად გინდა ხელიდან დასხლტომა, ხომ? ნურას უკაცრავად. ასე უბრალოდ როგორ ეკადრება შენისთანა გმირს. საზეიმო ვითარებაში, ათასობით მაყურებლის წინაშე უნდა წარსდგე და ჯილდოც იქვე მიიღო, – ხვნეშით როხროხებდა ციხის უფროსი, რომელიც თან ამოჩეჩილ მუნდირს ისწორებდა და ძირს იფურთხებოდა, – ჯილდოც ხომ იცი, სხვადასხვანაირი არსებობს. ასეთი, ისეთი, მტკივნეული, უმტკივნეულო!.. აბა, დაფიქრდი, სიამოვნებით სიკვდილი სჯობს, თუ ტანჯვა-წამებით? დამიჯერე, თორემ ბოლოს გოდორში ამოგაყოფინებს თავს უშველებელი ნაჯახი. ვერ ხვდები ხომ, რა სიამოვნებაზე გელაპარაკები? საქანელაზე, თოკზე, რომელიც უეცარი იქნება. ჰო, ჰო, სახრჩობელაზე გეუბნები. თითქოს ლუკმა გადაგცდენიაო და რამდენს გადასცდენია ასე, სიცოცხლე რომ დაასრულებინა უკანასკნელმა ლუკმამ. ჭამა ხომ სიამოვნებაა, სიამოვნებაში სიკვდილი კი, დიდი შეღავათია. ასე რომ, შენც სიამოვნებით მოკვდები, თოკზე მოქანავე, თუ მოინდომებ. დამეთანხმები ალბათ, რომ საქანელა ერთგვარ თავდავიწყებას ჰგვრის ადამიანს. ალბათ, ფიქრობ, სად ჭამა, სად სახრჩობელაო, ხომ? ჯერ ერთი, რომ ლუკმაგადაცდენილი გვამიც და სახრჩობელაზე დაკიდებულიც სიკვდილს სულის შეკვრით აღწევენ. ისე, წელან რომ იგემე საკუთარ თავზე. მეორე საერთო, ამ ორს შორის, ძველთაძველი სიკვდილით დასჯის ხერხშია, რომელსაც კუჭის თავი ერქვა. სიკვდილმისჯილს აშიმშილებდნენ ერთი კვირა, მერე შეიყვანდნენ ოთახში, სადაც არნახული სუფრა იყო გაშლილი მაგიდაზე და მასაც სუფრის თავში მოკალათებულ

სკამზე დააბრძანებდნენ ხოლმე. კარგად აბამდნენ მასზე, ისე რომ, მხოლოდ ცალ ხელს უტოვებდნენ თავისუფალს და კისერზეც თოკს გამოაბამდნენ. მერე ორი სიტყვით წესებსაც უხსნიდნენ და ოთახში მარტოს ტოვებდნენ. თავიდან მცირე ხანს ყველა ითმენდა დიდი გაჭირვებით. მერე ნელ-ნელა ეპარებოდნენ, სანამ ჭამა მადაში მოუვიდოდათ და გამგელებულები დააცხრებოდნენ მადისაღმძვრელ კერძებს. ასე რომ, ბოლო ხვედრი ყველასი ერთნაირი იყო და ყველა მათგანის სკამს იატაკი ეცლებოდა ფეხქვეშ. თუ იცი, რატომ? იმიტომ რომ, იატაკის ქვეშ საათივით აწყობილი მექანიზმი მუშაობდა, რომელიც წონით იქოქებოდა. საკმარისი იყო, დორბლებმომდგარ დამშეულს ერთი ლუკმაც გადაეყლაპა, რომ მექანიზმიც ამუშავდებოდა და ასე, ოცდაათიოდე ლუკმის შემდეგ, სრულ მოქმედებაში მოსულიყო. აბა, როგორ მოგეწონა ეს ამბავი? ნუთუ ასეთ შვებას მოიკლებ და ტანჯვა-წამებით სიკვდილს არჩევ მაინც? შენც ხომ არაფერი გიჭამია უკვე მესამე დღეა. მართალია სამი დღეა, მაგრამ არც ეს არის ცოტა. ჭამისთვის თუ ღირს სახრჩობელა, ნუთუ წამების თავიდან აცილებისთვის არ უნდა ღირდეს? გეთანხმები, ამ ბალანდას ღორიც ვერ შეჭამს, მაგრამ, თუ მოინდომებ, ისე გამოგკვებავ დილამდე, ჩიტის რძეს არ მოგაკლებ. გაიგე, ადამიანო, შენი დახმარება მინდა. ჩემი თუ არ გჯერა, ამ ღვთისნიერ კაცს მაინც მოუსმინე, – თითქმის მუდარით დაამთავრა ციხის უფროსმა და ბაზის რამდენჯერმე ისე შემოუძახა ზურგზე ხელის მსუბუქი მირტყმით, თითქოს ეუბნებოდა, აბა, შენ იცი ახლა და შენმა მოხერხებამო.

არასოდეს გასჭირვებია ბაზის სიტყვის თქმა ისე, როგორც ახლა. ეს სულაც არ იყო გამოწვეული მხოლოდ იმის შიშით, რომ მეგობარი მასში გამყიდველს დაინახავდა და ხმამაღლა გამოხატავდა თავის საყვედურსა თუ ზიზღს, რაც მაშინვე გამოააშკარავებდა მათ ურთიერთობას და თავისი თვალთმაქცი ჩანაფიქრის გამო, თავადაც მოუწევდა პასუ-

ხისგება საკუთარი სიცოცხლის ფასად. აქ სიცოცხლეზე მთავარი მიზანი იყო, რომელიც მათთვის მხოლოდ გამარჯვებისთვის ცოცხლობდა და თუ დამარცხება გარდაუვალი იყო, ყველა გამარჯვებაზე აღმატებული უნდა ყოფილიყო ისიც. ასეთი იყო მათი ფორმულა და როგორ შეიძლებოდა აქ, ამდენი ბრძოლისა და გამართლების შემდეგ, ყველაფრის წყალში ჩაყრა. ასე ხომ გამცემად დაასრულებდა სიცოცხლეს საუკეთესო მეგობრის თვალში, რომელიც დამარცხებულად დახუჭავდა თვალებს სამუდამოდ. აი, ეს ჭირი უნდა გადაელახა მის სიტყვას, რათა თუნდაც გამარჯვებაზე აღმატებული დამარცხებისთვის გაეგრძელებინათ ბრძოლა.

– ყველაფერი ისე არ არის ხოლმე, როგორც ჩანს, – დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც მტკიცე ხმით დაიწყო ბაზიმ, რომელსაც ეს გაჭირვებაცა და სიმტკიცეც, ერთიანად გაუქრო ჩიკოს თავის მოძრაობამ, ცეცხლის ალივით რომ წამოენთო დაქროლილ ქარზე და ისევ დამცხრალმა, ტუჩებამდე ძლივს მოტანილი ნერწყვი მის ფეხებთან გადმოაფურთხა.

თურმე როგორ შემცდარა, როცა უფიქრია, ხმამაღლა მეტყვის ჩიკო ყველაფერსო. მან კი, მხოლოდ ფურთხით შეაჩვენა ის. ო, როგორ ეამა მას ეს ფურთხი, მრავლისმეტყველი, მაგრამ მდუმარე. რას არ აიტანდა ახლა, ამ მდუმარებაში გასაცვლელად, რომელიც დაწერილივით ამართლებდა მთელ დღეს, მაგრამ ამაში იმ გამართლებების წვეთიც არ იყო, აქამდე რომ მოუმართა მას ხელი. მეგობრის სიამაყე და დიდსულოვანება გახლდათ ამის მოქმედი, მტრის თანდასწრებით რომ არ იკადრა მათი მეგობრობის გაშიშვლება. ამრიგად, ქვეყნის აღსასრული თავიდან იყო აცილებული და ახლა, სასწრაფოდ უნდა გაეკეთებინა რამე ისეთი, რაც გამარჯვების მოტანას გარდაუვალს გახდიდა. აქ უკვე მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდა. არავითარი შემთხვევითობები და უცნაური დამთხვევები

აღარც კი იყო საჭირო, რადგან იმ გამარჯვებამდე ერთი ნაბიჯიღა აშორებდა მას და ბოლო ნაბიჯი, ყველას და ყველაფრის დაუხმარებლად უნდა გადაედგა, რათა არავითარი ჭოჭმანი თუ ეჭვი სათუო აღარ ყოფილიყო განგების ხელის მოჩვენებითობის შესახებ. თუმცა, პირველ სიტყვაზე ძნელი სათქმელი ახლა მას ბოლო სიტყვა გაუხდა, რადგან ის იქნებოდა პასუხისმგებელი ყველა წინამორბედი სიტყვის წინაშე, რომლებმაც ლანგარზე მოართვეს კვარცხლბეკი და მხოლოდ ბოლო საფეხურის გადალახვაღა დაუტოვეს მასზე ასასვლელად.

– მე აქ თქვენს გადასარჩენად ვარ მოსული, – თითქოს მზადყოფნის ბრძანება გასცა ბაზიმ თავისი განგაშის ხმით და მაშინვე გაიგონა ექვსი გასროლის ხმა, ექვსი სიტყვით ბოლომდე რომ დაეცალათ ბარაბანი და ტყვიებივით დაძრულიყვნენ მისკენ.

– ორი სიკვდილმისჯილი, შენ და ყველა დანარჩენი, – კბილების ღრჭიალით და დაფლეთილი ხმით წარმოთქვა ჩიკომ ეს ექვსი სიტყვა. სწორედ ის სიტყვები, ბაზის რომ ტყვიებად ეჩვენა, თუმცა მათ აცილებაზე ფიქრიც არ უცდია. ჯერ მთავარი იყო მეგობრის განიარაღება, რათა ახალი ვაზნები არ მოეძია საკუთარ თავში. ამასაც მხოლოდ მეგობარზე ზრუნვა აფიქრებინებდა ბაზის, მომავალში რომ არ შეეწუხებინა სინდისს, მისივე ნაფიქრალის გამო, რომლითაც მეგობრის ერთგულებაში შეჰქონდა ეჭვი, თორემ ფარდის ახდას რომ არ აპირებდა ჩიკო აქ, ეს ფურთხითაც გაიგო თავიდანვე.

– ვიცოდი! ვიცოდი! – ისეთი სიხარულით შეჰყვირა განცვიფრებულმა ციხის უფროსმა, თითქოს ცას ეწიაო, – გამჩენს გეფიცებით, ვიცოდი, რომ აალაპარაკებდით, – მერე ის ჩიკოს მოუტრიალდა, – ხომ შეგძლებია ლაპარაკი, შე ქოფაკო? აბა, გააგრძელე ჭიკჭიკი. ხომ გესმის, ახლა უკვე შენს დუმილს ფასი აღარ აქვს. რახან დაარღვიე მდუმარე-

ბის აღთქმა, შეგიძლია წინაც წაიწიო და უაზრობების ნაცვლად, ისა სთქვა, რაც ტანჯვის აცილებაში დაგეხმარება. როგორც ხედავ, აქ სიკვდილმისჯილი მხოლოდ შენა ხარ, ჩვენ დანარჩენები კი, მხოლოდ მოკვდავები. ძალიან დიდი განსხვავებაა, მაგრამ მაინც საინტერესოა, შენ რისი თქმა გინდა ამით. იქნებ ხუმრობის ხასიათზე მოხვედი და ჩვენც გაგვაცინო.

– ბავშვობაში მე და ჩემი მეგობარი მთაში გავიპარეთ. გვინდოდა გვენახა მის იქით რა იყო, – მძიმედ ამოილუღლუღა ჩიკომ, – იქით რა გითხრათ, მაგრამ მასში დათესილი სიტყვები კი, ცხოვრების გამოცანად იქცა ჩვენთვის, – მწარე ხველებასთან ერთად სისხლნარევი ნერწყვი სდიოდა პირიდან, რაც უკანასკნელ ძალებს ითხოვდა ყოველი სიტყვის გამოსათქმელად, წინადადება რომ დაესრულებინა ნაწყვეტ-ნაწყვეტ, – ასეთ გამოცანაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა, კაცს თუ გაგიმართლა, ერთხელ მოგეცემა მთელი ცხოვრების განმავლობაში. ორივეს კი გაგვიმართლა ცხოვრებამ, რომლის გამართლებაც, ჩვენ ჩვენებურად შევძელით. საფლავის ქვა, რომელზეც ის სიტყვებია ამოტვიფრული, არცერთს გაგვამართლებს თავისებურად.

– რატომ? რა ეწერა ასეთი იმ ქვაზე, რაც არ გაგამართლებთ? – თითქოს სულ დაავიწყდა ციხის უფროსს, რისთვის იყო მოსული, ისე ჩაერთო ჩიკოს მონათხრობში.

– არაფერი. ქვა ზუსტად იმ ადგილას იყო გატეხილი. ბევრჯერ წავსულვართ, უკვე დიდობაში მეორე ნახევრის საძებრად, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, იმ ნატეხის ძებნა საკუთარ თავებში გავაგრძელეთ. ეტყობა, ღირებული ვერაფერი გვიპოვია და თუკი აქამდე საწყისისთვის მაინც გვქონდა მიგნებული, ახლა ისიც დაიფშვნა და მტვრად იქცა.

– ცდები, ამხანაგო. შენმა მეგობარმა ოცდაათი ათასი იპოვა, რაც შენს სიცოცხლეზე მეტად ღირებული აღმოჩნდა, როგორც უნდა გაკვირვებდეს ეს ამბავი. აი, მტვერზე კი კარგად გამოგივიდა. გულიც კი ამიჩუყა ცოტათი. ნუთუ

მართლა ასე გადარდებს ის, რომ დაილაპარაკე? გაიგე, ამ ლაპარაკმა შეიძლება დიდი სამსახური გაგიწიოს ხვალ.

– მე ყველაფერი ვთქვი. აწი ისევ თქვენი ჯერია.

– მასხრად მიგდებ, ხომ! – დაიღრიალა ციხის უფროსმა, რომელმაც მაშინვე ძირს მიგდებულ ხელკეტს დაავლო ხელი და ის იყო უნდა მოექნია, რომ ბაზი გადაუდგა წინ და ჩუმად თავით ანიშნა, გამომყევითო. ისიც გაჰყვა ოთახის კუთხემდე, სადაც ბაზიმ რამდენიმე სიტყვა გადაუჩურჩულა, რასაც ამ უკანასკნელის სრული განიარაღება მოჰყვა.

– გენიალურია! – ჩურჩულით შესძახა ციხის უფროსმა, რომელსაც აღფრთოვანებისგან ხმაც კი უთრთოდა და მაშინვე გუშაგი გაგზავნა სადღაც. რამდენიმე წამში ის უკან დაბრუნდა და კიდევ რამდენიმე წამის შემდეგ მას მეორე გუშაგიც მოჰყვა აქოშინებული, რომელმაც ციხის უფროსს მოახსენა, რომ მმართველი მოსულიყო და მას კითხულობდა სასწრაფოდ.

– მმართველი ამ დროს? – გაკვირვებული ხმით წამოიძახა ციხის უფროსმა და უკან მოუხედავად დატოვა საკანი.

– წყალი მომიტანეთ, – დამაჯერებელად მიმართა ბაზიმ გუშაგს, რომელსაც მისი ვარაუდით, ის დიდი თანამდებობის პირი უნდა ჰგონებოდა, რადგან აქ ყოფნა შეეძლო და კიდევ მეტი დამაჯერებლობისთვის მიაყოლა, ეცადე, ცივი იყოსო.

დარაჯიც უსიტყვოდ დაემორჩილა ბაზის და საკნიდან გავიდა.

უსიამოვნო სიჩუმე ჩამოვარდა. ჩიკო და ბაზი ერთმანეთს უყურებდნენ, ბრმად და ხმისამოუღებლად. ერთი იწვოდა, მეორე იყინებოდა და ორივე ერთად მათივე ხელშემწყობ ქარს წარმოშობდნენ გონებაში, რომლითაც თუ ერთს იმედგაცრუებისკენ მიაქროლებდნენ, მეორეს იმედით ავსებდნენ.

– ნურაფერს მკითხავ. მხოლოდ ის ვიცი, რომ აქ შენი მეგობრისგან ხარ მოხვედრილი და, რომ ის, მე არ ვარ, – ჩქარა

დაიწყო ბაზიმ, როგორც კი დარაჯის ფეხის ხმა შეწყდა, – თვითონაც ვერ ვხსნი, აქ როგორ აღმოვჩნდი, მაგრამ ახლა ამისი დრო არ არის, – უცებ ქამრიდან რაღაცის ამოღება დაიწყო ისე, რომ კარისთვის არ მოუშორებია თვალი, – მითხარი, სად დავმალო იარაღი. დანარჩენზე აქაურობას თავს რომ დააღწევ, მერე მოგიყვები.

– არაფერი მესმის, – თითქოს ღრმა ძილიდან გააღვიძესო ჩიკო.

– არ არის საჭირო ყველაფრის ახლა გაგება. აქ მხოლოდ იმიტომ ვარ, რომ ხვალ არ მოგკლან. ციხის უფროსს მე ვუთხარი ჩუმად, აქედან გასულიყო და ახალი ამბით მოსულიყო. ხომ ხედავ, დამიჯერა და რომ მობრუნდება, მის შემოთავაზებულ წინადადებას უნდა დათანხმდე. ეს დილამდე დროის მოსაგებადაა საჭირო, ხომ ხვდები და მერე შენ იცი. მთელი ღამეც და იარაღიც შენს ხელში იქნება.

– ბელა? – ოხვრით იკითხა ჩიკომ და მძიმედ დაამატა, – მე მისი ვალი მაქვს.

– ის გელოდება, – წაიბორძიკა ბაზიმ, – ყველაფერს ვერ აგიხსნი, მაგრამ გეტყვი, რომ უყვარხარ და შენ მიზეზი გაქვს, ცხოვრება გააგრძელო, – ფეხის ხმა მოისმა, – მითხარი მალე. სად დავმალო ან მე თვითონ...

– კუთხეში ჯამი გდია.

– ჩიკო, რევოლვერს იმიტომ გიტოვებ, რომ ვიცი, თავის გართმევა არ გაგიჭირდება. ისე ახლა, ჩემი მონაწილეობითაც შეიძლებოდა აქედან გაქცევა, მაგრამ ერთია, რომ მის ხმარებას არ ვარ შენსავით შეჩვეული და მეშინია დახმარების მაგივრად უარესი არ გამომივიდეს. ისე ხომ იცი...

– მე ეს მეკუთვნის, – სიტყვა შეაწყვეტინა ჩიკომ.

– მოდიან, – თქვა ბაზიმ, ჯამისკენ დაიხარა, რომლის ქვეშაც იარაღი შეაგდო და კარისკენ მიიწია. მაშინვე ფეხის ხმა ყვირილმა შეცვალა. ეს ციხის უფროსი იყო, წყალზე წასულ დარაჯს რომ უყვიროდა გაცოფებული. ბაზიმ ჯამს გახედა და ისევ მისკენ მიიწია. აშკარად უსიამოვნება მოიტანა

ამ ხმაურმა. მალევე ყვირილი შეწყდა და ისევ ნაბიჯები გაგრძელდა, ოღონდ წელანდელზე უფრო ჩქარი. საკანში პირველი ციხის უფროსი შევიდა და მაშინვე შვებით ამოისუნთქა.

– ფრთხილად იყავით, მეგობარო. თქვენ მას კარგად არ იცნობთ. ან დარაჯმა როგორ დაგტოვათ მასთან მარტო. მომიტევეთ ხმამაღალი ტონისთვის, მაგრამ თქვენივე უსაფრთხოებამ ამაღელვა ასე. თქვენც რომ არ იყოთ, მისი გაქცევა სახელმწიფო დონის სკანდალს გამოიწვევს. ჩემი ბრალია. არ უნდა დამეტოვებინა გამოუცდელი დარაჯი თქვენთან. სულ ახალი მოსულია და ვერ გაუგია, სად მოხვდა. შეხედეთ, ახლაც როგორ დგას. გგონიათ იცის, რა უნდა ქნას? წყალი მიაწოდე ბატონს! – დაუყვირა დარაჯს კარში რომ იყო უხერხულად გაჩხერილი.

– მომიტევეთ. ეს ჩემი ბრალია. მე დავაბარე...

– თქვენ არაფერ შუაში ხართ. აბა, რა იცის თქვენნაირმა წესიერმა კაცმა ამ კედლების. ჩურჩულით დაგელაპარაკებიან, თითქოს მეტის ძალა არა აქვთო. მიუახლოვდებით სიბრალულით, გავიგო რა აწუხებთო და ყელს გამოგჭამენ. აი, რა ხდება ამ კედლებში. არ გამიკვირდება, ხელები შეხსნილი რომ ჰქონდეს. მიდი, გასინჯე! – დაუძახა დარაჯს, რომელიც მაშინვე ჩიკოსთან აღმოჩნდა და თავით ანიშნა, რომ ხელები საიმედოდ ჰქონდა შებოჭილი, – ყველაფერი მმართველის მოულოდნელი სტუმრობის ბრალია. არ გაინტერესებთ რისთვის შეწუხდა ამ შუაღამეს? – უცებ ჩიკოსკენ მოტრიალდა და ახლოს მიუტანა თავი. წუთის წინ ასეთ აღშფოთებულს, უეცრად სიხარულით გაუნათდა თვალები, რამაც ჩიკოც კი გააკვირვა, – შენ უფრო უნდა გაინტერესებდეს ეს ამბავი, – ერთგვარი ნიშნის მოგებით უთხრა მას და ბაზისკენ იბრუნა პირი, – ხვალ თვით მთავარი ჩამოდის მისი განაჩენის სისრულეში მოყვანის დასასწრებად, იმ მიზნით, რომ, თუ ის პატიებას ითხოვს, შეიწყალოს და სიკვდილი სამუდამო პატიმრობით შეუცვალოს. ახლა ხომ

ხვდები, რატომ არის ეს შენთვის უფრო მნიშვნელოვანი? – ისევ ჩიკოს გახედა დარწმუნებულმა, რომ მის კმაყოფილ სახეს დაინახავდა, მაგრამ მის თვალებში ზიზღის მეტი არაფერი დახვდა, – არ ელოდი, ხომ? ძნელი მისახვედრი არ არის, რატომ იყურები ასე გაოგნებული, – გველივით სისინებდა ციხის უფროსი, – შენ შეგიძლია სახრჩობელაზე თქვა უარი, მაგრამ სიცოცხლეზე ვერ იტყვი, ხომ ასეა, არა? ხომ ამან გაგახარა და იმავდროულად გულიც დაგწყვიტა ოდნავ, პატიება რომ უნდა ითხოვო მაინც? სიცოცხლემ კარზე მოგიკაკუნა მოწყალე ხელმწიფის ხელით. დროა კარი გაუღო, საბრალო!

– მერე ვინ გითხრა, რომ სიცოცხლე მინდა. სიცოცხლის ღირსი ერთხელ გამხადა ღმერთმა და თუ ვინმესგან მივიღებ მეორე სიცოცხლეს, ისევ მისგან იქნება ეს. ხელმწიფის სიცოცხლე შენთვის დაიტოვე. ვინ იცის, დაგჭირდეს და მაშინ ნახე, როგორი შუამავალი იქნება შენსა და ღმერთს შორის.

ციხის უფროსი გაშეშებული იდგა. თითქოს ცივი წყალი გადაასხესო მასაც და მისი ხელმწიფის ხელებსაც. თვალს არ აშორებდა ჩიკოს. გეგონებოდათ, სულის ადგილს ეძებდა მის სხეულში, რომ ამოეგლიჯა, ძირს მოესროლა და ფეხებით გაეთელა. ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. მხოლოდ ახლა მოჰკრა თვალი ბაზიმ მეგობრის ნაწამებ სხეულზე იარებს. წამის შემდეგ კი, ბნელ კვამლში გახვეული, ბოროტი სახე განათდა წითლად და ისიც მაშინვე ჩაქრა, – მომიტევეთ, – ნაძალადევი ღიმილით დაიწყო მან, როგორც დასკვნითი სიტყვა და ბაზის შემოუტრიალდა, – სამწუხაროდ, ვერც თქვენმა დიდსულოვნებამ, ვერც ჩემმა ენთუზიაზმმა და ვერც ხელმწიფის მოწყალებამ, ვერ მოიტანა შედეგი და ვერ მოხიბლა ჩვენი მასპინძელი. მისი სიცოცხლის გადასარჩენად სხვა არაფერი დამრჩენია, გარდა საკუთარი მეთოდისა, რომელიც მერწმუნეთ, ძალზე ეფექტურია. წარმოდგენა ჯერ მხოლოდ იწყება! – თითქმის გიჟივით წამოი-

ყვირა უკანასკნელი სიტყვები, რასაც წითლად განათებული სახე მოჰყვა ისევ და დარაჯს თავით ანიშნა რაღაც, რომელიც მაშინვე გავიდა საკნიდან და სულ მალე, ანთებული სანთლით და ჩაქუჩით ხელში მობრუნდა. ციხის უფროსმა ჩიკოს მარჯვენა ხელი გაუნთავისუფლა, გაშლილი ხელის გული დარაჯის დახმარებით კედელთან მიატანინა და მოქნეული ჩაქუჩი შიგ საჩვენებელ თითში ჩასთხლიშა, რასაც ჩიკოს ამაზრზენი ღრიალი მოჰყვა. ღრიალს ისევ ჩაქუჩის მოქნევა და ისევ ამაზრზენი ხმა მანამდე, სანამ ერთიმეორის მიყოლებით ხუთივე თითი არ დაიჩეჩქვა. სისხლიანი ჩაქუჩი ძირს დაეცა. ციხის უფროსი შემობრუნდა. ავადმყოფური იმედი ენთო თვალებში. ისეთი, მოთამაშეებს რომ აქვთ უკანასკნელი ფსონის გაკეთებამდე. მთელი ამ ჯოჯოხეთური წუთების განმავლობაში ბაზის არ შეუხედავს ჩიკოსთვის. ხმაც საკმარისი იყო იმის გადმოსაცემად, რაც მის თავს ხდებოდა. როცა სიჩუმე ჩამოვარდა, შეხედა და იმხელა სიძლიერე იგრძნო მეგობრისგან, რამხელაც არასოდეს უგრძნია. უცნაურად ეჩვენა თავიდან ძალაზე ფიქრი, როცა სრულიად უძლურსა და გასაცოდავებულს ხედავდა მეგობარს, მაგრამ მალევე მიხვდა ყველაფერს. სიტყვებში იყო მთელი ძალა, სიტყვებით აწყობილ აზრებში და ბოლოს მათ პრინციპებად გარდაქმნაში. ახლა, როცა ხსნა ასე ახლოს იყო და ჩიკო, არა თუ ხვალ, ხალხის წინ, არამედ დღესაც, მხოლოდ ციხის უფროსის, როგორც პრინციპების საქვეყნო მტრის წინაშე არ ღალატობდა ზემოხსენებულ სამებას, ბაზის გონებაში, მისი აქამდე ნათქვამი ყველა სიტყვა, აგურ-აგურ ნაშენებ ვირტუალურ ციხესიმაგრედ აღიმართა თვალის დახამხამებაში, პრინციპი რომ ჰქონდა საძირკვლად და აზრი გალავნად. ეს სწორედ ის შემთხვევა იყო, როცა ჩიკოს გალავანი დანგრეულიყო, მაგრამ საძირკველი მტკიცედ იდგა. ისიც გაახსენდა, რამდენიმე წლის წინ ჩიკომ რომ უთხრა, არსებობს ერთი სიცოცხლე და ორი სიკვდილი, რომელიც გსტუმრობს და რომელსაც ესტუმრებიო. მას შე-

მდეგ ეს სიტყვები პირველად რატომღაც ამ საკანში გაახსენდა.

– ალბათ იცოდით, ბატონო ბაზი, რომ თითების დაბოლოებებში ტკივილი ყველაზე მწარედ აღიქმება, ნერვული დაბოლოებების გამო. აი, ჩვენმა უტიფარმა მეგობარმა კი, ეტყობა არ იცოდა და ეგონა, ეს ისეთივე ტკივილი იქნებოდა, როგორიც გუშინ, ნეკნების ჩამტვრევის დროს განიცადა. ვფიქრობ, ახლა ხვდება, რომ შეცდა. ამაზე მისი დასისხლიანებული ქვედა ტუჩი მიანიშნებს. ჩვენ ხომ არ შევხებივართ მის სახეს? აშკარად თვითონ დაიზიანა. სავარაუდოდ, კბილებით, რაც გუშინ და არც მანამდე არ გაუკეთებია. ხომ არ ვცდები, ბატონო ბაზი? ხომ უვნებელი ჰქონდა მას სახე? უფრო სწორად, ქვედა ტუჩი? მეორე ხელზე ხომ შეიძლება სულ მოიჭამოს ტუჩები? ამიტომ დარაჯს ვთხოვ, ხის ნაჭერი ჩაუდოს პირში და მთელი ტკივილი მას გადააყოლოს. ხედავთ თქვენ რამე უკეთეს გამოსავალს, კეთილშობილო ადამიანო? – ამ კითხვით დაასრულა ჩიკოს მისამართით აგებული აზრი და ჩაქუჩს დასწვდა.

ბაზი სრულად გამოერკვა ფიქრებიდან. თვალში ჩიკოს ნატანჯი სახე მოხვდა. დარაჯს უკვე მოესწრო და მისი მარცხენა ხელიც აეკრა კედელზე. შეატყო, ჩიკოს გაძალიანების არც ძალა და არც სურვილი არ ჰქონდა. თავი შეეზიზღა, აქამდე რომ მიიყვანა მეგობარი. თითქოს გაურბოდა რაღაცას; თითქოს ეშინოდა რაღაცის; თითქოს მეგობარს უფრთხილდებოდა და თითქოს ეს გაფრთხილება მიზეზი იყო თავის არიდების. აუტანელი გახდა ამდენი „თითქოს“ მის თავში. ხვდებოდა, კიდევ ბევრი ურთიერთსაპირისპირო აზრი გაუჩნდებოდა გონებაში და ისევ იქ დაბრუნება გადაწყვიტა საიდანაც დაიწყო, – გაქცევა! – ხმამაღლა თქვა გულში და მაშინვე ირონიული სახე მიიღო. ვითომ აქ ჩიკოს გაქცევის მოსაწყობად მოსულა და აღმოჩნდა საკუთარ თავს მოუწყო გაქცევა საკუთარი თავისგანვე. გაიფიქრა თუ არა ეს ბაზიმ, მიხვდა, რომ კარგა ხანი მოსვლოდა ფიქრი,

რადგან ციხის უფროსი უკვე ჩაქუჩის მოქნევას აპირებდა და მაშინვე შეჰყვირა:

– მაქვს!

ციხის უფროსიც და ორივე დარაჯიც მისკენ მოტრიალდნენ გაუგებარი სახეებით. ვერცერთი ვერ ხვდებოდა, რას ნიშნავდა მისი ეს სიტყვა, ამდენი ხნის დუმილის შემდეგ.

– მაქვს გამოსავალი! – შედარებით დალაგებულად გააგრძელა ლაპარაკი, მაგრამ რაღაც უცნაური იყო ისევ მის გამომეტყველებაში.

– ოო, ღმერთო ჩემო. ასეც ვიცოდი. გული შეგიღონდათ, სახეზე ფერი არ გადევთ. წყალი დალიეთ და საწოლზე ჩამოჯექით. ხომ გეუბნებოდით, აქ თქვენი ადგილი არ არის. ბოდიშს გიხდით ამ ყველაფრისთვის, მაგრამ ღმერთია მოწამე, მე მხოლოდ ამ ყოველივეს თავიდან ასარიდებლად მოგიყვანეთ, – დაღონებული ხმით უბოდიშებდა ციხის უფროსი კუთხეში ზურგით ჩამჯდარ ბაზის, რომელსაც ხელები უკან წაეღო.

– საკმარისია! – ამჯერად ეს ჩიკო იყო, – დაამთავრეთ. მე თანახმა ვარ!

– რაო? – ციხის უფროსს თითქოს მოესმაო ჩიკოს სიტყვები, რომელშიც ვერანაირი მუდარა ვერ დაინახა და გაფართოებული თვალებით მიაშტერდა მას. ბოლოს ნელა და ფრთხილი, ათრთოლებული ხმით ჰკითხა.

– პატიებას ითხოვ?

ჩიკომ მხოლოდ თავი დააქნია.

– გაიგონეთ?! თქვენ მართლა გენიოსი ხართ და ეს ჯერ არ იცით! – აღფრთოვანებული სახით წამოიძახა ციხის უფროსმა და ბაზის მიაშტერდა, რომელიც ჯერ ისევ ჯამს ეფათურებოდა ხელებით, – ისეთი ხმით თქვით, მე მაქვს უკეთესი გამოსავალიო, მეც დამსუსხა, არა თუ ჩვენი ძვირფასი მეგობარი. თქვენ კი უბრალოდ გული გერევათ, როგორც ვხედავ, მაგრამ ამას რა აზრი აქვს. ახლა ხომ ვერ შეცვლის გადაწყვეტილებას. უკვე თქვა ის, რასაც ასე უფრთხილ-

დებოდა და თუ აქამდე მისი ფასი სიცოცხლეს იწონიდა, ახლა ერთი ჩაქუჩის მოქნევასაც ვეღარ აიწონის. ალბათ ფიქრობთ, რატომ ვარ ასეთი დარწმუნებული, რომ ხვალ, იქ მოედანზე ისევ არ გაკერპდება. იმიტომ, რომ იქაურ ჯალათს ბევრად საშინელი ინსტრუმენტები ექნება, ვიდრე მე მაქვს. ისინი მხოლოდ წამებისთვის გამოიყენება. ჩაქუჩი კი, ბევრი კეთილშობილური საქმისთვისაც შეიძლება იხმარო. სწორედ ეს ჩაქუჩი მოენატრება იქ მათ დანახვაზე და, თუ ამან ვერ უშველა, თქვენი სიტყვები გაახსენდება, გენიოსი რომ გიწოდეთ წეღან, ის სიტყვები და გამოსავალზე დაიწყებს ფიქრს. ყველაფერი დამთავრებულია, კეთილო მეგობარო, შეგიძლიათ ამაში თავად დარწმუნდეთ და ჰკითხოთ, მართალს ვამბობ თუ არა.

ბაზი უკვე ფეხზე იდგა და ჩიკოს უყურებდა. კითხვები მართლაც ჰქონდა, მაგრამ არა ჩიკოსთან. უფრო საკუთარ თავთან, რომლებიც მეგობრის მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ გაუჩინა. გაუხარდა თუ ეწყინა? ეს იყო პასუხგაუცემელი კითხვა.

– ხვალ მოედანზე, მე თქვენგან ძალიან ახლოს ვიქნები. თქვენს გადასარჩენად ვიქნები. ვერ გეტყვით, ამაშია გამოსავალი თუ არა, როგორც ციხის უფროსი ამბობს, მაგრამ დაწყებულ საქმეს ბოლომდე მივიყვან, – მშვიდი ხმით უთხრა მეგობარს და თავი ჩაღუნა.

– გარწმუნებთ ბოლომდეა მიყვანილი. მე ვიცნობ ასეთებს. ისინი ან საბოლოოდ ტყდებიან, ან არასოდეს. როგორ გგონიათ, რაზე ფიქრობს ახლა ჩვენი მეგობარი? თქვენზე და თქვენს ჯადოსნურ მაცდუნებელ სიტყვაზე, გა-მო-სა-ვა-ლი! – გარკვევით დამარცვლა ციხის უფროსმა, – თქვენ შეიძლება სძულხართ კიდეც ახლა, მე კი, ვუყვარვარ, როგორც მისი ფარული ძალის გამღვივებელი. იქნება უნდა კიდეც წამება გავაგრძელო, მაგრამ ნურას უკაცრავად. რომც შემევედროს, თითსაც აღარ დავაკარებ. ორთაბრძოლაში მე გავიმარჯვე, ასე რომ, თავიც რომ გაიგიჟოს ხვალ, ეს სხვა

რამე იქნება და თვითონაც ეცოდინება. ხომ მეთანხმები, ჩემო მეგობარო? – ჩიკოს მიუტრიალდა ციხის უფროსი.

ჩიკო მხრებში გაიშალა და სისხლიანი თითით კედელზე სამი წერტილი დასვა.

* *

ციხიდან გამოსული ბაზი ჩქარი ნაბიჯით მიუყვებოდა ვიწრო ქუჩებს და მიუხედავად კუდებისა, თავში რომ უტრიალებდნენ, დღევანდელ მთავარ მისიას შესრულებულად თვლიდა. რაც შეეხებოდა ხვალინდელს, თუ კუდები ისევ წამოიზრდებოდნენ, იქვე გაუსწორდებოდა მათ, რაშიც აბსოლუტურად დარწმუნებული იყო. მეორე მისია ახლა ბელას ნახვა და მისი განცდების გაგება იყო, სანამ ხვალინდელი დღე დადგებოდა, იმიტომ რომ, ახლა ის გულწრფელი იქნებოდა, ხვალ კი, ვინ იცის, რას დატოვებდა გადავლილი ქარტეხილი. ცოტა ხნის წინ ხომ უთხრა მეგობარს, გელისო და აბა, როდის გაიგებდა ამას უკეთესად, თუ არა დღეს. ისიც აწუხებდა, მეგობარი რომ მოატყუა, მაგრამ ის გარემოება, რომ ბელა შეხვედრაზე დათანხმდა, აძლევდა საბაბს, ასე ეფიქრა, მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრაზე არ მოსულა. ასე რომ არ ყოფილიყო, რატომ დათანხმდებოდა შეხვედრაზე? მარტო იმიტომ, რომ აურზაური მოეწყო და ბოღმა ამოენთხია? არა, ამას მის ხასიათთან ვერ ათავსებდა ბაზი. ყველაფერი ისე უნდა ყოფილიყო, როგორც ის ფიქრობდა, რომ არა უცნაური აზრი, მეხივით რომ გაიარა მის გონებაში – დადგმული ხომ არ იყო ყველაფერი, რაც სუფრასთან მოხდა? ბელამ ხომ არ გამთქვა და ხაფანგი დაგვიგეს? მაგრამ ამდენი ხალხის თავშეყრა, თანაც, ასეთი რანგისა, როგორ შეიძლება დადგმული ყოფილიყო? მეორე მხრივ, თუ დადგმაზეა, თვითონაც ხომ არ დავდგი ნაკლები, იმავე ხალხთან და იმავე საკითხზე. ამხანაგი საიდანღა გაჩნდა იქ?

სასწავლებლის მერე თვალით რომ არსად მინახავს? ნუთუ ამხელა სპექტაკლი შეიძლება გათამაშებულიყო იმისთვის, რომ... რომ დაუმორჩილებელი სული საბოლოოდ გაენადგურებინათ?! შეიძლებოდა და ყველაზე მეტადაც შეიძლებოდა! – დაასკვნა ბოლოს ბაზიმ და ნაბიჯს აუჩქარა, რაც შეიძლება, მალე რომ გაეგო ყველაფერი. სიფრთხილეს ახლა აზრი აღარ ჰქონდა. თუ უკვე გააბეს მახეში, გაქცევა გვიანი იქნებოდა და ისევ დაწყებული გზით უნდა ეხელმძღვანელა.

ჩქარი სვლით გაიარა ბნელი ბულვარი, აქა-იქ განათებული ლამპიონებით, საიდანაც ვიწრო ქუჩაზე გადაუხვია, ბელას სახლისკენ, თუმცა ის იქ არ დახვდა. გზა მარცხნივ განაგრძო, მერე რამდენჯერმე შეიცვალა მიმართულება, იმ იმედით, რომ სწორედ ახლა გადაეყრებოდა მწვანე ფანჯარას, მაგრამ ამაოდ. ყოველი ქუჩა და სახლი თითქოს ერთნაირი გამხდარიყო. თითქოს ყველა ქუჩა ეცნობოდა, როცა ყოველი სახლი ეუცხოებოდა. აბა, როგორ იქნებოდა, როცა ბაზი მხოლოდ იმ ერთ ფანჯარას დაეძებდა მთელი არსებით. ფანჯრები კი, მართლაც ყველა ერთმანეთს ჰგავდა, ჭრელ-ჭრელ კოპლებად რომ აციმციმებდნენ ქალაქს და ისიც ჯინაზე, მწვანე ფერის გამოკლებით.

ხომ არ სძინავსო, უსიამოვნო შიშმა გაურბინა თავში, როცა ერთ-ერთი სახლის კუთხეში შეუხვია და ბელას შეეჩეხა. ბელა მის დანახვაზე ადგილზე გაშეშდა. არეული სახე ჰქონდა. ბნედა დაეცაო, გეგონებოდათ მის შემხედვარეს, რომელსაც ზუსტად ანალოგიური გამომეტყველებით მიშტერებოდა ბაზიც, სანამ ორი ნაბიჯი არ გადადგა უკან და თავაწყვეტილი არ გაიქცა უმისამართოდ. ბაზი ადგილიდან არ განძრეულა რამდენიმე წამს, ვიდრე გონზე მოვიდოდა და მხოლოდ მაშინ აედევნა, როცა ის-ის იყო, მომდევნო ქუჩამ მხედველობის არედან დააკარგვინა.

ზღვის ჯებირზე დაყრდნობილ ბელას ტუჩები უცახცახებდა. თვალზეც სუსხიანი ცრემლი მოსდგომოდა მრა-

ვლისმთქმელად, თუმცა ბაზის მაინც სიტყვები სჭირდებოდა, თუნდაც ერთი სიტყვა, რომელიც მთავარს ეტყოდა. თვითონაც ჯეპირს დაეყრდნო, სიგარეტს მოუკიდა და მთვარის შუქზე მოლივლივე ზღვას გახედა. კარგა ხანს ელოდა, იქნება ბელას ეთქვა რამე პირველს, მაგრამ არც ის აპირებდა რამის თქმას და მასავით ზღვაში იკარგებოდა.

– დღეს აუცილებლად უნდა მენახე, – ბაზიმ როგორც იქნა, დაძლია უხერხულობა და დამნაშავე ხმით დაიწყო.

– ფიქრობ, ამის უფლება მაქვს? – თითქოს ვედრებით იკითხა ბელამ, რამაც ბაზი ცოტათი დააბნია.

– უფლება... რისი?

– მამის მკვლელთან ყოფნის, – კიდევ უფრო მეტი მუდარა იგრძნობოდა მის ხმაში.

ბაზის უცნაურად ესიამოვნა ის, რომ მხოლოდ მორალური უფლება იყო დაბრკოლება და არა ზიზღი. გამოდიოდა, ისევ უყვარდა და მაშასადამე, მთავარი სიტყვაც მოპოვებული იყო, თუმცა ბელას სატკივარი პასუხს ითხოვდა, რომელიც ბაზის, მისდა გასაკვირად, უბრალოდ არ ჰქონდა. ჰქონდა მხოლოდ რეალობა, რომელსაც შეეძლო დაეჩქარებინა ესა თუ ის გადაწყვეტილება, უფლებას შეხიზნული ქალის გონებაში.

– სალაპარაკო მქონდა, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ არ მოხვედი...

– იქ მაინც ვერ მოვიდოდი. პოლიციელები იყვნენ მოსული და ხვალინდელი როლები დაგვირიგეს, – არეულად გააწყვეტინა ბელამ.

– რა როლები? – თავი გააქნია ბაზიმ.

– ხვალ მოედანზე, ჩვენ და ჩვენნაირები, ვინც ჩიკომ და მისმა ხალხმა გააუბედურა, ცალკე, გამოსაჩენ ადგილზე უნდა ვისხდეთ და მოვთქვამდეთ. შიგადაშიგ წყევლა-კრულვით ვიკლებდეთ იმას, ვინც ამ დღეში ჩაგვყარა. გვითხრეს, ეს აუცილებელიაო, თვითონ ჩიკოს დასჯაზე მნიშვნელოვანიც კი შეიძლება იყოსო.

– ამას ხომ ისედაც არავინ დაიზარებს, მათი თქმის გარეშეც, – შეიცხადა ბაზიმ.

– რაც უნდა გასაკვირი იყოს, შენ ცდები, – თითქმის ჩურჩულით ჩაილაპარაკა ბელამ.

– რას გულისხმობ?

– ჩემს თავს ვგულისხმობ. მიუხედავად იმისა, რომ მეც ვიტირებ და წყევლასაც არ დავაკლებ, ეს ის არ იქნება, რაც ყველას ეგონება. მამა გამოტირებული მყავს და ხვალ არ ვაპირებ, მათი დავალებით გამოვიტირო კიდევ ერთხელ. თუ ვიტირებ, ეს ჩიკოსთვის იქნება, წყევლა კი ჩემთვის, ჩემი ბედისთვის, ასე უკუღმართად რომ დატრიალდა, – ისევ ჩუმად თქვა ბელამ, მაგრამ ამჯერად მის ხმაში თითქოს ყველა სიტყვა ძახილის ნიშნით მთავრდებოდა.

ანგელოზთა ბუკის ხმასავით ჩაესმა ბაზის ეს ჩუმი სიტყვები, განკითხვის დღესავით რომ ჩასძახოდა: „ნუ განიკითხავთ და არ განიკითხებით; მსჯავრს ნუ დასდებთ და არ დაგედებათ; მიუტევეთ და მოგეტევებათ“ (ლუკა. 6:37). იქვე ყველა ეჭვმა დატოვა ბაზი და ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ ენუგეშებინა ბელა და როგორ ეთქვა, რომ ჩიკოზე ტირილი ჯერ ადრე იყო. აქ ისევ შეყოვნდა, ისევ ეჭვის მატლები დაეკლაკნენ თავში. იქნებ მაინც თამაში იყო. პოლიციელებიც ჩვეულებრივზე მეტნი დადიოდნენ აქეთ-იქით ჯებირის გაყოლებაზე. რომ უთხრას, როგორ შემოტრიალდა ყველაფერი ბოლო წუთებში და ბელამ გათქვას ისინი? ყველაფერი ხომ მასთან არშემდგარი შეხვედრით დაიწყო? მერე ყველა სუფრის წევრის თვალშისაცემი ინტერესი მის მიმართ, სხვადასხვა კითხვებით გამოხატული? ციხის უფროსიც შემთხვევით ხომ არ უნდა დამგზავრებოდა და ასეც რომ ყოფილიყო, ჩიკოს საკანში რატომღა წაიყვანდა? მეტისმეტად ბევრი დამთხვევა ეჩვენებოდა ამ ერთ დღეში, მაგრამ ყველაფერი რომ მის საწინააღმდეგოდ ყოფილიყო, ბელას გამოცანისთვის ტოლობის ნიშანი მაინც უნდა დაესვა. ასე აჯობებდა ორივე შემთხვევაში. თუ ხვა-

ლინდელ მზის ჩასვლას ნახავდნენ თვითონ და ჩიკო, იმაზე კარგს რას ეტყოდა მეგობარს, რომ ბელამ იცოდა მისი გაქცევის ამბავი. მეორე მხრივ, თუ ეს ასე არ მოხდებოდა, ყველაფერი ისე დამთავრდებოდა, როგორც ჩიკოს უნდოდა.

– ჩიკო ხვალ არ მოკვდება! – ჩქარა თქვა ბაზიმ და მორიგ სიგარეტს მოუკიდა. მაშინვე ბელას შეხედა და თვალები დაუწვრილდა, ისე, მხატვრებს რომ უწვრილდებათ ხოლმე ნახატში, ნახატისვე დანახვას რომ ცდილობენ თითქოს.

ბელამ უბრალოდ თავი გააქნია. უნდოდა ეთქვა, არაფერი მესმისო.

– გაიქცევა... – ნერწყვი გადაყლაპა ბაზიმ და თვალები კიდე უფრო დაუვიწროვდა.

– როგორ?! რანაირად?! – სახე წამოენთო ბელას.

– რატომ მაინცდამაინც, როგორ? რანაირად? და არა, ღმერთო ჩემო! წარმოუდგენელია! რატომ პირველად ცნობისმოყვარეობა და არა სიხარული ან გაოცება?! – გაიფიქრა ბაზიმ და იგრძნო, როგორ დაასხა ტანზე ცივმა ოფლმა, რა დროსაც შორიდან გემის საყვირმა დაიკივლა, რომელიც საერთოდ არ ჩანდა. მხოლოდ ვარსკვლავივით მოციმციმე შუქი აღწევდა ნაპირამდე. იმედი და იმედგაცრუება ერთად აგრძნობინა შუქმა და საყვირმა, რაც ისევ დღევანდელ უცნაურობებს მიაწერა, – ამაღამ გაიქცევა. ყოველ შემთხვევაში, ასე შემპირდა და სხვანაირად არ უნდა მოიქცეს. ერთადერთი მიზეზი, რატომაც შეიძლება ასე არ მოხდეს, შენ ხარ. ვალი უნდა დაგიბრუნოს თავისი სიკვდილით.

– მე? ვალი?! – გაოგნებული უყურებდა ბაზის, თითქოს უნდოდა ტუჩების მოძრაობით დარწმუნებულიყო იმ ყველაფერში, რასაც ყურით ისმენდაო.

– ჰო, ვალი, მამაშენის გამო!..

– მაშინ დამიბრუნებს კიდეც, – ქვითინით თქვა ბელამ და ხელები თავზე წაივლო, – როგორ შეიძლება ვუთხრა, რომ ვალი არ მჭირდება და ის, რაც წამართვა, თვითონვე უნდა შემივსოს, როგორც დამპირდა!..

ბაზის გული თანაგრძნობითა და სინანულით ერთად ევსებოდა. საშინლად ნანობდა, რომ ასეთ საოცარ არსებაში ბინძური ეჭვი შეჰქონდა სულ ცოტა ხნის წინ.

– მითხარი, საიდან იცი, რომ გაიქცევა?! – ემუდარებოდა იგი.

– ბელა, დღეს შენი ნახვა სულ სხვა მიზეზით დავაპირე. მინდოდა მეთხოვა, ხვალ მოედანზე მოსულიყავი და ჩიკოსთვის ის გეჩვენებინა, რასაც იგრძნობდი მის მიმართ. ეს მისთვის საკმარისი იქნებოდა. შენ რომ არ მოხვედი, მოხდა ისე, რომ მე მის საკანში აღმოვჩნდი, სრულიად მოულოდნელად და ვუთხარი ის, რაშიც არ ვიყავი დარწმუნებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ვუთხარი, რომ შენ ის გიყვარს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩიკო ხვალ გარეთ იქნება.

– როგორ იქნება, როცა ციხეშია. მარტო იმის ცოდნა, რომ მე მიყვარს, ციხის კარს გაუღებს? ვერ ვხვდები, რისი იმედი გაქვს, ბაზი! შემპირდი, შემპირდი, რომ მართლა გაიქცევა!

– გაუღებს ბელა და უნდა გაიქცეს.

– უნდა? დარწმუნებული არ ხარ, რომ გაიქცევა? – სარკესავით ჩამოემსხვრა უმწეო სახე და მისი თვალები ახლა უკვე ალმასებივით ისერებოდნენ, – მაშინ როგორ დატოვე იქ. ხომ თქვი, მის საკანში აღმოვჩნდიო?! თქვენ ხომ ერთმანეთს ასე არ ტოვებთ? ასე ამბობდა ჩიკო ყოველთვის, მაგრამ მაშინ თურმე ვერაფერს ვხვდებოდი, რას გულისხმობდა. ის არ დამტოვებს ვალის გადაუხდელად. არც შენ დაგტოვებდა, ბაზი, არ დაგტოვებდა! – ორი ნაბიჯი უკან გადადგა ბელამ, რის შემდეგაც ქარივით მოსწყდა და უმისამართოდ გაიქცა.

ბაზის მისი შეჩერება აღარ უცდია. ბელას უკანასკნელმა სიტყვებმა იგი სრულიად დააუძლურა. ერთ ადგილზე იდგა და საშინელ აზრს ებრძოდა საკუთარ გონებაში, – არა, ასე არ მომექცევა! თავს არ მოაკვლევინებს, არა!

* *

მეორე დღეს ქალაქის მთავარი მოედანი ხალხით იყო გადაჭედილი. მასზე გადმოკიდებულ ნაცნობ აივანზე კი არავინ ჩანდა. საგანგებოდ ჩალაგებული სავარძლები კარგა ხანია ჩინოვნიკებს ელოდნენ, რაც ხალხის ყურადღებას არ გამოჰპარვია და დაგვიანებული სანახაობისთვის უკმაყოფილო შეძახილებით ამკობდნენ მათ სავარძლებს. მასხარაც უკვე მესამედ იმეორებდა ერთსა და იმავე ოხუნჯობას, რომელიც დროდადრო თავს აივნისკენ ატრიალებდა. მის უკან ფიცარნაგის კუთხეში მდგარი მღვდელი და ჯალათი ეტყობოდა, რაღაც საჭირბოროტო საკითხზე ბჭობდნენ.

– სასამართლო ათ საათზე უნდა დაწყებულიყო და წესით, ერთ საათზე მეტ ხანს არ გაგრძელდებოდა. განაჩენი ხომ დიდი ხნით ადრეა გამოტანილი. უკვე ორი ხდება და ისევ არავინ ჩანს. თქვენ ხომ არ გაგიგიათ რამე, თქვენო უწმინდესობავ?

– მეც ზუსტად ის ვიცი, რასაც თქვენ ამბობთ. თორმეტ საათზე აღსარება ჩაბარებული უნდა მქონოდა.

– ვითომ ეს რამეს ცვლის?

– რაზე მეკითხებით? – გაკვირვებული სახით გახედა მღვდელმა.

– აღსარებაზე. ამით დამძიმებულ სულს უმსუბუქებთ, ხომ? დამძიმებული სული გონებას სტკივა რაღაცნაირად. გამოდის, ტკივილსაც უმსუბუქებთ. მაგრამ მე მაინც მგონია, მეტის გაკეთებაა საჭირო.

– ასეა, გეთანხმებით და არის კიდევ ერთი, მთავარი, რაც ღვთიურ საიდუმლოებაშია.

– იცით? ჩვენ არც ისე შორს ვყოფილვართ ერთმანეთისგან. უნდა ნახოთ, როგორ ამსუბუქებს ტკივილს კარგად გალესილი ნაჯახი. ამას წინათ ხუთი კაცისთვის უნდა გამეგდებინებინა თავი და ვერ წარმოიდგენთ, როგორ იწვალა მეხუთემ. იმანაც მაშინვე დალია სული, მაგრამ ხელში ვიგრძენი მისი წვალება, სანამ კისერში გავივლიდი უკვე და-

ბლაგვებული პირით. მაგრამ, მარტო გალესილი ნაჯახიც ვერაფერს გახდება, თუ ხელის მოძრაობაც ზუსტი და მარდი არ არის. თქვენც ხომ ჯერ ლაპარაკით უმსუბუქებთ და მერე პირჯვარს გარდასახავთ ჯვარედინად? მე გალესილ ნაჯახს ვიქნევ წრიულად, თითქმის მთელ წრეზე. თვალებში მინახავს, როგორ ამშვიდებთ კარგად მოქნეული ნაჯახი. მადლობასაც კი მიხდიან. საიდუმლოებას რაც შეეხება, იმაზე მეტი საიდუმლო რა უნდა იყოს, საქვეყნოდ კაცს კლავდე, პასუხს კი არ გთხოვდნენ და არავინ იცოდეს, ვინა ხარ. ეს ნიღაბი თუ შავი ტომარა ორი ხვრელით, თვალებისთვის რომ აქვს ამოჭრილი, ჩემი საიდუმლოებაა. საღვთო საიდუმლოებაც ასეთი ტომარა არ არის, თუ კარგად დავაკვირდებით? ოღონდ ერთი განსხვავებით. მას ეს ორი ხვრელიც არა აქვს. უნდა ჩამოიხურო და შიგნით დაეტიო ბრმად. მორჩილებაც ხომ ამას ჰქვია და ასე თუ არ იწამე, მაშინ რწმენაც რა საჭიროა.

მღვდელი ჩაფიქრებული უსმენდა ჯალათს და ჯამბაზს უყურებდა, აქეთ-იქით რომ დახტოდა გაღრეჭილი. მერე ჯალათს ანიშნა თავით მისკენ: – თუ იცით, რას აკეთებს ის?

– ეს ხომ ყველამ იცის. რას უნდა აკეთებდეს. ხალხს ართობს.

– უფრო ზუსტად? საბოლოო შედეგზე გეკითხებით.

– როგორ თუ საბოლოო. ხალხს ართობს და მეტი არაფერი. თავიც ესაა და ბოლოც.

– მეგონა, დაინახავდით, მაგრამ როგორც ჩანს, თქვენც დაგაბრმავათ მისმა ოხუნჯობებმა.

– რას ბრძანებთ, თქვენო უწმინდესობავ. მისი ხრიკები კაცს მხოლოდ თუ გააცინებს, თორემ მხედველობასთან რა კავშირი აქვს.

– ის კავშირი, რომ გართობას მიცემული ადამიანი განცხრომაში ვარდება და ბრმავდება, რაც უნდა ძლიერი მხედველობა ჰქონდეს. ასეა იმ საიდუმლო ტომრის ამბავიც, რომელშიც ხვრელები თუ არ არის, სამაგიეროდ სიყვარუ-

ლით და იმედით არის გაჟღენთილი. ამ ტომრებითაც შეიძლება დაბრმავებამდე განცხრომა.

– თქვენ განცხრომაში ხართ?

– აღსარებას ითხოვთ ჩემგან?

– არა, რას ბრძანებთ. ამის უფლება ვინ მომცა. მე მარტო იმის უფლება მაქვს, რაც ყველასთვის აუკრძალავთ და, თუ ვინმე მეცილება ამაში, ისევ ჩემთან მოჰყავთ ბოლოს. ეს კიდევ რით ვერ მოიყვანეს. ალბათ, მოსამართლე იბარებს აღსარებას თქვენს მაგივრად, – წაისისინა ბოლო სიტყვები.

– გამორიცხული არ არის, არც ეს და არც ის, რომ ნაჯახიც მოუქნიოს თქვენს მაგივრად. მე ამით ნაკლებად დავმძიმდები, თქვენ კი ვფიქრობ, დიდად წაგიხდებათ ხასიათი.

ამ დროს შორიდან ვიღაცამ გაურკვევლად დაიძახა რაღაც. მაშინვე ორი კაცის ძახილი გაისმა, მერე სამის, ოთხის და რამდენიმე წამში მთელ მოედანს ყინულის ბზარივით მოედო ამბავი, რომელიც ჩიკოს გაქცევას იუწყებოდა. ბევრი ბუზღუნებდა, ტყუილად რომ მოუწია მოსვლა და სანახაობა ვერ ნახა. ზოგი არ იჯერებდა და ისევ ლოდინს განაგრძობდა. ფიცარნაგზე მდგარმა მღვდელმა კი პირჯვარი გადაიწერა, რაც მაშინვე შენიშნა ჯალათმა.

– გაგიხარდათ, არა? მის მაგივრად ხომ არ დადებდით თავს, თქვენო უწმინდესობავ? აი, გართობაც ეს იქნებოდა, ჩემმა მზემ! ნამდვილი განცხრომა და არა ის, სალაპარაკოდ რომაა ადვილი. მე და ჩემი ნაჯახიც გავერთობოდით, რა თქმა უნდა, მაგრამ თქვენი სულ სხვაა. ყველაზე დიადი და ღირსეული. არა, არ გეგონოთ, მე თქვენთვის ცუდი მინდა. პირიქით. მინდა გაგართოთ ისე, როგორც არასოდეს გართობილხართ. თანაც, თქვენს ბედზე, ნაჯახიც ვერ მაქვს დღეს კარგი ალესილი. აი, განცხრომაც ეს იქნება...

მღვდელი იდგა და უხმოდ უსმენდა. იცოდა, რომ სხვა დროს სხვანაირი იქნებოდა ჯალათი და მიზეზსაც ხვდებოდა, რატომ იყო ასეთი გააფთრებული. რაღაც წმინდა შე-

ეხო დღეს მის ბნელ სულს და ვერ აიტანა. ვერ აიტანა სიმართლე და ისევ საკუთარ თავზე გამწარდა, საერთოდ რომ გამოელაპარაკა მას. მაგრამ რა უფლება ჰქონდა, განესაჯა ის, როცა თვითონაც იმავე მდგომარეობაში იყო. ამ წუთას არ უთხრა სიმართლე, ეწამე მის მაგივრადო? ისიც ხომ უთხრა, მეტის გაკეთებაა საჭიროო. ესე იგი, ხმა ამოიღე და წინ აღუდექი ამ უსამართლობას, ვინ იცის, იქნებ მეც შენ გამოგყვეო. ისიც გადაარჩინე სიკვდილისგან და მეც ცოდვისგანო, – მართალი არის ეს კაცი, – გაიფიქრა თავისთვის და წყნარი ხმით უთხრა, – სამწუხაროდ, ჩემს ტომარასაც ჰქონია ხვრელები.

ჯალათმა ნაჯახი ძირს მოიქნია და განიერი ნაბიჯით გაეცალა იქაურობას.

7

ᲒᲔᲡᲛᲘᲗ ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲔᲡ?! – გაცოფებული უყვიროდა გრძელ მაგიდას მუშტებით დაყრდნობილი მმართველი მისგან მოშორებით მდგარ ციხის უფროსს, – ეს დაცინვაა და სხვა არაფერი. ორი მოკლული და სამი დაჭრილი ბადრაგი. შეგიძლიათ ვინმემ გამარკვიოთ, რა ხდება საერთოდ?!

– ბატონო მმართველო, ვერ ვხვდები, რა ქაჯის ხელით მოახერხა ეს იმ ქოფაკმა. დილით ის სასამართლოში უნდა გადაგვეყვანა და, როგორც წესი, ორმა ბადრაგმა, რომლებიც მთელი ღამე მის საკანს დარაჯობდნენ, სავარაუდოდ, კარი გაუღეს, გარეთ რომ გამოეყვანათ, სადაც ეტლი იცდიდა. რა მოხდა საკანში, გარდა იმისა, რომ ორივე ბადრაგი დახოცილი ეყარა, ვერ მოგახსენებთ. ოთხი გასროლის ხმა გავიგონე ორ-ორი ინტერვალით, როცა გარეთ ეტლთან ვიცდიდი და მაშინვე შიგნით შევირბინე. რამდენიმე ბადრაგიც თან გამომყვა. იმხელა ეშმაკობა გამოიჩინა, ახლა ვნანობ, შიგნით რომ შევედი და გარეთ არ დაველოდე. მოგეხსენებათ, ის განსაკუთრებით მძიმე დამნაშავეებში გვყავდა მოთავსებული ცალკე საკანში, რომელიც მიწის ქვეშ არის და ერთი გრძელი კორიდორი აქვს, ოცი საკნით აქეთ-იქით გაყოლებაზე. შიგნით შესულებს მხოლოდ ის ორი საწყალი გუშაგი დაგვხვდა მის საკანთან სისხლის გუბეებში.

– ეს როგორ, თვითონ სადღა იყო? – გაოცებულმა შესძახა მმართველმა და ციხის უფროსს სათვალის ქვემოდან გახედა.

– თვითონაც ვერ ვხვდებოდი, სანამ უკვე გარედან არ გავიგონე სროლის ხმა. უკან გამოვბრუნდი და კორიდორის მთავარი კარი ჩაკეტილი დამხვდა. მე თან ექვსი გუშაგი შემყოლია, გარეთ ოთხნი დარჩნენ იმ მხარეს, საითაც ის უნდა

გასულიყო და, როგორც მოგეხსენებათ, სამი მათგანი მისი ტყვიით დაიჭრა.

– მაინც არაფერი მესმის. თუ თქვენ შიგნით შეხვედით, ექვსი გუშაგის თანხლებით, როგორღა აგცდათ იმ ერთ გასასვლელში ის შეჩვენებული? – ხელებს ასავსავებდა მმართველი.

– ყოვლად წარმოუდგენელი რამ მოიფიქრა, როგორც თქვენ ეძახით, იმ შეჩვენებულმა. საკნიდან გამოსულს ორივე გუშაგის იარაღი აუღია და თან გასაღების აცმაც გაუყოლებია, როგორც ბოლოს გაირკვა. ამ გასაღებით მან გასასვლელთან ბოლო საკნის კარი გააღო, რომ დაგვმალვოდა და სწორედ იმ დროს, როცა ჩვენ მის საკანში შევაღწიეთ, გარეთ გაგვიძვრა ისე, რომ მთავარი შესასვლელი კარიც გამოგვიკეტა. იმ საკნიდან მას ცნობილი პუბლიცისტი გაჰყვა, აგიტაცია-პროპაგანდას რომ უწევდა ხალხს თავისი ნაჯღაბნებით, ქვეყნის საწინააღმდეგოდ. ეტყობა, ამისთვის კარგად იყო მომზადებული, არადა, რომ შეგეხედათ, იმასაც კი ვერ წარმოიდგენდით, სიარულს თუ შეძლებდა იმ წამების მერე, რაც საკანში გავატარებინე, მაგრამ გუშაგების თქმით, თურმე ქაჯივით გარბოდა.

– თქვენ კი ამ დროს დაპატიმრებული აღმოჩნდით საკუთარ ციხეშივე! – დამნაშავე ბავშვივით დატუქსა მმართველმა.

– ყველაფერი შიდა განაწესის მიხედვით შევასრულეთ, ბატონო მმართველო, მაგრამ...

– არავითარი მაგრამ! – ისევ იყვირა მოთმინებიდან გამოსულმა მმართველმა, – განაწესი უტვინო ხალხისთვის იწერება, რომლებიც თავისით ვერაფერს ფიქრობენ და ამ ნაწერებს მიჰყვებიან ბრმად! თქვენ კი, თვალების გახელაც მოგეთხოვებათ და ამ ნაწერების მიღმა ხვრელების დანახვაც, როგორც იმ ქაჯმა დაინახა. თუ თქვენ გეგონათ, რამდენიმე ფურცელზე დაჯღაბნილი პუნქტები ყველაფერს მოიცავდნენ?!

– ხომ არ სჯობდა, საპატიმროდან არც გამოგვეშვით და მერე უკეთესად შეგეფასებინათ ყველა საფრთხე? – გაიხუმრა პროკურორმა, რამაც ოთახში არსებული დაძაბული მდგომარეობა ცოტათი შეამსუბუქა, თუმცა იქვე მთელი სერიოზულობით იკითხა:

– იარაღი თუ შეიძლება მოხვედრილიყო მის ხელში საიდანმე?

ციხის უფროსმა იგრძნო, რომ ან ახლა უნდა ეთქვა ყველაფერი, ან სამუდამოდ ამოეკერა პირი. სიმართლის თქმა შეიძლება ძვირად დასჯდომოდა და თან იმ აზრს, რომ ბაზი რამე კავშირში შეიძლება ყოფილიყო მომხდართან, სრულებით გამორიცხავდა. ეს უბრალოდ უცნაური, მაგრამ მაინც დამთხვევა იყო, მისი აზრით. გამოდიოდა, აღიარება ვერაფრით წაადგებოდა გამოძიებას და რატომღა უნდა აეტკივებინა აუტკივარი თავი. ამშვიდებდა ის ფაქტიც, რომ ორივე გუშაგი, რომლებიც წუხელ მისი და ბაზის ვიზიტს შეესწრნენ, უკვე ცოცხლები აღარ იყვნენ. ასე რომ, არავის არ შეეძლო ამის გათქმა, გარდა თვით ბაზისა. ამ უკანასკნელს კი, საკმაოდ გონიერ ადამიანად თვლიდა, ასეთი რამ რომ ეთქვა ვინმესთვის, მით უმეტეს, მომხდარის შემდეგ.

– გამორიცხულია! იქ ყველანაირი გზავნილი აკრძალულია. თან, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დახოცილებსაც და დაჭრილებსაც საფანტით აქვთ მიყენებული ჭრილობები, გამოდის რომ, მხოლოდ ბადრაგის პირადი თოფით ჩაიდინა ყოველივე.

– ორ-ორი ინტერვალით ისროლაო, თქვით ხომ? როგორც წესი, მოჩქარე ადამიანს, თანაც ისეთს, რომელიც ციხიდან გარბის, შეყოვნების დრო საერთოდ არ უნდა ჰქონდეს. ვფიქრობ, რაღაც უნდა იმალებოდეს მის ასეთ საქციელში? – პროკურორის ამ კითხვაზე მმართველი ფეხზე წამოდგა და წინ და უკან დაიწყო სიარული, თითქოს ამ კითხვამ რაღაც გზა გამოუჩინა და მანაც არ დააყოვნაო.

– ეს მხოლოდ მის პირსისხლიანობას შეიძლება მივაწეროთ, – აშკარა შვება იგრძნო ციხის უფროსმა, რადგან ეს კითხვა მხოლოდ მკითხავებს თუ დაინტერესებდათ, როგორც რაიმე ხელმოსაკიდი გარემოება, – იქნება პირველი ორი გასროლით არც დახოცილიყვნენ საცოდავი გუშაგები, მაგრამ საკონტროლო გასროლას კი ვეღარ გადაურჩნენ.

– ესეც მართალია. ის ნამდვილი სისხლის მსმელია, – ხელები მოიფშვნიტა მმართველმა.

– ვითომ თავიდანვე ჰქონდა ჩაფიქრებული გაქცევა? – პირველად დაილაპარაკა ობურმა.

– ციხის უფროსის მონაყოლიდან გამომდინარე, ამაზე ვერც კი ვიმსჯელებთ, – მაშინვე უპასუხა პროკურორმა.

– იქნებ მისი თვალთმაქცობა უძლურების შესახებ, ზუსტად იმ გეგმის ნაწილი იყო, რომ ყველანი მოდუნებულიყვნენ, რამაც იმსხვერპლა კიდეც ის ორი გუშაგი?

– კი მაგრამ, ამდენი წამება მართლა ხომ ასუსტებდა მას? – ობურის ლოგიკა ცოტათი გაიკვირვა ციხის უფროსმა.

– რა თქმა უნდა, ასუსტებდა, თუმცა უფრო მეტად ასუსტებდა თქვენს სიფრთხილესაც, რადგანაც დარწმუნებულები იყავით მის უძლურებაში, თუმცა, როგორც თავად თქვით, ის თურმე ქაჯივით გარბოდა ციხიდან.

– ეს ხომ თვითგადარჩენის ძალაა, რომელიც ყოველ განწირულ არსებას გააჩნია, თუკი ხსნა გამოუჩნდება? – არ ნებდებოდა ციხის უფროსი და კიდევ უფრო აქეზებდა ობურს. თითქოს უნდოდა, კიდევ ერთხელ მოესმინა სხვისგან, როგორც მისი ვექილისგან, რომ გაქცევას ბაზის სტუმრობასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა და ეს დიდი ხნის გეგმა იყო.

– საკონტროლო გასროლა? ეს უკვე ფიქრის შედეგია და არა მოქმედების. მოქმედება პირველი სროლაა. მეორე სროლა კი, მხოლოდ ფიქრისგან მოდის. იმ წუთში, როცა ეს მოხდა, თქვენი მონაყოლიდან თუ ვიმსჯელებთ, მას ფიქრის დრო არ უნდა ჰქონოდა. გამოდის, ბოლო წუთამდე ფიქრობდა.

– ძალიან გაგვმართლებია მაშინ, მეტხანს რომ არ გაუგრძელდა ფიქრი და უფრო მოდუნებულებს სახრჩობელიდან არ დაგვისხლტა ხელიდან, ხომ სახალხოდ მოგვეჭრებოდა თავი! – მკვახედ თქვა მმართველმა.

– როდის ნახეთ ის ბოლოს? – ისევ წყნარად იკითხა, სავარძელში მოკალათებულმა პროკურორმა.

– წუხელ, ალბათ ასე 10 საათზე, – უპასუხა ციხის უფროსმა და უხერხულად შეიშმუშნა.

– რამე უცნაურს ხომ ვერ გაიხსენებდით მის ან თქვენს საქციელში? ისეთს, რაც შეიძლება უჩვეულოდ მოგჩვენებოდათ? – კითხვა უკვე ობურმა განაგრძო, რომლის ხმაშიც იგრძნობოდა, რომ პოლკოვნიკის ჩინს ჯერ კარგად ვერ გაშინაურებოდა და შეყოვნების მერე, მოკრძალებულად დაამატა, – სხვანაირად არ გამიგოთ. ამას ვითარების სირთულე მავალდებულებს.

ციხის უფროსი ამ ზედმიწევნით დასმულმა კითხვამ ააღელვა, თუმცა თავის მართლების ნაცვლად, რომელიც შეიძლება თვალში სცემოდა ვინმეს, მან უწყინრად ჩაიცინა და თითქოს შუა თხრობიდან ეს-ესაა გააწყვეტინეს სიტყვაო, ისე განაგრძო:

– ბოლო კვირაზე უცნაური დღეები ჩემს ცხოვრებაში არ მქონია. მისი მხრიდან უცნაურობა უტიფარი დუმილი იყო, ისეთ კითხვებზეც კი, რაც მის საქმეს საერთოდაც არ ეხებოდა. ჩემი უცნაურობა კი, გაფართოებული თვალები, რომლებიც სულ უფრო მიფართოვდებოდნენ იმის შემხედვარე, რომ წლების განმავლობაში საკუთარი ხელებით ნაშენები მანქანა თვალწინ მემსხვრეოდა, თითქოსდა ერთი, პატარა ნაგვის ნამცეცით, რაზეც თვალის დახუჭვა არ შემეძლო. თითქოს იმიტომ ვამბობ, რომ თავიდან ის მართლაც ნაგვის ნამცეცი იყო იმ მანქანის კბილებში, რომლებშიც ათასობით ნაგვის ურნა გადის ყოველდღიურად, მაგრამ დღითი-დღე ის სულ უფრო კარგავდა მყრალ სუნს, არა იმიტომ, რომ ანგელოზად იქცა. სულაც არა, ეს თავად მე ვსნეულდებოდი მისგან და სურდოშეყრილივით ვკარგავდი სიამოვნებას, რომელიც ამა თუ იმ სურნელმა შეიძლება მიანიჭოს ადამი-

ანს, – აქ ციხის უფროსმა მმართველს გახედა ნიშნის მოგებით, – აი, ეს გახლდათ, ბატონო პოლკოვნიკო, უცნაურობა. იმას კი, რაც წუხელ მოხდა, უცნაურობასთან არანაირი კავშირი არ აქვს. ეს ყველაზე ჩვეულებრივი ამბავი იყო, რაც ჩემს ციხეში მომხდარა და მასაც ჩვეულებრივი ნაგვის სურნელი დაუბრუნა როგორც კი ჩემს მახეში გაება და ხმა ამოიღო, – ციხის უფროსმა თავიდან იფიქრა, იქნებ სულაც არ ეთქვა არაფერი, მაგრამ ვინ იყო ამის მოწმე, სამი ადამიანის გარდა? ჩიკოს მეორედ ცოცხლად დაჭერის ნაკლებად სჯეროდა და ამ შემთხვევაშიც, მისი ამლაპარაკებელი არ ეგულებოდა არავინ. ბაზის რომ ეთქვა რამე, ან დაიჭერდნენ, ან გიჟად შერაცხავდნენ. თვითონ კი იმას იტყოდა და ამბობდა კიდეც, რაც მის საქმეს უფრო წაადგებოდა.

– რა მახეზე ლაპარაკობთ, შეგიძლიათ გვითხრათ? – ადგილზე გაშეშდა მმართველი.

– როცა არანაირი გზა აღარ დამრჩენოდა, ერთმა აზრმა გამიელვა თავში. საკნიდან გავედი და ცოტა ხანში უკან დავბრუნდი. ვუთხარი, თითქოს თქვენ შეიწუხეთ თავი ციხეში მოსვლით და მთავრის შეწყალების ცნობა გამაცანით, რაც სიკვდილით დასჯის სამუდამო პატიმრობით შეცვლას გულისხმობდა, იმ შემთხვევაში, თუ ის პატიებას ითხოვდა სახალხოდ. როგორც უკვე განიშნეთ, მან თანხმობა განაცხადა. ვიცოდი, ამ ტყუილს თვითონაც მალე გაიგებდა, მაგრამ ის, რომ ხმა ამოიღო, უკვე გამარჯვებად ჩავთვალე. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ჩემი ხაფანგი მის ჩანაფიქრს უფრო ემსახურებოდა, ვიდრე ჩემსას და ჩემი დაძაბული ყურადღებაც საგრძნობლად მოადუნა. ასე რომ არა, ალბათ, დილამდე მის საკანში გავატარებდი სხვა გზების მოსაძებნად, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, ავჩქარდი და ნაადრევად ვიზეიმე გამარჯვება.

– მართლაც, არაფერია ამაში უცნაური, გარდა დამთხვევისა, – ჩვეული სიმშვიდით თქვა პროკურორმა.

– საკმარისია! – გაცხარდა მმართველი, – აქ სამარჩიელოდ არ შევკრებილვართ. თქვენ რომ გისმინოთ კაცმა, წუ-

ხანდელ ჭექა-ქუხილსაც დამთხვევას და მის გათვლებს მიაწერთ. ის უბრალო ბოროტმოქმედია და არა ჭადრაკის მოთამაშე. თქვენმა ზედმეტად მგრძნობიარე სასუნთქმა გზებმა და გუშაგის დაუდევრობამ, საშუალება მისცა ემოქმედა და მანაც შემთხვევა არ გაუშვა ხელიდან. ახლა აჯობებს, მის ადგილსამყოფელზე ვიფიქროთ და ყველა ზომა მივიღოთ დასაკავებლად.

– დარწმუნებული ვარ, სვიფისკენ წავიდოდა, სადაც მთელი პოლიცია და დამსმენთა ჯგუფი გულმოდგინედ ელის, – თქვა ობურმა, – მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ დღეიდან გაასმაგებულ სიფრთხილეს გამოიჩენს, ვფიქრობ, მისი ხელში ჩაგდება მაინც დროში გაიწელება.

– იქნება სულაც ქვეყანა დაეტოვებინა, აქ დარჩენას?.. – იკითხა პროკურორმა.

– გამორიცხულია. მას ჯერ აქ აქვს დაუმთავრებელი საქმეები, – მაშინვე უპასუხა ობურმა.

– ფიქრობთ, ის ისევ ბრძოლას გააგრძელებს? – ერთგვარი აზარტით შეეკითხა მმართველი.

– სანამ მისი გამცემის ვინაობას არ გაარკვევს, ის ვერც ბრძოლას გააგრძელებს და ვერც ქვეყანას დატოვებს.

– მაშინ სასწრაფოდ უნდა დავეხმაროთ ამის გარკვევაში. პოლიციელთა სტუმრობა უნდა გახშირდეს მისი მეგობრის სახლში, მისსავე უსაფრთხოებაზე ზრუნვისთვის. დღეს თუ ხვალ იმ ვაჟბატონის ყურამდეც მივა ეს ამბავი, – თქვა მმართველმა და ხარბად შეხედა ობურს, რომლისგანაც კიდევ უფრო მეტ ხელმოსაკიდს ელოდა.

– მართალია, ასე შეიძლება მისი დაჭერა დავაჩქაროთ, მაგრამ თუ მომავალზე ვიფიქრებთ, სხვა დროს აღარავის გაუჩნდება სურვილი ჩვენთან ითანამშრომლოს. არა მგონია, მას იმხელა ფასი ჰქონდეს, ქვეყანა გადავაყოლოთ, – წვალებით გამოთქვა ბოლო სიტყვები ობურმა.

– ფასი მართლაც დიდია, განსაკუთრებით წუხელს მერე, იქნებ ქვეყნის საპირწონეც კი გახდეს ბევრისთვის, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ხომ შეიძლება ჭკუა ვიხმაროთ

და თავად გადავაყოლოთ ქვეყანას? – საინტერესოდ შემოატრიალა საუბარი პროკურორმა, რომლის პასუხიც ობურმა არ დააყოვნა.

– მას რომ ჰკითხო, ქვეყნისთვის ისედაც აქვს თავი გადადებული. აი, ქვრივ დედაზე კი, ჯერ არ უფიქრია.

– რას გულისხმობთ? – თითქმის ერთდროულად გაისმა მმართველისა და პროკურორის ცნობისმოყვარე ხმა.

– ჩვენ მას და მისნაირებს, სუფთა, პირდაპირი წესებით ვებრძვით, რაც მათთვის ადვილად მისაღებია. ჩემი ნება რომ იყოს, კანონს გამოვცემდი, რომლის საფუძველზეც ყველა ქვეყნის მტრის სრულწლოვანი ოჯახის წევრი მის იდეოლოგიურ თანამონაწილედ ჩაითვლებოდა და პასუხს აგებდა სასჯელის მოხდით. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ დედამისის დაპატიმრებას შევძლებდით და მასაც თავისი ფეხით მოუწევდა ჩვენთან გამოცხადება.

– გენიალური აზრია! – წამოიძახა ციხის უფროსმა, რომელმაც მაშინვე იგრძნო, თუ რა შეიძლება მოჰყოლოდა მოვლენების ამგვარ განვითარებას და მაშინვე ეშმაკურად განაგრძო, – მაგრამ ხომ შეიძლება ამას მათი მხრიდანაც იგივე რეაქცია მოჰყვეს? ჩვენმა ოჯახებმა რაღა დააშავეს?

– არა! ისინი კაცები არიან.

– როგორ თუ კაცები... და ჩვენ? – მაშინვე შეიცხადა პროკურორმა.

– ჩვენ? – ცალი თვალი მოჭუტა ობურმა, – ჩვენ ჭკვიანი კაცები ვართ!

მმართველი ფეხზე წამოდგა, ოთახში რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა წელზე ხელებდაწყობილმა და ჩაფიქრებული აივანზე გავიდა.

*** ***

ჩიკო და დინო კი ორი დღე მიაბიჯებდნენ ტყე-ტყე, სანამ შუაღამისას გრინგოს სახლს არ მიადგნენ.

– აქ არავინ დაგვძებნის. ბავშვობის მეგობარია. ჩემი სოფლელია და ათი წლის იქნებოდა ალბათ, როცა ბებია-ბაბუამ წამოიყვანა აქ. ისე შეეჩვია აქაურობას, მათი გარდაცვალების მერე აქვე დარჩა საცხოვრებლად. გაიგებდა ჩემს ამბავს და ვინ იცის, იქნებ მელოდება კიდეც, – უხსნიდა თანამგზავრს ჩიკო, როცა სახლიდან ვიღაც ჩანთამოკიდებული გამოვიდა და ქურდბაცაცასავით გაუყვა ჭიშკრისკენ მიმავალ ბილიკს.

– გრინგო, შენ რა გითხარი! – შესძახა ჩიკომ, როცა ახლოს მოსული მეგობარი იცნო.

– ჩიკო? – მოულოდნელობისგან ადგილზე შეხტა გრინგო, – გავიგე შენი ამბავი. მთელმა სოფელმა გაიგო. ყველას შენი სახელი აკერია პირზე. შემოდით, არავინ დაგვინახოს.

– საით გაგიწევია ამ შუაღამისას? – იკითხა უკვე ოთახში მყოფმა ჩიკომ.

– აქედან გადავდივარ, ჩიკო. ხომ ხედავ სახლი სულ ცარიელია. კიდევ კარგი, ეს ტახტი დავტოვე ჩემთვის, რამდენიმე ღამე რომ მომესვენა. ალბათ, გული მიგრძნობდა, რომ მოხვიდოდი და დარჩენა მოგიწევდა.

– რამ გადაგაწყვეტინა ასე უცებ აყრა და სხვაგან გადასვლა?

– ახლავე, ჩიკო. სარდაფში ჩავალ, არაყი და რამე მისაყოლებელი უნდა იყოს დარჩენილი. ჩემს ამბავს მოგიყვები. სადღაც გული მწყდებოდა კიდეც, რომ ვერ გიყვებოდი.

ორ წუთში გრინგო უკან დაბრუნდა, ჩანთის ნაცვლად ბოთლით და ქილით ხელში, რომლებიც ნახსენებ ტახტზე დაალაგა და სტუმრებს თავით ანიშნა, ჩამომსხდარიყვნენ.

– მოყევი, თუ ძმა ხარ, რა ამბები გადაგხდა. ეს კაცი, ამბობენ, მწერალიაო და ერთ საქმეში როგორ აღმოჩნდით? – ჭიქის დაცლისთანავე ჰკითხა გრინგომ.

– გამიმართლა, გრინგო. ხომ იცი, იარაღს როგორ ვუყვარვარ და არც ახლა მიმატოვა. ეს დინოა. წერს და ახლა პროპაგანდაც არ აწყენდა ჩემს საქმეს. მანამდეც ამ საქმისთვის ჰყოლიათ დაჭერილი, – ჩაიცინა ჩიკომ და მაშინვე გადაუხვია საუბრიდან, – რაღაცის თქმა გინდოდა, მე მგონი,

შენ. ჩაფიქრებული ჩანხარ ძალიან. შარში ხარ, ალბათ და აქედან წასვლაც ამიტომ გადაწყვიტე. პირდაპირ მითხარი, მე ხომ არ მიკავშირდება ეს ყველაფერი. ვიცი, ყველას ააწრიალებენ, ვინც კი ახლობელი მყავს და ხელი გაუმართავს ოდესმე. მითხარი, ასეა? – წყნარად ჰკითხა ჩიკომ და ხელი მუხლზე ჩამოადო.

– რას ამბობ, ჩიკო. არავის არ შევუწუხებივარ. ეზოს გველები შემოეჩვივნენ ბოლო ხანებში და ისე მომრავლდნენ, ხანდახან სახლშიც შემოდიან, ეშმაკმა დაწყევლოს. ცოლის შერთვა გადავწყვიტე და აბა, რომელი ქალი გაჩერდება ასეთ სახლში. გავყიდი და ქალაქში გადავალ. დროებით მის დასთან ვიქნებით და მერე გამოჩნდება რამე, – გრინგო ცოტა ხანს შეყოვნდა, ქილიდან ორი თითით მჟავე კიტრი ამოიღო და უხმოდ მოკბიჩა, რაზეც ტუჩები და თვალები ერთდროულად დაემანჭა. იმ წამსვე ასეთი, დამანჭული სახით ახედა ჩიკოს და მოულოდნელი ინტრიგით განაგრძო ლაპარაკი, – შენი ამბავი ბოლოდან რომ თქვი, კარგია, მაგრამ როგორ დაიწყო ყველაფერი, ის გეთქვა, მერჩივნა.

– იმას გულისხმობ, თუ საიდან გაიგეს ჩემზე?

– ზუსტად იმას ვგულისხმობ.

– ცხრა კაცმა ვიცოდით ჩემი ამბავი, გრინგო. ამ ცხრიდან, ერთი ჩემი აყვანის დროს ცოცხალი აღარ იყო. იცი შენ, ვისზეც ვამბობ. მე კი, დაზუსტებით მხოლოდ ის ვიცი, რომ ეს ამბავი ექვსი კაციდან არის გასული. გამორიცხული სამიდან, ერთი მე ვარ, დამეთანხმები. მეორე, როგორც თავში ვთქვი, ზუზუ და მესამე ის, ვინც უკვე მნახა და სამუდამოდ დავინახე. ექვსი მყავს კიდევ დასანახი. არცერთ მათგანში არ შემაქვს ეჭვი ცალ-ცალკე. ყველაში, ცხრავეში ერთად, რომ ვერ შევიკარით და გავწურეთ ერთმანეთი. მაშინ ის ერთი ვეღარ გაუძლებდა ჩვენთან ყოფნას და მშრალები დავრჩებოდით.

– ეს როგორ, ჩიკო? ნუთუ შენ არაფერი გაგიგია მოედანზე მომხდარ ამბავზე?

– ზუზუ არაფერ შუაშია ამ საქმესთან! – მკაცრად მოუჭრა ჩიკომ.

– ფურცელი, მედიატორი რომ აფრიალებდა ხელში?

– ფურცელი? შენ ნახე ის?

– თუკი ასეა, მე გეტყვი და არავის დანახვა აღარ დაგჭირდება, – თითქმის წამოიყვირა გრინგომ და მის წინ მდგარი არყის ჭიქა ერთიანად გადაჰკრა, – ძალიან მიჭირს ამის თქმა, მაგრამ უთქმელობაც არ შეიძლება. ეს არის ის, რაზეც თავიდან გითხარი, სათქმელი მაქვს-მეთქი რაღაც. ტყუილად არ მიკითხავს, რა იცოდი ამ ამბავზე. რომ გეთქვა, უცხოს ხელი ურევია ამ საქმეშიო, გადაწყვეტილი მქონდა, ხმა აღარ ამომეღო, მაგრამ რატომ უნდა იტანჯო შენ, ან შენმა მეგობრებმა რატომ ვიტანჯოთ იმის ფიქრით, იქნება მეც ვგონივარო ის გამცემი და ვინ იცის, გეგონოთ კიდეც ბოლოს რომელიმე, – გრინგო ფეხზე ადგა, ფანჯარასთან მივიდა და მსხლის ხეს გახედა, – გახსოვს? არც ისე დიდი ხნის წინ, ამ მსხლის ქვეშ მე, შენ და ზუზუ ვიჯექით და გითხარი, დრო მოვა, ვიღაცას შენი ბანქო ამოუვარდება და გაგყიდის-მეთქი. ისიც გითხარი, მდიდრებზე საშიშები ღარიბები არიან, მოჩვენებითი კეთილშობილებით რომ უჭირავთ თავი. ნეტა, მართლა ასე ყოფილიყო.

ჩიკო ფანჯრისკენ შემოტრიალდა. სარკმელთან ზურგით მდგარი გრინგოს სილუეტი დაინახა, თითქმის ბოლომდე დამწვარი, მბჟუტავი სანთლის შუქზე, ტახტზე რომ ენთო და თვალები მთელი ძალით დახუჭა.

– რისი თქმა გინდა ამით, გრინგო? შენი სიტყვებით, ისევ ექვსი რჩება. ყველა ღარიბ ფენას ეკუთვნოდა მაშინ, თუ დღეს არ შეიცვალა რამე. კამათელივით აურიე ექვსივე და გააგორე ბარემ, რახან დაიწყე.

– მე იქ ვიყავი, ქალაქის მთავარ მოედანზე. ეშმაკმა დასწყევლოს, ნეტა არ წავსულიყავი... – ზიზღით თქვა გრინგომ.

– რა ნახე მერე? – ფეხზე წამოდგა ჩიკოც. გრინგოს გვერდით ამოუდგა მხრებში მოხრილი და მანაც მსხლის ხეს დაუწყო ყურება.

– ზუზუ... – ენა წაიბორძიკა გრინგომ და მწუხარების ნიშნად თავი აქეთ-იქით გააქნია.

ჩიკოს თითქოს ყინულის ლოლო ჩაესო გულში. მიხვდა, რასთანაც ჰქონდა საქმე, მაგრამ ხმას არ იღებდა. ჯერ კიდევ იყო დრო, რაღაც შეცვლილიყო, თუმცა არც შეჩერება და არც დაჩქარება მას არ შეეძლო. ყველაფერი თავისით უნდა მომხდარიყო, მის დაუხმარებლად და მოთმინებით.

– მე მას ვერ ვამტყუნებ, ჩიკო, – მკაცრი ხმით განაგრძო გრინგომ, – ამის გაძლება შეუძლებელია. მის წინ ვიდექი, სულ ახლოს და ყველაფერს ვხედავდი. დამიჯერე, ჩიკო, იმაზე მეტს გაუძლო, ვიდრე მეგონა. ბოლოს გავიგე, როგორი გაჭირვებით გამოთქვა შენი სახელი. იმ ხმაურში, ალბათ სულ რამდენიმე კაცი გაიგებდა ამას, მაგრამ ბევრი ვერაფერს მიხვდებოდა. მაშინვე მედიატორი მივიდა მასთან და ყურში დაუწყო ჩურჩული. ზუზუსგან მეტი არაფერი გამიგია, მაგრამ მედიატორს ყოველ ჩაჩურჩულებაზე ყური მიჰქონდა მის პირთან და მაშინვე ფურცელზე იწერდა რაღაცას. დიდხანს აღარ გაგრძელებულა ეს და მალე მისი ტანჯვაც დამთავრდა, – გრინგომ მძიმედ ამოიოხრა და სიამაყით დაამატა, – ამას ღალატი არ ჰქვია, ჩიკო.

– რატომ არ აჩუქეს სიცოცხლე, როგორც გაცხადებული იყო იმ შემთხვევაში, თუ ის იტყოდა ჩემს სახელს? – ჩუმად იკითხა ჩიკომ.

– უკვე გვიანი იყო, ჩიკო. მან თითქმის მომაკვდავმა თქვა სათქმელი, ალბათ უფრო ბოდავდა, ვიდრე ლაპარაკობდა. ამიტომ გეუბნები, რომ მას შეგნებულად არ უღალატია შენთვის, – გრინგო შემოტრიალდა, ტახტზე ჩამოჯდა და ჭიქები შეავსო, – იმედი მაქვს, მიუტევებ და ზუზუს შესანდობარს შესვამ.

ჩიკო უკან მოტრიალდა, ჭიქა ასწია და თვალი თვალში გაუსწორა გრინგოს.

– ხსოვნა იყოს. შენი ხსოვნა, გრინგო.

გრინგომ უხერხულად გაიცინა, თითქოს ბოლომდე ვერ გაეგო ჩიკოს სიტყვები, სანამ მისი თვალების ბრიალს არ გადააწყდა ისევ.

– ხომ კარგადა ხარ, ჩიკო.

– კარგად?! იცი რას ვგრძნობ ახლა? ზიზღს. მერჩივნა ვერასოდეს გამეგო და ასე გაურკვევლად დარჩენილიყო ყველაფერი, ვიდრე ისე, როგორც შენ მოახერხე. ათასი მოჩვენებით ვცდილობდი თავის მოტყუებას, თქვენს გასამართლებლად და ყველაფერში საკუთარი თავის გასამტყუნებლად... თუმცა, ასეთ ტყუილსაც არ ველოდი. უნამუსოდ შეაწმინდე ზუზუს ხელები, მაგრამ ვერც ხვდები, რომ მხოლოდ საკუთარ თავს გამოუტანე ამით განაჩენი. როგორ მინდოდა, აქედან წასულს ხუთი დამრჩენოდა და ეს ხუთიც არასოდეს დარღვეულიყო. ასე ყველა ერთად ვიქნებოდით დამნაშავეები. შენ ესეც დაარღვიე, გრინგო. კიდევ რას გააფუჭებ, ცოცხალი რომ დაგტოვო?! – ხმას აუწია ჩიკომ და სანთლის შუქზე მის ხელში შავმა რკინამ გაიელვა. გრინგო ვერაფერს ხვდებოდა. გაოგნებული უყურებდა ხან ერთს, ხან მეორეს.

– დათვერი, ჩიკო? – სახემოშლილი გაქვავებულიყო გრინგო.

– გიკვირს შენი ბინძური ამბით რომ დავთვერი? როგორ მოიფიქრე ასეთი რამე, ასე უსისხლოდ?

– ვიცოდი, არ დამიჯერებდი, მაგრამ...

– დაგიჯერებდი! – დაიღრიალა ჩიკომ, – ვინ არ დაგიჯერებდა, ვინც კი ნახავდა, როგორი განცდებით ყვებოდი ყველაფერს. არ ვიცი, ნამდვილად იყავი მოედანზე თუ გაგონილს ამბობ, მაგრამ იმაზე რას იტყვი, რომ მე მართლა ვიდექი იქ, მის პირისპირ და მის ბოლო ამოსუნთქვამდე. ისევე ვუყურებდით ერთმანეთს თვალებში, როგორც ახლა მე და შენ, ოღონდ მის თვალებს არ ეშინოდათ, შენისგან განსხვავებით. დაგავიწყდა გეთქვა, რომ მედიატორის შემდეგ, ზუზუმ თავი გააქნია. ამ დროს ის მე მიყურებდა, გრინგო. შენი

მონაყოლი რომ მართალი ყოფილიყო, მის მაგივრად ეშაფოტზე მე ამიყვანდნენ და ახლა აქ არ ვიქნებოდი. ამდენს ხომ ხვდები, გრინგო?!

გრინგო ტახტზე დაეშვა და თავი ჩაღუნა, საშინელ კოშმარში ეგონა თავი. მზად იყო, მიწა გასკდომოდა ფეხქვეშ და ქვესკნელს ჩაეყლაპა, ოღონდაც ამ ოთახიდან გამქრალიყო ახლავე.

– მაინც საიდან ამხელა ბოროტება, გრინგო. ჩემს ღალატზე არ გეუბნები, სიხარბემ დაგძლია და შეგაცდინა, მაგრამ წამებით მოკლული მეგობრის ხსოვნა როგორ გათელე ასე უნამუსოდ? ვხვდები როგორც, – უკვე მშვიდი ხმით თქვა ჩიკომ და ისევ მსხლის ხეს გახედა ცერად, – თავიდანვე ახსენე გველები. სახლი არაფერ შუაშია. თავში რომ გყავს, იმ გველებმა გაგაკეთებინეს ეს. ყველაფერი ისე რომ წასულიყო, როგორც ჩაფიქრებული გქონდა, ვიცი, მეორედ აღარ გამყიდდი და ღმერთს მადლობას ეტყოდი, ფული ისე რომ მოგცა, მეგობრისთვის სიცოცხლე არ წაგართმევინა. შენი დამსახურება ნაკლებად უნდა იყოს, დღეს თუ ცოცხალი ვარ.

გრინგო თავაუწევლად იჯდა და ხმას არ იღებდა.

– ადექი, სარდაფში ჩავიდეთ! – მოკლედ თქვა ჩიკომ და იარაღით კარისკენ ანიშნა. გრინგო მუხლებზე ხელების დაყრდნობით, მძიმედ წამოდგა და უკანმოუხედავად გაუძღვა წინ ჩიკოს და მის თანმხლებს.

– სად არის? – თქვა ჩიკომ და სანთელი სარდაფის კუთხეს მიანათა, – ჩანთა უნდა დაგრჩენოდა აქ. მგონი ეს უნდა იყოს, – დაამატა და დინოს ანიშნა, ჩანთა აეღო, – გახსენი დინო. აქ მთელი ამ ამბის საიდუმლო ინახება.

დინომ მაშინვე გახსნა ჩანთა და განცვიფრებული დააშტერდა ფულს, რომლითაც ის იყო გატენილი.

– ერთი ჩანთა ფული. ფიქრობ, ამ ჩანთაში ჩაატევ იმ სიყვარულს, რაც შენდამი მქონდა? თუნდაც უზარმაზარ სახლში, ამ ფულით რომ იყიდი? ვერა! და ვერც ის სახლი

რომ გაავსო ფულით, მისით ნაყიდ ქალაქშიც ვერ დაატევ მას და იცი, რატომ? იმიტომ, რომ სიყვარულს ერთადერთი ადგილი აქვს, სადაც ის სახლობს და ეს ადგილი თავად იტევს ყველაფერს: სახლსაც, ქალაქსაც და მთელ სამყაროსაც, თუკი საერთოდ გაქვს გული ადამიანს.

ჩიკო შეჩერდა, მხრებში გაიმართა, ისე, როგორც განსაცდელისას მისეული ხსნის პოვნის დროს სჩვეოდა ხოლმე და მაშინვე იარაღი აღმართა...

– ტყუილია! – მოულოდნელად შეჰყვირა გრინგომ. სარდაფში გამაყრუებელი სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ისევ გრინგოს ხმამ დაარღვია.

– გინდა, სიმართლე გაიგო? ჰო! მე გაგთქვი, მაგრამ ნამდვილ მიზეზს არ იკითხავ? ფული არაფერ შუაშია! ის მხოლოდ აქედან გასაქცევად ავიღე, ყველაფერი რომ დამევიწყებინა, – ისევ ცოფიანივით დაიყვირა გრინგომ, – სინდისი მღრღნიდა იმ დღიდან, რაც დაჭრილი ბერიონი მოიყვანეთ ჩემთან. ვიცოდი, ჩემი ადგილიც რომ თქვენთან იყო, მეგობრობა თუ არა, ჩემი წინაპრების დაღვრილი სისხლი მაინც რომ გამემართლებინა, მაგრამ ერთი რამე, რაც ასე აუცილებელია შენს საქმეში, არ შემეძლო. თავიდან თავს ვიმშვიდებდი, რომ მალე გამოგელეოდა ძალა და თვითონვე მიატოვებდი, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით მეტს აღწევდი შენ და მეტად მანადგურებდი მე. შური არ გეგონოს ეს! შენი ყოველი წარმატება მიხაროდა შენთვის და მეზიზღებოდა ჩემთვის. ეს ორი სხვადასხვა რამეა და საერთო მხოლოდ დრო აქვთ. შენ ვერ წარმოიდგენ, რა ძნელი ყოფილა, როცა საკუთარი თავი გეზიზღება ადამიანს, – მწარედ გაეცინა, – ჩემი დანაშაული ისაა, რომ შენგან განსხვავებით, ის ერთი რამე არ შემიძლია. კაცის მოკვლა არ შემიძლია საკუთარი ხელებით... ახლა ყველაფერი იცი და შეგიძლია, ხელის აუკანკალებლად მესროლო. შენ ეს კარგად გამოგდის, – კბილი კბილს დაჰკრა გრინგომ ისე, როგორც ძაღლებმა იციან ხოლმე დამუქრებისას.

– სხვისი ხელებით უფრო იოლია ეს საქმე, მაგრამ უფრო მძიმეც, ვიდრე კაცის კვლა, – სევდიანად ამოიოხრა ჩიკომ.

გრინგო ხელებჩამოყრილი იდგა მის წინ. იმ წამებში, როცა ჩიკომ ჩახმახი გადმოსწია, გრინგომ თავი დახარა და თვალები მთელი ძალით დახუჭა, რასაც მაშინვე გასროლა მოჰყვა. ის ისევ ფეხზე იდგა, უკვე თვალებდაჭყეტილი. მის ნაცვლად ახლა დინოს დაეხუჭა თვალები და ჩანთაც გავარდნოდა ხელიდან. როცა მანაც გაახილა თვალი, მეორე გასროლის ხმაც გაისმა და გრინგო ძირს დაეცა, ფულით მიმოფანტულ მიწაზე, გახვრეტილი, პირდაღებული ჩანთიდან რომ გადმოყრილიყო.

– გრინგო, შენს ამბავს ბიჭებს გავაგებინებ. იცი, ასე უნდა მოვიქცე, ამიტომ არ მინდა, აქ დარჩე. სადაც უნდა მიხვიდე, იცი უკვე შენ. როცა მიხვალ, უთხარი, რომ გნახე და ძლივს გადამირჩი. დასტურად ფეხს და ჩანთას ანახებ. სთხოვე, თავიანთ ქვეყანაში მოგცენ თავშესაფარი. უფულოდ რომ დარჩი, ნატყვიარი ჩანთით მიხვდებიან და სამყოფს მოგცემენ წასასვლელად. რომ ჩახვალ, გმირადაც გაღიარონ, შეიძლება. ასე რომ, იქნებ ჩანთების ქარხანაც ჩაგაბარონ, როგორც ამ საქმის კარგ მცოდნეს. წავალ ახლა მე, გრინგო, და არა მგონია, ოდესმე გნახო კიდევ. ერთზე იფიქრე შენთვის. მე შენ ცარიელი ჩანთით გტოვებ, სიბინძურით რომ იყო სავსე ცოტა ხნის წინ.

* *

ჩიკო და დინო ხმის ამოუღებლად, ისევ ტყე-ტყე მიუყვებოდნენ გზას ღამის წყვდიადში.

– რატომ აპატიე, ჩიკო? – დიდი ხნის თმენის შემდეგ, მაინც იკითხა დინომ.

– ვინ თქვა, რომ ვაპატიე? – ჩუმად უპასუხა ჩიკომ და თავი გააქნია.

– მაშინ რატომ გაუშვი?

– არასოდეს რომ აღარ დაბრუნდეს, იმიტომ. მკვდარი დაბრუნდებოდა და გამაწვალებდა, – მძიმედ ამოიოხრა ჩიკომ.

– სულების გეშინია? სხვა მოკლულები? ისინი არ ბრუნდებიან? – ბავშვურმა ცნობისმოყვარეობამ მოიცვა დინო, შიშიც და გამბედაობაც ერთდროულად რომ შეჰპარვოდა ხმაში, მისტიკური საიდუმლოებით გაჟღენთილს.

– ბრუნდებიან, მხოლოდ მაშინ, როცა მე ვეპატიჟები, მაგრამ მათ ვერ ვხედავ და ამიტომ ვერც მაწვალებენ. ის კი, დაუპატიჟებლად შემოვარდებოდა, თავზექუდჩამოფხატული, მუხლებგადატყავებული შარვლით, თასმებშეხსნილი, პირდაღებული ფეხსაცმელებით და მომღიმარი რამდენიმე შაქრის ნატეხს გამომიწვდიდა, სახლში რომ იპარავდა ხოლმე. ძალიან მწარე იქნებოდა ის შაქრის ნატეხი და ამის შემეშინდა.

დინო ხმას აღარ იღებდა. თვალზე ცრემლი მოსდგომოდა და მთელი არსებით თანაუგრძნობდა მას, ვისაც სულ ცოტა ხნის წინ სასიკვდილოდ იმეტებდა. ახლა ის ყველა მტერს ჩამოფხატული ქუდით ხედავდა, უწყინარი ბავშვის სახით და ვერ გაეგო, როგორ შეიძლებოდა მათი მოკვლა. უცნაურ ადამიანად ეჩვენებოდა ჩიკოც, რომელშიც ვერ ატევდა იმას ყოველივეს, რაც უკანასკნელ ორ დღეში ენახა მისგანვე. მისი შეხედულებით, ის ყველასგან განსხვავდებოდა. საკუთარი თავისგანაც კი, რადგან არანაირ პროგნოზს არ ექვემდებარებოდა და მიუხედავად ამისა, მისი პრინციპები უცვლელი რჩებოდა. სწორედ ამიტომ, უზომოდ უნდოდა მეტი და მეტი გაეგო ჩიკოზე და გვერდიდან არ მოშორებოდა დღეის ამას იქით, რაც არც ისეთ იოლ საქმედ მიაჩნდა, არა ხიფათისა და საფრთხის გამო, არამედ ჩიკოს ხასიათისა, რომელსაც იქნებ სულ სხვა შეხედულება ჰქონოდა მასზე.

კარგა ხანს ვერ მოეფიქრებინა დინოს, ამ უხერხულ ვითარებაში საიდან მოევლო და როგორც იქნა, ბოლოს ისევ პირდაპირ არჩია ეკითხა მისთვის:

– მე? ჩემზეც ასე ფიქრობ, რომ უნდა წავიდე?

– შენ მე თავისუფლება გაჩუქე და შეგიძლია, საითაც გინდა, იქით გასწიო.

– დარჩენა თუ შემიძლია?

– შენი ნებაა.

– რატომ მენდობი? შენ ხომ თითქმის არაფერი იცი ჩემზე.

– შენ? – ღიმილით უპასუხა ჩიკომ.

– რა მე?

– შენ რა იცი ჩემზე.

– გამიგია, რომ რაღაცისთვის იბრძვი. ხარ დაუნდობელი მკვლელი...

ჩიკოს გაეცინა, რაც არსებული ვითარებიდან გამომდინარე, დინოსთვის გაუგებარი და ცოტათი დამაბნეველიც აღმოჩნდა.

– ასე გამოდის, შენ უფრო მენდობი, ვიდრე მე, მაგრამ ეგ არ მიკითხავს. შენ თვითონ რა იცი შენზე?

– მეე... – წაიბორძიკა დინომ, რომელიც უკვე ზედიზედ მეორედ ცდილობდა, გაფანტული აზრებისთვის მოეყარა თავი, და მისდა გასაკვირად, იმაზე მარტივი პასუხი გამოეცხადა თავში, ვიდრე ეგონა, რომ სჭირდებოდა, – ის, რომ ამ ორ დღეში მეტი გავიგე საკუთარ თავზე, ვიდრე მეგონა ვიცოდი. ამიტომ მინდა, შენ გამოგყვე ჩიკო. სიმართლე გითხრა, ბევრი წასასვლელი არც მაქვს და არც მომლოდინე მყავს ვინმე. მშობლები ავადმყოფობას გადაჰყოლიან და უპატრონოდ გავიზარდე თავშესაფარში. ყველაზე კარგი, რაც იქიდან შემრჩა, წერა-კითხვაა. თუმცა ამანაც ისევ თავშესაფარში დამაბრუნა, იმ თავშესაფარში, საიდანაც შენ დამიხსენი. სულ ეს არის ჩემი ოცდაორწლიანი ცხოვრება და შეგიძლია, როგორც გინდა, ისე იფიქრო სანდოობაზე.

– დამშვიდდი, მეგობარო. რაც უნდა იყოს, ერთ ნავში ვზივართ ორივე, თუ გრინგოს მაგალითს გულისხმობ ნდობაში. სხვა მხრივ, ნდობა მხოლოდ მაშინ გჭირდება ადამიანს, როცა შენი სისუსტეები იციან. თუ დაკვირვებიხარ, ახლობელთა უმრავლესობა, როცა შენს სისუსტეს დაანახებ, მაშინვე განუგეშებს და თავზე ხელს გადაგისვამს. მაგრამ ვაითუ, რამე ეწყინათ შენგან და აგერიათ ურთიერთობა. მაშინ იმავე სისუსტეზე დაცინვასა და თავში წამორტყმას დაგიწყებენ. არა მგონია, რამე მსგავსი იცოდე ჩემზე.

– ეს მართლა ასეა. მახსოვს ბავშვობაში, როცა თავშესაფარში ვიყავი და ამხანაგს ვუთხარი, რომ ჭექა-ქუხილის მეშინოდა. რამდენიმე ხნის მერე ვიჩხუბეთ. მეორე დღეს კი, ყველა ბავშვი ჭექა-ქუხილის ხმით მაჯავრებდა.

– სუსტი ადამიანის საქმეა ეს.

– გამოდის, სუსტ ადამიანებს შეუძლიათ, სხვისი სისუსტით ისარგებლონ საკუთარი ყოფის გასაძლიერებლად. თავის მხრივ, ეს სხვა სუსტებიც ხომ იმავეს გააკეთებენ და მაშინ გამოდის, რომ ყველანი სუსტები ვართ?

– ჩქარობ, დინო! არსებობენ როგორც სუსტი ადამიანები თავისი სისუსტეებით, ასევე ძლიერი ადამიანები თავისი სისუსტეებით. სხვანაირად რომ გითხრა, მხდალები და დიდსულოვნები.

– ყველაფერს მივხვდი, – წამოიძახა დინომ რამდენიმეწუთიანი დუმილის შემდეგ, – და, თუ ჩემი დარჩენის პირობას არ შეცვლი, შენს სისუსტესაც გეტყვი, რომელიც დავინახე.

ჩიკომ ცხენი გააჩერა და თავის დაქნევასთან ერთად, დინოსკენ შემოტრიალდა.

– შენ გიყვარს, – მიუხედავად უკუნი სიბნელისა, მისი ხმა ცხადად გამოხატავდა იმ აღტკინებას, რომელიც მისსავე მხურვალე სუნთქვაში გაიყინა.

– ეს სისუსტეა? – თავის თავს უფრო ეკუთვნოდა ეს გაკვირვებული კითხვა, ვიდრე მის თანამოსაუბრეს და მაშინვე დინოზავრები გაახსენდა.

გუ-გუ! – შორიდან გაისმა გუგულის ხმა, თითქოს იძახდა, ვინ იცისო და ისიც დადუმდა, გარინდული მგზავრების მსგავსად, კარგა ხანს რომ უხმოდ გააგრძელეს გზა, სანამ ცხენები ფრუტუნით არ შეჩერდნენ და პატარა ნაკადულს დაეწაფნენ მწყურვალები.

– ამბობ, რომ არ გიცნობ. მესმის, ჯერ ორი დღეა, რაც გაგიცანი, მაგრამ როგორ უნდა გაიგო კაცმა, რა დროა საკმარისი, როცა ბავშვობის მეგობარმაც კი შეიძლება გაგწიროს? – სახის დასველების შემდეგ ისევ გამოცოცხლდა დინო.

– ერთი, – ჩუმად თქვა ჩიკომ.

– ერთი წელიწადი?

– ერთი ცხოვრება!

– ესე იგი, მთელი ცხოვრება?! – შეიცხადა დინომ.

– მთელი ცხოვრება ერთი სიცოცხლეა! ერთი ცხოვრება მხოლოდ მისი ნაწილი, რომელშიც სიცოცხლე უნდა ჩადო, თუ გინდა, რომ შეიგრძნო ის.

– ვერ ვხვდები, რას ამბობ, ჩიკო! თუ ეს სხვადასხვა რამეა, მაშინ ამიხსენი, შენი გაგებით, რას ნიშნავს ერთი ცხოვრება!

– ერთ ფუთ მარილს, სიცოცხლის ხის კენწერომდე რომ მიგიყვანს, თუკი გაუძლებ, სანამ გატკბილდება. ამ ყველაფრის მერე, რწმენით ხუჭავ თვალს, მაგრამ თუ არ გატკბილდა, ასეთმა ერთმა ცხოვრებამ სამუდამოდაც შეიძლება დაგახუჭინოს თვალი.

– ამ ყველაფერზე ნაფიქრი გაქვს, თუ ასე მოგდის თავში.

– ხან ვფიქრობ და მოდის. ხან სულ პირიქით, დინო.

– ახლა? ახლა როგორ ხდება?

– უნდა დავფიქრდე, – გაეღიმა ჩიკოს.

– გრინგოში თუ იყავი დარწმუნებული?

– მე მისი მწამდა.

– ეს ხომ ერთი და იგივეა?

– არა მგონია, ასე რომ იყოს.

– ეგ მაინც როგორ?

– რწმენა უხილავია. დარწმუნებულება კი ხილული. მე მისი მარილის გარეშე ვიწამე და, ალბათ, აქ იყო შეცდომაც.

– ასეთი იმედგაცრუებების თავიდან ასარიდებლად, ხილული ფაქტებით რატომ არ იხელმძღვანელებ შენც? – დინო ისეთი ენთუზიაზმით აყრიდა კითხვებს, თითქოს მისი დაცვა უნდოდაო მომავლის საფრთხეებისგან.

– ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საკუთარ თავში დამალული ძალების ხილვაა რთული, არა თუ სხვისი... და კიდევ იმიტომ, რომ ასე, უტყუარი, ზუსტი ანგარიშებით, ვერაფერს იგრძნობ ადამიანი და როგორც უკვე გითხარი, ვერაფერსაც ჩადებ იმ ცხოვრებაში, არა თუ სიცოცხლეს! – მოულოდნელად გაცხარდა ჩიკო. თითქოს კუთხეში მოემწყვდიათო და თავის დაღწევას ცდილობდა, თუმცა მალევე ინანა თავისი საქციელი და დარცხვენილ თანამგზავრს მხარზე მეგობრულად ჩამოარტყა ხელი, – ცნობისმოყვარეობა კარგია, დინო. ამაში არც მე ჩამოგივარდები. სულ კითხვებს ვუსვამ ჩემზე ჭკვიანებს, ჩემზე ნაკლებად ჭკვიანებს და საკუთარ თავს.

– ნაკლებად ჭკვიანებს? – ისევ გამოაცოცხლეს დინო ჩიკოს სიტყვებმა.

– ჰო, მათაც. ჩემზე ჭკვიანებს ვიწერ, ნაკლებად ჭკვიანებს ვკითხულობ და საკუთარ თავს ვსწავლობ. ასე ვისწავლე ის, რომ რასაც იწამებ, თვალდახუჭული უნდა გაჰყვე თვალის ახელამდე. ეს ჩემი გაკვეთილია, დინო, და ყველას ვერ გამოადგება, ალბათ.

დინოს აღარ უნდოდა ამ ღამის გათენება, რომელიც მათ კამათს დაასრულებდა. აღარ უნდოდა არც ჩიკოსთან განშორება და არც მისი რწმენის საგნად ყოფნა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არც ეს ჰქონდა მოპოვებული. ის ახლა მხოლოდ ერთ ფუთ მარილზე ფიქრობდა, გაღმაც რომ გაჰყვებოდა ამ წუთში ჩიკოსთვის.

– მარილის მერე რა გამოვდივართ ერთმანეთის? – გაუბედავად იკითხა გადამწყვეტი კითხვა.

– დატკბობის შემთხვევაში – სიცოცხლის ნაწილი, ისე კი – ცხოვრების, – თითქოს მზად ჰქონდაო პასუხი, ისე უპასუხა ჩიკომ, ცხენი შეაყენა და ძირს ჩამოხტა, – ხედავ, დინო, იმ სოფელს, ორ მთას შუა რომ არის? იქ გავიზარდე. მის უკან მთასაც ხომ ხედავ, მწვერვალების ქვეშ? იმ მთაში ჩვენი სოფლის მწყემსი უნდა იყოს ახლა. კაი კაცია და ის დაგვეხმარება ჩემს მეგობრებთან შეხვედრაში. გათენებამდე უნდა მივასწროთ, ვინმემ რომ არ შეგვამჩნიოს.

* *

რამდენიმე დღეში, სავსე მთვარის შუქით განათებულ მთის კალთის უსწორმასწორო ზედაპირზე, ლაღად მიიკლაკნებოდა ორ ცხენზე ამხედრებული ჩრდილი, ხან რომ გოლიათს ემსგავსებოდა და ხან ქონდრისკაცს. მალე მათ მესამე შეუერთდათ, მერე მეოთხე და გარიჟრაჟისკენ, უკვე შვიდი ჩრდილი მისდევდა თავ-თავის პატრონს, ვიდრე ტყეში შეიჭრებოდნენ და ისინიც გაქრნენ. სამაგიეროდ, გაჩნდა პური და ღვინო, ნაცნობი ხეების ქვეშ. სიხარული და ინტერესი თანამიმდევრობით ტრიალებდნენ სუფრის ირგვლივ, სანამ სიხარულმა არ დაასრულა სხვადასხვა შეძახილით და დრო მთლიანად ინტერესს დაუთმო.

– აწი რა გეგმები გაქვს, ჩიკო? როგორ აპირებ გაგრძელებას? – იკითხა ბერიონმა.

– რას აპირებს, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, – ჩიკოს ნაცვლად ბერიონს კუშემ უპასუხა, ერთგვარი ნიშნის მოგებით, ისე რომ, თავი არც მიუბრუნებია მისკენ, – გამცემი უნდა იპოვოს. ამიტომაც დაგვიბარა, ალბათ, ცალ-ცალკე. მაგრამ მე ეს მესმის, ჩიკო, – ხმამაღლა და თავაწეულმა თქვა ბოლო სიტყვები, თითქოს რაღაცამ შეაწუხა შინაგანადო.

– გამყიდველი გრინგოა. თქვენამდე ვნახე ის! – ყველამ ერთმანეთს გადახედა განცვიფრებული მზერით და ყველას

ერთი კითხვა გაუჩნდა თავში, – ცალ-ცალკე დაბარებას რაც შეეხება, სხვადასხვა დროსა და ადგილზე, სიფრთხილემ გამაკეთებინა ასე, მაგრამ უფრო თქვენზე გაფრთხილებამ, ვიდრე საკუთარ თავზე. ერთად უფრო შესამჩნევი იქნებოდით სოფლის თვალში და ადვილი მისახვედრიც იქნებოდა თქვენი თავშეყრის მიზეზი. მომავალზე დიდი არჩევანი არ მაქვს დარჩენილი. ერთია აქედან საჩემო და იმ ერთს გავყვები, რომელმაც აქამდე მომიყვანა.

– გრინგო სად არის? – იკითხა სამმა.

– გავუშვი.

– არ უნდა გაგეშვა. – დამწუხრებული ხმით უპასუხა ხუთმა და ოთხს გადახედა, – შენ რას ფიქრობ, ან სხვები რა აზრის ხართ?

ხმა არავის ამოუღია და ჩიკოც მიხვდა, რისი ნიშანიც იყო ეს, სანამ კუშემ არ განაგრძო.

– რაც მოხდა, მოხდა. წარსულს ვერ შევცვლით და მომავალზე ვილაპარაკოთ. მე ვფიქრობ, ჩიკო, შენთვისაც და ჩვენთვისაც უკეთესი იქნებოდა, პატორში გადასულიყავი დროებით. იქ არავინ შეგეხება და აქაც დაავიწყდები ხალხს. ხუთი წელიწადი გადის, რაც ეს საქმე წამოვიწყეთ, მაგრამ კი ხედავ, რასაც მივაღწიეთ ამით. მამაჩვენების დროს სულ სხვა განწყობა იყო. ჯერ მთელი ქვეყანა, მერე კი მთელი სვიფი იბრძოდა მათ წინააღმდეგ და მაინც დამარცხდნენ. ეს ექვსი კაცი რას უნდა გავხდეთ?! დღეს ჩვენი ხალხის უმრავლესობაც შეეგუა ამ ყველაფერს. მეტიც, უმეტესობა დასაქმებულია, თანამდებობაზეა და ძალიანაც მოსწონთ ჩვენი დამპყრობლები, როგორ ცუდადაც უნდა ჟღერდეს ეს. თუ ის ოცი წლის წინ დამპყრობელი იყო, ახლა მოძმე სახელმწიფოს ეძახის ბევრი და ამის შეცვლა შეუძლებელია. თითოეულ ჩვენს ოჯახს დააჩნდა მათგან იარა, მაგრამ იცი, რას ამბობენ ისინი დღეს? რომ წუხან მათ წინამორბედებზე, რომლებმაც უსისხლოდ ვერ შეძლეს ჩვენი ქვეყნების დაძ-

მობილება. მე ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ გრძნობებს ავყევი. არა! უბრალოდ ეს დღევანდელი რეალობაა, რასაც ხალხი ტაშს უკრავს.

ჩიკო თითქოს უცხოდ გრძნობდა თავს მისივე ბავშვობის მეგობრებთან. არადა, დიდი დრო არც გასულიყო, რაც მათ დააშორეს. სულ რაღაც ერთი თვე, ან ცოტა მეტი. მაშინ რა უნდა მომხდარიყო? ნუთუ მხოლოდ გარემოებას შეეძლო ასეთი უხილავი კედლის აღმართვა? ასე იყო თუ ისე, საკითხი ამგვარად წამოიჭრა და აქვე უნდა გადაჭრილიყო.

– თავიდანვე ვიკითხავ, გაურკვევლობა რომ ავიცილო თავიდან. ყველა ეთანხმებით კუშეს? – იკითხა ჩიკომ და მეგობრებს გადაავლო თვალი.

– მე ვხედავ სიკეთეს მის აზრში, მაგრამ საბოლოოდ ხელის ჩაქნევასაც არ ვეთანხმები. – თქვა სამმა.

– ჩემს დაჭერამდე თუ ჰქონდა აზრი ამ ყველაფერს, ასე უცებ რამ შეატრიალა ვითარება? – ისევ იკითხა ჩიკომ.

– მაშინ არავინ იცოდა შენი ვინაობა, – ისევ კუშემ ითავა პასუხი, – დღეს იციან და ხვალ ჩვენზეც გაიგებენ, თუ არ მოვისვენებთ.

– როცა ტყვიაზე მივდიოდით, მაშინაც ფიქრობდი ამაზე, კუშე?

– არა! მაშინ არ მიფიქრია, მაგრამ იმან, რაც დღეს გავიგე, ამაზეც დამაფიქრა. დედაშენი შუაღამით წაუყვანიათ. არავის გაუგია სოფელში, ისე ჩუმად მოხდა ეს. რას აბრალებენ, ჯერ არავინ იცის. იქნება დაკითხონ და გამოუშვან კიდეც, უფლის შეწევნით. ახლა ხომ ხვდები, რატომაც ვფიქრობ ასე!

ჩიკოს თვალები სისხლით აევსო. უნდოდა მთელი ხმით ეღრიალა, მაგრამ დედის წარბშეუხრელი სახე წარმოუდგა თვალწინ, როცა ხელებშეკრული მიჰყავდათ სახლიდან და ხმა ყელშივე ჩაუწყდა.

– ყველაფერი გასაგებია. ვითარება შეიცვალა და მიდგომაც სხვანაირია საჭირო. აღარ ჩავერევი მე თქვენს გადაწყვეტილებაში და ნურც თქვენ გადაწყვეტთ, სად წავიდე და რა გავაკეთო. განა თვითონ არ ვიცი, რომ ერთი კაცის უბედურება სჯობს, შვიდი კაცის უბედურებას? მაგრამ ქვეყნის უბედურება რამდენზე გადის, ეს კი აღარ დამითვლია.

– ჩვენ თვითონ ვიუბედურებთ თავს. ქვეყანა აღარაა უბედური, თუ ხედავთ. ეს კი არა, ხალხი ლოცავს კიდეც მათ, – საუბარში ჩაერია ხუთი.

– ღმერთის აკრძალვას აპირებენო, ამბობენ და ვისი სახელით ლოცავენ, ნეტა? – ჩიკო ოდნავ ჩაფიქრდა და დაამატა, – თუმცა, როცა ლოცვა აღარაა საჭირო, ხალხიც ბედნიერია.

– არც შენ ყოფილხარ აქამდე მუხლებგადატყავებული მლოცველი, – უკმაყოფილო სახით წამოენთო კუშე.

– მუხლების გადატყავება არ არის მარტო ლოცვა. მთავარი ისაა, რა გზაზე გატარებენ ეს მუხლები.

– არაა არცერთი გზა, გამარჯვებამდე რომ მიდიოდეს და ასე, მარტო ახირებისთვის არ ღირს ჩვენი ოჯახების ამოწყვეტა. ან დედაშენმა რა დააშავა? შენ გამო ციხეში მოხვდა, ესეც არ არის საკმარისი? კიდევ რამდენი ადამიანი უნდა შეჭამოს შენმა ახირებულმა ბრძოლამ? ყველაფერს აქვს თავისი დასასრული ბოლოს და ბოლოს! – უკვე სიბრალულით ცდილობდა შეხებოდა ჩიკოს გრძნობებს კუშე, პირჯვრის გადასაწერად გამზადებულ სამ თითში რომ შეეკრა თითქოს მთელი მისი წუხილი და ზევით-ქვევით იქნევდა ჩიკოსკენ გაშვერილ ხელს.

ჩიკოს ეს სიტყვები ხანჯალივით ჩაესო გულში, თვალთმაქცობით რომ ჰქონდათ ალესილი ერთი პირი, მეორე კი – სიმართლით. საშინლად სტკიოდა, მაგრამ ხელი არ მიუდიოდა, კეთილდღეობის თვლებით ნაჭედ ტარზე. ასე უნდა ეტარებინა ის, ვიდრე დედას იხსნიდა, სამშობლოს იხსნიდა და მერე, პატრონსვე დაუბრუნებდა უკვე დაჟანგულ ფოლადს. გული წყდებოდა, მაინცდამაინც ახლა რომ მოუწია

მარტოს გაგრძელება, დედა რომ ჰყავდა საშველი, როცა ასობით უცხო გამოუხსნია მეგობრებთან ერთად მანამდე. თხოვნაც კი არ შეეძლო, ხანჯლის გადამკიდე და მძიმედ ამოიოხრა. აღარაფერია აქ სალაპარაკოო, – გაიფიქრა, ფეხზე წამოდგა და უკვე გაუცხოებულ მეგობრებს მოავლო თვალი.

– მამებმა გაიმარჯვეს, ბიჭებო! ახლა კი, ჩემი წასვლის დროა, – თქვა ჩუმად და ის იყო, შეტრიალდა, რომ უკნიდან ისევ კუშემ მიაძახა:

– რაღაც ადვილად შორდები ხალხს ბოლო ხანებში.

ჩიკო ადგილზე შემობრუნდა და უკვე ფეხზე წამომდგარი, კუშეს ირონიულ მზერას გაუსწორდა:

– არა ხარ მართალი, – თითქოს უწყინარი ხმით თქვა ისე, რომ თვალი არ მოუშორებია კუშესთვის.

– რა არის სიმართლე, შენ გვითხარი მაშინ, ყველაფერს სიმართლით რომ ნათლავ! გრინგო გავუშვიო, ასე რომ გვახარე! სად გაუშვი ან რა პირობით, ის მაინც გაგვაგებინე, ადამიანო! ჩვენზეც რომ დაამღეროს, მერე როგორი იქნება შენი სამართალი?!

– ჯერ შენ მითხარი, შენი სამართალი როგორი იქნება, შენი სიტყვები თუ გამართლდა?

– როგორი და ის შენი მოსაკლავი გახდება, შენ კი ჩვენი! – თითქმის ყვიროდა კუშე.

– ამჯერად მართალი ხარ, – თქვა ჩიკომ და თვალი მოაშორა.

ყველა ჩუმად იჯდა და ისმენდა, ამ გულის სიღრმეში წიხლით შესულ ლაპარაკს, რომელშიც ცხადი იყო, მიკიბ-მოკიბული სიტყვა ადგილს ვერ დაიდებდა, ხოლო პირდაპირ თქმა იმისა, რასაც გრძნობდნენ, ყველას უჭირდა. მხოლოდ ბერიონი იყო, ვისაც ხმა არ ამოეღო აქამდე. ახლა კი, ჩიკოს გაყოლა გადაეწყვიტა დაჟინებით, რაზეც მეგობრების გაკიცხვა დაიმსახურა, როგორც მათთვის საფრთხის მომტანმა. ისინი ჯერ ისევ კამათობდნენ, როცა ჩიკო იქაურობას გაშორდა.

8

მეორე ღამეს ჩიკო უკვე ქალაქში იყო. ქალაქში, რომელშიც ორი უძვირფასესი არსება ეგულებოდა, დედა და სიყვარული. ერთი რომ მის გამო დაეტყვევებინათ, მეორისგან კი თავად იყო ტყვედ და ახლა, მას ერთის გათავისუფლება, ხოლო მეორის სამუდამოდ დატყვევება გადაეწყვიტა. ორივეს უნდა გაეგო ეს მისთვის, მაგრამ როგორ, თვითონაც არ იცოდა. რა სიტყვებით აეხსნა ის, რისი გაგებაც არ შეიძლებოდა. იქნებ საერთოდ არ ეთქვა არაფერი? მაგრამ, ეს უსამართლობა იქნებოდა და სხვა რომ არაფერი, ბელა ხომ ისედაც უნდა ენახა. იქნებ ბაზიმ მხოლოდ მის გადასარჩენად გამოიგონა ბელას სიყვარული და მაშინ ბედნიერიც კი იქნებოდა ამ გამონაგონით. ბაზი იყო ახლა ერთადერთი იმედი. გუშინ თუ უნდოდა, რომ ეს მართალი ყოფილიყო, ახლა ეს სიმართლე ყველაზე დიდ სასჯელად მოვლენოდა მას.

ვიდრე ჩიკო ამ საფიქრალს მისცემოდა, ბელას სახლში გუგულმა მეთერთმეტედ გამოყო თავი კედლის საათიდან, თუმცა ის არავის შეუმჩნევია.

– არ მესმის, მაინც როგორ გაიქცა ის წყეული? – ერთსა და იმავეს იმეორებდა ბელას დედა, ხელებით რომ გაზეთს ჩაფრენოდა, რომელშიც დედაშვილის სურათი დაებეჭდათ!

– მთელი ქალაქი მისი სურათებით არის აჭრელებული. დღეს თუ ხვალ დაიჭერენ და მაინც არ ასცდება სასჯელი, – ამშვიდებდა დედას ბელას და, რომელიც ფანჯარასთან იდგა და ლამპიონებით განათებულ, ხალხმრავალ ქუჩას გაჰყურებდა.

ბელა სავარძელში იჯდა და ფანქარს გაურკვეველად დაატარებდა ფურცელზე, როცა მისი დის სიტყვებმა გააღიზიანა და დაუფიქრებლად შეეპასუხა, – სასჯელი არ არის დედის დაპატიმრება?

– მამაჩვენი მიწაში წევს ბელა, – მკაცრად გამოხედა დამ და თავი გააქნია უკმაყოფილოდ.

– ხომ სულ ამბობდი, ცოტაც და, პოლიციას თავს დავანებებო. აი, დაანებე კიდეც, შე უბედურო, – დაიკვნესა დედამისმა, ახლა უკვე კარადაზე მოთავსებულ სურათს რომ შეჰყურებდა საწყალი თვალებით, რა დროსაც კარზე ზარმა დარეკა.

ბელა ოთახიდან გავიდა, კარი გამოაღო და ადგილზე გაქვავდა.

– შენ? აქ? – ხმის კანკალით წარმოთქვა ეს ორი ყოვლისმომცველი სიტყვა და მერე მოხდა ისეთი რამ, რასაც ჩიკო ყველაზე ნაკლებად ისურვებდა. ბელა ორივე ხელით კისერზე შემოეხვია, თითქოს უნებურად, ისე, ადამიანი რომ უნდა დაეცეს და რამეს ჩაეჭიდება საშველად. ხელებით სთხოვდა, ასე, კისერზე ჩამოკიდებული, გაეტაცა იგი, როგორც მხსნელს მძევალი, როგორც უდაბნოს სამუმი, ან სულაც, ანტარქტიდის ქარბუქს ქვიშისა თუ ყინულის მტვერი. ოღონდ დაექროლა და მათსავით გაეფანტა მისი ჩაკირული აზრები, სანამ ისევ ერთ კუთხეში მიყრიდა, პატარა, უსულო გორად. იქ კი, კირში გაცოცხლდებოდა, ფიფქში გაცოცხლდებოდა და ისევ თავისით ივლიდა, ამაყად და თავაწეულად ჩიკოს გვერდით, რომელიც ყველაფერს გრძნობდა. სამუდამოდ ჩაჭიდებულ ხელებს გრძნობდა და სისხლი ეყინებოდა ძარღვებში, როცა კისერზე სითბო შეეხო, მერე მეორე სითბო იგრძნო, მესამე და ბელა აქვითინდა.

– ვინ არის, ბელა? – ოთახიდან გამოსულმა დედის ხმამ ბელა მაშინვე გონს მოიყვანა.

– არ შეიძლება, რომ დაგინახონ, – დაბნეული ჩურჩულებდა ბელა, – არც მე უნდა მნახონ ასე, მაგრამ შენ, შენ არ შეიძლება... ქვემოთ დამელოდე, არსად წახვიდე. აუცილებლად ჩამოვალ, ოღონდ გარეთ ნუ გახვალ. ჩემს ჩამოსვლამდე არ გახვიდე. შემპირდი, – ტუჩების თრთოლვით, ძლივს მოახერხა ამის თქმა, ცრემლები შეიმშრალა და ის

იყო, შეტრიალდა, რომ იმ წამსვე შეშლილივით შემობრუნდა, კარი გამოიჯახუნა და ჩიკოზე ხელჩაკიდებული, კიბეზე დაეშვა თავაწყვეტით.

ცოტა ხანში ბულვარიდან მოშორებით, ზღვის პირას ისხდნენ განმარტოებულები.

– გიკვირს ხომ, ჩიკო? ვიცი, არ გესმის, როგორ ვაკეთებ ამას. მე კი მესმის შენი, ყველაფერი მესმის, მიუხედავად იმისა, რომ მამა მომიკალი. ალბათ, ძალიან ძლიერი გგონივარ, მაგრამ დამიჯერე, ასე არ არის. ვერანაირი ძალა ვერ ვიპოვე ვერც ჩემში და ვერც ჩემ გარეთ ერთი რამის დასაძლევად. მიყვარხარ, ჩიკო, და მხოლოდ ეს არის პასუხი ყველა კითხვაზე. ძალიან მიჭირს საკუთარ თავში გარკვევა, როცა ჩემს აცრემლებულ დედას ვხედავ, როგორ ეფერება მამის სურათს და როგორ გწყევლის შენ. იმ წუთებში თავი მეზიზღება, შენ რომ მიყვარხარ... გესმის, რა არის ეს? მაგრამ მე ხომ მანამდე შეგიყვარე, სანამ მომიკლავდი?! შენც ხომ არ იცოდი, ვის კლავდი! ნუთუ ეს რამეს ცვლის, ჩიკო? მითხარი რამე, ნუ ხარ ჩუმად. მე ხომ არავისთან შემიძლია ამაზე ლაპარაკი, შენ გარდა და რომ იცოდე, რა ბედნიერი ვარ ახლა, ჩემ გვერდით რომ ხარ. როცა ბაზიმ მითხრა, გაიქცევაო, ვერ წარმომედგინა, რომ ეს მართლა მოხდებოდა. შემპირდი, რომ აღარასოდეს მიმატოვებ, რომ არასოდეს მოხვდები იქ, – ბელა უმწეო ბავშვივით გაჩუმდა და თითქოს გამოსავალი იპოვაო, შესძახა, – აქედან უნდა წავიდეთ. პატორში უნდა წავიდეთ და ვერავინ მოგვწვდება. ხომ წავალთ, ჩიკო? მითხარი, ხომ წავალთ...

– რა არის სიყვარული, ბელა? მხოლოდ ტკივილი? – მუხლებში თავჩარგულმა იკითხა ჩიკომ.

– არა, რატომ მარტო ტკივილი? სიხარულიცაა, ამბობენ.

– ორივე ერთად? შენთვის რა არის ის?

– ორივე? მარტო ორი? ჩემთვის ეს ყველაფერია. შენ ჩემი ყველაფერი ხარ, ჩიკო.

– ტყუი! მე შენთვის მხოლოდ ტკივილი ვარ.

– ესეც ჩიკო, მაგრამ ესეც ხომ ყველაფრის ნაწილია.

– არ ვარ შენი სიყვარულის ღირსი. ერთ რამეს გეტყვი და უნდა დამივიწყო, როგორც საყვარელი ადამიანი. როგორც მამის მკვლელი გახსოვდე, სჯობს შენთვის.

– რას მეტყვი, ჩიკო?! – ადგილზე შეკრთა ბელა და ძალაუნებურად, ხელი გაუშვა ჩიკოს.

– უნდა ჩავბარდე, – ყინულის ნატეხივით ამოაგდო ორი სიტყვა და თვითონაც გაიყინა.

– რაა? ჩაბბ... – ენა ჩაუვარდა ბელას, – რატომ? რისთვის? იმისთვის მნახე, რომ ხელმეორედ მოგეკალი?

– დედაჩემი დააპატიმრეს და ყველაფერი დამთავრდა.

– მერე შენი მისვლა უშველის განა? ეს არაფერს არ შეცვლის, ჩიკო. რასაც არ ეშველება, არ ეშველება, ისევე როგორც მამაჩემს!

– აღარ გააგრძელო! – იყვირა ჩიკომ, – დედაჩემი ციხეშია და ჩემში გაცვლიან. ამაში გაზეთები დამეხმარებიან. როცა პირობაზე წამოვლენ და თვითონაც გაზეთებით დაადასტურებენ, მაშინ ჩავბარდები.

ბელა აქვითინდა და ჩიკო ისევ უდიდესი დილემის წინაშე აღმოჩნდა – ენუგეშებინა საყვარელი ადამიანი და ამით სამუდამოდ დარჩენილიყო მის გულში, თუ გული ეტკინა და ამოეგლიჯა საკუთარი თავი მისი მკერდიდან. ბოლოს უკანასკნელი ამჯობინა და უხმოდ დატოვა მოტირალი. ყოველი ნაბიჯი სულ უფრო მეტად ასუსტებდა ჩიკოს, მაშინ, როდესაც ბელაში – პირიქით, გადარეულ ძალას აღვიძებდა და როდესაც ფეხის ხმა უკვე საერთოდ გაქრა, თითქოს ქვეყანაზე არსებულმა ყველა განგაშის ზარმა ერთად დარეკეს მის თავში. ფეხზე წამოხტა და მის ხმას გაჰყვა. როდესაც ბაზის კარზე დარეკა ზარი, ის მხოლოდ ინსტინქტებით მოქმედებდა. კარი მოახლემ გაუღო და ერთი წუთის შემდეგ ის ბაზის სამუშაო ოთახში, მის პირისპირ იჯდა სავარძელში. წიგნებით სავსე კედელს უცქერდა და ფიქრობდა,

ნეტა რომელიმე მათგანში თუ ეწერებოდა მისი ცხოვრების მსგავსი ამბავი. მაშინვე ჩამოიღებდა, წაიკითხავდა და გამოსავალს იპოვიდა... მაგრამ ახლა ამის დრო არ ჰქონდა და თანაც, არც აქ და არც სამყაროს დანარჩენ ბიბლიოთეკებში არ ეგულებოდა ასეთი წიგნი. მისი წიგნიც და გამოსავალიც ახლა მის წინ იჯდა და დრო აღარ უნდა დაეკარგა.

– რამ შეგაწუხა ბელა ასე გვიან? – ლაპარაკის დაწყება ბაზიმ დაასწრო, რომელმაც შეატყო ფარული შფოთი მოულოდნელ სტუმარს.

– გთხოვ, მიზეზს ნუ მკითხავ, როცა ჩემს სათხოვარს მოისმენ. გეტყვი ერთს, რომ ამას ჩიკოსთვის ვაკეთებ. დანარჩენს მოგვიანებით თვითონ მიხვდები. და კიდევ ერთი. ამის შესახებ არასოდეს არავინ არ უნდა გაიგოს. პირველ რიგში, კი ჩიკომ. თუ შეგიძლია ამ პირობით გამიწიო დახმარება, მაშინ საქმეზე გადავიდეთ.

– არაფერი მესმის, ბელა. ჩიკომ გნახა? მოხდა რამე? – დაბნეულად მიაყარა კითხვები ბაზიმ.

– დედამისი დაუპატიმრებიათ, – მოკლედ მოუჭრა ბელამ.

– ეს მეც ვიცი და საგონებელში ვარ, მაგრამ ჯერჯეროობით გამოსავალი არ არსებობს. ჩიკოს გაქცევამ სულ გაამხეცათ. არავინ იცის, რა ბედი ელის საწყალ ქალს.

– მე ვიცი, მე ვიცი, ბაზი! ოღონდ ახლა ნურაფერს მკითხავ. უნდა დამეხმარო, სანამ უბედურება არ დატრიალებულა.

მომდევნო ღამით, ქალაქს მართლაც დაატყდა თავს უბედურება, მოულოდნელი შტორმის სახით და არნახულ ზარალთან ერთად, რამდენიმე ადამიანიც იმსხვერპლა. მომხდარის ფონზე, ამარას ამბავი შეიძლება არც არავის გახსენებოდა, რომ არა დილით, მმართველისთვის ფრიად არასასიამოვნო ორი სხვადასხვა ამბით აჭრელებული გაზეთები, რომლებიც ციხეში ამარას უეცარ გარდაცვალებას და ჩიკოს ჩაბარების ულტიმატუმს ერთდროულად იუწყებოდნენ.

ეს თავზარდამცემი ამბავი ჩიკომ ტყეში, ქალაქიდან დაბრუნებული დინოსგან გაიგო, გაზეთის მოსატანად რომ წასულიყო დილაადრიან. ამ ტყეს არასოდეს, არცერთი ნადირისგან არ სმენია ისეთი შემზარავი ღრიალის ხმა, როგორიც მაშინ გაიგონა. ჩიკოს კი, არაფრის მოსმენა არ უნდოდა, თუმცა კოდალა, რომელიც სადღაც გაუჩერებლად უკაკუნებდა ხეს, ახლა ჩიკოს მხარზე შემომჯდარიყო თითქოს და ტვინს უხვრეტდა უმოწყალო კითხვებით: თავი გადაირჩინე, დედა კი მოკალი? ეს არის შენი ბრძოლა? თავი გადაირჩინე, დედა კი მოკალი? ისევ შურს იძიებ? კიდევ დაგრჩა ვინმე, ხვალ რომ წაგართვან? დედა მოგიკლეს, შენ კი მომავალზე ფიქრობ? თავს მოიკლავ? შურს ვინ იძიებს? თავი გადაირჩინე, დედა კი მოკალი?! ჩიკომ ისევ დაიღრიალა მიწაზე დამხობილმა და კოდალაც გაქრა. ის უკვე ზურგზე იწვა და უაზროდ მიშტერებოდა ნაძვის ტოტებით დაქუცმაცებულ თეთრ მთვარეს. საკუთარ თავსაც ასე დაქუცმაცებულად გრძნობდა, ათას ნაწილად, ყველა სხვადასხვა მხარეს რომ ცდილობდა გაქცევას და წარმოუდგენელი იყო ახლა მათი შეჩერება. უნდა გაეშვა და მარტო დარჩენილიყო, საკუთარი თავისგანაც კი. ასე მხოლოდ სული დარჩებოდა და სადმე აუცილებლად იპოვიდა დედას, სულის სახით გულში რომ ჩაეკრა და პატიება ეთხოვა. თვალები დახუჭა და ათასივე ნაწილი ერთად დაესხა თავს.

– ისევ მოხვედი, ხელო? – ჩიკომ თითქოს დროულადაც ჩათვალა მისი გამოჩენა ახლა, ამ წუთას და თვალის გახელა არც უფიქრია, – არ შეგეწინააღმდეგები, განაგრძე. ხედავ? აღარ გაგირბივარ ადრინდელივით. დამცინი, არა? ხელი აგიკანკალდა? რატომ არ ისვრი?! ისროლე და აქედან მოშორდი! – ხელი მაშინვე გაქრა, ის კი, უკვე ნახევრად მძინარე მილეული ხმით იმეორებდა, – მოშორდი, მოშორდი.

ჩასძინებოდა ციხის უფროსსაც, თავის სამუშაო ოთახში, საწერ მაგიდაზე რომ ჩამოედო თავი და ყოველ ამოსუნთქვაზე ტუჩებით უსტვენდა. ის კარზე კაკუნმა გააღვიძა

და კიდევ უფრო გამოფხიზლდა, როცა მოახსენეს, რომ მმართველი იბარებდა თავისთან. საათს გახედა. უკვე პირველი გამხდარიყო და სანუგეშო ვერაფერი გაიფიქრა. ოთახის კარი გაიჯახუნა და მთელი გზა მოსალოდნელ კითხვებზე ფიქრობდა, რომლებსაც უხვად მოაყრიდნენ. მმართველი მარტო არ დახვედრია. პირველი პოლიციელი და პროკურორიც მის გვერდით ისხდნენ სავარძლებში, მრგვალი მაგიდის ირგვლივ და გაშმაგებით ლაპარაკობდნენ მნიშვნელოვან საკითხზე.

– აი, ისიც მობრძანდა, – ირონიულად თქვა მმართველმა და ხელით სავარძელი გამოუჩოჩა.

– რას იტყვით მომხდარზე? ეს შტორმი არ გვეყოფოდა, მისი სიკვდილიც რომ არ დაგვტყდომოდა თავზე? – ზედმეტად უკმაყოფილო ტონით განაგრძო მან ლაპარაკი.

– რით ახსნით, რომ თქვენს ციხეში კვდება ის ადამიანი, რომელიც ცოცხალია საჭირო და ცოცხალია ის, ვინც ყველა გათვლებით იმქვეყნად უნდა იყოს? რა ეშმაკის ხელით ხდება ასეთი ამოუცნობი მოვლენები, გაგვაგებინებთ თუ არა, ბოლოს და ბოლოს?! – ყვირილით თქვა ბოლო სიტყვები და გაზეთი, რომელიც ხელში ეჭირა, მაგიდაზე მოისროლა.

– სრულიად გაუგებარია ჩემთვისაც, ბატონო მმართველო! ავადმყოფობით არ უავადმყოფია, მაგრამ ერთი კია, საჭმელს არ ჭამდა, არაფრის დიდებით და ამიტომ, წინა საღამოს მონაზონი მივუყვანეთ, ხელი რომ აეღებინებინა ამ განზრახვაზე და ესეც იმიტომ ჩავთვალე სწორად, რომ თითქმის მთელ დღეებს ლოცვაში ატარებდა. ამან შედეგიც გამოიღო და იმ საღამოს ივახშმა კიდეც. მერე ისევ ილოცა და დაიძინა. წუხელ, გუშაგი მთელი ღამე არ მოშორებია საკანის კარს და მისი ცუდად გახდომის მსგავსი არაფერი შეუმჩნევია. ამბობს, მთელი ღამე ხმა არ ამოუღია და არც საშველად დაუძახია ჩემთვისო. ექიმიც ადასტურებს, რომ ეს ასე იქნებოდა, რადგან მისი თქმით, სიკვდილი უეცარი

იყო და ის ნერვიულობის ნიადაგზე, გულის გახეთქვამ გამოიწვია. ასეთი რამის თავიდან აცილება შეუძლებელია, ბატონო მმართველო. არ იფიქროთ, ამას თავის გასამართლებლად ვლაპარაკობდე. უბრალოდ, ისე მიჰყვა ერთმანეთს ეს უცნაური დამთხვევები, რომ აღარც კი ვიცი, რას მივაწერო.

– საკმარისია! ასეა თუ ისე, ეს ბოლო სასწაული უნდა იყოს, რომელიც იმ ეშმაკის მოციქულს ეხმარება გამოუვალი მდგომარეობიდან გამოძრომაში. შეხედეთ ამას, – თქვა მან და თავით გაზეთისკენ მიანიშნა, – გუშინ გამთენიისას იმ უხსენებელმა პრესაში წერილები დააგზავნა, იმის სათქმელად, რომ ჩაგვბარდებოდა, თუკი დედამისს გავათავისუფლებდით. დღეს უკვე პასუხი უნდა დაგვებეჭდა გარანტიების მისაცემად და აი, ასეთი მარცხი მოგვივიდა. სულ ერთი დღეღა უნდა გაეძლო იმ კუდიანს და ყველაფერი მორჩენილი იყო. ამის ნაცვლად, მაინცდამაინც მაშინ უგრძნო გულმა და გაუსკდა. არ გამოგვექვეყნებინა მაინც მისი პირობის მოთხოვნა. ახლა ის ხალხის თვალში გმირია, ჩვენ კი ჯალათები. ასეც იძახის თურმე ზოგი, იმიტომ მოკლეს დედამისი, ჩიკოს ჭკუაზე რომ არ მოსვლოდათ გავლაო. მას ხომ დღეს თუ ხვალ მაინც დაიჭერენო. დასწყევლოს ეშმაკმა, მაინც მომიხდა იმ შეჩვენებულის ხსენება, თუმცა, თუ დროზე არ მოვუღეთ მას ბოლო, ალბათ, სიზმარშიც გამომეცხადება მალე. პროპაგანდის სამსახურს დავავალე, ის ქალი პატივით დაკრძალონ და ყველა გაზეთში დაწერონ, რომ დედა სწორედ საკუთარი შვილის გაზეთის ამბავმა იმსხვერპლა, რომელიც ვითომდა გუშაგისგან შეიტყო. გუშაგს სამაგალითოდ დავსჯით ხალხის დასანახად. ასეა საჭირო. ეს ცოტათი გამოასწორებს ვითარებას. ახლა კი, მომავალ სამოქმედო გეგმაზე უნდა ჩამოვყალიბდეთ, რომლის მოფიქრებაც პოლკოვნიკ ობურს დავავალე და მინდა თქვენც მოისმინოთ მისი მოსაზრება. მისი აზრით, უხსენებელის დაჭერა ჯერ გაგვიჭირდება, რადგან არსად ჩანს და თაგვივით იმალება სოროში. აი, მეგობრები კი, სახლებში

სხედან, ვითომც არაფერიო და მათი აყვანა არ გაჭირდება. ბატონი ობური ჭკვიანი კაცია. ვნახოთ, რას გამოიგონებს ამჯერად ამ ყველაფრის სარჩულად და განსახორციელებლად. თქვენს ციხეს რაც შეეხება, იმ პერიოდისთვის, როცა მათ დავიჭერთ, ოცდაათი კაცით გავაძლიერებთ და ახალ თანაშემწესაც გამოგიგზავნით. იმედს ვიტოვებ, ციხის სიურპრიზები ამით დასრულდება.

ციხის უფროსს თანაშემწის ხსენება არ ესიამოვნა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავი მორჩილად დააქნია, რა დროსაც ოთახში ობური შემოვიდა და პირველი პოლიციელის გვერდის ავლით, პირდაპირ მმართველთან გაჩერდა მოსახსენებლად, თუმცა მას პროკურორმა დაასწრო მოულოდნელად, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩაფიქრებული იყურებოდა.

– იქნებ მართლა გაზეთის შესახებ გაიგო იმ კუდიანმა და რამე მოუწია თავს, ან სულაც ნერვიულობას გადაჰყვა? – ეჭვის თვალით იკითხა მან, რასაც მაშინვე აჰყვნენ მმართველის თვალებიც.

– ვისგან უნდა გაეგო გაზეთის ამბავი? – უმალვე შეიცხადა ციხის უფროსმა, – გგონიათ, ჩემმა გუშაგებმა მართლა იციან წერა-კითხვა?

– ეს მოყოლითაც შეიძლება, მაგრამ გუშაგებს თავადაც გამოვრიცხავ. მაგალითად, თქვენ რომ მონაზონი ახსენეთ...

– ოჰ, რა აბსურდია, – სიტყვა არ დაამთავრებინა ციხის უფროსმა, – გაზეთი გუშინ გამოიცა, მონაზონი კი, გუშინწინ საღამოს მივუყვანეთ მას. სხვა, კაციშვილი არ შესულა მასთან ჩემ გარდა. თუ მეც სამაგალითო სიაში გყავართ... – ორაზროვნად თქვა ციხის უფროსმა და მხრები აიჩეჩა.

– ბატონო მმართველო, სამოქმედო გეგმის ვერსია შემუშავებულია და მზად ვარ, გაგაცნოთ, – დრო იხელთა ობურმა, როგორც კი უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

– სიამოვნებით მოგისმენთ, – მმართველი შეყოვნდა და დამსწრეებს გადაავლო თვალი, – თუ ციხის უფროსთან

არ აქვს ვინმეს შეკითხვა, შეუძლია წაბრძანდეს, – უკმეხად თქვა ციხის უფროსის გასაგონად. რომელმაც მას შემდეგ, რაც არავის გასჩენია დამატებითი შეკითხვის სურვილი, მაშინვე დატოვა იქაურობა.

– ახლა კი ბრძანეთ, ბატონო პოლკოვნიკო, – ისევ ობურს მიუბრუნდა მმართველი.

– ხმა უნდა დავყაროთ, თითქოს ჩიკო დავიჭირეთ...

– ჩემი თხოვნა იქნება, ოღონდ სახელით ნუ მოიხსენიებთ იმ უხსენებელს და რაც გინდათ, ის უწოდეთ, – ზიზღნარევი სახით შეაწყვეტინა სიტყვა მმართველმა.

– მომიტევეთ, ბატონო მმართველო. იმას მოგახსენებდით, რომ კარგი იქნებოდა, იმ ქვეწარმავალზე სვიფში ხმა დაგვეყარა, თითქოს ხელში ჩაგვივარდა და ამავე დროს, სიტყვით უარგვეყო იგივე ფაქტი. სამაგიეროდ, საქმით ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ხალხმა ასე იფიქროს. ერთ-ერთი ასეთი ქმედება იქნება ჩვენი გარნიზონის შემცირება. ასევე შევაჩერებთ ხალხის დაკითხვებზე გამოძახებას, რათა უფრო მეტად გაუმყარდეთ ეჭვი. ვფიქრობ, ასეთი მოჩვენებითი ყურადღების მოდუნება დიდ სამსახურს გაგვიწევს მისი თანამზრახველების შემოტყუებაში. როგორც მოგახსენეთ, ხალხს ეჭვი გაუჩნდება და ათასგვარ ამბავს გამოიგონებენ ამ გაუგებრობის ამოსახსნელად. ყველაზე მეტად კი ასეთი ვითარება მის მეგობრებს გააწვალებს.

– რა მშვენივრად თქვით, ქვეწარმავალიო. ცოტათი გავხალისდი კიდეც. წარმავალია მისი საქმე. ქ ვ ე - წარმავალი. ქვესკნელშიც წასულა თქვენი შეწევნით, – კმაყოფილებით დაუყვავა მმართველმა.

– და რა შედეგს მოგვცემს მათი მორალური წვალება? – იკითხა პირველმა პოლიციელმა, რომელიც ბოლომდე ვერ ხვდებოდა ობურის გათვლებს.

– ახლავე მოგახსენებთ. ზემოხსენებულ მოქმედებას მაშინვე უნდა დაერთოს სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზება მისი თანამზრახველებისადმი, რომ თანამშრომლო-

ბის შემთხვევაში, მათ და მათ ოჯახებს ხელშეუხებლობის გარანტია მიეცემათ. ასეთი დამთხვევა კიდევ უფრო გაამძაფრებს მათ მორალურ წვალებას და დიდი ალბათობით, თვითგადარჩენის მექანიკური ინსტინქტიც ჩაირთვება. ის, რომ ჩვენ მათზე გადავიტანთ აქცენტს და არა მათ მეთაურზე, კიდევ ერთხელ დაარწმუნებთ, რომ ქვეწარმავალი მართლაც ჩვენს ტომარაშია. სწორედ ამიტომაც, იმის შიშით, რომ მეთაურმა არ გათქვას ისინი ამ ჯერზე, იფიქრებენ, დაასწრონ და თავად გამოცხადდნენ.

– ვთქვათ, ასეც მოვიქეცით, მაგრამ რატომ არ უშვებთ იმას, რომ მათ შეიძლება ისევ ჰქონდეთ ყოველდღიური ურთიერთობა მეთაურთან, ან თუნდაც შუამავლის დახმარებით აღწევდნენ კომუნიკაციას? – ისევ იკითხა უკვე ვითარებაში გარკვეულმა პირველმა პოლიციელმა, რომელმაც გამომცდელი მზერით ახედა ფეხზე მდგომ ობურს.

– არ გამოვრიცხავ, თუმცა, დღევანდელი მდგომარეობიდან ეს მეტად სარისკო იქნებოდა მათი მხრიდან და, თუ მის ხასიათსაც გავითვალისწინებთ, ის თავისი მეგობრების ოჯახებს ამხელა საფრთხის წინაშე არ დააყენებს. გარდა ამისა, მას ჯერ საკუთარი დედა ჰყავს გამოსაგლოვი და არაფრის დაგეგმვის თავი არ უნდა ჰქონდეს, წესით.

– კეთილი. სხვების აზრიც მოვისმინოთ ამ გეგმაზე, ვიდრე მთავარს მოვახსენებდე ყოველივეს, – მმართველი შეყოვნდა და იქვე განაგრძო, – მაგრამ იმ მეგობარზე რატომ არაფერს ამბობთ, წინათ რომ შეგვატყობინა მისი ამბავი?

– ამასაც მოგახსენებთ და გეტყვით, რომ მთელი სვიფი გადავატრიალეთ, მაგრამ მის კვალს ვერსად მივაგენით. სახლ-კარი მიუტოვებია და ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, არავინ იცის.

– კი მაგრამ, მისი უახლოესი მეგობრების დადგენა მაინც ხომ შეგვიძლია? სავარაუდოდ, ისინიც იქნებიან თანამზრახველები, – დიდი ხნის დუმილის შემდეგ პროკურორიც ჩაერთო საუბარში.

– ისინი მათი მეთაურის დაჭერის დღიდან გამოვარკვიეთ, თუმცა უტყუარი ხელჩასაჭიდი იმისა, რომ მისი თანამზრახველები არიან, ვერ მოვიპოვეთ.

– ხომ შეიძლებოდა, აგვეყვანა ისინი და ბრალი წაგვეყენებინა? – ისევ გამოცოცხლდა პირველი პოლიციელი, რომელსაც საქმის გახსნაზე მეტად, თვითდამკვიდრების ჟინი აწუხებდა.

– შეიძლებოდა, თუმცა, თუ ისინი არ გატყდებოდნენ, როგორც უკვე მოგახსენეთ, საქმე ისევ სათუოდ დაგვრჩებოდა. მათ შეუძლიათ, თავი გაწირონ, მაგრამ რამდენად შეძლებენ ოჯახების გაწირვას, ამას დრო გვიჩვენებს. სწორედ ამას ემსახურებოდა წინათ ჩემგან შემოთავაზებული კანონი, რომელიც თავზეხელაღებულების ოჯახის წევრებს მათ თანამზრახველებად აქცევთ უსიტყვოდ.

– ეს მართლაც კარგად გამოგივიდათ. იქ ყველანი გასაწყვეტები არიან...

მმართველმა განგებ ხმამაღლა ჩაახველა, რითიც სიტყვა გააწყვეტინა პროკურორს და აგრძნობინა, რომ იმ კუთხის მკვიდრს ელაპარაკებოდა, რომელსაც ამოწყვეტით ემუქრებოდა, რასაც მაშინვე თავისი პასუხი მოაყოლა.

– ასეთი თავსატკივარი ჩვენ არაერთგან გვყოლია, ბატონო პროკურორო და თქვენ ეს კარგად მოგეხსენებათ. მართალია, ეს ყველა შემთხვევას აჭარბებს, მაგრამ განსაზღვრული დროით, მისი თანამოაზრეების გამოსავლენად, მისი ყოფნა სასიკეთოცაა ჩვენთვის, სანამ გადააძმარებდეს. ის ახლა სწორედ დაძმარების პროცესშია და არჩევანი თქვენზეა. გინდა ღვინო სვით, გინდა – ძმარი, – უკმაყოფილოდ დაამთავრა თავისი სიტყვა მმართველმა.

– ვიმედოვნებ, სულ მალე ღვინით მოგვიწევს ჩვენი გამარჯვების აღნიშვნა, – მოკრძალებულად თქვა ობურმა.

– მე კი მგონია, ყოველი მისი ახალი დღე საზიანოა ჩვენთვის, – განაგრძო პროკურორმა, – თუ ამ ბაქტერიას სამედიცინო მიკროსკოპში ჩავხედავ, გეტყვით, რომ ერთი

წლის შემდეგ ის უმართავ ვირუსად გარდაიქმნება და ეპიდემიადაც კი შეიძლება გავრცელდეს. ასე რომ, მე უკიდურესი ზომების მიღების მომხრე ვარ. მომიტევეთ, თუ მეტად ხისტად გამოვხატე საკუთარი აზრი, მაგრამ მე ზუსტ ქმედებებს ვემხრობი და არა სავარაუდო გათვლებს და ცდებს.

– მაინც რას გულისხმობთ უკიდურეს ზომებში? – იკითხა მმართველმა.

– გაძლიერდეს სვიფის გარნიზონი, გადაიკეტოს ყველა გზა, ყოველდღიურად გაიჩხრიკოს ყველა სახლი მის სოფელში და ეს გაგრძელდეს მანამ, ვიდრე ხალხი არ შეიძულებს თქვენს მოწონებულ ქვეწარმავალს და თავად არ გამოუტანს განაჩენს.

– მე მესმის თქვენი, მაგრამ ჯერ ერთი, რომ ის ტყე-ტყე დადის და არა იმ გზებით, თქვენ რომ გინდათ გადაკეტოთ, და მეორეც, ერთი კაცის გამო საგანგებო მდგომარეობას ხომ ვერ გამოვაცხადებთ და დასაცინად გავიხდით თავს. მის დახმარებას ახლა ყველა მოერიდება და მარტო დიდხანს მაინც ვერ გასტანს.

– მარტო? ის პუბლიცისტიც ხომ თან გაიყოლა? – მაშინვე შეახსენა მმართველს პროკურორმა.

– ო, არა! არა მგონია, ისინი ერთად იყვნენ. რაში სჭირდება ზედმეტი ბარგი. მას იარაღის მცოდნე ხალხი ესაჭიროება და არა კალმის, – მშვიდად უპასუხა მმართველმა.

– მაშინ გაუგებარია, რისთვის გაიყოლა საერთოდ ციხიდან.

– ეს ჩვევამ ჩაადენინა, ბატონო პროკურორო, ჩვეევაამ! ტუსაღების გათავისუფლება კარგად გამოსდის. როგორც ქურდი ვერ მოეშვება პარვას, ისე ისიც ვერ მოეშვება ციხის გატეხვას შიგნიდან თუ გარედან. ამჯერად საფრთხე კვლავ გარედან არის და სანამ ის ამოქმედდება, ჩვენ უნდა დავასწროთ. თქვენი აზრი გასაგებია. ბატონი პირველი პოლიციელი, ვატყობ, ეთანხმება პოლკოვნიკ ობურის იდეას, –

ფორმალობისთვის მოიხსენია იგი, ისე კი მისი აზრი დიდად არც აინტერესებდა.

– თქვენ, ბატონო პროკურორო, პროფესიულ ჩვევას არ ღალატობთ, ჩვეულებისამებრ, – ირონიულად გაუღიმა და განაგრძო:

– გეტყვით, რომ როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მოხიბლული ვარ პოლკოვნიკის გათვლებით, თუმცა დაველოდოთ, მთავარი როგორ შეაფასებს ამ საკითხს. ახლა კი, მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის და დაგემშვიდობებით. გადაწყვეტილებას ხვალ მოგახსენებთ! – დაასრულა მმართველმა და თავის სამუშაო მაგიდას მიუჯდა.

დიდი ხანი არ იქნებოდა გასული, როცა კარი კვლავ გაიღო და ოთახში მამაკაცის ლანდმა შემოაბიჯა. მმართველი, რომელიც ისევ მაგიდასთან იჯდა, თითქოს ელოდებოდაო კიდეც მას და არ გაჰკვირვებია მისკენ დაძრული ჩიკოს ამოცნობა. არც მაშინ აღელვებულა, როცა ის მის პირისპირ შედგა იარაღით ხელში. მოულოდნელად იარაღი მაგიდაზე დადო და გბარდებითო, განუცხადა. გბარდებით, ოღონდ ყველას თავი გაანებეთო, დაამატა ვედრებით და ხელები ჩამოყარა. მმართველი ფეხზე წამოდგა, მისკენ დაიძრა ნელი ნაბიჯით, მის პირისპირ გაჩერდა და დამცინავად გაუღიმა. ჩიკომ მაშინვე უკან დაიხია. მმართველი ფეხდაფეხ მიჰყვა. მათ ყოველ ნაბიჯზე, უფრო და უფრო ეცვლებოდათ სახის გამომეტყველება... და ასე ყოველ ნაბიჯზე, სანამ ჩიკო, კედელზე გაკრულ მისსავე ძებნილის სურათში გარდაისახა. უკვე გონს მოსული მმართველი სიმწრით მისჩერებოდა ჩიკოს უტიფარ სურათს.

ჩიკო კი, ამ დროს სურათის მეორე მხარეს, ტყავიდან გამოხეთქვას ცდილობდა, რათა დაეწვა ეს უკანასკნელი, მთელ მის წარსულთან ერთად, რომელიც სამართლიანობისთვის მიეძღვნა და დაუმადლებლად იგემა მისი მადლიერება იმავე ტყავზე. უკვე ტყავგამოცვლილი კი, მხოლოდ შურისძიებისთვის იცოცხლებდა, ვიდრე მასში არ დაიწვე-

ბოდა და გაცამტვერდებოდა თვითონაც. ყველაზე მეტად ეს ჟინი მაშინ მოაწვა, როცა დედის დაკრძალვას დაჰყურებდა აცრემლებული თვალებით, დაუტირებლად და უცერემონიოდ რომ მიიწევდა სოფლის სასაფლაოსკენ, შეთხელებული ხალხის თანხლებით. მათი გარჩევა შეუძლებელი იყო, ჩიკოს კი უზომოდ უნდოდა მეგობრების ამოცნობა რაიმე ნიშნით, მის მაგივრობას რომ გაუწევდნენ უკანასკნელ გზაზე მისთვის შეწირულ დედას, მარტო რომ არგუნა ბედმა ცხოვრება და საფლავშიც მარტოს მოუწევდა ყოფნა. რა ბედნიერი იქნებოდა ახლა, მამის საფლავი რომ ჰქონოდა სადმე. დედასაც მიხედავდა ის და მასაც ეტყოდა რამეს. თუმცა მამა, რომელმაც მისგან განსხვავებით, არ იმსხვერპლა საკუთარი დედა, არც საყვარელი ადამიანის მამა და სიკვდილის შემდეგაც არ დატოვა სამიზნე ადგილი სამარის სახით, ალბათ არაფერსაც არ ეტყოდა. ის საქმის კაცი იყო, არა მეოცნებე მასავით, ათასი იდეებით რომ ჰქონდა შებოჭილი ხელ-ფეხი და გრძნობებით დაბობღავდა, როგორც ლოკოკინა, როცა ჯიხვად ქცეულმა მამამ ცხოვრების დაუნდობელ კლდეებში დაიკარგა თავი. მისთვის კი თავის დაკარგვა უკვე გვიანი იყო. ახლა მას მხოლოდ მეგობრები, ბიძის ოჯახი, ბელა და შურისძიება დარჩენოდა სანუგეშოდ, რომლებსაც სულ სხვანაირად გაუფრთხილდებოდა. თუმცა, მალე, მეგობრების დაჭერის ამბავი შეიტყო და დიდი ფიქრის შემდეგ, მისთვის აქამდე უცხო, მწარე ეჭვებმაც გაურბინეს თავში.

* *

– ჩიკო?! – გაოცება ვერ დამალა მწყემსმა, როცა ის კარავში შემოსული დაინახა სანთლის შუქზე.

– რა გაგიკვირდა ასეთი? – ცერად შეხედა ჩიკომ.

– არ გელოდი, ჩიკო, მაგრამ ღმერთია მოწამე, გამიხარდა, რომ დაგინახე. ამბობენ, დააპატიმრესო. ისევ მო-

ახერხე ხომ გაქცევა? არ ემეტები ღმერთს სასიკვდილოდ, ეტყობა და ნურც შენ გაიმეტებ აწი თავს.

– გავიგე ეს ჭორი, მაგრამ რატომ სჯერა ხალხს ამის ასე?

– მთელი ქვეყანა ამაზე ლაპარაკობს. წინა დღეებში, კუშე და სამი შემხვდნენ გზაზე. ვკითხე, რას ფიქრობდნენ ისინი და იმათაც იგივე მიპასუხეს.

– არ უნდა ეფიქრათ ასე.

– მაინც რატომ არ უნდა ეფიქრათ, ჩიკო? – გაიკვირვა მწყემსმა.

– ცოცხალი არ ჩავბარდები და იმიტომ.

– შეიძლება, ჩიკო, მაგრამ ეს აღარ მიფიქრია. თუმცა, სამმა კი ახსენა, ის არ ჩაბარდებოდაო, მაგრამ შეწუხებული ობური არწმუნებდა, დაჭერილი ჰყავთ და ყველაფერი დამთავრებულიაო.

– ისიც ხომ არ უთქვამს, ყველაფერში რას გულისხმობდა?

– თქვა, ამდენ წამებას ვეღარ გაუძლებს და ჩვენი საქმეც წასულიაო.

– როდის იყო ეს?

– დრო ზუსტად არ მახსოვს, ჩიკო, მაგრამ ის ვიცი, რომ მეორე დილით ყველანი დაიჭირეს.

– გასაგებია. ახლა მათ დაჭერაზე რას ამბობს ხალხი, ის მითხარი...

– შენ ყველაფერი გცოდნია, ჩიკო, და ჩემზე უკეთესადაც გეცოდინება, რას ამბონენ და რატომ.

– თქვი მაინც. ხელს არ შემიშლის შენი აზრის მოსმენა, – ჩიკომ მეგობრულად ჩამოადო ხელი მხარზე.

– ვიცოდი, ჩემზე რომ არაფერს იფიქრებდი, – გულუბრყვილო სახით თქვა მწყემსმა.

– არ მოგატყუებ, ვიფიქრე, მაგრამ პასუხის მოთხოვნას არ ვაპირებდი. არ გევალება შენ ყველაფრის გაძლება იმისთვის, რაც თავზე მოგახვიეთ და ღმერთია მოწმე, გამი-

ხარდა, ეჭვი რომ არ გამიმართლდა. მაგრამ ახალი ეჭვი თუ გამართლდება, აჯობებდა ისევ შენ ყოფილიყავი.

– ვერ ვხვდები, ჩიკო, რას უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვები, მაგრამ მჯერა შენი, – თანაგრძნობით უპასუხა დაღონებულმა მწყემსმა, რომელმაც ჩიკოს სახეში განწირული ადამიანი დაინახა ყველაფრის გარეშე. მერე მისი მეგობრების დაჭერის ამბავი მოუყვა, თუ რა მშვიდად აიყვანეს სათითაოდ, თავ-თავიანთი სახლებიდან გამთენიას და დაუბრკოლებლად გადაიყვანეს პოლიციის გარნიზონში. ხალხი კი გაიძახოდა, ვინც ჩიკო გათქვა თავიდან, ესეც მისი მოწყობილი უნდა იყოსო.

ჩიკომ მძიმედ გააქნია თავი, მადლობა გადაუხადა და კარავი გაორმაგებული ეჭვებით დატოვა.

იმავე ღამით ჩიკო და დინო გზის პირას, ერთ-ერთ მოსახვევთან, პატარა ფერდობზე გაყოლებულ ნეკერჩხლის უზარმაზარ ხეებს მისდგომოდნენ ცულებით. სამ ხეს ერთმანეთისგან ოცამდე ნაბიჯი აშორებდათ და ყოველ მათგანს, შუაწელში თოკი ჰქონდა გამობმული, რომლის მეორე ბოლოც უფრო სიღრმეში მყოფ ხეს ერტყმოდა ძირში. ცულები მანამდე ხაზავდნენ ჰაერში რკალებს, ვიდრე ხეები რხევას არ იწყებდნენ, ოდნავ წინ იხრებოდნენ გზისკენ და მხოლოდ თოკის ამარაღა რჩებოდნენ, რომ არ წაქცეულიყვნენ. ამ ხეებს სულ მალე ჩიკოსთვის იმ მეგობრების მაგივრობა უნდა გაეწიათ, ვის გამოსახსნელადაც ამზადებდა მათ. ერთი გაფიქრება, ისიც იფიქრა, შეიძლება უკეთესი მეგობრობაც კი გამიწიონ ამ ხეებმაო. ბოლოს და ბოლოს, ლაპარაკი მაინც არ შეეძლოთ და მაშასადამე, ვერაფერს იტყოდნენ.

ყველაფერს რომ მორჩნენ, ჩიკომ კიდევ ერთხელ აუხსნა დინოს, თუ რა თანამიმდევრობით უნდა გადაეჭრა თოკები მას, როცა თავად მისცემდა ნიშანს. მერე კი, ზევით გაქცეულიყო და ჰაერში ესროლა, სანამ ტყვიები ეყოფოდა. თვითონ ბოლო ხესთან უნდა ჩასაფრებოდა და იქიდან გაეკე-

თებინა თავისი საქმე, თუკი გაუმართლებდა და პატიმრებს ამ გზით დაუპირებდნენ ქალაქში გადაყვანას. სავარაუდოდ ასეც უნდა მომხდარიყო მისი აზრით, რადგან მარტო დარჩენილის არ უნდა შეშინებოდა სახელმწიფოს და განთიადისკენ ყველაფერი ზუსტად ასეც მოხდა, ერთი გამონაკლისის გარდა. კერძოდ ის, რომ დინო თოკების გადაჭრის შემდეგ ტყისკენ არ გაქცეულა. იქვე დარჩა და შეიარაღებულ ესკორტს დაუშინა, თითქოსდა ჰაერში სასროლი ტყვიები. მათგან გაქცევა მხოლოდ რამდენიმემ მოახერხა. უმეტესობა ხეებმა მოიყოლა ქვეშ, ხოლო აქა-იქ კი, დაჭრილი პოლიციელებისა თუ სამხედროების კვნესის ხმა ისმოდა, რომლებსაც იარაღი დაეყარათ იმ იმედით, რომ ცოცხლებს დატოვებდნენ, თუკი წინააღმდეგობას აღარ გაუწევდნენ. როცა ყველაფერი დამთავრდა, დინოს ანიშნა, პოლიციელების თვალში არ გამოჩენილიყო, თვითონ კი, ეტლთან ჩაირბინა, მეგობრები გაათავისუფლა და დაავალა, დაჭრილები, ვისი წაყვანაც მოხერხდებოდა, თან გაეყოლებინათ, რაც კუშემ დროის დაკარგვად შეაფასა დაუფიქრებლად და მათი დახოცვა ურჩია. თუმცა ჩიკოს თავისი აზრი არ შეუცვლია და მთელი გზა, ბოლოში გაუყვა, მასა და დინოს შორის მოქცეულ გამოსაცდელ ჯაჭვს.

დინო წინასწარ შერჩეულ წყაროსთან შეჩერდა, კარგა მოშორებით რომ ჩამოდიოდა ნეკერჩხლებისგან. სამი დაჭრილი შორიახლოს მიაბეს ხეზე ისე, რომ თავიანთი ლაპარაკი ვერ გაეგოთ და მხოლოდ მერე ჩამოართვა ჩიკომ ხელი მეგობრებს სათითაოდ.

– ვიცოდი, რომ მარტოც მოახერხებდი რამეს, ჩიკო, – მომღიმარი სახით შეაქო კუშემ და წყაროსთან ჩაიკუზა.

– მარტო არ ვყოფილვარ. ხეები დამეხმარნენ!..

– შენ ყოველთვის გეხმარება რაღაც.

– და ყოველთვის მიშლის ვიღაც, – ორაზროვნად შეუბრუნა სიტყვა ჩიკომ.

– შენი ბრალია ეს, ძმობილო. ყველაფერი ჩვენი ბრალია, რაც ჩვენს თავს ხდება! – მზრუნველად შეეპასუხა კუშე.

– ვიცი, ასეა, მაგრამ შენ საიდან იცოდი, რამეს რომ მოვახერხებდი? არ გაგიგია, რომ დამიჭირეს? – ჩიკომ დანარჩენებს გადაავლო თვალი და მათაც დაუსვა იგივე კითხვა, – თქვენც მელოდებოდით?

ყველამ გაურკვევლად გადახედა ერთმანეთს და თითქმის ერთხმად ალაპარაკდნენ, იმის სათქმელად, რომ მათთვის ეს ყოვლად მოულოდნელი და წარმოუდგენელი რამ იყო, რადგან იგი ყველას დაჭერილი ეგონა.

– როგორ არ გამიგია, ჩიკო. ასეც მეგონა, – დაიწყო კუშემ, როგორც კი ყველა გაჩუმდა, – მაგრამ გულის სიღრმეში მაინც არ მჯეროდა. ისეც აგიხდეთ ყველაფერი, – სახეგაბადრულმა თქვა ბოლო სიტყვები და დინოსთან მივიდა, – მარტო ხეების ამარა არ ყოფილხარ და გაგვაცანი ეს ჩვენი ღვთისნიერი ადამიანი.

– ჯერ ერთმანეთი გავიცნოთ ბოლომდე, – მომთხოვნი ტონით თქვა ჩიკომ, – ოჯახის წევრებმაც არ იცოდნენ თქვენი საქმიანობის ამბავი და საიდან შეიძლება პოლიციას გაეგო? ამაზე ხომ არ უთქვამთ რამე? – ყველას გასაგონად იკითხა ჩიკომ.

ყველამ თავი გააქნია კუშეს გარდა, რომელმაც ლაპარაკით არჩია აზრის გამოხატვა.

– იმათ არაფერი უთქვამთ, მაგრამ შენ რატომ ვერ ხვდები, არ მესმის, ჩიკო. ერთადერთი კაცია, ვინც ჩვენზე იცის, ვინც უკვე გაგყიდა და ვინც ახლა აქ არ არის. ახლაც ვერაფერს ხვდები? – თითქმის ემუდარებოდა ჩიკოს, მისთვის დაეჯერებინა.

არავის ხმა არ ამოუღია უხერხული თანხმობის ნიშნად.

– კარგია, ჩემზე თუ არ იფიქრეთ, – ირონიულად შეიცხადა ჩიკომ, – როგორც ბოლოს შევთანხმდით, ახლა თქვენ უნდა მომკლათ და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება, ხომ?

– რას ამბობ, ჩიკო! მაშინ ხომ ცხელ გულზე და ისევ შენი კეთილდღეობისთვის წამოვროშე ეს სისულელე, – დაიღრიჭა კუშე.

– ასე ლაპარაკიც არ შეიძლება, ჩიკო! ალბათ, ხვდები, რომ ყველას გვაყენებ შეურაცხყოფას ამით, – უკმაყოფილო ხმით ჩაერთო ხუთი, რომელსაც დანარჩენებმაც დაამატეს თითო-ოროლა სიტყვა და ერთმანეთს გადახედეს უკმაყოფილო სახეებით.

– ახალი კანონი მარტო დედაჩემს რატომ შეეხო, ნეტა? მე როგორც ვიცი, გარიგების სანაცვლოდ არ ჩაბარებულხართ თქვენი ნებით.

ყველა სუნთქვაშეკრული უყურებდა ჩიკოს.

– კარგი. რახან არავინ არაფერი ვიცით, იქნებ დაჭრილებმა იცოდნენ რამე და ჩვენც გაგვიზიარონ, – აუღელვებლად თქვა ჩიკომ და მათკენ გაემართა. მას დანარჩენებიც უხმოდ გაჰყვნენ ფეხდაფეხ.

– ამას ჩინზე ეტყობა, მეთაური უნდა იყოს, – თქვა ჩიკომ მას შემდეგ, რაც თვალი მოავლო ხეზე მიბმულ სამ მძევალს და შუაში მოქცეულს ახვეული პირი გაუთავისუფლა, – აბა, რას იტყვი? საიდან გაიგეთ ამ ხალხის ამბავი?

– არაფერი ვიცი. ჩემი ამოცანა მხოლოდ ქალაქში გადაყვანა იყო, – ოხვრით უპასუხა მხარში მიყენებული ჭრილობისგან შეწუხებულმა მძევალმა.

– გამოდის, უსარგებლო ყოფილა შენი წამოყვანა, – ჩიკომ იარაღი ამოიღო და ის იყო მისკენ მომართა, რომ ამ უკანასკნელს სახეზე ყველა კუნთი მოეშვა, ცივმა ოფლმა დაასხა და მანამდე სიმწრით ნაკრაჭუნები კბილები, ახლა ერთიანად მის დამტყვევებლებს მიაყარა საცოდავი მზერით:

– ნუ მომკლავთ! – ყველას შეევედრა იგი, გარდა იმისა, ვისაც იარაღი ჰქონდა აღმართული მასზე, – უთხარით, გემუდარებით! რომელი იყავით პოლკოვნიკთან?! – ახლა ის ჩიკოსკენ მოტრიალდა, კიდევ უფრო გასაცოდავებული გა-

მომეტყველებით, – მხოლოდ ის ვიცი, რომ ის აქ არის, მაგრამ რომელია, ჩემთვის არ უთქვამთ.

ყველას სუნთქვა შეეკრა. ერთმანეთს მხოლოდ დაუჯერებელი თვალებით სინჯავდნენ და ანუგეშებდნენ, ვიცი, შენ არ იქნებიო. მხოლოდ ორნი იყვნენ, ვისაც სჯეროდა და ვისაც ეზიზღებოდა ერთმანეთის მზერა.

– რაებს როშავ, შე ლეშო! – როგორც იქნა, დაუყვირა ბერიონმა და ისედაც მძიმე დღეში ჩავარდნილ მძევალს ახლა უკვე ორი ლულა უყურებდა დაუნდობლად, – გჯერა, რომ ვინმეს დააჯერებ ამ სისულელეს? ჩვენში რომ იყოს ის, ვისზეც შენ როშავ, აქ რა მოიყვანდა? ახლავე გაგაფრთხობინებ სულს, თუ არ იტყვი, რომ ყველაფერი თავის გადასარჩენად გამოიგონე!

– თვითონ უთხოვია ასე. აქ მთაში თქვენი კანონები გაქვთ. ხომ იცით, ძმამ, შვილმა და შეიძლება შვილიშვილმაც კი იძიოს შური. ასე რომ, დაუჟინია, თვითონაც სხვა დანარჩენებთან ერთად დაეჭირათ. მარტო გარეთ დარჩენილზე, ალბათ, ადვილად მიხვდებოდა ყველა, ვინ იქნებოდა ამის ჩამდენი.

– კიდევ დიდხანს ვუსმინოთ ამ ბოდვებს? – ზიზღით თქვა კუშემ.

– ჰო, კიდევ ის მახსოვს, პოლკოვნიკმა ობურმა ისე მოიხსენია, სავარაუდოდ, ცაცია უნდა იყოს. ზუსტად ასე თქვა ხუმრობით, ამ ოპერაციას ბინძური ხელების კომბინაციას დავარქმევთო, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსული კაცი, თავისი მარცხენა ხელით, ჩიკოს ყველა მარჯვენა ხელს ჩაგვაგდებინებს ხელშიო.

– საკმარისია რაც მოვისმინეთ, – მხოლოდ ახლა უპასუხა ჩიკომ კუშეს და ყველას ერთად ანიშნა თავით, ისევ წყაროსთან გადაენაცვლათ, რასაც ისევ უსიტყვოდ დაემორჩილნენ გაოგნებული მეგობრები.

– ახლა ყველა ვხვდებით ალბათ, ვისი ხელიც ურევია ამ საქმეში. ჩვენ ორის გარდა, ცაცია არცერთი არა ვართ აქ,

კუშე, ხომ მეთანხმები?! იმასაც ხვდები ალბათ, რომ ჩემს ბინძურ ხელს არ გულისხმობდა პოლკოვნიკი. ყველას დაჭერილი გეგონეთ, როცა მათი შეწყალების შემოთავაზება გაიგეთ, ჩაბარების შემთხვევაში. ვიცი, ჩემი საქმე მართლა დამთავრებული გეგონა, კუშე, და შენი ცხოვრების გახანგრძლივება გადაწყვიტე დამფრთხალმა. იქ მისულმა, პოლკოვნიკ ობურისგან გაიგე, რომ ეს მათი ხრიკი იყო და ამიტომაც წამოგცდა დაბნეულს თავიდან, ვიცოდი, რომ მარტოც მოახერხებდი რამესო. ამის მერე სამის დაყოლიებას ეცადე და მასაც ამიტომ არწმუნებდი დაჭერის წინ მწყემსთან, წამებას ვეღარ გაუძლებს და ყველაფერი დამთავრებულიაო. ახლა ის მითხარი, რითი ჯობიხარ გრინგოს, შენი ცოცხლად დატოვება რომ ღირდეს?

ისევ შეიკრა სუნთქვა და ამჯერად ყველა თვალი მხოლოდ კუშეს მიშტერებოდა.

– მე ეს ჩვენი ოჯახების გადასარჩენად გავაკეთე, – ჩამწყდარი ხმით თქვა კუშემ და თავი დახარა. ცოტა ხანს ჩუმად იდგა და მერე, თითქოს არც ისე დამნაშავე უნდა ყოფილიყოო, როგორც ჩანდა, ყველას მოუბრუნდა და უკვე ყვირილით გაიმეორა, – მე ეს ჩვენი ოჯახებისთვის გავაკეთე! გრინგომ კი ფულისთვის! აი, განსხვავება! ისიც ვათქმევინოთ ჩვენს მძევალს, რომ ჩვენ ყველას გაგვათავისუფლებდნენ, შენ რომ თავის დროზე გამოჩენილიყავი და არა ახლა. აქ რომ გამოგვეცხადე მხსნელად, ჩვენს ოჯახებს რას უპირებდი, ნეტა?

– ნუ ჩქარობ, კუშე. მარტო შენ არ გეხერხება ჭადრაკის თამაში. დაჭრილები ტყუილად არ წამომიყვანია. დაშლისკენ სროლას ავტეხავთ, ჩვენ შორის უთანხმოების ნიშნად და გაგეცლებით. მერე იმ დაჭრილებს გადაარჩენთ, რითიც თქვენი და თქვენი ოჯახების თავისუფლებას მოიპოვებთ. აი, რატომ გამოგეცხადეთ ახლა, მაგრამ შენ თურმე სულ სხვა დროს მელოდი. გამოდის, ჩემ გამო გაგიწვალებია ბიჭები და არც ისე დიდ საფრთხეში ჩაგიგდია ისინი, მაგრამ

რომ არ გამოვცხადებულიყავი, მაშინ ხომ გაიწირებოდნენ, შენი წყალობით და ჩემი უმოწყალობით?

– ამ შემთხვევაში, პატიება უნდა გვეთხოვა და შეგვიწყალებდნენ.

– რა გარანტია ჰქონდათ ჩვენზე, რომ შეწყალების მერე ისევ იმავეს არ გავაგრძელებდით? – უხეშად ჩაერთო ლაპარაკში ბერიონი.

– გარანტია ჩვენივე ოჯახებია, – უკმეხად უპასუხა კუშემ.

– პატიება რომ არ გვეთხოვა? – ახლა უკვე სამმა მიახალა საყვედურის ტონით.

– ითხოვდით! ოჯახებისთვის ითხოვდით!

– მაგრამ ამ ყველაფრის გარეშეც ხომ შეიძლებოდა ყოფნა. ისე, როგორც ვიყავით და არავინ არაფერი იცოდა, – ისევ ცხარობდა ბერიონი.

– შეიძლებოდა! – იყვირა კუშემ, ისე, თითქოს თავიდან მომწყდიო, უნდოდა ეთქვა და მაშინვე ჩიკოს მოუტრიალდა, ოდნავ წყნარი, მაგრამ მაინც აღელვებული ხმით:

– შეიძლებოდა, მაგრამ ეს უკვე ძალიან საშიში ხდებოდა. მთელმა ქვეყანამ ისე ვიცოდით, რომ დაგიჭირეს. მართლა რომ ვერ გაგეძლო? ხომ ყველანი დავიღუპებოდით? ან რატომ უნდა გეწამა და გეტვირთა ამხელა განსაცდელი შენს თავზე, როცა ყველაფრის თავიდან აცილება შეიძლებოდა. ყველაფერი რომ მართლა ასე მომხდარიყო, ბოლოს შენც და ყველა დანარჩენებიც მადლობას ეტყოდით ღმერთს, მაგრამ არ გეცოდინებოდათ, რომ ეს ღმერთი მე ვიქნებოდი! მართალი ხარ... სიმართლე შენ შესახებ მხოლოდ პოლკოვნიკ ობურთან მისვლის შემდეგ გავიგე, როცა უკან მობრუნება გვიანი იყო. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს შენთვის, რომ ერთდროულად მეწყინა და გამიხარდა კიდეც ეს ამბავი. ასეთი გაორება არასოდეს მქონია, მაგრამ ნაბიჯი გადადგმული იყო და ვერაფერს შევცვლიდი.

– დანარჩენებს რატომ არ უთხარი შენი სიკეთის ამბავი? – წარბებშეკრული იყურებოდა ჩიკო.

– არ დამთანხმდებოდნენ. ბოლომდე მაინც არ იჯერებდნენ, რომ დაგიჭირეს.

– შენ?

– არც მე, მაგრამ საფრთხე მაჯერებდა!

– შიში, რომ გაგცემდით, გასაგებია, მაგრამ მე რატომ არ მკითხე არაფერი?

– შენთვის როგორ უნდა მეკითხა?

– ჩემს ადგილას დაგეყენებინა თავი და ისე. შენი სცენარით, მადლობას რომ ვეტყოდით ყველანი ღმერთს, მერე ვიღაცის საყვედურის დროც დადგებოდა, წესით, და ეს ვიღაც, მე ვიქნებოდი სავარაუდოდ, როგორც წამებით გატეხილი გამცემი. ღმერთკაცობა რომ მოინდომე შენთვის, მე თუ მენდომებოდა იუდას სახელი, ის რატომ არ იკითხე?

– რა არის აქ საკითხავი. აქ ხომ ფული არაფერ შუაშია.

– ფული! სიცოცხლე! ეს ყველაფერი სურვილებია და ორივე მათგანს ახლავს ღალატის ძალა! – მოულოდნელად დაიღრიალა მოთმინებიდან გამოსულმა ჩიკომ, რომელსაც სულ დაძარღვოდა ყელი.

რამდენიმე წამით გაქვავებული სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ისევ ჩიკოს მძიმე ხმამ დაძრა:

– ჭკვიანურად მოგიფიქრებია ყველაფერი, მაგრამ, როგორც ხედავ, ერთი კაცის ფიქრი ყოველთვის არ ამართლებს. ეს ჩემზე კარგად არ იცით არცერთმა, თუმცა მე მართლა კარგად გცნობივარ, რახან ასე ენდე ჩემს ხასიათს და შენი ფეხით გაუდექი ციხის გზას იმ იმედით, რომ მოვიდოდი სინდისშეწუხებული და თქვენს გადასარჩენად დავდებდი თავს, – ჩიკო შეყოვნდა, თავი უკან გადაიგდო და თვალდახუჭულმა განაგრძო კიდევ უფრო დამძიმებული ხმით, – ოჯახს რომ ამბობ, გეთანხმები, მისი დაცვა რომ გინდა, მაგრამ საკუთარი სიცოცხლის ფასად გირჩევ ამის გაკეთებას და არა სხვისით. რახან არ იცი, ეს როგორ გაა-

კეთო, მე დაგეხმარები, – თქვა, თავი გადმოიქნია და თვალის დახამხამებაში იარაღაღმართულმა გაუსწორა თვალი, – ამას შენი ოჯახისთვის ვაკეთებ, კუშე.

– არ მომკლა, ჩიკო, – ხმა აუკანკალდა კუშეს, რომელიც საცოდავი სახით შეჰყურებდა საკუთარი თავის განკითხვას.

– არა! – გაისმა ყვირილის ხმა და მაშინვე მათ შორის დინო გაჩნდა, – ნუ იზამ ამას, ჩიკო. ხომ იცი, მოვა და გაგაწვალებს.

– გვერდზე დადექი, დინო!

– გაუშვი, ჩიკო, – ითხოვა რამდენიმე ხმამ ერთად, თუმცა ჩიკომ ვერც გაარჩია, ვის ეკუთვნოდა ეს ხმები.

– გრინგოზე შენ არ თქვი, უნდა მოგეკლაო?! ყველა ამ აზრზე არ იყავით?! თუ სიტყვით არის ეს ადვილი გასაკეთებელი? ამისგან განსხვავებით, ის თვითონ ითხოვდა, მომეკლა და შეწუხებული დარჩა, ცოცხალი რომ დავტოვე. აი, რაშია განსხვავება მათ შორის, ასე რომ აინტერესებდა კუშეს. იქ, სადაც მან შეყო თავი, უკან გამოსვლა არ გამოუვა, ყველაფრის თქმა მოუწევს ისევ, როცა ჰკითხავენ და თუ თქვენ მზად ხართ ამისთვის, მე ყველაზე ნაკლებ ზიანს მომაყენებს მისი ლაპარაკი. ეს შენც გეხება, დინო, ხომ კარგად გესმის, შენი აქ ყოფნა შენსავე სიცოცხლედ შეფასდება, თუ იმათ ყურამდე მივა. ახლა კი, თუ მაინც დიდსულოვნები რჩებით, მაშინ აქ ხუთი ხუთოსანი დარჩებით. ორი ოროსანი კი გაგეცლებით. ვატყობ, უჩემოდ უკეთესად გაუგებთ ერთმანეთს, – დაასრულა და მას მერე, რაც ხმა არავის ამოუღია, ცხენისკენ გაემართა თუ არა, სროლის ხმაც გაისმა. უკან შემობრუნებულმა მიწაზე გართხმული სისხლიანი კუშესგან მოშორებით, იარაღით ხელში მდგარი ბერიონი დაინახა, რომელსაც ზღარბივით თმა კიდევ უფრო აჯაგროდა სიმწრისგან. მისი კაიაკივით წვრილი თვალები კი აქეთ-იქით ეხეთქებოდნენ ირგვლივ მყოფთ.

– მე ეს მისთვის გავაკეთე. ჩვენ ოთხნი დავრჩებით.

– ბოლომდე შეგაძლებინოთ, – წყნარად თქვა ჩიკომ და ცხენს შემოახტა, – კუშეს ამბავი მე მომაწერეთ და თქვით, რომ თვითონაც დაჭრილი ვარ მისგან.

გულჩათხრობილმა დატოვა იქაურობა, კუშეს სიტყვებით მოწამლულმა. ახლა თვითონაც გაორება ჰქონდა მასავით, დამნაშავეც ეგონა თავი და უდანაშაულოც. მაშინ დაასკვნა, რომ ადამიანური საზომით ყველა, ერთდროულად, მართალიც იყო და მტყუანიც და, რომ ეს მხოლოდ რაკურსის ამბავი იყო. ვითომ საით მიფრინავდა მისი ნასროლი ისარი? სიკეთისკენ თუ ბოროტებისკენ? ხალხი თუ მადლიერი იყო უზურის, როგორც უკვე არაერთისგან სმენოდა, მისი ომი მათთვის სიკეთე ვერ იქნებოდა. მაშინ რისთვისღა უნდა ებრძოლა? განა თავისი ხალხის კეთილდღეობა არ იყო მისი მამოძრავებელი ძალა? მაგრამ კეთილდღეობა ხომ რაღაცის ფასად მოიპოვება ყოველთვის. სწორედ ამ ფასში იპოვა ისევ საკუთარი თავის გამართლება ჩიკომ, მაგრამ აქვე ხვდებოდა, რომ ხალხი, რომელიც ამავე კუთხით შეხედავდა მას, ძალიან ცოტა იყო. ნაწილი ხომ შეჭამეს იმ კბილებმა, კუშემ როგორც უთხრა მაშინ? ახლა ყველა დანარჩენიც მათსავე კლანჭებში მოქცეული ეჩვენებოდა. ყველას, მთელ ხალხს ერთ ტომარაში თავმოკრულს და აზრს ვერ ხედავდა ბრძოლის გაგრძელებისას. წამში მის თავში უსამართლობით გაჩენილი ცოფი, ამბოხებული ყველას სახელით, ახლა მხოლოდ საკუთარ შურისძიებად გარდაიქმნა და ამას უკვე არაფერი ჰქონდა საერთო კლანჭებში მოქცეულ ტომარასთან. დიახ, შურს იძიებდა მამის, დედის და ზუზუს მკვლელებზე და აქაურობას გაეცლებოდა. ერთი სახელი დააკლდა თითქოს მაშინვე, როცა ეს გადაწყვიტა და სიცივემ დაუარა ტანში. ეს ბელას მამა იყო. აქ ვიღაზე უნდა ეძია შური? იცოდა ამის პასუხიც, მაგრამ ბელამ ხომ თავად შეიწყალა ის? გამოდის, მხოლოდ სამ ადამიანზე იძიებდა შურს და წავიდოდა პატორში, სადაც რაღაც ახალი ხდებოდა დემოკრატიის სახელით. ნეტა რა იყო ის, რაც არა-

ფერს კრძალავდა? ნუთუ იქაც იყვნენ უბედურები? ბედნიერები თუ იყვნენ, უბედურნიც უნდა ყოფილიყვნენ, ვინმეს რომ ეფიქრა მათზე, რადგან როგორც წესი, თუ ბედნიერებს არ ახსოვთ უბედურები, უბედურები ყოველთვის მათზე ფიქრობენ.

* *

– როგორ, როგორ! – ღრიალებდა ორ სავარძელს შორის ნერვიულად მოწრიალე მთავარი, რომლებშიც უკვე პირველ პოლიციელად ქცეული ობური და პროკურორი ისხდნენ, – ეს უკვე მეტისმეტია! ცხრა კაცი მოგვიკლა, ხუთი დაგვიჭრა და, რომ არა თავისი ყოფილი მეგობრების წინააღმდეგობა, მათაც დავკარგავდით. ეს ოთხი თანამებრძოლი კარგ სამსახურს გაგვიწევს საზოგადოებაში. ის უხსენებელი კი სულ მარტო დარჩება. თუმცა რად გინდა, მარტოც მშვენივრად აღწევს თავის მიზნებს.

– ვფიქრობ, უკეთესია რაც მოხდა, თუ მსხვერპლს არ ჩავთვლით. მან თავისი მთავარი დასაყრდენი დაკარგა, ფიზიკურადაც და იდეოლოგიურადაც. ჩვენ კი, ოთხი ყველაზე საშიში კაცი გადმოვიბირეთ, ნებსით თუ უნებლიეთ. ერთიც, მისი ყოფილი თანამებრძოლი კი თვითონ იმსხვერპლა. ის უხსენებელი კი ახლა მორალურად სრულიად განადგურებული უნდა იყოს, – დაამშვიდა ობურმა.

– ჰო, ეს მართლაც კარგად გამოვიდა, მაგრამ ასე ფიქრიც არ შეიძლება. რამდენჯერაც გვეგონა, ველარაფერს შეძლებდა, უფრო მეტს ახერხებდა. ამიტომ იმ იმედით, რომ ის გატეხილია, მოდუნების უფლება არ გვაქვს, – როგორც ყოველთვის, ამ საკითხზე ისევ საწინააღმდეგო აზრი გამოხატა პროკურორმა.

– არ უნდა მოვდუნდეთ, არ უნდა მოვდუნდეთ, – თავისთვის ჩაილაპარაკა ჩაფიქრებულმა მმართველმა და ოთახიდან მისთვის უჩვეულოდ, დაუმშვიდობებლად გავიდა.

მიუხედავად ამგვარი პერიპეტიებისა, მოდუნება არც მას და არც მის დამქაშებს მაინც არ ასცდათ, რადგან უკვე მესამე წელიწადი მილეულიყო ისე, რომ ჩიკოს თავი არავისთვის შეეხსენებინა საკუთარი თავის გარდა, რომელსაც ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებით, ხან ხელს გაუწვდიდა, ხან კი სილას აწნავდა. სწორედ მაშინ აღმოაჩინა მან, თუ რამდენად დიდი ძალა ჰქონია გაშლილ ხელს, მუშტისგან განსხვავებით. რომ, თუ მუშტი ალურჯებდა, სილა აწითლებდა და, თუ მუშტი ერთობის სიმბოლოს გამოხატავდა, ეს ერთობა ვერ შედგებოდა გაწვდილი ხელის გარეშე და მაინც, რომ ამ უკანასკნელსაც, ხშირად სილის გაწნა მოსდევდა, როგორც წესი. ასეთ თავბრუდამხვევ წრეზე ტრიალებდა ჩიკო უმეტესად, მისთვის სახლად ქცეულ ტყეში და მხოლოდ აქა-იქ ახერხებდა მის გაწყვეტას, როცა ტყესაც და ფიქრებსაც ერთად დააღწევდა ხოლმე თავს და ყოფიერებაში გავარდებოდა. ასე ინახულა რამდენჯერმე ბაზი და ბელა, რომლებიც შეცვლილები ეჩვენა, მაგრამ ცვლილების მოტივს ვერ ხედავდა. ამიტომ ჩათვალა, რომ თავად გაუცხოებულიყო და ეს ყველაფერი მხოლოდ ეჩვენებოდა. რამდენჯერმე ნახა დედის საფლავი და ქვაც, რომელზეც სახელთან და წლებთან ერთად, მრავლისმთქმელად მიეწერათ სიტყვა „შვილისგან“, რაც ზუსტად ისე ესმოდა ჩიკოს, როგორც დაუწერეს და რასაც სრულად ეთანხმებოდა.

9

ნაპირიდან მოშორებით, პატარა ნავის სარკმელში, სუსტი შუქი ბჟუტავდა. ეს კაიუტა იყო, რომელშიც ოტო, ჩიკო და დინო ისხდნენ და ბროლის ჭიქების წკარუნით თავიანთ ამბებს უყვებოდნენ ერთმანეთს. დროდადრო სიჩუმე ჩამოვარდებოდა, მერე ნავს ტალღა შეანჯღრევდა და რომელიღაც მათგანი ისევ განაგრძობდა ლაპარაკს, როგორც ახლა, როცა ოტომ გამოსცალა ჭიქა და გადაჭრით თქვა, – უნდა წახვიდე, ძმაო! აუცილებლად უნდა წახვიდე! შენ იმაზე მეტი ეცადე, ვიდრე გევალებოდა. ხომ იცი, მეც თავისუფლების მომხრე ვარ და ოჯახი რომ არ მბოჭავდეს, არც მე გავჩერდებოდი აქ, სადაც ყველა თავს იტყუებს, ძალით თუ უნებლიეთ. უნდა წახვიდე და შურისძიებაც დაივიწყო. ყველას ვერ გასწვდები, ძმაო და ვიღაც შენც გადაგიყოლებს, ბოლოს და ბოლოს! საკმარისად გაიღო ჩვენმა ოჯახმა და დედაშენიც იმიტომ წავიდა, შენ რომ დარჩენილიყავი. აბა, რას ეტყვი, იქ რომ შეხვდები?! უნდა წახვიდე და როცა დრო მოვა, დაბრუნდები. ყველაფერს აქვს დასასრული და ესენიც დამთავრდებიან. აი, მერე ნახე, როგორ დაგხვდება ხალხი. ასეა, ჩიკო, ყოველთვის ძალით ვერ გახვალ ფონს და დროა, ამჯერად ჭკუა იხმარო. სხვანაირად ისევ იმათ ხელში ჩავარდები, ბოლოს მოგიღებენ და მომავალში, როცა მართლა ექნება აზრი შენს ყოფნას, სამწუხაროდ, უკვე აღარავის ეხსომები.

– ჩემზე ნუ დარდობ, ოტო! ცოცხალს ვერ დამიჭერენ...

– ყოველდღე გიჭერენ, ჩიკო, – სევდიანი ხმით შეაწყვეტინა სიტყვა ოტომ, რომელიც მაშინვე წამოდგა, წიგნების თაროდან ორად დაკეცილი ფურცელი გამოასრიალა და ჩიკოს გაუწოდა.

– ეს რას ნიშნავს? – იკითხა ჩიკომ, როცა ფურცელი გაშალა და ნახატებს შორის მოქცეულ წარწერას დააკვირდა.

— აფიშაა. როგორც ხედავ ნადირობა წერია და შენ წარმოიდგინე, სამიზნე შენ ხარ. უკვე ორი თვეა, ამ ქალაქში ბოშები გამოჩნდნენ და ქუჩის წარმოდგენებს მართავენ. თურმე ყველა ქვეყანაში, რომელსაც სტუმრობენ, ყველაზე ხმაურიან ამბავს იტაცებენ და ჩვენებასაც მის სიუჟეტზე აწყობენ. ჩვენთან შენზე საინტერესო ვერაფერი გამოუძებნიათ. პირველივე დღეებში ისე გახმაურდა მათი გამოსვლები, რომ მოედნებზე, სადაც წარმოდგენებს აწყობდნენ, ხალხის ტევა არ იყო. სულ მალე კი ისე გაითქვეს სახელი, რომ ქალაქისთავმა პირადად დაავალა ერთ თვეში ქალაქის დიდ თეატრში დადგან იგივე სპექტაკლი, რომელზეც თურმე მმართველი და სხვა მაღალჩინოსნებიც დაუპატიჟებია. აი, ამას იუწყება ის ფურცელი, რომელიც შენ გიჭირავს ხელში.

— შენ ნანახი გაქვს? — ჰკითხა ჩიკომ.

— როგორ არ ვნახავდი. მარტო იმის გამო, რომ შენ გეხებოდა, უკვე სანახავი იყო და ნანახმა, ცოტა არ იყოს, შემაშინა. ეტყობა, ამ ბოშებს შენ გარდა იმ ხალხის ქცევებიც კარგად შეუსწავლიათ, ვისაც შენ ებრძვი და ყველა ბინძურ ხერხს ხმარობენ, რითიც შეიძლება გამოგიწვიონ. ზუსტად ამიტომ, ბოლოს შენს გმირს იჭერენ და კლავენ. აი, რა რანგშია აყვანილი შენი ხელში ჩაგდების სურვილი ამ ქვეყანაში. მასხრად გიგდებენ და ჭორებით გამოგონილ მითად გასაღებენ, რომელსაც თითქოს ყველამ ზურგი აქცია და ისიც დამფრთხალი გაიქცა. ერთი სიტყვით, მთელმა ქალაქმა მოილხინა ამ მასხარაობით თუ ტრაგიკომედიით, როგორც გაზეთებმა მონათლეს, მაგრამ კაცის ცრემლი მე არ დამინახავს იქ. აი, სიცილი და ხარხარი კი, რამდენიც გინდა!

— სწორად შეუფასებიათ გაზეთებს. ნამდვილი ტრაგიკომედიაც ზუსტად ის არის, როცა ტრაგედიას დასცინიან, — პირველად ჩაერთო ლაპარაკში დინო.

— ამ ფურცელს სახსოვრად დავიტოვებ, — თქვა ჩიკომ და ოტოს გახედა.

– დაიტოვე. ხვალ ისევ მიაკრავენ გემებს. ყოველდღე აკრავენ და ყოველღამე ვაცლი. დაიტოვე, ოღონდ სათაურმა არ მოგხიბლოს. ნადირობასაც თავისი სეზონები აქვს, ხომ იცი, და, თუ არასწორ დროს გახვალ სანადიროდ, თვითონ გაებმები მახეში. ახლა უნდა დატოვო ქვეყანა, ჩიკო, და შესაფერის დროს დაელოდო.

– ჩემი წასვლა არ გამოვა ახლა. ჯერ დინო უნდა წავიდეს და შენი დახმარება გვჭირდება ამაში.

– რითიც შემიძლია, ჩიკო. შენ დამავალე და დანარჩენი მე ვიცი.

– გემით უნდა გადავაპაროთ პატორში, თუ მოხერხდება ეს.

– ზუსტად ცხრა დღეში ვუშვებთ დატვირთულ გემს და ჩათვალე, ეს საქმე გაკეთებულია. მაგრამ შენც რომ წაჰყოლოდი, რა გიშლის ხელს.

– მე ჯერ ვერ წავალ. ჩვენი ერთად წასვლა დინოსთვისაც უფრო სახიფათოა იმ შემთხვევაში, თუ რამე გაუთვალისწინებელი მოხდება და დაგვიჭერენ. მარტო ჩავა, ყველაფერს შეხედავს, დალაგდება და როცა ნიშანს მომცემს, მეც გავუყვები გზას. ახლა სანამ დრო გვაქვს, ჩვენების ამბავი მომიყევი, აჯობებს. ქორწილის მერე არც მინახავს არავინ. მარია როგორ არის, სიძე როგორი გამოდგა?

– ყველანი კარგად არიან, ჩიკო, მაგრამ ჯინეზე ნურაფერს მკითხავ. თავიდან ჩვეულებრივი კაცი ჩანდა და ყველას გვიხაროდა, მაგრამ რაც ჩვენი ბიძაშვილობის ამბავი გაიგო, სულ შეიცვალა.

– კი მაგრამ, მას მაინც რაში შევუშალე ხელი? – გაიკვირვა ჩიკომ.

– არაფერში, მაგრამ რომ ვერც შეუწყვე, იმან გაამწარა. როცა დაქორწინდნენ ახალგამომცხვარი პროკურორი იყო. ცოტა ხანში შენი ამბავი გაიგო, რომ დაგიჭირეს. ძალიან წუხდა და გვეგონა, მართლა შენ გამო დარდობდა. მერე გაიქეცი და სიხარულით მეცხრე ცას ეწია. ისევ გვეგონა, შენ

გამო უხაროდა, თუმცა ერთ დღეს მარია ვნახე და ყველაფერს მაშინ მივხვდი. ნაცემი იყო. თურმე შენთან დაკავშირებას აიძულებდა და ამ გზით უნდოდა მახეში გაები. თანამდებობის ჯილდო კლავს, ჩიკო. გავაფრთხილე, მეორედ ხელით არ შეხებოდა, მაგრამ ცოტა ხნის მერე იგივე განმეორდა და კარგად მივბეგვე ის ნაძირალა. მიჩივლა, საკუთარ სახლში შემომივარდა და გამლახაო. ამის გამო ორი თვით ციხეშიც ამომაყოფინეს თავი. რომ გავთავისუფლდი, მარიასგან შემომითვალა, სულ სხვა მიზანი რომ არ მქონდეს, ყველაფერს ვიტყოდი და სახრჩობელა არ აგცდებოდაო. თან ის ახალი კანონიც შემახსენა, ოჯახის წევრებზე რომ ვრცელდება.

– რატომ არ წამოვა ჩვენი და, თუ აქამდეა საქმე მისული?

– ორი შვილი ჰყავთ, ჩიკო. ჯერ სულ პატარები არიან და ემუქრება, თვალით არ დაგანახებო. ამას გარდა, ამბობს, ჩიკოს ხელის დაფარებისთვის, თუ მოვინდომებ ციხეში ამოგალპობენო. იმდენად გავმწარდი, მისი მოკვლაც კი გადავწყვიტე, მაგრამ არც ეს გამოდის. ანდერძში ჩაუწერია, თუ გაუგებარ ვითარებაში მოვკვდი, ან მომკლეს, იცოდეთ ჩემი ცოლის ხელი ურევიაო. ასე რომ, კარიერისთვის ყველაფერზეა წამსვლელი. ამას არ მოგიყვებოდი, ასე უსაშველოდ რომ არ ყოფილიყო საქმე. ახლა კი შენც იცი, რომ ხელი არ უნდა ახლო, თორემ უარეს დღეში ჩავაგდებთ ჩვენს დას.

– გამოდის, გამოსავალი არ არსებობს? – შეწუხებულმა იკითხა ჩიკომ.

– ჯერჯერობით ასეა, ჩიკო. მარია ამბობს, ახლახან ვიღაც საყვარელი გაუჩენია, იქნებ შეუყვარდეს კიდეც და თავისით მოშორდეს. თავისი სიკვდილით კი, მაინც არ მოვკლავ მაგ გარეწარს და როცა იქნება, ყელში ამოვადენ ყველაფერს. როგორმე ყველანი პატორში უნდა წავიდეთ, ჩიკო. წავიდეთ და წასვლამდე ჯინესაც მივხედავ, როგორც ეკუთვნის. ცოტა დრო მჭირდება, რამე შეცდომა რომ არ დავუ-

შვა. ხომ გესმის, პროკურორია და ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს. არ მინდა, რამეს მიხვდეს და იძულებული ვარ, თავი ისე მეჭიროს, თითქოს მისი შიში მქონდეს, – სიმწრით თქვა ოტომ და ისევ სასმელში იპოვა შვება.

– ხომ ხედავ, ოტო, რამდენი ადამიანისთვის გავხდი საშუალება. წარმომიდგენია, როგორ ვუყვარვარ ასეთებს – ისე, როგორც მაძიებლებს უყვართ ოკეანეში ჩაძირული განძი. გამოდის, ციხიდან გაქცევის მერე, განძის ფასიც გაიზარდა და ჩემდამი სიყვარულიც, რამაც ახალი იმედი აჩუქა ყველას, მაგრამ რომ წავალ, ეს იმედი გაუქრებათ და მარტო ამად ღირს ჩემი აქედან გაქრობა. მაშინ დაენგრევათ ოცნება და მეც შემიზიზღებენ. ამიტომ, ახლა თუ საკუთარ თავს აზარტით ახარებენ და სხვას ტანჯავენ, მერე პირიქით მოუწევთ. თავს დაიტანჯავენ კრახისთვის და სხვისთვის აღარ ეცლებათ. ერთიც დაასხი, ოტო, და ისევ ნაპირისკენ წავიდეთ, სანამ დაგვთენებია.

– გათენებამდე ჯერ ადრეა და, თუ სხვა საქმე არ გაქვთ, ნუ იჩქარებ ასე. ვინ იცის, კიდევ როდის გნახავ. აქედან საიმედო ადგილას ჩამოგსვამთ და მერე შენზე კარგად არავინ იცის, როგორ გაიკვლიო გზა.

– მარტო უნდა წავიდე, ოტო. დინო აქ დარჩება, თუ რამე არ გვიშლის ხელს. მე ქალაქში მომიწევს რამდენიმე დღე გაჩერება და ორნი უფრო შესამჩნევი ვიქნებით. მეორეც ის, რომ მარტო უკეთესად გავართმევ თავს, თუ ვინიცობაა და ხიფათს გადავეყარე.

– ამ კაცზე არ იდარდო. გამგზავრებამდე ამ ნავიდან გასვლა არსად მოუწევს, ვიდრე გემი დაიტვირთება, მერე კი ცოტა დასველება მოუხდება. ცურვა ხომ გეხერხება, ბიჭო? – სიცილით ჰკითხა დინოს, რომელმაც თანხმობის ნიშნად, სიცილითვე დაუქნია თავი.

– ძალიან კარგი. მაშინ წავიდეთ, რახან ასეა.

ნავი ნაპირთან მიცურდა. ჩიკო მათ გამოემშვიდობა და ბნელ, მაღალ ფერდობს აუყვა. ცოტა ხანში ის უკვე ბაზის

სახლის აივანზე მიცოცავდა. იმ აივანზე, რომელიც მისი სამუშაო ოთახიდან გამოდიოდა და რომელსაც ის აუცილებლად სტუმრობდა ყოველ დილით, სახლიდან გასვლამდე. თავიდან ეს საქმით იყო გამოწვეული, მაგრამ ახლა ჩვევად გადაქცეოდა და სულ რომ არაფერი ნდომებოდა ამ ოთახში, კარში ისე არ გავიდოდა, არ შეევლო და აივნიდან არ გაეხედა კოხტად გაწყობილი ქალაქისათვის. ცოლი ეხუმრებოდა კიდეც, აივანს კიბე ამოვუშენოთ და საქმე გაგიიოლდებაო. ამ ჩვევის წყალობით, ჩიკო, თუკი რამე გადაუდებელი საქმე ჰქონდა მეგობართან, ყოველთვის ადრიანად მიძვრებოდა ხოლმე მის აივანზე. წინა დღით ასეთი საქმე არ ჰქონია, მაგრამ ოტოს ნახვის მერე, ისიც გამოჩნდა და ჩიკოც მის აივანზე გაჩნდა. პირველი, მისი სიძის საკითხი გახლდათ, რომელიც ისე გაეჩხირა ყელში, თითქოს გაგუდვას უპირებდაო. მეორე, თეატრი იყო და ამას თვითონ გაეჩხირა ისე უცნაურად, რომ თავადაც ვერ ხვდებოდა კარგად, სად ჰქონდა თავი და სად ფეხები. სწორედ ამიტომ სჭირდებოდა ბაზის დახმარება, ფეხზე რომ დამდგარიყო და ისე გაჩხერილიყო, თუ მაინც ასე იყო საჭირო.

ბაზი ზუსტად ჩვეულ დროს გამოვიდა აივანზე და მოულოდნელად გამოცხადებულ მეგობარს სიხარულით გადაეხვია.

– რამხელა წვერი მოგიშვია, ჩიკო, სამ თვეში. ასე პოლიციამ კი არა, მე ძლივს გიცანი. ხომ მშვიდობა გაქვს, ასე გაუფრთხილებლად რომ მოხვედი?

– მშვიდობა მაქვს, ბაზი, მაგრამ სიმშვიდისა რა გითხრა. ოტო ვნახე. დინოს გადაყვანაში დამეხმარება პატორში. მისგან ახალი ამბები გავიგე ჩვენს სიძეზე. მარიას ქმარზე გელაპარაკები. ჩემი გაცნობა სდომებია სიგიჟემდე, მაგრამ მე არ ვაპირებ მის ნახვას. სხვა გზით უნდა გავაცნო თავი და ამისთვის ინფორმაცია მჭირდება მასზე. სად დადის, ვისთან მეგობრობს, რა უყვარს და კიდევ საყვარელი, რომელიც ახლახან გაუჩენია. სხვა რამეც, თუკი იქნება მნიშვნელოვანი,

შენს ხალხს არ გამოეპარება და ამ ერთხელაც უნდა დამეხმარო. ამას გარდა, კიდევ ერთი საკითხი მაქვს დასამთავრებელი, რის შემდეგ მეც წავალ აქედან და ყველას დაგასვენებთ, – ღიმილით უთხრა ეს უკანასკნელი სიტყვები და გვერდზე მჯდომ მეგობარს მუხლზე ორჯერ დაარტყა ხელი.

– სიძეზე ყველაფერს გაგიგებ, ჩიკო, მაგრამ კიდევ ერთში რას გულისხმობ?

– გეცოდინება, მასკარადი გაუმართავთ საქვეყნო და ძალიან მინდა ვნახო. მისი ნახვის გარეშე აქედან ვერ წავალ, ბაზი.

– ვხვდები მგონი, რისი ნახვაც გინდა და ისიც ვიცი, რომ არ გადაიფიქრებ. შენი თქმის არ იყოს, ეს მასკარადი, კვირის ბოლომდე მთავარ მოედანზე გაიმართება. ამაში კი გაგიმართლა, ძმობილო. ძველ სახლს ვყიდი, ზუსტად მოედანს უყურებს. ზუზუს მერე იქ ვეღარ ვჩერდები, ჩიკო. არც იყიდება ჯინაზე თითქოს. ეტყობა, შენ გინახავდა ადგილს ამ ჩვენებისთვის. ოთხი დღე კიდევ დარჩა ამ კვირაში და შეგიძლია სულ დაიზეპირო თითოეული სიტყვა. ზუსტად ვიცი, ბოლო ნაწილი ყველაზე ნაკლებად მოგეწონება, მაგრამ ყველაზე მეტადაც შეგიწყობს ხელს აქედან წასვლაში. ასე რომ, იცოდე, ყველას წასული ჰგონიხარ უკვე. მხოლოდ მთავარი პროკურორია დარწმუნებული, რომ ისევ აქა ხარ. ალბათ, იმ სიძესაც ამიტომ აქვს შენი გაცნობის იმედი. იქნებ, მაინც აგეღო ხელი ყველაფერზე და ისე წასულიყავი.

– აქ თუ აღარ ვგონივარ, რიღასთვის აწყობენ ამ ცირკს. ოტომ თქვა, რომ ეს ჩემს გამოსაწვევად არის დაგეგმილი.

– ახლა ეს მართლაც ასეა, ჩიკო. თავიდან დადგმის მორალი განსხვავებული იყო და სულ სამჯერ აჩვენეს. მე არ მინახავს, მაგრამ მონაყოლით ვიცი, რომ იქ შენ ვერ გიჭერდნენ და შენი გმირი, სხვა თუ არაფერი, დაცინვას არ იმსახურებდა. ეს ამბავი ქალაქისთავის ყურამდე მისულა და ისიც მაშინვე ჩაერთო საქმეში. ბოშებს ძვირად დაუჯდათ შენი არასწორად შეფასება თუ წარმოჩინება და კინაღამ

თავებიც დაკარგეს. რამდენიმე დღეში წარმოდგენაც და მისი სათაურიც შეიცვალა. თავიდან მონადირე ერქვა, რაც შენთან ასოცირდებოდა და მეტ-ნაკლებად, რეალობას გამოხატავდა. მერე კი, მეტი ილუზია შემატეს, ნადირობად გადააკეთეს და თხუნელად გაქციეს, რომელმაც საკუთარ თავსვე გამოუთხარა ძირი. შენ წარმოიდგინე, მმართველის გულწრფელი მოწონებაც კი დაიმსახურა მისმა შედევრმა. შენი აქ ყოფნა-არყოფნის საკითხზე, ცალსახა პასუხი არავის აქვს დარწმუნებით, პროკურორის გარდა, რომელიც თვლის, რომ სწორედ მაშინ გამოჩნდები, როცა ისინი ყველაზე ნაკლებად დაგელოდებიან. სხვა დანარჩენები კი, თითქმის დარწმუნებულები არიან, რომ პატორში ხარ გადასული. ამიტომ, თუ გაქცეულის პოზიციიდან შეგხედავენ, ეს სპექტაკლი უკან თუ ვერ დაგაბრუნებს, შენზე შექმნილ ლეგენდებს მაინც დაანგრევს ხალხში. მაგრამ, თუ მაინც დაუშვებენ, რომ ჯერ ისევ აქ ხარ, მაშინ შენს გამოჩენას გარდაუვლად თვლიან. ამას ხალხი ლაპარაკობს, ჩიკო. ასე რომ, ორივე შემთხვევაში თავიანთ წისქვილზე ასხამენ წყალს.

– დაიტრიალებენ კიდეც მაშინ ამ წისქვილის ბორბალს საკუთარ თავებზე.

– ხელი აგეღო იქნებ ამ საქმეზე, ჩიკო, და შენი პირადი ცხოვრების მოწყობისთვის გეფიქრა უკვე, ქვეყნის მოწყობის მაგივრად.

ბაზის პასუხმა ჩიკო მოულოდნელად ზღვის ნაპირზე დააბრუნა, სადაც წინა ღამით ბელას ელოდებოდა, ის კი არ მოსულა. ფიქრობდა, იქნებ მეყვავილე ბიჭის ბრალი იყო, რომელმაც დაიზარა და საერთოდ არ გადასცა ბელას მისი დანაბარები. მაგრამ, თუ გადასცა და არ მოვიდა, ამას ხომ მიზეზი უნდა ჰქონოდა? იქნებ ავად იყო? ეს ყველაფერი უკვე ათასჯერ ჰქონდა ნაფიქრი, მაგრამ ახლა, თითქოს პირველადო, ისე აუყვა ფსკერისკენ დაშვებულ საფეხურებს.

– არ გამოვიდა ქვეყნის მოწყობა, სამწუხაროდ. ასე რომ, როგორც უკვე მიმიხვდი, ერთი საქმეც დამრჩა დასა-

მთავრებელი და მერე თავსაც მივხედავ, თუ გამიმართლა, – ჩიკოს გაეღიმა და ბავშვივით იკითხა, – ბელა ხომ არ გინახავს?

– არა, ჩიკო. საქმეების გადამკიდე სულ დავეკარგე. თვითონაც არ გამოჩენილა, მაგრამ ვიცი, რომ კარგად არის, – ბაზი შეყოვნდა, ფეხზე წამოდგა, მაგიდაზე მდგარი დოქიდან წყალი დაისხა, პირი დაისველა და განაგრძო, – შენც არ გინახავს, რაც აქ ხარ?

– გუშინ ველოდებოდი, მაგრამ არ მოსულა. ეტყობა, სახლში არ დახვდა მეყვავილეს.

– ჰო, ასე იქნებოდა, ჩიკო. მისი ნახვის დრო გექნება, ოღონდ ჯერ უნდა დაბინავდე.

– მისამართი მითხარი და გასაღები დამიტოვე. დანარჩენს თვითონ მივხედავ.

– საღამომდე აქ დამელოდე და მე წაგიყვან. საქმე არაფერი მაქვს, სახლშიც მარტო ვარ და ერთად ვიქნებით.

– შენთან ყოფნაზე უარს არ ვიტყოდი, ბაზი, მაგრამ სახიფათოა ეს ყველაფერი, ხომ იცი. ისედაც საკმაო საფრთხის წინაშე გაყენებ ჩემი სტუმრობით.

– ასე იყოს, ოღონდ საღამოობით მაინც ამოვალ ხოლმე.

– მარტო რატომ ხარ? შენები საით არიან?

– ბავშვს ველოდებით, ჩიკო. როგორც იქნა, ღმერთმა გადმოგვხედა ოთხი წლის ლოდინის მერე. ექიმმა მთის ჰაერი გვირჩია და სვიფში გავუშვი მშობლებთან ერთად.

– არც მახსოვს, ბოლოს როდის გამიხარდა რამე. მადლობა ღმერთს, ასეთი წყალობისთვის. თუ მშვიდობა იქნება, ბავშვს მე მოვნათლავ.

ამ პირობით დაემშვიდობნენ ერთმანეთს და უკვე საღამოს, ისინი ისევ ერთად ისხდნენ, უზარმაზარ მისაღებ ოთახში. მოედანი, რომელზეც წარმოდგენა იმართებოდა, სწორედ ამ ოთახის ფანჯრებიდან ჩანდა ხელისგულივით, გულისცემას რომ უჩქარებდა ჩიკოს ერთიორად.

– როგორ მოგეწონა წარმოდგენა? – იკითხა ბაზიმ და ქაღალდის ყუთიდან ღვინის სამი ბოთლი გადმოალაგა მაგიდაზე.

– იდეალურად გაუთვლიათ ყველაფერი. ვდარდობდი, რამდენიმე კაცს არ ესროლა ერთად, მაგრამ თურმე ერთი მამყოფინეს და ამით ძალიან დამავალეს. თან ისეთი თოფი შეურჩევიათ, უკეთესს ვერც ინატრებს კაცი.

– აღსანიშნად ყოფილა საქმე და ეტყობა გულმა მიგრძნო, ღვინო რომ გამოვიყოლე. ხვალ ადრე მოვალ და ერთად ვუყუროთ. ყველაფერს მომიყვები შენს საყვარელ პერსონაჟებზე.

– ვუყუროთ, – უპასუხა ჩიკომ და ღვინის ბოთლი გახსნა, – კარის საკეტი გავაფუჭე. ვინიცობაა, აქ წამასწრონ, ვიტყვი, რომ დაუპატიჟებლად შემოვედი. დიდი კაცი ხარ და არა მგონია, შენზე იეჭვონ რამე. შენც ნუ დაგეზარება ჩემი ლანძღვა, თუ საქმე მოითხოვს და ხალხი რას იტყვის, ნუ შეგაწუხებს. ისინი მაინც ისე იტყვიან, როგორც ჩასძახებენ, – დაუმატა და ჭიქები შეავსო.

– სიფრთხილეს არ ღალატობ, ჩიკო. კარგია, აქამდე რომ შეგრჩა ეს თვისება. როგორც წესი, ხალხი ყველაფერს ეჩვევა და ბევრ რამეს საჭიროდ აღარ თვლის.

– სადაც ვუღალატე, არც თვითონ დამინდო. ამიტომ ერთგულება ვამჯობინე, მაგრამ ყოველთვის არც ეს ამართლებს. ხდება ისეც, როცა მის გარეშეც არაფერი ფუჭდება და ისეც, როცა ვერაფერში გეხმარება.

– ისე თუ ყოფილა, მას რომ გაეფუჭებინოს რამე?

– ყოფილა. სიფრთხილემ დამაგვიანა დედაჩემთან, მაგრამ არც ის ვიცი, მის გარეშე რა მოხდებოდა.

– ჰო, ჰო. არავინ იცის, სხვანაირად რა იქნებოდა, – მოკლედ თქვა ბაზიმ და სახეზე ნერვიულობა დაეტყო, რაც ქმედებაშიც არ დაიმალა და ფეხზე წამომდგარმა, წინ და უკან დაიწყო სიარული, – რაც მოხდა, ვეღარ შევცვლით.

მომავალზე ვიფიქროთ, ისევ რომ არ დავაგვიანოთ, – დაამატა უკვე ჭიქით ხელში და მეგობარს გამართლება უსურვა.

– წარმოდგენა კიდევ სამი დღე გაიმართება ამ მოედანზე. მერე მეც წავალ და მოვემზადები. მანამდე ბელას უნდა დაველაპარაკო ჩემს გეგმებზე. სიფრთხილისთვის ალბათ აჯობებს, აქ მოგვეყვანა, თვალში რომ არ გამოვედო მეზობლებს ზედმეტად.

– ჰო, ჰო. ასე აჯობებს, ამაში ძნელი არფერია. აქ ამოვიყვან. ასე აჯობებს, – კიდევ ერთხელ გაიმეორა ბაზიმ და სახე ზუსტად ისე შეეცვალა, როგორც რამდენიმე წუთის წინ. მსგავსება ჩიკომაც შეამჩნია და ისე მოეჩვენა, თითქოს ეს სახე რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ვერ ბედავდა. ასეთივე სახე სადღაც აუცილებლად უნდა ჰქონოდა ნანახი, მაგრამ სად და როდის, ვერ იხსენებდა. გაიგო მხოლოდ მეორე დღეს, როცა მასთან ბელა მარტო მივიდა და მას ბაზის მოუსვლელობის მიზეზი ჰკითხა. სწორედ მაშინ დაინახა იმავე განცდის სახე, რომელიც მანამდეც ენახა ბელაზე, მაგრამ აზრით ვერანაირად ვერ დაეკავშირებინა ეს ორი სახე ერთმანეთთან. თუმცა მისთვის აშკარა იყო, რომ მათი სახელების ხსენება ორივეზე ერთნაირად მოქმედებდა. ამის მიზეზი უბრალო უსიამოვნებაც შეიძლება ყოფილიყო მისი აზრით და საგანგაშოს ვერაფერს ხედავდა, მაგრამ ერთი რამე მაინც აბნევდა. ეს დედამისი იყო, რომლის ხსენებაზეც ისევე ეცვლებოდათ გამომეტყველება, როგორც ერთმანეთის სახელების გაგონებაზე. წარმოუდგენელი იყო, ეს არ ამოეხსნა ჩიკოს და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, როცა ბელას კვლავ ბუნებრივი სახე დაუბრუნდა, სრულიად მოულოდნელად მან დედა ახსენა. ისევ ის დაინახა, რასაც ელოდა და შეეცოდა. სისუსტე დაინახა და იმიტომ შეეცოდა, თუმცა ჯერ არაფერი იცოდა, გარდა ემოციისა, რომელიც შეიძლება უამრავ რამეს გამოეწვია, როგორც ბელაში, ისევე ბაზიში. იცოდა კიდევ მსგავსება ამ ემოციის სახეე-

ბისა, მაგრამ ესეც შეიძლებოდა დამთხვევა ყოფილიყო, ან კიდევ ერთმანეთში გაზიარებული გრძნობა დადებითით ან უარყოფითით გამოწვეული, მაგრამ უფრო უარყოფითით, რადგან ბაზის და ბელას ერთმანეთი დიდი ხანი არ ენახათ, როგორც ჩიკომ იცოდა. ყველაფერ ამას ემატებოდა მათი გაუცხოებაც, რასაც ის ყოველთვის საკუთარ თავს აბრალებდა და თვლიდა, რომ ამდენმა ვაი-ვაგლახმა თვითონვე შეცვალა და ამიტომ ეჩვენებოდა ასე, მაგრამ ბოლო ორ დღეში ეს აზრიც ნელ-ნელა გაუქარწყლდა.

ბელა მის გვერდით იჯდა სავარძელში და ჩიკოს ჩაფიქრებულ თვალებში შეჰყურებდა, რომლებიც უცილობლად პირდებოდნენ რაღაცის კითხვას.

– ბელა, ასე მგონია, თითქოს ჩემი შიში გაქვს. მოხდა რამე, რაც მე არ ვიცი? – წყნარად ჰკითხა ჩიკომ, რამაც ბელა მაშინვე შეაკრთო.

– შენი? მეშინია? – მოულოდნელობისგან გვერდზე შეაბრუნა თავი, თუმცა მაშინვე ისევ მას გაუსწორა ცივი მზერა, – მეშინია, ჩიკო. შენი მეშინია. შენი დაკარგვის მეშინია ყველაზე მეტად ამ ქვეყანაზე. შენ? არ გეშინია ჩემი დატოვების? ვიცი, შენს ახალ ჩანაფიქრსაც მიიყვან ბოლომდე და მორიგი მიზანი გამოგიჩნდება, რომელშიც ბელა ისევ არ იქნება. როდის დამთავრდება ეს ყველაფერი?

– ზუსტად ამიტომ მინდოდა შენი ნახვა. რამდენიმე დღეში დინო დატოვებს ქვეყანას და მალე ჩვენც შევძლებთ წასვლას. მანამდე მე ყველა საქმეს დავამთავრებ და ერთადერთი მიზანი აქედან შენთან ერთად წასვლა დამრჩება. ეს ბაზიმაც იცის და, თუ ჰკითხავ, იმავეს გეტყვის, მაგრამ როგორც ვხედავ, ერთმანეთის ნახვას თავს არიდებთ რატომღაც. მისთვის არაფერი მიკითხავს ამაზე, თუმცა ვხედავ, როგორ იცვლება შენს ხსენებაზე და ხმას აღარ იღებს. შენც ასევე დაგემართა ცოტა ხნის წინ, ბელა. გამოდის, რახან მე არ მეუბნებით არაფერს, კარგად იცით ორივემ, რას წარმოადგენთ ჩემთვის ერთიც და მეორეც. ამიტომ, თუ რამე

მნიშვნელოვანია, უნდა ვიცოდე. ვიცი, ბაზი გულს არ გატკენდა, ბელა, მაგრამ თუ მაინც მოხდა ასე, ის ჩემი ძმაა და ეს საკმარისია.

– მსგავსი არაფერი მომხდარა, ჩიკო. მართალი ხარ, დიდი ხანია არ მინახავს ბაზი, მაგრამ წყენა არაფერ შუაშია. როცა ჩაბარება გადაწყვიტე, ყველაფერი დამთავრდა ჩემთვის. მერე დედა გარდაგეცვალა და ნუგეშიც კი არ შემეძლო შენი. არადა, რომ იცოდე, როგორ მჭირდებოდა ეს, ჩიკო, როგორ მინდოდა, ჩაგხუტებოდი და პატიება მეთხოვა ყველას სახელით. განა არ ვიცოდი, მარტო რომ დაიტანჯავდი თავს? სხვა გზა აღარ დამრჩა და მეც სახლში ჩავიკეტე. მთელი დღეები ჯოჯოხეთურ ფიქრებს მიჰქონდა, სანამ შენ გამოჩნდებოდი და ესეც სულ რამდენჯერმე მოხდა ამ ბოლო წლების განმავლობაში. აბა, როდის უნდა მენახა ბაზი, ან რა მეთქვა მისთვის? ან ის რას მეტყოდა იმედის მომცემს? ახლა, თუ ეს მართალია, რომ მალე აქედან წავალთ, ჩემს უსასრულო შიშსაც მოეღება ბოლო. იმედი მექნება, რომ მალე აღარ შემეშინდება და ამით გავიტან ამ დროს, ოღონდ ამ იმედს ნუღარ წამართმევ, ჩიკო. შემპირდი, რომ არ წამართმევ და წავალთ აქედან, სადაც შენ იტყვი, ოღონდ აქედან წავიდეთ, – ევედრებოდა ბელა ჩიკოს და მის ხელს ზღვაში ნასროლი მაშველი რგოლივით ჩასჭიდებოდა.

– მალე, ძალიან მალე, ბელა, – ჩურჩულით თქვა ჩიკომ და გულში ჩაიკრა. ყოველი კითხვა, რომელიც მის გონებაში ილანდებოდა მანამდე, ერთიანად გამქრალიყო სადღაც.

იმ საღამოს ბაზი აღარ მოსულა, რაც ჩიკოს არ გაჰკვირვებია. ეტყობა, უნდოდა, სიმყუდროვე არ დაერღვია მათთვის. ბელა დაღამებამდე დარჩა და საერთოდ არ წავიდოდა, ერთი სიტყვა რომ ეთქვა ჩიკოს, მაგრამ ის დუმდა. შესაფერისი დრო და ადგილი არ იყო, მისი აზრით, ამისთვის, თორემ ბელაზე ნაკლებად არც თვითონ უჭირდა მასთან განშორება.

კარგად შეღამებულიყო იმ დროისთვის, როცა ფარდის უკან მდგარი ჩიკო ფანჯრიდან აყოლებდა თვალს, გზის გასწვრივ, ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ბელას. მალე მან ერთ-ერთ ქუჩაზე შეუხვია და ჩიკოც მარტო დარჩა. კიდევ ერთხელ მოავლო თვალი, უკვე ცარიელ მრგვალ მოედანს და მასზე მძივის თვლებივით აკინძულ ფერად ფანჯრებს, როცა მოულოდნელად, მოპირდაპირე სახლის ერთ-ერთი ფანჯრიდან, ნაცნობ მზერას გადააწყდა, სულ რომ გრძნობდა თითქოს მის ხელსაც, მაგრამ ვერ ხსნიდა საიდან. უნებურად კედელს მოეფარა და როცა ისევ გახედა, გულში წამონთებულ სიტყვასთან ერთად, ადგილზე გაიყინა. სიტყვამ დაასწრო ლღობაში, როცა ის არისო, წაიჩურჩულა და ადგილიდან მოსწყდა. ათასმა აზრმა გაურბინა თავში ჩიკოს, სანამ იმ სადარბაზოში არ აღმოჩნდა, რომლიდანაც იდუმალი ფანჯარა იყურებოდა. ბოლო სართულამდე სულმოუთქმელად აირბინა, ვიდრე ოდნავ შეღებული კარის წინ აღმოჩნდა, საიდანაც მკრთალი შუქი გამოდიოდა. ზღურბლთან ძალაუნებურად შეყოვნდა, შუბლზე ხელი მოისვა და ფრთხილად მიუახლოვდა.

– შემოდი, – მზრუნველი ხმა გაისმა ოთახიდან.

ჩიკო მაშინღა მოეგო გონს, როცა შიგნით შეაბიჯა და ოთახის ბოლოში, სავარძელში, მისგან ზურგით მოკალათებულ შემოქმედს მოჰკრა თვალი, გადაშლილი წიგნი რომ ედო მუხლებზე.

– იქნებ შეგვეწყვიტა ყველაფერი?

– როგორ? ეს ხომ უკვე დაწერილია.

შემოქმედმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

– რას ელოდები?

– შენს გადაწყვეტილებას. გამოგყვე თუ გამომყვები?

– მას გაყევი, – ჩიკომ წიგნში მოყოლილ ლურჯ კალამზე მიანიშნა თვალით.

– ასეც ვიცოდი, მაგრამ მაინც მაწუხებდა რაღაც. რახან არ იშლი, იარე შენს გზაზე, ჩიკო.

– შენ ყველას თავის გზაზე უშვებ? მათხოვრები სადამდე გაუშვი? – გაეღიმა ჩიკოს და მაგიდაზე დადებულ წიგნს გახედა.

– ყოვლისშემძლე მათხოვრებზე ამბობ? ისინი უგზოუკვლოდ დაიარებიან სულ.

– მათაც ჰკითხე?

– არა. ისინი მე არ მაღიარებენ. თვითონ სვამენ კითხვებს და თვითონვე პასუხობენ.

– კარგია, რომ გნახე. აღარც მე შემაწუხებს კითხვები, იმედგაცრუების დროს და განგებასაც არ დავაბრალებ ჩემს ბედუკუღმართობას.

– მე ამაში დაგეხმარები, – თქვა მან, ახალი ფურცელი გადაშალა, რამდენიმე სიტყვა ჩაწერა და ნახსენები კალამი ჩიკოს გაუწოდა.

„ინფანტილური მზერით უყურებდა ფურცელს და ირონიით – საკუთარ მომავალს“, – გაჭირვებით ამოიკითხა ჩიკოს თვალებმა გაკრული ხელით ნაწერი სიტყვები.

– ეს ხომ შენია? – გაკვირვებული სახით იკითხა ჩიკომ.

– უკვე შენია. მშვიდობით, ჩიკო!

– მშვიდობით... – ლურჯი კალამი გამოართვა და ოთახი დატოვა.

* *

დილით ბაზი ადრე ესტუმრა ჩიკოს და კარგი ამბებიც ახარა.

– შენს სიძეზე საინტერესო ამბავი მომახსენეს წუხელ, – დაიწყო მან ამბის მოყოლა, – ბოლოხანს ის მთელ დღეს სამსახურში ატარებს და ყველაფრის გაგება ჯერ ვერ შევძელით, მაგრამ ის, რაც გუშინ გააკეთა, ვფიქრობ, დაგაინტერესებს. სამსახურიდან გამოსული ვიღაც ბიჭს შეხვდა, რომელსაც წერილი გადასცა. ამ ბიჭმა წერილი ქალაქისთა-

ვის სახლის საფოსტო ყუთში ჩააგდო და გაგიკვირდება მისი შინაარსი.

– წერილი ნახე? – გაკვირვებული სახით ჰკითხა ჩიკომ.

– რა თქმა უნდა, წავიკითხე და გამიკვირდა კიდეც. ქალაქისთავის ცოლს ატყობინებს, რომ მისი კაბა შეკერილია და დღეს საღამოს ბოლო მოსინჯვაზე უნდა ესტუმროს სამკერვალოს. საინტერესო ამ ყველაფერში ისაა, რომ ამ ორ დღეში მოპოვებული ინფორმაციით, მას არანაირი სამკერვალო არ უნდა ჰქონდეს. ახლაც, ერთ ნაცნობს შევხვდი, ერთ-ერთი მსხვილი ფაბრიკის მფლობელია და მანაც არაფერი იცის ასეთ პირზე მისი საქმიანობის სფეროში.

– ოტოსაც არაფერი უთქვამს სამკერვალოზე. საყვარელი გაიჩინაო კი მითხრა და, ეს თუ ის არის, რასაც მე ვფიქრობ, მაშინ მისი საქმე წასულია, – ჩიკო ცოტა ხანს ჩაფიქრდა და როგორც ასეთ დროს სჩვეოდა, ლაბირინთს გაუყვა გამოსავლის ძებნაში. მალევე იპოვა კიდეც და კმაყოფილმა ბაზის გახედა, – უნდა გავიგოთ, რა საერთო აქვთ ერთმანეთთან. ეს თუ ის საყვარელია, ქალაქისთავსაც ძალიან გავახარებთ და სიძესაც. ანონიმური წერილი უნდა გაიგზავნოს პოლიციაში და რომელიმე გაზეთის რედაქტორთან, თითქოს ახლო მომავალში ჩემი ადგილსამყოფლის ინფორმაციას მიაწვდიან და როცა ისევ მოუნდებათ კაბის შეკერვა, მეორე წერილი უკვე თავის საქმეს გააკეთებს. ჩემ მაგივრად იქ ცნობილი წყვილი დახვდებათ და არა მგონია, კარგად დამთავრდეს ეს სიძებატონისთვის. ოტო გააკეთებს ამ ყველაფერს, როცა დრო მოვა.

ბაზი ცოტა გაკვირვებული უსმენდა მეგობარს და შეკითხვისგანაც ვერ შეიკავა თავი:

– ახალი მეთოდებით დაგიწყია ბრძოლა. ასეთი ხრიკები არ გიზიდავდა აქამდე და რამ შეგაცვლევინა ზნე?

– სხვაზე სიფრთხილემ, ბაზი. სხვანაირდ არ გამოვა ეს საქმე ისე, რომ მარია არ დაზარალდეს. მისიანების ხელით უნდა განადგურდეს ჯინე და ვეღარაფერს შეძლებს.

– შენი ხსენება რაღად გინდა. პოლიცია ხომ ქურდობის შეტყობინებაზეც არ დაიზარებს მისვლას.

– მინდა იცოდნენ, რომ ეს ჩემი საჩუქარია.

– წარმომიდგენია, როგორ გაუკვირდებათ შენგან ეს ნაბიჯი. რახან არ იშლი, ასე იყოს. საღამოს ჩემს მეგობარს ვნახავ და ყველაფერი მეცოდინება. ის დილიდან ქალაქისთავის სახლთან ტრიალებს. ახლა კი, მეც წავალ და შევხედავ, საით აქვს გზა იმ ვაჟბატონს.

– კარგს იზამ, ბაზი. ამის გარეშე აქედან ვერ წავალ. ჩემზე რომ იყოს მარტო, ხელს ავიღებდი, მაგრამ ეს ჩემს დას ეხება, ჩემ გამო რომ ჩავარდა ასეთ დღეში.

– მესმის შენი, ჩიკო. ხომ იცი, ეს გზა რომც არ გამოდგეს, მაინც მოვუნახავთ მისადგომს, – თქვა უკვე გასასვლელში მდგარმა ბაზიმ, კარს რომ აღებდა ფრთხილად და წამში მის მეორე მხარეს აღმოჩნდა.

ბაზი იმღამითვე დაბრუნდა იმ ამბით, რომ ჯინემ და მოსალოდნელმა ქალბატონმა მართლაც ნახეს ერთმანეთი ქალაქის მიყრუებულ დასახლებაში და თავი რამდენიმე საათით ერთ-ერთ ბინას შეაფარეს. სახლიც და ბინის ნომერიც მას ფურცელზე ჰქონდა ამოწერილი. ჩიკო ამ ამბავმა ძალიან გაახარა და მეგობარს დიდი მადლობაც გადაუხადა გაწეული სამსახურისთვის. მეორე დღეს, შებინდებულზე, ჩიკომ იქაურობა დატოვა და ოტოსკენ გაეშურა. ყველაფერი კარგად აეწყო მისთვის. დინო დილით ტოვებდა ქვეყანას, სიძეზე საჭირო ინფორმაცია მოიპოვა და ქუჩის წარმოდგენებიც ზუსტად იმ დღეს დამთავრდა მოედანზე. ასე რომ, ყველაფერს ერთიანად მოაბამდა თავს. დინოს დაემშვიდობებოდა, ოტოს დაარიგებდა, როგორ მოქცეულიყო და ბოლო საქმესაც მეტი სიმშვიდით დაამთავრებდა.

10

ქალაქის დიდი თეატრი ხალხით ივსებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მთელმა ქალაქმა ზეპირად იცოდა დადგმის შინაარსი, ხალხი მაინც ველური ინტერესით მიეშურებოდა დიდი თეატრისკენ. აღსანიშნავია, რომ ეს ხალხი მაღალი ფენის საზოგადოებას წარმოადგენდა, ისეთებს, ვინც ქუჩის მოედნებზე არ კადრულობდა დასწრებას, დიდი ინტერესის მიუხედავად. თითქმის ყველა მათგანს ჰყავდა მოედანზე გაგზავნილი მოახლე ან მოსამსახურე, ინფორმაციულ ვაკუუმში რომ არ აღმოჩენილიყო, თუკი სადმე ამ საკითხს ახსენებდნენ. სწორედ ამიტომ იყო ეს ასეთი მნიშვნელოვანი დღე მათთვის და კიდევ იმიტომ, რომ აქ ქვეყნის სათავეში მყოფი ფიგურები მოიყრიდნენ თავს. აქედან გამომდინარე, გარდა სპექტაკლისა, დღეს დიდი ინფორმაციაც გადმოიღვრებოდა და საკუთარი ინტერესების სიტყვაც ჩაეწვეთებოდა შესაბამის დროს. მაგალითად, მაშინ, როცა სპექტაკლის განსჯისას ხარხარით მოუკეთებდნენ გულს ადრესატს და მოხერხებულად თავის სატკივარზე გადაიტანდნენ საუბარს. განა სად ნახავდნენ ასეთი რანგის ხალხს უკეთეს ადგილას, თანაც, ასეთ კარგ გუნებაზე? კაბინეტებში, საუკეთესო შემთხვევაში და იქაც მხოლოდ ოფიციალური საუბარი თუ გაიმართებოდა. აქ კი, თვით მმართველი იქნებოდა და, თუ პირადად ვერ შეჰკადრებდნენ თქმას, ისეთ კაცს მაინც ხომ ეტყოდნენ, მას რომ გადასცემდა? ან თუნდაც ისეთს, ამ უკანასკნელისთვის მაინც რომ ეთქვა და ეს უკანასკნელი ხომ ისევ მმართველს ჩაუჭიკჭიკებდა, როგორც თავიდანვე იყო ჩაფიქრებული? აუცილებლად მივიდოდა და მეათე კაციდანაც რომ დაეწყოთ მისგან, მაინც მიაწვდენდნენ ხმას, თუ ისეთ რამეს იტყოდნენ და რაც მთავარია, ისე იტყოდნენ. „ისეთთან“ დაკავშირებით საფიქრალი არავის არაფერი ჰქონდა, აი, „ისესთან“ კი ყველა ფრთხი-

ლობდა. სწორედ ისე თქმა იყო მთავარი, ხმა რომ ექოდ ქცეულიყო და ას კაცსაც ჰყოფნოდა გასატარებლად.

თავად ის და ისინი, ვისზეც ასე გულმოდგინედ დარდობდა თავმოყრილი საზოგადოება, თეატრის იმ ოთახში იყვნენ შეკრებილები, განსაკუთრებული სტუმრებისთვის რომ იყო განკუთვნილი. ჩაის ორთქლი და სიგარეტის კვამლი ისევე ირეოდა ერთმანეთში, როგორც იქ მყოფთა აზრები.

– ბატონი პროკურორი რატომ აგვიანებს, ხომ არ იცით? – იკითხა მმართველმა.

– ალბათ, შეგნებულად არ მოდის. ხომ იცით, როგორი ეჭვითაც უყურებს ის ამ ყველაფერს, – თამამად უპასუხა ობურმა, რომლის ტონსაც პირველი პოლიციელის ჩინი კარგად დასტყობოდა.

– უცნაური კაცია მაინც, – სიცილით დაამატა ქალაქისთავმა და თავი გააქნია.

– გამოდის, ბოიკოტს გვიცხადებს? სპექტაკლი რა შუაშია მის ხედვებთან.

– მას ბევრჯერ უთქვამს, რომ პროპაგანდის მეთოდებით ბრძოლა მასთან უშედეგოა და, რომ სჯობს, ჩვენც ისევე ჩუმად ვიმოქმედოთ, როგორც თვითონ გვეთამაშება ის ეშმაკის ფეხიო, – ისევ ობურმა გასცა პასუხი, რომელსაც თავის ახალ რანგთან ერთად, ისიც კარგად დაეხსომებინა, რომ მმართველთან ჩიკოს სახელი არ უნდა ეხსენებინა.

– ჩუმად? ეგლა გვაკლია მისი შიშით ხმა ვეღარ ამოვიღოთ. თვითონ თუ გაიქცა აქედან, გლოვას ხომ არ გამოვაცხადებთ! სამარცხვინოა და ხალხიც მასხრად იგდებს, – სავარძლიდან წამოხტა ქალაქისთავი და ხელები ერთმანეთს შემოჰკრა, როგორც ჩვეოდა ხოლმე გაოცების დროს.

– საქმეც ის არის, რომ პროკურორის აზრით, ის არსადაც არ წასულა და ისევ ქვეყანაში დაძრწის! თუმცა მე ეს აბსურდად მიმაჩნია. რამდენ ტუსაღს ჩამოუვლია სვიფიდან ამ ბოლო წლებში, მაგრამ თითიც არ გაუნძრევია მათ

გასათავისუფლებლად. აბა, სად გაგიგიათ მგელი ცხვრის ჭამას გადაეჩვიოს? ასე რომ, მისი აქ ყოფნა ყოვლად გამორიცხულია. თუმცა, ეჭვის დონეზე მისგან ყველაფერია მოსალოდნელი, – ორჭოფით დაამთავრა ობურმა, რომელსაც მაშინვე გამოეხმაურა მმართველი.

– დამიჯერეთ, ბატონო ობურ! მას მერე, რაც თავისივე ჯგუფმა აქცია ზურგი, ის მორალურადაც გატყდებოდა და აქ გაჩერების ყველა მიზეზი გაუქრებოდა. ამ მასხრად აგდებამ კი, შეიძლება ისევ გაუჩინოს მობრუნების მიზეზი და მაშინ ნამდვილად ველარსად წაგვივა. დარწმუნებული ვარ, სიამაყე არ მოასვენებს, სანამ არ დაბრუნდება.

– რომ არ დაბრუნდეს? ხომ შეიძლება, პატორს ვთხოვოთ მისი გადმოცემა! – თვალებგადმოკარკლული იყურებოდა ქალაქისთავი შუა ოთახიდან, რომელიც ობურს უყურებდა გამომწვევად და მმართველის შექებას ელოდა. აქაოდა, თითქოს, ისეთი რამე აღმოაჩინა, რაც მათ უნდა მოეფიქრებინათ აქამდე, მაგრამ ვერ მოისაზრესო.

– დაწყნარდით, მეგობარო! ეს გზა უკვე ნაფიქრია და აზრიც არის გამოტანილი. პატორში ისეთ პიროვნებას, როგორიც ის არის, ჩვილივით გაუფრთხილდებიან, სანამ კარგად არ გამოზრდიან და მოქმედებაში მოიყვანენ. თქვენ მამამისი არ გეხსომებათ. მაშინ ახალბედები ვიყავით ამ ქვეყანაში და ყველაზე დიდი უსიამოვნება სწორედ მისგან შეგვხვდა. მართალია, შვილს ბევრად ჩამორჩებოდა საშინაო პოლიტიკაში, მაგრამ საგარეოში შესანიშნავი სამსახური გაგვიწია ჩვენც და პატორსაც, როცა თავისი ქვეყნის გასაჭირის გადასაცემად პატორს შეაფარა თავი. მაშინ მათ ის არ გადმოუციათ და როგორც შემდეგ აღმოჩნდა, სწორადაც მოქცეულან. სამხრეთით რომ გვესაზღვრება ჩვენ და მათ ჩრდილოეთით პატარა, მაგრამ მეტად მდიდარი ქვეყანა, ძვირფასი ქვებით განთქმული, ხომ იცით? ეს ქვეყანა იმდროიდანვე მათი მოკავშირე იყო და სწორედ იქ დააბინავეს მამამისიც რამდენიმე თვის შემდეგ. ჩვენ რა თქმა უნდა,

მათაც მოვთხოვეთ მისი გადმოცემა და რასაკვირველია, უარი მივიღეთ, რაც ძალის გამოყენების საბაბს გვაძლევდა და ჩვენც გამოვიყენეთ. მაშინვე პატორმაც არ დაახანა და თვითონაც საქმეში ჩაერთო. ქვეყანა ორად გაიყო, რაც იქამდე გაგრძელდა, სანამ მთელი ძვირფასი ქვის ნახევარი ჩვენ და ნახევარიც პატორმა არ გავიყავით. იმ ქვეყანაში დღესაც ახსოვთ ის ლტოლვილი და დღემდე წყევლიან მის მოდგმას. ბოლოს კი, ისევ აქ დაბრუნდა იმედგაცრუებული და ჩვენს მახეშიც გაება. თუმცა ცოცხლად არ ჩაგვბარდა და ბოლომდე ებრძოლა ერთ-ერთ ხეობაში ჩვენს ჩასაფრებას. ასე რომ, ამხანაგებო, დღეს თუ ხვალ, მისი შვილიც იმაზე დიდ სამსახურს გაგვიწევს ჩვენც და პატორსაც, ვიდრე სახრჩობელასა თუ ტყვიას.

– ეს თუ იცის მისმა შვილმა, მათთან წასვლას რატომ გადაწყვეტდა მაშინ? – გაკვირვებული სახით იკითხა ქალაქისთავმა.

– ასეთი საკითხები დღის შუქზე არ გამოაქვთ! ხომ ხედავთ, ახლაც ღამეა და ამიტომ გაგიმხილეთ, – ირონიით თქვა მმართველმა და გადაიხარხარა, – ჰო, მართლა, რატომ აგვიანდება წარმოდგენის დაწყებას? – გაოცებულმა დაამატა და გოგონას, რომელიც ცარიელი ფინჯნების გასატანად შემოვიდა, თეატრის ხელმძღვანელის მოხმობა დაავალა. რამდენიმე წუთში ისიც ოთახში გაჩნდა ახსნა-განმარტებებით.

– თქვენო უდიდებულესობავ, მოგეხსენებათ, ისინი არ არიან შეჩვეული ასეთ შენობაში და ასეთი აუდიტორიის წინაშე თამაშს და მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი დღეები აქ გაატარეს რეპეტიციებში, მაინც საკმაოდ აფორიაქებულები ჩანან. ამიტომ დროც გაეწელათ, მაგრამ გარწმუნებთ, ნახევარ საათში დავიწყებთ.

მართლაც, წარმოდგენა აღთქმულ დროს დაიწყო და უზარმაზარი დარბაზიც უხმოდ ჩაბნელდა. მხოლოდ სცე-

ნას ანათებდა წითელი შუქი, სხვადასხვა დეკორაციით რომ გაეწყოთ. სცენის პირდაპირ, გრძელ ლოჟაში მმართველი, პირველი პოლიციელი – ობური და ქალაქისთავი ისხდნენ მეუღლეებთან ერთად. მარჯვენა მხარეს ორი ლოჟა იმ ჭირისუფლებისთვის იყო განკუთვნილი, ვინც ჩიკომ გააუბედურა, რომელთა შორის ბელაც დაესვათ დედის და დის გვერდით. პირველ რიგებში შეყუჟული ბაზიც, რომელსაც გულისცემა არ ასვენებდა, ყველაფერს სულმოუთქმელი მოლოდინით აკვირდებოდა იმ წამიდან, რაც დარბაზი ჩაბნელდა. ქუჩისგან განსხვავებით, აქ ყველაფერი მძიმე და გამძაფრებული ჩანდა. დროდადრო ამა თუ იმ ეპიზოდს მუსიკა დაჰყვებოდა, განათებები ფერებს იცვლიდნენ, ფარდები ადი-ჩამოდიოდნენ და ეს ყველაფერი, დასაწყისისთვის ტრაგიკულს უფრო ხდიდა სანახაობას, ვიდრე კომიკურს, განსხვავებით ქუჩისგან, სადაც ამ ყველაფრის გარეშე, ის ბევრად მსუბუქი და მხიარული ჩანდა ხალხის ყიჟინის თანხლებით. სწორედ ამიტომ, დარბაზში სიცილი ნაკლებად ისმოდა. თუმცა, როცა სცენაზე გამოცხადებულმა ქალმა თქვა, მრცხვენია, რომ ჩემი შვილიაო და მაყურებლებიდან ვიღაცამ უპასუხა, შენც თქვი, რომ ძალადობის შედეგი და ნაბიჭვარიაო, დარბაზი ხარხარმა და ათასგვარმა გადაძახილმა მოიცვა, რასაც ისევ მელოდიური ფერები მოჰყვა და ატეხილი ხორხოციც ჩურჩულში დააბრუნა.

– დაე, აღსრულდეს განაჩენი, რომელიც სასამართლომ გამოიტანა და ხალხმა დაამოწმა. მე მას კიდევ ერთხელ გავაცნობ საზოგადოებას, მის სისრულეში მოყვანამდე. ბოროტმოქმედს, სახელად ჩიკო ლემორს, მიესაჯა სიკვდილით დასჯა!..

აქ მთელი დარბაზი გამოცოცხლდა და სხვადასხვა წამოძახილით უერთდებოდნენ სიტყვით გამოსულ მაცნეს, რომელსაც კიდევ ერთხელ უნდა დაენახებინა ყველასთვის, თუ როგორ ზეიმობს კანონი მათთვის, ვინც მას წერს.

– ის დიდხანს გაურბოდა ამ განაჩენს, თუმცა, საბოლოოდ მაინც ვერ დაემალა მართლმსაჯულების ფეხის ხმას, რომელიც მუდამ ფეხდაფეხ სდევდა. და აი, დღეს ის თქვენ წინაშეა, დაქვრივებულო ცოლებო, დაობლებულო შვილებო, გაყიდულო მეგობრებო, მოკლულო დედავ...

– დიდებულად მოუფიქრებიათ სიტყვა, – ჩუმად გადაუჩურჩულა მმართველმა გვერდზე მჯდომ ობურს. მანაც პასუხად თავი დაუკრა ისე, რომ მაცნესთვის თვალი არ მოუცილებია. მათ შორის მოკალათებული აღფრთოვანებული ქალაქისთავი კი, ბავშვივით ცმუკავდა და ტუჩებს იწიწკნიდა.

– სწორედ ამდენი სისასტიკისთვის, დღეს მას კიდევ ერთხელ დაუმძიმდა ბრალი და სიკვდილით დასჯის განაჩენს დაემატა კიდევ ერთი სიკვდილით დასჯის განაჩენი, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოროტმოქმედს ჯერ ჩამოახრჩობენ, მერე კი სახრჩობელაზევე დახვრეტენ!

აქ მთელმა დარბაზმა ერთხმად გადაიხარხარა და ზოგი წამოძახილით თავის მოკვეთასაც გაიძახოდა. მაცნე გაჩუმდა და ახლა მზერა, სცენაზე გამოსულმა მღვდელმა და ინკვიზიტორმა მიიპყრო, რომელიც ყულფში თავგაყრილ, ხელებიან ტომარასთან მივიდა, სცენის შუაში რომ იყო მოქცეული და ყური პირთან მიუტანა. მერე სამჯერ პირჯვარი გადასწერა, რის შემდეგაც იქაურობას გაეცალა. ინკვიზიტორმა ბოლო სიტყვა მისცა ხელებიან ტომარას, რომელიც სუფლიორის ხმით მხოლოდ პატიებას ითხოვდა აკვიატებულად და მუდარის ტონით, მაგრამ არც ინკვიზიტორი და არც ჯალათი, რომელიც უკვე ყულფის პირისპირ გაჩენილიყო სახეშენიღბული, მას არ უსმენდა. ინკვიზიტორმა თავი დააქნია და სკამი, რომელსაც ტომარა ეყრდნობოდა, გამოეცალა მას. მთელ დარბაზს სუნთქვა შეეკრა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ტომარა ახლა უკვე თოკზე ჩამოკიდებული აქეთ-იქით ქანაობდა, რომელსაც იარაღმო-

მარჯვებული ჯალათი მიზანში იღებდა, ჩინოვნიკის ნიშნის მოლოდინში. ისიც არ ჩქარობდა თითქოს და ჯალათიც ანერვიულებული, უფრო და უფრო აწვრილებდა მიზანს საკუთარ თვალში.

– დიდებული შესრულებაა! – სწორედ მაშინ გადაუჩურჩულა ობურმა მმართველს, როცა ჯალათი მთელი ძალით იხუტებდა იარაღს მკლავებში. მთელი დარბაზი ახლა მას უყურებდა, ის კი მხოლოდ ორ ადამიანს ხედავდა სამიზნეში.

– ძნელია არ დაგეთანხმოთ. თითქოს მართლა აპირებს ვინმეს მოკვლასო, – ჩაფიქრებული არ აშორებდა თვალს ჯალათს მმართველი.

– ცეცხლი! – გაისმა ჩინოვნიკის ხმა, მაგრამ ჯალათს არ გაუსვრია. ის ტომარაზე და ორ ადამიანზე ფიქრობდა. ბედის ირონიად ეჩვენა ის ფაქტი, რომ ჩამომხრჩვალი ტომარა ცოცხალი იყო, ხოლო ის ორი ცოცხალი კი მომაკვდავები.

– ცეცხლი! – განმეორებით დაიძახა ჩინოვნიკმა, რასაც ჯალათისგან ზედიზედ ორი გასროლა და ქალების კივილი მოჰყვა.

– სანახაობა დასრულებულია! – შესძახა ჯალათმა, რომელმაც იმავდროულად ნიღაბიც მოიხსნა და კულისებში გაუჩინარდა უკვე რევოლვერმოღერებული.

– ჩიკო! – ერთდროულად გაისმა განწირული ხმა ბაზისა და ბელას გონებაში.

ხალხი ქაოსურად გარბოდა დარბაზიდან. იარაღიანი ფორმიანებიც დაბნეულები ირეოდნენ ერთმანეთში. ლოჟაში ტვინგასხმულ მმართველსა და ობურს ქალები დაჰკიოდნენ თავზე. ქალაქისთავს ყურებზე შემოეკრა ხელები და იქვე კუთხეში ჩაკეცილიყო კანკალს აყოლილი. დარბაზი თითქმის დაცარიელებულიყო, როცა ბაზის და ბელას მზერამაც გადაკვეთა ერთმანეთი და ისინიც გაოგნებული აღტაცებით გატრიალდნენ სხვადასხვა გასასვლელისკენ.

11

Ორი თვე გადიოდა, რაც ჩიკო ერთ პატარა ქალაქს აფარებდა თავს. მისთვის ქალაქი იყო უცხო, ქალაქისთვის კი თვითონ. აქ მას ერთი მოხუცი ქალისგან ექირავა ბინა, რომელსაც გეოლოგად გააცნო თავი. ასე რომ, სახლიდან ისე არ გავიდოდა, უკან დაბრუნებულს რამე პატარა ქვა არ გამოეყოლებინა თან. ამიტომაც მის მაგიდას ოცამდე ასეთი, სხვადასხვა ფერის და ფორმის ქვა ამშვენებდა. ოთახი მყუდრო იყო, კუთხეში ამოყვანილი ბუხრით, საწერი მაგიდითა და რკინის საწოლით, ხრიწინით რომ ირწეოდა ყოველ გადაბრუნებაზე. ფანჯარა ჩიკოს თითქმის სულ ჩაბნელებული ჰქონდა. და ეს იმიტომ რომ, დღე მეტ დროს ატარებდა ძილში, ვიდრე ღამე. მეტიც, ღამით თითქმის არც კი ეძინა. ასეთ განრიგს ჩიკო ისე შეეჩვია აქ ყოფნაში, რომ მოსწონდა კიდეც და თუ კოშმარულ სიზმარს გადაეყრებოდა, რაც ძალიან იშვიათად ემართებოდა ხოლმე, მაშინვე, თითქოს საიდანღაც გრძნობდაო, მოხუცი დააკაკუნებდა და დიდი სიხარულით, უცხო ქვის მორიგ ექსპონატს გაუწოდებდა მომიჯნავე კარიდან. ძალიან კეთილი იყო მოხუცი, შევერცხლილი თმითა და დანაოჭებული სახით, რომლის თითოეული ჭრილი რომ გაშლილიყო, გადაიშლებოდა უზარმაზარი წიგნი ცხოვრების ავკარგიანობისა, რომელიც მათ ნაპრალებს შორის მოექციათ და დროდადრო სულ უფრო და უფრო იკრავდნენ გულში. ასე იკრავდა გულში ჩიკოსაც ყოველ დანახვაზე, რა დროსაც მისტიკური ძალა ორივეს ახსენებდა დედაშვილურ ძალას, ძალას დაკარგული შვილისას – მოხუცს და განწირული, პასუხგაუცემელი დედისას – ჩიკოს. ეს საფლავში ჩაყოლილი პასუხი ტანჯავდა მას ყველაზე მეტად. ნუთუ, მართლა რცხვენოდა მის გამო? იქნებ ათას სიბინძურეს მოუყვნენ საკანში მასზე და საყვედურებითაც ავსებდა პირსისხლიან შვილს? იქნებ შეაჩვენა კიდეც

სიკვდილის წინ, მისგან მიტოვებულმა დედამ... და ყველა იქნებ, კაკუნთან ერთად, მტვერივით ქრებოდა დილით, გულში ჩაკრული მოხუცის ნაოჭებში. ღამე კი, ისევ ფიქრი და ფანტომური ხელი უღრღნიდა ტვინს. ეს უკანასკნელი მას უკვე ყოველღამე სტუმრობდა, აქ მოსვლის პირველი დღიდან. იარაღიც თავზე ხელაღებულივით ჰქონდა მომარჯვებული. ბარაბანს ატრიალებდა და ისროდა. ყოველ მოსვლაზე ერთხელ ისროდა და არცერთხელ არ ვარდებოდა. დამცინი, არა? ირონიით ამბობდა ჩიკო ყოველ ასეთ გამოკვრაზე და ისევ ფიქრს აგრძელებდა. გადაჭრით იცოდა, რომ ეშმაკი იყო, მაგრამ ეს იმდენად არ აღელვებდა, რამდენადაც ერთი ჯიუტი ფაქტი, რომელიც თავისებურად ამოხსნა. მისი აზრით, ეს მოხეტიალე ეშმაკი კი არ იყო, შემთხვევით რომ გადაგეყრება კაცს გზაზე. ასეთისთვის იქნება იქით დაედო იარაღი, მაგრამ ეს მისი საკუთარი ეშმაკი გახლდათ, დაბადებიდან რომ აჯდა მხარზე. ასე თუ არ იყო, საიდან იცოდა, შუა თითით რომ ჰკრავდა სასხლეტს? ან ის საიდანღა იცოდა, ცაცია რომ იყო? მისი რომ იყო საკუთარი და ყველაფერი იცოდა მასზე, იმიტომაც მოდიოდა მარცხენა ხელით და იმიტომაც ჰკრავდა სასხლეტს შუა თითს.

მორიგი ღამის სადარაჯოზე, როცა ბუხარში ცეცხლი იწვოდა და მისი ალი ზევით-ქვევით დარბოდა ოთახის კედლებზე, დროგამოშვებით, ნესტიანი შეშის ნაჭერი დაიტკაცუნებდა, ბუხრიდან შუქი კედელს მივარდებოდა, მასზე გაიშლებოდა და წამში რომელიღაც ბზარში გაიწურებოდა. კედლის პირისპირ სარწეველა სკამში, რომელიც არ ირწეოდა, თვალებდახუჭული ჩიკო ჩაწოლილიყო. მის გვერდით, მომცრო ზომის ხის მაგიდაზე, საფერფლეში, ჩამწვარი გახვეული ქაღალდი ეგდო. იქვე, საფერფლესთან, პატარა შუშის ბოთლი იდგა მუქი ფერის სითხით. ისეთი, ექიმებს რომ დააქვთ წამლებისთვის. ოთახი საკმაოდ მოზრდილი იყო, თუმცა ცეცხლი მაინც კარგად ათბობდა, მიუხედავად იმისა, რომ ფანჯარა ოდნავ შეეღო ვიღაცას. ღამის ქარი ზუზუ-

ნით დაქროდა მის მიღმა და შიგადაშიგ თოვლის რამდენიმე ფიფქსაც ისროდა ოთახში. ქარმა ერთიც ძლიერად დაუბერა, ოთახს შემოუარა და ფანჯრის გაჯახუნებით დატოვა იქაურობა. დატოვა ასევე თოვლის ფიფქიც, რწევა-რწევით რომ დაეშვა ჩიკოს შუბლზე, ზუსტად მაშინ, როცა ფანჯარა მიჯახუნდა. ჩიკო მაშინვე გამოფხიზლდა და გარეთ აღმოჩნდა. გამოსვლისთანავე მის წინ ღამის ფართო ქუჩა დაეცა, ცაში ატყორცნილი შუშის შენობებით, უცნაურად ჩაცმული ადამიანებითა და უცხო ფორმის ტრანსპორტით. საკვირველი იყო ამ ყველაფრის ხილვა ჩიკოსთვის, მაგრამ ოთხი შენობის კონტრასტმა იგი ყველაზე მეტად დააინტერესა. ქუჩის ერთ მხარეს ხალხის რიგი ჩანდა, სადაც ვიღაც ურიგოდ ცდილობდა შესვლას შენობაში, რომლის თავზეც „ევთანაზია“ ეწერა. აქ შესულები უკან აღარ გამოდიოდნენ, განსხვავებით მეორე შენობისგან, მის მოპირდაპირედ რომ იყო ქუჩის გადაღმა, საიდანაც შემსვლელი უკვე მარტო აღარ გამოდიოდა. აქაც გაუგებარი რამ ეწერა ჩიკოსთვის, ისევე როგორც პირველზე, მაგრამ მალევე მიხვდა მათ მნიშვნელობას. კერძოდ იმას, რომ თუ ევთანაზია აქრობდა, „კლონი“ აჩენდა. ქუჩის ბოლოში, ზედ შუა ქუჩაში, პატარა ტაძარი იდგა, „წმინდა სამების ეკლესია“ ამოეტვიფრათ მისი კარის თავზე. ხალხი ამ კართანაც შეგროვილიყო და შესულებიც ერთი-ერთში გამოდიოდნენ უკან. ჩიკო მეოთხე, პირამიდის ფორმის ნაგებობასაც დააკვირდა, ყოველგვარი წარწერისა და ხალხის გარეშე რომ იდგა ეკლესიის პირდაპირ. საშინლად დააინტერესა ამ გაურკვევლობამ, რომელიც არაფერს ეუბნებოდა თავის თავზე. შიგნით შესულს, სიცარიელე დახვდა. მხოლოდ შუაში დაინახა რაღაც მრგვალი საგანი, თუმცა კარგად ვერ გაარჩია ისიც. ბურთამდე ათიოდე ნაბიჯი იქნებოდა, თან არც ბნელოდა თითქოს, მაგრამ მაინც ძნელი იყო რამის გარჩევა, იმ უცნაური ფერის გამო, რომელიც მისგან ინთხეოდა. არასოდეს ენახა ჩიკოს მსგავსი ფერი. ის მხედველობას ბინდავდა, გონებას

კი მზესავით ანათებდა, როგორც ყოვლისმომსწრეს პირველივე დღიდან. ბურთს მიუახლოვდა და აღმოჩნდა, რომ ეს უბრალო გლობუსი ყოფილა, თავისთვის რომ გამოკიდებულიყო ჰაერში. ხელი შეახო მას და ნელა დაატრიალა. განსაკუთრებული არაფერი ყოფილა პირამიდაშიო, გაიფიქრა და ზუსტად მაშინ, როცა გლობუსი ბოლო მოტრიალებაზე იყო, გლობუსის ნაცვლად, ახლა თვალი იყურებოდა. თვალი შავი ირისით და წითელი გუგით.

– რამ შეგაწუხა, ერთო? – გაისმა ხმა.

ჩიკო სამას სამოცი გრადუსით დატრიალდა იმ იმედით, რომ ვინმე სულიერს დაინახავდა, მაგრამ ამის ნაცვლად ისევ ხმა გაისმა:

– ტყუილად ეძებ აქ ვინმეს. ის გელაპარაკება, ვინც გიყურებს და თუ რამეს იტყვი, მოგისმენს კიდეც.

მაშინ კი მიხვდა ჩიკო, რომ თვალი ელაპარაკებოდა. წამით დაფიქრდა და გაიაზრა, რომ თვალს, ენისა და ყურისგან განსხვავებით, შეეძლო მათი თვისებების შეთავსებაც.

– აქ რატომ არ არის არავინ?

– დასაქმებულები არიან.

– შენ ის ხარ? – ძალდატანებით ჰკითხა ჩიკომ.

– ის ვარ. კიდევ რა გაინტერესებს?

– ღამე იარაღით ხელშიც შენ ხარ?

– მე ვარ. ხომ ნახე გარეთ ერთების რიგი, ურიგოდ რომ ცდილობენ სიცოცხლის გამომშვიდობებას? შენც ხშირად ყოფილხარ იქ, მაგრამ მომწონხარ და თავს განებებ ხოლმე. კიდევ გაქვს შეკითხვა? ნუ მოგერიდება, რახან მოხვედი, გიპასუხებ.

– გინდა თქვა, შენი წყალობით ვარ ცოცხალი? და ღმერთი?!

– აქ მე ვარ ღმერთი! – დაიღრიალა ხმამ, – თუ ამის შემოწმება გინდა, აქედან გასული შენც იმ რიგში აღმოჩნდები.

– ახლა მე მომისმინე, – უკვე სრული სითამამით ლაპარაკობდა ჩიკო, – შენ თქვი, მომწონხარო, და მოგწონვარ კი-

დეც, როგორც სათამაშო. ღმერთს კი ვუყვარვარ, როგორც შვილი და, თუ იმ რიგიდან თავს ვაღწევ, ეს მისი წყალობაა და არა შენი, როგორც ამტკიცებ.

– აი, ამიტომ მომწონხარ ასე ძალიან. ყველაფერი იცი, მაგრამ ჩემთან ხარ.

– ეს ასე არ არის. მე ღმერთის შვილი ვარ!

– და ჩემი მონა! – ისევ იღრიალა ხმამ, – ბელას მამა ვინ მოკლა, გახსოვს? კიდევ რამდენი მისნაირი?

– ესეც შენ იყავი?

– არა! ეს შენ იყავი. მე უბრალოდ გთავაზობდი, შენ კი, ასრულებდი.

– შენ ამას არ მეტყოდი. მე სიმართლისთვის ვიბრძვი.

– ჩემი დაწერილი სიმართლისთვის, – სისინით ჩაიცინა თვალმა.

– შენ მკვლელი ხარ!

– მე მხოლოდ შემიძლია, მოვაკვლევინო. ის კი, თმის ღერსაც განაგებს. ასე რომ, მე უბრალოდ შთამგონებელი ვარ, შენ შემსრულებელი და ის... აღმსრულებელი.

ჩიკომ იგრძნო, თუ როგორ გაუშინაურდა თვალს და უსიამოვნო შეგრძნება დაეუფლა. რატომ ელაპარაკებოდა საერთოდ? მხოლოდ შემობრუნება უნდოდა და ის ვერაფერს ველარ ეტყოდა. ასეც გადაწყვიტა, მაგრამ ერთმა კითხვამ გაუელვა თავში, რომლის გარეშეც ვერ დატოვებდა აქაურობას. ყოყმანის შემდეგ ისევ ისე, როგორც პირველი კითხვისას, ნაძალადევი ხმით დაიწყო:

– უკანასკნელი კითხვა მაქვს.

– გისმენ.

– შენ ხომ ანგელოზი იყავი, სანამ ასეთი გახდებოდი? ესე იგი, კარგად იცი, რას რა მოჰყვება წერილის თანახმად.

– წერილი თქვენთვის დაიწერა. იქ ბევრი არაფერი წერია!

ჩიკო შეცბა.

– განაგრძე. ვიცი, რაც იგულისხმე...

– მონანიებაზე არასოდეს გიფიქრია? – ამ კითხვაზე ცივმა ოფლმა დაასხა სახეზე.

– ჰა! ჰა! ჰა! – დემონური ხმა გამოვარდა თვალიდან. რამდენიმე წუთი არც შეწყვეტილა ეს ხმა, – გეცოდები? – როგორც იქნა, დაილაპარაკა თვალმა, – ასეთი რამე პირველად მესმის, მაგრამ ვეცდები, გიპასუხო. მოვინანიო სულის განსაწმენდად? მე რომ ის არ მაქვს, თუ იცი, ყმაწვილო? ჰო, იმან წამართვა დიდი ხნის წინათ და კარგიც უქნია. სულის თანხლებით ჩემს საქმეს ხომ ვერ შევასრულებდი. სულს ყველაფერი არ შეუძლია, მეტად სუსტია. აი მე, ყველაფერი ერთიანად შევიგრძენი და ყოვლისშემძლე გავხდი, ზუსტად იმ დღიდან, რაც მისგან გავთავისუფლდი. არაფერი მეკრძალება, რადგან აღარ ვარსებობ და მაშასადამე, ყველაფრის უფლება მაქვს. თქვენ კი მხოლოდ მისი ნაჩუქარი თავისუფლება! ერთი კინკილა, საკუთარი თავის უფლება!.. მე კი... მხოლოდ მე ძალმიძს, მოგცეთ საყოველთაო უფლება, რაც ყველაფრის უფლებას ნიშნავს ყველასთვის. როგორ გაიყოფთ მას, ეს კი არ შეეშლება თქვენს მოდგმას. კბილი კბილის წილო, მომწონდა ყოველთვის. ადამიანებიც ამჯობინებთ მას ლოყების შეშვერას, ვიცი და რაკი მე წამართვეს, თქვენი ჯერიც დადგა, თუმცა მე უფრო ლმობიერი ვარ და სულს მხოლოდ გაკარგვინებთ, გამოგლეჯის ნაცვლად. გაგიკვირდება და, თითო-ოროლა თუ ეძებს მას დაკარგვის მერე. მპოვნელი ხომ სულაც თითზე ჩამოსათვლელია! მითხარი, რაში მჭირდება სული, როცა ყოველ სულიერში ჩემი სისხლი დუღს.

– არაფერი? სულ არაფერი იკრძალება იქ?

– მხოლოდ ერთი რამ – თქვენი გაღმერთება!

– ჩვენი? ეს როგორ?

– ნუ ჩქარობ. გეტყვი და ნახავ, როგორ გაგიკვირდება. პირჯვარი გადაიწერე, აქვე არ დაკარგო შენი სული. ცოტა დრო დარჩა და დროა, ყველაფერი შევცვალო. ამას ისიც არ ელოდა, იცოდე ეს. ის კი ისედაც იცი, რომ ჩემს სამეფოშიც ანთია მარადიული ცეცხლი, რათა ყოველი ნემსის ყუნწს მიღმა

დარჩენილი ძაფი იქ გაწყდეს. მართალია, ეს ცეცხლი სხვანაირად წვავს. არასასიამოვნოდ! ისიც გსმენია, ბოლო ჟამიაო, რა დროსაც ჩემს მოქალაქეებს უკანასკნელი, შენ მიერ ასე მოწონებული მონანიების უკანასკნელი შანსი მიეცემათ. ასე არავინ ისურვებს ჩემთან დარჩენას. ამიტომ... მოემზადე, ერთო! ჩვენ ცეცხლს ჩავაქრობთ! ჰო, ერთად ჩავაქრობთ, ერთო! თქვენგან ვისწავლე მეც. თქვენ ისეთი ცეცხლის ჩაქრობა შეძელით, მე რომ თავის დროზე ეს მცოდნოდა, იქნება სულ სხვანაირად წასულიყო საქმე. ასე რომ, ჩავაქრობთ და ვნახოთ, ვინ რას აირჩევს. წაიღონ თავიანთი სულები, ჩვენ კი ხორციელ ზეიმს გავაგრძელებთ თავისუფალ, დიქტატორულ, დემოკრატიულ, ფაშისტურ, ლიბერალისტურ, სოციალისტურ, ნაცისტურ თუ სხვა ჯოჯოხეთში. ახლა ხომ გესმის, სული და მონანიება აღარც შენ დაგჭირდება. მე კი მას აღარავინ დამიბრუნებს და არც მოვითხოვ.

ჩიკო თითქოს ციდან გადმოაგდესო, სასოწარკვეთილი სახით მიშტერებოდა თვალს და ბოლო წარმოსახვითი სიტყვა გამოცრა პირიდან, დაცემამდე რომ აღმოხდებათ ხოლმე ადამიანებს უკანასკნელ წამს.

– დაგიბრუნებს, დაგიბრუ...

– მორჩი სისულელეებს! რომც დამიბრუნოს და მოვინანიო, საქმე ისაა, ადამიანი მაცდუნებს მაინც. ჰო, ასეა ახლა, ამ დროში. ბაბილონის გოდოლის აგება რომ განიზრახა ადამიანმა, მაშინ მეგონა, ყველაზე დიადი აზრი ჩავუდე მას თავში, მაგრამ დღეს ისეთებია, მეც მაკვირვებენ. სათამაშოზე არ შეგშლია. მასზე თუ სულ ხელი გიკიდია, მოგბეზრდება. ხანდახან უნდა დაქოქო და გაუშვა, სად წავა და რას მოიმოქმედებს. ასე ვქოქავ ხოლმე და ვუშვებ. ისეთ ცოდვებს იგონებენ, თქვენს ათ მცნებასაც რომ გასცდება. ეს საკითხი მეტად მაფიქრებს, რადგან როცა ცეცხლი ჩაქრება, გამორიცხული არ არის, მეც ამიჯანყდეთ თქვენი რევოლუციით და ღმერთობა ისურვოთ, რის უფლებასაც ვერ მოგცემთ, რადგან როგორც უკვე გითხარი, ეს ის ერთადერთი

აკრძალვაა, რომელიც ჩვენთან უალტერნატივოა. ასეთ შემთხვევაში, მეც თქვენი გამოყრა მომიწევს ახალ მიწაზე.

ახლა კი, ერთ ამბავს მოგიყვები, მოგეწონება. ერთხელ ერთი კაცი მივიყვანე მეორესთან. დრო გავიდა და დამეგობრდნენ. ძალიან შეხმატკბილდნენ და მივხვდი, ასე ვერაფერს მოიგონებდნენ ახალს. მივუყვანე მესამე კაცი, პირველ ორზე შეძლებული და მალე ისიც მათი მეგობარი გახდა, თუმცა ხასიათით პირველს უფრო შეეწყო, ვიდრე მეორეს. პირველი გასაჭირში ჩავარდა და მეორეს მოუყვა. მეორემ უთხრა, რომ ძალიან წუხდა, ვერაფრით რომ ვერ ეხმარებოდა და ურჩია, დახმარებისთვის მესამისთვის მიემართა, როგორც მათი ერთგული მეგობრისთვის. მერე მესამესთან მივიდა და სევდიანი სახით გაანდო, თუ რა ბოროტად იყენებდა პირველი მის ერთგულებას და, რომ მხოლოდ მატერიალური ხეირი ამოძრავებდა. მესამეს არ სჯეროდა ეს, სანამ პირველი დახმარების სათხოვნელად არ მივიდა მასთან. თავისთავად, ის არ დახმარებია და უარით გაისტუმრა. ამის შემდეგ, მეორე ისევ პირველთან მიდის და ჩასისინებს, რომ ვერაგმა მესამემ უთხრა, მასთან არ ემეგობრა. თან ისე, რომ მიზეზი არ განუმარტავს. ხომ მოგეწონა? ასე რომ, პირფერობა თქვენი მოგონილია. ის თუ იცი, მე რომ ასეთი გავხდი, ისიც გეცოდინება, რის გამო და რომ ამპარტავნებას პირფერობასთან არაფერი აქვს საერთო. მე ვიღამ მაცდუნა, ხომ არ გიფიქრია ამაზე? მაშინ ხომ არ არსებობდა ის, ვინც დღეს არსებობს ჩემი სახით. თქვენი შეცდომა ისაა, რომ ყველა თქვენ ცოდვას მე მაწერთ და თავს მხოლოდ მსხვერპლად ასაღებთ.

– ამ პირფერობის საწყისი მაინც შენგან მოდის. იმასაც ხომ ვერ იტყვი, შურიც არ ყოფილა ჩემგანო? მეორემ რომ შურით გააკეთა ეს, შენც ხომ იცი, – ძირს დაცემული თითქოს გონს მოსულიყო ჩიკო.

– ხომ გითხარი, ვქოქავ-მეთქი. შური დასაქოქი საშუალება იყო და ისიც წავიდა.

უკანასკნელმა სიტყვამ ჩიკოც მომართა თითქოს გასაქცევად. მთელი ათი ნაბიჯი უკანმოუხედავად გაირბინა და კარს მიღმა აღმოჩნდა. უცხო ქუჩის ნაცვლად, ის ახლა ულრან ტყეში იდგა, ღამის წყვდიადში. არც ისე სასიამოვნო შეგრძნებები დაეუფლა ჩიკოს, თუმცა თვალთან ლაპარაკს, ამაზე უარესიც ერჩივნა. უცებ, ნაძვის ხმელი ტოტების მტვრევის ხმამ მოაღწია მის სმენამდე. ეს ფეხის ხმა უნდა ყოფილიყო, ჩქარი ნაბიჯების ხმა. მალე რამდენიმე სიტყვაც გაისმა, თუმცა მათი გარჩევა ძნელი იყო. მავედრებელი სიტყვები ავადმყოფურად ერთსა და იმავეს იმეორებდნენ. ამას სიტყვების ინტონაციით ხვდებოდა ჩიკო. სიბნელემ მას პირამიდა გაახსენა და აზრი, რომ თვალს შეეძლო ყურისა და ენის მაგივრობა გაეწია, მცდარად ჩათვალა. ახლა მას მხოლოდ საკუთარი ყურების იმედი ჰქონდა და სმენად ქცეულიყო. სული დავკარგე, სული! მკაფიოდ გაიგო ეს გიჟურად ამოხდენილი სამი სიტყვა, უცილობლად შველას რომ ითხოვდნენ უაზროდ და ახლა უკვე სმენასთან ერთად, მთელი სხეულით დაიძაბა. მტვრევის ხმა მის პირდაპირ, ძალიან ახლოს შეწყდა.

– სული დავკარგე, სული! გესმის?!

ჩიკო ვერაფერს ხედავდა, რაც ისედაც დამთრგუნველ სურათს კიდევ უფრო შემაძრწუნებელს ხდიდა. მიუხედავად ამისა, გრძნობდა, რომ რამე უნდა ეთქვა, სანამ ისევ გამეორდებოდა სულის შემძვრელი ხმა.

– ვინ ხარ? – უმისამართოდ იკითხა ჩიკომ.

– ცარიელი ადამიანი. შენ ისევ შენთან გყავს?

– რაზე მეკითხები?

– სულზე, ისევ შენთან გყავს?

– რაებს ბოდავ, შენი არ მესმის. მაინც როგორ მიხვდი, რომ დაკარგე! ან სად დაკარგე, ის მაინც თუ გახსოვს?

– მახსოვს! აქ დავკარგე. აი, ამ მუხის ხესთან. შენთან დავკარგე, შენც ხომ მათნაირი ხარ, სულები რომ თან ჰყავთ ჯერ. როგორ მივხვდი? ვერაფერს ვერ ვგრძნობ და ისე.

ვერც სიყვარულს, ვერც სიძულვილს და ვერც საჩვენებელ თითს. ნუ გიკვირს, გიჟი არა ვარ. ამ თითით შევიგრძენი ყველაფერი, ძალაც და უძლურებაც. გეტყვი, გეტყვი... ნუ გეცოდები. ცოდვა შენა ხარ, შენ ხომ ჯერ არ დაგიკარგავს ის. საანგარიშო ხომ გინახავს? იცი, რამდენს ითვლის ის ბოლო ჩხირზე? მეშვიდემდე ვარ ასული და ამ თითით ხუთი კოჭი მაქვს ჩამოყრილი. მუხისგან იყო ის კოჭები, თითო მილიონს რომ ითვლიდა მეშვიდეზე. და აი, ერთხელაც, უცნაური მყიდველი მოვიდა, რომელსაც ცარიელი თაბახის ფურცლის ყიდვა უნდოდა. მაგიდაზე მოათავსა და ზემოდან საანგარიშო დაადო. არაფერი უთქვამს, ისე ჩამოყარა მეშვიდეზე ათივე რგოლი. ორჯერ მეტი, რაც მანამდე ჩამომითვლია. სულელურ ხუმრობად მივიღე და უკანვე ავყარე. მაშინვე მერვე ჩხირზე ჩამოჩხრიალდნენ კოჭები. თაბახის ცარიელ ფურცელში ამხელა თანხა თავხედურად ჩანდა და გაბრაზებულმა ამოვატრიალე საანგარიშო. მეათე ხაზზე, მეტი სიმძაფრისთვის, ხუთი კოჭი ჩამოაგორა და მომეჩვენა, თითქოს ფურცელზე რაღაცამ გაირბინა, რასაც ყურადღება არ მივაქციე და რგოლები ისევ უკან ავყარე. ამის მერე, ცოტა ხანს ისე ვიდექით, როცა ბოლო, მეთერთმეტე ჩხირის კოჭები შეირხნენ. თავიდან თითქოს ბუუტავდნენ, მაგრამ როგორც კი ადგილიდან დაიძრნენ, სიკაშკაშე ემატებოდათ და ბოლოს, მზის გულზე მოელვარე ალმასებს დაემსგავსნენ. ზუსტად მაშინ მივხვდი, რომ თითს ველარ ვგრძნობდი. უცნობი მაშინვე შეტრიალდა და წავიდა. კოჭები ისევ მუხისები გახდნენ, მაგრამ ფურცელი მათ ქვეშ, ჩემდა გასაკვირად, სავსე იყო ჩანაწერებით. საანგარიშო არც ამიღია, ისე წავიკითხე ბოლომდე და იცი, რა ეწერა? ყველაფერი რაც ბუუტვიდან სიკაშკაშემდე გავიფიქრე. ყოველივეს უაზრობად ჩავთვლიდი, რომ არა ბოლოში დასმული ხელმოწერა, ჩემი საკუთარი ხელმოწერა.

– ვერაფერს ვხვდები, მაგრამ თუ ვერაფერს გრძნობ, იმას როგორღა გრძნობ, სული რომ დაკარგე?

– მესმის! ყველაზე ბნელი ხმა მესმის გაუჩერებლად. მიწის ხმა, კუბოზე დაყრილი მიწის ხმა. ხელით რომ ეყრება ნელა და ამაზრზენად. აკი გითხარი, მუხის ხესთან დავკარგე-მეთქი, შენთან დავკარგე-მეთქი. შენც ხომ მათნაირი ხარ. ჰოდა, მე ვარ ის მუხის კუბო, ცარიელი და უსულო. ერთ დროს მუხისვე საანგარიშოზე მოსრიალე ანგარიშმიუცემლად. შენ ის ხელები ხარ, მიწას რომ მაყრიან. შენც ხომ მათნაირი ხარ, სულები რომ თან ჰყავთ ჯერ.

გასროლის ხმა გაისმა, რაზეც ჩიკოს მთელ ტანში სიცივემ დაუარა. თვალი გაახიალა და მიხვდა, რომ ქარს შემოელო ისევ ფანჯარა, რომელიც კედელზე მიეხეთქებინა. ბუხარშიც მხოლოდ ნაკვერჩხალი ლივლივებდა სუსტად.

მეორე დილით, ის-ის იყო, ჩიკოს ჩასძინებოდა, რომ კარზე კაკუნის ხმამ გამოაღვიძა. ეს ისევ მოხუცი იყო მომღიმარი სახით, მაგრამ ამჯერად მას ცალ ხელში ქვის ნაცვლად გასაღები, ხოლო მეორეში ჯოხი ეჭირა, რაც იმას ნიშნავდა, რომ შორს აპირებდა წასვლას.

– მონასტერში მივდივარ, ჩიკო, რამდენიმე დღით მოსალოცად და არ მოიწყინო. ქვებს აუცილებლად წამოგიღებ. მუხის მონასტერში სულ სხვანაირი ქვებია. ვინ იცის, ღმერთმა იქნებ განსაკუთრებულიც მაპოვნინოს შენთვის. მანამდე ეს გასაღები გამომართვი. ვინიცობაა, სასწაული მოხდა და ჩემი შვილი გამოჩნდა, გამოადგება, – ღიმილით უთხრა მოხუცმა და გასაღები გაუწოდა ჩიკოს.

ჩიკომაც ღიმილით გამოართვა გასაღები. ხის საფეხურებზე გაჭირვებით მიმავალს ბოლომდე ჩააყოლა თვალი და ოთახში შებრუნდა. საწოლზე წამოწოლილს, მძაფრი დეჟავუს განცდა დაეუფლა.

– მუხის მონასტერი! – წამოიყვირა მან უცებ, ლოგინიდან წამოხტა და გარეთ გავარდა.

ახლა ჩიკო და წელში მოხრილი მოხუცი, ლაპარაკ-ლაპარაკით მიუყვებოდნენ თოვლიან გზას.

– ის მუხის ტყეშია და ამიტომ ჰქვია მუხის მონასტერი, შვილო, – უხსნიდა გზადაგზა მოხუცი, – კელიები, თეფშები,

კოვზები... ყველაფერი მუხისგანაა. იქ აკვანიც და კუბოც მუხისგან მზადდება.

ამ სიტყვებზე ჩიკოს სუნთქვა შეეკრა.

– აკვანი მონასტერში?

– ასეც ყოფილა. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, როცა ჩვენს ქალაქში ხმა გავარდა, უზურის ჯარი მოდისო. ეს ყველამ თავისებურად გაიგო და პასუხიც მალევე მიიღეს. ერთ კაცს, რომელმაც დიდი წინააღმდეგობა გაუწია მათ, უმშვენიერესი ქალიშვილი ჰყოლია და სწორედ მასზე ძალადობით გადაუხადეს სამაგიერო დაუმორჩილებელ კაცს. გოგოს თავის მოკვლა უცდია, მაგრამ გადაარჩინეს. ბოლოს ის მონასტერში წავიდა ზუსტად იმ გზით, რომელსაც ჩვენ მივუყვებით ახლა. მამათა მონასტერმა შეიფარა კიდეც, მაგრამ მოგვიანებით ის მშობიარობას გადაყვა. ასული, მაშინ რომ დაიბადა, ახლა დედათა მონასტრის წინამძღვარია, რომელიც მამათა მონასტერთან ახლოს, თვითონვე დააარსა. ზუსტად მისი აკვანი ინახება იმ მონასტერში.

– ერთი სული მაქვს, როდის მივალთ იქ, – მოუთმენელი აღტკინებით წამოიძახა ჩიკომ და ნაბიჯს მოუმატა, ისე რომ, ერთხანს სულ დაავიწყდა მოხუცი, თავისი მწირი ნაბიჯებით.

– ჩემი სიარულით სამ, ოთხ საათში მივალთ, – უკნიდან მიაძახა მოხუცმა, – ახალგაზრდობაში ორიც მყოფნიდა, მაგრამ ასაკი სიცოცხლეს გიმოკლებს, გზას კი გიგრძელებს.

საუბარში დრო შეუმჩნევლად გადიოდა და მათ წინ თვალუწვდენელი ტყეც ისე გადაიშალა, თითქოს ეს-ესაა, საიდანღაც აღმოცენდაო. მოხუცს და ჩიკოს ერთი დაღმართიღა აშორებდათ ტყიდან, რომელიც კლაკნილად მიექანებოდა მისკენ. აქაურობა სულ სხვანაირი ჩანდა ჩიკოსთვის, იმ ტყისგან განსხვავებით, რომელსაც ის იყო ჩვეული. იქ თუ ნაძვების ჯარი იდგა სმენაზე მყოფი ჯარისკაცებით; აქ ტოტებგაშლილი მუხების ანსამბლს სამეჯლისო ცეკვა გაემართა. ეს ტყე უფრო ბედნიერი და უდარდელი ეჩვენა

ჩიკოს და შენიშნა, რომ ხეებიც ადამიანთა მსგავსად, განსხვავებულ განწყობებს გამოხატავდნენ. მოგვიანებით ის უკვე ტყეში მიაბიჯებდა და ცნობისმოყვარედ სწავლობდა ამა თუ იმ ხეს, რომელიც მის წინ იტოტებოდა.

– ეს რა არის?! – გაოცებული სახით იკითხა ჩიკომ უზარმაზარი ხის დანახვისას, ათი ხელიხელჩაკიდებული კაციც რომ ვერ შემოსწვდებოდა და რომელშიც პატარა კარიც კი ჩაესვათ თავისი სახელურით.

– დიდი გზა აღარ დაგვრჩა. აქ ერთი განდეგილია დაყუდებული კარგა ხანია. თავიდან მონასტერში მისულა, მაგრამ მალევე მდუმარების აღთქმა დაუდვია და წამოსულა. უთქვამს, იმაზე მეტი ვილაპარაკე, ვიდრე ვთქვიო. კიდევ ის უთქვამს, მდუმარებას მაშინ დავარღვევ მხოლოდ, როცა ღმერთი მომცემს ნიშანსო.

– ამ ხეში ცხოვრობს? – კიდევ უფრო გაოცებულმა იკითხა ჩიკომ.

– დამიჯერე, შვილო, ამ ბერმუხას სამი კაცის შეფარებაც შეუძლია. არავის ახსოვს მისი ასაკი. შიგნით იმხელა ფუღურროა, დათვიც კი მოთავსდება.

ჩიკოს წუხანდელი მუხის კაცი გაახსენდა და ადგილზე გაშეშდა. კიდევ კაიხანს იდგებოდა ასე გაუნძრევლად, მოხუცს რომ არ გამოეფხიზლებინა მორიგი ამბის თხრობით.

ისინი მხოლოდ შებინდებისას დაშორდნენ ერთმანეთს მამათა მონასტერთან, საიდანაც მოხუცმა მარტო წასვლა ამჯობინა. მისი თქმით, დედათა მონასტერი ათიოდე წუთის სავალზე იყო აქედან და მეგზურის გარეშეც იოლად გაივლიდა. ჩიკოს თავადაც უნდოდა მარტო დარჩენა მას შემდეგ, რაც ის უზარმაზარი ხე დაინახა. ასე რომ, სიამოვნებით დათანხმდა მოხუცის შეთავაზებას და მონასტრის ჭიშკართან დაემშვიდობა მას. როგორც კი მოხუცი თვალს მიეფარა, ხელში მწარე სიცივე იგრძნო, რომელიც ჭიშკარზე აცმულ, რკინის სქელ რგოლზე მიჰყინვოდა. დიდებული ჩანდა, რკინის სარტყლებით შეკრული და გიშრის ჯვრებით მორთული

უშველებელი ჭიშკარი. ერთიანად შეავლო თვალი ჩიკომ ამ კარიბჭეს და მაშინვე ის ჩვეულებრივი კარი გაახსენდა, ბერმუხაში რომ ჩაემყნოთ თითქოს. უმალვე, თითქოს ძალაუნებურად გამოჰგლიჯა ხელი რგოლს და საკუთარ ნაკვალევს გააყოლა თვალი გაშმაგებით. მალევე თვალებს ფეხებიც გაჰყვნენ და მანამდე ატარეს ჩიკო, სანამ ნაკვალევი სრულიად არ გაქრა. შორს არ უნდა ყოფილიყო განდეგილის ხე, მაგრამ ასე უკვალოდ პოვნა მაინც გაძნელდებოდა, მით უფრო, რომ უკვე კარგად შებნელებულიყო. კაიხანს იარა ჩიკომ უშედეგოდ, თუმცა დანებებას არ აპირებდა, გათენებამდეც რომ ეხეტიალა, აუცილებლად უნდა ეპოვა ხეც და განდეგილიც. მოხუცმა ხომ უთხრა, მდუმარებაშიაო. ჰოდა, სწორედ ეს იყო ყველაზე მიმზიდველი. ყველაფერს მოუყვებოდა და დაისვენებდა. განდეგილის მოსმენა კი აღარ მოუწევდა. ისედაც კარგად იცოდა, რა სიმძიმეც ედო გულსა თუ სულზე. მეტიც, განდეგილს ვერც სხვა მოუსმენდა და აქედან გამომდინარე, ისედაც დახუნძლულს, კიდევ უფრო არ დახუნძლავდნენ განკითხვის ენები. მერედა, წუხანდელი ხილვაც სხვა რა უნდა ყოფილიყო, თუ არა ნიშანი?

ასე ხედავდა ჩიკო არსებულ ვითარებას, სანამ სულ არ ჩამოაღამდა. მოცეკვავე ხეები სულ უფრო და უფრო მეტად ახვევდნენ თავბრუს და აშორებდნენ ახლახან გზად გადაყრილი მუხისგან. თავის ტყეში რომ ყოფილიყო, თვალდახუჭულიც მიაგნებდა ნებისმიერ ხეს, მაგრამ აქ, ერთი ნაძვიც კი არ იდგა არსად. ცამაც, თითქოს ჯინაზე, ყველა ღრუბელი ერთად გამოიკერაო თავის ქვეშ და მთვარის შუქსაც არსაიდან უშვებდა. უკუნი ღამე ჩამოწვა და ის-ის იყო, ჩიკომ გათენებაზე დაიწყო ფიქრი, რომ საიდანღაც მგლის ყმუილის ხმა შემოესმა. გაგონილი ჰქონდა, ნადირისა და განდეგილთა მეგობრობის ამბავი და მაშინვე ხმისკენ გაიწია. არც ისე დიდხანს იარა, სანამ მისთვის საკვირველ სანახაობას წააწყდა, ხეს ამოფარებული. მის წინ, სწორედ იმ ფუღურროიან ხესთან, ორი სილუეტი ჩანდა. ორივე იჯდა, ადა-

მიანიც და მგელიც. ეს უკანასკნელი ოდნავ ნერვიულობდა და დროდადრო წამოდგომას ცდილობდა, მაგრამ ადამიანი მაშინვე ხელს დაადებდა კისერზე და ისიც მშვიდდებოდა. ჩიკო კარგად ხვდებოდა, მისი ნერვიულობის მიზეზი თავად რომ იყო და მეტის მოცდას აღარ აპირებდა. წყნარად გამოეცალა ხეს და რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ, მათ პირისპირ შედგა. მგელი ახლა უკვე იღრინებოდა, თუმცა ისევ კარგად გრძნობდა ადამიანის ხელს კისერზე და ადგილიდან არ იძვროდა. განდეგილი ფეხზე წამოდგა, ჩიკოს მიუახლოვდა, მკლავზე ხელი მოჰხვია და ანიშნა, მუხის რომელიმე ფესვზე ჩამომჯდარიყო, მიწიდან რომ ამოხეთქილიყვნენ გოლიათებივით. ჩიკო უხმოდ დაემორჩილა. რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ თითქოს საერთოდ გადაავიწყდა, რისთვის მოსულიყო აქ. იჯდა და მოკრძალებულად იცდიდა, როდის ჰკითხავდა განდეგილი რამეს, მაგრამ ის ხმას არ იღებდა. განდეგილი მგელს უყურებდა, მგელი – ჩიკოს, ჩიკო კი განდეგილს. დუმილი ნადირმა დაარღვია ყმუილით და ჩიკოც ისევ იქ გადაისროლა, საიდანაც პირველად გაიგონა მისი ხმა. მაშინვე ყველაფერი გაახსენდა, თუ რისთვის იყო მოსული აქ, ამ ბუმბერაზი ხის ქვეშ და სათქმელის დასაწყებად მოემზადა, თუმცა საიდან უნდა დაეწყო სიტყვა, წარმოდგენაც არ ჰქონდა.

– მე ჩიკო ვარ. ის, ვისაც მთელი ქვეყანა ეძებს, – როგორც იქნა, დაიწყო ჩიკომ თავისი აღსარება, რომელიც მეტისმეტად პირდაპირ და მძიმედ გამოუვიდა. ეს გასაკვირი არც იყო იმდენად, რამდენადაც აღსარება მას არასოდეს ჩაებარებინა.

მის სიტყვებზე განდეგილი ერთიანად შეკრთა, კარგად დააკვირდა და მაშინვე პირი იბრუნა მისგან.

– ვიცი, ალბათ, მოსმენაც არ გინდათ, მაგრამ თქვენთან თავის გასამართლებლად არ მოვსულვარ. ღმერთთან მაქვს სათქმელი რაღაც. პირდაპირ მას ვერ ვეტყვი და არც მომისმენს, ალბათ. თქვენ უნდა უთხრათ ყველაფერი. თქვენ

ის მოგისმენთ. მე მეტი არაფერი მჭირდება, – ჩიკო ოდნავ შეყოვნდა. თითქოს განდეგილს ელოდებოდა, მოუსმენდა თუ გაეცლებოდა მას და როცა დარწმუნდა, რომ ის არსად წასვლას არ აპირებდა, სევდიანი ხმით განაგრძო, – იმედი! ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი მეგობარი, როცა ცხოვრების იმ გზას ვიწყებდი, რომელმაც დღემდე მომიყვანა. იმდენად ვენდობოდი მას, რომ საკუთარ თავსაც კი არ ვუსმენდი, როცა საპირისპიროს მკარნახობდა. ბრძოლაც მისი კარნახით დავიწყე, როდესაც უსამართლობამ და ბოროტებამ შემოაღო კარი ჩემს გონებაში. თავიდან ამ ბრძოლას ქვეყნისთვის ბრძოლა დავარქვი. ბოლოს ეს ნელ-ნელა გაქრა და სახელი შურისძიებამ შეცვალა. ბრძოლებს ორივეგან ვიგებდი, მაგრამ ომი, რომელიც საერთო იყო, წავაგე. გაუგებრად ჟღერს, ალბათ, როგორ შეიძლება ომის წაგება, თუ ყველა ბრძოლას იგებ, მაგრამ სხვა რა სახელი აქვს მაშინ იმას, როცა დედას აკვლევინებ საკუთარი ხელებით?! როცა საყვარელ ქალს უკლავ მამას და მასაც საკუთარი ხელებით?! როცა თანამებრძოლებს კარგავ, მაგრამ არა ბრძოლაში?! როცა ერთგული მეგობარი გყიდის, ისიც უფულოდ?! – ჩიკომ ბოლო სიტყვები განსაკუთრებული ზიზღით გამოთქვა, რაზეც განდეგილიც შეიშმუშნა უხერხულად, – ამ უკანასკნელს კი ახლავე მოვკლავდი, აქ რომ მყავდეს! სწორედ მისგან დაიწყო ყველა უბედურება. აბა, ამას ღმერთს ხომ ვერ ვეტყვი, მოძღვარო? თქვენ ეტყვით და მეც დაველოდები პასუხს მისგან, – ჩიკო ისევ გაჩუმდა და განდეგილს გახედა, რომელსაც ხელის მოძრაობაზე ეტყობოდა, რომ პირჯვარს ისახავდა, – ყველაფრის მერე ვინანე, არა თუ ის, იმედთან რომ დავმეგობრდი, არამედ ისიც, რომ საერთოდ ვიცნობდი მას. ჩავთვალე, რომ არაფრის და არავის იმედი არ უნდა ჰქონოდა კაცს და იმედგაცრუებასაც არ შეხვდებოდა ასე. საკუთარი თავის იმედიც კი დავკარგე და ამას იმით ვამართლებდი, რომ მის გარეშე, სხვისი იმედიც აღარ მექნებოდა ამიერიდან. ასე, უიმედოდ ბევრად მარტივი მეჩვენა ცხოვრება. არანაირი ენთუზიაზმი აუხდენელ ოცნე-

ბებზე უკვე აღარ მაწუხებდა. თითქმის ყველა დასახულ მიზანს უცილობლად ვაღწევდი, თუნდაც ისინი პატარა მნიშვნელობისა ყოფილიყვნენ. როცა იმედი ქრება, მის ადგილს ეჭვი იკავებს და მეც ვერ გავექეცი მას. ყველას ეჭვის თვალით ვუყურებდი და იმდენად შემაწუხა ამანაც, რომ მისი ამოხსნა დავიწყე. ამოვხსენი კიდეც ჩემეული ხედვით და ასე დავინახე ის. ეჭვი მირაჟს ჰგავს. რაც უფრო დიდია წყურვილი, მით მეტი მოჩვენებაა. წყურვილი თუ შიში, როგორც გინდათ, ისე დაარქვით, ოღონდ სიმხდალეში არ აგერიოთ. მოჩვენებებისგან გასათავისუფლებლად გამოსავალი წყურვილის მოკვლაშია. გამოდის, არ არის წყურვილი, არ არის მირაჟი; არ არის შიში, არ არის ეჭვი! ჭიქა წყალი და ყველა მოჩვენება ქრება ისევე, როგორც წყალი ჭიქიდან! გამოდის, ჭიქა შენი ცხოვრებაა, წყალი კი ყველა და ყველაფერი, რაც მასშია! ასე თუ შევხედავთ, ყველაფერი უნდა დაკარგო კაცმა, შიში რომ მთლიანად გაქრეს და წყალი ბოლომდე შესვა. ამის მერე მივხვდი, რომ თითქმის ბოლომდე დამეცალა ჩემი სასმისი იმედის ყლუპებით და რამდენიმე წვეთიღა დამრჩენოდა მასში. აქ ეჭვსაც დავშორდი და დავრჩი მარტო, მოლოდინით, რომ მის ადგილსაც ისევ ახალი დაიკავებდა და მანაც არ დააყოვნა. უმთავარესი სათქმელი სწორედ მასზე მაქვს თქვენთვის და თქვენ კი, ხომ გახსოვთ, ვისაც უნდა გადასცეთ ის. ალბათ, არ შეგაშინებთ მისი ხსენება, რადგან კარგად იცით მასთან ბრძოლის ხერხები. მე კი სულ სხვა ბრძოლები მაქვს გამოვლილი, როგორც უკვე ვთქვი. ეშმაკი! სწორედ მას ვებრძვი, ან ის მებრძვის. არ ვიცი, რომელი უფრო სწორია, მაგრამ ეს ბრძოლა კარგა ხნის წინ დაწყებულა, მე კი ახლახან მივხვდი. ვგრძნობ, როგორ მხვევს ხელებს, თუმცა მას ამაზე არაფერს ვანიშნებ. თავი ისე მიჭირავს, თითქოს წარბსაც არ ვახამხამებდე, მაგრამ ეს ტყუილია. არ იფიქროთ, მისი მეშინია, პირიქით, ველაპარაკები კიდეც და ვხედავ, როგორ მიმეგობრდება დღითიდღე. სწორედ ამას ვგულისხმობდი ხელების შემოხვევაში. არა,

მისი ნამდვილად არ მეშინია. შიში ღმერთის მაქვს, ან სირცხვილი, ზუსტად არ ვიცი, რა არის ეს, მაგრამ ვიცი, რომ მასთან ლაპარაკი არ უნდა გამება თავიდანვე. წუხელაც ველაპარაკე. მერე მისგან წამოსულმა თქვენ გნახეთ და ამიტომაც ვარ აქ. ღმერთის გარეშე ეს ვერ მოხდებოდა. მხოლოდ დღეს, როცა თქვენი მუხა დავინახე, სულდაკარგული, უსულო კაციც გამახსენდა, რომელიც წუხელ გამომეცხადა და ჩავთვალე, რომ ეს თქვენ უნდა იყოთ. მე კი ღმერთმა გამომგზავნა თქვენთან, როგორც შუამავალთან. ეს არის, რისი თქმაც მინდოდა მასთან, – მძიმედ დაასრულა ჩიკომ სათქმელი და თავი ჩაღუნა.

მგელი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში გაუნძრევლად იწვა, წამოდგა და ტყეში გაუჩინარდა. თენდებოდა, რაც ჩიკომ მხოლოდ ახლა შეამჩნია. ფეხზე წამოდგა, შეტრიალდა და ის იყო, ნაბიჯი გადადგა, რომ მხარზე მძიმე ხელი იგრძნო. შემობრუნებისთანავე მის წინ მოფლაშულ ქურთუკში ჩამოძონძილი, გრძელ წვერსა და თმაში ჩამალული, უცხოდ ნაცნობი სახე გამოეცხადა. ის დუმდა. ორივე ხელით კისერზე ჩამოკიდებულ ჩანთის ზონარს ჩასჭიდებოდა, როგორც მის მხსნელსა თუ სასჯელის ყულფს. ჩიკომაც ძალაუნებურად მას ჩააყოლა თვალი, სანამ ის ჩანთის ხვრელიდან მომზირალ თვალს არ გაუსწორდა და მასში მაშინვე ჯერ არნახულმა, ყოვლად უცნობმა და ახალმა განცდამ იფეთქა წამით, – გრინგო, – ტუჩებში გასცრა კარგა ხნის დავიწყებული სახელი. მუხლებზე დაეცა, აცახცახებული ხელებით ჩანთას ეძგერა და ანგარიშმიუცემლად დაიწყო მისი გახსნა, ორი პატარა რკინის ბალთით რომ იყო შეკრული. დროდადრო გაქვავებულ განდეგილს ახედავდა ხოლმე და ისევ გაყინულ ბალთებს უბრუნდებოდა. ჩანთა შურდულივით გაიხსნა და ქათქათა თოვლზე რამდენიმე წიგნი გაიფანტა. ფსალმუნები, წმინდა მამათა ცხოვრებანი, სახარება და იესოს სიტყვა. ეს ის წიგნები იყო, რომელთაც ჩიკომ მოავლო მზერა და მიხვდა, რომ თვალი, რომელიც

მას უყურებდა ჩანთიდან, იესოს ეკუთვნოდა, წიგნის ყდაზე რომ ყოფილიყო გამოსახული. ჩანთაც კარგად ეცნო და თავისი ნატყვიარიც, სარდაფში რომ ესროლა დიდი ხნის წინ.

მაშინვე ხოხვა-ხოხვით დაუყვა წიგნებს ასაკრეფად, ისევ კისერზე ჩამოკიდებულ ჩანთაში რომ ჩაელაგებინა. სიჩქარისა თუ დაბნეულობისგან წიგნები ხელიდან უცვიოდა. ისევ დახოხავდა, სახით ზევით, განდეგილზე მიშტერებული განცვიფრებული თვალებით. ბოლოს რის ვაი-ვაგლახით მოახერხა ორივე ბალთის შეკვრა, ფეხზე წამოდგა და მთელი ძალით ჩაიკრა გულში განდეგილი. კარგა ხანს დუღდნენ მათი გულები, ერთხელ გატეხილი ფოლადივით, ისევ ერთმანეთს რომ შედუღებოდნენ ზებუნებრივი ძალით და უკვე იმედის სადარაჯოზე აღმართულ, ხალიბურ ხმლად აღმდგარიყვნენ... და ანთებული თვალებით ემშვიდობებოდა ჩიკო მდუმარე განდეგილს.

– მადლობა, ჩიკო, – ზურგსუკან გაისმა ცოცხალი ხმა, – ეშმაკს თვითონაც ყოველდღე ველაპარაკები. მეც ხომ შენნაირი ვარ. ჯერ კიდევ სულიერი. ის კი, – თვალები ზეცისკენ აღაპყრო, – თვითონ მეუბნება ყველაფერს. შენი მოსვლაც ნათქვამი ჰქონდა. უსმინე, ჩიკო, ნურაფერს ეტყვი. მან ყველაფერი უწყის, – მშვიდად დაამატა განდეგილმა და თავის მუხაში მიიხურა კარი.

იმედიც და ეჭვიც ერთიანად დაუბრუნდა ჩიკოს, რომლებსაც ახალი დანიშნულება მოუნახა თავის გონებაში. ეჭვნარევი იმედისა და უიმედო ეჭვის კომბინაციით იყო წარმატების მიღწევა შესაძლებელი და არა მათი გაქრობით საკუთარი თავიდან. ის, რაც ბუნებას ჩაედო ადამიანში, ვერ გაქრებოდა ვერანაირი მცდელობით და გამოსავალი მხოლოდ მათ სწორ გამოყენებაში უნდა ყოფილიყო, მისი ახალი ხედვით.

გამოზამთრების შემდეგ ჩიკო დიდი მადლიერებით გამოემშვიდობა მოხუცს და ბუნების გამოცოცხლებასთან ერთად, თვითონაც განახლებული გეგმებით, ისევ იმ ქალა-

ქისკენ გასწია, სადაც მისი სახელი ყველას პირზე ეკერა, სურათები კი ყოველ ბოძზე გამოკრულიყო. იქ მას ოტო უნდა ენახა და მისი დახმარებით, ბელასთან ერთად, რაც შეიძლება მალე დაეტოვებინა ქვეყანა.

საღამო ხანს უკვე ქალაქის განაპირას გაშლილ პორტს გადაჰყურებდა, ჩრდილოეთიდან შემორტყმული ტყის მასივიდან. ოტოც იქ უნდა ყოფილიყო, უამრავ ხალხში გარეული, უზარმაზარ გემებს რომ ტვირთავდნენ. სადღაც იქ იყო მისი თავისუფლების გემიც, რამდენჯერმე რომ შეარჩია და შეათვალიერა დიდი სიფრთხილით, რამე რომ არ გამორჩენოდა გაუთვალისწინებელი შემთხვევისთვის.

– როგორ გამახარა შენმა გამოჩენამ, ძმაო. ერთი თვეა უკვე, რაც დინოს წერილი მივიღე და მას მერე ყოველდღე შენს გამგზავრებას ვგეგმავ. იწერება, რომ კარგად მოეწყო და ყველაფერი გამზადებული აქვს შენი ჩასვლისთვის. ასე რომ, ორ დღეში ვუშვებთ გემს და ღვთის შეწევნით, თუ ყველაფერი კარგად გამოგვივა, შენც სამშვიდობოს იქნები. აქ შენი მეტხანს გაჩერება აღარ იქნება. თეატრის მოვლენების მერე, კომენდანტის საათია გამოცხადებული და ყოველ კუთხე-კუნჭულს ასმაგი ყურადღებით სინჯავენ. მადლობა ღმერთს, ხომალდის აგებულებისა არაფერი გაეგებათ, თორემ არც მის სამალავებს დატოვებდნენ უყურადღებოდ, – ორი სიტყვით გააცნო ოტომ არსებული ვითარება.

– კარგი ამბავია, ოტო, მაგრამ ერთი რამეა კიდევ. შეიძლება მარტოს არ მომიწიოს წასვლამ.

– რამდენსაც იტყვი, ძმაო. გემი ათ კაცსაც კი დამალავს, ხომ იცი. გახედე, ყველაზე დიდი გემი რომ დგას მარჯვენა მხარეს, ხომ ხედავ? ახლა საკვამურს ჩააყოლე თვალი და ასე შეხედე, რომ წყალქვეშ, სადაც გემის კიდევ ნახევარია დამალული, ძრავის საქვაბეებია განთავსებული. როგორც ხედავ, ამ გემს ორი საკვამური აქვს. ერთ-ერთი ძრავი მწყობრიდან არის გამოსული, ასე რომ, მის საქვაბეში მოგათავსებთ და თევზებივით წყალქვეშ იქნებით, სადაც ვერავინ მოგაგნებთ, სანამ აქაურობას გავეცლებით, მერე

კი, მთელი ორი დღე გვექნება, იმისთვის, რომ გემის დატოვების ადგილი შევარჩიოთ.

– ყველაფერი იდეალურად გაგითვლია, ძმაო. ორნი ვიქნებით. ბელაც თან მიმყავს და ხვალ მასთან შესახვედრადაც დამჭირდება შენი დახმარება.

– აი, ასეთი კარგი ამბავი კი ჯერ არაფერი გითქვამს ჩემთვის! მოდი, ჩაგეხუტო, შე არანორმალურო, – თქვა ოტომ და ბიძაშვილი გულში ჩაიკრა, – ჰო, მართლა. ბერიონმა გიკითხა რამდენჯერმე.

– როდის და რა უნდოდა?

– სამჯერ იყო მოსული. ერთხელ თეატრის ამბის მეორე დღეს. ბოლოს, რამდენიმე კვირის წინ. ის ახლა შენს საქმეს აგრძელებს სვიფში. ჭკვიანურად აქვს მოფიქრებული. მარტო მოქმედებს და არავინ იცის, ვინ არის. ტყიდან უხსნის ცეცხლს კანონდამცველებს და აგერ უკვე ათ კაცზე მეტი ჰყავს გასტუმრებული. მთავრობასაც ისევ შენ ჰგონიხარ და მთელი ძალებით იქით გეძებენ. ნამდვილი მეგობარია ბერიონი. მათი კვალის ასარევად აკეთებს ამას, შენ რომ ვერ მოგაგნონ, სანამ წახვალ. ბოლო მოსვლაზე შენი ამბავი აინტერესებდა, გასული იყავი თუ არა ქვეყნიდან.

– საიდან გაიგო, წასვლას რომ ვაპირებ?

– მე ვუთხარი, მეორედ რომ მოვიდა და მითხრა, რასაც აკეთებდა. მინდოდა, ხელი აეღო ამ განზრახვაზე, მაგრამ ისიც შენნაირია. ხომ იცი, ნათქვამს ვერ გადაათქმევინებ.

– ვიცოდი, ისე არ გაჩერდებოდა, მაგრამ ჩემი წასვლის მერე, ამას უკვე აღარ ექნება აზრი და მადლიერებასთან ერთად, ჩემი თხოვნაც გადაეცი, რომ დროებით ყველაფერი დაივიწყოს. თვითონაც კარგად იცის, ყველა გზა მოვსინჯე, მაგრამ მიზნამდე ვერცერთმა ვერ მიმიყვანა. სხვა გზაა სანახავი და როცა ის გამოჩნდება, არც თვითონ ასცდება მას.

– გამოდის, შენ არაფერს არ ამთავრებ ამით. შურიც ხომ იძიე, ჩიკო, და აწი მაინც ხომ შეიძლება შენც ეწიო მშვიდ ცხოვრებას?

– იცი შენ, ოტო, შურისძიება არ ყოფილა ჩემი მიზანი, სანამ თვითონ არ ამომიღო მიზანში და მერე მეც გაუნ-ძრევლად და ნებაყოფლობით მივიღე მისი ტყვია. პირველ-ლად ორი პატიმარი გავათავისუფლე, ჩამოსახრჩობად რომ მიჰყავდათ და იცი, რის გამო კლავდნენ მათ? ხმა რომ ამოი-ღეს და საკუთარ ქვეყანაში მშვიდად ცხოვრება მოინდომეს, იმისთვის.

– გგონია პატორში ხმის ამოღებას თუ არ კრძალავენ, იგივე არ ხდება? განა ისინიც არ წამოსხდომიან ჩვენნაირ ქვეყნებს თავზე? ეს ოდითგანვე ასე იყო და ასე იქნება, სა-ნამ დიდი და პატარა სახელმწიფოები იარსებებენ. ზოგს სიტყვით დაიპყრობენ, ზოგს კი უსიტყვოდ, მაგრამ ეს არცერთს არ ასცდება, ვიდრე მთელი მსოფლიო არ გავე-რთიანდებით საერთო საქმისთვისო, როგორც ბაბუაჩვენი ამბობდა. მაშინ, ეს ზღაპარი მეგონა, მაგრამ კი ხედავ შენც, რომ არც ისე ზღაპარს ჰგავს დღეს.

– პატორზე რაც თქვი, გეთანხმები. თვითონაც კარგად ვიცი, რამხელა ბორკილებს დაარიხინებს თავისუფალი სი-ტყვა მათთვის, ვინც მას არ ელაპარაკება, – ჩიკომ ხელი ჩაიქნია, – მაინც როდის მოხდებაო ეს, როგორ გიყვებოდა ბაბუაჩვენი? – ცნობისმოყვარედ ჰკითხა, რადგან ბაბუა, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე მეფის სამსახურში იყო, თვითონ საერთოდ არ ახსოვდა და მისი ეს ნაწინასწა-რმეტყველებიც პირველად მოისმინა.

– მაშინ, როცა ახალ მიწას აღმოაჩენენო, – უპასუხა ოტომ, – ჰო, ასე თქვა, ზუსტად მახსოვს. ხალხი აღარ ეყო-ფათ და ერთმანეთს თვალის ჩინივით გაუფრთხილდებიანო. იმ დღის მერე, როცა ბაბუაჩვენმა ეს მითხრა, ამ საკითხზე ფიქრი არ მასვენებდა. როგორც თავიდანვე გითხარი, მაშინ ეს ზღაპარივით მეჩვენებოდა, რაც გასაკვირი არ არის ათი წლის ბიჭის კვალობაზე და ამიტომაც იყო უფრო საინტე-რესო მისი გაგრძელების მოსმენაც.

– ადამიანს მიწა არც დღემდე უპოვია ცოტა, მაგრამ განა ეს მიწა არ არის ყველაფრის მიზეზი? – კიდევ უფრო

მძაფრი ინტერესი დაეტყო ჩიკოს სახეზე, როცა ამ კითხვას უსვამდა ბიძაშვილს.

– გეთანხმები, ასეა, ჩიკო, მაგრამ ბაბუაჩვენი, ალბათ, მართლა ზღაპარს მიყვებოდა, როგორც მერე მივხვდი, თუმცა კარგა ხანს ეს ისე მომწონდა, ყოველღამე იქ დავფრინავდი, – სიცილით თქვა ოტომ.

– მართლა კარგი ზღაპარი გამოსვლია, ფრენა თუ დაგაწყებინა, – სიცილითვე უპასუხა ჩიკომ, – მაინც სად დარჩა ასეთი მიუგნებელი და ზღაპრული მიწა ამ დედამიწაზეო?

– დედამიწაზე არსად. აი, იქ... – ირონიით თქვა ოტომ და ზღვაში გაწოლილ, კამკამა მთვარეს გახედა.

– ყოჩაღ ბაბუს! იქ წასვლაზე მეც არაერთხელ მიფიქრია და სიამოვნებით გადავიხვეწებოდი, რომ შეიძლებოდეს.

– ვინ იცის, რა დრო დადგება. იქნებ შესაძლებელიც კი გახდეს ოდესმე.

– დავანებოთ ამ ზღაპარს თავი და ჩვენების ამბავი მითხარი ახლა. ჯინეზე ხომ არაფერია ახალი?

– არის ჩიკო და მას მერე მარია სულ შენს ლოცვაშია. როგორც შენ შემომითვალე, ყველაფერი ისე მოხდა და ის არამზადა სულ გადაიკარგა აქედან. არ ვიცი, თვითონ გაქრა თუ გააქრეს, მაგრამ უკვე ორი თვეა, არსად გამოჩენილა. ეტყობა, ქალაქისთავმა არ დაიზარა მასზე ზრუნვა.

– ამ საზრუნავმა აჩუქა სიცოცხლე თეატრში და როგორ უნდა დაზარებოდა, – ღიმილით თქვა ჩიკომ, რომელსაც ოტო დაბნეული სახით უყურებდა.

– აი, თურმე როგორ ყოფილა სინამდვილეში, – ჩუმად თქვა ოტომ, – მან კი, მთელ ქალაქს მოსდო, ტყვიებმა ზუზუნით ჩამიფრინეს და ბეწვზე ვარ გადარჩენილიო.

– ასეა, ოტო, ყველა სათავისოდ ირგებს ყველაფერს.

– ყველა, შენ გარდა, – ნიშნისმოგებით უპასუხა ოტომ და ფეხზე წამოდგა, – ახლა ხვალინდელზე შევთანხმდეთ და მერე აჯობებს, შენც დაისვენო.

– ხვალ ბელას უნდა შეატყობინო, რომ ჯუჯა კაცთან დაველოდები სხვენში. დანარჩენს, რომ მოვა, იქ გაიგებს.

– ამაზე იოლი არაფერია, ჩიკო. ახლა კი სხვენისკენ გასწიე და დაისვენე, რომ არ დაგიწუნონ ხვალ, – გაიცინა ოტომ.

სწორედ იმ დროს, როცა ჩიკო და ოტო გეგმებს აწყობდნენ, მათგან არც ისე შორს, შუაგულ ქალაქში, ლამპიონებით განათებულ ქუჩაზე, ციხის უფროსი მიაბიჯებდა სახლისკენ, როცა მას, მისთვის კარგად ნაცნობი ამხანაგი შეხვდა და კარგა მანძილის გავლა ერთად მოუწიათ.

– საიდან მობრძანდებით ასეთი ნასიამოვნები და ნაბახუსევი? – ჰკითხა ციხის უფროსმა მას შემდეგ, რაც ფორმალური ურთიერთმოკითხვის სიტყვებმა ჩაიარეს თავაზიანად.

– ჩემს მეგობარს დიდი ხნის ნანატრი შვილი შეეძინა და მასთან შევიკრიბეთ ახლობლები აღსანიშნავად. არაჩვეულებრივი საღამო იყო. მას, ალბათ, თქვენც იცნობთ. მთელ ქალაქში საუკეთესო ვექილია. თვითონ თუ არა, მამამისი მაინც გეცოდინებათ, ბატონ ზიგანს მთელი ქვეყანა დიდ პატივს სცემს. თვით ისინიც კი, ვისაც საქმეებს უგებს. დიდებული ოჯახია. მართლაც არაჩვეულებრივად მოვილხინეთ, – ენას არ აჩერებდა ამხანაგი, რომელიც სიხარულს ვერ მალავდა.

– თქვენ მასზე ამბობთ, ახლახან რომ მოუგო გახმაურებული საქმე ერთ-ერთ ვაჭარს? მომიტევეთ, სახელს ვერ ვიხსენებ, მაგრამ ალბათ მასზე მეუბნებით.

– სწორედაც რომ, მასზე მოგახსენებით. ბაზი ჰქვია. თავის დროზე, განათლება დიდ ქალაქში აქვს მიღებული და სულ მალე მაღალ მწვერვალებსაც დაიპყრობს. გარწმუნებთ, ამას ჩვენ ორივე, ძალიან მალე ვიხილავთ, – ისევ ისეთი აღტაცებით ლაპარაკობდა ამხანაგი.

ციხის უფროსი შეჩერდა, თითქოს სადღაც გაიჭედაო და გამოძრომას ლამობდა.

– როგორ თქვით? ნანატრი შვილიო?

– როცა ამას წლები ელოდები, ნანატრი ჰქვია, დამეთანხმებით.

– მაგრამ, მას ხომ ჰყავდა შვილი? – დაბნეულმა იკითხა ციხის უფროსმა.

– არ ჰყოლია და დიდი უსამართლობაც იქნებოდა, მისნაირ ადამიანს შთამომავალი არ დარჩენოდა. თქვენ, ალბათ, სხვა ვინმეში გერევათ ის.

– არა! მე მას ვიცნობ. დარწმუნებული ხართ, რომ ეს ასეა? იქნებ სხვა ქორწინებიდან ან სულაც უკანონოდ ჰყავდა, ან იქნებ დაეღუპა? – ჩააცივდა ციხის უფროსი, რაზეც მეგზურის მკვახე პასუხიც მიიღო.

– არ მესმის თქვენი. რა სხვა ქორწინება, რის უკანონო, რა დაღუპვა. როგორ შეიძლება ასეთი რამის თქმა ასეთ ბედნიერ დღეს. აკი გითხარით, გეშლებათ-მეთქი, – ამხანაგი უკვე საკმაოდ აღელვებული ლაპარაკობდა.

– რას ამბობთ. ყველაფერს მივხვდი. კინაღამ ჭკუიდან შევიშალე, არადა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს ახლო მეგობარზე მელაპარაკებოდით. თურმე ვცდებოდი, მაგრამ თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამახარეთ ამ ამბით. ღმერთმა დღეგრძელი ამყოფოს ის ანგელოზი და რა თქმა უნდა, თქვენც, ძვირფასო მახარობელო.

ისევ მოვიდა ხასიათზე ამხანაგი, მაგრამ ლაპარაკს უკვე ვეღარ გააგრძელებდა, რადგან ციხის უფროსი ციბრუტივით დატრიალდა, შუბლზე ხელი შემოირტყა და საპირისპირო მხარეს გაიქცა – „წარმოუდგენელია!“ „წარმოუდგენელიას“ ძახილით.

12

მეორე საღამოს, გულანთებული ბელა ჩიკოსთან გაჩნდა სხვენზე. დარბაზი, რომელიც სულ ხმაურობდა, უჩვეულოდ დადუმებულიყო. რესტორანი დროებით დაეკეტათ, ზაფხულისთვის რომ განეახლებინათ ინტერიერი. ჯუჯა კაცსაც რაღაც საქმე მოემიზეზებინა, მარტო რომ დაეტოვებინა ჩიკო თავის სატრფოსთან და შორიახლოდან უთვალთვალებდა რესტორნისკენ მომავალ გზებს, ვინმე დაუპატიჟებელი სტუმარი რომ არ დასდგომოდათ თავზე. უკაცრიელ, მდუმარე შენობაში მათი შეხვედრაც უსიტყვო აღმოჩნდა. მხოლოდ თანაგრძნობის სიო ტრიალებდა მათ ირგვლივ, სანამ ნელ-ნელა უშველებელ ქარბორბალად არ გარდაიქმნა, ორივე ერთად სიყვარულის, ლტოლვის, ვნებისა თუ თავდავიწყების ნაფლეთებს შორის მოქცეულნი, ჰაერში აიტაცა და მოურიდებლად, სხვენის კუთხეში გაშლილ თივაზე მოისროლა. ძლიერი ხელები სუსტ მხრებს ეჭიდებოდნენ, რომლებიც ფრთებივით შეიფართხალებდნენ ხოლმე და მთელი ძალით იხუტებდნენ ვნებად ქცეულ უცხო, მკვრივ სხეულს. გრძელი თითები მაშინვე ხერხემალზე მისრიალებდნენ, რომელიც გველივით იკლაკნებოდა და ათი ნაკბენი ერთდროულად იშლებოდა თმაში, ვნების შხამით რომ წამლავდნენ გონებას. ისიც მაშინვე მოწყვეტილი ვარსკვლავებივით აფრქვევდა ბედნიერების სხივებს და მთრთოლარე სხეულზე მოხეტიალე ტუჩები თეთრი მკერდიდან სისხლისფერ ტუჩებს ასკდებოდნენ ანგარიშმიუცემლად. ასე გაჩერდა დრო ბნელ კუთხეში, რომელსაც ადგილი უსასრულობისთვის დაეთმო, როცა კოხტა ტერფები ისე დაიჭიმნენ მთელ სხეულთან ერთად, თითქოს მთელი სიამე მათ მოაწყდაო და ორივე ფეხი მთელი ძალ-ღონით, მოქნილ წელს შემოაჭდეს. ბელას თავი უკან გადაეგდო, თვალები დაეხუჭა, ქვედა ტუჩი კბილებს შუა მოექცია და არ იყო

მასზე ბედნიერი ადამიანი, რადგან ის მოწყვეტილ და სამუდამოდ ჩიკოს გულში გადარგულ ყვავილად ქცეულიყო. ჩიკოც უსაზღვროდ ბედნიერი იყო და აღარაფერი აწუხებდა ახლა. ხვალ საღამოს აქედან წავიდოდნენ და მშვიდად შეძლებდნენ ერთად ცხოვრებას. ზუსტად ამ დროს, როცა ნეტარება ფიქრებმა ჩაანაცვლეს, კედელზე ჩამოკიდებული საათის წიკწიკის ხმაც გაცოცხლდა და მარადისობა ისევ დრომ განდევნა სხვენიდან. ჩიკომ წელზე პერანგი მოიხვია, ფანჯარას, რომელიც ზღვას გაჰყურებდა, ფარდა ჩამოაფარა და მის ქვეშ მაგიდაზე მოთავსებული ჭრაქი აანთო. ბნელი ოთახი მაშინვე ყავისფრად შეიღება. მერე ბელას გვერდით ჩამოჯდა და თავზე მზრუნველი ხელი გადაუსვა.

– რომ იცოდე, რა დამემართა მაშინ, თეატრში, – მილეული ხმით დაიწყო ბელამ, – ვიფიქრე, ველარასოდეს განახავდი, ჩიკო. შენს გულსაც ხომ ვგრძნობდი, როგორ განიცდიდა ყველაფერს და ეს კიდევ ასმაგად მტანჯავდა. ვლოცულობდი, კიდევ რამე სიგიჟე არ ჩაგედინა და მალე მენახე. ჰოდა, ისიც ამისრულდა. გემუდარები, აწი მაინც ნუღარ დამტოვებ. ხომ იცი, რომ სულ მარტო ვარ, რომ ვერავის, საკუთარ დედასაც ვერ ავუხსნი, რა ხდება ჩემს გულში? ბერიკაცსაც აღარ ესმის ჩემი, ჩიკო. იმიტომ არა, რომ შენ სძულხარ, ან გამტყუნებს. პირიქით, მაგრამ მეც რომ ვუყვარვარ, ჩვენს ერთად ყოფნასაც ვერ ამართლებს მოსალოდნელი საფრთხის გამო.

– ვიცი, ბელა, ვიცი! გპირდები, რომ აღარასოდეს დაგტოვებ. ახლა ისეთ რამეს გეტყვი, შეიძლება არც დამიჯერო, მაგრამ ეს ასე მოხდება. ხვალ ღამით, ჩვენ პატორში გავცურავთ გემით. ოტოს ყველაფერი მოფიქრებული აქვს. ასე რომ, ხვალ შენი ნივთებით მოგიწევს მოსვლა და აქაური შიშები საბოლოოდ გაქრება ყველასთვის.

ბელას თვალები სიხარულის ცრემლებით აევსო. მუხლებზე წამოჯდა აღტაცებით და ბედნიერებისგან ათრთო-

ლებული მკლავები ჩიკოს შემოხვია. არ იცოდა, რა ეთქვა, ან როგორ გადაეხადა მადლობა, მაგრამ ჩვეულმა შიშმა, ერთი რამ მაშინვე გადაჭრით გადააწყვეტინა.

– მე აქ დავრჩები, ჩიკო. არსადაც არ წავალ, შენ გვერდით არაფერი მჭირდება. იქ ვიშოვით ყველაფერს. შენც ხომ ხელცარიელი მოდიხარ? სულ ცოტა დარჩა იმ დღემდე, რომლისთვისაც ვცოცხლობდი. რამდენჯერ მოგიკლავს ამ დღის იმედი, რომ იცოდე. არა, ჩიკო, ახლა უკვე აღარ მოგშორდები. აწი ვეღარაფერი დამაშორებს შენგან.

ჩიკომ ზუსტად გაიგო ბელას შიში და დარდი, რომელზეც მისი აკანკალებული სხეულიც მეტყველებდა და კიდევ უფრო მეტად ჩაიკრა გულში. მერე მკლავებში ჩაავლო ხელები და ბავშვური ბედნიერების შფოთით აგზნებულმა ოდნავ გაწია მისგან, რათა თვალებში ჩაეხედა და ეთქვა, თუ როგორ უყვარდა. ბელა ხომ ერთადერთ ნათელ წერტილად დარჩენილიყო მის ცხოვრებაში. მაგრამ მოულოდნელად მოხდა ის, რამაც ჩიკო მხეცივით წამოაგდო ფეხზე, როცა მის თვალებში ბელას შიშველ მკერდზე დასვენებულმა მედალიონის აჩრდილმა გაირბინა. ეს ღვთისმშობლის მედალიონი იყო, ბავშვობიდან დედის ყელზე რომ ხედავდა ყოველთვის.

– ეს საიდან? – გაოგნებული სახით წარმოთქვა ჩიკომ, მედალიონს რომ ჩასჭიდებოდა თვალებით.

თავზარდაცემულმა ბელამ ისღა მოახერხა, რომ ორივე ხელი მკერდზე ეტაცა. რამდენიმე წამი გაქვავებული შეჰყურებდა ჩიკოს ცოფშეყრილ სახეს, ზედ რომ აღარ უყურებდა მას. მეხის გავარდნას ჰგავდა ეს მოწმენდილ ცაზე, ცოდვის სახელით, უმოწყალოდ რომ დაატეხა თავზე, მისთვის მფარველად მოვლენილმა მედალიონმა. მფარველმა მედალიონმა, რომელმაც გასცა და ყველაფერს ართმევდა. მაშინვე ხელები მედალიონთან ერთად სახეზე აიფარა და მწარე გოდება აღმოხდა.

– საიდან-მეთქი! – უკვე ყვირილით გაიმეორა ჩიკომ, რომელსაც ტანსაცმლის ჩაცმაც მოესწრო და ბელასკენ ზურგით, მაგიდას დაყრდნობოდა მუშტებით.

– ყველაფერს გეტყვი, ჩიკო, – ამოისლუკუნა ბელამ, ცრემლები შეიშრო და ისეთი შემართებით, ადამიანს რომ აღარაფერი აქვს დასაკარგი, განაგრძო, – ოღონდ შემპირდი, რომ არ დამტოვებ მარტოს ან ცოცხალს. თუ ამ დღეს ისევ მომიკლავ, მეც თან უნდა გამაყოლო...

ჩიკო ხმის ამოუღებლად შემობრუნდა, სკამი გამოსწია და ისე დაჯდა, რომ ბელა მის ჩრდილში მოექცია, რისგანაც ამ უკანასკნელმაც უცნაური შვება იგრძნო. თითქოს ფარდის უკან დაიმალაო, მაგრამ დამალვა აქ ვერ უშველიდა. ან ბრძოლა, ან დანებება, ან ყველაფერი, ან არაფერი! არადა, რამდენიმე წუთის წინ ხომ ყველაფერი ჰქონდა და მხოლოდ მისმა გაუფრთხილებლობამ დააყენა უფსკრულის პირას. სულ ერთი დღე, ერთი დღე და მერე ყველაფერს მოიფიქრებდა, თუ როგორ გაემხილა ყოველივე, როცა სამშვიდობოს იქნებოდნენ. თქმით აუცილებლად ეტყოდა, ისე თვითონაც ვერ იცხოვრებდა ამ ტვირთით, მაგრამ რაღა ახლა?! რამ დაავიწყა მედალიონი, ან როგორ შეიძლება გახსენებოდა მაშინ, როცა ყველაფერი დავიწყებული ჰქონდა ერთი ადამიანის გარდა. მართალი ყოფილა თურმე, უბედურება ყველაზე ბედნიერი წუთების ერთგული სტუმარია, – გაიფიქრა ბელამ და სიკვდილმისჯილის შემართებით, ბოლო სიტყვა წამოიწყო.

– ალბათ გახსოვს, ჩიკო, როცა მოხვედი, მითხარი, დედაჩემი უნდა გადავარჩინოო და დამტოვე. შენ მაშინ სამუდამოდ დამტოვე და არ გამტყუნებ ამაში. ყველა ჩვენი საყვარელი ადამიანის გადარჩენას ვცდილობთ და მეც ასე მოვიქეცი. იმ ღამესვე ბაზი ვინახულე და ვთხოვე, მისი კავშირებით დამხმარებოდა, დედაშენის საკანში მოვხვედრილიყავი, ოღონდ რითვის და რატომ, მისთვის არ მითქვამს. ბაზიმ გაიგო, რომ იმ დღეებში დედაშენი მონაზონს უნდა

მოენახულებინა და მანაც მონასტრის წინამძღვარს სთხოვა, იმ მონაზვნის მაგივრად, რომელიც უნდა წასულიყო, მე გავეშვი, თუმცა ჩემი ვინაობა მისთვის არ უთქვამს. მხოლოდ ის უთხრა, რომ ეს დედაშენისთვის ძალიან ახლო ადამიანი იქნებოდა. მერე მოხდა ის, რომ მე მონაზვნის ფორმაში და საწამლავის ბოთლით ხელში, დედაშენის პირისპირ აღმოვჩნდი საკანში. დიდი გაჭირვებით მოვუყევი მას შენი განზრახვა და საწამლავი, რომელიც მანამდე ჩემთვის მქონდა გამზადებული, იმ შემთხვევაში თუ შენ შენსას გააკეთებდი, ახლა ჩემსა და დედაშენს შორის ჩავდგი, – აქ ბელამ ისევ ვერ შეიკავა თავი და ცრემლები წასკდა, – არსად, არასოდეს მინახავს ისეთი მადლიერი თვალები, როგორიც მაშინ დავინახე. მაშინვე დალია საწამლავი, გულში ჩამიკრა და რამდენიმე წუთი, ორივე უხმოდ ვტიროდით. სწორედ მაშინ მოიხსნა ეს მედალიონი და თავისი ხელით ჩამომკიდა კისერზე. მისი უკანასკნელი თხოვნა იყო, შენ გაგფრთხილებოდი, რაც აუცილებლად უნდა შევუსრულო და გემუდარები, ამის გაკეთებას ნუ დამიშლი. ჩემზე უკეთესად არავინ იცის, როგორია გიყვარდეს საკუთარი მშობლის მკვლელი და კარგად გავიგებ ნებისმიერ შენს გადაწყვეტილებას, ოღონდ არ დაგავიწყდეს, რომ ორი არჩევანი გაქვს. ან მარტოს არ დამტოვებ, ან ცოცხალს. შენ არც უბედურის თანაგრძნობა გაგიჭირდება და არც მოღალატის მოკვლა, – თითქოს იწვევდა ბოლო სიტყვებით, სხვა გზა რომ არ დაეტოვებინა მისთვის.

ჩიკო გაფითრებული სახით იჯდა და ისმენდა მის ცხოვრებაში ყველაზე მტკივნეულ და მწარე რეალობას. მისი გონება ახლა წარსულში, საკუთარი ხელითვე დაყრილ ნაფოტებს მიუყვებოდა, გზა რომ არ არეოდა და იქამდე მისულიყო, რამაც აქამდე მოიყვანა. აკი მიიყვანა კიდეც იქ, სადაც ბელას გაანდო მისი განზრახვა, დედის გათავისუფლების შესახებ და საშინელი ზიზღი იგრძნო საკუთარი თავის მიმართ. კიდევ ერთხელ გაახსენდა მოდღლეზილი კაციც და ზუზუს სიტყვებიც ცხოვრების ანბანის სწავლაზე. მიუხედა-

ვად ამ ყველაფრისა და იმისა, რომ გონება წარსულში ექაჩებოდა, სხეული მომავალისკენ უბიძგებდა უმისამართოდ და მანაც არ დააყოვნა, – როგორ არ მითხარით! – დაიღრიალა ჩიკომ, სკამიდან წამოხტა და კარისკენ გაქანდა.

ბელა ჭკუიდან შეშლილივით მივარდა მას და შიშველი ტანით, მთლიანად შემოეკრო ფეხზე. ჩიკო ზიზღით უყურებდა სულით ხორცამდე გაშიშვლებულ, საცოდავ ქალს, რომელსაც ხის ალმოდებული ფეხით, კარისკენ მიათრევდა.

– მიყვარხარ! მიყვარხარ, ჩიკო! ნუ დამტოვებ, ან მომკალი. შემზარავი ხმით ევედრებოდა ქალი, – ბაზი ყველაფერს ბოლოს მიხვდა, ჩიკო. მე კი... მე როგორ უნდა მეთქვა ეს? შენც ხომ ვერ მეუბნებოდი, ჩიკო და იცი, რაც არის ეს, – სასოწარკვეთილი მოთქვამდა ბელა.

ძლიერმა ხელებმა კედელთან მიაგდეს ქალის უმწეო სხეული და კარი გაიჯახუნეს.

შორს, ფერდობზე გამოკიდებული სახლების ფანჯრები ციცინათელებივით ანათებდნენ ბნელ ღამეში. მთვარე იშვიათად თუ გამოანათებდა ღრუბლებიდან, თვალს მოავლებდა გემებით სავსე ზღვას, საიდანაც ცარიელ ნაპირს გაუყვებოდა ქალაქის ქუჩების ლაბირინთისკენ და იქვე იკარგებოდა, იმ ეტლებივით, სახლის ერთი კუთხიდან მეორემდე რომ მიგორავდნენ და უჩინარდებოდნენ. არ იკარგებოდა მხოლოდ ჰორიზონტალურ კიბეზე მოსრიალე, კვამლიდან გამომძვრალი, აკვანივით მოქანავე რამდენიმე ხელიხელჩაკიდებული ყუთი, რომელსაც უშველებელი ჩიბუხის ფორმის მანქანა მიაქანებდა წინასწარ განსაზღვრულ გზაზე, საიდანაც ვერსად გადაუხვევდა. ჩიკომ კი, ყველგან გადაუხვია, სადაც შეიძლებოდა. იმ იმედით, რომ თავს დააღწევდა აკვიატებულ ფიქრებს, მაგრამ ამაოდ. ბოლოს გზაც გასწორდა და ის ახლა უსასრულო, წარმოსახვით გვირაბში მიაბიჯებდა, საიდანაც აღარაფერი ჩანდა. აღარც ეტლები, აღარც გემები, აღარც მატარებელი, არც სახლების განათებული ვიტრინები, სათამაშოებითა თუ მომღიმარი მანე-

კენებით და აღარც სინათლე, გვირაბის ბოლოში რომ უნდა ყოფილიყო წესით. მიდიოდა და თან მიჰქონდა მხრებზე გადებული მორი. წონასწორობის დაცვა უჭირდა, რადგან მარცხენა მხარე გაცილებით ემძიმებოდა, ვიდრე მარჯვენა, რომელიც თითქოს სულ დამპალიყო შმორისგან. ეს ბელა იყო და ყველაფერი, რაც მის ირგვლივ არსებობდა ჩიკოს გონებაში. მან, ვინც აქამდე ყველაფერს უცოცხლებდა, დედა მოუკლა. აღარ უნდოდა მისი სიყვარული და უფრო მეტად არ უნდოდა მოგონებები მასზე. ასე აღარც ბელას მამა იქნებოდა მის სულში, მტანჯველად მოწრიალე. რამდენი პოლიციელი მოუკლავს ასე, მაგრამ ყველას გამართლება შეიძლებოდა რაღაცით. ეს კი, ვერაფრით გაემართლებინა დღემდე. ახლა კი, გაამართლა და მაშინვე, მორის მარცხენა მხარე კიდევ უფრო დამძიმდა, რომელიც მისივე მრისხანებით იჟღინთებოდა წვეთ-წვეთად. თუმცა ხელები ჯერ ისევ იჭერდნენ მას, მოგონებების დახმარებით და მორი კვლავ მხრებზე რჩებოდა, მაგრამ ეს დიდხანს არ უნდა გაგრძელებულიყო. აი, კიდევ ერთი თვალის ასახელიც დაიხმარა. როგორ შეუყვარდა საერთოდ საკუთარი მამის მკვლელი? – ასეთი ბრმაც არ უნდა იყოს სიყვარული. ამას სიყვარული არ ჰქვია! ის ავად არის და მორჩა! – გონებაში იყვირა ჩიკომ და იმ წამსვე იგრძნო, რომ თვითონაც დასნეულებულიყო, სხვა შემთხვევაში მორი დიდი ხნის ჩამოგდებული უნდა ჰქონოდა მხრებიდან, – სიყვარული ყველაზე უკურნებელი სენია, – გაიფიქრა და თითქოს მარჯვენა მხარი დაუმძიმდა. მაშინვე ორივე ხელით დაქაჩა მორი საპირისპირო მხარეს და წამლის გამოგონება დაიწყო, – დედა მომიკლა და მორჩა! – გადაყლაპა მორიგი აბი და მორს ხელები გაუშვა, რომელიც აიწონა-დაიწონასავით ირხეოდა აქეთ-იქით, თუმცა გადავარდნას არცერთ მხარეს არ აპირებდა, – მაგრამ რატომ არ მოვკალი, როგორც თვითონ მთხოვა? გამოდის... გამოდის, მართლა ავად ვარ? თუმცა როგორ უნდა მომეკლა, ხომ თქვა, საწამლავი ჩემთვის მქონდაო და სიკ-

ვდილისგან გადარჩენა რომ შეძლებოდა, ალბათ, დალევდა კიდეც, – უცებ ფეხქვეშ გათელილი ბელას სახე გაახსენდა, მის ფეხზე შემოხვეული და საშინელმა ზიზღმა დაუარა ტანში. ოღონდ ეს ზიზღი, მისდა გასაკვირად, უკვე საკუთარი თავის მიმართ გაჩენილიყო, – დალევდა, აუცილებლად დალევდა! – აქ უეცრად სუნთქვა შეეკრა და საშინელი რამ წარმოიდგინა, – ახლა რომ დალიოს? ღმერთო ჩემო, რა გავაკეთე. არა! თავს არ მოიკლავს. მე ხომ არ შევუსრულე თხოვნა? მარტო დავტოვე, მაგრამ მოსაკლავად ვერ გავიმეტე და უნდა ხვდებოდეს, რომ გულიდან ვერ წავშალე. აუცილებლად დამელოდება და მეც მივბრუნდები. ბაზის ვნახავ და დავბრუნდები, – სწორედ ამ დროს, მორი მარჯვენა მხარზე ჩამოსრიალდა და მიწაში ფესვებგადგმულ ვაშლის ხედ აისვეტა.

გვირაბიდან გამოსულ ჩიკოს ბაზის სახლამდე სულ ცოტა გზა დარჩენოდა, რომელიც ჩქარი ნაბიჯით გაიარა და სულ მალე, სახლის წინ აღმოჩნდა. უკნიდან მოუარა, საიდანაც ნაცნობ ჭადრის ხეს აუყვა აივნისკენ. ერთ-ერთი ტოტიდან რიკულებიან აივანზე ისკუპა და კართან მიიპარა. ოთახიდან თითქოს ნაცნობი ხმა გამოდიოდა.

– ყოჩაღ, ბატონო ბაზი! ყოველთვის მქონდა თქვენი ჭკუის იმედი, დანახვის დღიდან და თურმე არ ვცდებოდი. თქვენ ნამდვილად გენიალური ადამიანი ხართ, – ამბობდა სავარძელში მოკალათებული ფეხიფეხზე გადადებული მამაკაცი, რომლის სახის დანახვასაც ფარდა უშლიდა ხელს.

– რაზე ლაპარაკობთ, არაფერი მესმის, – უპასუხა მაგიდის კუთხეზე ჩამომჯდარმა ბაზიმ და თავი გააქნია.

ოთახში კიდევ ერთი კაცი იდგა კართან, თუმცა იგი ხმას არ იღებდა და სულ ქამარში გაჩრილ იარაღზე ეჭირა თვალი.

– პირველ ყოვლისა, მინდა შვილის დაბადება მოგილოცოთ, რამაც, მერწმუნეთ, თქვენზე არანაკლებ გამახარა. მეგონა, მამა იყავით, არადა, თურმე მხოლოდ ახლა გამხ-

დარხართ მშობელი. რა ტკბილი გრძნობაა, არა? ხომ მეთანხმებით? პირველი შვილი გამორჩეული სიხარულია. მე სამი შვილის მამა ვარ და კარგად ვიცი, რომ ყველა განცდა პირველთან მიდის. და მეც თქვენთან მოვედი, როგორც ჩემს პირველ აღმოჩენასთან. ეს ისე, ჰუმანურობისთვის. ახლა კი საქმეზე გადავალ, რამაც თქვენთან მომიყვანა. ხომ გახსოვთ, ბევრი ლაპარაკი არ მჩვევია და ძირითადად სხვებს ვუსმენ, თუმცა თქვენი წყალობით, ვფიქრობ, ჩემი სიტყვის დროც დადგა. გთხოვთ, გულდასმით მომისმინოთ.

ბაზი უკვე სავარძელში იჯდა და მის თანამოსაუბრეს აღარ უყურებდა. თითქოს ყველაფერი გაეგო და ახლა სტატისტის როლში მიჰყვებოდა განგებას, რომელიც კარგს არაფერს ჰპირდებოდა.

– ეჭვი არ მეპარება, თქვენი ჭკუის პატრონი უკვე ყველაფერს კარგად ხვდება, თუმცა ყოველგვარი გაუთვალისწინებლობა რომ ავიცილოთ თავიდან, მინდა თქვენს მიერ გაწეული შრომისათვის, სრული სერიოზულობით, უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ. სწორედ თქვენმა მონდომებამ გააჩინა ის შესაძლებლობა, რომელიც დღეს ჩვენ ორივეს გამოგვადგება, თუ კარგად მომისმენთ და ჩვეული შორსმჭვრეტელობით შეხედავთ ყველაფერს. „თუ“-ს იმიტომ ვამბობ, რომ ვიცი, რასაც ეფუძნება თქვენი მორალი და ამიტომ, შეიძლება ყველაფერი ორივეს სასარგებლოდ არ დამთავრდეს, თუმცა ამ შემთხვევაში მე მხოლოდ სამსახურს დავკარგავ, თქვენ კი ყველაფერს – საკუთარი თავით დაწყებული, ოჯახით დამთავრებული. ხომ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ? – წარმოთქვა ბაზის სტუმარმა და მას გახედა, რის შემდეგაც ისევ მშვიდად განაგრძო, – მაინც რა შესანიშნავი სქემა მოგიფიქრებიათ. გუშინაც ვერ ვიჯერებდი, როცა უკვე ყველაფერი ცხადი გახდა, რომ ასეთ რამეზე წახვიდოდით, მაგრამ როცა თქვენი წარსული ამოვქექე, მაშინვე ყველაფერს მივხვდი. თქვენ ერთი სისხლი გაქვთ და ერთმანეთისთვის თავს გასწირავთ, მაგრამ

ცოლსა და ნანატრ შვილს კი – არა! მითხარით, ხომ ასეა? თქვენი კოდექსი ამას ხომ არ გავალდებულებთ! ამიტომ, ახლა კარგად მომისმინეთ! – სტუმარი სავარძლიდან წამოიწია და ჩიკომაც კარგად იცნო იგი. ეს ციხის უფროსი გახლდათ, რომელსაც ახლავე მოკლავდა, მაგრამ აქ, მისი მეგობრის სახლში, ეს კარგს არაფერს მოიტანდა, – ალბათ ხვდებით, რომ თქვენი მტერი არ ვარ, თორემ ამ სახლის ირგვლივ უკვე მთელი ასეული იდგებოდა, – განაგრძო ციხის უფროსმა, – ეს ამბავი მხოლოდ ორმა ადამიანმა იცის ჩემ გარდა და მათი ნდობა შეგიძლიათ გქონდეთ. ერთ-ერთი ახლა ამ ოთახში იმყოფება, მაგრამ ყველაფერი ჩვენში მოკვდება, თუ სწორ არჩევანს გააკეთებთ. იცის კიდევ წერილმა, რომელიც ჩემი სიკვდილის შემთხვევაში გაიხსნება, როგორც ანდერძის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ქალაქში დიდი სახელი გაქვთ და კიდევ უფრო გაიზრდება ის, იმ შემთხვევაში, თუ მეგობარს დათმობთ. არჩევანი თქვენზეა და თავად უნდა გადაწყვიტოთ. ის, ცოცხალი ან მკვდარი უნდა ჩამაბაროთ. ხომ გესმით, რამხელა ჯილდო მელის ამ შემთხვევაში და მეც, თქვენს ამაგს არ დავივიწყებ. ჩვენ ხომ ორივემ ვიცით ისეთი რამ, რაც ორივესთვის საზიანოა, – ციხის უფროსი ფეხზე წამოდგა და კარისკენ გაემართა, – მესმის, ახლა რამის თქმა ძნელია. შედეგისთვის ერთ თვეს გაძლევთ და არ იფიქროთ, რომ სადმე გაქცევას შეძლებთ. მე ამისთვის ყველა ზომა მაქვს მიღებული. ნურც თავის მოკვლას შეეცდებით, ამით თქვენს ოჯახს მაინც ვერ იხსნით, იცოდეთ! ჰო, მართლა. მრწამსზე იფიქრეთ, დაგეხმარებათ, – თქვა ციხის უფროსმა და ოთახი მხლებელთან ერთად დატოვა.

ბაზი არ განძრეულა. სრულიად მშვიდად, თეთრ ჭერს უყურებდა და თითქოს პასუხსაც მისგან ელოდა. თუმცა საითაც უნდა გაჰყოლოდა მას, ბოლოს მაინც კუთხეში ექცეოდა. არ იყო გამოსავალი და ისიც იმ გზას დაადგა, რომელზეც სრულიად მოულოდნელად აღმოაჩინა განგებამ. თვალი

მაგიდას მოავლო, სადაც ლურჯი კალამი და თაბახის ცარიელი ფურცლები დაინახა. ხელი დასტაცა და მთელი თავისი ფიქრი მათ გაანდო. ბევრი არაფერი ჰქონდა საფიქრალი და წერასაც მალევე მორჩა, რის შემდეგაც წერილი სეიფში შეინახა და ოთახიდან გავიდა.

ჩიკო აივნის კედელთან ჩამუხლულიყო გაოგნებული და არ იცოდა, რა უნდა ეღონა. ციხის უფროსის კარის გახურვისას, იფიქრა გაჰყოლოდა მას და თავის მხლებელთან ერთად გაენადგურებინა, მაგრამ კიდევ ერთი ამხანაგი და ანდერძი, რომელიც საუბრისას ახსენა, ყველა გზას უჭრიდა. ბაზის ნახვა და რამის თქმა აქ ზედმეტი იყო. ან რა უნდა ეთქვა მისთვის, როცა კარგად იცოდა ის ერთადერთი გამოსავალი, რაც მათ დაუტოვეს. ყველაფერთან ერთად, მეგობრის აზრის გაგებაც სწყუროდა, იმ იმედის ბოლო ყლუპივით, ჭიქაში რომ დარჩენოდა. იქნებ რამე გზაც აღმოეჩინა მაშინ. ის ხომ ყოველთვის პოულობდა გამოსავალს, თუკი რაიმე ხავსისოდენა ხელმოსაკიდი ექნებოდა. არადა, საერთოდ არ იყოყმანებდა არაფერზე, ის ერთი რამ რომ არა, რამაც სიყვარულის ხე დაარგვევინა სულ ცოტა ხნის წინ. რაც იყო, იყო. ბაზის აზრსაც გაიგებდა, რაც უნდა მწარე ყოფილიყო და მერე თვითონ იცოდა. ოთახის კარი ფრთხილად შეაღო, სეიფთან მივიდა, ბურთულა აქეთ-იქით გადაატრიალა და თაბახის წერილი, რომელიც ნახევრამდე იყო შევსებული ასოებით, თვალის ერთი გადავლებით ჩაიკითხა ბოლომდე. ყველაფერს ელოდა იმის გარდა, რაც მასში ეწერა. „ინფანტილური მზერით უყურებდა ფურცელს და ირონიით – საკუთარ მომავალს“. ცოტა ხანს იდგა ასე, გაოგნებული და როცა გონს მოეგო, ფურცელი უკან დააბრუნა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა აივნისკენ, როცა შუა ოთახში, სამუშაო მაგიდაზე ლურჯ კალამს მოჰკრა თვალი და ადგილზე გაქვავდა, – შემოქმედის კალამი! – გაისმა ბედისწერის მოურიდებელი თანაგრძნობის ხმა. ფურცელსა და რეალობაში დანახული, თუ განცდილი ინფანტილურ-ირონიული მზერის ძა-

ლაც, ასმაგი ძალით დაუტრიალდა მთელ სხეულში, ოღონდ უკვე გაცვლილი ადგილებით და მაშინვე კალამს დასტაცა ხელი. ისევ სეიფისაკენ მიბრუნდა, ნაწერი გამოიღო და თვალის დახამხამებაში გაუჩინარდა აივნიდან.

მომდევნო ღამით, ბაზი იმავე ოთახში იდგა, რევოლვერში ტყვიებს აწყობდა და მთაში წასასვლელად ემზადებოდა. მას ეს ჩიკოს წერილმა გადააწყვეტინა, რომელშიც მეგობარი ატყობინებდა, რომ ყოვლად გადაუდებელი საქმე ჰქონდა მასთან, სასიცოცხლო მნიშვნელობისაც კი და აუცილებლად უნდა შეხვედროდა, მათსავე საიდუმლო კარავში. კარში გასვლისას ბაზიმ მძინარე მეუღლეს და ბავშვს გადაავლო თბილი მზერა და გოლგოთის გზას გაუდგა. შუაღამისას ის უკვე სვიფში, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ მიაბიჯებდა, მთის ძირში, მდინარის გასწვრივ გაყოლილ დაკლაკნილ გზას, რომელსაც კარვამდე უნდა მიეყვანა. გზის ამ მონაკვეთის გავლა მან ფეხით არჩია და ცხენს დაემშვიდობა. ფეხით სვლა, ცოტათი მაინც გაუხანგრძლივებდა იმ მძიმე ნაბიჯის გადადგმას, რომელიც უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა და მის შეცვლაზე არც კი ფიქრობდა. ფიქრობდა მხოლოდ იმაზე, რომ ეს ყველაფერი უყოყმანოდ გაეკეთებინა და მხოლოდ ამისთვის ამზადებდა საკუთარ თავს, რადგან გრძნობდა ყველა იმ სიძნელეს, რომელსაც ატარებდა ეს ნაბიჯი. იმ უცნაურ დამთხვევაზეც ფიქრობდა, წუხელ რომ ესტუმრა ციხის უფროსი, თავისი ვერაგი შეთავაზებით და უკვე დღეს, ჩიკოს შეხვედრის თხოვნაც მიეღო. ამგვარი დამთხვევა მისთვის ახლა მხოლოდ განგების ნება იყო და სხვა არაფერი. რაც უფრო შორს მიიწევდა, მით უფრო უმძიმდებოდა ფეხები და როცა ხიდს უახლოვდებოდა, ისიც კი გაიფიქრა, რა მოხდებოდა, წყალს რომ ჰქონოდა წაღებული ის საერთოდ, მაგრამ ხიდი ისევ იქ დახვდა, სადაც ჯერ კიდევ ბავშვობის დროიდან ახსოვდა. მასზე გადასულს, მდინარის თქარათქური, რომელიც მანამდე ხელის აღებისკენ უბიძგებდა და უყვიროდა, უკან გამომყევიო, ახლა უკვე მა-

რცხენა მხრიდან სულ სხვანაირად აგულიანებდა, თითქოს შემოსძახოდა, ქენი საქნელი და დაამთავრეო. ნელ-ნელა ჰაერიც სულ სხვანაირი ხდებოდა, რაც ყოველ ჩასუნთქვაზე იგრძნობოდა მისი სიმსუბუქით. აქეთ-იქით ტყეებიდან ჩამოწოლილ სურნელს, რომელსაც წიწვოვანი ხეები აფრქვევდნენ, მთიდან დაბერილი გვიმრისა და ახალამოსული ბალახის სურნელი უერთდებოდა და ორივეს ერთად ცვარში გახვეულს, მალამოსავით ადებდა იქაურობას, თუმცა ბაზის ჭრილობებს ის ვერაფრით აცოცხლებდა. იცოდა, დამნაშავე რომ იყო ცოლთან და მეგობრობით ცდილობდა ამის გამართლებას, მაგრამ ეს არგუმენტი მხოლოდ საკუთარ თავთან და მეგობართან თუ გამოადგებოდა და არა ცოლთან. ეცოდებოდა ცოლი, ეცოდებოდა თავისი თავიც და ეცოდებოდა ჩიკოც, ამგვარი ბედისთვის, მაგრამ როგორც მდინარე ეუბნებოდა, გასაკეთებელი უნდა გაეკეთბინა და დაემთავრებინა. აი, უკვე მისი და მდინარის გზებიც იყოფოდა და გულშემატკივრის გარეშე, მარტოს მოუწევდა დარჩენილი გზის გავლა. თუმცა ერთი გზაც რომ ჰქონოდათ, მას მაინც ვერ დაინახავდა, რადგან აქედან მდინარე ყინულის საბნის ქვეშ იმალებოდა, ზამთრიდან რომ შემორჩენოდა ორი ქედის ჭრილს. არც ისე ძლიერი ეჩვენა მდინარე ბაზის, დამალვით რომ უშველა თავს, როცა გასაკეთებელი ძალიან მოახლოვდა, მაგრამ მაინც მადლობა გადაუხადა ხიდისა და აქამდე გაწეული თანადგომისთვის. აქედან სიარული კიდევ უფრო გაჭირდა. ციცაბო ბილიკები სულ უფრო მეტად მიიწევდნენ მთის წვერისკენ, თვითონ კი უფსკრულისკენ მიექანებოდა და ყოველი ფეხის დაცურებაზე, ნამიან ბალახზე, მალულად გაუელვებდა თავში ფუჭი განცდა, რომ ერთი ისე დასცდენოდა ფეხი, მდინარემდე ჩაეტანა დაგორებული ლოდივით. ფიქრებით დათრგუნულს, უდიდეს ტკივილთან ერთად, მიჰქონდა ერთადერთი ნუგეში, რომელიც ყველაფერს ამართლებდა საჭიროების სახელით. მალე კარავიც გამოჩნდა, თვალი რომ ბუნდოვნად ხედავდა, გონება კი

მისტიკურად. შეჩერდა და მხოლოდ მაშინ იგრძნო, ამოვარ-
დნაზე რომ ჰქონდა გული და მთელ ტანზეც ოფლს დაესხა.
გეშინიაო, ჩასძახოდა შინაგანი ხმა და ისიც ყველაფერს მა-
შინვე ამოვლილ აღმართებს აბრალებდა მის განსადევნად.
დასამტკიცებლად ბალახზე ჩამოჯდა, შუბლზე ოფლი მოიწ-
მინდა და მძინარე სოფელს გადახედა, ხელის გულივით რომ
გადაშლილიყო მის თვალწინ. მხოლოდ რამდენიმე სახლი-
დან გამოსჭვიოდა შუქი, ღამე რომ გაეთენებინათ, ვინ იცის
რისთვის. სადღაც იქ, მისი ბავშვობის სახლიც იყო, ცარი-
ელი და ჩამქრალი მასავით. ნეტავ, მასაც მის საწოლში შე-
სძლებოდა შეძრომა და თავის ბალიშში შეფარება ზღარბი-
ვით მოკუნტულს, ყველას და ყველაფრისგან მოწყვეტილს,
მაგრამ მაშინვე ცოლი, შვილი და ბედუკუღმართი მეგობარი
დაელანდა თვალებში, ელვის სისწრაფით რომ ენაცვლე-
ბოდნენ ერთმანეთს. დიდი გაჭირვებითა და თავბედის წყე-
ვლით ისევ ფეხზე წამოდგა გზის გასაგრძელებლად. მალე
ისევ იგრძნო შემაწუხებელი გულისცემა, კაკუნის ენით რომ
ელაპარაკებოდა ცხოვრების იდუმალ საიდუმლოებებზე,
კარვის კართან რომ მიიყვანა, საიდანაც სუსტი სინათლე
გამოსჭვიოდა და ახლა შენი დაკაკუნების დროაო, დაუბრა-
ხუნა. ბაზიმ ხელით შეიშრო ოფლდასხმული სახე, სამჯერ
პირჯვარი გადაიწერა, ქამრიდან იარაღი ამოიღო, ჩახმახი
შეაყენა და მეორე ხელი, რამდენჯერმე ისეთი ყოყმანით წა-
იღო სახელურისკენ, თითქოს ჯოჯოხეთის კარი უნდა გამო-
ეღოო. თუმცა დაკაკუნებაზე არც უფიქრია. უიარაღო ხელი
კანკალებდა. თითები ნერვიულად კრავდნენ მუშტს, ცერა
თითის შუაში მოქცევით და ისევ იკრუნჩხებოდნენ. არაფერი
რომ არ გამოსდიოდა აკანკალებულ ხელს, იარაღს ართმე-
ვდა მეორეს და ახლა უკვე მეორე ხელს ემართებოდა იგივე.
რამდენჯერმე გაცვალეს როლები ბაზის ხელებმა. ბოლოს,
სწორედ იმ ხელით, რომელმაც დაიწყო, სახელურს ეძგერა
და მთელი ძალით მოქაჩა კარი, რასაც იმწამსვე გასროლის
ხმა მოჰყვა. ბაზიმ ეს ხმა ხუთი-ექვსჯერ მაინც გაიგონა,

მთებში გავარდნილი ექოს წყალობით, მაგრამ რამდენიმე წამი, სმენის მეტი მას აღარაფერი შერჩენოდა დანარჩენი გრძნობებიდან. იდგა გაქვავებული, კარის სახელურს ჩაჭიდებული და ვერ ხვდებოდა, რა მომხდარიყო. აფრენილმა ჩიტების გუნდმა გადაუფრინა თავზე შრიალით და მაშინღა აღიქვა, რომ ჯერ ისევ ცოცხალი იყო. თვალები გაახილა, გასროლისთანავე რომ დაეხუჭა მთელი ძალით და მაშინვე მუხლებზე დაეცა. ყბა ჩამოუვარდა სურათის დანახვაზე, რომელიც ვერაფრით აეწყო გონებაში. მის პირდაპირ, სკამზე, თავჩამოგდებული, სისხლიანი ჩიკო ღაფავდა სულს. მათ შორის კი, მაგიდაზე ძუაგამობმული თოფი მომარჯვებულიყო. მაგიდის კუთხეში სანთელი ენთო, მის გვერდით კი, სისხლის შხეფებით დაწინწკლული თაბახის ფურცელი ესვენა, შუაზე გადატეხილი ლურჯი კალმის ქვეშ. ბაზიმ ახლაღა დახედა მის იარაღს, რომელიც ისევ ჩახმახშეყენებული სჭეროდა ხელში. უკვე გონს მოსულმა, თავი უკან გადააგდო და არანორმალური ღრიალი აღმოხდა. მხოლოდ მაშინ, როცა ხმა საერთოდ აღარ შერჩა, ფეხზე აუდგომლად შეხოხდა კარავში, მეგობარს თავი ააწევინა, შუბლი შუბლზე მიადო და გულიდან წამოსული სიბრალული, სინანული, სიყვარული, ზიზღი თუ ტკივილი, ერთად გადმოეღვარა ცრემლებად.

– რატომ? როგორ? ვინ? – კითხვა კითხვაზე უტრიალებდა თავში, პასუხი კი არსაიდან ჩანდა, სანამ სისხლიანმა ფურცელმა არ გაახსენა თავი. მაშინვე ფეხზე წამოვარდა, ფურცელს დახედა და კიდევ უფრო გაუგებარი კითხვის ნიშანი შემოეხვია კისერზე. ეს ხომ მისი ფურცელი იყო, წინა ღამით რომ დაწერა და სეიფში შეინახა. მაშინ აქ როგორღა მოხვდა? იქნებ სულაც სიზმარში იყო და ესიზმრებოდა ყველაფერი? სხვანაირად ეს წარმოუდგენლად მიაჩნდა, რასაც მხოლოდ დაუჯერებელ ჯადოქრობას თუ მიაწერდა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ეს არც სიზმარი იყო და არც ჯადოქრის მიერ დადგმული ილუზია. ფურცელზე ყველაფერი გა-

რკვევით ეწერა და ისიც, ძალაგამოცლილი დაეშვა სკამზე. გონებადაბრუნებული ბაზი ახლა ჩიკოს გვერდით იჯდა და წერილს კითხულობდა:

„ორი სიკვდილმისჯილი, შენ და ყველა დანარჩენი“... ეს სიტყვები ბავშვობიდან ჩვენი ცხოვრების თანამგზავრად იქცა, ჩიკო! მის ამოხსნას მთელი ცხოვრება მივუძღვენით და მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ავად თუ კარგად ყველა კითხვას გავეცით შესაფერისი პასუხი, ყოველთვის რჩებოდა უკანასკნელი კითხვა, რომლის პასუხიც, ქვის მეორე ნატეხზე უნდა ყოფილიყო და რომელზეც მე უპირობო პასუხი არ მქონდა. დღეს სწორედ ის წუთი დადგა, როდესაც პირობებს მე აღარ ვაყენებ. ან ჰო, ან არა! ეს არის ის არჩევანი, საიდანაც ერთ-ერთს უნდა დავადგე და უფალს ვთხოვ, მომცეს ძალა, უკვე გაკეთებულ არჩევანს უყოყმანოდ გავყვე. ეს წერილი ყველა იმედგაცრუებას გაგიქრობს ჩემ მიმართ და მიხვდები, რომ შენთვის არ მიღალატია. იარაღში ფუჭი ტყვიები იდო, ზუსტად იმიტომ, რომ შენ მაგივრად მე წავსულიყავი. ყველაფერი გაიგეს, ჩიკო, ამიტომ ოჯახსა და შენ შორის მე საკუთარი თავი ავირჩიე. ვიცი, სროლაზე სროლით მიპასუხებ, რითიც ჩემი ოჯახიც გადარჩება და შენც, ჩვეულებრივ გააგრძელებ შენი ცხოვრების გზას, რომელიც დიდ მიზანს ემსახურება. მახსოვს, ერთხელ მითხარი, იმ დღეს ზუზუს დრო იყოო. ჰოდა, დღეს, აგერ უკვე 32 წლის ასაკში, ჩემი დროც დადგა და მორჩა! წერილს ჩემი მეუღლისგან მიიღებ, მას თავის წერილს ვუტოვებ, საიდანაც ყველაფერს გაიგებს. ნუ დაემდურები, თუ დაგადანაშაულა. ახლა კი უკანასკნელი თხოვნა მაქვს შენთან. თუკი ოდესმე, ბელასგან გული გეტკინება, გთხოვ, ყველაფერი გაუგო. მას შენ, საკუთარ სიცოცხლეზე მეტად უყვარხარ. ღმერთი გფარავდეს“.

ეს ბაზის წერილი იყო, ჩიკოსთვის დაწერილი, რომელსაც მისდა გასაკვირად, ჩიკოს საპასუხო სიტყვები აყენებდნენ თავდაყირა:

„ისე არასოდეს გამიმართლებია გამოთქმა „საჭირო დროს, საჭირო ადგილას“, როგორც წუხელ, შენს აივანზე ყოფნისას. განგებამ უკეთესად იცის, ბაზი, ვისი დრო როდის დგება, ამიტომ არ მიწყინო, რომ შეგეცილე. ზუსტად თქვი შენ, თანამგზავრზე და მის პასუხებზეც, მაგრამ მე ერთს დავამატებ, რაც ახლა ამოვხსენი და მივხვდი, რომ მეორე ნატეხს სულ ტყუილად ვეძებდით. ყველაფერი პირველ ნატეხში იდო და მეორე მხოლოდ იმავეს თუ იტყოდა მის გაგრძელებად. ეს იგივეა, როგორც შენი და ჩემი ნაწერი ამ ფურცელზე. ერთი მეორის ანარეკლია და სხვა არაფერი. ამ შემთხვევაში პირველი ნატეხი შენია, მეორე კი - ჩემი და როგორც ხედავ, ორივე ერთისკენ მიდის. ეს არის სწორი პასუხი, რომელიც თავიდანვე ვიცოდით და ახალს ვერაფერს ვიპოვიდით, თუნდაც ათასი სხვა ნატეხი ჰქონოდა იმ ქვას. შენ ყველაფერი ბოლომდე თქვი. გასაგრძელებელი არაფერია. ამიტომაც მეორე ბოლოდან დავიწყე წერა, შენს სიტყვებს რომ შევხვედროდი შუა ფურცელზე. და აი, შევხვდით კიდეც ცხოვრების მთავარ გზაგასაყარზე. აქ ყველანი სიკვდილმისჯილები ვართ და არ არსებობს იმაზე დიდი ჯილდო, ეს სასჯელი უდანაშაულოდ მოიპოვო ადამიანმა. ჩემს უკუღმართ ცხოვრებას მარტო ტკივილი მოჰქონდა საყვარელი ადამიანებისთვის და უსამართლობა იქნებოდა, შენც მისი მსხვერპლი გამხდარიყავი. არ ვიცი, რა გითხრა შენი ბოლომდე გვერდში დგომისთვის, ყველგან და ყოველთვის, ბაზი, თუმცა ვიცი, რომ შენ ეს გულის სიღრმეში ახლაც გიხაროდა, ამ მძიმე გადაწყვეტილების შემდეგაც. ვიცი, იმიტომ რომ, იმავე სიხარულს ვგრძნობ მეც, ჩუმად რომ გიხარია. ან კი როგორ არ უნდა გიხაროდეს, როცა სიცოცხლეს ჩუქნი საყვარელ ადამიანებს, თუნდაც სიცოცხლისვე ფასად! მადლობას გიხდი ყველაფრისთვის და იმისთვისაც, რომ ბელას და დედაჩემის ამბავი არ გამაგებინე. სწორედ ამ საკითხმა აღმომაჩინა წუხელ შენს აივანზე და რომ არა ის, ჩემი ცხოვრება კიდევ უფრო დამახინჯდე-

ბოდა, მას მერე, რაც შენს წერილს ვნახავდი. ახლა ჩემი ანდერძიც მოისმინე. კარვიდან რომ გახვალ, ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც ციხის უფროსმა გითხრა. ბელას უთხარი, რომ ყველაფერი მიპატიებია მისთვის, მაგრამ ვერაფერი – საკუთარი თავისთვის. რომ უზომოდ მიყვარს და იქ დაველოდები, ოღონდ შენი იმედი მაქვს, ბაზი, რომ ეს მალე არ მოხდება. ანახე წერილი და მიხვდება, რომ ეს მის გამო არ გამიკეთებია, მერე კი გაანადგურე. შეეცადე, დედაჩემის გვერდით დამასაფლაონ და უკანასკნელი თხოვნა მექნება, მუხის მონასტერში ნახო ბერი, რომელიც მუხის ხეში ცხოვრობს და სთხოვე, ჩემი დაკარგული სულისთვის ილოცოს. სულ ეს არის, რისი თხოვნაც მინდა. ახლა კი წავალ და კარავში დაგელოდები“.

ბაზი კითხვას მორჩა. სისხლიანი ფურცელი ოთხად დაკეცა, ჯიბეში ჩაიდო, სანთელს სული შეუბერა და კარგა ხანი, ასე წყვდიადში გაატარა დადუმებულ მეგობართან ერთად.

უკანა გზაზე წამოსულს ქუდებმოხდილი, უჩვეულოდ გარინდული მყინვარები გამოჰყურებდნენ თანაგრძნობით. მთებიც გასუსულიყვნენ. აღარც ბალახის ფუსფუსი ისმოდა სადმე და აღარც მოჩუხჩუხე ნაკადულის ტიტინი. სოფელიც კი, სადაც ის ცოტა ხნის წინ სიცოცხლეს ეძებდა ბალიშს შეხიზნული, სულ ჩამქრალიყო. ერთი სანთელიც აღარ ბჟუტავდა სოფელში, რომლის თავზეც ვარსკვლავი ანთებულიყო, სულ რაღაც, სამიოდე ათეული წლის წინ. დღეს, ჯინაზე საერთოდ გამქრალიყვნენ ციდან ისინი. ყველაფერი ერთად მოკვდა, დამთავრდა მიწასა თუ ცაზეო, სიმწრით გაუსწორა თვალი ირგვლივ გაბატონებულ უკუნ წყვდიადს და არ უგრძნია სიცოცხლის წვეთიც, ვიდრე მთის კალთებიდან, მდინარის პირამდე დაეშვებოდა. სწორედ აქ, მიწაზე დაშვებულს გაახსენა თავი სიცოცხლის ტვირთმა. რომ გარდაცვლილსაც თავისი პატრონი და გამცილებლები სჭირდებოდა, ჭირისუფალთა თუ მესამძიმრეთა თაოსნო-

ბით. გაახსენა შემაძრწუნებელი ხმით, როცა ზესკნელი-
დან შემოვარდნილმა ყორნების გუნდმა დასჩხავლა თავზე.
არაფერი ჩანდა. მხოლოდ უწესრიგო ჩხავილი თრგუნა-
ვდა გულს. შიგადაშიგ, ტყის სიღრმიდან უძილო ბუ დაამა-
ტებდა ხოლმე ყორნების ვას, მისეულ სულშიჩამწვდომ უუს
და უკვე ერთად, ქაოსური ვაი-უით დაიტირებდნენ ამაღა-
მდელ ღამეს. ხეიბრად ქცეული ბაზის თვალწინ, ბუნება
ცოცხლდებოდა წეს-ჩვეულების აღსასრულებლად. რამდე-
ნიმე წვეთი წვიმაც დაეცა ფოთლებზე, რომელიც მაშინვე
შეწყდა. უცებ, საიდანღაც, სიომ დაუბერა და ყველა ეს
ნოტი, სხვა ათას ახალგაჩენილ ხმასთან ერთად, ფირფიტა-
სავით დაატრიალა ჰაერში, რასაც მაშინვე მდინარემ მისცა
ბანი არეულად და მძლავრი გუგუნით, ყინულის საყვირიდან
რომ გამოვარდა თითქოსო. სადღაც მეხის გავარდნამ დაი-
ჭექა წესრიგის დასამყარებლად. ახლა ყორნების უწესრიგო
ჩხავილიც თითქოს შეხმატკბილებულად გარითმულიყო და
სრულ ჰარმონიაში მოსულიყო ფირფიტის ზედაპირთან.
სხვაგვარად ვერც იქნებოდა. ეს ხომ ბუნებისგან ცოცხლად
შესრულებული რეკვიემი იყო. დასტურად ფოთლებიც აშ-
რიალდნენ ჭირისუფლებივით, თავისთვის ფუსფუსებდნენ,
ეს რა მოსვლია საწყალსო. ერთ-ერთი ასეთი ფოთოლი,
ნეკერჩხლისა რომ იყო, სადღაც მოსწყვეტოდა თავის ხეს
და ტალღებში მოქანავე ნავივით მოჰყვებოდა ტყეს ქვე-
ვით-ქვევით, სანამ ძირს, ბაზის ფეხებთან არ დაესვენა.
ბაზი მას დაცემამდე გრძნობდა, ჯერ ისევ ჰაერში რომ იყო
და სწუხდა მისი ბედით. ისევ დაიჩხავლეს ყორნებმა და ისევ
დაიგუგუნა მდინარემ. ფოთლებმა სულ უფრო და უფრო
ხმამაღლა დაიწყეს შრიალი. ყველა ღრუბელი გაფანტეს ცი-
დან და გაკრიალებულ ცაზე, მოციმციმე ვარსკვლავებს შო-
რის, ყორნების წრეში მოქცეული ახალი მთვარე გამოჩნდა.
ქარი მატულობდა. ძირს დასვენებული ფოთოლი ოდნავ
შეირხა. ერთიც იხუვლეს ფოთლებმა, დაიგრიალეს ხეებმა,
აქეთ-იქით რომ ლამობდნენ წაქცევას ტოტების მტვრევით

და წამში მათმა გიჟურმა სურვილმა, განსვენებული ფოთოლი ჰაერში, მაღლა ზეცისკენ აიტაცა. როცა იგი თვალს მიეფარა, ყორნებმა საბოლოოდ იხუვლეს და იქაურობას გასცილდნენ.

სასწაული მოუწყო ბუნებამ ბაზის... სულ რამდენიმე წუთში ჩაატია... ფოთოლი კი უცილობლად ჩიკოსგან უნდა ყოფილიყო. ასე ფიქრობდა შავ მოსასხამში გახვეული ბაზი, უკვე ხიდის მოაჯირს დაყრდნობილი.

ეპილოგი

ოთხი წლის შემდეგ, საფლავზე, სადაც ამარას ქვის გვერდით უკვე მეორე ქვაც ესვენა, თავშალშემოხვეული ქალი და პატარა ბიჭი ტრიალებდნენ.

– დედა, ვინ არის ეს კაცი? – იკითხა ბიჭმა, როცა ქალი ქვას ეფერებოდა.

– არავინ, შვილო, ჯერ არავინ, – უპასუხა ბელამ, ბავშვი ხელში აიყვანა და იქაურობა დატოვა...

მთელი ცხოვრება ერთი სიცოცხლეა! ერთი ცხოვრება მხოლოდ მისი ნაწილი, რომელშიც სიცოცხლე უნდა ჩადო, თუ გინდა, რომ შეიგრძნო ის.

ეჭვი მირაჟს ჰგავს. რაც უფრო დიდია წყურვილი, მით მეტი მოჩვენებაა.

ჩემზე ჭკვიანებს ვიწერ, ნაკლებად ჭკვიანებს ვკითხულობ და საკუთარ თავს ვსწავლობ.

ერთი ჩანთა ფული. ფიქრობ, ამ ჩანთაში ჩაატევ იმ სიყვარულს, რაც შენდამი მქონდა? თუნდაც უზარმაზარ სახლში, ამ ფულით რომ იყიდი? ვერა! და ვერც ის სახლი რომ გაავსო ფულით, მისით ნაყიდ ქალაქშიც ვერ დაატევ მას და იცი, რატომ? იმიტომ, რომ სიყვარულს ერთადერთი ადგილი აქვს, სადაც ის სახლობს და ეს ადგილი თავად იტევს ყველაფერს: სახლსაც, ქალაქსაც და მთელ სამყაროსაც, თუკი საერთოდ გაქვს გული ადამიანს.

თუ ბედნიერებს არ ახსოვთ უბედურები, უბედურები ყოველთვის მათზე ფიქრობენ.

მუხლების გადატყავება არ არის მარტო ლოცვა. მთავარი ისაა, რა გზაზე გატარებენ ეს მუხლები.

9 789941 826184